

**მ** ვთის წმიდა ადამიანებო, ვინც ამ წმიდა წიგნის კითხვასა თუ გადაწერას შესდგომისართ, ყველამ იცოდეთ, რომ ამ სულთა განმანათლებელი წიგნის მთქმელ ნეტარ მამას კლემაქსი კი არ ჰქვია (არავითარ შემთხვევაში!), არამედ იოანე. „კლემაქსი“ წიგნის სახელია და ბერძნულ ენაზე „კიბეს“ ნიშნავს. წიგნს „კიბე“ იმისთვის ეწოდება, რომ სათნოებათა კიბის დარად შექმნა მან იგი: იწყებს მდიბალი საქმეებით, თანდათან მაღალი საქმეებისკნ აღვალს და წიგნის დასასრულს სათნოებათა კიბეს იხილავთ.

ხოლო კლემაქსი წმიდა მამისთვის უწოდებია მას, ვისაც თავდაპირველად წიგნიდან მცირე რამ შერჩევით უთარგმნია. ახლა კი, თუ ვინმე წიგნის სახელს იტყვის, „კლემაქსი“ თქვას (რაც „კიბეს“ ნიშნავს), ხოლო წმიდა მამის სახელად იოანე ბრძანოს.

ვინაიდან ძველ თარგმანში მრავალი შეცდომა იყო და მრავალიც – გამოტოვებული, ამიტომ მე, გლახაკმა ექვთიმეთ, ჩემი წმიდა მამის, იოანეს ბრძანებით წიგნი იმგვარად ვთარგმნე, როგორც თავად წმიდა მამას ბერძნულად ჰქონდა ნათქვამი (ის წარმოშობით ბერძენი გახლდათ).

ამის შემდგომ, ვინც ამ წიგნს წაიკითხავთ, ლოცვაში მოიხსენიეთ ჩვენი წმიდა მამები, იოანე და იოანე სვინკვლი, და მეც მომიხსენიეთ, ცოდვილი ექვთიმე. ვინც გადაწერას შესდგომისართ, როგორც აქ ნახავთ, ისე დაწერეთ. თავებიც იმგვარად დაალაგეთ, როგორც აქ არის, რადგან მეც ყველა თავი წითელი ფერით ისე დავწერე, როგორც ვნახე. არავინ გამოტოვოთ ეს სიტყვებიც, არამედ ღვთისთვის დაწერეთ, და ჩემი, ცოდვილის, სახელიც ახსენეთ.

ცად აღმყვანებელი სათხოებათა პიბე  
თქმული რაითები მონაზვის, დანიელის მიერ სულთა  
განვანათლებამ ჭიგნიან დაგავშიობით, რომელსაც მოწოდება  
„პლემაჟისი“, ანუ „პიბე“

შეისაც თავისი სახელის ზეცაში, ცხოვრების წიგნში დაწერა  
შეურს და ზეციურ ნეტარებაში აღსვლას ესწრაფვის, გზას  
ეს წმიდა წიგნი უჩვენებს და ასწავლის.

მისი მკითხველი იპოვის უცდომელ წინამძღვარს, რომელიც  
თავის თითოეულ მიმღევარს ცათა სასუფევლისკენ გაუძღვება  
და ყოველგვარი დამაპრკოლებელი ქვისგან უვწებლად დაიცავს.  
ის იქნება მიწიდან ზეცაში აღმართული კიბე, რომელიც მას  
მიწიდან წმიდათაწმიდაში აიყვანს. ამ კიბის თავში დგას ღმერთი.

ის იმ კიბის შეგავსია, რომელიც ოდესლაც ვნებათა დამთრგუნ-  
ველმა იაკობმა იხილა, როდესაც მოღვაწეობის სარეცელზე  
განისვენებდა.

ამიტომ, მმებო, გევედრებით, სარწმუნოებითა და სიყვარულით  
ჩვენც ავუყვეთ ამ სულიერსა და ცად აღმყვანებელ კიბეს, რომლის  
პირველი საფეხური კეთილად გვასწავლის:

- I. ამაო სოფლისგან განშორებისთვის;
- II. ამა სოფლისა და მისი საქმეების სიძულვილისთვის;
- III. უცხოობისთვის, სადაც ამაო სიზმრებზეც მსჯელობს;
- IV. მორჩილებით მოპოვებული რწმენისთვის;
- V. სინანულისთვის, სადაც დილეგზე ლაპარაკობს;
- VI. სიკვდილზე ფიქრისთვის;
- VII. ცოდვათა განმწმენდელი გლოვისთვის;
- VIII. ურისხველობისთვის;
- IX. გულდვარმლიანობისთვის;
- X. ძვირის თქმისთვის;
- XI. დუმილისთვის;
- XII. ტყუილისთვის;

- 
- XIII. მოწყენილობისთვის;
- XIV. ნაყროვანებისთვის;
- XV. სიძვისთვის;
- XVI. ვერცხლისმოყვარეობისთვის;
- XVII. უპოვარებისთვის;
- XVIII. ულმობლობისთვის;
- XIX. კრებულში გალობისთვის;
- XX. მღვიძარებისთვის;
- XXI. შიშისთვის;
- XXII. პატივმოყვარეობისთვის;
- XXIII. ამპარტაგნებისთვის, სადაც გმობაზეც მსჯელობს;
- XXIV. სიმშვიდისა და სიწრფელისთვის;
- XXV. თავმდაბლობისთვის;
- XXVI. განსჯისა და გულისხმისყოფისთვის;
- XXVII. დაყუდებისთვის, განშორებისა და გონების დაცვისთვის;
- XXVIII. გონიერი ლოცვისთვის;
- XXIX. უვნებობისთვის;
- XXX. სიყვარულისთვის, სარწმუნოებისა და სასოებისთვის;

ღმერთშემოსილმა მამა ოონენ კეთილდად იღვაწა და ამ წიგნში მონაზვნური ცხოვრების ყოველ საქმეს მოუყარა თავი. მან ოცდაათი სულიერი საფეხური გამოჰყო, მსგავსად უფლის ხორციელი ასაკისა. რადგან უფალმა იესო ქრისტემ ოცდაათი წლისამ იღო ნათელი, მანაც კიბის ოცდაათი საფეხური წარმოგვიდგინა, რომლის თავსაც თუ მივაღწევთ, ვიქებით სრულყოფილნი და უძლეველნი.

ხოლო ვინც ჯერ კიდევ არ ასულა ამ კიბეზე, ის ჩვილია და მისი გულის თითოეული დამოწმება უსარგებლოა და არასანდო. რათა ყოვლადბრძენი მამის ღვაწლი დაგვენახა და მისი სიტყები გვერწმუნა, საჭიროდ მივიჩნიეთ, თავდაპირველად მოკლედ დაგვეწერა მისი ცხოვრების შესახებ ის, რისი გაგებაც შევტელით.



მოძღვრებით სახელგათხმული, სულთა  
განეანათლებელი და ჭავჭარიტად სანატრელი ჩვენი<sup>1</sup>  
შეიდა და ნეტარი მამის, იღუმენი იოანე  
სიცალის ცხოვრება

(აღჭრილი რაითელი მონაზვნის დანიელის მიერ)

ქაყარელო მმებო, რადგან დანამდვილებით არ ვიცი, ვერ  
გეტყვით, თუ რომელ ქალაქში დაიბადა და აღიზარდა  
ღვთისმსახურების ეს ახოვანი მხედარი, ვიდრე მოღვაწეობის  
სარბიელზე გამოვიდოდა; ხოლო ქალაქი, სადაც ამჟამად იმყოფება  
ყოვლადქებული მამა და უკვდავების ნეტარებით ხარობს, არაა  
ჩემთვის უცნობი; ის ახლა იმ ქალაქში იმყოფება, რომლის  
ბინადრებზეც ეკლესის ხმამაღალი საყვირი, პავლე, ამბობს, რომ  
მათი „მოქალაქობად ცათა შინა არს“ (ფილ. 3. 20).

იქ იმყოფება იგი, სანატრელი, და განუძღომელი სიკეთით  
ხარობს, უხილავსა და გონებით მიუწვდომელ სიკეთეს განიცდის,  
საკუთარი ოფლით დამსახურებული სასყიდელი მოპჰენია და  
გაწეული შრომისთვის ზეციურ სასუფეველში დიღება მიუღია.  
იმათთან არის და უკუნისამდე იყოს, რომელთა ფეხი „დადგა  
სიწრფოებით“ (შდრ. ფსალმ. 25. 12). ხოლო თუ როგორ  
დამკვიდრდა ხორციელი უხორცოთა შორის, გიამბობთ:

ხორციელად თექესმეტი წლის იყო სანატრელი მამა, თუმცა  
გონებით ათასი წლის გახლდათ, როცა დიდ მღვდელთმოძღვარს  
საკუთარი ნებით შესწირა თავი: ხორცი სინას მთაზე მიართვა  
მსხვერპლად, ხოლო სული – ზეციურ მთაზე.

ამგვარად, უცხოობაში ყოფნით, რომელიც არის სათნოებათა  
წინამძღვარი, მან ძირიანად აღმოფხვრა კადნიერების ვნება, მო-  
იპოვა მშვენიერი თავმდაბლობა და განდევნა ურჩობისა და თავნე-  
ბობის მაცდური ვნება; ვინაიდან სულიერ მოძღვარს მოუდრიკა

ქედი ამა ცხოვრების სასტიკი ზღვის შრომისა და მღელვარების გარეშე გადალახვის მიზნით.

ის ისე დაემორჩილა თავის მოძღვარს, თითქოს უტყვი ყოფილიყო და არანაირი ნება ჰქონოდა. საკვირველი იყო, რომ თავად ფილოსოფიის მცოდნე გახლდათ და ხორციელად უსწავლელ ადამიანს დაემოწაფა. მან ზეციური გონებითა და თავმდაბლობით განდევნა ფილოსოფოსობის სიამაყე. მოძღვრის სახელი, რომელმაც ის აღკვეცა, მარტვირი გახლდათ. ეს უკანასკნელი წმიდა მამა ანტონის უდაბნოს სიღრმეში, მეწამული ზღვის მახლობლად ცხოვრობდა. იმხანად მონასტერს თავს დაუსხნენ შორიახლო მთებში დამკვიდრებული წარმართები, ააოხრეს იქაურობა და ექვსი მამა მოკლეს. მოკლულთაგან ერთ-ერთს კონონი ერქვა. მას დაფარულის ცნობისა და წინასწარმეტყველების მაღლი ჰქონდა.

მამა მარტვირიმ მათი გვამები წაიღო და გამოქვაბულში დამარხა. გამოქვაბულის შესასვლელი დიდი ლოდებით ამოქოლა, კირით შელესა და ზედ წმიდანთა სახელები დააწერა. ორი დღის შემდეგ მათი საფლავების სანახავად წავიდა, ვაითუ, მხეცმა გამოთხაროსო. წარწერა ხელუხლებელი დახვდა. საფლავების მიმათითებელი ნიშანიც უცვლელად იყო. მაშინ მან გამოქვაბული გახსნა და გვამების წამოსაღებად შიგნით შევიდა, მაგრამ ორი ცხედარი ვეღარ იპოვა. ღვთის ბრძანებით ამბა კონონისა და კიდევ ერთი ღიდი ძმის ცხედრები გადაბრძანებულიყო იქ, სადაც ღმერთს სწადდა. ჩვენ კი კვლავ ჩვენს სათქმელს დავუბრუნდეთ.

როცა ნეტარი მამა იოანე მონაზვნად აღიკვეცა, თექვსმეტი წლის იყო. მამა მარტვირიმ ის ერთ კურთხეულ ბერთან, იოანესთან წაიყვანა, რომელიც გარე უდაბნოში ცხოვრობდა თავის მოწაფესთან, სტეფანესთან, ერთად.

ბერი მათ დანახვაზე წამოდგა, პატარა თასში წყალი ჩასხა, მოწაფეს ფეხები დაბანა და ხელზე ემთხვია, ხოლო მოძღვარს ფეხები არ დაბანა. ეს რომ სტეფანემ, ბერის მოწაფემ, იხილა, დაბრკოლდა.

ამბა მარტვირისა და მისი მოწაფის წასვლის შემდეგ იონე ბერი, რომელიც დაფარულს სცნობდა, მიხვდა, რომ მოწაფე დაბრკოლებული იყო და ჰქითხა: „რამ დაგაბრკოლა, შვილო? სიძართლეს გეუბნები, ყრმას არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ იგი სინას მთის იღუმენია და ფეხები იღუმენს დავბანე.“ როგორც ბერმა იწინასწარმეტყველა, ორმოცდასამი წლის შემდეგ ეს ყრმა სინას მთის იღუმენი გახდა. მის შესახებ არა მარტო ამ ბერმა იწინაწარმეტყველა, არამედ ევსტრატი მარტოდმყოფმაც, რომელიც სენაკიდან არ გამოდიოდა მას შემდეგ, რაც სინას იღუმენმა მამა ანასტასიმ მონაზენად აღკვეცა. მან მოძღვართან ერთად წმიდა მთიდან ჩამომავალი ყმაწვილი დაინახა, უხმო მამა მარტვირსა და ყრმას და ბერს ჰქითხა: „მამაო, მითხარი, ვინ არის ეს ყრმა, ან ვინ აღკვეცა ის მონაზენად?“ მამა მარტვირიმ უპასუხა: „შენი მონა და ჩემი მოწაფეა, მამაო.“ წმიდა მამა ევსტრატიმ უთხრა: „ნეტარ ხარ შენ, მამაო მარტვირი! წავიდეს ვინმე მამა ანასტასისთან, სინელ იღუმენთან და უთხრას, რომ დღეს სინას მთის იღუმენი აღიკვეცა!“ მართლაც, როგორც წმიდა მამებმა იწინასწარმეტყველეს ჩვენი ნეტარი მამის, კურთხეული იოანეს შესახებ, ისე აღსრულდა. ის იყო შემცული ყოველგვარი სათნოებით, რისთვისაც სინას მთის მამებმა მეორე მოსე უწოდეს.

როცა ნეტარი თვრამეტი წლის გახდა, თავისი მოძღვარი და მასწავლებელი, როგორც მეორე და მვედრებელი, ზეციურ მეუფესთან მიავლინა, ხოლო თვითონ უდაბნოში საბრძოლველად გავიდა. საჭურვლად ხელთ ჰქონდა ლოცვა და ასე შეუდგა დაყუდებულ მოღვაწეობას დიდი მონასტრიდან ხუთი მილის მოშორებით. საცხოვრებელი აიშენა იმ ადგილას, რომელსაც თულისი ეწოდება, და მარადის ღვთისადმი სიყვარულის მბაფრი ცეცხლით ანთებულმა, ყოველგვარი სულმოკლეობის გარეშე იქ გაატარა ორმოცი წელი. ვის შეუძლია მის მიერ გაწეული ღვაწლის სიტყვებით გადმოცემა ან ვინ შეძლებს გამოთქვას ყველა ის სათნო საქმე, რომელსაც ფარულად აღასრულებდა. ჭამდა იმდენად მცირედს, რამდენიც არსებობისთვის იყო

აუცილებელი, ნაკლულოვანებით მძლავრ მუცელს ამშევდა და აღვირს ასხამდა. უდაბნოში ყოფნითა და ადამიანის უნახაობით მან სრულიად დაშრიტა ვწებათა ცეცხლი და ნაცრად და მტკრად აქცია ისინი.

ხოლო კერპთმსახურებას (რომელიც ვერცხლისა და ოქროს სიყვარულია) ღვთის იმედითა და უპოვარებით მამაცურად სძლია; სულიერი სისუსტეები სიკვდილის ხსენებით უჩინარპყო, ხოლო ნათესავებისა და სხვა ამსოფლიური საქმეების სიყვარული უნივერსალური განვითობა.

გულისწყობა კი მას ადრევე მოეკლა მორჩილების მახს-  
ვილით. თავის გამოჩენისა და დიდებისმოყვარეობის ვნებათა  
ქსელი დაყუდებითა და დუმილით შემუსრა. ვის ძალუს მისი  
თავმდაბლობის ზუსტად გამოთქმა ან მისი სიწმინდის სრულად  
გადომოცემა, რაც მორჩილების ბესელიელმა დაიწყო, ხოლო თავი-  
სი მოსვლით აღასრულა ზეციური იერუსალიმის უფალმა, ვის  
გარეშეც ეშმაკი თაგისი მზაკვარი მხედრობით ვერ დაემზობა.

სად მივუჩინო ადგილი მისი ცრემლების წყაროს ჩვენ მიერ დაწნულ გვირგვინში? ბევრს როდი ჰქონია იგი! დღემდე არსებობს ის ფარული სენაკი, კლდეში ნაკვეთი პატარა გამოქვაბული, რომელიც მისივე სენაკიდან ცოტა მოშორებით მდებარეობდა და სადაც ადამიანის ხმა არ აღწევდა, მაგრამ ზეცას დაახლოებოდა ხმამაღლი გოდების გამო და მისი ლოცვა ლვთის ფურთასმენას სწვდებოდა. მისი ცრემლები უფრო მხურვალე იყო, ვიდრე ის ცრემლები, მახვილით დაჭრილებს, ცეცხლში დამწვრებსა და თვალდათხრილებს რომ სდით. იმდენი წანი ეძინა, რომ გადამტებულ უძილობას გონებისთვის არ ევნო. ძილის წინ ბევრს ლოცულობდა და წიგნებს წერდა, რადგან ეს ჰქონდა საქმედ და მოწყვინილობის დასაძლებად.

მთელი მისი ცხოვრება იყო ლოცვა და ღვთისადმი უზომნ  
ტრფიალება, რადგან დღე და ღამე მას ხედავდა ქალწულებით  
განწმენდილ სულის სარკეში და ვერ ძღვბოდა ამ სარკეში  
ცქირით. ამის გამო ერთმა ძმამ, სახელად მოსემ, საღვთო შური

აიღო: მისგან რომ ჭეშმარიტად ღვთიური სიბრძნე ესწავლა, დამოწაფება და მსახურების ნებართვა სთხოვა, და თხოვნის შესასრულებლად მრავალი შუამავალი მოუკავნა.

ღმერთშემოსილმა მამამ ვედრება ისმინა და ყოველივე სიკეთეს ასწავლიდა მას. ერთ დღეს მან მმა მოსეს მწვანილისთვის საბოსტნედ მცირეოდენი მიწის დამუშავება უბრძანა. ისიც გაემართა მითითებული ადგილისკენ და ბრძანების შესრულებას შეუდგა.

შუადღისას, როცა ძლიერ დაცხა, მოსემ დიდი ლოდის ქვეშ შეაფარა თავი და დაიძინა. ხოლო ღმერთმა, რომელსაც არც ერთი თავისი მონის შეწუხება არ სურს, მის დასახმარებლად ისწრაფა: როცა ნეტარი ოანე სენაქში ლოცულობდა, ჩაეთვლიმა და იხილა მშვენიერი შესახედაობის მღვდელი, რომელიც აღვიძებდა და ძილის გამო საყვედურობდა: „ჰო, ოანე, რა უდარდელად გძინავს და ამ დროს შენი მოწაფე, მოსე გასაჭირშია!“ იგი მყისვე გამოფხიზლდა და მოწაფისთვის ილოცა. საღამო ჟამს, როცა მოწაფე დაბრუნდა, ნეტარმა ჰკითხა: „შვილო, რაიმე გასაჭირი ხომ არ შეგემთხვა?“ ხოლო მან უპასუხა: „დიდი ლოდი უნდა დამცემოდა, მამაო, რადგან მის ქვეშ მეძინა, მაგრამ შენი ხმა მომესმა, თითქოს მეძახდი. როგორც კი იმ ადგილიდან გამოვიქცი, მაშინვე დიდი ლოდი ჩამოვარდა.“ ხოლო მან, გონებით მდაბალმა, არაფერი უამბო ხილვის შესახებ, არამედ ფარულად, სულიერად უგალობდა და ადიდებდა სახიერ ღმერთს.

ნეტარი მამა იყო სიკეთის მაგალითი და სულიერ სწავლებათა მკურნალი. ამიტომ ერთხელ მასთან მივიდა ვინმე მონაზონი, სახელად ისააკი, რომელიც ხორციელ ვნებებს შეეპყრო და ბრძოლა აღარ შესწევდა. მივიდა ის ღმერთშემოსილ მამასთან და ცრემლითა და ტირილით უამბო ბრძოლების შესახებ. ნეტარი გააკვირვა მისმა სარწმუნოებამ და უთხრა: „საყვარელო, ორივემ ვიღოცოთ!“ ლოცვა რომ დასარულეს და ისააკმა მუხლი მოიდრიკა, მაშინ დავითის სიტყვისამებრ ღმერთმა აღასრულა „ნებაღ მოშიშთა მისთაღ“ (ფსალმ. 144. 19) და გველი

ლოცვით განიდევნა. სნეულმა ნახა, რომ განიკურნა, ღვთის მა-დიდებელთა განმადიდებელ ღმერთს სამადლობელი აღუვლინა და მკურნალ ნეტარ მამას თაყვანისცა.

ზოგიერთმა შერით შეპყრობილმა კაცმა კი მას მრავლის-მეტყველი და ამაყი უწოდა. ეს უკანასკნელნი მან საქმით გან-სწავლა: რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ წმიდა მამას ყოველივე შეეძლო მისი განმადლიერებელი ქრისტეს შემწეობით (შდრ. ფილიპ. 4. 13), ერთი წლის განმავლობაში დადუმდა და აღარავის ასწავლიდა. მანამდე კი მასთან, როგორც მკურნალთან, ყველა მიღიოდა და ნათლდებოდა.

ის დუმდა იმ დრომდე, სანამ თავად ცილისმწამებლები არ შეევედრნენ და უთხრეს, რომ სულთა სასარგებლო წყარო დამ-წყდარიყო და მრავალი ადამიანი იღუპებოდა. ის იძულებით კვლავ უმრავლესობას დაემორჩილა და ძველებურად ყველას ასწავლიდა და განანათლებდა.

ამგვარად, ყველა ხედავდა მისი სათნოებების სიმრავლესა და სწავლების სიღრმეს. ორმოცწლიანი დაყუდების შემდეგ, როგორც ახალი მოსე, სინელმა მონაზვნებმა ის აიძულეს, მების წინამძღვარი გამხდარიყო და ეს ბრწყინვალე სანთელი წინამძღვრობის სასანთლეზე აამაღლეს. და მართლაც, არ შემცდარან, ვინც მას მეორე მოსე უწოდა, რაღაც ისიც უხილავ ნისლში შევიდა მთაზე, ღვთისგან დაწერილი მცნებები მიღიღ, ღვთის სიტყვისთვის აღაღო პირი, მიღიღ სული და აღმოთქვა კეთილი სიტყვა, უფრო სწორად, გულის საუნჯიდან ამომავლი სიტყვები.

ასე განვლო მან თავისი წმიდა ცხოვრება იმ ჭეშმარიტ ისრაიტელთა წინამძღვრობაში, რომლებიც მონაზვნები არიან და მიიცავლა ღვთის მიმართ ცათა სასუფეველში. მხოლოდ ერთი რამით არ ჰვალა იგი მოსეს: წმიდა მამა მოსეს მიწიერ იერუ-სალიმში შეუსვლელობის მსგავსად ზეციურ იერუსალიმში შეუს-ვლელობით კი არ დასჯილა, არამედ იმავე დიდ მოსესთან ერ-თად ზეციურ იერუსალიმს მიაღწია. მისი სათნოებების მოწმეა მრავალი ადამიანი, რომლებიც ცხონდენ და კვლავაც ცხონდე-

ბიან მისი საღმრთო სიტყვებით, და რომლებსაც ის უხილავთ  
და იცნობდნენ. ნეტარის სიბრძნისა და ცხოვრების მოწმეა მამა  
დავით განშორებული. ასევე მოწმეა ნეტარი იოანე, ჩვენი –  
რაითელთა – მწყემსი, რომელმაც ღმერთშემოსილს მონაზგნების-  
თვის სწავლების დაწერა სთხოვა. ისიც, ახალი ღვთისმხილვე-  
ლი, გონებით ჩვენთან ჩამოვიდა სინას მთიდან და ღვთივდაწე-  
რილი ფიცრები გვიჩვენა, რომლებზეც გარედან საქმეთა შესახებ  
სწავლება ეწერა, ხოლო შიგნიდან – სწავლება ჭვრეტაზე  
ღვთის სადიდებლად, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და  
უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



რაითხლი იღუმენის, ფილა მაგა იოანეს ფერილი ცეტარი  
იოანეს, სინელი იღუმენის მიმართ

¶ ვთივსანატრელ, ანგელოზთა თანასწორ მამათა მამას და  
ყოველი ჩვენგანის მოძღვარს! ცოდვილი ოანე, რაითელი  
იღუმენი, უფლის მიერ გახარებ! ვიცით ჩვენ, გლახაკთა, რომ  
ყველა სათნოებასთან ერთად შეუორგულებელი მორჩილება გაქვს,  
განსაკუთრებით იქ, სადაც ღვთის მიერ შენთვის ბოძებული  
ტალანტი აღორძინდება და მრავლდება. ამიტომ გწერთ, წმიდაო,  
წმიდა წერილის სიტყვისამებრ, სადაც ნათქვამია: “ჰყითხე მამასა  
შენსა და გითხრას შენ, და მოხუცებულთა გაუწყონ შენ” (სჯული  
32. 7). ამიტომ, როგორც ყველას საერთო მამასა და ღვაწლითა  
და სწავლულებით ყველაზე მოხუცებულს, კეთილ მოძღვარს,  
გთხოვთ, სათნოებათა თავო, ჩვენ – უსწავლელთ – მოგვწერო,  
რაც დიდი მოსეს მსგავსად ღვთის ხილვისას მაგ მთაზე გინახავს  
და, როგორც სულიერ ფიცრებზე, შენ მიერ დაწერილ წიგნში  
ჩაგვიწერო ახალი ისრაილის სასწავლებლად, რომელიც ეს-ესაა  
უხილავი ეგვიპტიდან და ამა სოფლის ზღვიდან გამოსულა; და  
როგორც კვერთხის ნაცვლად, ღვთისმეტყველი ენითა და ღვთის  
მადლით მრავალი სასწაული აღგისრულებია და ამა სოფლის  
ზღვისგან მრავალი დაგიხსნია, გევედრებით, ნურც ახლა  
უგულებელგყოფ, არამედ, რაც მონაზვნურ ცხოვრებას შეჰქვრის,  
უფლის შეწევნით აღწერე, როგორც ყველას – ანგელოზებრივ  
ცხოვრებას შედგომილთა – დიდმა მოძღვარმა. არ იფიქრო, თითქოს  
ზაკვითა და ორგულობით ვამბობდე ამ სიტყვებს. წმიდაო მამაო,  
იცი, რომ შორს ვართ ამგვარი საქმისგან; არამედ, რაც სიმართლეა  
და ყველასთვის სარწმუნო, იმას ვამბობთ. ამიტომ ღვთის იმედით  
მოველით, რომ მალე მივიღებთ სულიერ ფიცრებს, რათა უცდომლად  
წინ გაუძღვნენ ყველას, ვინც მათ გაჰყვება, რათა ეს სწავლანი

გახდეს ზეციურ ბჭესთან აღმყვანებელი კიბე; რათა ყველა, ვინც მას შეუდგება და ასვლას მოიწადინებს, შენი სწავლებით დაუბრკოლებლად განერიდოს უკეთურ სულებს, ბნელ სოფლისმპყრობელებსა და ჰაერის მცველებს.

იაკობი ცხვრის მწყემსი იყო და რაოდენ საშინელი ხილვა ნახა ამ კიბეზე; მით უმეტეს, შენ, რომელიც მეტყველი ცხვრების მწყემსი ხარ, არა მარტო ხედავ, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით შეგიძლია ღვთისკენ მიმავალი უტყუარი გზა გვიჩვენო. ღმერთმა გაცოცხლოს, პატიოსანო და წმიდაო მამაო!

ღმიდა და ნეტარი იორანეს, სიცელი იღუმენის, ფერილი,  
რომელსაც თან ახლავს სულიერი ვიცრები  
იორანე ახარებს იორანეს!

**¶** ივიღეთ შენი პატიოსნი წერილი, როგორც ეს შენს უვნებობითა და სათნოებით სავსე ცხოვრებასა და შენს წმიდა და მდაბალ გულს შვენოდა. როგორც შენს სიწმიდეს ყოველთვის სჩვევია, მოგვცე თავმდაბლობის მაგალითი, ამჯერა-დაც ამიტომ მოიქეცი ასე: ჩვენ, სათნოებებს მოკლებულთ, მოგვ-წერე, საქმითა და სიტყვით უსწავლელთ სწავლება გვთხოვე და ჩვენს ძალებს აღმატებული საქმის აღსრულება გვიბრძანე. მაგ-რამ ვატყვი, ყოველგვარ სათნოებათა დედის – მორჩილების – უღელზე უარის თქმის რომ არ მეშინოდეს, ჩემს ძალას აღმატე-ბულ საქმეს ვერ შევეჭიდებოდი.

რადგანაც ამგვარ საქმეებს იძიებ, საკვირველო მამაო, იმათგან გმართებდა, გესწავლა, რომლებმაც კარგად იციან სათნოების საქმე, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ მოსწავლეთა ხარისხში ვიმყოფებით, და არა მასწავლებელთა; მაგრამ ღმერთშემოსილი მამები და მორჩილების მოძღვრები მორჩილებას იმას უწოდებენ, როცა ადამიანი წინამძღვრის სიტყვისამებრ შეუორგულებლად შეებმება საკუთარ ძალებს აღმატებულ საქმეს. ამიტომ ჩემს ძალაზე

უდიდესი საქმე სიმდაბლით აღვასრულე, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემი ნათქვამი რაიმეში გამოგადგებოდა, რადგან, ჰოი, წმიდაო მამაო, მეც და ყველა გონიერმა ადამიანმა ვიცით, რომ შენი გონება ყოველგვარი ბნელი ვნებისგან განწმენდილია, დაუბრკოლებლად აღწევს საღმრთო ნათელს და ბრწყინავს მის მიერ.

და რადგან ურჩობისგან მოწული სიკვდილის მეშინაა, როგორც დახელოვნებული მხატვრის მორჩილი, ერთგული, გლახაკი და უვარგისი მონა, მწირი და უსარგებლო ცოდნითა და უძლური სიტყვით, შიშითა და სურვილით დავემორჩილე შენს წმიდა ბრძანებას. მე მხოლოდ მელნით დავწერე სიცოცხლის სიტყვები, ჰოი, მოძღვართა წინამდგარო, და შენთვის, როგორც სულიერი ფიცრების აღმავსებლისთვის, მომინდია მათი კეთილად შემკბა, ჩემი ნაწერის ნათელყოფა და ყოველგვარი ნაკლის სრულყოფა.

როგორც ვახსენე, აქ დაწერილს შენდა სასწავლებლად კი არ ვაგზავნი, არასოდეს, წმიდაო, რადგან შენ თვითონ შეგიძლია ასწავლო მრავალს, თავად ჩვენც, და განგვამტკიცო საღმრთო საქმესა და სწავლაში; არამედ, ჰოი, მოძღვართა მოძღვარო, იმ საღმრთო კრებულისთვის დავწერე, რომელიც ჩემთან ერთად შენს მორჩილებაშია. ამიტომ შენი და მათი ლოცვებით, უფლის იმედით მცირედ შემიმსუბუქდა უსწავლელობის სიმძიმე, კალმის აფრა აღვმართე, სიტყვების საჭე თქვენს ლოცვებს მივანდე და თქვენი ბრძანებისამებრ ვიწყებ სიტყვას.

მაგრამ ვინც ჩემს ნათქვამს წაიკითხავთ და მასში რაიმე სასარგებლოს ნახავთ, ყველას გთხოვთ, ეს ჩვენი წმიდა მამის დამსახურებად შერაცხოთ, რომელმაც ამ საქმის აღსრულება გვიპრძანა, ხოლო ჩემთვის მხოლოდ მცდელობის გამო იღოცოთ. ნუ განსჯით სიტყვებს, რადგან უსარგებლო და სრულიად გაუნათლებელია, არამედ ჩემი გულმოდგინების გამო იღოცეთ, რადგან ღმერთი ძლვნისა და შრომის სიმრავლის გამო კი არ მიაგებს სასყიდელს, არამედ გულმოდგინებისთვის, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



ჩვენი მოდა და ხელარი მამის, იოანე სიელი იღუმენის  
სფავლანი, რომელიც რაითალ იღუმენს, იოანეს  
გაუგზავნა, რადგან მან მონაზვებისთვის სფავლანის  
დაწმრა სთხოვა

თავი პირველი  
მრიდან გამოსვლისთვის

1. სახიერი, კაცთმოყვარე და მოწყალე ღვთისა და მეუფის შეწევნით ვიწყებ საუბარს, რადგან კარგი იქნება, თუ ღვთის მონებთან ლაპარაკს ღმერთით დავიწყებთ. სახიერმა და დიდებულმა ღმერთმა მის მიერ დაბადებულ ყოველ მეტყველს თავისუფლების პატივი უბოძა და ამიტომ ზოგიერთი მისი მეგობარია, ზოგი – ერთგული მონა, ზოგი – უსარგებლო, ზოგი – სრულიად გაუცხოებული და ზოგიც, უძლურების მიუხედავად – მისი მოწინააღმდეგე.

პოი, წმიდაო მამაო, ჩვენ, უსწავლელნი, ღვთის მეგობრებად იმ უხორცო და გონიერ არსებებს მოვიაზრებთ, რომლებიც მის გარშემო იმყოფებიან; ხოლო ერთგულ მონებად იმათ მივიჩნევთ, რომლებიც მისი ნების აღსრულებას ესწრაფვიან; უსარგებლო მონებად კი – ყველა იმათ, რომლებიც მონათლულნ და ნათლისღებისას ღვთის წინაშე დადებულ აღთქმას არ იცავენ.

2. ღვთის მტრებად და გაუცხოებულებად იმათ მივიჩნევთ, რომლებიც ან მოუნათლავები, ან ურწმუნოები, ან ბოროტად-მორწმუნები (ერეტიკოსები – რედ.) არიან; ხოლო მისი მოწინააღმდეგენი და მებრძოლნი ისინი არიან, რომლებმაც არათუ თავად უარყვეს ღვთის შიში, არამედ სასტიკად ებრძიან და წინ აღუდგებიან ყველას, ვინც ღვთის ნებას აღასრულებს.

- ვინაიდან ზემოხსენებულთაგან თითოეული მათგანი ცალკე რიგიან განმარტებას საჭიროებს, ხოლო ჩვენ – გლახაკთა და უსწავლელთ – ყველას საგანგებოდ ახსნა არ შეგვიძლია, ამიტომ ღვთის ერთგულ მონებთან მოვედით, რომლებმაც გვაიძულეს, შეუორგულებელი მორჩილებით აღვმართოთ ულირსი ხელი, მათი გონებიდან მივიღოთ სიტყვისთვის კალამი, ამოვაწოთ იმათ მჭმუნვარე, მავრამ ბრწყინვალე თავმდაბლობაში, როგორც მელაქში, და სათნოებით გაპოხილ იმათ სპეტაკ გულებზე, როგორც ფურცლებზე, უკეთ რომ ვთქვათ, სულიერ ფიცრებზე, დავიწყოთ საღმრთო სიტყვებისა და სათნოების თესლის წერა, და შემდეგნაირად ვთქვათ:
3. ვისაც ღმერთის ძიება სურს, ყველა პოულობს მას, რადგან იგი არის ღმერთი და ცხოვრება ყოველთა: ბორწმუნეთა და ურწმუნოთა, მართალთა და ცოდვილთა, უვნებობასა და ვნებაში მყოფთა, ღვთისმსახურთა და ურჯულოთა, ერისკაცთა და მონაზონთა, ბრძენთა და უსწავლელთა, ჯანმრთელთა და სნეულთა, ჭაბუკთა და მოზუცებულთა. როგორც ყველას ეფინება სინათლე, მზე და ჰაერი, ამგვარადვე, იგია ყველას სიცოცხლე და ყოველივე აღნიშნულის მომცემელი; და ვინც ეძებს, პოულობს მას, „რამეთუ არა არს თუალთ-ლებაზ ღმრთისა თანა“ (რომ. 2. 11).
  4. ურწმუნო არის მეტყველი და მოკვდავი არსება, რომელიც საკუთარი ნებით გაურბის სიცოცხლეს და თავისი მარადმყოფი დამბადებელი არარსებული ჰგონია.
  5. ურჯულო არის ის, ვინც ღვთის რჯულს არასწორად იცავს, საწინააღმდეგო ერესს მისდევს და ჰგონია, რომ ღმერთი სწამს.
  6. ქრისტიანი არის ის, ვინც ქრისტეს იმდენად ემსგავსება, რამდენადაც ადამიანისთვისაა შესაძლებელი და საქმით, სიტყვითა და გონებით სწორად და უბიწოდ სწამს წმიდა სამება.

7. დვთისმოყვარე არის იგი, ვინც არ ცვლის მას, რაც ბუნებრივია და უცოდველი, და არ დაიზარებს, რომელი კეთილი საქმის კეთებაც შეუძლია.
8. ფრთხილი ის არის, ვინც საცოტის, საფრთხისა და შფოთის დროს მათგან სრულიად შორს მყოფი საქმეების აღსრულებას ესწრაფვის.
9. მონაზენობა არის უსხეულო არსებების წესი და საქმე, რომელიც ნივთიერ და მოკვდავ სხეულში აღესრულება.
10. მონაზონი იგავ, ვინც ყოველთვის, ყველგან და ყოველი საქმის დროს მხოლოდ დვთისას ხედავს და აკეთებს
11. მონაზენობა ის არის, როცა საკუთარ ნებას უარყოფენ, ყოველ გაფანტულ აზრს მოიკრებენ და ყოველნაირად იცავენ მათ.
12. მონაზენობა არის საკუთარი ბუნების მუდმივი იძულება და გრძნობების გამუდმებული დაცვა.
13. მონაზენობა არის შეურყვნელი სხეული, წმინდა პირი, განათლებული და მჭვრეტელი გონება.
14. მონაზონი არის მჭმუნვარე სული, ძილსა და ღვიძილში სიკვდილის გამუდმებული ხსოვნით დამწუხრებული.
15. სოფლისგან განშორება არის კაცობრივ ბუნებაზე აღმატებულ სიკეთეთა მოხვეჭის სურვილით, საკუთარი ნებით ბუნების მოძულება და უარყოფა.<sup>1</sup>

1. რა არის ბუნების უარყოფა და მოძულება? – წმიდა მამა ლაპარაკობს შეძლებზე: თავდაპირველად ღმერთმა ჩვენი ბუნება უენებელი და უბიწო შექმნა. მოგვცა ფიქრის უნარი სიკეთისა და სათოობის მოსაფირებლად. ასევე მოგვცა გულისწყრომის უნარი ეშმაკებისა და ვნებების მიმართ მრისხანების გამოსახენად. მოგვცა სურვილის უნარიც ჩვენი სურვილისა და წადიერების ცათა სასუფელისკენ წარსამართავად. მაგრამ ჩვენ ყოველი უნარი ცოდვისკენ წარვმართოთ და მოვაპოვეთ ბიწიერების სურვილი, ძმების მიმართ გულისწყრომა, მოვიფიქრეთ უკეთურება. ჩვენი ბუნებისთვის დამახასიათებელი სიკეთე ბოროტებით შეცცვალეთ და ვნება ბუნებად ვიქციეთ. ჭეშმარიტად სბულს და ვნებულ ბუნებას უარყოფს ის, ვინც ჩვენა დაუდევრობის წყალობით ჩვენში დაწურებილ ამ გნებებს დევნის და ამარცხებს. აი, ეს, ვნებული ბუნების უარყოფა და ღვთის მიერ მოცემული თავდაპირველი უვნებელი ბუნების საძიებლად გასვლა, არის სოფლიდან ჭეშმარიტი გასვლა.

16. ყველამ, ვინც ამქვეყნიური საქმეები დატოვა, ან ცოდვათა სიმრავლის, ან ცათა სასუფევლის, ან ღვთის სიყვარულის გამო გააკეთა ეს. და თუ ამ სამიღან არც ერთი იყო მათი განზრახვის მიზეზი, მაშინ ამ უკანასკნელთა სოფლიდან გასვლა უგურურება ყოფილა. თუმცა კეთილი მეუფე ყოველი საქმის დასასრულს ელოდება, თუ როგორი იქნება ის.
17. ვინც ეს სოფელი ცოდვათა ტვირთისგან გათავისუფლების მიზნით დატოვა, ქალაქების საფლავებთან მსხდომებს მიპაძოს. დაე, ნუ დაცხრება მისი მხურვალე, ცეცხლივით მწველი ცრემლები და გულში – ფარული გოდება, სანამ არ იხილავს, რომ მასთან მივიდა იქსო, რათა გულიდან გულქაობის ლოდი გადაუგოროს და ლაზარესავით შეკრული მისი გონება ცოდვის სახვევებისგან გახსნას, უბრძანებს რა თავის ანგელოზებს: “გახსენით ეგე” ვნებათაგან (იოანე 11. 44) და გაუშვით, იაროს უვნებობის ნეტარ გზაზე. და თუ ასე არ მოხდა, სოფლის დატოვება მას ვერაფერს არგებს.
18. ვისაც ეგვიპტიდან გამოსვლა და ფარაონის საშინელი მონობიდან გაქცევა გვსურს, ღვთის წინაშე შუამდგომლად აუცილებლად დაგვჭირდება მოსე, რათა ჩვენთვის საქმესა და ხედვას შორის დადგეს და ღვთის წინაშე განაპყროს ხელი; რათა, ვინც მას მიყვებით, ცოდვათა ზღვა გადავლახოთ და ვნებათა ამაღევი ვძლიოთ. სცდებიან ისინი, რომლებიც ამგვარ ბრძოლას ეწევიან და ჰგონიათ, რომ წინამდღვარი არ სჭირდებათ.
19. ეგვიპტიდან გამოსულების წინამდღვარი მოსე იყო, ხოლო სოდომიდან გამოსულებისა – ანგელოზი. ამგვარადვე, რომლებსაც სულიერი ვნებებისგან განკურნება სწადიათ, ეგვიპტიდან გამოსულებს ჰგვანან და მოსეს მსგავსი მკურნალი ესაჭიროებათ; ხოლო რომლებსაც უბადრუკი ხორცის არაწმიდებისგან გაშიშვლება სწადიათ, ანგელოზი, ანუ ანგელოზის მსგავსი შემწე სჭირდებათ, რადგან

რამდენადაც დიდია და მყრალი იარა, იმდენად დახელოვნებული მკურნალია საჭირო.<sup>2</sup>

20. ვინც ხორციელად ზეცაში ასვლა სცადა, მას ნამდვილად დიდი ტანჯვა და განუწყვეტელი შრომა დასჭირდება, განსაკუთრებით, სოფლიდან გასვლის პირველ ხანებში, ვიდრე ჩვეულებად ქცეული ავხორცობა და ულმობელი გული გლოვის შედეგად ღვთისმოყვარეობად და სიწმიდედ გარდაიქმნება. განსაკუთრებით დიდი შრომა და ტანჯვა გვმართებს მათ, ვინც ვნებას ვართ დაჩვეულნი, სანამ ძალივით ხორცისა და სიბილწის მოყვარე ჩვენს ვონებას სიმშვიდის, სიმტკიცისა და ურისხველობის მეშვეობით სიწმიდისა და სიბრძნის მოყვარედ გადავაქცევდეთ. მაგრამ ვნებასა და უძლურებაში მყოფი უიმდინობას ნუ მიგცემით, არამედ ჩვენი სულიერი უძლურება და უსუსურობა შეუორგულებელი სარწმუნოებით მარჯვენა ხელით მივართვათ ქრისტეს და ვალიაროთ. და თუ საკუთარ თავს გამუდმებით ჩავიყვანთ თავმდაბლობის უფსკრულში, მაშინ ჩვენს ღირსებაზე აღმატებულ შეწევნას მისგან უეჭველად მივიღებთ.
21. ვინც ამ კეთილ, მნელ, როულსა და მსუბუქ ღვაწლს შეუდგება,<sup>3</sup> ყველამ იცოდეს, რომ ცეცხლში შედის, რადგან საკუთარ
2. სულიერი ვწეტება: სიამყე, ამპარტაგნება, მრისანება, წუხალი, მოწყვილობა, სიძლვილი და ამის მსგავსი. ხორციელი ვნებებია: ნაყროვანება, ვერცხლისმოყარეობა, სიძა, ამქვეყნიურ საქმეთა სიყვარული. იმ ადამიანებს, რომლებსაც სულიერი ვწეტები სძლევს, გულისხმისმყოფელი მოძვარი სჭირდებათ. მოძვარმა მათ მცირეოდენი ხორციელი ნუგეში უნდა მისცეს, რათა, როგორც მარწულებმა და მოღვაწეებმა, არ იამაყონ, და ზოგჯერ – მარხვით, ზოგჯერ კი განსვენებით გონივრულად უნდა განკურნოს მათი სნეულებები. ასეთი ადამიანები მოსეს წინამძღოლობით ეგვიპტიდან გამოსულებს ჰგვანან; ხოლო რომლებსაც ხორციელი ვწეტები სძლევთ, ისეთი წინამძღვარი ესაჭიროებათ, თითქმის უხორცო ანგელოზთა მსგავს ცხოვრებას რომ ეწვა მარწვით, ხორცისადმი მკაცრი და ულმობელი დამოკიდებულებით. ასეთები სოდომიდან გამოსულებს ჰგვანან. მამა იოანეტ ეგვიპტე სულიერ ვნებათა სახედ წარმოადგინა, ხოლო სოდომი – ხორციელ ვწებათა სახედ.

- თავში უნივერსალური ცეცხლის დანობას აპირებს. დაე, თითოეულმა საკუთარი თავი გამოსცადოს და ისე ჭამოს მდოგვთან<sup>4</sup> შერეული მისი ნაყოფი და სვას ცრემლით შეზავებული ეს სასმელი, რათა თავისივე დასასჯელად არ იძრძოლოს.
22. თუ ყველა მონათლული არ ცხონდება, დანარჩენებზე გავჩუმდები.
23. ვისაც მონაზენობა სურს, კეთილი საძირკვლის ჩასაყრელად მონაზვნობის დასაწყისშივე მიატოვოს ყოველგვარი ამსოფლიური საქმე, ყოველივე არად შერაცხოს და ყოველივე უარყოს.
24. კეთილი საძირკველი არის სათნოების შემდეგი სამი სვეტი: უმანქოება, მარხვა და სიწმიდე. დაე, ყველამ, ვინც ქრისტეს მიერ ჩვილია, ამ საქმით დაიწყოს და მაგალითად ჩვილი ბავშვები დაისახოს, რადგან მათში არც მზაკვრობა და ცბიერებაა, არც განუზომელი სიმაძრე, არც გაუმაძღარი მუცელი, არც განხურვებული და გამხეცებული ხორცი. ჩემი აზრით, მხურვალება ასაკთან ერთად მოდის.
25. მართლაც, საძაგებელი და დამბლუპველია, როდესაც ბრძოლაში შესული მეომარი მაშინვე მარცხდება და ყველას სიკვდილის მაგალითს აძლევს; რადგან სხვებს, ხედავენ რა, რომ მეომარი შესვლისთანავე მოკლეს, ბრძოლაში შესვლა აღარ სწადიათ.
26. უეჭველად, დიდად სასარგებლოა, როცა მონაზენობას მუყაითი და გულმოდგინე შრომით ვიწყებთ, თუნდაც რომ გარკვეული ხნის შემდეგ უძლურება დაგვეუფლოს; რადგან დასუსტებული სული უწინდელი გულმოდგინების გახსენებაზე, თითქოს დეზი ჰერესო, კვლავ გამოცოცხლდება. მრავალს ბევრჯერ სწორედ ამგვარად შესხმია ფრთები და იმ არწივს დამსგავ-
- 
3. რატომაა ძნელი, რთული და მსუბუქი? – ძნელი ნათქვამია გრძნობების დაცვაზე, რადგან გრძნობების დაცვა ძნელია მისოფის, ვინც მათ მიშვებას იყო დაჩვეული. რთული ნათქვამია მოღვაწეობაზე, ხორცია დამდაბლებასა და ხანგრძლივი ჩვეულებების უარყოფაზე, მსუბუქი კი – ლვთის სასოებასა და საუკუნო სიკეთეზე.
4. მდოგვი? – სათნოებათა სირთულის სახეა.

- სებია, ფრთხებმა რომ უმტყუნა, მაგრამ შემდეგ კვლავ გაუშლია და მაღლა, ცაში აჭრილა.
27. როცა სული საკუთარ თავს უღალატებს და სანატრელ და სასურველ მგზნებარებას დაკარგავს, გულმოლებინედ გამოიკვლიოს, რა მიზეზით დაკარგა და მისკენ წარმართოს მთელი ძალისხმევა, რადგან შეუძლებელია სხვა კარით დაბრუნება, თუ არა იმით, რომლითაც გამოვიდა.
28. ვინც ტანჯვის შიშით გადის ერიდან, ცეცხლში მრავალ-გზის ჩაგდებულ საკმეველს ემსგავსება, რომელიც თავდაპირველად სურნელებას გამოსცემს და ბოლოს კვამლად იქცევა.<sup>5</sup> ხოლო ვინც სასყიდლის მისაღებად გადის, წისქილის ვირსა ჰერავს, რომელიც, ხედავს რა გასამრჯველოს, სულ მოძრაობს და ერთნაირად ტრიალებს; ხოლო ვინც ღვთის სიყვარულისთვის განეშორება, მას გამოსვლისთანავე სანატრელი ცეცხლი მოუპოვებია, რომელიც წაეკიდება რა საგანს, უფრო და უფრო აალდება.
29. ზოგიერთი ქვაზე ალიზით (გამოუწვავი აგური – რედ.) აშენებს, ზოგიერთი ქვიშაზე აღმართავს სვეტებს, სხვები კი მცირე ხანს ნელა გაიცევიან და როცა ძარღვი და იოგი გაუზურდებათ, უფრო სწრაფად მირბიან. დაუ, ვისაც გონება აქვს, მიხვდეს იგავით ნათქვამ ამ სიტყვებს.<sup>6</sup>
5. შიში ორგვარია: ახალბედათა და სრულყოფილთა. ამ შემთხვევაში დიდი მამა ახალბედათა შიშზე საუბრობს. როცა კაცი ცოდვაში იძყოფება, ეშინა, ცოდვებში არ მოკვდეს, და რათა ძველ ბოროტებაში არ ჩავარდეს, სიფლიდან მიდის და კეთილად იღვწის. როცა შიში მცირედ გაუზურდება, აგლავ სიზარმცე უფლება, ვინაიდან სიმტკიცე აკლია. ასე ემსგავსება ის ჩამჭრალ საკმეველს: იწყებს მოღვაწეობით და ხდება ზარმაცი.
6. რომლებიც ქვაზე ალიზით აშენებენ, ისინა არიან, სოფლიდან რომ გავიდნენ და დიდი საინობების შენება მორჩილების გარეშე დაიწყეს. და რადგან წინამძღვარი არ ჰყავდათ, დაუძლურდნენ და სამირკველი ვეღარ დაასრულეს, დიდი საქმეებით დაიწყეს და სიზარმაცეში ჩავარდნენ. რომლებიც ქვიშაზე აღმართავენ სვეტებს, ისინი არიან, სოფლიდან გასვლის შემდეგ განდევილობას რომ შეუდგნენ, და ვინაიდან მორჩილების საბირკველი არ ჰქონდათ, წარმატებას ვერ მიაღწიეს. ხოლო რომლებიც მირბიან და ხურდებიან, ისინი არიან, მორჩილების კეთილ სარბიელზე რომ გავიდნენ და წარმატებას მიაღწიეს.

30. გულმოდგინედ ვირბინოთ, როგორც ღვთისა და მეუფის მიერ მოწოდებულებმა. ვაითუ, ხანმოკლე იყოს ჩვენი ამქვეყნიური სიცოცხლე, სიკვდილის დღეს უნაყოფონი აღმოვჩნდეთ და შიმშილით მოვკვდეთ.
31. და, უფალს ისე მოგვწონოთ თავი, როგორც მეფის მეომრებმა, რადგან რაც მისი მეომრები გავხდით, მისი ერთგული მონობა მოგვეთხოვება.
32. ისე გვეშინოდეს უფლის, როგორც მხეცის; რადგან მინახავს მოსაპარად წასული ადამიანები, რომლებიც ღმერთს არ შეუშინდნენ, მაგრამ გაიგონეს რა იმ ადგილას ძალების ხმა, შეეშინდათ და მაშინვე გამობრუნდნენ. რაც ღვთის შიშმა ვერ გააკეთებინა მათ, ის ძალების შიშმა ჰქნა.
33. ისე შევიყვაროთ უფალი, როგორც ხორციელი მეგობრები გვიყვარს; რადგან მინახავს ადამიანები, ღმერთი რომ განარისხეს და ამაზე საერთოდ არ უნაღვლიათ; კვლავ ვნახე იგივე ადამიანები, მცირედ რომ გაანაწყენეს მეგობრები და ყოველი ღონე იხმარეს, ყველაფერი მოიძოქმედეს, ყოველგვარი მწუხარება აჩვენეს, ყოველივე აღიარეს მეგობრების, ნათესავების, ძღვნისა და ქრთამის საშუალებით, რათა ახლობლის უწინდელი სიყვარული კვლავ მოეპოვებინათ.
34. სოფლის დატოვებიდან პირველ ხანებში, ცხადია, სათნოებებს დიდი შრომით, ჭირითა და სიმწრით ვასრულებთ, მაგრამ წარმატების შემდგომ მწუხარების გარეშე ან მცირე მწუხარებისა და შრომის ფასად აღვასრულებთ; და როცა ჩვენი მოკვდავი ბუნება დაინთექმება და მას გულმოდგინება დაუუფლება, დიდი სწრაფვით, სიხარულით, სურვილითა და ღვთიური ცეცხლით გავაკეთებთ.
35. რომდენადაც ქებას იმსახურებენ ისინი, რომლებიც თავიდნენ სიხარულითა და გულმოდგინებით ასრულებენ მცნებებს, იმდენად საცოდავები არიან ისინი, რომლებიც დიდი ხნის მონაზვნები არიან და ჯერ კიდევ დიდი შრომა სჭირდებათ სათნოებების აღსასრულებლად, თუ საერთოდ ასრულებენ მათ.

36. ნურც მათ ვაძაგებთ, რომლებმაც რაიმე იძულებისა და გაჭირვების გამო დატოვეს სოფელი; რადგან მინახავს ზოგიერთი გაქცეული, უნებურად მეფეს რომ შეხვედრია, შემდეგ ნებით წაჟოლია, სასახლეში მისულან და მასთან ერთად სუფრაზე დამჯდარა.<sup>7</sup>
37. მინახავს მიწაზე შემთხვევით დავარდნილი თესლი, რომელიც აღმოცენდა, გაიხარა და უხვი ნაყოფი გამოიღო; სხვა კი საგანგებოდ დათესეს და უნაყოფო აღმოჩნდა.
- მინახავს რაიმე სხვა საჭიროებისთვის ექიმთან მისული ადამიანი, რომელიც ექიმის სიმკვირცხლეს შუპრია, განკურნებულა და თვალებზე გადაფარებული ლიბრი მოსცილებია. ასე, უნებლიერ, მრავალგზის მომხდარა და ეს უფრო მტკიცე და ჭეშმარიტი ყოფილა, ვიდრე მაშინ, როცა ნება-სურვილით მისულან.
38. არავინ მოიმიზეზოს ცოდვათა სიმბიმე და სიმრავლე და მონაზენური ცხოვრების ულირსად არავინ მიიჩნიოს თავი იმ დროს, როცა ავხორცობის გამო იმდაბლებს თავს და ცოდვებს იმიზეზებს (შდრ. ფსალმ. 140. 4). სადაც დიდი წელულია, შხამისგან გასაწმენდად იქ მკურნალობაც დიდია საჭირო, რადგან სამკურნალოდ ჯანმრთელები კი არა, ავადმყოფები მიღდან.
39. ამქეცენიურ მეფეს სამსახურებლად რომ მივეხმეთ, არ ვალო-დინებდით, არც რაიმეს მოვიმიზეზებდით, არამედ ყველაფერს მივატოვებდით და მისკენ ვიჩქარებდით. ამიტომ გავუფრ-თხილდეთ მეუფეთა მეუფის, უფალთა უფლისა და ღმერთთა
- 
7. ვფიქრობ, ისეთ ადამიანებზე საუბრობს, რომლებიც მეფეს რაიმე დანაშაულის გამო განუდევნია მამულიდან. როცა მეფე იმ ქვეყნაში მისულა, სადაც დამნაშავები გადაუსახლებით, ზოგიერთი მათგანი დაუტეხდებით, თითქოს რაიმე ცუდი ეთქვას მეფეზე. მეფეს ამ უკანასკნელთა მოყვანა უბრძანებია, ყოველივე გამოუკვლევია და როცა ვერანაირი დანაშაული უპოვია, ისინი გადასახლებდან დაუტეხდენია, პატივი უცია და სუფრაზე თავის გვერდით მოუსვამს. სწორედ ამას შეადარა გარკვეული ჭირის გამოისობით სოფლიდან უნებური გასვლა, რომელიც ხშირად სასიკეთო აღმოჩენილა.

- ღმერთის მოწოდებას, რომელიც ზეციური პატივისკენ გვიხმობს; ნუ უგულებელვყოფთ და ნუ გავექცევით მას მცონარებისა და სიზარმაცის გამო, რათა მისი დიდებული საყდრის წინაშე შერცხვენილნი და უპასუხონი არ აღმოვჩნდეთ.
40. აქვეყნიური საქმეებითა და საზრუნავით ბორკილასხმულებსაც შეუძლიათ სიარული, თუმცა კი ძნელად ფეხებზე ბორკილდადებულებიც დადიან, მაგრამ ხშირად ეცემიან და შავდებიან კიდეც.
41. ვინც ერშია, დაუქორწინებელია და მხოლოდ ამა სოფლის საქმეებით არის შეკრული, იმ კაცს ჰგავს, ვისაც მხოლოდ ხელები აქვს შეკრული. ამიტომ, როცა მონაზვნობას მოისურვებს, ამ გზას დაუბრკოლებლად შეუძლია შეუდგეს. დაქორწინებული კი ხელფეხშეკრულს ჰგავს.
42. ზოგიერთმა, ერში დაუდევარ ცხოვრებას რომ ეწევა, მითხრა: „როგორ შეგვიძლია მონაზვნურ ცხოვრებას შევუდგეთ ისინი, რომლებიც დაქორწინებულები ვართ და სახელმწიფო სამსახურში ვიმყოფებით?“ მე უპასუხე: „როგორც შეგვიძლიათ, ისე აკეთეთ სიკეთე: არავინ დააბეზღოთ, არაფერი მოიპაროთ, არავინ მოატყუოთ, არავისთან იამაყოთ, არავინ შეიძულოთ, ეკლესიაში ყოველთვის იარეთ, გლახაკებს წყალობა მიცით, არავინ დააბრკოლოთ, სხვის საკუთრებას ნუ მიიტაცებთ, სხვას ნუ მოინდომებთ და თქვენი მეუღლეები იქმარეთ. თუ ყოველივე ამას გააკეთებთ, შორს არ იქნებით ცათა სასუფევლისგან“.
43. სიხარულითა და შიშით შევუდგეთ მოღვაწეობას და მტრების ნუ შეგვეშინდება, რადგან ისინი მხოლოდ ჩვენი სულის სახეს უმზერენ, თუმცა ვერ ხედავენ.<sup>8</sup> თუ შიშისგან ნირწამხდარ
8. „სულის სახეში“ სულიერ ძალასა და საქმეებს გულისხმობს, რადგან ჩვენი მტრები, ეშმაკები, ჩვენივე სახის, საქმეებისა და საქციელის მიხედვით ხვდებიან, რას ვჯიქრობთ. სხვაგვარად ჩვენს აზრებს ვერ გებულობენ. როცა ეშმაკები ჩვენს სულში თავიანთ უკეთურებას დათესავენ, სწორედ ამ გზით, ჩვენი საქმეებისა და საქციელის მიხედვით, ცდილობენ, გაიგონ, თუ როგორ მივიღეთ ეს თესლი.

- სულს ნახავენ, მაშინ უფრო გაშმაგებით აღიჭურვებიან ჩვენს წინააღმდეგ, რადგან ხვდებიან ცბიერნი, რომ შევშინდით.
44. მამაცურად შევებრძოლოთ მათ, რადგან გულმოდგინე მებრძოლს ვერავინ ებრძვის.
45. უფალი თავისი განგებულებით ახალმოსულებს ბრძოლას უმსუბუქებს, რათა თავიდანვე ერში არ დაბრუნდნენ. ამიტომ, ქრისტეს მონებო, უფლის მიერ ყველას მარადის გიხაროდეთ! თქვენდამი მეუფის სიყვარულის პირველ ნიშნად ეს მიიჩნიეთ და გჯეროდეთ, რომ მან მოგიწოდათ თქვენ.
46. ხშირად ღმერთი ასეც იქცევა: როცა მამაც სულს ნახავს, თავიდანვე დიდ ბრძოლებს დაუშვებს მასზე, რათა გვირგვინით სწრაფად შეაძინოს.
47. უფალმა ამ სარბიელის სირთულე, უფრო მეტად, სიადვილე, ერისკაცებს დაუმალა, რადაგან ყველას რომ სცოდნოდა ეს, ბევრი აღარ გახდებოდა მონაზონი.
48. ახალგაზრდობაში გაწეული შრომა გულმოდგინედ უძღვენი ქრისტეს და უვნებობის სიმდიდრით სიბერეში გაიხარე.
49. ახალგაზრდობაში შეკრებილი შრომა სიბერეში დაუძლურებულებს კვებავს და ნუგეშს სცემს. ჭაბუკო, ვიშრომოთ და კეთილად ვიაროთ, რადაგან სიკვდილის ჟამი არავინ იცის.
50. მრავალი უკეთური და ბოროტი, მზაკვარი და ცბიერი, ფხიზელი და ბოროტმზრახველი, უხორცო და უხილავი მტერი გვყავს დადარაჯებული, რომლებსაც ცეცხლი უპყრიათ ხელში და ამ ალით ღვთის ტაძრის დაწვას ლამობენ.
51. დაე, არც ერთმა ახალგაზრდამ გაიზიაროს მტრების ჩაგონება, როცა ეუბნებიან: “ასე ნუ შემუსრავ და დააძაბუნებ სხეულს, რომ არ დასნეულდე და დაუძლურდე”; რადგან ახალგაზრდებს შორის ცოტაა ისეთი, ვისაც სხეულის სრული მოკვდინება სურს, თუმცა კი ბევრ ჭამასა და სამო საჭმელს განერიდება. ხოლო ეშმაკის მიზანი, რომელიც ამგვარ აზრებს უნერგავს, ის არის, რომ ბრძოლის დასაწყისშივე დაამარცხოს და ამის შემდგომ დასასრულიც ისეთივე იქნება, როგორიც დასაწყისი იყო.

52. ვისაც ქრისტეს მონობა სურს, სულიერ მამათა რჩევით, უპირველეს ყოვლისა, გულმოდგინედ გამოიკვლიოს, თუ რომელი ადგილი, საქმე და ცხოვრების წესი მიესადაგება მის ცხოვრებას; რადგან კრებულში ცხოვრება ყველასთვის სასარგებლო არ არის ნაყროვანების გამო, არც დაყუდებაა ყველასთვის კარგი მრისხანების გამოისობით; არამედ თო- თოეულმა თავად განსაჯოს, თუ რისგან იძლევა.
53. მონაზენური ცხოვრების სამი სახე არსებობს: ან განმორე- ბულად და განმარტოებით იღვაწოს, ან ერთ ან ორ ძმასთან ერთად დაყუდოს, ან სამმოში მოთმინებით იჯდეს.
54. სოლომონი „ეკლესიასტეში“ ამბობს: "წუ მიაქცევ მარჯუნით, გინა თუ მარცხენით" (იგვანი 4. 27), არამედ სამეუფო გზით იარე, რადგან ზემოთქმულიდან სწორედ შუა გზა არის ბევრისთვის შესაფერისი.
55. ერთზე ნათქვამია, რომ ერთი საცოდავია, რადგან თუ მოწყენი- ლობა, ან ძილი, ან უძლურება, ან სასოწარკვეთილება და- უფლება (შდრ. ეკლესიასტე 4. 10), კაცთაგან შემწე არავინ ეყოლება. უფალი ამბობს: "სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა" (მათე 18. 20).
56. ვინ არის ბრძენი, სარწმუნო და სანატრელი მონაზონი? – ვინც სიკვდილამდე დაუშრეტლად დაიცვა მგზნებარება, მა- რადდდე არ დამცხრალა და ცეცხლზე ცეცხლს უმატებდა, სურვილზე – სურვილს, მხურვალებაზე – მხურვალებას და გულმოდგინებაზე – გულმოდგინებას, ვიდრე წმიდა და უბი- წო წარდგებოდა უფლის წინაშე, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სათნოებათა კიბის პირველი საფეხური: ვინც მასზე ავიდა, უკან აღარ ჩამოვიდეს.



## თავი მეორე

ჩვენი ხელარი გაისი, იოანეს თქმული  
ამა სოფლისა და მისი საქმეების სიძულვილისთვის

1. ვინც ჭეშმარიტად შეიყვარა უფალი და ჭეშმარიტად ეძიებს საუკუნო სასუფეეველს, ვინც ნამდვილად განიცდის ცოდვებს, ვისაც ჭეშმარიტად ახსოვს ტანჯვა და მარადიული სასჯელი, ვინც სიკვდილის შიში გულში ნამდვილად დაიმარხა, ის აღარ შეიყვარებს, არც იზრუნებს და არც იწუხებს რაიმე საჭიროებისთვის, ქონებისთვის, ნათესავებისა და ამქვეყნიური დიდებისთვის, არც მეგობრებისთვის, არც მმებისთვის, არანაირი ამქვეყნიური საქმისთვის; არამედ ყოველივე ამის სიყვარულსა და ზრუნვას განიშორებს და მოიძულებს. უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ხორცს მოიძულებს და შიშველი და უზრუნველი მხნედ შეუდგება ქრისტეს, გამუდმებით ზეცისკენ ექნება მიპყრობილი თვალი და იქიდან დაელოდება შეწევნას. როგორც წმიდა ამბობს: ”მიგდევდა სული ჩემი შემდგომად შენსა და მე შემეწია მარჯუენე შენი“ (ფსალმ. 62. 8). ასევე სხვა სანატორელი ბრძანებს: ”მე არა დავშუერ შედგომილი შენსა და დღესა კაცისასა გულმან არა მითქა“, უფალო (იერემია 17. 16).
2. დიდი სიცხვილი იქნება, თუ ყოველივე ზემოთქმულზე უარს ვიტყვით მას შემდეგ, რაც კაცმა კი არა, უფალმა მოგვიწოდა და ისეთ საქმეებზე ვიზრუნებთ, ვერაფერს რომ გვარგებს ჭირის, ანუ სიკვდილის ჟამს. აი, ამაზე თქვა უფალმა: ვინც „პხედავნ იგი გარეშეუქუნ“, არა „წარემართოს სასუფეელსა ღმრთისასა“ (ლუკა 9. 62).
3. იცოდა უფალმა, რომ სოფლიდან ახლად გამოსულები კეთილ წესს სწრაფად განვუდებით ხოლმე და რომ ადვილად დავბრუნდებით ერში, თუ ერისკაცებთან ურთიერთობა კვლავ

გვექნება. ამიტომ, როდესაც სთხოვეს: “მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა”, „უფალმა უთხრა: “აცადენ მკუდარნი დაფლვად თვისთა მკუდართა” (ლუკა 9. 59-60).

4. ერიდან გამოსვლის შემდგომ ეშმაკები გვარწმუნებენ, შევნატროთ მოწყალე და ლმობიერ ერისკაცებს და საკუთარი თავი გავკიცხოთ იმისთვის, რომ მათნაირ სათნოებებს მოვაკლდით. სინამდვილეში კი მტრის განზრახვა ის არის, რომ ამაო, და არა ჭეშმარიტი, თავმდაბლობით ან კვლავ ერში დაგვაბრუნოს, ან, თუ მაინც მონასტერში დავრჩიებით, სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდოს.
  5. ზოგჯერ ერისკაცებს არაფრად მიიჩნევენ ამპარტავნების გამო; ზოგჯერ კი არაფრად მიიჩნევენ სასოწარკვეთილებისგან თავის დაღწევისა და იმედის მოპოვების მიზნით, როცა მათგან შორს არიან.
  6. მოვისმინოთ, რას უკნება უფალი ჭაბუქს, რომელიც ამბობდა, რომ ყველა მცნებას იცავდა: “ერთიდა გაკლს შენ: ყოველი, რაჯცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა” (ლუკა 18. 22), თავად გახდი გლახაკი და სხვებისგან მიიღე მოწყალება.
  7. ვისაც გულმოდგინე მოღვაწეობა გვსურს, კარგად დავუ-ფიქრდეთ უფლის სიტყვებს, როცა ერში მყოფ ცოცხლებს მკვდრები უწოდა და მავანს უთხრა, მკვდარი ერისკაცებისთვის თავი დაენებებინა, რათა თავიანთი ხორციელად მკვდრები მათვე დაემარხათ (შდრ. ლუკა 9. 6).<sup>1</sup>
  8. ჭაბუქს სიმდიდრე სრულიად არ უშლიდა ხელს ნათლის-ლებაში. ამიტომ სცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, რომ უფალმა ჭაბუქს ქონების გაყიდვა ნათლისლებისთვის უბრძანა. დაუ, ეს მოწმობა საკმარისი იყოს, რომ ჩვენი ცხოვრების სიდიადეში დავრწმუნდეთ.
1. სიკვდილი ორგვარია: ხილული და უხილავი. არსებობს მკვდარი, რომელიც ხორციელად მოკვდა, და არსებობს სულიერად მკვდარიც, ანუ ისეთი, რომელიც ცხონების გზით არ მიდის.

9. გასარკვევია: რატომაა, რომ ვინც ერში მღვიძარებაში, მარხვასა და შრომაში იმყოფება, როცა მონაზონი ხდება, სოფელს განშორდება და მისი საქმეების გამოსაცდელ ადგილზე მიდის, თავდაპირველ ცრუ და მოჩვენებით ღვაწლს<sup>2</sup> ვეღარ ასრულებს?!
  10. ერისკაცების მიერ დარგული ბევრი და სხვადასხვაგვარი სათონების ნერგი მინახავს, ამპარტავნების მიერ ისე რომ ორწყვებოდა, როგორც ბინბური წყაროსგან, თაგმომწონეობის მიერ რომ იყო შემოთოხნილი და მისი ქვიშიანი ძირი სკორეთი რომ იყო გაპოხიერებული. მაგრამ როცა ხრიოკსა და კაცთაგან უვალ ადგილზე გადაურგავთ, ამპარტავნების მყრალი წყლით მორწყული მეყვსეულად გამსმარან, რადგან ამგვარ მორწყებს დაჩვეული ნერგი ჭეშმარიტი მოღვაწეობის გამოსაცდელ ხრიოკსა და უწყლო მიწაზე ვეღარ ხარობს.
  11. ვინც საკუთარი ნებით მოიძულა სოფელი – მწუხარებას განრიდებია; ხოლო ვისაც ჯერ კიდევ უყვარს რაიმე ხილული – კვლავ მწუხარებაშია. რადგან როგორ არ შეაწუხებს საყვარელი ნივთის მოკლება?!
  12. ყველაფერში დიდი სიფრთხილე გვმართებს, მაგრამ ყველაზე მეტად იმაში გამოვიჩინოთ გონიერება და სიფრთხილე, რის თქმასაც ვაპირებ:
  13. ბევრი მინახავს ერში, ხორციელი საზრუნავის, საქმის, შრომისა და მღვიძარების საშუალებით ხორცის განხურვებასა და ალბორგებას რომ განრიდებია; მაგრამ როცა მონაზონები გამნდარან და უზრუნველები შექმნილან, საწყლები, ხორცთა ალბორისგან შებილწულან.<sup>3</sup>
- 
2. ცრუ მოღვაწეობა ისაა, როცა ადამიანი ქების გამო იღვწის, ხოლო ჭეშმარიტია, როცა ღვთისთვის მამათა სწავლების თანახმად იღვწის და ამბობს: „ჩემით არაფერს ვაკეთებ“. მამათა სწავლების შესაბამისად აღსრულებული მოღვაწეობა სრულყოფილიცაა და ამპარტავნებისგანაც დაცულია.
  3. ეს სიზარმაცის, გაუფრთხილებლობის, სიამაყისა და ურჩობის შედეგად ღვთის დაშვებით ხდება ჩვენდა ჭკუის საწავლებლად და დასამდაბლებლად.

14. ფრთხილად ვიყოთ, ვაითუ, ვიწრო და ჭირის გზით მივდივართო, გვეგონოს, სინამდვილეში კი, ფართო და ვრცელი გზით მივდიოდეთ და ვცდებოდეთ.
15. ვიწრო გზა არის მუცლის დამშევა, ყოველდამით ლოცვაზე დგომა, წყლის გამოზომვით სმა, პურის ნაკლებობა, სირცხვილისა და ყვედრების მოთმენა, დაცინვისა და გაკიცხვის ატანა, ნების უარყოფა, შეურაცხყოფის დროს უდრტვინველობა, ჭირის მოთმენა, გინების ტვირთვა, შურის დათმენა, შეურაცხყოფის დროს ურისხველობა; როცა გვართმევენ და ჩვენ უსიტყვოდ ვაძლევთ; როცა ჩვენზე ძვირს ამბობენ და ჩვენ არ ვწუხვართ, ვითმენთ, ვპატიობთ და სამაგიეროს არ ვეძიებთ; როცა განგვიკითხავენ და ჩვენ უსიტყვოდ ვიძღვაბლებთ მათ წინაშე თავს. აი, ეს არის მონაზვნობის ვიწრო გზა.
16. ნეტარნი არიან, რომელნიც ზემონახსენები გზით მიდიან, “რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ (მათე 5. 3-12).
17. ზეციურ ქორწილში გვირგვინით ვერავინ შევა, თუ პირველ, მეორე და მესამე უარყოფას არ აღასრულებს: პირველი არის ამა სოფლისგან, ქონებისა და ნათესავებისგან განშორება; მეორე – საკუთარი ნების უარყოფა; ხოლო მესამე – ამპარტაგნებისგან განშორება, რასაც მორჩილება მოაქეს.
18. “გამოვედით შორის მათსა და გამოეშორენით, იტყვა-ლი, და არაწმიდასა<sup>4</sup> ნუ შეეხებით“ (2 კორ. 6. 17). რადგან მათ შორის, აბა, ვის მოუხდენია სასწაული, აღუდგენია მკვდარი ან ეშმაკი განუდევნია? – არავის! ეს ყველაფერი მონაზონ-თა საქმეა, რომელსაც სოფელი ვერც დაიტევს და არც შეუძლია, დაიტიოს. რომ შეძლებოდა, რაღა საჭირო იქნებოდა სოფლისგან განშორება და მონაზვნობა?!
- 
4. ამა ქვეყნის არაწმინდება არის ავხორცობა, ნივთების სიყვარული და დიდებისმოყვარეობა.

19. სოფლიდან გასვლის შემდეგ, როცა ეშმაკები მშობლებსა და ახლობლებს გაგვახსენებენ და ჩვენს გულებს გაახურებენ, მაშინ მათ წინააღმდეგ ლოცვით შევიარაღდეთ, საუკუნო ცეცხლი გავიხსენოთ და გაცხურდეთ, რათა მისი გახსენებით გულში უადგილოდ დანთხებული ცეცხლი ჩავაქროთ და საღმრთო ცეცხლი ავაგიზგიზოთ.
20. სრულიად სცდება იგი, ვისაც ჰვინია, რომ რაიმე უარყო, მაგრამ მასთან განშორება აწუხებს.
21. გულმოდგინედ იჯხიზღლონ და ყოველგვარ შვებასა და უკეთურებას განეშორონ ის ახალგაზრდები, რომლებსაც ხორციელი სიყვარულისა და შვებისკენ აქვთ მიღრეკილება და რომლებიც მონაზენობას მოინდომებენ, რათა მათთვის ეს უკანასკნელი პირველზე უარესი არ აღმოჩნდეს.
22. ვინც ხილულ თუ უხილავ ზღვაში ცურავს, ყველაზ იცის, რომ ნავსადგურში გადარჩენაც შეიძლება და დაღუპვაც.<sup>5</sup>
23. საცოდაობაა, როცა შუა ზღვას გადაურჩებიან და ნავსადგურში დაიხრჩობიან.

სათნოებათა კიბის მეორე საფეხური: რომლებმაც მასზე ფეხი დადგით, ლოთის მსგავსად გაიქეცით და ნუ დაემსგავსებით მის მეუღლეს.




---

5. სულიერ ნავსაყუდელში გონებით ცხონებას მოიპოვებენ, მაგრამ ასევე შესაძლებელია დაღუპვაც. თავად ნავსაყუდელი კი არ არის დამღუპველი, არამედ ნავსაყუდელში მყიფთა დაუდევრობა. ვინც დაწლება, ის გადარჩება და არ დაიღუპება.

## თავი მესამე უცხოობისთვის

1. უცხოობა არის მშობლებისა და ყოველივე იმის უკან-მოუხედავად დატოვება, რაც ერში ჩვენს კეთილ ზრახვებს წინ აღუდგებოდა და აბრკოლებდა.<sup>1</sup>
2. უცხოობაში ყოფნა არის კადნიერებისგან განშორება, იდუ-მალი სისტემები, გაუმჯდავნებელი ცოდნა, დაფარული ცხოვრება, უხინარი ზრახვა, ყველრებისა და შეურა-ცხოვფის წადილი, ჭირისა და შევიწროების სურვილი, საღმ-როო სურვილის აღორძინება, ღვთის სიყვარულის გამრავ-ლება, ამპარტავნების უარყოფა, დუმილის უფსკრული.
3. ხშირად, დასაწყისში, ახლობლებისგან განშორების გულისთქმა ღვთაებრივი ცეცხლითა და ტრფიალებით ანთებს ადამიანს და ჭირისა და მწუხარების დათმენის სურვილს აღუძრავს; მაგრამ რამდენადაც დიდებული და სასურველია იგი, იმდე-ნად დიდ დაფიქრებასა და განსჯას მოითხოვს, რადგან არა ყოველგვარი უცხოობაა კარგი.
4. უფლის სიტყვისამებრ, თუ ყველა წინასწარმეტყველი შე-ურაცხყოფილია თავის ქალაქსა და მამულში, ჩვენც ფრთხი-ლად უნდა ვიყოთ, რომ უცხოობამ დიდებისმოყვარეობა არ მოგვიტანოს.<sup>2</sup>
5. უცხოობა ყოველივესგან განშორებაა, როცა გონება განუშო-რებლად ღმერთთან იმყოფება.<sup>3</sup>

- 
1. რა აღუდგება წინ ჩვენს კეთილ ზრახვებს? – ნითები, ქონება, საჭმელი, ნება, განცხრომა და ვწერები.
  2. უცხოობას მაშინ მოაქვს დიდებისმოყვარეობა, როცა ადამიანი წარჩინებული ხალხის შვილად აწვენებს თავს, კადნიერია და ამპარტავნობს.
  3. წმიდა მამ ყოველგვარი ფიქრისა და ნებისგან განშორებაზე ლაპარაკობს, რადგან უსარგებლო იქნება ჩვენი უცხოობაში ყოფნა, თუ მათ არ მოვიშორებთ.

6. ჭეშმარიტი უცხოობა არის გამუდმებული გლოვა და გლოვის სიყვარული.
  7. უცხოობაში იმყოფება ის, ვინც ახლობლებისა და უცხოების სიყვარულს გაურბის.<sup>4</sup>
  8. როცა მონაზონი გახდები ან უცხოობაში იქნები, არ დაელოდო ამა სოფლის მოყვარე სულებს, რადგან სიკვდილი ქურდივთ სულმკლეა და არავის ადროვებს.
  9. მრავალმა მოიწადინა ზარმაცების ცხონება, მაგრამ მათთან ერთად წარწყმდა, როცა დროთა ვითარებაში მათი სულიერი ცეცხლი ჩაქრა და მხურვალება გაგრილდა.
  10. როცა ღვთიურ ცეცხლს მიიღებ, გაიქცი, რადგან არ იცი, როდის ჩაქრება და სიბნელეში დაგტოვებს.
  11. ყველას კი არ განგვითხავნ, სხვგბი რომ ვერ გაცხოვნეთ, მაგრამ ჩვენი თავის გამო – უეჭველად; რადგან, მმებო, მოციქული ამბობს: “თითოეულმა თავისა თვისისათვის სიტყვა მისცეს ღმერთსა”; და ასევე ამბობს: “რომელი-ეგე ასწავებ მოყუასა, თავსა თვისსა არა ასწავებ?” (რომ. 2. 21)
  12. უცხოობაში ყოფნისას მიმოსვლისა და ავხორცობის ეშმაქს უფრთხილდი, რადგან უცხოობა მას საამისოდ მიზეზს აძლევს.
  13. კარგია ქონების არად ჩაგდება, ხოლო მისი დედა უცხოობაა.
  14. ვინც უფლის გამო გახდა უცხო, დაე, ნუდარ ესწრაფვის ხორციელსა და უსარგებლო სიყვარულს (ქონების მიმართ იქნება ეს, თუ ადამიანის), რათა ვნებებისთვის კი არ მიმოდიოდეს, არამედ რჩებოდეს ჭეშმარიტ უცხოობაში.
  15. ვინც სოფლისთვის უცხო გახდა, დაე, ნუდარ გაეკარება სოფელს, რადგან ვნებები უკან დაბრუნების მოყვარულნი არიან.
  16. ევა იძულებით განიდევნა სამოთხიდან, ხოლო მონაზონი ნებით გარბის თავისი მამულიდან და ქვეყნიდან; რადგან
- 
4. „ახლობლებში“ ჩვენს საკუთარ ნებას გულისხმობს, ხოლო „უცხოებში“ – გარეშე საქმეებს, როგორიცაა: საჭმლა, ნათესავები, მეგობრები და ა. შ.

- პირველი კვლავ ურჩობის ზის ნაყოფის გასინჯვას მოისურვებდა, ხოლო მეორეს დღემუდამ ზიანს აყენებენ ნათე-სავები და მეგობრები.
17. როგორც ცეცხლს, ისე გაექცი იმ ადგილს, სადაც ცოდვით დაუცი, რადგან როცა ვერ ვხედავთ სიმწრის ნაყოფს, აღარც მისი ხშირი სურვილი გვეუფლება ხოლმე.
  18. ნურც ბოროტთა მთავრის ხრიკებისა და მზაკვრობის უცო-დინარი იქნები: ის ჩაგვაგონებს, რომ დიდ სასყიდელს მივიღებთ, თუ ერის ხალხს არ განვშორდებით, დედაკაცებს შევხე-დავთ და თავს შევიკავებთ. მაგრამ არ შევცდეთ და პირი-ქით მოვიქცეთ.
  19. როცა გარკვეული დრო გავა მას შემდეგ, რაც ახლობლებს მოვშორდებით და მცირეოდენ ლმობიერებასა და შიშს მო-ვიპოვებთ, დიდებისმოყვარეობის ამაო ფიქრები გვეწვევა და კვლავ ერში დაბრუნებას ჩაგვაგონებს, რათა ადამიანებს სარგებლობა მოვუტანოთ და კარგი მაგალითი მივცეთ იმათ, ვისთვისაც ჩვენი ბოროტი საქმეები ცნობილი იყო და ბრკოლ-დებოდნენ; და თუ მცირეოდენი რამე ვიცით ან გონება გვიჭრის, მაშინ სულების გადასარჩენად გვირჩევს ერში დაბრუნებას, რათა რაც ნავსადგურში შეგვიგროვებია, შუაგულ ზღვაში დავაბიოთ.
  20. ლოთის, და არა მისი ცოლის, მსგავსად გავიქცეთ, რადგან სული, რომელიც კვლავ იქ ბრუნდება, საიდანაც გამოიქცა, მარილს ემსგავსება და უძრავი ძეგლი ხდება.
  21. გაიქცი ეგვიპტიდან, რადგან ეგვიპტეში კვლავ დაბრუნე-ბულმა გულებმა უვნებობის ქვეყანა – იერუსალიმი – ვერ იხილეს.<sup>5</sup>
- 
5. ნახე, მარტო ფიქრი და სურვილიც კი როგორ სჯის ადამიანს?! არათუ საქმის, არამედ მარტოოდენ სურვილის გამო დაისაჯა ხალხი – ისინი ხორციელად კი არ დაბრუნებულიან ეგვიპტეში, არამედ მხოლოდ სურვილი ჰქონდათ იქ დაბრუნებისა და ამიტომაც დაისაჯნენ ალთქმულ ქვეყანაში შეუსვლელობით. ნეტარი მამა ოიანეც ამიტომ გვასწავლის, ვუფრთხოდეთ ბოროტ სურვილებს. ეგვიპტე ვნებებით დაბრუნებული ამა სოფლის სახეა.

22. ასეც მომხდარა: ზოგიერთი ჩვილი თავისი ქვეყნიდან გამოსულა და როცა სრულიად განწმენდილა, კვლავ უკან დაბრუნებულა, რათა საკუთარი თავის შემდეგ სხვებიც ეცხოვნებინა. თავისი ხალხის გამოსაყვანად ღმერთმა მოსეც, ეს ღვთისმხილველი, წარავლინა ეგვიპტეში, რომელიც არის სიბნელე და სადაც ამ უკანასკნელს მრავალი ნათესავი ჰყავდა.
23. უმჯობესია მშობლების შეწუხება, ვიდრე უფლისა, რადგან მან დაგვბადა და გვაცხოვნა; ხოლო მშობლებს ხშირად დაუღუპავთ და სატანჯველად მიუციათ, ვინც ჰყებრებიათ.
24. ჭეშმარიტი უცხოობა ისაა, როცა უცხო ხალხში გონივრულად, უხმოდ სხედან.
25. იმის გამო კი არ მივდიგართ, რომ ჩვენი ახლობლები და ქვეყანა გვძულს, არავითარ შემთხვევაში, არამედ იმ ზიანის გამო, ისინი რომ გვაყენებენ და მოღვაწეობაში გვაბრკოლებენ.
26. ისევე, როგორც ყოველ კეთილ საქმეში, ამისი მაგალითიც თავად ქრისტემ მოგვცა: მანაც მრავალგზის მიატოვა ხორციელი ნათესავები, და როცა უთხრეს: “აპა დედა შენი და მმანი შენნი... გეძიებენ შენ” (მარკოზი 3. 32), მან, კეთილმა მოძღვარმა და ჩვენმა უფალმა, მყისვე უვნებელი სიძულვილი აჩვენა და უთხრა: “რომელმან ყოს ნებად ღმრთისად, ესე არს ძმად ჩემი და დაზ ჩემი და დედად ჩემი“ (მარკოზი 3. 35).
27. დაე, შენთვის ის იყოს მამა, ვინც ცოდვებს შენთან ერთად იტვირთავს, დაშვრება, დაგეხმარება და გაგაძლიერებს; დაე, ლმობიერება და ტირილი იყოს შენი დედა, რომელსაც შეუძლია, ცოდვის ჭუჭყისგან განგბანოს; ხოლო შენი ძმა ის იყოს, ვინც ზეცისკენ მიმავალ გზაზე შენთან ერთად დაშვრება და ივლის.
28. მეუღლედ მუდმივ სიკვდილზე ფიქრი იყოლიე, საყვარელ შვილებად – გულის კვნესა, მონად – საკუთარი სხეული,

ხოლო მეგობრებად – წმიდა ძალები, რომლებსაც სიკვდილის დროს შენთვის სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, თუ დაგიმეგობრდებიან. “ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს უფალსა, ეძიებს ხილვად პირსა ღმრთისა იაკობისსა“ (ფსალმ. 23. 6).

29. ღმერთის სიყვარული მშობლების სიყვარულს აქრობს. ვინც ამბობს, რომ ორივეს დატევა შეუძლია, თავს იტევებს, რადგან ვერ ზვდება, რასაც უფალი ბრძანებს: “ვერვის ზელეწიფების ორთა უფალთა მონებად“ (მათე 6. 24).
30. უფალი ამბობს: “ნუ ჰერნებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშვიდობისა ქუეყანასა ზედა” (მათე 10. 34), ანუ მშვიდობისათვის დედ-მამასა და შვილებს შორის, ძმებს შორის, მათ შორის, რომელთაც ჩემი მონობა სწადიათ; არამედ მოვედი მტრობისა და მახვილისათვის, რათა ღვთისმოყვარე სოფლისმოყვარისგან გავყო, ნივთიერი – უნივორსგან და დიდებისმოყვარე – თავმდაბლისგან. უფალს ახარებს გაყოფა, რომელიც მისი სიყვარულის გამო ხდება.
31. იხილე, იხილე და ფრთხილად იყავი, რათა ახლობლებსა და მშობლებთან ყოფნის მოყვარე არ აღმოჩნდე, როცა მთელ ქვეყანას წყალი დაფარავს; რომ კიდობნის გარეთ არ დარჩე და წარლვნის დროს სოფლისმოყვარეობის ადიდებულ წყალში არ დაიხრჩო.
32. გულს ნუ აგიჩუყებს მშობლებისა და მეგობრების ცრემლები, რათა საუკუნოდ არ იტირო.
33. როცა ახლობლები ფუტქრებივით, უფრო სწორად, კრაზანებივით, გარს მოგადგებიან და შენზე გოდებას დაიწყებენ, მაშინ სულიერი თვალები შენი საქმეებისა და სიკვდილისკენ დაჟინებით მიაპყარ, რათა ტკივილით ტკივილის არიდება შეძლო.

34. ჩვენები, მაგრამ არა ჩვენები,<sup>6</sup> მზაკვრულად გვპირდებიან: „ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შენ გინდა და გიყვარის!“ სინამდვილეში მათი განხრახვა ისაა, რომ კეთილ გზაზე დაგვაბრკოლონ და შემდეგ ძალით აგვასრულებინონ თავიანთი ნება.
35. ჩვენი ქვეწიდან ისეთ მკაცრ ადგილს მივაშეროთ, სადაც ხორციელი ნუგეში არ მოიპოვება და სადაც დიდებისმოყვარებას კი არ მოვიხვეჭთ, არამედ თავმდაბლობას. თუ ასე არ ვიქცევით, მაშინ ვნებების ფრთებით დავფრინავთ.
36. არ გაამჟღავნო, თუ ხელმწიფის ან ვინმე დიდებულის შვილი ხარ, რათა პირით სხვა არ თქვა და საქმით სხვა გააკეთო.
37. არავინ მისცემია უცხოობას ისეთი მზადყოფნით, როგორც ის, დიდებული, რომელსაც ესმა: “გამოვედ ქუეყანისაგან შენისა, და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა“ (დაბადება 12. 1), და რომელსაც უცხოტომელთა და ბარბაროსთა ქუეყანაში მოუწოდეს.
38. აბრაამის მსგავსად ხშირად უდიდებია უფალს უცხოობაში მყოფი ადამიანი სახელისა მისისათვის. მაგრამ უმჯობესია, თუ თავმდაბლობის ფარით აირიდებენ ასეთ დიდებას, მიუხედავად იმისა, რომ უფლისებანაა ბოძებული.
39. როცა ეშმაკები რაიმე დიდი საონოების გამო შეგვაქებენ, ხოლო ხალხი – უცხოობისთვის, მაშინ გავიხსენოთ, ვინც ზეციდან მიწაზე ჩამოვიდა და ჩვენს გამო უცხო გახდა, და მივხვდებით, უკუნითი უკუნისამდეც რომ ვიღვაწოთ და უცხოობაში ვიყოთ, სამაგიეროს მაინც ვერასდროს მივაგებთ.
40. მალიან ძნელია და ცუდი ხორციელი ახლობლებისა თუ ვინმე უცხოს სიყვარული, რომლებსაც ჩვენი სოფელში დაბრუნება და ლმობიერების ცეცხლის სრულიად ჩაქრობა შეუძლიათ, თუ ამას დავუშვებთ.
- 
6. „ჩვენს“ ხორციელი ნათესაობის გამო ამბობს, ხოლო „არა ჩვენად“ იმიტომ იხსენიებს, რომ იმას არ გვეუბნებიან, რაც ჩვენი სულისთვის უმჯობესია. ასევე, ბოროტი აზრებიც ერთდროულად ჩვენიცაა და არა ჩვენიც. ჩვენი იმიტომ არის, რომ ჩვენში იმყოფება, ხოლო ჩვენი იმიტომ არ არის, რომ ეშმაკები ჩაგვაგონებენ.

41. რამდენადაც შეუძლებელია ერთი თვალით ცაში ყურება და მეორით – მიწაზე, იმდენად შეუძლებელია, არ ევნოს სულს, რომელიც ფიქრებითა და სხეულით სრულიად არ გაუუცხოვდება თავის ახლობლებს.
42. დიდი შრომითა და ღვაწლით ვიძენთ კეთილ ჩვეულებებს, მაგრამ რაც ხანგრძლივი შრომის შედეგად მოგვიპოვებია, ერთ წამში შეიძლება დაკარგოთ, რადგან „განხრწნიან წესთა კეთილთა ზრახვანი ბოროტნი“ (1 კორ. 15. 33).
43. ვინც ერიდან გასვლის შემდეგ პვლავ ერისკაცებს უბრუნდება ან მათთან ახლოს იმყოფება, უეჭველად, ან იმავე საფრთხეში ჩავარდება, რაშიც იყო, ან მათი ყურებითა და მოსმენით მისი გული შეიბილწება, ან, თუ თავად არ შეიბილწება, იმათ განიკითხავს, ვინც შეიბილწა და ამგვარად თვითონაც შეიბილწება.

#### სიზმრებისთვის

44. შეუძლებელია, დავფაროთ, რომ ჩვენი გონების შემეცნებითი უნარი არასრულყოფილია და სავსეა უცოდინარობით. სასა განასხვავებს საჭმელს, ხოლო ყური სიტყვების აზრს სცნობს; თვალის უძლურებას მზე წარმოაჩენს, ხოლო სულიერ უგუნურებას – სიტყვები. მაგრამ სიყვარული ადამიანს მის შესაძლებლობებზე მეტს აკეთებინებს. ამიტომ ვიტყვი, რასაც მივმხვდარვარ. ვფიქრობ, მაგრამ არ ვამტკიცებ და განვაჩინებ, რომ უცხოობაში წასვლის შემდეგ სიზმრები გვებრძვის. ამიტომ უცხოობაზე საუბრისას ამ თავში მცირე რამ სიზმრებზეც მინდა, ვთქვა, რათა მზაკვარი მტრების არც ამ ხრიკის უმეცარნი აღმოვჩნდეთ.
45. სიზმარი არის გონების მოძრაობა სხეულის უძრაობის დროს.

46. ოცნება არის მძინარე გონების დროს თვალის ცდომილება.
47. ოცნება არის გონების გაკვირვება, როცა სხეულს ღვიძავს.
48. ოცნება არის უსხეულო და არარსებული ხილვა.
49. თუ რატომ მოვისურვე სიზმრებზე შსჯელობა თავში, რომელიც უცხოობაზეა, აშკარაა.
50. როცა უფლისთვის დავტოვებთ სახლს, ნათესავებს, რაიმე სხვა საკუთრებას და ღვთის სიყვარულისთვის უცხოობას მივეცემით, მაშინ ეშმაკები სიზმრებით შეგვაშფოთებენ: გვაჩვენებენ ჩვენს ახლობლებს, თითქოს ან გლოვობენ, ან მომკვდარან, ან ჩვენი მიზეზით შეუპყრიათ და გასაჭირში არიან.
51. ვისაც სიზმრების სჯერა, იმ კაცს ჰყავს, საკუთარ ჩრდილს რომ მისდევს და მისი დაჭერა მოუწადინებია.
52. დიდებისმოყვარეობის ეშმაკები ძილში წინასწარმეტყველებენ. ისინი მომავალს გვაუწყებენ, მაგრამ მომავალი მართლა კი არ იციან, არამედ იტყუებიან: ან რაიმე სხვა საშუალებით იგებენ, რაც მოხდება; ან სადმე, სხვა ადგილას გაიგონებენ მის შესახებ, ან ნახავენ და რამდენადაც ხრიკები სჩვევიათ, მაშინვე მოდიან და გვიამბობენ. თუ მათი სიტყვისამებრ მოხდება – გაიხარებენ, და თუ არ მოხდება – არას ინაღვლებენ.
53. როდესაც ნანახი სიზმრები აგვიხდება, გვიკვირს და ძლიერ ვამაყობთ, თითქოს ახლოს ვიყოთ წინასწარმეტყველების ნიჭთან.
54. ის ხშირადაა იმათი წინასწარმეტყველი, რომლებიც ეშმაკს უჯერებენ; და ყოველთვის მატყუარა ჩანს იმათ თვალში, რომლებიც მას არაფრად აგდებენ.
55. იგი სულია და ხედავს, რაც ჰაერში ხდება. შეიტყობს რა ვინმეს სიკვდილს, მიდის, უგუნურებს უამბობს და უწინასწარმეტყველებს.
56. ეშმაკებს მომავლის წინასწარმეტყველური ცნობა არ აქვთ. მისნებსაც შეუძლიათ წინასწარ გამოიცნონ სიკვდილი.

57. ისინი ხშირად იღებენ ნათლის ანგელოზებისა და მოწამეების სახეს, ძილში გვაჩვენებენ, თითქოს მათთან მივდიოდეთ და როცა ვიღვიძებთ, სიხარულითა და სიამაყით გვავსებენ.
58. დაე, ეს იყოს მათი მხრიდან ცდუნების ნიშანი: ჭეშმარიტი ანგელოზები სატანჯველს, სასჯელს, სულისა და ხორცის გაყრას გვაჩვენებენ და როცა ვიღვიძებთ, შეძრწუნებულები, შეშინებულები და შეწუხებულები ვართ ხოლმე.
59. თუ ეშმაკებს ძილში დავუჯერებთ, მაშინ გაღვიძებულთ და-ცინვას დაგვიწყებენ.
60. ვისაც სიზმრების სჯერა – სრულიად გამოუცდელია, ხოლო ვისაც მათი საერთოდ არ სჯერა – ბრძენთა ბრძენია.
61. ის სიზმრები დაიჯერე, რომლებიც სატანჯველსა და სასჯელს გაჩვენებენ; მაგრამ თუ სასოწარკვეთილებამ დაგძლია, იცოდე, რომ ისიც ეშმაკისგან არის.

სათნოებათა კიბის მესამე საფეხური, რიცხობრივად წმიდა სამე-ბის თანასწორი. წმიდა სასამართლო დარბაზში შესული “ნურ-ლარა მიხედავ მარჯულ, გინა მარცხულ“ (მეორე სჯული 5. 32).



## თავი მეოთხე

შემდეგი და მომართვის მიზანის, იმანათლების თქმული  
შოგრძალებაზე და მშვიდეობის მოწყობისთვის

1. დადგა ჟამი, ქრისტეს მოსაგრეებსა და მოღვაწეებზეც ვისაუბროთ, რადგან როგორც ყოველ ნაყოფს წინ უძღვის ყვავილი, ისე მორჩილებას – ხორცითა და ნებით უცხოობა. ამ ორი სათნოებით, როგორც ოქროს ორი ფრთით, დაუბრკოლებლად ზეცად ზე-აღიწევა სანატრელი მორჩილება. ალბათ, ამზე გალობდა სულით შემოსილი წინასწარმეტყველი: “ვინმცა მცნა მე ფრთხნი ვითარცა ტრედისანი, და აღვფრინდე“ ჩემი საქმეებით და „განვისუენო“ (შდრ. ფსალმ. 54. 7) ხილვითა და თავმდაბლობით.
2. არც მამაცი მხედრების წესი დავივიწყოთ ჩვენს სიტყვაში და ვთქვათ, თუ როგორ უპყრიათ ლვთისა და მოძღვრის რწმენის ფარი, რითაც ყოველგვარ ურწმუნოებასა და მიმოსვლაზე ფიქრებს უკუაგდებენ; თუ როგორ აღმართავენ სულიერ მახვილს და სრულიად იკლავენ ნებას; სიმშვიდისა და მოთმინების ჯაჭვის პერანგით იმოსებიან; ვერ ვნებთ ლანძღვისა და შეურაცხყოფის ისრები; მხსნელ მუზარადად მოძღვრის ლოცვის საფარველი აქვთ და ორივე ფეხით კი არ დგანან, არამედ ერთი მსახურებისთვის წარუმართავთ, ხოლო მეორე – ლოცვაზე უძრავად უდგათ.
3. მორჩილება არის საკუთარი სულის სრული უარყოფა, რომელსაც ცხადად წარმოაჩენს ხორცი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორჩილება არის ცოცხალი გონების მიერ სხეულის მოკვდინება.

4. მორჩილება არის კითხვა-გამოძიების გარეშე მოქმედება, ნებაყოფლობითი სიკვდილი, განსჯის გარეშე ცხოვრება, განსაცდელის დროს უშფოთველობა, ღვთის წინაშე თავის გაუმართლებლობა, სიკვდილის უშიშრობა, ზღვაში უვნებელი ცურვა და ძილში მოგზაურობა.
5. მორჩილება არის ნების საფლავი და თავმდაბლობის აღდგომა.
6. ვინც მორჩილებით მოკვდა, ის არც ეპასუხება, არც განარჩევს, რაც, მისი აზრით, კეთილია თუ ბოროტი. ვისაც ღვთის შიშით მისი სული მოუკლავს, ის აგებს მასზე პასუხს.
7. მორჩილება არის სიბრძნის სიმდიდრის უარყოფა გონების სიმდიდრის დროსაც კი.
8. სხეულის ასოებისა და სულიერი ნების კვდომის დასაწყისი ტანჯვა და ტკივილია, შუა გზა – ზოგჯერ ტკივილი და ზოგჯერ უმტკივნეულობა, ხოლო დასასრული – სრული უმტკივნეულობა და ტკივილის არცოდნა. და რადგან საკუთარი განაჩენის ტვირთვისა ეშინია, ამ ცოცხალსა და სანატრელ მკვდარს მხოლოდ მაშინ სტკივა და იტანჯება, როცა ხედავს, რომ საკუთარ ნებას მისდევს.
9. ვინც სულიერი მოწამეობის ამ ასპარეზზე გასასვლელად მზად ხართ, ვისაც უფლის უღლის ტვირთვა გნებავთ, ვინც წინასწარ ცდილობთ, თქვენი ტგირთი სხვას შემოსდოთ ქედზე, ვისაც მონობის ხელწერილის ნებაყოფლობით დაწერა და სანაცვლოდ თავისუფლების მიღება გსურთ, ვინც სხვებს აუყვანიხართ ხელში და დიდ ზღვაზე გადაყავხართ, იცოდეთ, რომ მოკლე და რთულ გზას დასდგომიხართ, სადაც არ არის საცდური, გარდა იმისა, რომელსაც ურჩობა ჰქვია. ვინც სრულიად განუდგება მას (ურჩობას – რედ.) და არ მისდევს საკუთარ ნებას, რაც უნდა კარგი და სულიერი ეგონოს, ის სიარულის დაწყებამდე უკვე მისულა, რადგან მორჩილება სიცოცხლის ბოლომდე ყველაფერში საკუთარი თავის უნდობლობაა.

10. როცა დავაპირებთ, მდაბალი ზრახვებითა და საღმრთო ცხოვრებით ქედი მოვუდრიკოთ უფალს, თუ გონიერება და სიბრძნე გვაქვს, თავდაპირველად ესეც გამოვიძიოთ, გამოვიკვლიოთ და ვთქვათ: გამოვცადოთ წინამძღვარი, ვისაც უნდა გავყევთ, რათა მესაჭის ნაცვლად მენავესთან არ მივიდეთ, მკურნალის ნაცვლად – სწერელთან, უცნებლის (აქ და ყველგან უცნებელი – ვნებებისგან თავისუფალი – რედ.) ნაცვლად – ვნებულთან და შუაგულ ზღვაში ისე არ შევიდეთ, როგორც ნავსაყუდელში, და არ დავიხრჩოთ.
11. როცა ღვთისმსახურებისა და მორჩილების ასპარეზზე გავალოთ, არავითარ შემთხვევაში არ განვიკითხოთ ჩვენი კეთილი მოძღვარი და წინამძღვარი, თუნდაც რომ რამე ადამიანური ნაკლი შევნიშნოთ. თუ განვიკითხავთ, ვიცოდეთ, რომ მისი მორჩილებისგან ვერანაირ სარგებელს ვპოვებთ.
12. ვისაც სურს, ყოველთვის გულწრფელად სჯეროდეს წინამდღვრის, დაე, მუდამ ახსოვდეს და წარუშლელად გულით ატაროს მისი სათნოებები. და როცა ეშმაკები უნდობლობას მოუვლენენ, გაიხსენოს მისი კეთილი საქმეები და უკუაგდოს ეს უკანასკნელნი; რადგან, რამდენადაც გულში სარწმუნოება მრავლდება, იმდენად სხეულიც მხნე და გულმოდგინე მსახურებაშია; ხოლო როცა ურწმუნოებით ბრკოლდებან, ეცემიან. როგორც მოციქული ამბობს: “ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“ (რომ. 14. 23).
13. როცა მოძღვრის განკითხვის ფიქრები მოდის, გაექცი, როგორც სიძვას, და ამ გველს არანაირი ადგილი დაუთმო, არამედ უთხარი ვეშაპს: “ჰოი, მაცდურო! მე კი არა ვარ ჩემი წინამძღვრის მსაჯული, არამედ ის არის ჩემი მსაჯული, რადგან მე კი არ მიტვირთავს მისი ტვირთი, არამედ მან იტვირთა – ჩემი”.
14. წმიდა მამებმა მარხვას საჭურველი უწოდეს, ლოცვას – ზღუდე, უბიწო ცრემლებს – საბანელი, ხოლო სანატრელ

- მორჩილებას უწოდეს წამება, ურომლისოდაც ვერც ერთი ცოდვილი და ვნებებით შეპყრობილი იხილავს უფალს.<sup>1</sup>
15. ვინც მორჩილებაშია, თავად გამოაქვს განაჩენიც: თუ ღვთის გამო სრულ მორჩილებას იჩქნის, თუნდაც რომ ასე არ ეგონოს, მაინც მთლიანად ჩამოხსნილი აქვს ტვირთი; თუ რაიმეს კვლავ თავისი ნებით აკეთებს, თუნდაც ეგონოს, რომ ტვირთისგან თავისუფალია, მაინც ზედ ჰკიდია.<sup>2</sup> კარგი იქნებოდა, თუ მოძლვარი არ დააყოვნებდა ასეთის მხილებას. თუ აყოვნებს და არ ამხელს, არც კი ვიცი, რა ვთქვა ამაზე.
16. ვინც უფლის მიერ მიამიტურ მორჩილებას იჩქნის, კეთილი გზით მიდის, რადგან წვრილმანების ძიების შედეგად ეშმაკის მზაკვრობაში არ გაეხვევა.<sup>3</sup>
- 
1. რატომ ამბობს, რომ მორჩილების გარეშე ვერავინ იხილავს უფალს? – მაშ, როგორ იხილეს უფალი მარიამ ეგვიპტელმა, მამა ანტონიმ და სხვებმა?! ნათქვამი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ვინც გულმზურვალება და ხორცი სულს დაუმორჩილა, ის ბოროტების მამხილებელ ვონებას, ანუ სინდის იხდის საკუთარ მსაჯულად. ასეთ ადამიანში ღვთისადმი სიყვარულის მძაფრი ცეცხლი აღვეზნება. ამ ცეცხლის წყალობით ის ღვთის მცნებების მორჩილი სდება და ზიღულ მორჩილებამდე უხილავ მორჩილებას აღწევს. ის წმიდანები, რომლებმაც მორჩილების გარეშე მიაღწიეს წარმატებას, იმიტომ გახდნენ ამგვარნი, რომ სწორედ ეს საღმრთო ცეცხლი ჰქონდათ მოპოვებული. მაგრამ ამ საქმის აღსრულება როულია და იშვათად გვხვდება მსგავსი რამ. ვისაც ზემოხსნებული ზრახვა და საქმე არ აქვს, ის მორჩილების გარეშე ვერ იხილავს უფალს. აუცილებელია, ადამიანი ან ღვთის მცნებების მორჩილი იყოს და ამგვარად მიაღწიოს ზემოხსნებულ საზომის, ან მოძლვარს დაემორჩილოს, რათა მისა დაშმარებით მიაღწიოს ღვთის მორჩილებას. მოძლვრის მორჩილება ღვთის მორჩილებას ნიშნავს, რადგან მორჩილი ღვთის მცნებების გამო ემორჩილება მოძღვარს.
2. თავმდაბალი ადამიანი საერთოდ არ ფიქრობს, რომ სათანადო მორჩილება გამოიჩინა და ცოდვები მიეტევა. ასეთის სწორედაც რომ შენდობილი აქვს ცოდვები. ცოდვები არ მიეტევება ისეთ ადამიანს, რომელიც ამპარტავანია, ურჩია და ჰკონია, სათანადოდ მორჩილებს და შენდობილი აქვს ცოდვები.
3. წვრილმანების გამოძიებაში იმას გულისხმობს, როცა მოწავე დაწვრილებით იკვლევს მოძლვრის სიტყვებს, კერძოდ, ეს რატომ მითხრა ან ის რატომ თქვაო.

17. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს კეთილ მოძღვართან ვაღიაროთ ცოდვები და თუ გვიბრძანებს, ყველას წინაშეც ვაღიაროთ. როცა დაავადება თავს ჩენს, მას აღარ ამწვავებენ და კურნავენ.
18. ერთხელ ერთ მონასტერში მივედი და კეთილი მსაჯულისა და მწყემსის საშინელი სამსჯავრო ვიზილე. ჩემს იქ ყოფნაში ერთი ავაზაკი მოვიდა, მონაზნობა უნდოდა. კეთილმა მწყემსმა და მკურნალმა უბრძანა, შვიდი დღე დაესვენა და მონასტრულ წესს გასცნობოდა. ერთი კვირის შემდეგ მწყემსმა თავისთან იხმო და ჰკითხა, სურდა თუ არა მათთან ყოფნა. როცა ნახა, მისი თანხმობა გულწრფელი იყო, გამოპყიოთხა, რაც ერში ჰქონდა ჩადენილი. ავაზაკმა მაშინვე მხურვალედ აღიარა ცოდვები. მაშინ გამოსაცდელად უთხრა: “შეურს, ყველა მმასთან აღიარო მთელი ეს ცოდვები“.
19. ავაზაკს ჭეშმარიტად შეეძულებინა ცოდვები და არაფრად დაგიდევდა სირცხვილს. ის უყოფმანოდ დაპპირდა ყოველივეს შესრულებას და უთხრა: “თუ გნებავს, ალექსანდრიაშიც ვიტყვი“. მაშინ მწყემსმა ყველა მეტყველი ცხვარი ეკლესიაში შეკრიბა, სულ ორასოცდაათო. კვირა დღეს, უამისწირვაზე, სახარების წაკითხვის შემდეგ წმიდა მამამ მისი, უდანაშაულოდ გაკიცხულის, შემოყვანა ბრძანა. მას რამდენიმე ძმა მოათრევდა და მსუბუქად ურტყამდა. მისთვის ხელები ზურგსუკან შეეკრათ და ბეწვის ძაბით შეემოსათ. თავზე ნაცარი ეყარა. მისმა დანახვამ ყველა გაკვირვა და გოდება დაიწყეს, რადგან არავინ იცოდა, რა მოხდებოდა.
20. როცა ეკლესიის კარს მიუახლოვდა, წმიდა და ნეტარმა მამამ ხმამალლა დაუძახა: “მანდ დადექ, რადგან აქ შემოსვლის ღირსი არ ხარ!“ ავაზაკი გაშეშდა მწყემსის ხმის გავონებაზე, რომელიც საკურნევლიდან გაისმა (ეს უკანასკნელი მოგვიანებით ფიცით გვარწმუნებდა, ქუხილის ხმა მეგონა და არა ადამიანისო). შეშისგან შეძრწუნებული და შეურვებული მაშინვე ძირს დავარდა და პირქვედამხობილი მიწას ცრემლებით აღტობდა. მაშინ საკვირველმა მკურნალმა,

- რომელმაც ყველაფერი გააკეთა ავაზაკის გადასარჩენად და ხსნისა და ჭეშმარიტი თავმდაბლობის მაგალითად აქცია ის, უბრძანა, ყველას წინაშე ეღიარებინა ჩადენილი ცოდვები.
21. ისიც ძრწოლით აღიარებდა თოთოვეულ ცოდვას, არა მარტო ხორციელსა და ბუნებრივს, არამედ არაბუნებრივსაც: ჯადოქრობას, მკვლელობასა და სხვა დანარჩენს, რომელთა მოსმენაც კი აღმაშვოთებელია. აღსარების შემდეგ მოძღვარმა მისი აღკვეცა და ძმებს შორის შერაცხვა ბრძანა.
  22. მე გამაკვირვა წმიდა მამის სიბრძნემ და ცალკე ვკითხე, თუ რატომ მოიქცა ასე უცნაურად. ჭეშმარიტმა მკურნალმა მიპასუხა: „ასე ორი მიზეზის გამო მოვიქცი:
  23. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამგვარი სირცხვილით სამუდამო სირცხვილისგან მეხსნა ის. ასეც მოხდა! ის ჯერ კიდევ არ იყო მიწიდან წამომდგარი, მმაო ოანე, როცა ცოდვათა შენდობა მიიღო.
  24. ნუ შეგეპარება ამაში ეჭვი! ერთ-ერთმა იქ მდგომმა ძმამ მითხრა, რომ ვიღაც საშინელი კაცი იხილა, ვისაც ხელში დაწერილი ფურცელი და კალამი ეჭირა. როგორც კი მიწაზე დამზობილი ცოდვას იტყოდა, ის კალმით შლიდა. სამართლიანადაც, რადგან დაწერილია: “აღუარო ბრალი ჩემი უფალსა, და შენ მომიტევე მე უღმრთობად გულისა ჩემისაღ” (ფსალმ. 31. 5).
  25. მეორეც, ასე იმიტომ მოვიქცი, რომ აქ არიან ისეთები, აუღიარებელი ცოდვები რომ აქვთ და მათ მაგალითი ვუჩენე აღსარებაზე მოსასვლელად, ვინაიდან აღსარების გარეშე ვერავინ მიიღებს ცოდვათა შენდობას“.
  26. მრავალი სხვა საკვირველი და აღნიშვნის ღირსი საქმე ვიხილე ამ მწყემსსა და მის სამწყსოსთან. შევეცდები, გაგაცნოთ მათი უმრავლესობა. რადგან იქ მცირე ხნით არ ვყოფილვარ, იმათ ცხოვრებას ვხედავდი, და მიკვირდა, თუ როგორ დამსგავსებოდნენ მიწიერები ზეციურებს. სიყვარულის ღვედს ისინი განუყრელად შეეკრა. საკირველი იყო, რომ ყოველგვარი

- კადნიერება და უქმებტყველება უცხო გამხდარიყო მათთვის და ყოველნაირად ცდილობდნენ, არაფრით შეეშფოთებინათ მის გონება. თუ ვინმე მძის მოძულე გამოჩნდებოდა, ასეთს, როგორც დამნაშავეს, მწყემსი მაშინვე მოშორებით არსებულ მონასტერში აგზავნიდა, რადგან შეცოდებულებისთვის ცალკე იყო მონასტერი.
27. ერთხელ მასთან ერთმა ძმამ მეორეზე აუგად ილაპარაკა. ყოვლადწმიდა მამამ დაუყოვნებლივ მისი მონასტრიდან გაძევება ბრძანა. “დაუშვებელია, რომ მონასტერში ხილული ეშმაკიც იყოს და უხილავიც,” – თქვა მან.
  28. საკვირველი და სასარგებლო საქმეები ვიხილე ამ წმიდა ადამიანებთან. ღვთის მიერ შეკრებილი და სიყვარულით შეკრული სამმო, რომელთა საქმეც და ხილვაც საკვირველი იყო, რადგან სათნოებებში საკუთარ თავს ისე წვრთნიდნენ და სწავლობდნენ, რომ იღუმენის თქმაც არ სჭირდებოდათ. ისინი თავად აღძრავდნენ ერთმანეთს საღვთო საქმისთვის, რადგან საღვთო წესი და საქმე საკუთარ წესად და ჩვეულებად გაეხადათ.
  29. თუ იღუმენის არყოფნაში ვინმე აუგ საუბარს, ან განკითხვას, ან უქმ ლაპარაკს წამოიწყებდა, მეორე ძმა შეუმჩნევლად ანიშნებდა და დაამშვიდებდა; თუ ძმა გონს არ მოეგებოდა ან არ გაუგონებდა, ეს უკანასკნელი მუხლს მოუდრეკდა და გაეცლებოდა.
  30. არასდროს ავიწყდებოდათ სიკვდილი და საუკუნო სასჯელი, უფრო მეტიც, ყოველთვის ამაზე საუბრობდნენ.
  31. ვერ გავჩუმდები და გიამბობთ მათ მზარეულზე: როცა კი მას ვხედავდი, სულ დამწუხრებული იყო და მსახურების დროს ყოველთვის ტიროდა. ვთხოვე, ეამბნა, თუ როგორ გახდა ამ მადლის ღირსი. როცა ვაიძულე, მითხრა: “არასდროს მითიქრია, რომ ადამიანებს ვემსახურები, და არა ღმერთს. ყოველგვარი დაყუდების უღირსად მიმაჩნია თავი და როცა ამ ცეცხლის ვუყურებ, ის საუკუნო ცეცხლი მახსენდება.”

32. მოვისმინოთ მათი სხვა სათნოებაც: ისინი არც ტრაპეზის დროს ანებებდნენ თავს სულიერ ღვაწლსა და ხედვას, არამედ ნეტარნი მათ შორის დაწესებული საიდუმლო ნიშნებით ერთმანეთს სულიერ ლოცვას შეახსენებდნენ. ასე არა მარტო ტრაპეზის დროს იქცეოდნენ, არამედ ყოველი შემთხვევისა და შეკრების ჟამს.
33. თუ ვინმე რამეს დააშავებდა, დანარჩენები ამ უკანასკნელს სთხოვდნენ, რომ იღუმენთან დალაპარაკების უფლება მიეცა, რათა მის ნაცვლად მიეღოთ კანონი და სასჯელი. ეს იცოდა იღუმენმა, ამიტომ ასეთებს მსუბუქ კანონს აძლევდა და ნამდვილ დამნაშავეს აღარც ეძიებდა.
34. სადღა იყო მათ შორის ადგილი უქმეტყველებისა და კადნიერებისთვის? თუ ვინმე მოყვასს წაეკიდებოდა, მეორე ძმა მივიდოდა, მუხლს მოუდრიკდა და მრისხანებას დააცხრობდა. თუ შეატყობდა, რომ ერთმანეთის ძვირი ისევ ახსოვდათ, იღუმენის შემდგომ მეორე პირს უამბობდა და ისიც მზის ჩასვლამდე მათ შერიგებას ცდილობდა. თუ გაჯიუტდებონენ, სანამ არ შერიგდებოდნენ, უჭმელებს ტოვებდნენ ან მონასტრიდან აძევებდნენ. ამ მშვენიერ სიფრთხილეს ამაოდ როდი იჩენდნენ: იგი მათში უხვ ნაყოფს იღებდა.
35. ამ წმიდა ადამიანებს შორის ბევრი იყო მოღვაწე და დაფარულის მცნობელი, ბრძენი და თავმდაბალი. მათ შორის საშინელ და ანგელოზებრივ სანახაობას იხილავდთ: მოხუცებულები და ხანდაზმულები მორჩილებისკენ ჩვილი ბავშვებივით გარბოლნენ და თავმდაბლობა საამაყოდ მიაჩნდათ.
36. იქ ვნახე ადამიანები, რომლებსაც მორჩილებაში ორმოცდაათ წელზე მეტი გაეტარებინათ და ვთხოვე, ეთქვათ, თუ რა ნაყოფი მიიღეს ამგვარი შრომის შედეგად. ზოგიერთებმა მითხრეს, რომ თავმდაბლობის უფსკრულს მიაღწიეს და მისი საშუალებით ყოველგვარი ბრძოლა უკუაგდეს; სხვებმა კი მითხრეს, რომ ლანძღვისა და შეურაცხყოფის მიმართ სრულ უგრძნობელობასა და უმტკინეულობას განიცდიდნენ.

37. ამ კეთილდად მოხსენებულ სალხში ვნახე სხვებიც, სიბრძნით, ნებითა და ღვთის შეწევნით ანგელოზთა მსგავსი სიწრფელე და უმანქოება რომ მოქოვებინათ. ისინი უგუნურ და პირუტყვის მსგავს ამა სოფლის ზოგიერთ ©მოხუცებს კი არ ჰგავდნენ, რომლებსაც ხალხი სულელებს უწოდებს, არამედ მათი გარეგნობა იყო საამო, ბრწყინვალე და სახიერი. მათი სიტყვა და ბუნება იყო არა მოჩვენებითი და ცბიერი, არამედ უბრალო და მხიარული, რასაც ბევრთან ვერ იხილავთ. როგორც უმანკო ყრმები, შინაგანად, სულიერად ღვთითა და წინამძღვრით სუნთქვავდნენ და გონების თვალს ფხიზლად აღევნებდნენ ეშმაკებსა და ვნებებს.
38. პოი, წმიდაო მამაო და ღვთისმოყვარე კრებულო, მთელი ცხოვრება არ მეყოფა, სანატრელთა სათნოებისა და ანგელოზთა მსგავსი ცხოვრების შესახებ რომ გიამბოთ; მაგრამ კარგი იქნება, თუ ჩემი სიტყვებითა და სწავლით კი არა, არამედ მათი ოფლითა და შრომით შევამკობთ თქვენთვის ნათქვამ ჩვენს სიტყვას და საღმრთო შურით აღვძრავთ, რადგან, უდავოდ, უძღაბლესი უაღრესისგან შეიმკობა. მაგრამ, გვედრებით, არავის გეგონოთ, თითქოს რაიმე სიცრუეს ვწერდე, რადგან მცირედმორწმუნებობას სასარგებლოს წახდენა სჩვევია. ახლა კი ჩვენს სათქმელს დაუუბრუნდეთ.
39. იყო ერთი აზნაური ქალაქ ალექსანდრიიდან, სახელად ისიდორე, რომელიც ზემოხსენებულ მონასტერში (სადაც მეც ვიმყოფებოდი) მონაზონი გახდა. წმიდა მწყეშმა მიიღო ის და როცა ნახა, რომ ფიცხი, ზარმაცი, ამაყი და ტრაბახა იყო, ნეტარმა კაცობრივ ხერხს მიმართა ეშმაკთა ვერაგობის წინააღმდეგ და ისიდორეს უთხრა: “თუ ქრისტეს უღლის ტვირთვა გსურს, მინდა, უპირველეს ყოვლისა, მორჩილება გასწავლო.” მან უპასუხა: “როგორც რკინა ემორჩილება მჭედელს, ისე მიმიცია თავი შენი მორჩილებისთვის, წმიდაო ღვთისაო.”

40. ნეტარს მოეწონა მისი პასუხი. რკინის მსგავს ისიდორეს გამოსაცდელად მაშინვე მისცა დავალება და უთხრა: “მმაო, მსურს, რომ მონასტრის კართან დადგე, ყოველ შემსვლელსა და გამომსვლელს მუხლი მოუდრიკო და უთხრა: მამებო, ილოცეთ ჩემთვის, რადგან გიუ და ნაღვლიანი ვარ.”
41. ის ისე დაემორჩილა მამას, როგორც ანგელოზი ემორჩილება უფალს. ასე გაატარა მან შვიდი წელი და თავმდაბლობასა და ლმობიერებას მიაღწია. შვიდი წლის შემდეგ ასეთი დიდი მოთმინების გამო ნეტარმა მისი ძმებს შორის შერაცხვა და კურთხევა მოისურვა.
- მან კი ჩემი – უძლურისა – და სხვების შუამდგომლობით ნეტარს სთხოვა, ნება დაერთო, ბოლომდე იმავე ღვაწლში დარჩენილიყო და ამა სოფლიდან მალე განსვლასა და აღსასრულზე ქარაგმულად მიანიშნა. ასეც მოხდა.
- იღუმენმა იმავე მორჩილებაში დატოვა და ათი დღის შემდეგ ის უპატიობიდან დიდებისკენ, უფლის მიმართ მიიცვალა. გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს მან მონასტრის მეკარეც წაიყვანა უფალთან, რადგან ნეტარს მისთვის აღთქმული ჰქონია: “თუ უფლის წინაშე კადნიერებას მოვიპოვბ, განუყრელად ჩემთან იქნები საუკუნო ცხოვრებაში და მალე წაგიყვან”. ნიშნად ურცხვენებლი მორჩილებისა და ქრისტეს მსგავსი თავმდაბლობისა ასეც მოხდა.
42. სანამ ჯერ კიდევ ჩვენთან იყო, დიდ ისიდორეს ვკითხე, თუ რას ფიქრობდა გონებაში, როცა მონასტრის კართან იჯდა. მანაც, კეთილად მოხსენიებულმა, არ დაფარა სარგებელი და მითხრა: „თავდაპირველად თავს ჩავაგონებდი, რომ მონად ცოდვების გამო გამყიდეს და ჭიროთ, შრომითა და სისხლით ვიღრეკდი მუხლს.

როცა ერთი წელი გავიდა, გულში მწუხარება აღარ მქონდა და უფლისგან მორჩილებისა და შრომის სასყიდელს მოველოდი. როცა კიდევ ერთი წელი გავიდა, გულში სხვა რამეს ვფიქრობდი, კერძოდ, რომ მონასტრებში ყოფნის, მამების

დანახვისა და საუბრის, წმიდა საიდუმლოს ზიარებისა და ვინმეს სახის დანახვის ღირსი არ ვიყავი. შექსვლელსა და გამომსვლელს ამ აზრით ვუდრეკდი მუხლს, თვალებით მიწას დავჩერებოდი, გონება უფრო და უფრო მდაბლდებოდა და ყველას მხურვალე გულით ვთხოვდი ლოცვას.”

43. ერთ დღეს ამ დიდ მოძღვართან ერთად ტრაპეზზე ვიჯექი. მან წმიდა ბაგები ყურთან მომიტანა და მითხრა: “გინდა, გაჩვენო ღრმად მოხუცებულის საღმრთო გონება?” მე ამის გაკეთება ვთხოვე. მაშინ მან, წმიდამ, მეორე სუფრიდან ერთ კაცს უხმო. მას ლავრენტი ერქვა, ორმოცდარვა წელი მონაზვნობაში გაეტარებინა და მღვდელთა უხუცესის შემდგომი ხუცესი იყო. ის ჩვენთან მოვიდა და იღუმენს დაუჩიქა. იღუმენმა აკურთხა, მაგრამ როცა ლავრენტი ფეხზე წამოდგა, არაფერი უთხრა, არამედ სუფრასთან ფეხზემდგომი უჭირესი დატოვა. ამ დროს ტრაპეზი ახალი დაწყებული იყო. ლავრენტი ასე, ფეხზემდგომი, დარჩა სუფრის ალაგებაძლე. მისი შეხედვაც კი მრცხვენოდა, რადგან ძალიან მოხუცებული იყო, ოთხმოცდაორი წლისა. სუფრიდან რომ წამოვდექით, წმიდა მამამ ის ზემონაზენებ დიდ ისიდორესთან გაგზავნა ოცდამეცხრამეტე ფსალმუნის – “თმენით დაუთმე უფალსა” – სათქმელად.

მე ეს ამბავი უყურადღებოდ არ დავტოვე, ბერის აზრის გაგება მოვიწადინე და ვკითხე, თუ რას ფიქრობდა გულში, როცა სუფრასთან იდგა. მან მიპასუხა: „ვინაიდან მწყემსის მიმართ დიდი რწმენა მაქვს, გონებაში ის ქრისტედ მყავს წარმოდგენილი და არასდროს მიფიქრია, რომ ის მიბრძანებს, და არა ღმერთი. ამიტომ, მამა იოანე, ადამიანთა სუფრის წინ კი არ ვიდექი, არამედ ღვთის საკურთხევლის წინ და ღვთის წინაშე ვლოცულობდი. მწყემსისადმი დიდი რწმენისა და სიყვარულის გამო მასზე არანაირი ბოროტი აზრი არ მომსვლია. როგორც წერია, სიყვარული ბოროტს არ იხსენებს. იცოდე, მამა იოანე, თუ კაცს სიწრფელე სურს, მასთან მტერი ვერც ადგილს იპოვის და ვერც დროს.”

44. რანაირიც იყო კეთილი მწყემსი, მართალმა უფალმაც ისეთივე იკონომოსი მისცა – წმიდა და მშვიდი კაცი, როგორებიც იშვიათად არიან. ერთ დღეს მამა უმიზეზოდ განურისხდა მას და ამ უკანასკნელის ეკლესიდან გაძევება ბრძანა. გავიგე, რომ ის უდანაშაულოა იმაში, რაშიც მწყემსი ბრალს სდებდა და მამას ცალკე ვუთხარი, რომ იკონომოსი უდანაშაულო იყო.

ხოლო ნეტარმა მიპასუხა: “მამაო, მეც ვიცი, რომ უდანაშაულოა, მაგრამ რამდენადაც მცირეწლოვანი მშიერი ყრმისთვის პირიდან პურის გამოტაცება არ ვარგა, იმდენადვე აზარალებს მწყემსის სული მის მორჩილებაში მყოფ მოღვაწეთა სულებს, თუ ამ უკანასკნელთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე ყოველთვის არ ცდილობს, მოაპოვებინოს გვირგვინები გინების, ან ყვედრების, ან შეურაცხყოფის, ან დამცირების გზით, ვინაიდან მწყემსს მათთვის სამი დიდი ზანის მიყენება შეუძლია: პირველი – რაღომ იმ სასაყიდელს დააკლებს, რომელიც მწყემსის გაწყრომისას ეძლევათ; მეორე – რადგან სხვისი სათნოებით სხვებისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლო და არ გააგეთა; მესამე და ყველაზე მძიმე – როცა მწყემსი, როგორც სათნოებს, გარკვეული ხნით უყურადღებოდ ტოვებს იმათ, რომლებიც მომთმწნი და მტკირთველნი ჩანან, ამ უკანასკნელთ არც ამხელს და არც საყვედურობს, ამგვარი მოპყრობით იმ სიმშვიდესა და მოთმინებას სპობს, რაც მათ აქვთ; რადგან მიწა, თუნდაც კარგი, ნაყოფიერი და პოხილერი იყოს, როცა გინებისა და ყველრების წყალი მრავალგზის მოაკლდება, სიამაყის, სიძვისა და უშიშრობის ეკალსა და კუროსთავს აღმოაცენებს.

იცოდა ეს დიდმა მოციქულმა პავლემ და ამიტომ მისწერა ტიმოთეს: “ჟამითი უჯამოდ, ამხილე, შეპრისხენ და ნუგეშინის-ეც“ (2 ტიმოთე 4. 2). მე უხუცესს ვუთხარი, რომ ჩვენი მოდგმა უძლეურია და მართებული თუ უმართებულო მხილების შედეგად მრავალი ბრკოლდება და სრულიად განეშორება სამწყსოს.

ხოლო ყოვლადბრძნება მიპასუხა: “სული, რომელიც ქრისტეს სიყვარულისთვის მწყემსთან სიყვარულით არის შეკრული და რწმენით განმსჭვალული, სიკვდილამდე არ მოშორდება მას, მით უმეტეს თუ მწყემსს რამე სატკივარისგან განუკურნავს ეს უკანასკნელი, და ყოველთვის ემახსოვრება: “არცა ანგელოზთა,,.. არცა ძალთა... შემიძლოს ჩუქნ განყენებად სიყვარულსა” ქრისტესა (რომ. 8. 38-39).

ვინც სიყვარულით ამგვარად არ განმტკიცებულა, შეკრულა და განმსჭვალულა, ვფიქრობ, ასეთი ადამიანის იმ ადგილას ყოფნა ფუჭია და უსარგებლო, რადგან ცრუ და არაჭეშმარიტ მორჩილებას შესდგომია.” – და არ ტყუოდა ეს დიდი მამა, არამედ ძლიერ განსწავლიდა და სრულყოფდა სამწყსოს და უბიწო მსხვერპლად სწირავდა ქრისტეს.

45. მოვისმინოთ ღვთის სიბრძნე და გაგვიკვირდეს მისი პოვნა თიხის ჭურჭელში: იქ ყოფნისას მაკვირვებდა ბევრი ახალმოსულის მოთმინება, რომელსაც წინამძღვრის ყვედრებისა და გინების მიმართ იჩენდნენ. ხშირად ისინი არამარტო წინამძღვრისგან ითმენდნენ დევნას, არამედ უმცროსებისგანაც. სარგებლობის მიღების მიზნით ამის შესახებ ერთ ძმას ვკითხე. მას მონასტერში თხუთმეტი წელი ჰქონდა გატარებული და კვიროსი ერქვა. რადგან ეს ძმა ბუნებით დიდად ენადაუოკებელი ვინმე იყო, ვხედავდი, რომ ამ უკანასკნელს ძმები ყოველთვის შეურაცხყოფდნენ და მსახურებიც ხშირად აგდებდნენ ტრაპეზიდან.

“ძმაო კვიროს, – ვუთხარი მე, – ვხედავ, რომ ყოველდღე გაძვებენ სუფრიდან და ზოგჯერ უჭმელი იძინებ. რატომ?” მან მიპასუხა: “დამიჯერე, მამაო, მამები გულით კი არ აკეთებენ ამას, არამედ მცდიან, გამოვდგები თუ არა მონაზვნად. ვიცი მე უხუცესისა და მათი განზრახვა და ამიტომ ყველაფერს უმტკივნეულოდ ვითმენ. აი, უკვე თხუთმეტი წელია, რაც მახსოვს, მონასტერში მოსვლისთანავე რომ მითხრეს: მონაზვნობის მსურველებს ოცდაათ წლამდე გამოცდიანო.

და სწორადაც იქცევიან, რადგან წვრთნის გარეშე ვერც ოქრო გახდება სრულყოფილი.”

მონასტრიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ მხნე კვიროსმა ორი წელი იცოცხლა და უფალს მიაშურა. სულის აღმოსვლის უამს მამებისთვის უთქვამს: “ჩემო მამებო, მადლობელი ვარ ქრისტესი, და თქვენიც მადლობელი ვარ, რადგან მცდიდით რა ჩემი ცხონებისთვის, ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ეშმაკს აღარ გამოვუცდივარ.” აღესრულა ის როგორც მოწამე და კეთილმა მწყემსმა წმიდა მამების გვერდით დამარხა.

46. ბევრს დავაკლებ სიკეთის მოშურნებს, თუ იმ მონასტრის მთავარდიაკვნის, მაკელონიოსის სათხოებაზე გავჩუმდები. მან, ქების ღირსმა, გამოცხადების დღესასწაულიდან ორი დღით ადრე გარკვეული საჭიროების გამო მწყემსს ალექსანდრიაში წასვლის ნებართვა სთხოვა და დღესასწაულამდე უკან დაბრუნება აღუთქვა.

მაგრამ სიკეთის მოძულე ეშმაკმა დიაკონი დააბრკოლა: როგორც იღუმენს აღუთქვა, დროულად ვერ დაბრუნდა და დღესასწაულის მეორე დღეს მოვიდა მონასტერში. იღუმენმა მას პატივი აპყარა და ახალმოსულებთან გაამწესა. დიაკონმა მამის ბრძანება მოომინებითა და სიხარულით მიიღო, თითქოს სხვა ვინმეს სჯიდნენო, და არა მას. ასე გაატარა მან ორმოცი დღე, რის შემდეგაც იღუმენმა კვლავ ძეველ პატივში აიყვანა. ერთი დღის შემდეგ მან იღუმენს უწინდელ უპატიობაში დაბრუნება სთხოვა და უთხრა, რომ ქალაქში ყოფნისას მძიმე ცოდვა ჩაიდინა. უხუცესმა იცოდა, რომ ეს უკანასკნელი თავმდაბლობის გამო ეძიებდა უპატიობას და ნება დართო, პეთილი გულისთქმა აესრულებინა. და ვხედავდი მას, მოხუცსა და პატივის ღირსს, ჭაბუკებსა და ახალმოსულებს შორის, ყველას რომ ლოცვას სთხოვდა და ამბობდა, ურჩობის სიძიო დავეციო.

- ხოლო დიდმა მაკედონიოსმა ცალკე მითხრა, თუ რისთვის მოისურვა ამგვარი სიძლაბლე: “არასდროს მიგრძვნია ბრძოლების ამგვარი შემსუბუქება და ღვთიური ნათლის სიტკბო, როგორც ამ დღეებში.
47. ანგელოზები არ ეცემიან, ხოლო ადამიანები რამდენჯერაც ეცემიან, მაშინვე დგებიან. ეშმაკები კი დაცემის შემდეგ არასდროს დგებიან.”
48. ვისაც მონასტრის იკონომისობა ებარა, მან მითხრა: “სიჭაბუკეში როცა ჯორებს ვუვლიდი, სულიერი დაცემა შემემთხვა,<sup>4</sup> მაგრამ ვინაიდან ჩვეულებად მქონდა, არ დამემალა გველი ჩემში, კუდში ვტაცე ხელი და მკურნალს ვუჩვენე. ხოლო მან გამიღიმა, ლოყაში მსუბუქად გამარტყა და მითხრა: “წადი, შვილო, გააგრძელე, როგორც მსახურობდი და ნურაფრის გეშინია.” მხურვალე სარწმუნოებით დავუჯერე. რამდენიმე დღის შემდეგ დავრწმუნდი, რომ განვიკურნე და სიხარულითა და ძრწოლით განვაგრძე მსახურება.”
49. წესითა და საქმით ყოველი დაბადებული განსხვავდება ერთმანეთისგან. მსგავსადვე, კრებულში მყოფი მმებიც განსხვავდებოდნენ ერმანეთისგან საქმითა და გონებით. ამიტომ, თუ მკურნალი ვინმეს შეატყობდა, რომ ერისკაცების წინაშე თავის გამოჩენა უყვარდა, ასეთს სტუმრის თანდასწრებით უსაყვალურებდნენ, შეარცხვნდნენ და დამამცირებელ სამუშაოს მიუჩენდნენ. ასე ექცეოდნენ, ვიდრე ერისკაცების დანახვაზე თავად არ გაიქცეოდა. ზებუნებრივი სანახაობა იყო: დიდებისმოყვარეობა თავად ამევებდა საკუთარ თავს და ხალხს ემალებოდა.
50. დაე, უფალმა არ მომაკლოს ამ სულიერი მამის ლოცვა: იმ წმიდა ადგილიდან ჩემს წამოსვლამდე ერთი კვირით ადრე მწყემსის შემდგომ მეორე პირმა უფლის მიერ განისვენა.
- 
4. რა დაცემაზე საუბარი? – ჯორისთვის აკიდებული ტვირთიდან შეუჭამა რაღაც. ეს აღიარა და არა სიძვით დაცემა, როგორც ზოგიერთი უგუნური ფიქრობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, განა მოძღვარს გაელიმებოდა სიძგაზე!?

საკვირველი ადამიანი იყო. მინა ერქვა. მონასტერში ორმოცდაცხრამეტი წელი გაეტარებინა და ყოველგვარი მსახურება აღესრულებინა. როცა წესისამებრ, მესამე დღეს გარდაცვლილისთვის მსახურებას აღვასრულებდით, უცცრად ცისკრის ლოცვაზე სურნელება დაიფრქვა და მთელი ის ადგილი აღავსო, სადაც წმიდა მინა იყო დაკრძალული. მაშინ მამამ სამარხის გახსნა ბრძანა და ვიზილეთ, რომ მას ორივე ფეხიდან, როგორც ორი წყაროდან, მირონი სდიოდა.

მაშინ იღუმენმა შეკრებილებს უთხრა: “იხილეთ, მისი მრომა და ფეხის ოფლი ღვთის წინაშე შეწირულია, როგორც ჰეშმარიტი მირონი.” მამებმა წმიდა მინას სხვა მრავალი კეთილი საქმის შესახებ მიამბეს. მითხრეს: ერთხელ იღუმენს მისდამი ღვთივმინიჭებული მოთმინების გამოცდა მოუწადინებია. როცა მინა მწუხრის დროს იღუმენთან მისულა, დაჩოქილს თაყვანი უცია და, ჩვეულების თანახმად, ლოცვა უთხოვია, მას ცისკრის დარეკვამდე მიწაზე დამხობილისთვის ყურადღება არ მიუქცევია და მხოლოდ ამის შემდგომ უკურთხებია. წამოდგომისას კი თვალთმაქცი და მოუთმენელი უწოდებია მისთვის; იცოდა წმიდა მამამ, რომ მინა მხნედ მოითმენდა და ამიტომ მოექცა ასე მრავალთა სარგებლობის მიზნით.

ხოლო წმიდა მინას მოწაფებ მითხრა: “ვკითხე, ხომ არ ჩაეძინა, როცა იღუმენის წინ იყო დამხობილი. მან მიპასუხა, რომ მიწაზე დამხობილმა მთელი დავითნი წაიკითხა.”

51. ვერ დავტოვებ სიტყვის გვირგვინს ზურმუხტით შეუმკობელს: ერთხელ რამდენიმე წმიდა ბერთან დაყუდებაზე წამოვიწყე საუბარი. მათ მხიარული და ალერისანი სახით მომიგეს: „მამა ოანე, რადგან უძლურები და ნივთიერები ვართ, ჩვენთვის შესაფერის ცხოვრებას შევუდექით და გადავწყვიტეთ, ჩვენი უძლურებისდა შესაბამისად ჩავბმულიყავთ ბრძოლაში. უფრო მსუბუქად ადამიანებთან ბრძოლა მივიჩნიეთ (რომლებიც ზოგჯერ მრისხანებენ, ზოგჯერ კი მშვიდებიან და გვანუ-

გეშებენ), ვიდრე ეშმაკებთან, რომლებიც ყოველთვის გაშმაგებით აღიფურვებიან ჩვენს წინააღმდეგ.”

ამ წმიდა მამებიდან ერთ-ერთმა, რომელსაც ჩემდამი დიდი საღმრთო სიყვარული და კადნიერება ჰქონდა, მხიარულად და ტკბილად მითხრა: “ჰოი, ბრძენო, თუ შენში დამკვიდრებულია ძალა და საქმე იმისა, ვინაც თქვა: “ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებლისა ჩემისა ქრისტეს მიერ” (ფილიპ. 4. 13), თუ ქალწული მარიამის მსგავსად შენზეც გარდამოსულია სულიწმიდა და სიწმინდის ცვარი, თუ მოთმინების ძალა ზეგარდმო გიფარავს, მორჩილებით ისე შემოირტყო წელი, როგორც ქრისტე ღმერთმა – არდაგით, წამოდექი დაყუდების სერობიდან და მდაბალი გონებით დაბანე ძმებს ფეხები; შენი გონების კართან ძლიერი და ფხიზელი მეკარეები დააყენე; ძმების დაუცხომელი მსახურებისას სხეულში დააოკე დაუოკებელი გონება; გონებით დაეყუდე, როცა მორჩილების აღსრულებისას სხეული დაუდგრომლად მიმოდის; ამბოხებულ ხალხში სულიერად მშვიდად იყავი; აღვირი ამოსდე მრისხანებისა და კამათის მოსურნე ენას; დღეში სამოცდაჩვიდმეტჯერ შეებრძოლე ბოროტსა და მძლავრ მუცელს და ჯვრის სახედ აღმართულ სულიერ ძელზე გააკარი; გრდემლივით განამტკიცე გონება, რათა გაკიცხვის, ყველაზე დამცირებისა და გვემის დროს, როცა უროსა და კვერს დაჰკრავენ, არც დაირღვეს და არც დაილეწოს, არამედ იყოს გლუვი, უკორძო და დაუზინებელი.

სამარცხვინო სამოსელივით განავდე საკუთარი ნება; მისგან გაშიშვლებული მიდი მოღვაწეობის ადგილას, რასაც მცირედნი თუ აკეთებენ; შეიძოსე რწმენის ჯაჭვის პერანგი, რათა ურწმუნოებით არ შეიმუსროს და არც დაზიანდეს; ორივე ხელით გეჭიროს სიწმინდის აღვირი, ამოდებული კადნიერებისთვის, რომელიც არის უწესო შეხება.

თვალებს, რომლებიც ხორციელი სიკეთისა და მშვენიერების სანახავად მიმოდიან, სიკვდილზე ფიქრით ამოსდევ

აღვირი; ჭიმით მოზიდე მოყვასის განმკითხველი გონება, საკუთარ თავზე ზრუნვისკენ მოაქციე და სიყვარული, ლომბიერება და მოწყალება მიეცი საქმედ. პოი, საყვარელო მამაო, “ამით ცნან ყოველთა” (იოანე 13. 35), რომ ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფე ხარ, თუ ყველა ძმის მიმართ მტკიცე სიყვარული გექნება.

ამგვარად მოიქცეც კრებულში და ყოველთვის ისე სვი შეურაცხყოფის წყალი, როგორც ცხოვრების; რადგან, დავითმა როცა ცის ქვეშ არსებული ყოველგვარი სიყვარული და შშვენიერება განიცადა, ბოლოს გაკვირვებულმა თქვა: “რაღმე პეთილ, ანუ რაღმე შუენიერ, არამედ დამგვირჩებად ძმათა ერთად?” (ფსალმ. 132. 1). და თუ ჯერ კიდევ ვერ გავხდით ამ სიკეთის – მოთმინებისა და მორჩილების – ღირსი, მაშინ უმჯობესია, საკუთარი უძლურება შევიცნოთ, მოღვაწეთა ასპარეზიდან შორს განვდგეთ, შევნატროთ ამ მოღვაწებს და მათი მოთმინებისთვის ვილოცოთ“.

და მძლია ამ კეთილმა მამამ და მასწავლებელმა, რომელიც სიყვარულით მესაუბრებოდა სახარებისა და წინასწარ-მატყველთა მიხედვით, და, უდავოდ, უპირატესობა და გამარჯვება პატიოსანსა და დიდგვის მორჩილებს მივაკუთვნეთ.

52. წმიდანთა კიდევ ერთ სათნოებას ვახსენებ და თითქოს სამოთხიდან გამოვდიოდე, ამით დავასრულებ მათ საქმებზე საუბარს. კვლავ ჩემი უსარგებლო და უვარგისი სიტყვებით მოგმართავთ, სიტყვებით, რომლებიც მათი სათნოებების ხილვისას შემიგროვებია.
53. ერთხელ, როცა ლოცვაზე ვიდექით, მწყემსმა დაინახა, რომ ორი ძმა ეკლესიაში ლაპარაკობდა. მათ შვიდი დღის განმავლობაში ეკლესიაში შეუსვლელობა და შემსვლელ-გამომსვლელთათვის მუხლის მოდრეკა უბრძანა. საკვირველი ის არის, რომ ორივე ძმა მღვდელი იყო.

54. შევამჩნიე, რომ ერთი ძმა სხვებზე უფრო გულმწურვალედ იდგა ხოლმე ლოცვაზე, განსაკუთრებით, ლოცვის დასაწყისში, თითქოს ვინმეს ელაპარაკებოდა. ამგვარი ქცევის ახსნა ვთხოვე. მანაც სარგებლობის მიზნით არ დამიმალა და მითხრა: “მამა იოანე, ჩვეულებად მაქეს, რომ გალობის დაწყებისთანავე მთელი გონება, სული და გული მოვიკრიბო, მოვუწოდო და მივმართო მათ: “მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩუქნსა!“
55. ასევე შევამჩნიე, რომ მათი მეტრაპეზე სარტყელზე ჩამოკიდებულ პატარა წიგნაკს ატარებდა. როცა გამოვიკითხე, შევიტყვე, რომ შიგ თავის ზრახვებს იწერდა და მწყემსს უჩვენებდა ხოლმე. არა მარტო ის, არამედ იქ მყოფთაგან ბევრი იქცეოდა ამგვარად, რადგან ასეთი ყოფილა თურმე უხუცესის ბრძანება.
56. ერთხელ მწყემსმა ერთ-ერთი ძმა იმ მიზეზით გააძევა, რომ სხვა ძმას ყბელი და მრავლისმეტყველი უწოდა. ეს ძმა შვიდი დღე იდგა მონასტრის გარეთ და შენდობასა და მონასტერში დაბრუნებას ითხოვდა. სულთა მოყვარე იღუმენმა როცა შეიტყო, რომ მას არაფერი ეჭამა მთელი ამ შვიდი დღის განმავლობაში, შეუთვალა: “მონანულებთან გაგიშვებ, თუ მონასტერში ყოფნა გინდა”. და რა იხილა, ძმა სიხარულით დაეთანხმა, მისი მოშორებულ მონასტერში წაყვანა ბრძანა, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, რომლებიც ცოდვებს გლოვობდნენ. ვინაიდან ეს მონასტერი ვახსენე, მსურს, მცირეოდნენ მასზეც ვთქვა.
57. დიდი მონასტრიდან ერთი მილის მოშორებით იყო ადგილი, რომელსაც საპყრობილე ერქვა. ეს გახლდათ ყოველგვარ ნუგეშს მოკლებული ადგილი, სადაც არანაირი ცეცხლი, ღვინო თუ ზეთი გამოიყენებოდა, გარდა პურისა და უმი ბალახისა. ამ მონასტერში იღუმენი იმათ აგზავნიდა, რომ-ლებიც მონაზვნობის შემდეგ ცოდვით ეცემოდნენ. ამ უკანას-კნელთ ის ცალ-ცალკე ან ორ-ორად ათავსებდა, როგორც

ღმერთი ჩაგონებდა თითოეულ მათგანზე. ზედამხედველად მიჩნილი ჰყავდა დიდი მამა, სახელად ისააკი, რომელიც მისდამი რწმუნებულებს განუწყვეტელ ლოცვას ასწავლიდა და მოწყენილობის გასაფანტავად წნელებს აწნევინებდა.

ასეთია იმათი ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებიც ჭეშმარიტად ეძიებენ “ხილვად პირსა ღმრთისა იაკობისსა” (ფსალმ. 23. 6).

58. ვისაც წმიდანთა ღვაწლი უკვირს, კარგად იქცევა; ვინც მათ საქმეებს დაეშურება, თავს იცხონებს; ხოლო ვისაც მთელი მათი ღვაწლის ერთბაშად აღსრულება სწადია, ცდება, რადგან ვერ შეძლებს.
59. რაუამს ჩვენდა სამხილებლად ნათქვამი სიტყვები გულს გვატკენს, ჩვენი ცოდვები გავიხსენოთ, სანამ უფალი არ დაინახავს ტანჯვას, მისი სახელისთვის რომ ვითმენთ, არ აღხოცავს ჩვენს ცოდვებს და სიხარულად არ შეგვიცვლის მწველ გულისტკივილს, რადგან დაწერილია, თავის ღროწე “მრავალთაებრ სალმობათა ჩემთა გულსა შინა ჩემსა ნუგაშინის-ცემათა შენთა ახარეს სულსა ჩემსა” (ფსალმ. 93. 19).
60. არ დაივიწყო, უფალს უთხრა: “რაოდენი მიჩურნენ მე ჭირნი მრავალნი და ძრონი, და მომაქციე და მაცხოვნე მე, და უფსკრულთაგან ქუეყანისათა აღმომიყვანე მე” (ფსალმ. 70. 20) დაცემის შემდეგ.
61. ნეტარია ის მონაზონი, რომელიც უფლისთვის ყოველდღე ითმენს განსაცდელებსა და ვნებებს, რადგან მოწამეებთან ერთად იზეიმებს და ანგელოზებთან ერთად მოილხენს.
62. ნეტარია ის მონაზონი, ვინც, სანამ ცოცხალია, ყოველთვის შეურაცხყოფისა და ლანბლვის ღირსად მიიჩნევს საკუთარ თავს.
63. ნეტარია, ვინაც სრულიად მოაკვდინა საკუთარი ნება და სრულიად მიენდო თავის მოძღვარს, რადგან ჯვარცმულის მარჯვნივ დადგება.

- ყველა, ვინც სამართლიანად თუ უსამართლოდ არ ღებულობს მოძღვრის მხილებას, საკუთარ ცხონებას უარ-ყოფს; ხოლო ვინც ტკივილით ან უმტკივნეულოდ ითმენს მხილებას, ის მალე მიიღებს ცოდვათა შენდობას.
64. მოძღვრისადმი რწმენა და სიყვარული გონებით უჩვენე უფალს და თავად უფალი დაარწმუნებს მას უხილავად, შენი ნდობისა და სიყვარულის შესაბამისად შეგიტკბოს და შეგიყვაროს.
  65. ვინც აღსარებით განაქიქებს ყოველგვარ გველს, ანუ ვნებებს, მას ჯეროვანი სარწმუნოება მოუპოვებია; ხოლო ვინც მათ უგზოობაში მალავს, თაგს იკლავს.
  66. ვისაც სურს, გაიგოს, აქვს თუ არა მოყვასის სიყვარული, მაშინ მიხვდება, როცა მმის შეცდომებზე გულით იტირებს, მისი წარმატება და სიკეთე კი გაუხარდება.
  67. ყველამ, ვისაც საკუთარი ნათქვამის დამტკიცება სურს, თუნდაც რომ სიმართლეს ამბობდეს, იცოდეს, რომ ეშმაკისეული სენითა და ვნებით შეუპყრია მტერს. თუ თანასწორებს შორის იქცევა ასე, უფროსების მხილებით შეიძლება განიკურნოს; მაგრამ თუ უხუცესებსა და სულიერებოან იქცევა ამგვარად, მაშინ ადამიანები ველარ განკურნავენ მას.
  68. ვინც სიტყვით არ არის მორჩილი, უეჭველია, ის არც საქმით გამოიჩენს მორჩილებას; რადგან ვინც მცირედში იჩენს ურწმუნოებას, დიდშიც ურწმუნო იქნება. ასეთი ამაოდ დაშვრება და მორჩილებისგან, გარდა სასჯელისა, ვერაფერს მიღებს.
  69. ვინც სულიერი მამის მორჩილებით განიწმინდა სინდისი, იცოდეთ, რომ მას სიკვდილი ძილის მსგავსად, უფრო სწორად, სიცოცხლედ ესახება და სასუფევლის გზას დასდგომია. დარწმუნებული იყავით, რომ ასეთი არ განიკითხება და მისთვის მოძღვარი აგებს პასუხს.
  70. ვინც მოძღვრის ბრძანების გარეშე შეუდგა რამე საქმეს და ვნება შეემთხვა, მას კი არ დააბრალოს, ვინც საჭურველი მისცა, არამედ საკუთარ თავს, რადგან ცუდად გამოიყენა

- იარაღი; მას მტერთან საბრძოლველად მისცეს საჭურველი, ამ უკანასკნელმა კი გულში ჩაირტყა. და თუ მოძღვრის ბრძანებით უფლისთვის აიძულა თავი, გამოიჩინა ძალისხმევა და თავდაპირველად თავისი უძლურება მოძღვარს აკნობა, დარწმუნებული იყოს, რომ თუნდაც დაეცეს, არ მოკვდება.
71. ჰო, საყვარელნო, დამავიწყდა, თქვენთვის კიდევ ერთი სათონების პური მომერთმია: ვიხილე მორჩილები, რომლებიც თავად ლანძღავდნენ და შეურაცხყოფდნენ საკუთარ თავს, რათა მზად ყოფილიყვნენ და არ აღმფოთებულიყვნენ, როცა სხვები მიაყენებდნენ შეურაცხყოფას და გალანძღავდნენ.
72. ვისაც ყოველთვის ახსოვს, რომ აღსარება აქვს სათქმელი, მისთვის ეს ფიქრი გახდება ყოველგგარი ცოდვის აღვირი; ვინც აღსარებაზე არ ფიქრობს, უშიშრად სცოდავს, როგორც სიბნელეში.
73. რაჟამს მოძღვრისგან შორს ვართ, მის სახეს წარმოვისახავთ, წარმოვიდგენთ, თითქოს ჩვენთან არის და მისთვის მოუწონარ ყოველ სიტყვას, საუბარს, საჭმელსა თუ ძილს ვერიდებით, აი, მაშინ მიგვიღწევია უზაკველი მორჩილებისთვის.
74. მზაკვარ მოწაფეს მოძღვრის შორს ყოფნა ახარებს, ხოლო ჭეშმარიტ შვილს ეძნელება მოძღვრთან განმორება.
75. ერთხელ ერთ გამოცდილ მამას ვკოთხე, თუროგორ მოიპოვა მორჩილებით სამუდამო თავმდაბლობა. მან მიპასუხა: “ჭეშმარიტმა მორჩილმა თუნდაც რომ მკვდრები აღადგინოს, ცრემლები მოიპოვოს ან ბრძოლათაგან გათავისუფლდეს, ფიქრობს, რომ ეს მადლი მოძღვრის ლოცვით მიეცა. ამგვარად მისთვის უცხო აღმოჩნდება ამპარტავნება. ან როგორ იამაყებს იმით, რაც, მისივე თქმით, თავად კი არა, სხვისი დახმარებით გააკეთა?!?”
76. დაყუდებულისთვის უცხოა ზემოხსენებული, რადგან ამპარტავნებას ბევრი მიზეზი აქვს, დაარწმუნოს ის, თითქოს საკუთარი ძალისხმევით აკეთებდეს, რასაც აკეთებს.

77. ვინც მორჩილებაშია და ორ ბოროტებას<sup>5</sup> დაამარცხებს, სამარადისოდ ქრისტეს მორჩილი მონა იქნება.
78. ეშმაკი ძლიერ ებრძინის მორჩილებს: ზოგჯერ ოცნებით შებილ-წავს და გულს გაუქვავებს, უწვეულოდ აღაშფოთებს, ცრემლს დაუშრებს, უნაყოფოდ აქცევს, გახდის ნაყროვანს, ლოცვაში ზარმაცს, მძინარას, გონებას დაუბნელებს, რათა ათქმევინოს: “მორჩილებას არანაირი სარგებლობა მოაქვს, პირიქით, უფრო უკანაც მივდივართ”. ეშმაკი ასე ჩამოაშორებს მათ მოღვაწეობის სარბიელიდან და არ დაუშვებს, იფიქრონ, რომ თავმდაბლობის მოსაპოვებლად ხშირად სწორედ ღვთის განგებით გვერთმევა ის სულიერი საქმეები, რომლებიც ჩვენ კარგი გვვონია.
79. ზოგიერთს ბევრჯერ განუდევნია ეს ეშმაკი მოთმინებით, მაგრამ სანამ ამას იტყოდა, უკეთურების სხვა მრჩეველი მოსულა და სხვა სახით უცდია მისი ცდუნება.
80. მინახავს ზოგიერთი მორჩილი, მოძღვის ლოცვით ლმობიერი, პეთილი, მმარხველი, მშვიდი, გულმოდგინე, ბრძოლათაგან თავისუფალი და გულმხურვალე რომ გამხდარა; მაგრამ მისულა მასთან ეშმაკი და უთქვამს: “ახლა შეგიძლია და-უყუდო და დაყუდებით სრულყოფილებასა და უვნებობას მიაღწევ”. და შემცდარა, როცა ნავსაყუდელიდან შეუ ზღვაში შესულა, საშინელი ღელვა ამტყდარა, ძლიერი ქარი ამოვარდნილა და, რადგან მესაჭე აღარ ჰყოლია, საცოდავად დაღუპულა ამ მწარე და მყრალ ზღვაში.
81. ძალიან წყნარი ზღვის შემდეგ დიდი ღელვა და შფოთვა უნდა განვიცადოთ და ვიხილოთ.
82. შეუძლებელია, ზღვა არ აღელდეს, აიძღვრეს და შეშფოთდეს. ასე იშორებს ის მდინარეების, ე. ი. ვნებების მიერ მოტანილ ხეს, თივას, ყოველგვარ სიბინძურესა და სკორეს. ღელვის შემდეგ ნახავ, რა ძლიერ დამშვიდდება და დაწყნარდება ის.
- 
5. გულისხმობს ურჩობასა და ამპარტავნებას.

83. მოწაფე, რომელიც თავის მამას ზოგჯერ ემორჩილება და ზოგჯერ – არა, იმ ადამიანს ჰგავს, ვინც ზოგჯერ – სამკურნალო საცხით და ზოგჯერ კირით მკურნალობს თვალს. როგორც დაწერილია: უკეთუ ერთი აღაშენებდეს და ერთი დაარღვევდეს, რაღ სარგებელ არს, გარნა შრომა ცუდი (იხ. ზირაქი 34. 23).
84. ჰო, მორჩილების შვილო, არ აცდუნო თავი ამპარტავნების სულით და როცა მოძღვართან აღსარებას იტყვი, სხვას არ გადააბრალო შენი ცოდვები, რადგან შეუძლებელია სირცხვილის გარეშე სირცხვილის თავიდან არიდება.
85. უჩვენე მკურნალს შენი წყლულები, ნუ შეგრცხვება და დაუფარავად უთხარი: ”მამაო, ეს სენი ჩემით შემყარა, ჩემი სიზარმაცის, და არა სხვების გამო მაქვს წყლული. არავინაა ამ ბოროტების მიზეზი, არც კაცი, არც ხორცი, არც სხვა რამ, გარდა ჩემი სიზარმაცისა და მცონარებისა”. დაუ, აღსარების დროს გქონდეს დამნაშავის სახე, ბაგეები და გონება. თავდადრეკილი დადექი მსაჯულის წინ და მიწას უყურე. თუ შესაძლებელია, ცრემლებით დაალტე მსაჯულისა და მკურნალის ფეხები, როგორც ქრისტესი. ეშმაკებს სჩვევიათ, ჩაგვაგონონ, ან საერთოდ არ ვთქვათ აღსარება, ან სხვებს დაუაბრალოთ ჩვენი ცოდვები, ან ჩვენს შეცოდებებში სხვები დაგადანაშაულოთ, თითქოს მათი მიზეზით ჩაგვედინოს ყოველივე.
86. თუ ყოველი საქმე ჩვევაში გადადის, მაშინ ცხადია, რომ სიკეთე მით უმეტეს გადავა, რადგან მას ძლიერ ეხმარება ღმერთი.
87. თუ მონაზვნობის დასაწყისში ყოველნაირად შეეცდები, დაითმინო გინება და შეურაცხყოფა, მაშინ სანატრელი განსვენების მოსაპოვებლად ხანგრძლივი შრომა არ დაგჭირდება, შეილო, და მორჩილების შედეგად საბოლოოდ მოწამეებთან დამკვიდრდები.

88. ისევე თავმდაბლად აღიარე ცოდვები მოძღვართან, როგორც ლვთის წინაშე; რადგან მინახავს დასჯილნი, რომელთა საბრალო შესახედაობას, აღიარებასა და ვედრებას მსაჯულის სისასტიკე მოუდრეუქია და მისი გულისწყრომა წყალობად უქცევია. ნათლისლების წინ სწორედ ამიტომ სთხოვდა იოანე ნათლისმცემელი აღსარებას მასთან მიძავალ ზალხს. არათუ მას სჭირდებოდა მათი აღსარება, არამედ მათივე ცხონებისთვის იქცეოდა ასე.
89. ნუ გიკვირს, თუ აღსარების შემდეგაც შეგებრძოლება ვწებები. სიძვის ეშმაკთან უფრო აღვილია ბრძოლა, ვიდრე ამპარტაგნების ბოროტან.
90. საყვარელო, არ შეცდე და ნუ მოიხიბლები განდეგილთა და მოძღვართა ამბებით, რადგან შენ პირველმოწამე სტეფანეს გზით მიდიხარ შენი მორჩილებით.
91. არ გაექცე მორჩილებას, თუნდაც რომ დაეცე, რადგან სწორედ ამ ღროს გჭირდება მკურნალი.
92. ვისაც შემწე ჰყავდა და მაინც წაიბორძიკა, ცხადია, შემწე რომ არ ჰყოლოდა, არათუ წაიბორძიკებდა, მოკვდებოდა კიდეც.
93. როცა ვეცემით, მაშინ ეშმაკებს მიზეზი ეძლევათ, მოდიან და დაყუდებას გვირჩევნ. სინამდვილეში მათი მიზანი ისაა, რომ დაცემისას იარები შეგვმატონ.
94. თუ მკურნალი გვეუბნება, რომ ჩვენი განკურნება არ შეუძლია, მაშინ მისი უძლურების გამო სხვა მკურნალი უნდა მოვქებოთ, რადგან მცირედნი იკურნებიან მკურნალის გარეშე.
95. ვინ შემეწინააღმდეგება იმაში, რასაც ღრმად დარწმუნებელი ვიტყვე: ყოველი ნავი, რომელსაც მესაჭე ჰყავს და ღელვაში აღმოჩნდება, უეჭველად დაიღუპებოდა, მესაჭე რომ არ ჰყოლოდა.
96. მორჩილებისგან იშვება თავმდაბლობა, ხოლო თავმდაბლობისგან – უვნებობა. ნათქვამია: “რამეთუ სიმდაბლესა შინა ჩუენსა მომიჯსენნა ჩუენ უფალმან... და მიჯსნნა ჩუენ მტერთა

ჩუენთაგან” (ფსალმ. 135. 23-24). რადგან ასეა, რაღა გვიშლის ხელს, ვთქვათ, რომ მორჩილებისგან იშვება უვნებობა, რომელიც აგვირგვინებს თავმდაბლობას. თავმდაბლობის დასაწყისი კი მორჩილებაა,<sup>6</sup> ისევე როგორც მოსე იყო რჯულის დასაბამი, ხოლო ასული (უვნებობა – რედ.) ისევე სრულყოფს დედას (მორჩილებას – რედ.), როგორც მარიამი<sup>7</sup> სრულყოფდა იუდეველთა კრებულს.

97. ღვთის დიდ სასჯელს იმსახურებენ ის ავადმყოფები, რომლებმაც მკურნალს მიმართეს, ბევრად უკეთ გახდნენ, მაგრამ ვიდრე სრულიად განიკურნებოდნენ, მიატოვეს ის და სხვა მკურნალს დაუწყეს ძებნა.
98. საყვარელო, ნუ გარიბიარ იმის ხელიდან, ვინც უფალს შეგწირა, რადგან მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში სხვა ვერავინ განგწმენდს იმდენად, როგორც ის გწმენდს შენ ყოველდღე.
99. გამოუცდელი სხვებს არ უნდა ჩამოშორდეს და მტერს მარტო არ უნდა შეებრძოლოს. ასევე, არ უნდა დაეყუდოს ის, ვინც ჯერ კიდევ გამოუცდელია და ვისთვისაც ჯერ კიდევ კარგად არ უსწავლებიათ სულიერ ვნებებთან ბრძოლა, რადგან პირველი ხორციელად მოკვდება, ხოლო მეორე – სულიერად.
100. წერილი ამბობს: “უმჯობეს არიან ორნი ერთისა” (ეკლესიასტე 4. 9), რაც იმას ნიშნავს, რომ სულიწმიდის ძალით შვილი მამასთან ერთად უნდა ებრძოდეს მტერს.
101. რომელი ჭაბუკიც გაურბის წინამძღვარს, სამწყსო – მწყემსს, გზააბნეული – მასწავლებელს, ბავშვი – მამას, სნეული –

- 
6. მორჩილება თავმდაბლობის დასაწყისია. ვისაც არ შეუცნა, რომ მოკლებულია სათნოებებს, მას არ შეუძლია სხვისი მორჩილება. საკუთარი უძლურების შეგრძნებას ადამიანი მორჩილებამდე მაჲყავს. ღვთის შიშით მორჩილება კი თავმდაბლობას შობს, ხოლო თავმდაბლობა სიამაყეს დევნის. აი, ასე ხდება ადამიანი სახლი უვნებობისა.
  7. მარიამი – მოსეს და.

- მკურნალს, ნავი – მესაჭეს, ყველა დაიღუპება. ასევე, ვინც შემწის გარეშე შეებრძოლება ეშმაკებს, ამ უკანასკნელთა ხელით მოკვდება.
102. სამკურნალოდ მისულისთვის ტკივილის შემსუბუქებაა განკურნების ნიშანი, მორჩილისთვის კი თავმდაბლობაა ვნებებისგან გათავისუფლების მაჩვენებელი. ხორციელად ავადმყოფები ტკივილის შემსუბუქებით ხვდებიან გამოჯანმრთელებას, ხოლო სულიერად სწეულები – თავმდაბლობის მოპოვებით.
103. დაუ, სინდისი იყოს შენთვის მორჩილების სარკე და ეს საკმარისი იქნება.
104. სულიერი მამის მორჩილ დაყუდებულს მხოლოდ ეშმაკები ებრძვიან, ხოლო საბმოში მყოფს ეშმაკებიც ებრძვიან და ადამიანებიც. პირველი სულ თავის მოძღვარს ხედავს და უფრო მეტადაც იცავს მის მცნებებს, მეორე კი მოძღვრის არყოფნისას მცირედ არღვევს მის ბრძანებებს. მაგრამ თუ ეს უკანასკნელი გულმოლგინებასა და მოთმინებას გამოიჩინს, ჭირთა დათმენის შედეგად მორჩილებაში დაშვებულ ამ ნაკლსაც შეავსებს და ორმაგ გვირგვინსაც მიიღებს.
105. ყოველმხრივ დავიცვათ თავი, რადგან ხომალდებით სავსე ნავსაღვურშიც აღვილად იღუპება გემტბი. განსაკუთრებით ისე ვერიდოთ გულისწყრომასა და კადნიერებას, როგორც ჭიას, რომელიც ხის ხომალდებს ჩუმად ჭამს და ხვრეჭს.
106. მოძღვართან სრული დუმილი და უმეცრება გამოვიჩინოთ, რადგან მდუმარე კაცი სიბრძნის შვილია და დიდ ცოდნას ფლობს.
107. მინახავს ზოგიერთი მორჩილი, მოძღვრისთვის პირიდან რომ გამოუტაცია სიტყვა და მის მორჩილებასთან დაკავშირებით უიმედობას შევუპყრივარ; რადგან ვიზილე, რომ თავმდაბლობის ნაცვლად ამპარტავნება მოუპოვებია მორჩილებისგან.

108. ვინც მორჩილებაში ვართ, დიდი სიფრთიხლე, დაკვირვება და გონიერება უნდა გამოვიჩინოთ და ისე გამოვიძიოთ, თუ როდის არის საქმე ლოცვაზე უპირატესი, რადგან ამგვარი საქციელი ყოველთვის არ გვმართებს.
109. ფრთხილად იყავი და ნუ ეცდები, ძმებს უჩვენო, მათზე უკეთ თუ აკეთებ რამეს. თუ ასე მოიქცევი, ორ ბოროტებას ჩაიდენ: პირველი – თავის გამოჩენით ძმებს ავნებ და გულს ატკენ; მეორე – საკუთარ თავს უეჭველად მოუტან ამპარტავნებას.
110. სულით იყავი მოშურნე და ხორციელად არც სახით, არც სიტყვით გამოამჟღავნო. მხოლოდ მაშინ გამოაჩინე შენი გულმოლგინება, თუ მოყვასის განკითხვასა და შეურაცხყოფას დაანებებ თავს; თუ კვლავ განიკითხავ, მაშინ დანარჩენი ძმებიგით იყავი და მათთან ნუ ამპარტავნობ.<sup>8</sup>
111. მინახავს გამოუცდელი მოწაფე, თავისი მოძღვრის სიქველით სხვებთან თავს რომ იწონებდა და ევონა, რომ ამით ქებას დაიმსახურებდა; მაგრამ პირიქით მოხდა და თავი შეირცხვინა, რადგან ყველამ უთხრა: კეთილმა ხემ უნაყოფვო რტო როგორ გამოიღო.
112. მაშინ კი არ გვქვია მომთმენი, როცა ჩევნი მამისგან ვითმენთ ყვედრებასა და შეურაცხყოფას, არამედ როცა ყველასგან ვითმენთ, რადგან მამის რიდი გვაქვს და ვალდებულიც ვართ, მოვუთმინოთ.
113. როგორც მაცოცხლებელ წყალს, ისეთივე მონდომებით დაწაფე ყვედრებას ყველას ხელიდან, ვინც კი მოინდომებს, შეგასვას სიბილწისგან განწმენდელი წამალი. აი, მაშინ გამობრწყინდება შენი სულის სიწმინდე და ღვთიური ნათელი შენს გულს არ მოაკლდება.
- 
8. შეკრებილთა შორის მყოფებზე ლაპარაკობს. თუ თავმდაბალი ზარ, სულიერი საქმე გულში აღასრულება და ნურც სიტყვით, ნურც სახით გამოამჟავნებ რამეს. საქმეში გონებრივი ლოცვა იფულისხმება. თუ ზარმაცებს გრძივთხავ, უმჯობესია, საერთოდ არ ასრულებდე სულიერ ღვაწლს და მაშინ აღარც მათ განიკითხავ. უმჯობესია, ძმების მსგავსი იყო, ვიდრე პატარა საქმის გამო გაამაყდე და გაამპარტავნდე.

114. არავინ მოიწონოს თავი, როცა სხვა ძმები ისვენებენ და თავად შრომობს, რადგან ქურდები გვახვევია თავს და ჩვენი შრომისა და ღვაწლის განადგურებას ცდილობენ.
115. გაიხსენე, რომელმაც თქვა: “ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უქმარნი; რომელი თანა-გუედვა ყოფად, ვყავთ” (ლუკა 17. 10). ჩვენი შრომის საზღაურს კი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ შევიტყობთ.
116. მონასტერი ცაა მიწაზე, ამიტომ ისეთი გული ვიქონიოთ, როგორიც ანგელოზებს აქვთ, რომლებიც უფალს ემსახურებიან.
117. ზოგჯერ ამ მიწიერ ცაში მყოფთა გულები ქვასავით ხდება, ზოგჯერ კი ლმობიერება განამხნევებს, რათა ეს უკანასკნელნი ამპარტავებას განერიდონ და მათ შრომას ცრემლმა სცეს ნუგეში.
118. პატარა ცეცხლი ცვილს ალბობს. ხშირად პატარა შეურაცხყოფასაც სწრაფად მოულბია გული, მისი სისასტიკე და ულმობლობა აღუხოცავს და დაუტებია ის.
119. ერთხელ ორი ადამიანი ვნახე, რომლებიც დაიმალნენ და ფარული ადგილიდან ადევნებდნენ თვალყურს მოღვაწეთა შრომასა და რუდუნებას; მაგრამ ერთს მათი მიბაძვა ეწადა და ამიტომ იქცეოდა ასე; ხოლო მეორე იმ მიზნით უთვალთვალებდა, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ეს უკანასკნელი გაეკიცხა, გამოეაშკარავებინა და ღვთის მუშაკი კეთილი საქმისგან დაებრკოლებინა.
120. უგუნურივით არ გაჩუმდე იქ, სადაც არ უნდა დუმდე, რათა სხვები არ შეაშფოთო და გაამწარო. არც ნელა იარო და აკეთო რამე, როცა აჩქარებას გიბრმანებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეშლილებსა და უგუნურებზე უარესი აღმოჩნდები.
121. როგორც იობი ამბობს, “შესმეს ეგევითარი მრავალი” (იობი 16. 2), სნეულებისა და უძლურების მიზეზით რომ იჩნდნენ სინელეს. ვნახე ისეთებიც, ხშირად განგებ რომ დაუჩემებიათ

- იგი, და გამკვირვებია უკეთურების მრავალფეროვნება და მრავალგვარობა.
122. საძმოში მყოფი გალობიდან იმდენ სარგებელს ვერ პოვებს, რამდენსაც ცალკე, თავის სენაკში ლოცვით; რადგან ლოცვას გალობაზე მეტი შრომაც სჭირდება.
123. განუწყვეტლივ იბრძოლე გაფანტული გონების მოსაკრებად და, თუნდაც ხშირად გაგექცეს გონება, იმედი არ დაკარგო. ღმერთი მორჩილთაგან გონებაგაუფანტავ ლოცვას არ მოითხოვს.
124. არ იდარდო, რაუაშს გონება გაგეფანტება, არამედ გიხაროდეს, როცა აზრებს მოიკრებ. მხოლოდ ანგელოზებს ახასიათებთ გონების სრული გაუფანტაობა.
125. ვისაც გადაწყვეტილი აქეს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ განშორდეს მოღვაწეობის ადგილს, თუნდაც რომ ათასგზის მოკვდეს სულიერად თუ ხორციელად, მას მსგავსი რამ ადვილად არ შეემთხვევა. ეჭვიანი გული და ადგილის მიმართ უნდობლობაა ყოველთვის დაცემისა და დაბრკოლების მიზეზი.
126. ყველაფერში გამოუცდელია ის, ვისაც აქეთ-იქით სიარული უყვარს, რადგან არაფერია მოუთმენლობაზე უფრო უნაყოფო.
127. უცხო სამკურნალოში მისვლისას მოგზაურივით მოიქცი და ჩუმად გამოიკვლიე იქაური ამბები. რაჟაშს შეატყობ, რომ იქაურმა ოსტატებმა და მსახურებმა შენს დაავადებასა და სულიერ წყლულს არგეს, მაშინ მიდი მათთან და ანგელოზთა თანდასწრებით გაყიდე თავი თავმდაბლობის ოქროს ფასად, დაწერე მორჩილების ქარტია და მსახურების ხელწერილი.
128. დახიე შენი ნების ხელწერილი, რომელიც იმ სასყიდელს უარყოფს და აბნევს, რითაც ქრისტე უფალმა გამოგისყიდა.
129. დაე, ის ადგილი, სადაც დამკვიდრდები, შენთვის იყოს საფლავი დასაფლავებამდე, ვინაიდან საყოველთაო აღდგომამდე ვერავინ გამოვა საფლავიდან, და თუ გამოვა, ნახავ, რომ მოკვდება. ვევედროთ უფალს, რომ მსგავსი რამ გვაშოროს.

130. ზარმაცები ლოცვას არჩევნ, როცა მძიმე საქმეა შესასრულებელი; მსუბუქი საქმის დროს კი ლოცვას ისე გაუწიან, როგორც ცეცხლს.
131. ზოგიერთი საქმეს თავს ანებებს ძმის თხოვნისა და განსვენების გამო, სხვა კი – სიზარმაცის გამო; ზოგიერთი საქმეს ამპარტავნების გამო არ ანებებს თავს, ხოლო ზოგიერთი – მუყათობისა და გულმოლენების გამოისობით.
132. თუ რომელიმე ადგილას მისულს გამოკვლევის გარეშე მოგეწონა იქაურობა და დარჩენის აღთქმა დადე, შემდეგ კი სულის წარსაწყმედელი და უკურნებელი საქმეები იხილე, არ დააყოვნო იქიდან წამოსვლა. თუმცა გამოცდილი ყველაფერში გამოცდილია, ხოლო გამოუცდელი ყველაფერში გამოუცდელია.
133. ძვირის თქმა და ბევრი ლაპარაკი ერში მრავალ უთანხმოებას იწვევს. საძმოში კი ნაყოროვანებაა მრავალი დაცემისა და შეურაცხყოფის მიზეზი.
134. თუ მუცელს დაუუფლები, ყველგან უკნებელი იქნები, სადაც უნდა დაჯდე; მაგრამ ვიდრე ის შენი უფალია, საფლავის გარდა ყველგან უბედურებაში აღმოჩნდები.
135. მორჩილთა თვალებს უფალი აძლევს სინათლეს, რათა მოძღვრის სათნოებები დაინახონ. ურჩითა თვალებს კი ეშმაკი აბნელებს მოძღვრის ნაკლის დასანახავად, რადგან ამგვარი მხედველობა მართლაც რომ სიბრძმავა.
136. ჰოი, ძმებო, თავმდაბლობისა და მორჩილების მშვენიერი მაგალითია ვერცხლისწყალი. ის ყველაზე ქვემოთ დაგორავს და არანაირი სიბიძურე ერევა.
137. მუყაითები ფრთხილად იყვნენ და არ განიკითხონ ზარმაცები, რათა მათზე მეტად არ დაისაჯონ! ჩემი აზრით, ლოთი იმიტომ გამართლდა, რომ ამგვარ ხალხში ცხოვრობდა და არსად ჩანს, მათ თუ განიკითხავდა.
138. ყოველთვის დავიცვათ სიმშვიდე და მდუმარება, განსაკუთრებით კი ლოცვის დროს, რადგან ეშმაკები შფოთით ცდილობენ ჩვენი ლოცვის წახდენას.

139. ვინც მორჩილებაშია, ის ხორცით დგას ადამიანთა წინაშე, მისი გონება კი ლოცვით ცის კარზე რეკავს.
140. მორჩილის სულისთვის აბზინდის (ბალახის სახეობაა – რედ.) სიმწარესავითაა ლანძღვა, ყველრება და შეგაფი რამები; ხოლო ავხორცის სულისთვის თაფლივით ტკბილია ქება და პატივი. ახლა ორივე მათგანის ბუნება გამოვარკვიოთ: აბზინდა სხეულს ნაღვლისა და ბალლამისგან წმენდს, თაფლი კი ზრდის და ამრავლებს ნაღველს.
141. დაუფიქრებლად უნდა მივენდოთ მათ, რომლებმაც ლვთის გამო თავს იღეს ჩვენზე ზრუნვა და თუნდაც გვეგონოს, რომ ჩვენი სულისთვის რამე საზიანოს ამბობენ, მაინც დავუჯეროთ, რადგან ამ დროს, როგორც სიმდაბლის ბრძმედში, ისე გამოიცდება მათდამი ჩვენი რწმენა.
142. ჭეშმარიტი რწმენის ნიშანი ის არის, როცა შეუეჭვებლად ვემორჩილებით მოძღვარს, თუნდაც რომ მისი ბრძანება მოულოდნელი იყოს და მისი სასოება არ გვქონდეს.
143. ადრე ვთქვი, რომ მორჩილებისგან იშვება თავმდაბლობა, ხოლო თავმდაბლობისგან – განსჯა. როგორც დიდმა კასიანებ განსჯის შესახებ თავის სიტყვაში თქვა, განსჯისგან იშვება დაფარულთა ცნობა, ხოლო დაფარულთა ცნობისგან – მომავლის წინასწარი ცნობა. ვინ არ ივლის მორჩილების ამ კეთილ სარბიელზე, სადაც ამდენი სიკეთეა?!
144. ამაზე ამბობდა დიდი მგალობელი: მორჩილის გულში შენი სავალი გზა “განუმზადე სიტყბოებითა შენითა გლახაგსა, ღმერთო” (ფსალმ. 67. 11).
145. მოელი ცხოვრება არ დაივიწყო ის დიდი მოღვაწე, რომელსაც, მართალია, თვრამეტი წელი ხორციელი ყურით არ სმენია მოძღვრისგან “ცხონდი”, მაგრამ შინაგანი ყურით უფლისგან ყოველთვის ესმოდა არათუ “ცხონდი”, რომელიც თავისთავად ლოცვასა და გაურკვევლობას გამოხატავს, არამედ ესმოდა “უკე ცხონდი”, რაც დაღგენილებასა და უჟჰველობას გამოხატავს.

146. ზოგიერთ მორჩილს თავი უცდეუნებია: როცა მოძღვრისთვის სირბილე შეუტყვია, უთხოვია, საკუთარი ნებისაებრ მოქცეულიყო. მოძღვარსაც მიუშვია ის ნებაზე და არ აუკრძალავს, რისი კეთებაც უთხოვია. მორჩილს კი უგონა, რომ მოძღვრის ბრძანებისამებრ იქცეოდა. ასეთები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სრულიად მოკლებულნი არიან მორჩილების გვირგვინს, რადგან მორჩილება მოძღვრის უნდობლობისა და საკუთარი ნების უარყოფაა.
147. ერთმა მოძღვრისგან ბრძანება მიიღო, შეიტყო მისი ნება, მიხვდა, რომ ამ საქმის გაკეთება მისთვის სასურველი არ იყო და არ გააკეთა. სხვა, თუმცა მიხვდა, რომ საქმე სასურველი არ იყო, მაინც უყოფმანოდ დაემორჩილა და შეასრულა ბრძანება. გამოსარკვევია, რომელი მათგანი მოიქცა სწორად.
148. შეუძლებელია, რომ ეშმაკი თავისი ნების საწინააღმდეგოდ მოიქცეს. დაე, ამაში მათ დაგვარწმუნონ, რომლებიც ზარმაცობენ და ერთ ადგილას არიან დაყუდებულნი ან სამოში სხედან გაუნძრევლად.
149. დაე, რომელიმე ადგილას ჩვენი წარმატების ნიშანი ის იყოს, როცა ამ ადგილიდან წასვლის ბრძოლები დაგვეწყება. აბა, რატომ შეგვებრძოლება მტერი, თუ არ ხედავს, რომ მას ვებრძვით?!?
150. არ შემშვენის იმის დამალვა და დუმილი, რაზეც გაჩუმება არ შეიძლება. იოანე საბაიტელმა, ამ ღვთისმოშიშმა, წმიდა და უბიწო კაცმა საბერძნეოიდან, მომითხრო ამბები, რომელთა მოსმენაც ღირს. ჰო, წმიდაო! თავადაც იცი, რომ ამ კაცისთვის უცხო იყო ყოველგვარი ვნების სენი, ტყუილი და უწესო საქმე. მან მიამბო: “ასის მონასტერში (წმიდა მამა ასიელი იყო) ერთი ძალიან ზარმაცი ბერი იყო. მას კი არ განვიკითხავ, არამედ მინდა, სიმართლე გრამბო.
- ამ ბერს ერთი ახალგაზრდა მოწაფე პყავდა, სახელად აკაკი, რომელიც ბუნებით მიამიტი გახლდათ, მაგრამ გონებით

იყო ბრძენი. მან იმდენი ბოროტება დაითმინა ბოროტი ბერისგან, რომ ბევრი მათგანის მოსმენაც კი გაკვირვებას იწვევს. ბერი მას არათუ აგინებდა და შეურაცხოფლა, არამედ ყველდღე სცემდა და გვემდა კიდეც.

ვხედავდი, რომ ნაყიდი მონის მსგავსად ყოველდღე დიდ გვემასა და უბედურებაში იყო ის. როცა შევხვდებოდი ხოლმე, ვეკითხებოდი: “მმაო, აკაკი, როგორ ჩაიარა დღევანდელმა დღემ?” ის ხან გასიებულ თვალს მიჩვენებდა, ხან – ტყავგადაცლილ კისერს და ხანაც – გახეთქილ თავს. ვიცოდი, რომ სათნობის კეთილი მუშაკი იყო ის და ვეუბნებოდი: “საყვარელო, მოითმინე, სულგრძელობა გამოიჩინე და სარგებელს ჰოვებ!”

ცხრა წელი დაჰყო ამ უმოწყვლო ბერთან, რის შემდგომაც გარდაიცვალა ძმა აკაკი და მივიდა უფალთან. დამარხეს მამათა საძვალეში. ხუთი დღის შემდეგ აკაკის მოძღვარი იქვე დამკვიდრებულ ერთ დიდ ბერთან მივიდა და უთხრა: “მამაო, ძმა აკაკი გარდაიცვალა.” ბერმა ეს რომ გაიგო, უპასუხა: “დამიჯერე, ბერო, არ მჯერა, რომ გარდაიცვალა.”

აკაკის მოძღვარმა მიუგო: “მოდი და ნახე!” ბერი წამოდგა და გაჰყვა მას. როცა საფლავს მიუახლოვდნენ, წმიდა ბერმა აკაკის, რომელიც სიკვდილის შემდგომაც ჭეშმარიტად ცოცხალი იყო, როგორც ცოცხალს, ისე მიმართა და ჰკითხა: “ძმაო აკაკი, მოკვდი?” მორჩილმა მოწაფემ სიკვდილის შემდეგაც მორჩილება გამოიჩინა და ბერს უპასუხა: “მამაო, როგორ შეიძლება მორჩილის სიკვდილი?!?”

ეს რომ აკაკის მოძღვარმა გაიგონა, პირქვე დაემხო ტირილით, მონასტრის იღუმენს სამარხის ახლოს სენაკის აშენება სთხოვა და იქ სიწმინდესა და სიმდაბლეში გაატარა სიცოცხლის დარჩენილი დღეები, თან ძმებს ეუბნებოდა: კაცი მოვკალიო”.

მამა იოანე, ვფიქრობ, რომ ის, ვინც მკვდარს მიმართა და ვისაც მკვდარმა უპასუხა, თავად დიდი იოანე გახლდათ,

რადგან მას სხვა ამბავიც მოუყოლია, სხვისთვის რომ დაუბრალებია, მაგრამ როგორც საბოლოოდ დანამდვილებით შემიტყვია, თავად ყოფილა იმ საქმის მოქმედი.

151. მან ასევე მიამბო: “ასიაში, იმავე მონასტერში ერთ ძალიან მშვიდ, კეთილსა და წყნარ მონაზონს ჰყავდა მოწაფე. როცა მოწაფემ იხილა, რამდენად დიდ პატივსა და უპატიობაში<sup>9</sup> ამყოფებდა მას ბერი, იფიქრა, რომ ამგვარი ყოფა ბევრი ადამიანისთვის საცოტოს წარმოადგენდა და ბერს გაშვება სთხოვა. ვინაიდან ბერს სხვა მოწაფეც ჰყავდა, ძალიან აღარ გასძნელებია ამ უკანასკნელის გაშვება. წასვლისას მოწაფემ თან წაიღო მოძღვრის წერილი და პონტოს ქვეყანაში ერთ მონასტერს მიაშურა.

მონასტერში როცა მივიდა, მან პირველსავე დამტეს ჩვენება იხილა: თითქოს ვიღაც კაცები პასუხს სთხოვდნენ. საშინელი პასუხისგების შემდგომ აღმოჩნდა, რომ ასი ლიტრა ოქრო დარჩენოდა ვალად. როცა გაიღვიძა, ზიღვაზე დაფიქრდა და თავისთვის თქვა: “პოი, საწყალო ანტიოხოზ (ასე ერქვა მას), დიდი ვალი გვმართებს!”

სამი წელი გაატარა მან ამ მონასტერში დიდ მორჩილებაში. როგორც უცხოელს, იქ მყოფი ძმები ძლიერ შეურაცხოფლენენ და ავიწროებდნენ მას (მონასტერში მის გარდა არავინ იყო უცხოელი). და აი, ღამით კვლავ იხილა ჩვენება: თითქოს ვიღაც კაცმა ათი ლიტრა ვალის პატივების ხელწერილი მისცა. როცა გამოეღვიძა და ნანას სიზმარზე დაფიქრდა, თავისთვის თქვა: “ჯერჯერობით მხოლოდ ათი ლიტრა გადამიხდია. როდისლა შევძლებ დანარჩენის გადახდას?!” და თავის თავს მიმართა: “პოი, საწყალო ანტიოხოზ, უფრო მეტი შრომა და ყველრების დათმენა გვამრთებს!” მას შემდეგ მან თავი მოისულელა და არ ცხრებოდა შრომისგან. შეუბ-

9. შემდეგზე მსჯელობს: მოწაფე ზორციელ პატივში იმყოფებოდა, ხოლო სულიერად – უპატიობაში, რადან მოძღვარი მის სულზე არ ზრუნავდა.

რალებელი მამები კი, ზედავდნენ რა მის ამგვარ მორჩილებას, მონასტრის მთელ საქმეს მას ავალებდნენ და ისიც უწმოდ ასრულებდა.

ასე გაატარა მან ცამეტი წელი. და აი, კვლავ ის ადამიანები იხილა, რომლებიც პირველ ჩვენებაში სთხოვდნენ პასუხს. ამჯერად მთელი ვალის გადახდის ხელწერილი დაუწერეს. ასე ამბობდა ხოლმე ის: “რამდენჯერაც მონასტერში შემაწუხებდნენ, ვალს ვიხსენებდი და მხნედ ვითმენდი ყველაფერს.”

მამა ოანე, ყოველივე ეს ყოვლადბრძენმა ოანექ სხვისი სახელით მიამბო და საკუთარ თავს ანტიოხოზი უწოდა; მაგრამ თავად იყო ის, ვინც დიდი მოთმინების შედეგად ზემოხსენებული ხელწერილი დახია.

152. კვლავ მოვისმინოთ იმის შესახებ, თუ როგორი გონიერება მოიპოვა მან მორჩილების წყალობით. წმიდა საბას ლავრაში ყოფნისას მასთან სამი ახალგაზრდა მონაზონი მივიდა და დამოწაფება სთხოვა. ბერმა სიხარულით მიიღო ისინი, მგზავრობით დაღლილები დაასვენა, სამი დღის შემდეგ კი უთხრა: “მმებო, სიმართლეს გეუბნებით, უძლური კაცი ვარ, სიძვა მძლევს და ვერც ერთ თქვენგანს ვერ მივიღებ.”

მაგრამ მათ იცოდნენ, როგორიც იყო ბერი და არ დაბრკოლებულან. ბევრი ევედრნენ, მაგრამ ბერი ვერ დაითანხმეს. მაშინ ფეხებში ჩაუვარდნენ და რჩევა სთხოვეს, თუ სად და როგორ სჯობდა მათთვის ყოფნა. ბერი მიხვდა, რომ ისინი დარიგებას რწმენითა და მორჩილებით მიიღებდნენ და მაშინ ერთ-ერთ მათგანს უთხრა: “შვილო, უფალს სურს, ერთ ადგილას დაეყუდო და ერთ მამას დაემორჩილო.” მეორეს უთხრა: “წადი, ძმაო, გაყიდე ნება და ღმერთს მიეცი ის, აიღე ჯვარი, მოთმინებით იცხოვრე ძმათა კრებულში და ზეცაში დიდძალი საუნჯე გექნება.”

მესამეს უთხრა: “ყოველთვის ისე გახსოვდეს უფლის ეს სიტყვები, როგორც სუნთქვა: “რომელმან მოთმინოს სრულად,

ცხონდეს.” წადი და თუ შესაძლებელია, კაცთა შორის ყველაზე მკაცრი და მამზილებელი მოძღვარი მოძებნე, დარჩი მასთან და ყოველდღე ისე სვი დამცირება და გინება, როგორც რბე და თაფლია.”

მმამ ჰკითხა დიდ იოანეს: “მამაო, ის კაცი დაუდევარი რომ აღმოჩნდეს, როგორ მოვიქცე?” ბერმა უთხრა: “სიძვაშიც რომ ნახო, არ მოშორდე, არამედ შენს თავს უთხარი: “მეგობარო, რისთვის მოხვედი?” მაშინ ნახავ, როგორ განგშორდება ამპარტავნება და როგორ გაუჩინარდება გულქვაობა.”

153. ვისაც ღვთის შიშის მოხვეჭა გვსურს, მთელი ძალით ვიღვაწოთ, რათა იქ, სადაც სათნოება მოიპოვება, უკეთურება, ბოროტება, ცბიერება, მზაკვრობა და მრისხანება არ შევიძინოთ, რადგან ასეც ხდება ხოლმე, და არცა გასაკვირი. სანამ კაცი მიწის მუშაა ან მენავე, მეფის მტრები მას არაფრად მიიჩნევენ და არც ებრძვიან; მაგრამ როცა ნახავენ, რომ ამ უკანასკნელმა ბეჭედი მიიღო, ხმალი, ფარი და ლახვარი ათლო, მაშინ კბილების ღრმულით მივარდებიან და მის მოკვლას მოიწადინებენ. აი, ამიტომ არ უნდა დავიძინოთ და ფხიზლად უნდა ვიყოთ.
154. მინახავს უძანკო და მშვენიერი ჭაბუკები, რომლებიც სიბრძნისა, ცოდნისა და სარგებლობის მისაღებად მისულან სასწავლებელში და რადგან სხვებს აკყოლიან, არაფერი შეუძნიათ გარდა ხრიკების, უკეთურებისა და უხეშობისა. ვისაც გონება აქვს, გაიგოს!
155. ვინც ოსტატდება, შეუძლებელია, რომ დღითი დღე წარმატებას არ აღწევდეს. ზოგიერთი ამ წარმატებას შეიცნობს, ზოგიერთი კი ღვთის განგებით – ვერა.
156. დაოსტატებული ვაჭარი ყოველ საღამოს აღრიცხავს დღის მოგებასა და დანაკარგს; მაგრამ ამას ვერ შეიტყობდა, ყოველთვის რომ არ იწერდეს და ამ გზით არ აკვირდებოდეს

- სარგებელს. ჩვენც ამგვარად უნდა მოვიქცეთ, ვინაიდან საკუთარ თავზე ყოველდღიური დაკვირვება გონიერია ანათებს.<sup>10</sup>
157. როცა უგუნურს კიცხავენ ან საყვედურობენ, ატირდება და მაშინ ის ან თავის გამართლებას იწყებს, ან მყისვე მუხლს იდრეკს; მაგრამ თავმდაბლობით კი არ აკეთებს ამას, არამედ რათა აღარ უსაყვედურონ.
158. ჩუმად იყავი, როცა მოძღვარი გცემს და მიიღე სულის წამალი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სიწმინდის მნათობი.
159. მაშინ ითხოვე პატიება, როცა მკურნალი დამშვიდდება. ვათუ, გაწყრალმა შენი სინანული არ მიიღოს.
160. კრებულში მყოფი ყოველგვარ ვნებას შეებრძოლოს, განსაკუთრებით კი, ნაყროვანებასა და მრისხანებას, რადგან ხალხმრავლობაში აღნიშნული ვნებებისთვის ბევრი მიზეზი მოიპოვება.
161. მორჩილებს ეშმაკი ისეთი სათნოებების სურვილს შთააგონებს, რომელთა აღსრულებაც არ შეუძლიათ. ასევე, დაყუდებულებს ის ისეთ საქმეებს მოაფიქრებს, რომელთა კეთებაც არ მართებთ.
162. გამოიძიე გამოუცდელ მოწაფეთა გონება და მასში არასწორ აზრებს აღმოაჩენ, კერძოდ: დაყუდების, მყაცრი მარხვისა და გონებაგაუფინტავი ლოცვის სურვილს, დიდებისმოყვარეობის სიძულვილის, მუდმივ სიკვდილზე ფიქრის, მარადდლე ტირილის, ურისხველობის, სრული დუმილისა და სრული სიწმინდის წადილს, რომლებიც საღვთო განგებით დასაწყისში არ ეძლევათ ხოლმე. ამიტომ შემცდარა ზოგიერთი და ამაოდ მიუტოვებია მორჩილება, რადგან მტერს უცდუნებია ის, დაურწმუნებია რა, რომ ყოველივე აღნიშნული დროზე ადრე მოეძია. მტერი კი ამგვარად იმიტომ მოიქცა, რომ ამ
10. მოსაწონი ვაჭარი ის არის, ვინც ყოველდღე აკვირდება და განსჯის საკუთარ თავს, ფიქრობს და იკვლევს, თუ როგორ განვლო ყოველი დღე და ყოველი ღამე.

- უკანასკნელს არ მოეთმინა და თავის დროზე ყველაფერი ეს არ მიეღო.
163. მაცდური დაყუდებულებს არწმუნებს, შენატრონ მორჩილებს უცხოთა შემწყნარებლობის, მსახურების, ძმათა სიყვარულისა და სნეულთა მომსახურების გამო. მაცდური იმ მიზნით იქცევა ასე, რომ პირველთა მსგავსად ესენიც მოუთმენლებად აქციოს და მათი მოღვაწეობა და მოთმინება არასრულყოფილი გახადოს.
164. ნამდვილად ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც ჯერისაებრ წევიან დაყუდებულ მოღვაწეობას. საღვთო ნუექტიც მხოლოდ მათ აქვთ მოპოვებული შრომის შესამსუბუქებლად და ბრძოლაში დასახმარებლად.
165. მორჩილება ჩვენი ვწებების ბუნებისა და სახეობიდან გამომდინარე უნდა ვეძიოთ.
166. თუ ხორცია განხურვება გძლევს, მოძლვრად მოღვაწე ადამიანი იყოლიე, რომელიც მცირეოდენ საზრდელს დაგაჯერებს, და არა ისეთი, რომელიც სასწაულთმოქმედია და სუფრაზე მრავალს მასპინძლობს. თუ სიამაყე და ურჩობა გმძლავრობს, დაე, შენი მოძლვარი იყოს მკაცრი, და არა დამთმობი, მშვიდი და ალერსიანი.
167. არ ვეძებოთ დაფარულთა მცნობელნი და წინასწარმეტყველნი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ისეთი მოძლვრები ვეძიოთ, რომლებიც თავმდაბალნი არიან და თავიანთი ცხოვრების წესისა და ადგილის შესაბამისად ჩვენი განკურნება შეუძლიათ.
168. კარგი იქნება, თუ ზემოხსენებული ნეტარი კვიროსის გულისხმას მოიპოვებ და ყოველთვის გემახსოვრება, რომ წინამძღვარი გცდის. მაშინ მოწყენილობაც არასდროს დაგეუფლება და არც სულმოკლე აღმოჩნდები.
169. რაჟაშს მოძლვარი უფრო და უფრო მეტად გამხელს და შეურაცხვყოფს, ხოლო შენ მისდამი უფრო და უფრო მეტი რწმენა და სიყვარული გიჩნდება, იცოდე, საყვარელო, რომ

სულიწმიდა უხილავად დამკვიდრებულა შენს სულმი და ზეგარდმო ძალა გიფარავს. მაგარამ როცა შეურაცხყოფას მამაცურად მოითმენ, მაშინ არც თავი მოიწონო და არც გაგიხარდეს, არამედ, პირიქით, იტირე, სალანბლავი საქმე რომ მოიმოქმედე და მოძღვრის სული შეაწუხე.

არ გაგიკვირდეს, როცა გეტყვი: მოსე წინასწარმეტყველია ჩემი მოწმე, რომ უმჯობესია, ღმერთს შესცოდო, ვიდრე მოძღვარს; რადგან როცა ღმერთს განვარისხებთ, მოძღვარი სთხოვს ჩვენთვის და ღმერთთან შეგვარიგებს; და თუ ჩვენს უხუცესს განვარისხებთ, მაშინ არავინ გვეყოლება, ჩვენთვის ღმერთს რომ შეევედროს. მე კი ვიტყოდი, რომ ერთი და იგივეა ღვთისა და მოძღვრის განრისხება.

170. როცა მამასთან დაგვასმენენ, ყურადღებით ვიყოთ, გამოვკლიოთ და დავუფიქრდეთ, როდის გვმართებს მადლობითა და დუმილით მოთმენა, და როდის – ახსნა-განმარტების მიცემა. ვფიქრობ, ყოველთვის დუმილი გვმართებს, როცა ჩვენ გვაყენებენ შეურაცხყოფას, რადგან ასეთ დროს სარგებლობის ჟამია; და თუ სხვა ძმას სდებენ ბრალს, მაშინ საკვირველი სიყვარულისა და მშვიდობის გამო მამას ყოველივე უნდა განვუმარტოთ.
171. მორჩილების სარგებელს ისინი გეტყვიან, რომლებმაც ის უარყვეს; რადგან რაუამს მორჩილებას განუდგნენ, სწორედ მაშინ მიხვდნენ, სადაც იმყოფებოდნენ თავდაპირველად.
172. ვინც უვნებობასა და ღმერთს ეძიებს, მას დაკარგულად მიაჩნია ყოველი დღე, როცა არ აგინძებენ და არ შეურაცხყოფენ.
173. როგორც ქარისგან შერყეული წე უფრო მეტად იმავრებს ფესვებს, ისე ძლიერ და შეურყეველ სულს მოიპოვებენ მორჩილებიც.
174. რომელმა დაყუდებულმაც თავისი უძლურება შეიცნო, მოვიდა და საკუთარი თავი მორჩილებით გაყიდა, იგი ბრძა იყო და შრომის გარეშე აეხილა თვალი ქრისტეს მიმართ.

175. საყვარელნო! მტკიცედ დექით, და კიდევ ვიტყვი, დექით თქვენს სარბიელზე! მოღვაწე ძმანო, ისმინეთ, რას ამბობს თქვენთვის ყოვლადბრძენი: “უფალმა “ვითარცა ოქრო ბრძმედსა შინა (ანუ მონასტერში) გამოცადნა იგინი და ვითარცა ყოვლად ნაყოფი მსხუერპლთა, შეიწყნარნა იგინი” თავის წიაღში (სიბრძნე 3. 6), რამეთუ მისია დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეს საფეხური რიცხობრივად მახარობელთა თანასწორია. რომელი მოღვაწეც მასზე დგას, უშიშრად გასწიოს ცისკენ! ოდესლაც პეტ-რეს იოანემ მიასწრო საფლავთან მისვლა. აქაც, სინანულამდე მორჩილებაა დაწესებული. მორჩილების სახეს ის წარმოადგენს, რომელმაც საფლავთან მისვლა მიასწრო, ხოლო სინანულისას – ის, რომელმაც უარყოფა ცრემლებით შეინანა.



## თავი მეხუთე

აისივე თქმული

სინაცხლისთვის, და ფმიდანთა ცხოვრება, ორმლებიც  
„დილეგში“ იყვნენ

1. სინაცხლი ნათლისღების განმაახლებელია. სინაცხლი არის ღვთის წინაშე ახალი ცხოვრების აღთქმის დადება.
2. მონაცხლი ვაჭარი თავმდაბლობას ყიდულობს.
3. სინაცხლი ყოველგვარი ხორციელი ნუგეშის მოკლებაა.
4. სინაცხლი არის თავის დამსჯელი ფიქრი და არაფერზე ზრუნვა, გარდა საკუთარი სულისა.
5. სინაცხლი არის სასოების ასული და სასოწარკვეთილების უარყოფა.
6. სინაცხლი თავის დასჯაა არადამამცირებელი.
7. სინაცხლი ღმერთთან შერიგებაა ცოდვების შესაბამისი სიკეთის ქმით.
8. სინაცხლი განწმენდაა სინდისისა, ღმერთმა რომ დაბადებისთანავე მიანიჭა ადამიანს ბოროტების მამხილებლად.
9. სინაცხლი ნებისა და უკეთურების უარყოფელი ნუგეშის კარია.
10. სინაცხლი ყოველგვარი ჭირისა და განსაცდელის ნებაყოფლობითი მოთმენაა.
11. მონაცხლი თავად იტანჯავს თავს ამა სოფელში ჩადენილი ცოდვების გამო.
12. სინაცხლი ისაა, როცა მუცელს ძლიერ ამშევენ და საკუთარ თავს ყოველთვის გულმურვალედ ადანაშაულებენ და ამხელენ.
13. სინაცხლი ღმერთთან მიმაახლებელია და ცოდვებისგან განმაშორებელია.
14. ვისაც ღმერთი განგირისხებიათ, ყველანი შეიკრიბეთ და მომიახლოვდით! მოდით, მომისმინეთ და გიამბობთ! შეიკრიბეთ

და ნახეთ, რაც ღმერთმა თქვენი და ჩემი სულების სასარგებლოდ მიჩვენა! თავდაპირველად თავშერცხვენილ მუშაკთა საქმეებს მივაგოთ პატივი. ვინც უნებურად დაცემულხართ, მოისმინეთ, დაიმახსოვრეთ და ასე მოიქმედით! ვინც დაცემულხართ და მიწაზე გართხმულხართ, წამოდეჭით, დასხედით და მოისმინეთ ჩემი სიტყვები! ძმებო, ყური მომაპყარით, ვისაც სწორად მოქცევა და ამ გზით ღმერთთან შერიგება გსურთ!

15. მე, უძლურს, „დილეგად“ წოდებულ განმარტოებულ მონასტერში დამკვიდრებულთა საოცარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მესმა. აღნიშნული მონასტერი იმ მნათობთა მნათობის ქვემოთ მდებარეობდა, რომელიც მორჩილებისადმი მიძღვნილ თავში ვახსენეთ. ჯერ კიდევ ჩემი იქ ყოფნისას დიდ წინამდღვარს „დილეგში“ წასვლის ნებართვა ვთხოვე და ვისაც არასდროს არავინ გაუწილებია, მეც დამრთო ნება. მონასტელთა მონასტერსა და ჭეშმარიტ მგლოვიარეთა ადგილას მისულმა ისეთი საქმეები ვიხილე, რომელთა შესახებ გავბედავ და ვიტყვი, რომ მსგავსი რამ ზარმაცის თვალს არ უხილავს, უძლურის ყურს არ სმენია და არც მცონარისა და ვნებათა მოყვარულის გულში აღძრულა.

ეს იყო ისეთი საქმეები და სიტყვები, რომელთაც ღვთის მოწყალების გამოწვევა შეეძლოთ; ეს იყო იმგვარი ძალისხმევა და ღვაწლი, რასაც მისი კაცთმოყვარეობის მოდრეკა ზელენიფეროდა.

ზოგიერთი მათგანი უდანაშაულოდ იყო დასჯილი. ისინი მწუხრიდან გათენებამდე ფეხმოუცვლელად იდგნენ ღია ცის ქვეშ და ბუნებრივი მოთხოვნილებით ძლეულნი, ძილმორუეულნი საცოდავად ქანაობდნენ. მიუხედავად ამისა, თავს არანაირ შეღავათს არ უწევდნენ, არამედ საკუთარ თავს უბრაზდებოდნენ, საყვედურობდნენ და შეურაცხყოფდნენ კიდეც. სხვებს ვედრებით დაუინებით მიეპყროთ ზეცისთვის თვალი და ტირილითა და გოდებით ითხოვდნენ იქიდან შეწევნას.

სხვები დასჯილებივით იდგნენ, ზელები ავაზაკებივით უკან შეეკრათ, თავი ჩაეღუნათ და ზეცის ყურების ღირსადაც არ მიიჩნევდნენ თავს. გულში ისე მოზღვავებოდათ მწუხარება, რომ აღარ იცოდნენ, რა ელოცათ, ან ღვთისთვის რა ეთქვათ, ან როგორ დაეწყოთ ვედრება. უსიტყვოდ, მხოლოდ სულითა და გონებით წარმდგარიყვნენ ღვთის წინაშე, ყველაფრის იმედი წარკვეთოდათ და ღვთის იმედი-ღა ჰქონდათ.

სხვები მტვერსა და ნაცარში ისხდნენ, სახე მუხლებში ჩაერგოთ და თავი მიწისკენ დაეხარათ.

სხვები გამუდმებით მკერდში იცემდნენ ზელს და თავიანთ ცხოვრებაზე გოდებდნენ. ზოგიერთს ცრემლებით დაელტო სენაკი. ზოგიერთს ცრემლი არ ჰქონდა და თავს იგვემდა. ზოგიერთი მწუხარებას ვეღარ იტევდა გულში და საკუთარ სულს, როგორც მგვდარს, ისე დასტიროდა.

ზოგიერთი გულისტკივილით კბილებს აღრჭიალებდა, ხმამაღლალი გოდებისგან თავს იკავებდა, მაგრამ ხშირად ვეღარ უძლებდა და გმინვა აღმოხდებოდა ხოლმე.

იქ ვნახე ადამიანები, მწუხარებისგან რომ გაოგნებულიყვნენ, სახე გაცყინოდათ და გულში ჩაბუდებული ამდენი ურვისგან აზროვნება წართმეოდათ. მათი გონება თავმდაბლობის უფსკ-რულში დანთქმულიყო. გულისტკივილის ცეცხლს მათთვის ცრემლი დაეშრო, მწარე ცრემლებს კი თვალები ამოეწვა.

სხვები დამწუხრებული ისხდნენ, მიწას დასცექროდნენ, განუწყვეტლივ თავს აქნევდნენ, გულის სიღრმიდან ლომივით ღრიალი აღმოხდებოდათ და გოდებდნენ. ზოგიერთი მათგანი დიდი სასოებით ითხოვდა ღვთისგან შენდობას. სხვები თავმდაბლად ამბობდნენ, რომ ცოდვათა შენდობის ღირსნი არ იყვნენ და ღვთის წინაშე ვერაფრით გაიმართლებდნენ თავს. სხვები ღმერთს აქ ტანჯვასა და საუკუნო ცხოვრებაში შეწყალებას სთხოვდნენ. ზოგიერთი სინდისის სიმბიმეს ისე დაეთრგუნა, რომ ღმერთს ევედრებოდა: “თუმცა სასუფევლის ღირსი არ ვართ, ნუ დაგვტანჯვავ მაინც და ესეც გვეყოფა!”

იქ ვნახე სულები, რომლებიც ცოდვათა ტვირთის სიმბიმეს იმდენად დაემდაბლებინა, შეემუსრა და მოედრიკა, რომ ქვასაც კი მოულბობდნენ გულს იმ სიტყვებით, რომლებითაც ქვედადრეკილნი ღმერთს შეჰქალადებდნენ და ამბობდნენ: “ვაცით, მართლა დავიძისახურეთ ყოველნაირი ტანჯვა და ვერც ჩვენს ვალს გავამრთლებთ, თუნდაც რომ ყოველი დაბადებული შეიკრიბოს ჩვენზე საგლოვად; მაგრამ შენი მრავალმოწყალება გვაბედინებს, შეგვედროთ: “ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე” (ფსალმ. 6. 1). არა ჩვენი საქმეების მიხედვით, არამედ შენი მოწყალებით დაგვსაჯე და ჩვენთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ შენს რისხვას, ენითგამოუთქმელსა და უცნობ სატანჯველს განვერიდებით. სრული შენდობის თხოვნას კი ვერ ვბედავთ, ან როგორ გავძედოთ, როცა აღთქმა უბიწოდ არ დაგვიცავს; არამედ, პირიქით, შეგვიბლალავს კიდეც მას შემდეგ, რაც პირველქმინილი ცოდვები კაცთმოყვარეობით შეგვინდე“.

პო, საყვარელნო, იქ ცხადად შესხმოდა ხორცი დავითის სიტყვებს. იქ ვხედავდი სიცოცხლის ბოლომდე “შებოროტებულ” და “დამდაბლებულ”, „მარადდლე მწუხარედ მავალ”, “ქედადრეკილ“, ყოველდღე შეჰქირვებულ, წყლულებისგან “შეყროლებულ” და “შელპობილ” ადამიანებს, რომლებზეც არავინ ზრუნავდა (შდრ. ფსალმ. 37. 5-8). ურვათა სიმრავლისაგან პურის ჭამაც კი დავიწყებოდათ. წყალს ცრემლით აზავებდნენ, პურის ნაცვლად მიწასა და ნაცარს ჭამდნენ. ხორცი ძვალს მიჰკროდა და სხეული თივასავით გახმობოდათ (შდრ. ფსალმ. 101. 4-11). გარდა ამ სიტყვებისა, მათგან ვერაფერს გაიგებდით: “ვაიმე, ვაიმე! ეს რა დამემართა მე საცოდავს! სამართლიანად, სამართლიანად! მომიტევე, მუუფეო, მომიტევე! შემიწყალე, მოწყალეო! შემინდე, მაცხოვარო ყოველთაო!” ძმებო, იქ ვნახე ადამიანები, რომლებსაც გავარგარებული ენები მხეცის მსგავსად პირიდან გადმოეგდოთ. ზოგი სიცხით იტანჯავდა თავს, ზოგი — ყინვით. ზოგი

იმდენად ცოტა წყალს სვამდა, რომ წყურვილით არ მომკვდარიყო. ზოგი იგემებდა რა მცირეოდენ პურს, ჭამას მაშინვე თავს ანებებდა და ამბობდა: “ვინც პირუტყვებივით მოვიქეცით, ისინი ადამინურ საკვებს არ ვიმსახურებთ.”

სადღა იყო მათთან ღიძილი, შვება, უქმი ლაპარაკი, გულის-წყრომა ან მრისხანება? მრისხანება?! – სრულიად დავი-წყებოდათ და აღარც ახსოვდათ, საერთოდ თუ არსებობდა მსგავსი რამ ადამიანებს შორის, იმდენად გაენადგურებინა გლოვას მათი გულისწყრომა.

სადღა იყო მათთან სიტყვის შებრუნება, კადნიერება ან სხეულის მოსვენება? სადღა ნახავდით მათთან სიამაყის კვალსა და შეგძის იმედს? ვინდა ფიქრობდა ღვინოზე, ხილზე, მოხარშულ საჭმელსა თუ ტებილის გასინჯვაზე? ამ საწუ-როში მათ ყოველივე ამის იმედი წარკვეთოდათ.

ვინდა ზრუნავდა რაიმე აქვეყნიურ საჭიროებაზე? სადღა იყო კაცის განკითხვა? მათგან ყოველთვის ეს სიტყვები და ღაღლადისი ისმოდა:

ზოგიერთები ძლიერ ირტყამდნენ მკერდში ხელს და თითქოს ზეციურ კართან მდგარიყენ, ღმერთს მიმართავდნენ: “გაგვიღე, ჰო, კეთილო მსაჯულო, გაგვიღე! გაგვიღე მოწყა-ლების კარი, რომელიც ჩვენი ცოდვებით დავხშეთ! გაგვიღე!”

სხვები ამბობდნენ: “მუფეო, გამოგვიბრწყინე “პირი შენი და ვცხონდეთ” (შდრ. ფსალმ. 79. 3). სხვები ამბობდნენ: “ჰოი, მეუფეო, გლახაკთა და “ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა” მსხდომთ გამოგვიჩინე ნათელი შენი” (შდრ. ლუკა 1. 79). სხვები სხვაგვარად ამბობდნენ: “მსთუად მეწინენ ჩუენ წყალობანი შენნი, უფალო, რამეთუ დავგლა-საკენით ფრიად”, ვიღუპებით და განწირულნი ვართ” (შდრ. ფსალმ. 78. 8). სხვები ამბობდნენ: “მმებო, გამოაჩინა უფალმა ნათელი თვისი ჩუენ ზედა?” (შდრ. ფსალმ. 66. 1). სხვები ამბობდნენ: “მმებო, “ლუარსა განხდა სული ჩუენი... წყალსა მას წინა დაუდგრომელსა ცოდვათა ჩუენთა?” (შდრ. ფსალმ. 123. 4-5)

სხვები ამბობდნენ: “საყვარელო ძმებო, ამიერიდან შეგვინდობს ღმერთი? ან გავიგონებთ მის ხმას, რომ გვეუბნებოდეს: “ვისაც სამუდამოდ გადევთ ბორკილები, გამოდით! ვინც ჯოჯხეთში ჩავარდნილხართ, შემინდვის თქვენი სინანულის გამო!” ყურთ ესმა უფალს ჩვენი ხმა?”

ყველას სიკვდილი ედგა თვალწინ და ამბობდნენ: “ეჰ, როგორი იქნება ჩვენი აღსასრული? ეჰ, როგორი განაჩენი გვეწება, ან სად წავალთ? ჩვენ – გლახაკებს, დაბნელებულებსა და დასჯილებს – გვექნება კი შენდობა? ან ჩვენმა ვედრებამ მიაღწია უფალთან, თუ შერცხვენილი და დამდაბლებული უკუმოიქცა? და თუ უფალთან მიაღწია, რა ქნა? რამდენად შეაბრალა ჩვენი თავი უფალს? ან რა სარგებლობა მოგვიტანა, რადგან არაწმიდა პირიდან და სხეულიდან გამოვიდა და არავითარი ძალა არ გააჩნია?

სრულიად მოწყალე ჰყო ჩვენზე მსაჯული, თუ მცირეოდენ? ნახევრად განიკურნა ჩვენი წყლული? – დიდია ჩვენი წყლული და მრავალი შრომა და ოფლი სჭირდება მის განკურნებას.

მოგვიახლოვდნენ ჩვენი მცველი ანგელოზები, თუ ჯერ კიდევ შორს დგანან ჩვენგან? და თუ არ მოგვიახლოვდნენ, მაშინ ფუჭად და უსარგებლოდ გვიშრომია, რადგან თუ ისინი არ მოგვიახლოვდებიან, არ მიიღებენ ჩვენს ლოცვას და არ შესწირავენ უფალს, თავისთავად ჩვენს ლოცვას არც კადნიერება გააჩნია და არც სიწმინდის ფრთები, უფალთან რომ მიაღწიოს“.

ისინი ერთმანეთს არაერთხელ ეუბნებოდნენ: “ეჰ, ძმებო, რას იტყვით, რაც გვინდოდა, მივაღწიეთ იმას? მოგვეცემა, რაც ვითხოვთ? მიგვიღებს უფალი? გაგვიღებს მოწყალების კარს?” სხვები იტყოდნენ: “როგორც ჩვენი ნინევიელი ძმები ამბობდნენ: „ვინ იცის, ნუ უკუე შეინანოს უფალმან“ (იონა 3. 9), და გვიხსნას დიდი ტანჯვისგან?!

ჩვენ რაც შეგვიძლია, ის გავაკეთოთ. თუ მოწყალების კარს გაგვიღებს – კეთილი, და თუ არა – “კურთხეულ არს უფალი”, რომელმაც სამართლიანად დაგვიკეტა კარი. ჩვენ

მაინც ვიდგეთ და ვრეკოთ სიცოცხლის ბოლომდე, იქნებ, ჩვენგან თავგაბეზრებულმა თავისი მოწყალებით მაინც გაგვიღოს?!”

კიდევ ასე ეუბნებოდნენ ერთმანეთს: “გავიქცეთ, მმებო, გავიქცეთ! სწორედაც რომ უნდა გავიქცეთ, თანაც სწრაფად, რადგან ჩვენს კეთილ სამმოს ჩამოვრჩით. ვიჩქაროთ, არ დავინდოთ ჩვენი ბოროტი და შეგინებული ხორცი და ისევე მოვკლათ, როგორც მან მოგგკლა ჩვენ!” ასეც იქცეოდნენ სანატრელნი!

მმებო, ვნახე, თუ როგორ გახევებოდათ მათ მუხლები მრავალი მუხლთა დრეკისგან. ვნახე ტირილით ამომწვარი და ღრმად ჩავარდნილი თვალები, დაცვენილი წამწამები. შეურვალე ცრემლთა სიმრავლეს ღაწვები დაესერა და დაელარა, სახე დასძნობოდათ და ჩაყვითლებოდათ. მკვდრებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. იმდენს ირტყამდნენ მკერდში ხელს, რომ ჭრილობები გასჩენოდათ და ზედიზედ დარტყმისას სისხლი სდიოდათ.

სადღა ზრუნავდნენ საწოლსა და ნორმალურ სამოსზე! ყველას დაფლეთილი, უვარგისი, ჭუჭყიანი და ტილით გავსებული სამოსი ეცვა. ეშმაკეულთა ტანჯვა, ჭირისუფალთა მიერ მკვდრების გლოვა, გადასახლებაში მყოფთა და კაცისკვლისათვის შეპყრობილთა ვარამი არაფერი იყო მათ წამებასთან შედარებით.

ნამდვილად, არავინ აიძულებდა მათ, ასე ეტანჯათ თავი. ისინი საკუთარი ნებით იგვემდნენ თავს. მმებო, არ გეგონოთ, თითქოს სიცრუეს ვამბობდე.

წინამძღვრისთვის – ამ დიდი და ჭეშმარიტი მწყემსისთვის, კაცთა შორის ანგელოზისთვის – მათ არაერთხელ უთხოვიათ, რომ ეშმაკეულების მსგავსად მათოვისაც დაედოთ ხელ-ფეხზე ბორკილი, კისერზე ჯაჭვი მოებათ, ფეხებზე ხუნდები შეესხათ და სიკვდილის კარამდე არ აეხსნათ.

ვერც მათ უზომო თავმდაბლობას, დავთისადმი სიყვარულსა და სინაწულს დავმალაგ: როცა სინაწულის ქვეყნის ამ ქველ მოქალაქეებს უფალთან მისვლა და მისი მოუკერძოებელი საყდრის წინაშე წარდგომა ეგულებოდათ, რაუმს რომელიმე მათგანი მოახლოებულ აღსასრულს იგრძნობდა, დიდ მამას მათვის მიჩნილი წინამდლვრის პირით ევედრებოდნენ და აფიცებდნენ, რომ ადამიანებივით დამარხვის ღირსი არ გაეხადათ და პირუტყვებივით მხეცების საჭმელად დაეგდოთ ან მდინარეში ჩაეყარათ. სიბრძნის მნათობსაც ბევრჯერ შეუსრულებდა მათი თხოვნა და ფსალმუნისა და პატივის გარეშე უბრძანებდა მათი გაყვანა.

მოისმინეთ, რამდენად საშინელი სანახავი იყო მათი სიცოცხლის უკანასკნელი წეუთები: როცა წმიდა მონაწულები გაიგებდნენ, რომ რომელიმე მათგანი აღესრულებოდა, სანამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ გონებაზე იყო, წყურვილითა და სურვილით, საბრალო სახითა და მწუხარე ხმით, თავის ქნევით მივიდოდნენ მომაკვდავთან და იწვოდნენ რა მისდამი თანაგრძნობით, ეკითხებოდნენ: “რას იტყვი, ძმაო, და ჩვენთან ერთად მონაწულო! რას იტყვი, რისი იმედი გაქვს, რას მოელი? რისთვისაც იღვწოდი, მიაღწიე, თუ არა? გაგიღეს მოწყვლების კარი, თუ კვლავ ბრალეული ხარ? მიაღწიე, რასაც ესწრაფვოდი, თუ ჯერ კიდევ შორს ხარ? გადაწყდა რამე, თუ ისევ გაურკვეველი იმედი გაქვს?”

მოგეცა თავისუფლება, თუ ჯერ კიდევ ეჭვობ? მოეფინა გულს ნათელი, თუ ჯერ კიდევ ბნელშია? გაიგონე შინაგანი ხმა, რომ გეუბნებოდეს: “აპა, ცოცხალ იქმენ” (იოანე 5. 14); ან “მოგეტევნ შენ ცოდვანი შენინ” (მათე 9. 2); ან “სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ”; ან “აპა, განკურნებულ ხარ?” იქნებ, ჯერ კიდევ გესმის ხმა, რომელიც გეუბნება: “მიიქცენ ცოდვილნი ჯოჯხეთს” (ფსალმ. 9. 17); ან “შეუკრენით მაგას წელნი და ფერწნი მისნი” (მათე 22.

13); ან “მოისპენ უღმრთოდ, რაღთა არა იხილოს დიდებად უფლისა” (ესაია 26. 10).

რას იტყვი, ძმაო? გვევდრებით, გვითხარი, სად ხარ, რათა ჩვენც ვიცოდეთ, რა მოგველის. შენი უამი უკვე დადგა და სხვა აღარ გექნება უკუნისამდე.”

ზოგიერთი მომაკვდავი კითხვებს პასუხობდა: “კურთხეულ არს უფალი, რომელმან არა მიმცნა ჩუენ ნადირად კბილთა მათთა” (ფსალმ. 123. 6); სხვები ამბობდნენ: “კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან არა განიშორა ლოცვად ჩემი და არცა წყალობად მისი ჩემგან” (ფსალმ. 65. 20); სხვა ტკივილით ამბობდა: “განჯდა-მეა სული ჩუენი წყალსა მას წინადაუდგრომელისა“ ჰაერისმცველთა” (შდრ. ფსალმ. 123. 5). ეს უკანასკნელი იმიტომ ამბობდა ასე, რომ ჯერ კიდევ გაურკვევლობაში იყო და ელოდა, რა მოხდებოდა სამსჯავროზე. სხვა უარეს ამბობდა: “ვაი იმ სულს, რომელსაც ალთქმა უბიწოდ არ დაუცავს. ამ დროს გათებს, რაც ელოდება.”

როცა ყოველივე ეს ვიხილე, ლამის იმედი წარმეკვეთა, ვხედავდი რა ჩემს უწესობასა და იმათ მოღვაწეობას. და რამდენად ბნელი ადგილი გახლდათ!.. ჰაერიც კი მყრალი, საშინელი და შემაწუხებელი იყო. დამსახურებულად ეწოდებოდა მას „დილეგი“ და „საპყრობილე“. მარტო ადგილის ხილვაც კი სინანულისა და გლოვისთვის განგაწყობდათ.

რაც სხვებისთვის რთულია და აუტანელი, ის სულიერ სიმდიდრეს მოკლებულთა და ამ სიმდიდრის მოსურნეთ ტკბილად და საამოდ ესახებათ. სული, რომელიც თავდაპირველ კადნიერებას დაკარგავს, უვნებობის მიღწევის იმედს წარიკვეთს, სიწმინდის ბეჭედს გარყვნის, მაღლი შემოქარცვება, ღვთის ნუგეშს მოაკლდება, ალთქმას შეურაცხყოფს და ცრემლთა ცეცხლს დაშრეტს, მაშინ, თუ მასში ჯერ კიდევ დარჩენილა ღვთის შიშისა და სიყვარულის ნაპერწკალი (როგორებიც ჩვენ მიერ ნახსენები წმიდანები იყვნენ), მათ

გახსენებაზე ლახვარი გაუვლის და არა მარტო ზემოთქმულს იდებს თავს, არამედ ღვთის გულისთვის სიკვდილსაც არ მოერიდება.

ისინი როცა დაფიქრდებოდნენ და იხსნებდნენ, თუ რა სიძალლიდან გადომვარდნენ, ამბოდნენ: “გავიხსენოთ წარსული დღეები! როგორ ჩაგვიქრა და გაუჩინარდა გულის მხურვალება და მოშურნების ცეცხლი?!“ სხვები ღმერთს შეჰდალადებდნენ: “სადა არიან წყალობანნი შენნი პირველნი, უფალო“ (ფსალმ. 88. 49), შენი ჭეშმარიტებით ჩვენს სულებს რომ უჩვენე? მოიხსენე მონათა შენთა შრომა და ყველრება!”

სხვები ამბობდნენ: “ვინმე მყოს მე თუეთა მათებრ პირველთა დღეთა მათ, რომელთა მცვიდა უფალი? ოდეს-იგი ბრწყინვიდა ნათელი მისი ზედა თავსა ჩემსა“ გულისასა“ (იობი 29. 2-3).

ამგვარად იგონებდნენ ისინი წარსულ სათნოებასა და მოღვაწეობას და ისე გოდებდნენ მასზე, როგორც მამა დასტირის ხოლმე მკვდარ შვილებს. ასე ამბობდნენ:

“სადაა ჩვენი ლოცვის სიწმინდე? სადაა მისი კადნიერება? სად არის ტკბილი ცრემლები, ამ მწარე ცრემლების ნაცვლად რომ გვქონდა? სადაა უმანკოებისა და სრულყოფილი სიწმინდის იმედი? სადაა ნეტარი უგნებობის მოლოდინი? სადაა რწმენა, მწყემსის მიმართ რომ გვქონდა?

სადაა მისი ლოცვით ჩვენზე გარდამომავალი მადლი? – ყოველივე დავღუპეთ და ისე გაუჩინარდა, თითქოს არც ყოფილა.”

გავიგე, რომ ზოგიერთი მათგანი ხორცის დასატანჯავად ეშმაკეულობას ითხოვდა ღვთისგან. ზოგიერთი სახის დამახინჯებას ევედრებოდა, რათა ყველასთვის თითით საჩვენებელი გამხდარიყო, ოღონდაც კი რამენაირად განრიცებოდა საუბუნო სატანჯველს. ზოგიერთი კეთრს ითხოვდა.

ძმებო, როცა მათი საოცარი მოღვაწეობა და ტირილი ვიხილე, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი, გონებით აღვთერთოვანდი

და ვეღარ ვმშვიდდებოდი. ოცდაათი დღე გავატარე მათთან  
საპყრობილები, შემდეგ ვეღარ გავძელი და ისევ დიდ  
მონასტერში, დიდ მამასთან დავბრუნდი.

როცა მან ჩემი სიფერმკრთალე შეამჩნია, მიხვდა, რაც  
იყო ცვლილების მიზეზი და მითხრა: “რაო, მამა იოანე, ნახე  
მოღვაწეთა შრომა?” “ეჭ, მამაო, ნამდვილად შემზარავი რამ  
ვიხილე. განცვიფრებული ვარ და იმათ უფრო შევნატრი,  
რომლებიც დაეცნენ, ნანობენ და თავს გლოვობენ, ვიდრე  
იმათ, რომლებიც არ დაცემულან და არც გლოვობენ, რადგან  
რომელი დაცემულიც გლოვობს, წამოდგება და აღარ დაცემა”,  
— ვუპასუხე მე. “ნამდვილად, ასეა!” — მითხრა მან.

სიმართლის მთქმელი მისი ბაგეებიდან მსმენია: “ათი  
წლის წინ აქ ერთი ძმა იყო, დიდი მშრომელი და მოღვაწე  
ადამიანი. ვხედავდი რა მის სულიერ მგზნებარებას, სულ  
ვშიშობდი, სიკეთის მოძულე ეშმაკს შური არ აეღო და  
ასეთი სწრაფი წინსვლისას ძმას ქვაზე ფეხი არ წამოეკრა,  
როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე სწრაფად  
მოსიარულეებს. ასეც მოხდა...

ერთ დამეს ძმა ჩემთან ამოვიდა, დაუფარავად მიჩვენა  
სულიერი წყლული, მისი მოწვა და სამკურნალო წამალი  
ითხოვა. უზომოდ წუხდა. როცა მიხვდა, რომ მკურნალი  
მისთვის კანონის დამძიმებას არ აპირებდა (რადგან  
შეწყალებასა და შენდობას იმსახურებდა), მიწაზე დაემხო,  
ფეხებზე მოეხვია და ცრემლებით დაბანა. შენ რომ  
საპყრობილე იხილე, იქ ითხოვა წასვლა. ასე ღაღადებდა:  
“შეუძლებელია, რომ იქ არ წავიდე!” და მკურნალს აიძულებდა  
მისდამი ლმობიერი დამოკიდებულება სისასტიკით შეცვალა,  
რასაც ავადმყოფებში იშვიათად ნახავთ.

წავიდა ის მონანულებთან და გახდა მათი ამხანაგი და  
თანამოღვაწე. დასწეულდა ღვთის სიყვარულით დამწუხერე-

ბული მისი გული და მერვე დღეს ღვთივ-განისვენა. მო-  
მაკვდავმა ითხოვა, არ დაემარხათ და გარეთ გადაეგდოთ.

მე კი აქ მოვიყვანე და როგორც ღირსეული, მამებთან  
დაგმარხე, რადგან ერთკვირიანი მონობის შემდეგ  
გათავისუფლდა და სამუდამო აზნაურობა მიიღო. აქ არის  
კაცი, რომელსაც ცხადად უუწყა, რომ ის ჯერ კიდევ ამ  
უღირს და საძაგლ ფეხებთან იყო დამსხობილი, როცა ღმერთმა  
ცოდვები მიუტევა.

ან რა გასაკვირია, როცა მან, მეძავი დედაკაცის სარწმუ-  
ნოებით აღვისილმა, ამ დედაკაცის მსგავსად სასოებით ცრემ-  
ლებით დაალტო ჩემი უღირსი ფეხები და ამისთვის ცოდვათა  
შენდობაც მიიღო. როგორც უფალმა თქვა: “ყოველივე  
შესაძლებელ არს მორწმუნისა” (მარქოზი 9. 23).

16. მინახავს ბოროტ ხორცოთა ტრფიალებით გარყვნილი და  
გაგიუებული ადამიანები, შემდგომ გულში სინანულის ცეცხლი  
რომ მოუპოვებიათ, და რადგან სიყვარულში გამოცდილები  
ყოფილან, ბოროტი დაუტევებიათ, მხურვალებით ღვთისადმი  
პირველის მსგავსი ნამდვილი ტრფიალება მოუხვეჭავთ,  
მეყვსეულად დაუძლევიათ ყოველგვარი შიში და ღვთის  
სიყვარულისთვის მიუღწევიათ. აი, ამიტომ არ თქვა უფალმა  
მეძაგზე: ძალიან შეეშინდაო, არამედ თქვა: “შეიყურა ფრიად”  
(ლუკა 7. 47). ამიტომ შეძლო მან ადვილად ღვთიური და  
წმიდა სიყვარულით ბოროტი და საძაგელი ტრფიალების  
განდევნა.
17. ჰოი, საყვარელო ძმებო, ვიცი, ბევრი არ დაიჯერებს და  
ბევრიც სასოწარკვეთილების მომტანად შერაცხავს იმ  
ლევაწლს, რომლის შესახებაც გიამბეთ. ხოლო მამაცი და  
გონიერი ადამიანი ამ სიტყვებით მახვილსა და ცეცხლოვან  
ისარს მიიღებს, გულში კი საღვთო შური აღემცრება საქმითა,  
და არა სიტყვით. ხოლო ვისაც აღნიშნულ საქმეთა კეთება  
არ შეუძლია, თავისი უძლურება და სიძღაბლე შეიცნოს, და

- თუ მოისურვებს, ყოველივეს ადვილად შეძლებს, პირველს დაუდევნება, მაგრამ ის კი ადარ ვიცი, რამდენად მოახერხებს მის დაწევას. ზარმაცმა ადამიანმა, დაე, არც გაბედოს ზე-მოთქმულის გაკეთება. ვათუ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს, რასაც აკეთებს, ისიც წყალში ჩაყაროს და მასზე აღსრულდეს სიტყვები: მოთმინება “რომელსა არა აქუნდეს და რომელ-და იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან” (მათე 25. 29).
18. საყვარელნო, ვინც ცოდვის ორმოში ჩავარდნილვართ, უნდა ვიცოდეთ, რომ შეუძლებელია იქიდან ამოსვლა, თუ მონანულთა თავმდაბლობის უფსკრულში არ ჩავეფლობით.
  19. სხვაა მონანულთა ტირილითა და მწუხარებით გაზავებული თავმდაბლობა, სხვაა ჯერ კიდევ ცოდვაში მყოფთა და სინ-დისისგან დასჯილთა თავმდაბლობა, და სხვაა ღვთივ-გარ-დამოსული სანატრელი და სულთა გამამდიდრებელი თავმდაბ-ლობა სრულყოფილთა.
  20. ამაռდ დავშვრებით, თუ მესამე თავმდაბლობის სიტყვებით გადმოცემას შევეცდებით, რადგან შეუძლებელია მისი სიტყვებით გაგება. პირველის ნიშანი კი გინებისა და შეურაცხყოფის მუდმივი დაომენაა.
  21. ძველი ქცევა და ჩვეულებები ხშირად მძლავრობს იმათში, რომლებიც ცოდვებს დასტირიან, და ეს არცაა გასაკვირი.
  22. იდუმალებითაა მოცული, თუ როდის რა მიზეზით ვისჯებით დაცემით; ჩვენი გონება ვერ მისწვდება, თუ როდის ვეცემით სიზარმაცის მიზეზით, როდის – განვების მიშვებით და როდის – ღვთის მიტოვების შედეგად. მავანმა მითხრა, რომ როცა ღვთის განვებით ვეცემით, მალე ვდგებით კიდეც, რადგან ვინც ჩვენდა სასწავლებლად დაუშვა დაცემა, ის ეშმაკს არც ხანგრძლივად ატანჯინებს ჩვენს თავს.
  23. ვინც დავეცით, უნდა ვიღვაწოთ და შევებრძოლოთ ეშმაკს, განსაკუთრებით ლოცვის ღროს, რადგან სწორედ მაშინ გვესხმის ის თავს და გვახსენებს ღვთისადმი ჩვენს უწინდელ კადნიერებას, სურს რა, ამით ლოცვა-ვედრებაში შეგვიშალოს ხელი.

24. ნუ შეგიპყრობს უიმედობა, თუნდაც რომ ყოველდღე დაეცე, არამედ მამცურად და გონივრულად გააგრძელე სინაული. მოწონება შენი მოთმინება მცველ ანგელოზს და უეჭვლად შეგეწევა.
25. ადვილად იკურნება წყლული, სანამ ახალია; დაძველებული და უყურადღებოდ დატოვებული კი ძნელი საკურნებელია და დიდი შრომა, წამალი, კვეთა და მოწვა სჭირდება ამ საწუთოში, რათა მისი მიზეზით თავად სულიც არ დაიწვას.
26. ზოგიერთი წყლული დროთა ვითარებაში აღარც იკურნება, „ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“ (მათე 19. 26).
27. ცოდვით დაცემამდე ეშმაკები გვეუბნებიან: “ღმერთი ცოდვათა მიმტევებელია”; დაცემის შემდეგ კი გვეუბნებიან: “ღმერთი ართლმსაჯულია”.
28. არ დაუჯერო იმას, ვინც პატარა შეცოდებებზე გეუბნება: “ნეტავ, დიდი არ ჩაიდინო, თორემ ეს რა არის”. ხშირად პატარა ძლვენსაც დაუცხრია მსაჯულის დიდი გულისწყრომა.
29. ვინც ჭეშმარიტ სინაულშია, მას დაკარგულად მიაჩნია ყოველი დღე, როცა არ გლოვობს, თუნდაც რომ იმ დღეს რამე სიკეთე ჩაიდინოს.
30. ნურც ერთ მონანულს ექნება მოლოდინი იმისა, რომ სიკ-ვდილის ქამს შეინანებს და შენდობას მიიღებს. ის, რაც უცნობია და უხილვი, არც სარწმუნო არის.
31. შენ მაუწყე და “მიღწინე მე, რაღთა განმისუენო პირველ წარსვლად ჩემდამდე” ეჭვითა და შიშით (ფსალმ. 38. 14).
32. იცოდე, მმაო, სადაც არის სული ღვთისა (შდრ. 2 კორ. 3. 17), იქ ცოდვათა ყოველგვარი ბორკილებიც ირღვევა.
33. ვისაც სრული თავმდაბლობა აქვს, მისი ცოდვათა ბორკილებიც დარღვეულია. ვინც შორს არის ზემოაღნიშნული ორი საქმისგან, ნუ შეცდება, რადგან ბორკილებისგან თავისუფალი არ არის.

34. ვინც საკუთარ თავს გლოვობს, ის სხვას არც განიკითხავს და არც დაცემის გამო განსჯის.
35. როცა მზეცი ძალლს უქბენს, ძალლი ამ უკანასკნელზე უფრო ბრაზდება და რადგან ნაკბენი სტკივა, უფრო გაშმაგებით ებრძვის მას.
36. ფრთხილად ვიყოთ, მმებო: ვაითუ, სინდისი იმიტომ კი აღარ გვამხელს, რომ წმინდაა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი მხილება მოსწყინდა.
37. ცოდვათა მიტევების ნიშანი ისაა, როცა ადამიანს ყოველთვის მოვალედ მიაჩნია საკუთარი თავი.
38. არაფერი შეედრება ღვთის მოწყალებასა და სახიერებას. ამიტომ საკუთარი თავის მკვლელია ის, ვისაც სასოება წარუკვეთავს.
39. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ იზარმაცებს ის, ვინც თავმდაბალია და ცოდვებს დასტირის. ვინც ამ ორისგან შორის არის, თავს იტყუებს.
40. ჭეშმარიტი სინაწულის ნიშანი ისაა, როცა დამსახურებულად მიგვაჩნია ყოველგვარი ზიღული თუ უხილავი ჭირი და განსაცდელი.
41. მას შემდეგ, რაც მოსემ მაყვლოვანში ღმერთი იხილა, ისევ დაბრუნდა ეგვიპტეში, ანუ სიბნელეში, სადაც ფარაონისთვის ალიზს ამზადებდნენ. მაგრამ ის კვლავ ავიდა მაყვლოვანში და უფრო მეტიც მიიღო. ვინც ნათევამის აზრს მიხვდება, არასდროს წარიკვეთს სასოებას.
42. იობიც დაგლახაკდა, მაგრამ ორჯერ მეტად გამდიდრდა.
43. ზარმაცებისთვის რთულია აღთქმის შემდეგ დაცემა: მათ უკნებობის მიღწევის იმედი ეკარგებათ და მხოლოდ ორმოდან ამოსვლას-და ნატრობენ.
44. არ დავბრუნდეთ იმ გზით, რომელმაც დაგვაბნია, არამედ სხვა, მოკლე და ახლო, გზით ვიაროთ.
45. ვნახე, ერთ გზაზე ღვთისკენ ერთდროულად მიმავალი ორი ადამიანი, რომელთაგან ერთი მოხუცებული იყო და შრომით

უპირატესი, მეორე კი – მოწაფე. მოწაფე ბერზე წინ გარბოდა და თავმდაბლობის საფლავთან მისვლაც მან მიასწრო (შდრ. ოთა 20. 4).

46. ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველა, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც დავეცით, რათა უღმერთო ორიგენეს სენი არ დაუუფლოს ჩვენს გულებს. ეს ბილწი ადამიანი ღვთის კაცობრივარეობას აყენებს წინ და ავხორცებისა და ზარმაცებისთვის მისაღებია ხოლმე მისი სწავლება.
47. “ზრახვასა ჩემსა”, მით უმეტეს ჩემს სინანულს, “აღატყდეს ცეცხლი” ვნებათა საგნის შემწველი ლოცვისა (შდრ. ფსალმ. 38. 4).
48. დაე, ზემონახსენებ “დილეგში” მსხდომი წმიდანები იყვნენ შენთვის სინანულის მაგალითი და იმის მაჩვენებელი, თუ როგორ და რა ზომით გმართებს სინანული. მაშინ აღარ დაგჭირდება წიგნი სინანულის აღდგომის უამს ქრისტე—ძე ღვთისას გამოჩენამდე, რამეთუ მისია დიდება თანა მამით და სულიწმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჰო, მონანულო! ხუთი საფეხური აგივლია, სინანულით ხუთი გრძნობა განვიწმენდია და ამ საწუთროში შენივე ნებით დაგიტანჯავს რა თავი, უნებურ საუკუნო სატანჯველს განრიდებიხარ.



**თავი მემკვე  
აისივე თქმული  
სიკვდილზე ფიქრისთვის**

1. ყოველი სიტყვის წინამძღვარი აზრია, ხოლო ყოველგვარი ტირილისა და გლოვისა – სიკვდილისა და ცოდვებზე ფიქრი. ამიტომ დავაწესეთ ეს უკანასკნელი ჩვენს სიტყვაში თანახმად რიგისა.
2. სიკვდილზე ფიქრი ყოველდღე სიკვდილია.
3. სიკვდილის ხსოვნა მუდმივი ოხვრაა.  
სიკვდილის შიში ბუნებრივი საქმეა და ურჩობის შედეგს წარმოადგენს; ხოლო სიკვდილის მიმართ ძრწოლა მოუნანებელი ცოდვების ნიშანია.
4. ქრისტეს სიკვდილის შეეშინდა, მაგრამ არ შეძრწუნებულა, და ამით ორივე ბუნების თვისებები წარმოაჩინა.
5. რამდენადაც სხვა საზრდელთან შედარებით პური ყველაზე მეტადაა საჭირო, იმდენად აღმატება სიკვდილზე ფიქრი ყოველგვარ ზრახვასა და საქმეს.
6. სამმოში მყოფებს სიკვდილზე ფიქრი შრომისკენ, მოღვაწეობისა და შეურაცხოფის ტვირთვისკენ უბიძგებს; განმარტოებით მყოფებში კი ის გულისტკივილს აღმრავს, რომლის დედა სანატრელი სიტყობოებაა. სიტყობოება კი არის მიზეზი ყოველგვარი ზრუნვის უარყოფისა, მუდმივი ლოცვისა და გონების დაცვისა. აი, ესენი არიან სიკვდილზე ფიქრის მშობლებიცა და ასულებიც.
7. მიუხედავად მსგავსებისა, რამდენადაც კალა განსხვავდება კერცხლისგან, გონიერი ადამიანისთვის იმდენად ცხადია სხვაობა სიკვდილის ბუნებრივსა და არაბუნებრივ შიშს შორის.
8. სახე და ნიშანი სიკვდილის ჭეშმარიტად ხსოვნისა არის ამა სოფლის ყოველგვარ საქმეთა უგულებელყოფა და საკუთარი ნების სრული უარყოფა.

9. ჭეშმარიტად გამოცდილია ის, ვინც ყოველთვის სიკვდილს მოელის; ხოლო წმიდა და სრულყოფილია იგი, ვისაც ყოველდღე სწადია სიკვდილი.
10. არაა მოსაწონი სიკვდილის ყოველი გულისთქმა: ზოგიერთს ჩვეულება სძლევს, ცდება და სიკვდილი თავმდაბლობით სწადია, მაგრამ განერიდება კიდეც მას. სხვა უგუნურებით ნატრობს სიკვდილს. არიან ისეთებიც, რომელთაც სინანული არ სურთ და სასოწარკვეთილების გამო ესწრაფვიან სიკვდილს. ზოგს ამპარტავნებისა გამო უვნებლად მიაჩნია თავი და სიკვდილის არ ეშინია. არიან ისეთებიც (თუ საერთოდ არსებობენ ამჟამად), რომლებშიც სულიწმიდაა დამკვიდრებული და მისი ძალით სურთ ამ ქვეყნიდან გასვლა.
11. ზოგიერთი საგონებელშია და ამბობს: “ რატომ დაგვიმალა ღმერთმა ჟამი ჩვენი სიკვდილისა, თუ ამდენად სასარგებლოა სიკვდილზე ფიქრი?” და არ იციან, რომ საკვირველი სახით ღმერთმა ჩვენივე ცხონებისთვის გააკეთა ეს. ადამიანებმა წინასწარ რომ იცოდნენ, როდის მოკვდებოდნენ, დიდი ხნით ადრე არავინ მივიდოდა მოსანთლავად და არც მონაზონი გახდებოდა, არამედ ურჯულოებით განვლიდნენ ცხოვრებას, სიკვდილის წინ მივიდოდნენ მოსანათლავად და მოსანანიებლად.
12. როცა ცოდვებზე გლოვობ, არ დაეთანხმო ეშმაკს, რომელიც გეუბნება: “ რატომ გლოვობ? – ღმერთი კაცომოყვარეა და გლოვის გარეშეც შეგინდობს.” იცოდე, ეშმაკის განზრახვა ისაა, რომ გლოვასა და ღვთის შიშს განგაშოროს; მაგრამ თუ სასოწარკვეთილება მოგეძალა, მაშინ არც ამგვარ ფიქრს მოერიდო.
13. ვისაც სურს, ყოველთვის ახსოვდეს სიკვდილი და ღმერთი, მაგრამ ხორციელ საზრუნავსა და მოუცლელობას მისცემია, მი კაცს ჰგავს, რომელსაც ხელები შეუკრავს და ცურვა მოუწადინებია.
14. სიკვდილის ხსენება საჭმელს გემოს უკარგავს და რაჟამს ეს თავმდაბლობით მოხდება, მასთან ერთად ვნებებიც აღიკვეთება.

15. გულის ულმობლობა გონებას ასასტიკებს, ხოლო ბევრი საჭმელი ცრემლთა წყაროს აშრობს.
16. წყურვილი და ძღვიძარება გულს შეაჭირვებს, შეჭირვებული გული კი გლოვასა და ცრემლთა დენას იწყებს.
17. ეს სიტყვები მკაცრად და მძიმედ მოეჩვენებათ ნაყროვანებს, დაუჯერებლად – ზარმაცებს, ხოლო ჭეშმარიტების მუშაკები საქმით გამოსცდიან მას და სიკეთეს პოვებენ.
18. ვინც გამოცდილებით შეიცნო ეს, მისით ზარობს; ხოლო ვინც ჯერ კიდევ ძიებაშია, მის მოპოვებამდე მწუხარებას ვერ ასცდება.
19. მამები სრულყოფილ სიყვარულზე ამბობენ: “არასადა დაცეც”; მე კი ვიტყოდი, რომ სიკვდილის სრულყოფილმა ხსოვნამ არ იცის შიში.
20. ბევრი საქმე აქვს მოლვაწის გონებას. ესენია: ღვთის სიყვარული, ხსენება ღვთისა, სასუფევლისა, წმიდა მოწამეების მოშურნეობისა, ღვთის ყოვლისმხედველობისა თანახმად ნათქვამისა: “წინაღსწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა მარადის” (ფსალმ. 15. 8), ხსენება უხილავი წმიდა ძალებისა, სიკვდილისა, სატანჯველისა და ღვთის მომავალი განაჩენისა. დავიწყეთ დიდი საქმეებით და იმით დავასრულეთ, რაც ცდომისა და დაცემისგან გვიფარავს.
21. ერთმა ეგვიპტელმა მმამ მიამბო: “მას შემდეგ, რაც სიკვდილზე ფიქრი გულში ჩემქენდა, ერთხელ საჭიროებიდან გამომდინარე მოვიწადინე, მცირეოდენ მენუგეშებინა ხორცი; მაგრამ სიკვდილი გამახსენდა, რომელმაც აღვირი ამომდო და განზრაზვაზე ხელი ამაღებინა. საკვირველი ის იყო, რომ არ მინდოდა სიკვდილზე მეფიქრა, მაგრამ ვერ შევძელი”.
22. აქვე, თოლაში, ცხოვრობდა სხვა მმა, რომელიც სიკვდილზე ფიქრით ხშირად ისე გაოგნდებოდა ხოლმე, რომ იქ მყოფ მმებს ხელში აყვანილი გაჰყავდათ გონებაწართმეულთა, გულშეღონებულთა და უსულოთა მსგავსად.

23. არც ევსუქი ქოზიბელის ამბავზე გავჩუმდები და გიამბობთ: თავდაპირველად ის ზარმაცობდა და საერთოდ არ ზრუნავდა სულზე. ამგვარ ცხოვრებას ეწეოდა, როცა მძიმე სენი შეეყარა, გონიერა და კარგა და მისი სული ერთი საათის განმავლობაში ნაძლვილად გაეყარა ხორცს. გონის როცა მოეგო, იქ მყოფებს გარეთ გასვლა გვთხოვა. როგორც კი გამოვედით, მაშინვე წამოდგა, სენაკის კარი ჩაკეტა და თორმეტი წელი აღარ გამოსულა იქიდან.

არავის ელაპარაკებოდა, არც ცოტას, არც ბევრს. მხოლოდ პურსა და წყალს ღებულობდა ძღუმარედ. გამუდმებით დაფუდებული იყო, ნანახი ხილვით გონიერაშეძრწუნებული მწუხარებასა და მგლოვარებაში იმყოფებოდა და, იცის უფალმა, არასდროს შეუცვლია თავისი ცხოვრების წესი. გონიერამიხდილვით იდგა და უხმოდ სდიოდა მზურვალე ცრემლები.

როცა მისი აღსასრული მოახლოვდა, სენაკის კარი გავალეთ და შიგნით შევეღით. ბევრი ვევედრეთ, რამე ეთქვა, მაგრამ მან მხოლოდ ეს გვითხრა: “შემინდეთ, მამებო! ვერავინ შეძლებს ოდესმე ცოდვის ჩადენას, ვისაც სიკვდილი ახსოვს”. გაკვირვებულები ვიყავით, ვხედავდით რა, თუ როგორი იყო ის თავდაპირველად და რამდენად სწრაფად მოხდა მასში სანატრელი ცვლილება.

როცა გარდაიცვალა, მისი გვამი მონასტრის ახლოს, საძვალეში დაგკრძალეთ. რამდენიმე დღის შემდეგ საფლავი გავხსენით, მაგრამ მის წმიდა ცხედარს ვერსად მივაკვლიეთ. უფალს საკუთარი ნებისამებრ მისთვის სასურველ ადგილას გადაებრძანებინა ის, რათა ფველა დარწმუნებულიყო, რომ ევსუქის სინანული შეიწირა და უძინებობას არ მისცემოდნენ ისინი, რომელთაც სიზარმაცის შემდგომ სინანული სწადიათ.

24. რამდენადაც ზღვის ფსკერზე ამბობენ, მიუწვდომელია, იმდენად მიუწვდომელია სიწმინდე სიკვდილზე ფიქრისა და მისგან გამომდინარე საქმეებისა. ამაში ზემონახსენები წმიდანი დაგარწმუნებს.

25. ვინც მისი მსგავსია, შიშით გამუდმებით შიშს მოიპოვებს, ვიდრე მის ძვლებს ძალა არ გამოელევა.
26. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა სხვა ნიჭთან ერთად სიკვდილის ხსოვნაც ღვთის ნიჭია. ხშირად საფლავებთან უცრუმლოდ, ქვა გულით ვმდგარვართ. ხშირად კი მსგავსი სანახაობის გარეშეც ლმობიერები გავმხდარვართ და მივმხდარვართ, რომ ასეთ დროს ღვთის მადლი მოქმედებს.
27. სიკვდილი იმას ახსოვს, ვინც ყოველი ხორციელი საქმისთვის მკვდარია; ხოლო ვისაც ჯერ კიდევ უყვარს და ზრუნავს რამე საქმეზე, შეუძლებელია, რომ სიკვდილი ახსოვდეს, რადგან ის საკუთარი თავის მტერია.
28. ნუ მოინდომებ, შენს სიყვარულში სიტყვებით დაარწმუნო ყველა. უმჯობესია, ღმერთის სოხოვო, მან დაარწმუნოს ისინი უთქმელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი ცხოვრებაც არ გეყოფა ერთდღოულად ხორციელი სიყვარულისა და გლოვისათვის, რადგან ამ ორის ერთად ყოფნა ძნელია.
29. ჰო, ზარმაცო და უგუნურო მუშაკ! ნუ იტყუებ თავს, თითქოს დღეს შეგიძლია იზარმაცო და დღეისას ხვალ გააკეთებ. არ არსებობს დღე, რომელიც საქმარისი აღმოჩნდებოდა მეუფის ვალის ჯერისაებრ გადასახდელად.
30. შეუძლებელია, ადამიანმა ერთი დღეც კი ღვთის სათხოდ გაატაროს, თუ ყოველდღე არ იტყვის: “დღეს ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეა! აი, მივდივარ საშინელ საყდარისა და სასამართლოში სიმართლის მსაჯულთან შესახვედრად.”
31. საოცარია, რომ წარმართებიც იმავეს ფიქრობდნენ და ამბობდნენ, რომ სიბრძნე სიკვდილზე ფიქრში მდგომარეობს. ეს ფიქრია ჩვენი, მორწმუნების, განმწმენდელი მადლითა უფლისა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ეს არის მეექვსე საფეხური. ვინც მას მიაღწია, აღარ შესცოდავს, რადგან დაწერილია: ისტენტდი უკანასკნელსა მას დღესა სიკვდილისა შენისასა, და უკუნისამდე არა სცოდო (იხ. ზირაქი 7. 36).



თავი მეშვიდე  
ჩვენი ფარიდა მამის, იოანეს თქმული  
გლოვისთვის

1. ჭეშმარიტი საღმრთო გლოვა არის სულის მჭმუნვარება და მწუხარე გული, რომელიც ყოველთვის ტკივილს განიცდის და სიყვარული სწყურია. და რაჟამს ვერ პოულობს მას, გულისტკივილით ეძებს, გოდებით კვალდაკვალ მისდევს, უხმობს, კვნესის და ოხრავს.
2. გლოვა ნამდვილი ოქროს დეზია, ყოველთვის რომ სულს ჩხვლეტს. გლოვა შიშველია ამა სოფლის საქმეთა სიყვარულისგან, ხორციელი ნუგეშისგან, ნათესავებისა და ახლობლებისგან. მისი საქმე მხოლოდ მწუხარებაა, რომელიც ღვთისმოყვარებამ დანერგა გულში.
3. გლოვა გამუდმებული ტანჯვაა სინდისისა, რომელიც შინაგანი აღსარებით გულში ცეცხლს აგიზგიზებს.
4. გლოვა ადამიანური ბუნების დავიწყებაა მსგავსად ნეტარისა, რომელიც გალობს: “დავიწყე მე ჭამად პური ჩემი” (ფსალმ. 101. 5).
5. ჭეშმარიტი სინანული არის მწუხარების გარეშე ყოველგვარი ხორციელი ნუგეშის მოკლება.
6. ჭეშმარიტი გლოვა არის მწუხარე, გულის მხურვალებით ნატკენი სული, რომელსაც ყოველთვის გულის მხურვალების ძიება სწყურია. და როდესაც შრომის შედეგად გამოუბრწყინდება, დაედევნება და მის კვალდაკვალ მწარედ ოხრავს. აი, ეს არის გლოვა.
7. გლოვა ამა სოფელთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაა, ყოველივესგან განშორება და განდგომაა. გლოვა სიკეთის მომნიჭებელი მწუხარებაა, როცა გული ისრით განუკურნებლად დაჭრილსა ჰგავს და საწადელის მიღწევა სურს.

8. გლოვა ადამიანის თანამდევი ფიქრია, თავისი მხურვალებით გამუდმებით გულს რომ წვავს და ლმობიერებით ცოდვათა აღიარებისკენ უბიძგებს.
9. ვინც სანატრელ გლოვას წარმატებით ახლახან შესდგომია, ის მარხვასა და მდუმარებაშია; ვინც უკვე მოიპვა წარმატება, ის არც მრისხანებს და არც სხვის ძვირს იხსენებს; ხოლო ვინც სრულყოფილ გლოვას მიაღწია, მას თავმდაბლობა ახასიათებს, დამცირება სწყურია, ნებაყოფლობითი ჭირისა და უნებლიერ განსაცდელების მიმართ შიმშილს განიცდის, გაჭირვებისა და მწუხარების დათმენა სურს, ცოდვილებს არ განიკითხავს და ჭირში მყოფ მმებს თანაუგრძნობს.
10. მოწონებას იმსახურებს პირველი, ქებას – მეორე, ხოლო ნეტარია და ბედნიერი მესამე, რომელსაც გაჭირვება ჰშია და დამცირება და კვედრება სწყურია, რადგან ჭეშმარიტად გაძლება და აღარ მოშივდება.
11. ჰოი, რომელიც გლოვას მისცემისარ! ყოველნაირად დაიცავი იგი და მკაცრად მოექეცი, თორემ თუ სათანადოდ არ გაუფრთხილდები, ვიდრე შენში გამაგრდება და ფესვს გაიდგამს, განგშორდება და გაიქცევა. შფოთის, ხორციელი საზრუნავის, საამური ცხოვრების, შვების, ყველაზე მეტად კი, მრავლისმეტყველებისა და განცხრომის შედეგად ისიც ისე სწრაფად დადნება და წავა, როგორც ცვილი დნება ხოლმე ცეცხლზე.
12. ნათლისლების შემდგომ ნათლისლებაზე დიდი ცრემლთა წყაროა, რაც უნდა კადნიერად ჟღერდეს ეს სიტყვები. ნათლისლება პირველქმნილი ცოდვებისგან გვწმენდს, ხოლო ცრემლებით ნათლისლების შემდგომ ჩადენილი ცოდვები მოგვეტვება. ბავშვობაში მიღებულ ნათლისლებას ვრცენით, ცრემლებით კი ნათლისლებას განვაახლებთ. ღმერთს რომ ჩვენთვის ეს არ მოენიჭებინა, ძნელად თუ ვინმე ცხონდებოდა.
13. ოხვრა და გლოვა უფალს შეჰდალადებს; ჩვენი მეოხია ტანჯვის შიშით დადენილი ცრემლები; ხოლო ყოვლადწმიდა

- სიყვარულით დაღვრილი ცრემლები იმის მაუწყებელია და დამარტინებელი, რომ ჩვენი ლოცვა შეწირულია.
14. თუ თავმდაბლობას ისე ვერაფერი შეეწევა, როგორც გლოვა, მაშინ ცხადია, რომ მას ვერც სხვა რამ წინაღუდგება ისე, როგორც სიცილი.
  15. საყვარელო, მთელი ძალით მიეცი გლოვასა და სანატრელ ლმობიერებას და არ დაანებო თავი, ვიდრე ამა სოფლის ყოველ საქმეზე არ აგამაღლებს და განწმენდილს არ წარგადგენს ქრისტესთან.
  16. გონებაში ყოველთვის წარმოიდგინე და გაიხსენე ცეცხლოვანი ბნელი უფსკრული, იქ მყოფი ულმობელი მსახურები, საშინელი, შემაძრწუნებელი და მოუკერძოებელი მსაჯული, ჯოვოხეთური ალის უძირო მღვიმები და ჯურლმულები, წყვდიადით მოცული საშინელი ადგილები, ვიწრო და საძაგელი ჩასასვლელები. ყოველივე ამის მსგავსი გაიხსენე, რათა ძლიერმა შიშმა და ძრწოლამ ხორცის მხურვალება დაშრიტოს, გული უხრწნელ სიწმინდეში დამკვიდრდეს, ცეცხლზე მეტად გაბრწყინდეს და სული განანათლოს.
  17. ძრწოლით დადექი ლოცვაზე, ისევე როგორც დასჯილი ავაზაკი დგას ხოლმე მსაჯულის წინაშე, რათა შენმა გარეგნობამ და შინაგანმა განწყობილებამ მართალი მსაჯულის გულისწყრომა დაშრიტოს. არ დატოვებს ის უყურადღებოდ მგლოვიარე სულს, რომელიც ქვრივი დედაკაცის მსგავსად დამწუხრებული დგას მის წინაშე და მას, შეუწუხებელს, აწუხებს.
  18. ვინც სულიერი ცრემლები მოიპოვა, მისთვის ნებიმიერი ადგილია მარჯვე გლოვა-ოხვრისთვის; ხოლო ვინც გარეგნულად გლოვობს, ასეთი ნიადაგ გლოვისთვის შესაფერისი ადგილისა და ვითარების ძიებაში უნდა იყოს.
  19. პირველად მოხსენებულ გლოვაზე ისევე უნდა ვიჟიქროთ, როგორც დამაღულ საუნჯეზე, რომელიც სავაჭრო ადგილას გამოფენილ განძზე მეტადაა დაცული.

20. იმათ კი არ დაემსგავსო, რომლებმაც დამარხეს რა მკვდარი, ზოგჯერ მიცვალებულს გლოვობენ და ზოგჯერ მისივე მიზეზით სვამენ და თვრებიან, არამედ საპყრობილები შეხდომებს მიჰმაბები, რომლებსაც გამუდმებით ტანჯავენ ჯალათები.
21. ვინც ზოგჯერ გლოვობს, ზოგჯერ კი იცინის და განცხომას ეძლევა, იმ კაცს ჰგავს, ავხორცობის ძალლს ქვის ნაცვლად პურით რომ იგერიებს: გარეგნულად ვითომ განდევნის, საქმით კი თავისკენ იზიდავს.
22. საყვარელო, გულით იყავი მწუხარე, და არა გარეგნულად; რადგან ეშმაკებს ისე აძრწუნებთ მწუხარება, როგორც ქურდებს – ძალლები.
23. ჰოი, საყვარელო, ქორწილზე აქ კი არ მოგვიწვიეს, არამედ საუკუნო ცხოვრებაში. აქ კი ჩენი თავის საგლოვად მოგვიწოდეს.
24. ზოგიერთები, როცა ტირიან და ცრემლებს აფრქვევენ, ამაოდ ცდილობენ, ასეთ სანატრელ ჟამს არაფერზე იფიქრონ. და არ იციან, რომ პირუტყვის, და არა მეტყველის საქმეა დაუფიქრებლად ცრემლთა დენა.
25. კეთილი აზრები ცრემლებს შობს; კეთილი აზრების მამა კი ღვთის შიშით განხურებული მეტყველი გონებაა.
26. საწოლში დაწოლისას საფლავში წილა წარმოიდგინე და ცოტას დაიძინებ; სუფრასთან ჯდომისას საშინელი მატლებიანი საუკუნო ტრაპეზი წარმოიდგინე და მოზომილად, ცოტას შეჭამ.
27. არც წყლის დალევისას დაივიწყო წყურვილი, საუკუნო ცეცხლში რომ არის, და უეჭველად აიძულებ საკუთარ ბუნებას.
28. როცა მოძღვარი გაგვირისხდება ან დაგვამცირებს, მაშინ საშინელი მსაჯულის განაჩენი წარმოვიდგინოთ და მწუხარებასა და მრისხანებას ისე ჩავიკლავთ უხმოდ, სიმშვიდითა და მოთმინებით, როგორც ორპირიანი მახვილით.

29. როგორც იობი ამბობს: “უამით მოაკლდების ზღუასა” (იობი 14. 11). დღოთა ვთიარებაში მოთმინების შედეგად თანდათან ჩვენშიც დამკვიდრდება ზემოხსენებული, სრულყოფილებას მიაღწევს და ჩვენც სრულგვიფუს.
30. დაე, საუკუნო ცეცხლზე ფიქრი შენთან ერთად დაწვეს და ადგეს, და ლოცვის დროს არასდროს დაგეუფლება სიზარმაცე.
31. დაე, თავად შენმა შავმა სამოსმაც გლოვისკენ გიბიძგოს, რადგან შავი ტანსაცმელი გლოვის სახეა და ვინც მკვდარს გლოვობს, ყველას შავი აცვია.
32. თუ ვერ ტირიხარ, იმაზე იტირე, რომ არ ტირიხარ; და თუ ტირიხარ, იმაზე იგლოვე, რომ შენი ცოდვებით უშრომელი, საპატიო და სასიხარულო მდგომარეობიდან ჭირსა და ტანჯვაში ჩაიგდე თავი. აი, ამიტომ გმართებს დიდი გლოვა, ტირილი და გოდება.
33. ჩვენი უფალი ყოველივეს სამართლიანად სჯის. ცრემლებსაც მათი ბუნებისა და ძალის მიხედვით განიკითხავს. მინახავს ცრემლის წვეთები, ისეთივე ტკივილით რომ დაღვრილა, როგორც სისხლი. ასევე მინახავს უშრომლად წყაროსავით დადენილი ცრემლები. მე კი მოლვაწეებს არა ცრემლთა სიუხვის, არამედ შრომისა და ტკივილის შესაბამისად ვნატრიდი. ვფიქრობ, ღმერთსაც ისინი უფრო მოსწონს, რომლებიც შრომითა და ტკივილით ცოტას ტირიან, ვიდრე ისინი, რომლებიც გაურჯელად ბევრ ცრემლს ანთხევენ.
34. მგლოვიარეს ვერ არგებს ღვთისმეტყველება, ზეციურ საგნებსა და რჯულზე საუბარი. ყოველივე ეს ცრემლებს აშრობს, რადგან ამ დროს ადამიანი კათედრაზე მდგომსა ჰგავს. მგლოვიარე კი ნაცარსა და ძაბაში მჯდომი კაცის მსგავსია. ამიტომ დავითი, როცა გლოვობდა, მიუხედავად იმისა, რომ ბრძენი მოძღვარი იყო, ამბობდა: “ვითარ-მე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქუეყანასა უცხოსა” (ფსალმ. 136. 4),

ანუ იმ დროს, როცა სულის წარმწყმედელ ვნებებში ვიმყოფებით.

35. როცა სული თვითონ, ჩვენი მხრიდან შრომისა და გარჯის გარეშე გახდება ლმობიერი, ატირდება და თვალებს ადვილად დასდინდება ცრემლები, მაშინ უნდა ვიქქაროთ, რადგან უფალი მოწოდების გარეშე მოსულა, ჩვენდა დასამშვიდებლად მოუცია ღრუბელი და სიცოცხლის წყარო, ანუ ცრემლები, რომლებით იმ ცოდვებისგან განვიძანებით, ჩვენთა საქმეთა ზელწერილში რომ არის ჩაწერილი.
36. მმაო, ამ უამს თვალის გუგასავით გაუფრთხილდი, სანამ თავისით არ მიეფარება, რადგან ბევრად უფრო დიდია ძალა მისი სარგებელისა, ვიდრე იმ უამისა, რომელიც ჩვენი მცდელობით მოიწევა.
37. მას კი არ მიუღწევია გლოვისთვის, ვინც მაშინ ტირის, როცა სურს, არამედ იმას, ვინც იმაზე ტირის, რაზეც სურს. ჭეშმარიტად კი ის გლოვობს, ვინც ისე ტირის, როგორც ღმერთს სურს.
38. ხშირად საღმრთო გლოვას თან სდევს დიდებისმოყვარეობის უმადლო ვნება. თუ გლოვის დროს ვნებები გვძლევს, უნდა დავასკვნათ, რომ მაშინ დიდებისმოყვარეობის ვნებაა ჩვენში.
39. ჭეშმარიტი გლოვა არის ტკივილი გულისა, რომელიც შვებას, განცხრომასა და საჭმლის გემოს კი არ ეძიებს, არამედ ყოველთვის საკუთარ სიკვდილს ხედავს და თავმდაბალ მონაზონთა მანუგეშებელ ღვთიურ ნუგეშს ისე მოელის, როგორც მოწყურებული ადამიანი – ცივ წყალს.
40. რაუამს მგლოვიარეებს მრისხანებასა და ამპარტაქნებას შევამჩნევთ, მათი ცრემლი და გლოვა სიცრუედ უნდა შევრაცხოთ. აბა, რა საერთო აქვს სინათლეს სიბნელესთან?!

41. არასწორი და ცრუ გლოვა შობს სიამაყეს, ხოლო ჭეშმარიტი გლოვა – ღვთისძიებრ ნუგეშს.
42. რამდენადაც ცეცხლი წვავს და ანადგურებს ფიჩხს, იმდენად წმინდა ცრემლები უჩინარჲყოფს ყოველგვარ სულიერ შხამსა და ვნებას.
43. მამები ამბობენ, რომ ჭეშმარიტი ცრემლები ძნელად მოსაპოვებელია, განსაკუთრებით, ახალბედებისთვის, რადგან მრავალია და სხვადასხვაგვარი მათი მიზეზი. ცრემლებს იწვევს: ადამიანის ბუნება, ღმერთი, განსაცდელი, მტრის მიერ მოვლენილი თუ ღვთის სათნო მწუხარება, პატივმოყვარეობა, სიძვა, სიყვარული, სიკვდილზე ფიქრი და სხვა მრავალი. როცა ყოველივე ამას გამოვიძიებთ, წმინდა და არამზაკვრულ ცრემლებს მოვიპოვებთ, რომელთაც სიკვდილის ჩსნება შობს. მათში არც სიცრუე იქნება და არც პატივმოყვარეობა, არამედ ეს ცრემლები იქნება ჩვენი განმწმენდელი, ღვთიური სიყვარულის ამაღლობინებელი, ცოდვათა აღმხოცველი და უვნებობის მომნიჭებელი.
44. ის კი არ არის საკვირველი, როცა ღვთის სათნო ცრემლებით იწყებენ და უკეთური ტირილით აგრძელებენ, არამედ ისაა საკვირველი და ქების ღირსი, როცა თავდაპირველად უკეთური ან ბუნებრივი ცრემლები იღვრება და შემდეგ ღვთის სათნო ტირილში გადაიზრდება. ნათქვამი კარგად ესმის იმას, ვისაც ამპარტავნება სძლევს.
45. არ ენდო ცრემლებს, სანამ სრულიად არ განგწმენდს. ის ღვინო კი არ არის სანდო, რომელიც ეს-ესაა საწნახელიდან მოედინება, არამედ ის, რომელიც უკვე ძველია და არ არის გაუუჭებული.
46. უდავოდ, სასარგებლოა ღვთის წინაშე დაღვრილი ყოველი ცრემლი. მის სარგებელს კი სიკვდილის უმს შევიტყობთ.
47. ამ საწუთოში ვინც ღვთის ნებისაებრ მუდმივ გლოვაშია, ყოველდღე სულიერად დღესასწაულობს; ვინც ყოველთვის ხორციელ ზეიმშია, მას სამარადისო გლოვა ელოდება.

48. აგაზაკისთვის არ არსებობს სიხარული საპყრობილები. არც ჰეშმარიტი მონაზვნისთვის არსებობს დღესასწაული ამ ქვეყანაზე. ალბათ, ამაზე მოთქვამდა ღვთის სათნო გლოვარებაში მყოფი წინასწარმეტყველიც: “გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი” (ფსალმ. 141. 8), რათა შენი გამოუთქმელი ნათლით ხარობდეს.
49. თავმდაბლობით ამაღლებული მეუფესავით დაჯექი შენს გულში. როგორც ხელისუფალმა, ისე უბრძანე მწარე სიცილს: “წადი”, და წავა, ტკბილ ტირილს – “მოდი”, და მოვა, ხოლო ხორცს, ამ მონასა და მობალადეს, უბრძანე: “გააკეთე ეს”, და გააკეთებს.
50. ჰეშმარიტი სულიერი სიხარული მოუპოვებია მას, ვინც ისე შემოსილა სანატრელი და სასიქადულო გლოვით, როგორც სიძე – საქორწილო სამოსით.
51. არსებობს ისეთი მონაზონი, რომელსაც ღვთის შიშვი, ჰეშმარიტი სინაზულსა და მსახურებაში ისე გაუტარებია ცხოვრება, რომ არც ერთი დღე, საათი თუ წამი დაუკარგავს და უსარგებლოდ გაუფლანგავს, არამედ სიცოცხლის ყოველი დღე და საათი ღვთისსათნოდ გაუტარებია და მუდამდღე უფიქრია, რომ შეუძლებელია განვლილი დღის უკან დაბრუნება, და ამიტომ უცდია, უქმდ არც ერთ დღეს ჩაევლო?
52. ნეტარია ის მონაზონი, რომელიც ყოველდღე დამშვრალა, თავმდაბლობითა და ღვთისმსახურებით გაუტარებია თავისი ცხოვრება, ერთი საათიც არ დაუსვენია და ნიადაგ უფიქრია: “დღეს ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეა”.
53. ნეტარია ის მონაზონი, რომელიც სულიერი თვალებით უხილავ ძალებს ხედავს. ასევე სანატრელია და არ დაეცემა ის მონაზონიც, რომელიც, იხსენებს რა სიკვდილსა და საკუთარ ცოდვებს, ხილული თვალებით მარადდღე ალტობს ღაწვებს სანატრელი ცრემლებით. ჩემი აზრით, პირველი მეორის გარეშე არ მოიპოვება.

54. მინახავს მათხოვრები, მჭევრმეტყველებით მეფისთვის თავი რომ მოუბეზრებიათ და თავიანთი ტკივილისადმი მის გულში სწრაფად აღუძრავთ სიბრალული. ასევე მინახავს სათნოებით დარიბი და დატაკი ადამიანები, რომლებიც არა მჭევრ-მეტყველური, არამედ გულის სიღრმიდან ამოსული უბირი და შესაბრალისი სიტყვებით ემუდარებოდნენ ზეციურ მეუფეს, განწირულებივით ურცხვად, ტანჯვით შეპლალადებიზენ, და ძალით გამოუთხოვიათ წყალობა მისგან, ვისი სახიერება და ტკბილი ბუნება არანაირ იძულებას არ ექვემდებარება.
55. ვინც თავისი ცრემლებით ამაყობს და იმათ განიკოთხავს, რომლებიც არ ტირიან, იმ კაცს ჰგავს, მეფემ რომ მისცა მახვილი მტრის მოსაკლავად, მან კი მტერთან ბრძოლა მიატოვა, იარაღი გულში ჩაიცა და თავი მოიკლა.
56. საყვარელნო, ღმერთს არ სჭირდება გულისტკივილით ადამიანის გლოვა და ტირილი. ღმერთს უფრო ის სწადია, რომ ადამიანის სული მისდამი სიყვარულით ხარობდეს.
57. საყვარელო, მოსპე შენში ცოდვა, და ტირილი აღარ დაგჭირდება. მკურნალობა არ სჭირდება იმას, ვინც ავად არ არის.
58. მცნების დარღვევამდე ადამს არ უტირია, ისევე, როგორც მართლები არ იტირებენ აღდგომის შემდგომ, როცა ცოდვა სრულიად აღიგვება, რადგან “იქ არ იქნება სალმობა, მწუხარება და სულთქმა” (შდრ. ესაა 35. 10).
59. ვნახე, ზოგიერთი გლოვობდა. ვნახე სხვებიც, რომლებიც იმიტომ გლოვობდნენ, რომ ვერ გლოვობდნენ. სინამდვივილეში, ეს უკანასკნელნი გლოვობდნენ, თუმცა კი ეგონათ, რომ არ გლოვობდნენ. ეს ღვთის სათნო უცოდინარობა მათ სიამაყისებან იცავდა. სწორედ მათზეა ნათქვამი: “უფალმან განაბრძნის ბრმანი” (ფსალმ. 145. 8).
60. მსუბუქი ჭკუისანი ხშირად გაამაყებულან ცრემლებით და ამიტომ ცრემლები ზოგიერთს არ უძლევა კიდეც. ასეთები ცრემლთა ძიებაში თავს იდანაშაულებენ, ოხვრით, ჭმუნვით,

სულიერი მწუხარებითა და გულისტყივილით თავს ისჯიან. ამ უკანასკნელთ ამგვარი საქციელი უფლის წინაშე ცრემლებად შეერაცხებათ, თუმცა კი მათ ასე არ მიაჩნიათ და არაფრად თვლიან თავიანთ შრომას.

61. თუ დაგაკვირდებით, ვნახავთ, რომ ეშმაკები დაგვცინან: ხშირად როცა გავმძღარვართ, ჩვენში ლმობიერება აღუძრავთ და როცა გვიმარხულია, ჩვენი გულები გაუსასტიკებიათ. ასე იმიტომ იქცევიან, რომ ყალბი და ცრუ ცრემლებით შემცდარნი შვებას მივეცეთ, რომელიც არის დედა ყოველგვარი ბოროტებისა. საყვარელნო, არ აგვევთ მათ მზაკვრობას, და არც დავემორჩილოთ, არამედ მთელი გულითა და გონებით შვებრობლოთ.
62. ლმობიერების ბუნებაზე როცა დავფიქრებულვარ, გამკირვება, თუ რატომ ეწოდება მას გლოვა და მწუხარება, როცა სულს სიხარულითა და მხიარულებით განაზავებს და გოლეული თაფლივით ტკბილია. რას ვსწავლობთ აქედან? – იმას, რომ ჭეშმარიტად ღვთის ნიჭია სანატრელი ლმობიერება.
63. ამ დროს, როცა სანატრელ გულშემუსვრილთა გულებში ნუგეშისმცემელია დამკვიდრებული, სულში გულისთქმის არავითარი მწარე სიტყბოება არ მოიპოვება.
64. ძმებო, მოვისმინოთ სულისთვის სასარგებლო, ლმობიერებისა და სინაწლის აღმბვრელი ამბავი: იყო აქ ერთი ბერი, სახელად სტეფანე, რომელიც მეუდანოვობასა და დაყუდებულ ცხოვრებას ეწეოდა. დიდი ხნის მონაზონი იყო, შემკული მარხვით, ცრემლითა და სხვა მრავალი სიქველით.

მისი სენაკი სინას წმიდა მთაზე მდებარეობდა, იქ, სადაც წმიდა იღია წინასწარმეტყველისა და ღვთისმხილველის სამყოფელი იყო. მაგრამ გულმა უფრო დიდი და აღმატებული სინაწლისკენ გაუწია. გაემართა მბოვართა სამყოფელისკენ, რომელსაც “სიდი”, ანუ “ჭირი” ეწოდება და რომელიც სინას მონასტრიდან სამოცდაათი მილითაა დაშორებული.

ეს ადგილი ყოველგვარ ნუგეშს მოკლებულია, გზაც კი არ არის. ცხოვრობდა იქ სტეფანე სიდუხჭირეში, ტირილსა და უკიდურეს სინაულში. დიდი ხნის შემდეგ, როცა ძლიერ დაბრდა, კვლავ თავის სენაკში, სინას მთაზე დაბრუნდა, სადაც მას ღვთის დიდი მოშიში ორი პალესტინელი მოწაფე ჰყავდა, რომლებიც წმინდად იცავდნენ თავს.

ბერმა რამდენიმე დღე იცხოვრა იქ, შემდეგ დასწულდა და გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე გონება წაერთვა: თვალები გახელილი ჰქონდა და ხან საწოლის მარჯვნივ გაიხედავდა, ხან – მარცხნივ. იქ მსხდომებს ესმოდათ, თუ როგორ პასუხობდა მომაკვდავი ვიღაცას, რომელიც თითქოს ასამართლებდა მას: “ეჰ, მართალია, მაგრამ ამის გამო ამდენი წელი ვიმარწულე”; “სიმართლეს არ ამბობთ, იტყუებით! არ ჩამიდენია, რასაც მაბრალებთ”; “მართალია, მაგრამ ამის გამო ვტიროდი და ძმებს ვემსახურებოდი”; “სიმართლეს არ ამბობთ, ცილს მწამებთ”; “მართალია, სიმართალეს ამბობთ და ვერ გავიმართლებ თავს, მაგრამ შემწედ უფლის მოწყალება მაქს”. საშინელი და შემაძრწუნებელი სანახავი იყო ეს უმოწყალო და უხილავი საშსჯავრო. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ რაც არ ჩაედინა, იმასაც აბრალებდნენ.

რა საოცარია! თავად დაყუდებული და განდევილი ამბობდა ზოგიერთ ცოდვაზე, რომ საპასუხო არაფერი ჰქონდა. ამას ამბობდა ის, ვისაც მონაზვნობაში ორმოცი წელი გაეტარებინა, ვისაც ბევრი უტირია და უგლოვია.

ვაიმე, ვაიმე, საყვარელნო! სად იყო მაშინ ეზეკიელ წინასწარმეტყველის სიტყვები, მტანჯველისთვის რომ ეთქვა: “უფალი ამბობს: რაშიც გიხილავ, იმის მიხედვით განგიკოთხავ” (შდრ. იეზეკიელი 33. 13-16). მაგრამ მან ამის მსგავსი ვერაფერი თქვა. რატომ, ძმებო? – დიდება უფალს! მხოლოდ მან უწყის.

ზოგიერთმა მითხრა: „იცის უფალმა, რომ ის უდაბნოში საკუთარი ხელით აჭმევდა ვეფხვებს, ლომებსა და აფთრებს“.

— და აი, ამგვარად განიკითხებოდა სულის გაყრის ჟამს! რა სასჯელი ეროვნო, ან როგორი განაჩენი გამოუტანეს, ან როგორ დასრულდა ის სამსჯავრო, უცნობია.

65. როგორც ქვრივი დუდაკაცი, ქმარს რომ დამარხავს, ერთადერთი ვაჟი დარჩება და ღვთის შემდგომ მხოლოდ შვილში პოულობს ნუგეშს, ისე ცოდვით დაცემულ სულსაც არ ეწება სხვა სანუგეშო სიკვდილის ჟამს, გარდა მის მიერ გაწეული შიმშილისა, წყურვილისა და დაღვრილი ცრემლებისა.
66. დაე, ხმატებილად არ იგალობოს მან, ვინც გლოვობს. მსგავსი საქმები გლოვას ვწებს. თუ ამ გზით შეეცდები გლოვის მოწვევას, უფრო მეტად განგშორდება ის, რადგან გლოვა მხურვალე სულისთვის ჩვეული ტკივილია.
67. გლოვა ბევრისთვის გამხდარა უვნებობის წინამორბედი, როცა ვნებათა საგანი მოუსპიათ და სული განუწმენდიათ.
68. გლოვაში გამოცდილმა ერთმა მოღვაწემ მითხრა: “როცა პატივმოყვარეობის, მრისხანების ან მუცლის ამოვსების სურვილის დაკმაყოფილებას დაგვაპირებდი, გლოვაზე ფიქრი შინაგანად მამხელდა და მეუბნებოდა: “არ გააკეთო, თორებ შენგან გავიქცევი!”” მე კი ვპასუხობდი: “ჰოი, მეგობარო, არ გეურჩები, ვიდრე ჩვენს უფალთან – იესო ქრისტესთან არ მიმიყნებ!”
69. გლოვის უფსკრულში მოიპოვება ნუგეში, ხოლო გულის სიწმინდე საღმრთო ბრწყინვალებას იძენს. ბრწყინვალება ენით გამოუთქმელი ძალაა, რომელიც იღუმალი გზით შეიცნობა და უხილავად იხილვება.
70. ნუგეში დამაშვრალი და მტკივნეული სულის განსვენებაა, რომელიც ჩვენს შიგნით ჩვილი ბავშვივით ტირის და გაბრწყინებული იცინის.

71. განსვენება მწუხარებით დაცემული სულის აღმართვაა. ამ დროს სიმწრის ცრემლები საკვირველი სახით სასიხარულო ცრემლებად გარდაიქმნება.
72. სიკვდილის ხსენებით გამოწვეული ცრემლები შობს შიშს, შიში შობს უშიშობას, რის შემდეგაც სიხარული გამობრწყინდება. რაუმას დაუსრულებელი სიხარული დასრულდება, მაშინ ბრწყინვალე სიყვარულის ყვავილიც გამოჩნდება.
73. რათა მწყემსის ნაცვლად მგელი არ მიიღო, თავმდაბლობით შემუსრე თავი და გულში თქვი, რომ მიღებული სიხარულის ღირსი არა ხარ.
74. არ მიიღო ხილვა, როცა არ არის ხილვის ჟამი. მოითმინე, ვიდრე შენი თავმდაბლობის გამო თავად მოგძებნის, დაგდევნება, დაგეწევა და უკუნისაძე შენთან იქნება წმინდა და სულიერ ქორწილში.
75. პატარა ბავშვი როცა პირველად გაიცნობს მშობელს, ბედნიერია და სიხარულით ივსება. როცა მშობელი გარკვეული ხნით წავა და ისევ დაბრუნდება, ბავშვს უხარია, და თან წუხს: უხარია იმიტომ, რომ კვლავ იხილა ის, ვისი ნახვაც სურდა; ხოლო წუხს იმიტომ, რომ ეს სიხარული მთელი იმ ხნის განმავლობაში მოაკლდა, რა დროითაც მორს იყო იგი მშობლისგან.
76. დედაც ემალება თავის შევილს. და როცა ხედავს, თუ რა დამწუხრებული ექებს მას შვილი, უხარია. აი, ასე ასწავლის დედა შვილს, არასდროს მოშორდეს მშობელს. როგორც უფალი ამბობს: “რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!” (მათე 13. 9)
77. სიკვდილმისჯილს აღარ აინტერესებს, თუ როდის იქნება მღერა-თამაში. არც ჭეშმარიტი მონანული და მგლოვიარე ჰყვება ავხორცობას, პატივმოყვარეობას, გულისწყრომასა და მრისხანებას.
78. გლოგა არის მონანულ სულში ძირგადგმული ტკივილი, რომელიც დღითი დღე ისე უმატებს ტკივილზე ტკივილს, როგორც მშობიარეს უმძაფრდება ტანჯვა.

79. უფალი მართალი არის და სიმართლე უყვარს: ის ჭეშმარიტ დაყუდებულს ჭეშმარიტ გლოვას აძლევს, ხოლო ჭეშმარიტ მორჩილს ყოველდღიურად ანიჭებს სიხარულსა და ნუგეშს.
80. ვინც მოღვაწეობის ზემოხსენებულ ორ წესს (დაყუდებასა და მორჩილებას – რედ.) სათანადოდ აღასრულებს, საუკუნო გლოვას განერიდება.
81. განდევნე ძალი, გლოვის დროს შენთან რომ მოდის და ღმერთს უმოწყალოსა და შეუბრალებელს უწოდებს, რათა სასოწარკვეთილებაში ჩაგადოს. თუ დააკვირდები, შეამჩნევ, რომ ცოდვის ჩადენამდე ის ღმერთს მოწყალესა და მიმტევებელს უწოდებდა.
82. სიკვდილის მუდმივი ხსენება შობს შიშს. შიშს მოაქვს გლოვა. რაჯაშ გლოვა სულში ჩვეულებად გექცევა, ის შენს ბუნებად გადაიქცევა და მნელად განსაღევნი გახდება.
83. რაც უნდა დიდ ღვაწლში ვიყოთ, თუ ულმობელი გული გვეწება, ვიცოდეთ, რომ ვცდებით. მძებო, მართალს ვამბობ! ვინც ნათლისლების შემდგომ შეაგინა ხორცი, მას სინანულის ცრემლებით, მხურვალე გულის ცეცხლითა და ღვთის წყალობით ხელმეორე ნათლისლება სჭირდება.
84. მინახავს ზოგიერთი ადამიანის უკიდურესი გლოვა, გულის ტკივილით მკერდში რომ იცმდა ხელს და პირიდან სისხლს ანთხვდა, და გამხსენებია სიტყვები: “იწყლა ვითარცა თივად და განჯმა გული ჩემი” (ფსალმ. 101. 5).
85. შიშით მოგვრილი ცრემლები თავისთავად ძრწის და უსაფრთხოებაშია. სიყვარულის ცრემლები კი, ვიდრე სრულ-ყოფილი სიყვარული მოვიდოდეს, ადვილი მოსაპარავია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცრემლთა დენის უაშს გულში უზომოდ მხურვალე ცეცხლი გიზგიზებს. საოცარია, რომ ის, რაც უფრო მდაბალია, თავის დროზე უფრო საიმედოცაა.
86. არსებობს გარემოება, რომელიც ცრემლთა წყაროს აშრობს; არსებობს გარემოება, რომელიც წყაროს კი არ აშრობს, არამედ მასში ტალახსა და ქვეწარმავალს წარმოქმნის.

- პირველის მიზეზით ლოთი თავის ასულებთან დაეცა ურჯულოდ, ხოლო მეორის მიზეზით ეშმაკი გადმოვარდა ზეციდან.
87. რაოდენ დიდია ჩვენი მტრების უკეთურება! – ხშირად ისინი თავიანთი მზაკვრული ფანდებით სათნოებათა დედას უკეთურების მშობლად აქცევენ, ხოლო მას, რამაც თავმდაბლობა უნდა მოიტანოს – ამპარტავნების წყაროდ.
  88. უდაბნოში ყოფნა ჩვენში ხშირად აღძრავს ცრემლსა და ლმობიერებას. ეს უნდა ვისწავლოთ ჩვენი უფალი – იესოსგან, ილია წინასწარმეტყელისა და იოანე ნათლისმცემლისგან, რომლებიც სალოცავად უკაცრიელ უდაბნოში მიდიოდნენ.
  89. მინახავს შფოთსა და ქალაქში აღძრული ცრემლებიც. მტრები იმიტომ იქცევიან ასე, რომ ვიფიქროთ, თითქოს შფოთი არავითარ ზიანს გვაყენებდეს და ამა სოფელს დავუახლოვდეთ. სინამდვილეში ეს ეშმაკის მზაკვრობა და ხრიკებია.
  90. ხშირად ერთ სიტყვასაც კი გაუფინტავს გლოვა. საკვირველი ის იქნებოდა, ერთ სიტყვას რომ შესძლებოდა მისი დაბრუნება.
  91. საყვარელო, სიკვდილის ჟამს იმის გამო კი არ მოგვთხოვნ პასუხს, თუ რატომ არ ჩავდიოდით სასწაულებს, არ ვლვთის-მეტყველებდით ან ვერ ვხედავდით უხილავს, არამედ ღვთის წინაშე იმაზე ვაგებთ პასუხს, თუ რატომ არ ვგლოვობდით ყოველთვის. ამიტომ, ძმებო, ყოველთვის უნდა ვტიროდეთ და ვგლოვობდეთ ჩვენს ცხოვრებას, ყოველთვის ღვთისკენ უნდა ვილტვოდეთ, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეს არის მეშვიდე საფეხური. ვინც გასზე ასვლას ეღირსა, მეც შემეწიოს; თავად მას კი აღარ სჭირდება შემწე, რადგან მეშვიდე საფეხურზე იმ სიბილწისგან განიბანა და განიწმინდა, საწუთო-ში შვიდ დღეში რომ შემოვიდა.



## თავი მერვე

### აისივა თქმული

#### ურისხველობისა და გულისჯყრომისთვის

1. როგორც წყალი აქრობს ცეცხლს, ისე აქრობს ჭეშმარიტი გლოვის ცრემლები გულისწყრომისა და მრისხანების აღს. ამიტომ გლოვის შემდეგ გულისწყრომისგან გათავისუფლებაზე ვისაუბრებთ.
2. ურისხველობა ისაა, როცა ადამიანი ისევე ვერ იცხობს ყველრებისა და დამცირების სურვილს, როგორც დიდების-მოყვარე კაცი ვერ ძღვბა ქებით.
3. ურისხველობა არის საკუთარ ბუნებაზე გამარჯვება და შეურაცხყოფისადმი უგრძნობელობა, რომელიც დიდი ოფლითა და შრომით მოიპოვება.
4. სიმშვიდე თვისებაა აუღელვებელი სულისა, რომელიც ერთნაირად ღებულობს ლანძღვასა და ქებას.
5. ურისხველობის დასაწყისი ბაგეთა დუმილია, როცა გულში არ არის მღელვარება; შუა გზა აზრთა დუმილია, როცა სული ოდნავ შფოთავს; ხოლო დასასრული უშფოთველი სიწყნარეა არაწმინდა ქართა ქროლვისას.
6. რისხვა დაფარული ისიმულვილისა და უხილავი ღვარძლის ამოძრავებაა.
7. გულისწყრომა განმანაწყენებლის მიმართ ბოროტების ჩადენის სურვილია.
8. გაცხარება გულის უდროო გახურებაა.
9. გაფიცხება არის სულში დანერგილი უსიამო შფოთი.
10. გულისწყრომა არის სიმშვიდის უეცარი შეშფოთება და სულის სისაძაგლე.
11. როგორც სიბნელე უჩინარდება სინათლის გამოჩენისას, ისე უჩინარდება ყოველგვარი შფოთი და გულისწყრომა თავმდაბლობის გამოჩენისას.

12. ზოგიერთი ადამიანი განრისხებისთანავე მშვიდდება და ამიტომ არ ცდილობს, ამ ვნებისგან განიკურნოს. არ ახსენდება საწყალს, რომ დაწერილია: წამი გულისწყრომისა მისისა არს დაცემა მისდა (იხ. ზორაქი 1. 22).
13. ზოგიერთი წისქვილი სწრაფია და წამში უფრო მეტს ფქვავს, ვიდრე სხვა მთელი დღის განმავლობაში დაფქვავდა. ის მაშინვე ანადგურებს მთელ ხორბალსა და სულიერ ნაყოფს. ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს.
14. ხშირად ძლიერი ქარისგან ისე აგიზგიზებულა ალი, რომ ერთ წამში უფრო დიდი სულიერი ყანა დაუწვავს და მოუოხრებია, ვიდრე ნელი ცეცხლი დაწვავდა ყოველდღიურად.
15. პოი, საყვარელნო, ნურც ეს იქნება ჩვენთვის დაფარული: ხშირად, როცა ვმრისხანებთ, ეშმაკები უცებ გვანებებინ თავს, რათა დიდი ვნებები უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ, უყურადღებოდ დავტოვოთ და ამგვარად მათგან უკურნებლად დავსნეულდეთ.
16. როგორც ტლანქი, წვეტიანი და დაკორძილი ქვა სხვა ქვებთან ერთად გორვისას მოიქნება, უსწორმასწორობას დაკარგავს და დამრგვალდება, ისე ფიცხს, სასტიკსა და მრისხანე ადამიანს ძლიერ და მყაცრ მოღვაწებთან ყოფნისას ამ ორი საქმიდან ერთ-ერთი აუცილებლად შეემთხვევა: ან მოთმინების წყალობით ვნებისგან განიკურნება, ან მოღვაწებს განმორდება და თავის უძლურებას მიხვდება.
17. მრისხანე კაცი თავისი ნებით ცოფდება, რადგან სძლევს რა ძველი ჩვეულებაა, გაუცნობიერებლად ბორგავს და ეცემა.
18. მონანულისთვის არაფერია გულისწყრომაზე საშინელი. სინანულს დიდი თავმდაბლობა სჭირდება, გულისწყრომა კი ამპარტავნების ნიშანია.
19. უდიდესი სიმშვიდე ისაა, როცა განმანაწყენებლის გვერდით ყოფნისას გული დაწყნარებულია და ამ უკანასკნელისდამი სიყვარული არ უმცირდებათ; ხოლო გულისწყრომის ყველაზე დიდი უკეთურება ის არის, როცა მარტო ყოფნის დროსაც კი ბორგავენ და განმანაწყენებელს ებრძვიან.

20. რამდენადაც სულიწმიდა სულის დამამშვიდებელია და დამაწყნარებელი, იმდენად სულის შემაშფოთებელი და ამამღვრუებელია გულისწყრომა. აი, ამიტომ ვერაფერი აბრკოლებს სულიწმიდას გულისწყრომაზე მეტად.
21. როგორც ვიცით, მრავალ ბოროტებას შობს გულისწყრომა, მაგრამ მიუხედავად ბოროტებისა, მის ერთ-ერთ ნაშიერს თავისდაუნებურად მაინც მოაქვს ჩვენთვის სარგებლობა. მინახავს მრისხანებისგან გააფირებული ადამიანები, დიდი ხნის დაფარული ღვარძლი რომ გაუმჯდავნებიათ და მრისხანების ვნებით უფრო დიდი ვნებისგან გათავისუფლებულან, როცა ან საქმის არსი განუმარტავს, ან შენდობა უთხოვია იმას, ვის მიმართაც გულში წყენა ჰქონიათ. ასევე მინახავს ადამიანები, უგუნურად რომ ითმენდნენ და ამგვარი დუმილით გულს ღვარძლით ივსებდნენ. ეს საცოდავები ეშმაკეულებსა და გიუგიზე უარესად მივიჩნიე, რადგან როგორც შევარდენი ემტერება მტრედს, ისე მტრობდნენ სიკეთეს.
22. საყვარელნო, დიდი ყურადღება და სიფრთხილე გვმართებს ამ მრისხანების გველთან, რადგან ადამიანური ბუნება ისევე თანაშეეწევა მას, როგორც სიძვას.
23. მინახავს მრისხანე ადამიანები, სიბრაზის გამო საჭმელზე რომ უთქვამთ უარი და უგუნური მარხვით შხამზე შხამი დაუმატებიათ. მინახავს სხვებიც, გულისწყრომა რომ მოუმიზეზებიათ, ნაყროვანებას მისცემიან და როგორც მაღალი კლდიდან, ისე ჩავარდნილან ღრმა ორმოში. მინახავს გონიერი ადამიანებიც, დაოსტატებული მკურნალებივით მარხვა და ჭამა ერთმანეთისთვის რომ შეუზავებიათ, ორივესგან ზომიერი ნუგეში მიუღიათ და დიდად უსარგებლიათ.
24. ზომიერი გალობა ზოგჯერ გულისწყრომას აცხრობს, ზოგჯერ კი, თუ ის უდროოა და უზომო, ავხორცობას უწყობს ხელს. ამიტომ დროულად და ზომიერად უნდა ვიგალობოთ.

25. თავმდაბლი პასუხი გულისწყრომას აცხრობს, ხოლო თავხედური შეპასუხებით გულისწყრომა იზრდება. ამიტომ ყველაფერში თავმდაბლობა გვმართებს.
26. ერთხელ გარკვეული საჭიროებისთვის სენაკიდან გამოვედი და გავიგონე, დაყუდებულები მოძალებული გულისწყრომისა და სიბრაზისაგან თავიანთ სენაკებში გალიაში გამომწყვდებული კაბებივით რომ იკორტნებოდნენ, ბორგავდნენ და გამბინვარებულნი სახეში ხელს ირტყამდნენ, თითქოს მათ წინაშე მათი განმანაწყენებელი ადამიანი მდგარიყო. მე მათ ღვთის შეშით ვურჩიე, მარტო საერთოდ არ დაყუდებულიყვნენ, რათა ადამიანის სახე არ დაეკარგათ და ეშმაკებად არ ქცეულიყვნენ.
27. მინახავს ვნებითა და ღვარძლით სავსე გულები, ზარმაცები, ხორცია, სიმღერისა და განცხრომის მოყვარენი რომ ყოფილან. რათა ადამიანიდან პირუტყვად არ ქცეულიყვნენ, რჩევა მიმიცა, დაყუდებულიყვნენ, ვინაიდან ეს არის აღნიშნული ვნებისა და სიბინძურის მტერი.
28. ზოგიერთებმა მითხრეს, რომ საშინლად იძლეოდნენ ორივე ვნებისგან. ამ უკანასკნელთ საერთოდ ავუკრძალე თავიანთ ნებაზე ცხოვრება. მათ მოძლვრებს კი სიყვარულით ვურჩიე, მოწაფებისთვის ზოგჯერ დაყუდების, ზოგჯერ კი საძმოში ცხოვრების ნება მიეცათ; და მაინც მოძლვრებს მივნდე, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოწაფების ვნებებიდან გამომდინარე გადაეწყვიტათ ყველაფერი.
29. ავხორცი ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავს, უკიდურეს შემთხვევაში, კიდევ ერთს – თავის თანამზრახველს – ვნებს; მრისხანე ადამიანი კი, მგლის მსგავსად, ხშირად მთელ სამწყსოს აღაშფოთებს და მრავალ თავმდაბალ სულს ჰკლავს.
30. საშინელებაა სულიერი თვალის გულისწყრომით დაბნელება. როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: “განრისხდა გულისწყრომით თუალი ჩემი” (ფსალმ. 6. 7). ამაზე უარესია, როცა სულიერ მრისხანებას ბაგებიც წარმოაჩენს. ხელით

- შეხება კი მტერია და სრულიად უცხოა მონაზვნური ცხოვრებისთვის.
31. თუ ძმის თვალიდან ბეწვის ამოღება გსურს, ფრთხილად იყავი, რომ საექიმო იარაღის ნაცვლად ისარი არ გამოიყენო. ისარი მკაცრი პასუხი და უხეში მოპყრობაა, ხოლო საექიმო იარაღი – მშვიდად შეგონება და მოთმინებით მხილება.
  32. მოციქული ამბობს: “ამხილე, შეჭრისხენ და ნუგეშინის-ეც” (2 ტიმ. 4. 2), მაგრამ სცემეო, არ უთქვამს. და თუ უცემრად არაფერი გამოდის, პო, წინამძღვარო, მაშინ სხვისი, და არა საკუთარი ხელით სცემე დროდადრო.
  33. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მრავალი მრისხანე ადამიანი აჩენს გულმოღინებას მარხვაში, მღვიმარებასა და დაფუძებაში. ეშმაკის მიზანი ისაა, რომ დაარწმუნოს ისინი, გაამრავლონ თავიანთი ვნების ხელშემწყობი პირობები სინანულისა და მოღვაწეობის საბაბით.
  34. როგორც ადრე ვთქვით, თუ ეშმაკის შეწევნით ერთ მგელს მთელი სამწყსოს არევა შეუძლია, მაშინ ცხადია, რომ ანგელოზის დახმარებით ერთ ბრძენ ძმასაც შეუძლია მღელვარების დაცხრომა ისევე, როგორც ზეთით სავსე ტიკი აცხრობს ღელვას. რამდენადაც პირველი ღვთისგან დაისჯება, იძღნად მეორე ღვთილდოვდება და ყველასთვის სასარგებლო მაგალითი გახდება.
  35. სანატრელი ურისხველობის დასაწყისი ისაა, როცა შეურაცხოფას, დამცირებასა და ლანძღვას სიმწრით, გულისტკივილით ითმენ; შუა გზა ყოველივე აღნიშნულის მწუხარების გარეშე მოიმენაა, ხოლო დასასრული ისაა (თუ კი ვინმე ოდესმე მიაღწევს), როცა ლანძღვას ქებად მიიჩნევენ.
  36. პირველო, გიხაროდეს! იცოცხლე, მეორევ! უფლის მიერ ნეტარი ხარ და ილხინე, სრულყოფილო მესამევ!
  37. საცოდავი სანახაობა ვიხილე მრისხანე ადამიანებთან, რაც მათ დაფარული ამპარტავნებისგან ემართებოდათ: როცა

- განრისხდებოდნენ, შემდეგ იმაზე ბრაზობდნენ, რომ განრისხდნენ. გაკვირვებული ვიყავი, ვხედავდი რა, დაცემას პვლავ დაცემით რომ სჯიდნენ, ცოდვაზე ისევ ცოდვით იძიებდნენ შურს, და შემეტრალა ისინი. გამაოცა ეშმაკის ამგვარმა მზაკვრობამ და ლამის თავის გადარჩენის იმედი დამტკარგა.
38. ვინც ხედავს, რომ მრისხანება, ამპარტავნება, მზაკვრობა და პირმოონეობა სძლევს და სურს, მათ წინააღმდევ სიმშვიდის ორლესული მახვილი აღმართოს, ასეთმა მკაცრ მოღვაწე მქებს მიმართოს და ისე მივიდეს მათთან, როგორც სიბილწის განმბანელ სამრეცხაოსა და სულის საცხოვნებელ ადგილას. დარჩეს იქ, თუ ვნებებისგან სრული განწმენდა სწადია. რაჟამს მისი გონება ლანძღვა-შეურაცხოფით გაიღახება, ხორცი ტანსაცმელივით გაითელება, დაიწიხლება და შეიმუსრება, მაშინ სულიერი სამოსის ყოველგვარი ჭუჭყიც განიწმინდება და კარგად გაირეცხება.
39. დაუ, საყოველთაოდ გავრცელებულმა ნათქვამმაც დაგარწმუნოს, რომ უპატიობა, დამცირება და ლანძღვა მართლა სულიერ ვნებათა განმბანელია: როცა ერის ადამიანები ვინმეს ძლიერ გალანძღვენ, ამაყად ამბობენ, ესა და ეს კარგად გავრცხე და დაგბანეო. და მართლაც, ასეა!
40. სხვაა გლოვით გამოწვეული ურისხველობა ახალბედათა და სხვაა სრული ურისხველობა და უშფოთველობა სრულყოფილთა. პირველი ცრემლებით ისე თოკავენ მრისხნების ვნებას, როგორც აღვირითა და ლაგამით; ხოლო მეორენი უვნებობით ისე კლავენ მას, როგორც გველს – მახვილით.
41. ვნახე მავანთა მიერ ერთდროულად გალანძღული სამი მონაზონი. ერთი ლანძღვამ გაანაწყენა, მაგრამ ხმა არ ამოულია; მეორეს გაუხარდა, რომ გალანძღეს, მაგრამ იმაზე შეწუხდა, შეურაცხოფელი რომ დაზარალდა; ხოლო მესამეზ წარმოიდგინა, თუ რაძღვნად ევნო მოყვასს და მწარედ ატირდა.

- ამ სამში დაინახავდით შიშის, სასყიდლისა და სიყვარულის მუშაკებს.
42. რამდენადც ერთი სახელით ვიხსენიებთ თავ-კისრის ხურვებას, თუმცა მას მრავალი, და არა ერთი გამომწვევი მიზეზი აქვს, იმდენად მრავალი და სხვადასხვაგვარია გულისწყრომისა და სხვა ვნებათა გამომწვევი მიზეზი. შესაბამისად, შეუძლებელია მათი ერთნაირად მკურნალობა. მე კი ვიტყოდი, ვისაც ეს სენი სჭიროს, იჩქაროს და იმისდა მიხედვით იმკურნალოს, როგორიცაა დაავადება და მისი გამომწვევი მიზეზები.
43. უპირველეს ყოვლისა, თითოეულმა თავისი დაავადების მიზეზი უნდა გამოიკვლიოს და როცა მიზეზს მიაგნებს, ღვთის შეწევნითა და სულიერ მკურნალთა მზრუნველობით უნდა მიიღოს წამალი და მკურნალობა.
44. შევიკრიბოთ სულიერად და იგავის მაგალითზე გამოვიკვლიოთ აღნიშნული დაავადების მიზეზები, თუ საიდან ჩნდება ან როგორ იკურნება ის. ვისაც სურვილი გაქვთ, მოღით ჩვენს სულიერსა და უხილავ სამსჯავროზე, დავსხდეთ და გამოვიმით მრისხანების ზემონახსენები ვნება.
45. ჰოი, ძმებო, როგორ მივაგნოთ ამ დაავადების გამომწვევ მიზეზებს, ან როგორ გამოვიცნოთ ამ უხილავი მტრის მშობელი? მოღით, ვიღებით, შევბოჭოთ მძლავრი მრისხანება, უხილავს უხილავი ბორკილები გამოვუძებნოთ და ჩვენი სიმშვიდით ვტანჯოთ, რადგან სწორედ სიმშვიდის ბორკილებია მისი მომთვინიერებელი. ქვე ღავცეთ და ვცემოთ ჩვენი მოთმინებით, ყოვლადწმიდა სიყვარულს გადავცეთ. ის წამოათრევს და მოიყვანს მას უხილავ სამსჯავროზე. შემდეგ კი გონების პირით შევეკითხოთ:
46. ”ჰოი, უგურურო, უჭკუოვ, უღირსო და დაუოკებელო! გვითხარი, რა ჰქვია მამაშენს? რა არის უკეთური დედაშენის სახელი, რომელმაც ბოროტად გშვა შენ? რა ჰქვია შენს ბოროტსა და ბილწ ვაჟებსა და ასულებს? როგორ შეიძლება შენს სიავესთან ბრძოლა და შენი მოკვლა?”

- ის გვიპასუხებს: “ბევრი დედა მყავს. არც მამა მყავს ერთი. ჩემი დედები არიან: ამპარტავნება, ვეცრხლისმოყვარეობა, ნაყროვანება, ზოგჯერ – სიძვა. ჩემი მამები არიან: ქედმაღლობა და ამ უკანასკნელისგან მიღებული ვახში. ჩემი შვილები არიან: გულღვარძლიანობა, სიძულვილი, მტრობა და საჯუთარი ნათქვამის დაცვა-მტკიცება.
47. ხოლო ჩემი მტერია ურისხველობა და სიმშვიდე, რომელთა მიერაც ახლა ვარ შეკრული. თავმდაბლობაა, რომელიც მებრძვის და მანადგურებს მე. და თუ ვინაა მისი მშობელი, თავად მას ჰქითხეთ თავის დროზე“:
- მმებო, ამ ვნების დასათრგუნად მოგვმადლოს ღმერთმა თავმდაბლობა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ

მერვე საფეხურზე ურისხველობის გვირგვინი მოიპოვება. ვისაც ეს გვირგვინი ბუნებრივად აქვს მიცემული, მას, შესაძლოა, მეტი არაფერი გააჩნდეს; ხოლო ვისაც ურისხველობა შრომითა და ოფლით მოუპოვებია, მას რეავე ვნება დაუმარცხებია.



## თავი მეცხრე

### ჩვენი ხელის განვითარების, ინიციატივის თქმული გულდვარძლიანობისთვის

1. წმიდა სათნოებები იაკობის მიერ ნანაზი კიბის მსგავსია და მასზე ასვლით ადამიანი თანდათან ცამდე მაღლდება. ბოროტი საქმეები კი იმ ჯაჭვსა ჰგავს, პეტრე მოციქულს რომ დასცივდა. ვნებებიც ზუსტად ასევეა ერთმანეთზე დამოკიდებული და სული ჯოჯოხეთამდე ჩაჰყავთ. როგორც უწმინდურმა გულისწყრომამ გვითხრა, გულდვარძლიანობა მისი ნაშიერი ყოფილა. ამიტომ მშობლის შემდგომ მის უკეთურ შვილზე ვიღაპარაკებთ.
2. გულდვარძლიანობა არის მრისხანების შხამი, რომელიც ცოდვებს იმახსოვრებს. ის სიმართლის სიძულვილი და სათნოებათა გამანადგურებელია. ის გესლია, სულის მომაკვდინებელი და მატლია, გონების მჭამელი.
3. ის არის ლოცვის შემარცხვენელი,<sup>1</sup> ვედრების დამაბრკოლებელი. მისთვის უცხოა სიყვარული. ის არის სულის ლურსმანი, მრისხანე ადამიანთა საყვარელი მწარე სიტყბოება და უამური საქმე. ის გამუდმებული ცოდვაა, დაუძინებელი ურჯულოებაა და უკეთურებაა ყოველუამიერი.
4. ის ერთ-ერთია იმ ბნელ და ბოროტ ვნებათაგან (გულდრძობაზე მოგახსენებთ), რომელიც ვნებების მშობელი კი არ არის, არამედ მათი ნაშიერია, უფრო სწორად, მშობელიცაა.<sup>2</sup> ამიტომ მასზე ბევრი საუბარი არ მსურს. ვინც მრისხა-

- 
1. ლოცვის შემარცხვენელი არის იმიტომ, რომ ვამბობთ რა: “მოგვიტევენ ჩუენ თანაადგნი ჩუენი, ვითარცა ჩუენ მივუტვებთ თანამდებოა მათ ჩუენთა”, მაშინ გულდვარძლიანობა ჩვენს ლოცვას არცხვენს.
  2. იმიტომ არის მშობელიც, რომ სიამაყისგან გამოწვეული გულისწყრომა შობს გულდრძობას, ხოლო გულდრძობა შობს შურსა და კაცისკვლას.

- ნებას სძლია, მას გულღრძოობაც მოუკლავს; მაგრამ ვიდრე ცოცხალია მამა, იქვე აუცილებლად იქნებიან შვილებიც.
5. ვინც სიყვარული მოიპოვა, მისთვის უცხოა შური. რომელ ადამიანშიც მტრობაა, ის ფუჭად შრომობს და სულს წარი-წყმედს.
  6. გაფანტაჟს სიძულვილს სიყვარულის ტრაპეზი, დამშვიდებს და დააწყნარებს სულს წმიდა ნიჭი.
  7. მოუკრძალებელი ტრაპეზი კადნიერების დედაა. ნაყროვანება სიყვარულის სარკმლიდან შემოდის.
  8. მინახავს, სიძულვილს დიდი ზნის სიძვის ბორკილები რომ დაუმსხვრევია. იქვე მინახავს გულღრძოობაც, რომელსაც სიძვის ბორკილების ხელმეორედ შეკვრა არაფრით დაუშვია. და გამკვირვებია, ეშმაკს ეშმაკი რომ განუდევნია. იქნებ, ეს ღვთის განგებულებით ხდება, და არა ეშმაკისაგან?!?
  9. გულღრძოობისგან შორს არის ბუნებრივი, მტკიცე სიყვარული. მაგრამ სიფრთხილე გვმართებს! მასთან ახლოს ადვილად მიდის სიძვა და სიყვარულის მტრედში სიძვის მკბენარს მალავს.
  10. თუ ღვარძლიანი ხარ, შენი ღვარძლი ეშმაკებისკენ მიმართე. თუ შენში მტრობაა, ყოველთვის საკუთარი ხორცის მტერი იყავი.
  11. სხეული მზაკვარი და უმადური მეგობარია: რამდენადაც ვაამებთ – იმდენად გვავნებს.
  12. გულღრძოობა წმიდა წიგნის მზაკვრულად განმარტებაა, რადგან საკუთარი უკეთურების მოწმედ მოჰყავს ის.
  13. მისი შემარცხვენელია უფალი იესოს ლოცვა, რომელსაც ვერ წარმოვთქვამთ, ვიდრე გულღრძოობა ჩვენთან იქნება.
  14. თუ, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ამ ვნების გულიდან სრულად ამოგდებას ვერ შეძლებ, მაშინ შენს განმანაწყენებელს ზედიზედ სთხოვე პატიება და გარეგნულად გამოიჩინე მის მიმართ სიყვარული, რათა ამგვარი საქციელის გამო სინდისმა გამხილოს, შეგრცხვეს და მთელი გულით შეიყვარო ის.

15. ის კი არ იყოს შენთვის ამ ვნებისგან სრული განკურნების ნიშანი, როცა შეურაცხმფოფელისთვის ილოცებ, ან საჩუქრით გაახარებ, ან ტრაპეზზე მიიწვევ, არამედ ის, როცა შეიტყობ, რომ რაღაც სულიერ ან ხორციელ განსაცდელშია, და შენ ამ უკანასკნელზე ისევე შეწუხდები და იტირებ, როგორც საკუთარ თავზე. იცოდე, აი, მაშინ ზარ ღვარძლისგან თავისუფალი.
16. გულღვარძლიანი დაყუდებული დამალული ასპიტია, რომელიც მომაკვდინებელ შხამს საკუთარ წიაღში ატარებს.
17. ქრისტეს ქნებათა გახსენება ღვარძლიანობას კურნავს, რადგან მისი შემარცხვენელია მაცხოვრის უბოროტობა და სიმშვიდე.
18. სველ შეშას ჭია უჩნდება, ხოლო ზარმაცსა და ჯიუტად მდუმარე დაყუდებულს ღვარძლიანობა ეძალება.
19. ვინც მას განეშორება – ცოდვათა შენდობას პოვებს, ხოლო ვინც მას გაპყვება – ღვთის მოწყალებას დაშორდება.
20. ცოდვათა შენდობის მოსაპოვებლად ძლიერ უშრომია ბევრს, მაგრამ უბოროტო ადამიანს გაუსწრია მისთვის. უფალი ამბობს: “მიუტევეთ და მოგეტევნენ” (ლუკა 6. 37).
21. ჭეშმარიტი სინანულის ნიშანი უბოროტობაა. ვისაც ღვარძლი აქვს და ჰგონია, რომ სინანულშია, იმ ადამიანს ჰგავს, რომელსაც სიზმარში ნამდვილი სირბილი მოუწადინება.
22. მინახავს ღვარძლიანი ადამიანები, სხვები რომ უმხელიათ გულღვარძლიანობაში, შემდეგ საკუთარი სიტყვებისა შერცხვენიათ და ამ ვნებისგან დამცხრალან.
23. არავის ეგონს, თითქოს პატარა იყოს ეს უკეთური ვნება. ის იმდენად დიდია, რომ ხშირად მოღვაწე და სულიერი ადამიანებიც კი დაუცია. ამ ვნებისგან დახსნისთვის ვევდროთ უფალს, რამეთუ მისია დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეს არის მეცხრე საფეხური. ვინც მას მიაღწია, თამამად სთხოვოს ქრისტეს ცოდვათა შენდობა.



**თავი მეათე**  
**აისივა თქმული**  
**პირის თქმისა და განკითხვისათვის**

1. ვფიქრობ, ყველა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ კილვა-ძაგება სიძულვილისა და ღვარძლიანობისგან იშვება. შესაბამისად, მშობლის შემდგომ შვილზე ვისაუბრებთ.
2. ძაგება სიძულვილის ნაშიერია. ის წვრილი სწორებაა, რომლითაც ადამიანი შეუმჩნევლად ავადდება. ის წურბელაა, სიყვარულის სისხლის მწოველი და გამანადგურებელი. ის გულის ორპირობაა, რომელსაც სიბილწე და სიმძიმე მოაქვს და რომელიც სიწმინდეს ანადგურებს.
3. ერთხელ შევესწარი, მავანნი ვიღაცას რომ აძაგებდნენ. გავუწყერი მათ და კუთხარი, შეეწყვიტათ მსგავსი საუბარი. ამ ბოროტების მოქმედებმა კი მიპასუხეს, რომ ასე იმ პიროვნებისადმი სიყვარულისა და ზრუნვის გამო იქცეოდნენ. მე მივუგე: “თავი დაანებეთ ასეთ სასტიკსა და ავ სიყვარულს, რათა არ გამტყუნდეს წინასწარმეტყველის სიტყვები: “რომელი იტყვნ იღუმალ მოყუასისა თვისისა ძრისა, ესე წარვდევნი” (ფსალმ. 100. 5).
4. თუ ის გიყვარს, ილოცე მისთვის და ნუ აძაგებ, რადგან ლოცვით ღმერთი შეეწევა და შეიწყალებს.
5. მძაო, დაფიქრდი! იუდა მოწაფებთან ერთად იყო, ავაზაკი კი – კაცისმეკვლელებთან. ავაზაკი საკვირველი სახით ერთ წამში ცხონდა, ხოლო იუდა წარწყდა. თუ ამაზე მუდამ იფიქრებ, დიდ სარგებელს პოვებ მოყვასის განკითხისგან თავის შესაკავებლად.
6. ვისაც განკითხვის დაძლევა სურს, დანაშაულში ძმას კი არ დასდოს ბრალი, არამედ ამ დანაშაულის ჩამაგონებელ ეშმაკს.

- არავის სურს, შესცოდოს ღმერთს, თუნდაც რომ სიზარმაცე სძლევდეს. არც ვინმეს აიძულებენ ძალით.
7. მინახავს ადამიანები, ცხადად რომ შეუცოდავთ, მაგრამ ფარულად შეუნანიათ. რომლებიც მექაობისთვის განმიკითხავს, განწმენდილან რა სინაულით, წმიდა აღმოჩენილან ღვთის წინაშე.
  8. არ მოგერიდოს და ვინც შენთან ძმას აძაგებს, უთხრი: “გაჩუმდი, ძმაო! მე უარესს ვაკეთებ ყოველდღე და აბა, როგორ განვიკითხო ის?!” ამგვარი საქციელით ორ სასარგებლო საქმეს გააკეთებ: საკუთარ სულსაც არგებ და მოყვასსაც განკურნავ.
  9. მოყვასის განუსჯელობა ცხონებისკენ მიმავალი ერთ-ერთი უმოკლესი გზაა. უფალი ამბობს: “ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ” (ლუკა 6. 37). ამიტომ შევეცადოთ, ძმებო, არ განვიკითხოთ ჩვენი ძმები, რაგვარ ცოდვაშიც უნდა ვნახოთ ისინი.
  10. რამდენადაც წყალი ვერ უთავსდება ცეცხლს, იმდენად განკითხვა – მოყვასის სიყვარულს.
  11. რომც იხილო, ვინმე სიკვდილის წინ სცოდავდეს, არ განიკითხო, რადგან ადამიანისთვის უცნობია ღვთის განაჩენი.
  12. ბევრ ადამიანს ცხადად ჩაუდენია დიდი ბოროტება, მაგრამ უფრო მეტი სიკეთე ფარულად უკეთებია. და შემცდარან განკითხვის მოყვარულნი, როცა მზის ნაცვლად მხოლოდ კვამლი უხილავთ.
  13. მომისმინეთ, მომისმინეთ, პოი, ცოდვილ კაცთა ბოროტო განმკითხელებო! თუ ჭეშმარიტია უფლის სიტყვები (და ეს ასეცაა!): “რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ” (მათე 7. 2), მაშინ ცხადია, რომ ჩვენც იმავე ხორციელსა თუ სულიერ ცოდვაში ჩავგარდებით, რაშიც ბრალს ვდებთ და რის გამოც განვიკითხავთ მოყვასს.
  14. ვისაც სხვისი ცოდვების განკითხვა ეჩქარება, იმიტომ ვარდება ამ ვნებაში, რომ არ ახსოვს და ნამდილად არ ზრუნავს

- თავის ცოდვებზე. თუ ადამიანი თავმოყვარეობის საბურველს ჩამოიშორებს და სათანადო დაინახავს საკუთარ ბოროტებას, მაშინ ის ამ ქვეყნად აღარაფერზე იზრუნებს, და იფიქრებს, რომ მთელი ცხოვრებაც არ ეყოფა საკუთარი ცოდვების გამოსაგლოვად, თუნდაც ასი წელი იცხოვროს და მდინარე ორდანესავით სდიოდეს თვალებიდან ცრემლები.
15. ჭეშმარიტ გლოვას დავაკირდი და მასთან ძაგებისა და განკითხვის კვალიც კი ვერსად ვნახე.
  16. ეშმაკები მზაკვარნი არიან: ისინი ჩვენს ცოდვაში ჩაგდებას ცდილობენ; მაგრამ თუ ეს ვერ მოახერხეს, მაშინ ცოდვილთა განკითხვას ჩაგვაგონებენ და უკეთურნი მეორის საშუალებით პირველს შებილწავენ.
  17. ღვარძლიანი და შურიანი ადამიანისთვის დამახასიათებელია შემდეგი რამ: სხვისი სწავლების, სათნოების ან კეთილი სიტყვების მოსმენისას მაშინვე ამ უკანასკნელის ძაგებას იწყებს, გადაემტერება და შეიძულებს მას.
  18. მინახავს ადამიანები, ფარულად ბევრი მძიმე ცოდვა რომ ჩაუდენიათ. რამდენადაც არავის დაუნახავს მათი ცოდვები, ყველას წმიდა ჰგონებია ეს უკანაკნელნი. მათ კი მკაცრად უშენებიათ და განუკითხავთ მსუბუქ ცოდვათა ჩამდენნი.
  19. განკითხვა მხოლოდშობილი ძის ღირსების მიტაცებაა და სულის დამლუპველია.
  20. რამდენადაც ამპარტავნებას სხვა ვნების გარეშეც შეუძლია ჩვენი წარწყმედა, იმდენად შესაძლებელია სულის სრული წარწყმედა მხოლოდ მოყვასის განკითხვით, ისევე, როგორც ერთადერთმა, განკითხვამ, დასაჯა და წარწყმიდა ფარისეველი.
  21. ბრძენი მევენახე მწიფე მარცვალს ჭამს და მჟავეს – ტოვებს. ასევე ბრძენი და მეცნიერი ადამიანი, იხილავს რა ვინმეს სათნოებებს, გულში დაიმარხავს, ხოლო ნაკლს ყურადღებას არ მიაქცევს. უგუნური ადამიანი კი მხოლოდ მოყვასის ნაკლსა და შეცდომებს დარაჯობს. ასეთზე ნათქვამია:

“გამოიძიეს უშჯულოებად, განილინეს გამოიძიებასა გამოსაძიებელისასა” (ფსალმ. 63. 7). შენ კი, ძმაო, საკუთარი თვალითაც რომ იხილო ძმის ცოდვა, არ განიკითხო, რადგან თვალიც შემცდარა ზშირად, არამედ უგალობე უფალს, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეს არის მეათე საფეხური. ვინც ამ ვნებას სძლია, ის ან სიყვარულის, ან გლოვის მუშაკია.



## თავი მეთერმეტე

ჩვენი ღვიძლი გააის, იოანეს თქმული  
დუმილისა და მრავლის ხელყველებისთვის

1. წინა თავში ვისაუბრეთ, თუ რამდენად ბოროტია და მაც-დური განკითხვა. ახლა ცოტა რამ მრავლისმეტყველებაზეც ვთქვათ, რომელიც არის მიზეზი და კარი ძაგება-განკითხვისა, საიდანაც შემოდის, უფრო სწორად, გამოდის ეს უკანასკნელი.
2. მრავლისმეტყველება ტახტრევანია, რომელზეც ზის და თავს იწონებს ამპარტავნება.
3. მრავლისმეტყველება არის უგუნურების ნიშანი, ძაგების კარი, კადნიერების წინამდგვარი, ტყუილის მსახური, ლმობიერების მომსვრელი, მოწყენილობის მომტანი, ძილის წინამორბედი, პეთილ გულისზრახვათა განმაბნეველი, გლოვის უჩინარმყოფელი, გულის მხურვალების გამაგრილებელი და ლოცვის დამაბნელებელი.
4. პეთილგონივრული დუმილი არის ლოცვის დედა, მიტაცებულის დაბრუნება, დვთიური ცეცხლის მცველი, ღვთის სათნო ზრახვათა მასწავლებელი, გულის ზრახვათა მხურვალების დარაჯი. დუმილი მსტოვარია, რომელიც გამუდმებით უთვალთვალებს მტერს. ის გლოვის ბორკილია და ცრემლის მეგობარი. ის ყოველთვის სიკვდილს იხსენებს, საშინელ ტანჯვას წარმოიდგენს და მომავალ სამსჯავროზე ფიქრობს. ის არის საღვთო მწუხარების მსახური, კადნიერების მტერი, დაყუდების მეგობარი, დიდებისმოყვარეობის ამრიდებელი, გონგის გამამდიდრებელი, დაცამათა მტერი, სულიერ ხედვათა მომნიჭებელი, უჩინარი წარმატება და უხილავი ზესვლა.

5. ვისაც საკუთარი დაცემა შეუცნია, ის საკუთარ ენასაც იცავს. ვინც ბევრს ლაპარაკობს, მას საკუთარი თავი სათანადოდ ვერ შეუცნია.
6. ვისაც დუმილი უყვარს, ღმერთს უახლოვდება, და რამდენადაც უახლოვდება, იმდენად ნათლდება მისგან.
7. იესოს დუმილმა პილატე შეარცხვინა და მდუმარე კაცის სულმა დიდებისმოყვარეობა მოსპო.
8. პეტრემ ერთი სიტყვა თქვა და შემდეგ იმიტომ ტიროდა მწარედ და გლოვობდა, რომ დაავიწყდა წინასწარმეტყველის სიტყვები: “ვთქუ, ვიმარხნე გზანი ჩემნი, რაღო არა ვცოდო ენითა ჩემითა” (ფსალმ. 38. 1). და კიდევ: უმჯობეს არს გარდამოჭრა სიმაღლისგან, ვიდრელა დაცემა ენისგან (იხ. ზირაქი 20. 18).
9. არ მინდა ამაზე ბევრი ვილაპარაკო, მაგრამ ვნებათა მრავალ-ფეროვნება მაიძულებს. ოდესღაც ერთი ადამიანი დუმილზე მესაუბრებოდა და მითხრა: “მრავლისმეტყველებას ორი რამ იწვევს: ან აღზრდა და ცუდი ჩვევა (ენა სხეულის ორგანო. რასაც მიეჩვევა, იმას გააკეთებს); ან – ამპარტავნება და ზოგჯერ – ნაყროვანება (ეს უმთავრესად მოღვაწეებთან გვხვდება). ამიტომ ბევრს ამოუდია მუცლისთვის შიმშილის ლაგამი და ამის წყალობით ენაც დაუდუშებია”.
10. ვისაც სიკვდილი ახსოვს, მას ფუჭი ლაპარაკი სმულს. ვინც გლოვობს, ის მრავლისმეტყველებას ცეცხლივით გაურბის.
11. ვისაც დაყუდება უყვარს, ის ბაგეებს იცავს. ვისაც აქეთიქით სიარული უყვარს, მას მრავლისმეტყველება სენაკიდან აძევებს.
12. ვისაც უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სიტყბოება უგემია და ზეციური ცეცხლის სურნელება უყნოსავს, ის ისევე გაურბის ადამიანებს, როგორც ფუტკარი – კვამლს. როგორც კვამლი დევნის ფუტკარს, ისე ხალხმრავლობა მიუღებელია ასეთი ადამიანისთვის.

13. მნელია უჯებიროდ წყლის შეჩერება. გაცილებით რთულია ენის დაღუმება მარხვის გარეშე, მაგრამ ყოველივე შესაძლებელია ღვთის შეწევნით, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისადე, ამინ.

ეს არის მეთერთმეტე საფეხური. ვისაც ეს მტერი დაუმარცხებია, მას ბევრი ვნება გაუნადგურებია საკუთარ თავში.



## თავი მეთორმეტე

### აისივე თქმული ტყუილისთვის

1. რკინა და ქვა შობს ცეცხლს, ხოლო მრავლისმეტყველება და განცხრომა – ტყუილს.
2. ტყუილი სიყვარულს რყვნის. ის ცრუ ფიცის მშობელია, რაც თავის მხრივ ღვთის უარყოფას ნიშნავს.
3. ვისაც გონება აქვს, არავის ეგონოს, თითქოს ტყუილი პატარა ცოდვა იყოს. ტყუილთან დაკავშირებით სულიწმიდამ საშინელი სიტყვები წარმოთქა დავით წინასწარმეტყველის პირით: “რომელი იტყვინ სიცრუვესა, არა წარემართოს წინაშე თუალთა ჩემთა“.
4. თუ დავით წინასწარმეტყველი ღმერთზე ამბობს: “წარს-წყმიდნე შენ ყოველნი, რომელნი იტყვინ სიცრუვესა” (ფსალმ. 5. 7), მაშინ, რაღა დაემართებათ იმათ, რომლებიც ტყუილს ფიცთან ერთად თხზავენ?!
5. მინახავს ადამიანები, ტყუილით რომ ხარობდნენ, მხიარული და ამაო საუბრით სიცილს იწვევდნენ და მგლოვიარეთა წესს რყვნიდნენ.
6. როცა ეშმაკება შეამჩნევენ, რომ სიცილსა და ხუმრობაში მყოფთაგან ვინმე შეკრებილთა გაცლას დააპირებს, ასეთს ცდუნების მიზნით მზაკვრულად ორ აზრს ჩააგონებენ: პირველი – “არ შეაწუხო მოსაუბრე!” და მეორე – “არ გაამჟღავნო, სხვებზე მეტად რომ გიყვარს ღმერთი!”
7. არ დააყოვნო და გაიქეცი ასეთებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოცვის დროს სიცილისა და განცხრომის მომგრელი აზრები მოგივა და დაგაბნელებს.

8. არათუ გაიქცი, არამედ, თუ შეგიძლია, ჩაშალე კიდეც ბოროტი საუბარი და შეკრებილებს სიკვდილი და განკითხვის დღე შეახსენე. უმჯობესია, მცირეოდენი სიამაყე შეგეპკუროს, ოლონდაც სარგებელი მოუტანო საკუთარ თავსაც და სხვებსაც.
9. ორგულობა ტყუილის დედაა და ხელობა, ვინაიდან ორგულობა სხვა არაფერია, თუ არა ტყუილში გაწვრთნა და ცრუ ფიცი.
10. ვინც ღვთის შიში მოიპოვა, მისთვის უცხოა ტყუილი, რადგან მას საკუთარი შინაგანი და მიუკერძოებელი მსაჯული ჰყავს – სინდისი.
11. როგორც თითოეულ ვწებას განსხვავებული სასჯელი შეესაბამება, ისე ტყუილსაც. სხვაა სასჯელი ტანჯვის შიშით ნათქვამი სიცრუისთვის და სხვაა სასჯელი ტყუილისთვის, საჭიროების გარეშე, ღვთის შიშის არქონის შედეგად რომ ითქმება.
12. ერთმა საზრდოს გამო იცრუა, მეორემ – ავხორცობისთვის, სხვამ – გარშემომყოფთა გასაცინებლად, სხვამ – მმისთვის რომ ბოროტება გაეკეთებინა.
13. მეთაურთაგან მიყენებული ტანჯვით ტყუილი აილაგმება, ხოლო ცრემლთა სიმრავლე სრულიად სპობს და ანადგურებს მას.
14. ტყუილის მთქმელი კეთილგონიერებას იმიზეზებს და სულის წარწყმედას სიმართლედ მიიჩნევს.
15. მატყუარა კაცი იჩემებს, თითქოს საქმით რააბ ნეძვს პბაძვდეს და საკუთარი წარწყმედით სხვების ხსნაზე მსჯელობს.
16. თუ ტყუილისგან სრულიად განვიწმინდებით, შემდგომში რამე განსაცდელიც რომ შეგვემთხვას და სიცრუის თქმა მოვინდომოთ, ტყუილი მაინც გაიქცევა ჩვენგან.
17. ჩვილმა ბავშვმა არ იცის ტყუილი! არც ბოროტებისგან განშორებულმა სულმა!..

18. კაცის გულს როცა ღვინო ეამება, ძალაუნებურად სიმარ-  
თლეს ამბობს. ლმობიერების ცრემლებით აღვსებულთათვისაც  
უცხოა ტყუილი, რადგან ისინი გამუდმებით უფალს ადიდე-  
ბენ, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და უკუნითი  
უკუნისამდე, ამინ.

ეს არის მეთორმეტე საფეხური. ვისაც ეს გველი დაუძლევია, მას  
ძლიერი საძირკველი მოუპოვებია. ეს საძირკველი არის ჭეშმა-  
რიტება



თავი მეცამეტე  
მისივა თქმული  
მოწყენილობისთვის

1. როგორც ადრე ვახსენეთ, მოწყენილობის ვნებაც მრავლის-მეტყველების ერთ-ერთი რტოა, უფრო მეტად, ერთ-ერთი პირმშო. ამიტომ ბოროტ ვნებათა შორის მას სათანადო ადგილი მივუჩინეთ.
2. მოწყენილობა არის სულის სისუსტე, გონების დაუძლურება, მოღვაწეობის უგულებელყოფა, მონაზვნობის შეძულება, ერისკაცთა მონატრება. მოწყენილობა ღმერთს უმოწყალობასა და არასახიერებაში სწამებს ცილს. ის სუსტია ფსალმუნებაში, უძლურია ლოცვაში, დაუღალავი – ხორციელ მსახურებაში, დაუზარელი – ხელსაქმეში და პირმოონე – მორჩილებაში.
3. მორჩილი ადამიანისთვის უცხოა მოწყენილობა, რადგან ხილული საქმეებით ის უხილავს იხვეჭს.
4. სამოში ცხოვრება წინაღუდება მოწყენილობას. ის მარტომყოფი კაცის მუდმივი თანამაცხოვრებელია.
5. განდეგილს მოწყენილობა სიკვდილამდე არ დაეხსნება და საფლავის კარამდე ყოველდღიურად შეებრძოლება.
6. მოწყენილობის ეშმაკი, დაინახავს რა განდეგილის სენაკს, გაეცინება, მიუახლოვდება და ამ უკანასკნელთან დამკვიდრდება.
7. ექიმი დილით მოინახულებს ხოლმე ავადმყოფებს, ხოლო მოწყენილობა შუადღისას ეწვევა დაყუდებულებს.
8. მოწყენილობა დაყუდებულებს უცხოთა შეწყნარებასა და ხელსაქმით მოწყალების გაცემას ჩააგონებს.
9. ის დაუზარელად შეაგონებს დაყუდებულებს, მოინახულონ სნეულები და შემდეგ სიტყვებს შეახსენებს: “სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე“ (მათე 25. 36).

10. მოწყენილობა დაყუდებულებს მწუხარეთა და სულმოკლე-თა მოსანაზულებლად აღძრავს, და სულმოკლეთა ნუგეშის-ცემას იგონებს ის, ვინც თავად არის სულმოკლე.
  11. ლოცვაზე როცა ვდგებით, საჭირო საქმეებს გვახსენებს და ეს პირუტყვი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ჩვენც ისევე განგვაშოროს ლოცვას, როგორც პირუტყვი გაჰყავთ ხოლმე ხარტუკით.<sup>1</sup>
  12. მოწყენილობის ეშმაკი სამი საათის განმავლობაში იწვევს ციებას, თავის ტკივილს, ცხელებასა და მუცლის ტკივილს.
  13. ცხრა საათი როცა მოახლოვდება, ის მცირეოდენ შვებას იძლევა. სუფრას როცა გაშლიან, საწოლიდან წამოახტუნებს ადამიანს, ლოცვის უამს კი კვლავ დაუმძიმებს სხეულს.
  14. ლოცვაზე როცა წარვდგებით, ძილით დაგვნოქავს და ზედიზედ მთქნარებით პირიდან გამოვტაცებს გალობის მუხლებს.
  15. ყველა სხვა ვნება საწინააღმდეგო სათხოებით აილაგმება; მოწყენილობას კი მონაზვნისთვის ყოველმხრივ სიკვდილი მოაქვს.
  16. მამაცი სული მკვდარ გონებას მკვდრეთით აღადგენს, ხოლო მოწყენილობა და სიზარმაცე მთელ სიმდიდრეს გაფლანგავს.
  17. რადგან რვა ბოროტი ზრახვიდან ერთ-ერთი მოწყენილობაა, თნაც ყველაზე მძიმე, ამიტომ ჯერისაებრ გამოვიკვლიოთ ის. მაგრამ თავდაპირველად შემდეგი ვთქვათ:
  18. ფსალმუნთა კითხვამდე მოწყენილობა არ ჩანს, და როცა ლოცვის კანონს დავასრულებთ, თვალები მაშინდა აგვე-ხილება.
  19. მოწყენილობის დროს წარმოჩნდება, თუ ვინ ებრძვის საკუ-თარ თავს. სხვა ვერაფერი მოუტანს მონაზონს იმდენ გვირ-გვინს, რამდენსაც მოწყენილობა, როცა მას არ ემორჩილებიან.
- 
1. ხარტუკი დატანს შორის მოქცეული კავა, რომელსაც საქონელს ცხვირში გამოსდებენ ხოლმე და შემდეგ ორი კაცი მიათრევს (იხ. სულხან-საბას ლექსიკონი).

20. თუ დააკვირდები, მიზედები, რომ ის ყოველთვის გვებრძვის ლოცვის დროს: ჯერ დაჯდომას, შემდეგ კედელზე მიყრდნობას, შემდეგ სენაკის სარკმლიდან გახედვას ჩაგვაგონებს და ნაბიჯის ხმებს მოგვაყურებს.
21. ვინც ჭეშმარიტად გლოვობს, მას მოწყენილობა ვერ გაეკარება.
22. მოდით, საყვარელნო, სიკვდილსა და ცოდვებზე ფიქრით შევბოჭოთ ეს მტანჯველი, ვევემოთ ხელსაქმით, საუკუნო სიკეთეზე ფიქრით მივიყვნოთ და წარვუდგინოთ სულიერ სამსჯავროს, და ვკითხოთ მას: “ჰო, ღონემიხდილო და ზარმაცო, გვითხარი, ვინ გშვა ბოროტად? ვინ არიან შენი ნაშიერნი? ვინ გებრძვის შენ? ვის შეუძლია შენი მოკვლა?”

ის გვეტყვის: ჭეშმარიტ მორჩილებთან თავის მოსაძრეკი ადგილიც კი არ მაქს. ვცხოვრობ განდეგილებთან. ბევრი მშობელი მყავს: ზოგჯერ ეს არის სულის ულმობლობა, ზოგჯერ – ზეციურ სიკეთეთა დავიწყება, ზოგჯერ – გადაჭარბებული შრომა. მრავალი ნაშიერი მყავს: ჩემი მიზეზით დადიან აქეთ-იქით, ეურჩებიან მოძღვარს, ივიწყებენ საუკუნო სასჯელს. ხშირად ჩემი მიზეზით უარუყვიათ მონაზვნობის აღთქმაც. ჩემი მოწინააღმდეგეა ფსალმუნება და ხელსაქმე, რომელთა მიერაც ახლა ვარ შეკრული. ჩემი მტერი სიკვდილზე ფიქრია. მკლავს საუკუნო სიკეთეთა მოპოვების იმედით აღვლებული ლოცვა. და თუ ვინ არის ლოცვის მშობელი, თავად მას ჰკითხეთ, რადგან იგი უგალობს და შეპლალადებს უფალს, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეს არის ვნებებზე მეცნიერებული გამარჯვება. ვინც ეს გამარჯვება მოიპოვა, ის ყველაფერში გამოცდილია.



## თავი მეთოთხმეტე

მისივა, ჩვენი ფილა ააშის, ირანის თბაული  
ნაყროვანებისთვის

1. სხვა ვწებების მსგავსად, ნაყროვანებაზეც მსურს, მცირე რამ ვთქვა; მაგრამ რასაც მუცლის სიხარბეზე ვიტყვი, ჩემდა გასაგონადაც ვამბობ. გამიკვირდებოდა ისეთი ადამიანის ნახვა, რომელიც საფლავში ჩასვლამდე ამ ვწებისგან თავი-სუფალი იქნებოდა.
2. ნაყროვანება მუცლის ორპირობაა: როცა გამძლარია, ცოტააო, იჩემებს; როცა სავსეა და გასკდომაზე, გაიძახის, მშიაო და ისევ საჭმლის გულმოღვინე ძიებაშია.
3. ნაყროვანება ახალ-ახალ საჭმელს იგონებს და გემოთმოყვარეობის წყაროს წარმოადგენს.
4. ერთ სათავეს დაუხშობ? – სხვაგან ამოყოფს თავს. იმასაც დაახშობ? – სხვა მსრიდან გძლევს.
5. ნაყროვანება თვალს ატყუებს: მუცელი ცოტას იტევს, ეს კი ყველაფრის ერთბაშად შთანთქმას მოუწოდებს.
6. სიმაძლე სიძვის მამაა, ხოლო მუცლის დამშევა – სიწმინდის წინამძლვარი.
7. ლომს ვინც ეფერება, ხშირად ათვინიერებს კიდეც; მაგრამ ვინც სხეულს ეფერება, უფრო მეტად ამძინვარებს მას.
8. ურიას შაბათი და დღესასწაული ახარებს, ხოლო ნაყროვან მონაზონს – შაბათ-კვირა.
9. ის ერთი წლით ადრე გამოითვლის, თუ როდის არის აღდგომა და დღესასწაულის დადგომამდე მოამზადებს სანოვაგეს.
10. მუცლის მონა იმაზე ფიქრობს, თუ რომელი სანოვაგით აღნიშნოს დღესასწაული, ხოლო ჭეშმარიტი ღვთის მონა – თუ რომელი საღმრთო მაღლით გამდიდრდეს.

11. ნაყროვანი სიხარულით დეტულობს მასთან მისულ უცხოს, მაშინვე სუფრას უშლის და საკუთარ უძლურებას ძმის სიყვარულად შერაცხავს.
12. ვინმე თუ ესტუმრა, ღვინით იხსნილებს. თავისი ჭკუით, სათნოებას ფარავს, სინამდვილეში კი ვნების მონაა.
13. დიდებისმოყვარეობა ხშირად ემტერება ნაყროვანებას. ეს უკანასკნელი ისევე ერჩიან ერთმანეთს საწყალი მონაზვნის გამო, როგორც ნაყიდი მონისთვის.
14. ერთი კანონის დარღვევას აიძულებს, მეორე – საკუთარი სათნოების წარმოჩენას.
15. ბრძენი მონაზონი ორივეს განერიდება, რადგან დროულად დევნის ერთის საშუალებით მეორეს.
16. რაჟამს ხორციელი ბრძოლები მოგვეძალება, მაშინ ყველგან და ყოველჟამს უნდა ვტანჯოთ ხორცი. თუ ხორცი მოვაკვდინებთ (არ ვიცი, რამდენად მოვახერხებთ ამას სიცოცხლეში), აი, სწორედ მაშინ უნდა დაგფაროთ ჩვენი სათნოება.
17. მინახავს, მოხუცებულ მღვდლებს ეშმაკები რომ დასცინოდნენ: ისინი სხვის მორჩილებაში მყოფ ჭაბუკებს წვეულების დროს აიძულებდნენ, ეხსნილათ მათთვის აკრძალული ღვინითა და საჭმლით მას შემდეგ, რაც სანოვაგეს აკურთხებდნენ და ჯვარს გადასახავდნენ.
18. თუ მსგავს ადგილას აღმოგჩნდებით და გვეცოდინება, რომ ისინი ნამდვილად ღვთის მოშიში და მოღვაწე მღვდლები არიან, მაშინ კურთხევის გამო მცირეოდენ დავარღვიოთ ჩვენი წესი; მაგრამ თუ დაუდევრობის გამო იქცევიან ასე, მაშინ მათ კურთხევას ყურადღება არ მივაქციოთ, მით უმეტეს თუ ხორცთა განხურვება გვმძლავრობს.
19. უბადრუესა და საწყალ ევაგრეს მჭევრმეტყველებითა და აზროვნებით ბრძენთა უბრძენესი ეგონა თავი, მაგრამ შეცდა უგულისხმო და ბევრ საქმეში უგუნურთა შორის ყველაზე უგუნური აღმოჩნდა, მათ შორის ამაშიც, როცა ამბობდა:

“როცა სულს ბევრი საჭმელი სწადია, მაშინ პურითა და წყლით შევავიწროვოთ ის”. ეს იმას ჰგავს, პატარა ბავშვს რომ უთხრა, ერთი ნაბიჯით ავიდეს კიბის თავში. ჩვენ არ ვეთანხმებით ნათქვამს და ვიტყვით: ბუნებრივია, როცა სულს მრავალფეროვანი საჭმელი სწადია. თუ ძლიერი ბრძოლები არ გვაქვს, და არც დაცემის შიში, მაშინ მისი მზაკვრობის წინააღმდეგ ხერხი ვიხმაროთ და ასე მოვიქცეთ: თავდაპირველად მსუყე საჭმელზე ვთქვათ უარი, შემდეგ – მხურვალეზე, შემდეგ – გემრიელზე. თუ შესაძლებელია, მუცელს დამანაყრებელი და ადვილად მოსანელებელი საკვები მივცეთ, რათა მისი გაუმაძლარი გონება გავაძლოთ, ხოლო სწრაფი მონელებით ისე გავექცეთ ხორცთა განხურვებას, როგორც ცცცხლს.

20. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბევრი საჭმელი, რომელიც მუცელს ბერავს, ხორცთა აღძვრასაც იწვევს.
21. გაიცინე, როცა ეშმაკი სერობის შემდეგ გეტყვის, ხვალ დადე მარხვის აღთქმაო. დადგება ხვალინდელი დღის ცხრა საათიც და ნახავ, თუ როგორ უარყოფს ის თავის აღთქმას.
22. სხვაა იმათი მარხვა, რომლებიც არ დაცემულან, და სხვაა – დაცემულთა. პირველთ ხორცთა აღძვრის მოკვდინება აქვთ ნიშნად, ხოლო მეორენი სიცოცხლის ბოლომდე შეურიგბლად და ულმობლად ებრძვიან ხორცსა და მუცელს.
23. პირველებს ბუნებრივი მდგომარეობის მარადის უკნებლად დაცვა სურთ, ხოლო მეორეებს – სულიერი მჭმუნვარებითა და ხორცთა დაძაბუნებით ღვთისთვის თავის შებრალება.
24. სრულყოფილთათვის შვებისა და სიხარულის ჟამი სრული უზრუნველობის მოპოვებისას დგება, მოღვაწეთათვის – ბრძოლისა და მტრის დამარცხების დროს, ხოლო ვნებებით შეპყრობილთათვის – როცა დღესასწაულთა დღესასწაულია და კრებათა კრება.

25. ნაყროვანის გულში საჭმელ-სანოვაგეზე ფიქრი და სიზმარია, ხოლო მგლოვიარეთა გულში – განკითხვის დღესა და სამარადისო ტანჯვაზე ფიქრი და სიზმარი.
26. დაუუფლე მუცელს, ვიდრე თავად დაგეუფლება და იმულებული გახდები, შერცხვენილმა იმარხულო.
27. სიძვის გამოუთქმელ ორმოში ჩაცვენილებმა იციან, რასაც ვამბობ. საჭურისები ამაში გამოუცდელები არიან.
28. მუცელს საუკუნო ცეცხლზე ფიქრით ამოსდე აღვირი, თორემ დამორჩილებიან რა მუცელს, საბოლოოდ მრავალს მოუკვეთავს ასო და ორივე სიგვდილით მომკვდარა.
29. დავაკვირდეთ, დავუფიქრდეთ და უთუოდ მივხვდებით, რომ მხოლოდ ნაყროვანება ყოფილა დანთქმათა მიზეზი, რომელთაც ჩვენში ჰქონია ადგილი.
30. მარხულის გონება ფხიზლად ლოცულობს, ხოლო ნაყროვანის გონება სავსეა უწმინდური კერპებით.
31. მაძლარი მუცელი თვალთა წყაროს შრეტს, ხოლო მშიერი მუცელი ცრემლთა წყაროს წარმოადინებს.
32. ვინც მუცელის მამებელია და ჰქონია, სიძვის ეშმაკს სძლია, იმ კაცს ჰქავს, ცეცხლს ზეთით რომ აქრობს.
33. როცა მუცელს ვავიწროვებთ – გული მდაბლდება; როცა ვანებივრებთ – გონება მაღლდება და აზრები იფანტება.
34. მმაო, განიკითხე საკუთარი თავი განთიადისას, შუადღისას და საღამოუამს ჭამის წინ და თავად მიხვდები მარხვის სარგებელს.
35. დიღით აზრები შფოთავს და იფანტება, შუადღისას მცირედ უძლურდება, ხოლო მზის ჩასვლისას სრულიად მდაბლდება.
36. შეავიწროვე მუცელი და ენასაც უეჭველად დააღუმებ. ბევრი საჭმლით ენა ძლიერდება და მრავლისმეტყველებას იწყებს.
37. ფხიზლად იყავი მასთან და შეებრძოლე. მცირედაც თუ გაირვები, მაშინვე უფალი შეგეწევა.

38. ტიკს რაც უფრო მეტად დაამუშავებენ, მით უფრო გაიბერება; მაგრამ თუ უყურადღებოდ დატოვებენ და არ დაამუშავებენ, იმდენად ტევადი ვერ იქნება.
39. ვინც მუცელს ჭამას მუდამ აიძულებს – ნაწლავებს იფართოებს; ხოლო ვინც მარხულობს – ნაწლავებს ივიწროებს; დავიწროებული ნაწლავები ბევრს ვეღარ იტევს და ბუნებრივად ვმარხულობთ.
40. წყურვილით ხშირად დაუცხრიათ წყურვილი, მაგრამ შიმშილით შიმშილის განდევნა ძნელია და თითქმის შეუძლებელი.
41. როცა მუცელი გძლევს, იშრომე და სძლიე მას; თუ უძლურებაში ხარ და ვერ შრომობ, მაშინ მღვიძიარებით ტანჯე ის.
42. როცა ძილისგან დაგიმმიმდება თვალები, ხელსაქმეს მიმართე; მაგრამ თუ ძილი არ გაძლავს, დაანებე ხელსაქმეს თავი და ილოცე; რადგან შეუძლებელია, ღმერთსაც ემსახურო და მამონასაც, ანუ ღმერთზეც იფიქრო და ხელსაქმეზეც.
43. იცოდე, ზოგჯერ ეშმაკი ადამიანის მუცელში მკვიდრდება და იმდენად გაუმაძლარს ხდის, რომ თუნდაც მთელი ეგვიპტე გადაჭამოს და მდინარე ნილოსი შესვას, მაინც ვერ გაძლება.
44. როცა გავძლებით, ნაყროვანების უწმინდური ეშმაკი წავა და სიძვის ეშმაკს გამოგვიგზავნის, უამბობს რა ყველაფერს ჩვენს შესახებ და ეტყვის: “იჩქარე, ჩქარა უჩურჩულე და აღაშფოთე! ნუ სწუხარ, ახლა საკსეა მისი მუცელი და დიდი გარჯა არ დაგჭირდება“.
45. განრისხებული მოვა ჩვენთან სიძვის ეშმაკი და რაჟამს იხილავს, მაძღარნი ვართ, გაეღიმება, ხელ-ფეხს ძილით შეგვიკრავს, ისე მოგვეჩევა და დაგვცინებს, როგორც თავად სურს, წარმოდგენებითა და სიბილწის დაღვრით სულსა და ხორცს შეაგინებს.
46. რა საოცარია, მშებო! როგორ ბილწავს და აბნელებს ნივთიერი სხეული უსხეულო და უნივორ გონებას! ან როგორ წმენდს, აფაქიზებს და მჭვრეტელს ხდის ეს თიხა უნივორ გონებას.

47. თუ ვიწრო გზით სიარული აღუთქვი ღმერთს, მაშინ მუცელიც შეავიწროვე. იცოდე, აღთქმას არღვევ, ვიდრე ის განსვენება-შია.
48. მოისმინე, რას ამბობს უფალი: ფართოა გზა მუცლისა, რომე-ლიც სიძვით წარწყმედისკენ მიდის და მრავალი დადის ამ გზით.
49. “ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაზ” მარხვისა, რომელიც სიწმინდის სავანეში მიდის და მცირედნი დადი-ან ამ გზით (შდრ. მათე 7. 14).
50. ეშმაკთა მთავარი ზეცილან გადმოგდებული ანგელოზია. ვნება-თა მთავარი კი მუცლის სიმაძლრეა.
51. სანოვაგით სავსე სუფრასთან ჯდომისას გონებაში სიკვდილსა და სასჯელზე იფიქრე. მაგრამ ამგვარადაც კი გაგიჭირდება, მცირედ მაინც დააოკო ნაყროვანების ვნება.
52. სასმელის მიღებისას გაიხსენე მმარი და ნაღველი, შენმა მეუფემ რომ შესვა. შედეგად, ან იმარხულებ, ან ამოიოხებ, დამდაბლდები გონებით და შენსავე თავს დაადანაშაულებ.
53. მმაო, არ მოიტყუო თავი! ვერ გაექცევი უხილავ ფარაონს და ვერც ზეციურ პასექს იხილავ, ვიდრე ამა სოფელში ყოველდღე არ შეჰამ მდოგვსა და უცომოს.
54. მდოგვი მარხვის დვაწლი, ჭირი და ნაკლულოვანებაა; ხოლო უცომო მდაბალი გონებაა, რომელიც სიამაყის საფუარს არ ღებულობს.
55. შენი ფიქრი და აზრი წინასწარმეტყველის სიტყვებით გან-სჭვალე: ”რაუამს იგინი (ანუ ეშმაკნი) მაჭირვებდიან მე, შევიმოსი ძაბაზ და დავიმდაბლი მარხვითა სული ჩემი და ლოცვაზ ჩემი წიაღადვე” სულისა ჩემისა იყოს განუშო-რებლად (ფსალმ. 34. 13).
56. მარხვა არის ადამიანური ბუნების იმულება, პირის გემოს უარყოფა, ხორცთა განხურვების ალაგმვა, ბოროტ აზრთა მოკვეთა, ბილწი სიზმრებისგან გათავისუფლება, ლოცვის სიწმინდე, სულის მნათობი, გონების მცველი, გულის უგრძო-

- ბელობის განმაქარვებელი, ლობიირების კარი, მდაბალი ოხვრა, გულის შემმუსვრელი, უქმეტყველების უჩინარმყოფელი, დაყუდების მიზეზი, მორჩილების მცველი, ძილის განმდევნელი, სხეულის სიჯანსაღე, უვნებობის წინამძღვარი, ცოდვათა მიმტევებელი და სამოთხის კარი.
57. მოდით, ძმებო, და ნაყროვანების ვნებას, ამ ყველაზე დიდ ბოროტებას, ბოროტთა წინამძღვარს, ადამის დაცემას, ესავის წარწყმედას, ისრაელის მომსვრელს, ნოეს უპატიობას, გომორელთა ამომბუგავს, ლოთის შეცოდებას, ელია მღვდლის ძეთა დამღუპველსა და სიბილწის მომტანს გვითხოთ, რათა მისგანვე გავიგოთ, თუ საიდან იშვება, რას შობს, ვინ არის მისი შემმუსრველი ან ვის შეუძლია მისი სრული დამარცხება.
58. “გვითხარ, პო, ყოველი ხორციელის მტანჯველო და გაუმაძღრობის ოქროთი ყველას მომსყიდველო! როგორ შემოდიხარ ჩვენში? რას შობ ჩვენში შემოსვლის შემდგომ? როგორ გადიხარ ჩვენგან?”

და ეს უკეთურიც ამგვარად გვიპასუხებს ჩვენ, რომლებიც შეურაცხყოფითა და ლანძღვით ვეკითხებით: რატომ შეურაცხმყოფთ და მლანძღვით ისინი, რომლებიც ჩემი ხელჭევითები ხართ? როგორ ცდილობთ ჩემგან თავის დაღწევას? – მე ხომ თქვენთან თქვენივე ბუნება მაკავშირებს. ჩემთვის საჭმლის სიმრავლეა კარი. ჩემი გაუმაძღრობის მიზეზია ძველი ჩვეულება, სულის ულმობლობა და სიკვდილის დავიწყება. როგორ გაიგებთ ჩემი ნაშიერების სახელებს? – დავთვალე და ზღვის ქვიშაზე მეტი აღმოჩნდნენ ისინი. მაინც მოისმინეთ ჩემი საყვარელი პირმშოებისა და შვილების სახელები: ჩემი ძე-პირმშო არის სიძვა, მის შემდგომ არის გულის უგრძნობელობა, შემდეგ – ძილი, შემდეგ – ბილწ აზრთა ზღვა, ღელვა და ჭალლები. ჩემგანაა ენითაღუწერელ და გამოუთმევ უწმინდურობათა უფსკრული. ჩემი ასულები არიან: მცონარება, მრავლისმეტყველება, კადნიერე-

ბა, განცხრომა, სიცილი, კამათი, გულქვაობა, ურჩობა, ულმობლობა, დაბნელება, სიამაყე და სიცარიელე გონებისა, წუთისოფლის სიყვარული, რომელსაც მოსდევს შერყვნილი ლოცვა, გონების გაფანტვა და ხშირად – მოულოდნელი განსაცდელებიც. მათგან იშვება ყველაზე დიდი საშინელება – სასოწარკვეთილება. ვნებებს მე ვშობ, მე ვამრავლებ დაცემას და ვავიწყებ სიკვდილს.

მებრძვის, მაგრამ ვერ მერევა ცოდვებზე ფიქრი. ძლიერ მემტერება სიკვდილზე ფიქრი, მაგრამ ადამიანებში მაინც არაფერია ისეთი, ჩემი სრული მოსპობა რომ შეეძლოს.

ვისაც სულიწმიდა მოუპოვებია, ის ჩემს წინააღმდეგ შეპრაღადებს და ევედრება. სულიწმიდაა ჩემი მომაოხრებელი, ის არ მაძლევს საშუალებას, ვავნო ადამიანს. ხოლო რომლებსაც ნუგეშისმცემლის გემო არ უხილავთ, ისინი უთუოდ დატკბებიან ჩემი სიტკბოებით, რადგან მხოლოდ სულიწმიდაა ჩემი განმაქარვებელი, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეს არის მეთოთხმეტე საფეხური – დიდსა და ძლიერ ბოროტებაზე გამარჯვება. ვინც ეს ვნება დაამარცხა, ცხადია, რომ სრული სიწმინდისა და უვნებობისკენ მიემართება.



## თავი მეთხოთხეზე

აისივა თქმული

უხროველი სიღმიდისა და ქალაქულებისთვის,  
რომელსაც ხროვადი კაცი შრომითა და ოფლიტი  
მოიკრივებან

1. როგორც უკეთური და მძლავრი ნაყროვანებისგან გვესმა, ხორციელი ბრძოლა თვითონ მისი ნაშობი ყოფილა. არცაა გასაკვირი! ამასვე გვასწავლის ჩვენი პირველი მამა, ადამიც: ის რომ ნაყროვანებით არ დაცემულიყო, ცოლს არ შეიცნობდა. როცა შეიცნო, სამოთხიდან გამოაძევეს. ამიტომ ვინც პირველ მცნებას დაიცავს, მეორით არ დაეცემა, ადამის ძეობას შეურყებულად შეინარჩუნებს და ანგელოზებს მცირედ ჩამორჩება; ესეც იმიტომ, რომ როგორც დიდი გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს, ბოროტება უკვდავი არ იყოს. რადგან ზემოხსენებულ ვნებაზე გამარჯვებას მშვენიერი სიწმინდე მოსდევს, ამიტომ სათანადო ადგილას დავაწესეთ სიწმინდეზე საუბარი და ძალისაებრ ჩვენისა ვიტყვით:
2. სიწმინდე უსხეულო არსებების ბუნების გათავისებაა.
3. სიწმინდე ქრისტესთვის სასურველი ტაძარია და გულისთვის ცაა დედამიწაზე.
4. სიწმინდე არის ბუნების ზებუნებრივი უარყოფა და მოკვდავი და ხრწნადი სხეულით უხორცო არსებების საკვირველი მიბაძვა.
5. წმინდაა ის, ვინც სიყვარულით სიყვარული განდევნა და უნივერცუალი ცეცხლით ცეცხლი დაშრიტა.
6. წმინდაა ის, ვისმიც არანაირი ცელილება და ძვრა არ ხდება ძილშიც კი.
7. სიწმინდე ყველა სათნოების საერთო სახელია.

8. წმინდა არის ის, ვისაც სრული სიფხიზლე მოუპოვებია და ვისშიც ვნების არანაირი კვალი არ არის.
9. სრული სიწმინდის კანონი და ზღვარი ის არის, როცა გონიერი უცვლელია ნებისმიერი სხეულის მიმართ და მის-თვის ერთია სულიერი თუ უსულო, მეტყველი თუ უტყვი.
10. ვისაც სიწმინდე მოუპოვებია, არავის ეგონოს, რომ ის საკუთარი ძალით მოიპოვა. შეუძლებელია საკუთარი ბუნე-ბის დამარცხება!
11. სადაც ბუნება დამარცხდა, უეჭველია, რომ იქ ბუნებაზე აღმატებული დაემცვიდრა. უდავოდ, უმდაბლესს უმაღლესი სძლევს.
12. სიწმინდის დასაწყისი არის აზრთა სრული დაცვა და ოცნებათა ალაგმვა ბოროტი სანახაობის ხილვისას და ზედიზედ დინებისას, მაშინაც კი, როცა ძილში გარკვეული ხნით ოცნების გარეშე ხდება დინება. საშუალოა სიწმინდე, როცა ხორცთა ბუნებრივი აღძვრა ოცნებისა და დინების გარეშე ეუფლებათ; ხოლო სრულყოფილი სიწმინდე არის ხორცის მოკვდინება, რომელსაც წინ უძლვის უწმინდურ აზრთა მოკვდინება.
13. ჭეშმარიტად ნეტარია ის მონაზონი, რომელიც არაფრის, არანაირი სხეულის, სახისა თუ სილამაზისადმი ვნებას არ განიცდის და საკუთარ თავს მსგავსი რამების მიმართ ვნების ვერანაირ კვალს ატყობს.
14. ის კი არ არის წმინდა, ვინც თიხა უბიწოდ დაცვა, არამედ იგი, ვინც მისი ყოველი ასო სულს დაუმორჩილა.
15. დიდია ის, ვისაც შეხებისას ვნება არ ეუფლება; მაგრამ მასზე დიდია იგი, ვინც ხედავს, უვნებელი რჩება და ხილვით დანთებულ ცეცხლს ზეციური სიკეთისა და მშვენიერების ხსენებით სძლევს.
16. ვინც ამ ძალლს ლოცვით დევნის, ლომებთან მებრძოლ კაცს ჰგავს; ვინც მას გონებაში ეკამათება და წინ აღუდება, იმ კაცს ჰგავს, თავის მტერს რომ დევნის; ხოლო ვინც მის

- მოსვლას საერთოდ არაფრად აგდებს, უკვე საფლავიდან აღმდგარა, თუმცა კი ხორციშია.
17. თუ სიწმინდის ნიშანია ის, როცა ძილში ოცნების დროსაც კი ხორცის აღდგრა არ ეუფლებათ, მაშინ ცხადია, რომ დიდი ვნებიანობისა და სიბილწის ნიშანია ის, როცა სი-ფხიზლეში ფიქრისას დენა შეემთხვევათ.
  18. ვინც ამ ძლიერ მეტოქეს ხორციელი შრომითა და ოფლით უპირისპირდება, იმ კაცს ჰგავს, მტერი რომ თივის ღეროთი შეუკრავს; ვინც მარხვითა და მღვიძარებით ებრძვის, იმ კაცს ჰგავს, მოწინააღმდეგ რკინის ბორკილებით რომ შეუბოჭავს; ხოლო ვინც თავმდაბლობით, ურისხველობითა და წყურვილით წინაღუდება, იმ კაცს ჰგავს, მეტოქე რომ მოუკლავს და ქვიშაში დაუმარხავს.
  19. ქვიშაში იგულისხმება თავმდაბლობა, რადგან ის ვნებების-თვის საძირვარს კი არ წარმოადგენს, არამედ მიწასა და ნაცარს.
  20. ამ მოწინააღმდეგეს ზოგი — მოღვაწეობით, ზოგი — თავ-მდაბლობით, ზოგი საღმრთო ნიჭითა და გამოცხადებით ბოჭავს. პირველი ცისკრის ვარსკვლავს ჰგავს, მეორე — სავსე მთვარეს, მესამე — ბრწყინვალე მზეს; სამივეს ადგილი კი ცაშია.
  21. თავდაპირველად ირიურაჟებს, შემდეგ ნათდება და ბოლოს მზეც გამობრწყინდება. ასე უნდა წარმოვიდგინოთ ზემოთქმულიც.
  22. მელა თავს მოიმძინარებს ხოლმე, ხოლო სიძვის ეშმაკი ბრძოლას აყოვნებს. პირველი ჩიტის შესაპყრობად იქცევა ასე, ხოლო მეორე — ადამიანთა სულების მონადირებისა და წარწყმელის მიზნით.
  23. ბმაო, არ დაიჯერო ხორცთა ბრძოლის შეწყვეტა და მთელი სიცოცხლე არ ენდო მათ, სანამ ქრისტესთან არ წარგადგნენ.

24. ნუ გექნება მარხვის იმედი, რომ დაცემისგან დაგიცავს. ვინც არაფერს ჭამდა, ზეციდან გადმოვარდა. განა შენ უჭმელობა გიშველის?!
25. გულისხმისმყოფელ ადამიანებს უთქვამთ, რომ მონაზვნობა საკუთარ ხორცითა მტრობა და მუცელთან ბრძოლაა.
26. დამწყებნი შვებისა და განსვენების გამო ეცემიან ხორციელად; საშუალოდ წარმატებულნი – სიამაყის გამო (ახალმოსულებიც ეცემიან სიამაყისგან), ხოლო სრულყოფილებასთან მიახლებულნი მხოლოდ მოყვასის განკითხვის გამოისობით ეცემიან.
27. ზოგიერთი დაბადებიდან საჭურისს შენატრის, რამდენადაც იგი თავისუფალია ხორციელი ბრძოლებისგან. მე კი იმას შევნატრი, ყოველდღე რომ ისაჭურისებს თავს და, როგორც ორლესული მახვილით, ისე იკვეთს ბილწ აზრებს.
28. მინახავს ადამიანები, უნებურად რომ დაცემულან; მინახავს სხვებიც, საკუთარი ნებით რომ ეწადათ დაცემა, მაგრამ ვერ ახერხებდნენ; ეს უკანასკნელნი უფრო უბადრუკებად მივიჩნიე, ვიდრე ისინი, ყოველდღე რომ ეცემოდნენ, რადგან არ შეეძლოთ და სიმყრალე ეწადათ.
29. საცოდავია, ვინც ეცემა; მაგრამ უფრო საცოდავია, ვინც სხვასაც დასცემს, რადგან ორივეს დაცემისა და გულის-თქმის სიმძიმეს ტვირთულობს.
30. ნუ მოიწადინებ სიძვის ეშმაკის დავა-კამათით განდევნას. მას ჩვენს წინააღმდეგ მრავალი მიზეზი აქვს, რადგან ჩვენივე ბუნებით გვებრძვის.
31. ვისაც ხორციან შებრძოლება და გამარჯვება საკუთარი ძალით სურს, ამაოდ დაშვრება. თუ უფალი არ დაარღვევს ხორციელ სახლს და არ ააშენებს სულიერს, ამაოდ იფხიზლებს და იმარხულებს ამ სახლის დარღვევის მოსურნე.
32. უჩვენე უფალს სნეულება შენი ბუნებისა, ყოველთვის განსოვდეს შენი უძლურება და ღვთისგან სიწმინდის მადლს უხილავად მიიღებ.

33. როგორც ერთმა ქვემონახსენებ ვნებაში ჩავარდნილმა და შემდეგ გამოვთხიზლებულმა კაცმა მითხრა, ზოგჯერ ავხორციებს განსაკუთრებული ხორციელი ტრფიალება ეუფლებათ; მათში ურცხვი და უკეთური სული შედის, რომელიც გულის გრძნობებში იბუდებს; გულში ისეთ ხორციელ ტკივილს აღუძრავს, თითქოს ცეცხლოვან ქურაში იწვოდნენ და ამ დროს აღარც ღმერთის ეშინიათ, არაფრად აგდებენ საუკუნო ტანჯვაზე ფიქრს, სძულთ ლოცვა, მიცვალებულებს უსულო ქვებივით შეჰყურებენ. ვისმიც ეს ვნებაა, სულელსა და ჭკუაზე შეშლილს ემსგავსება. ეს ვნება კაცს მეტყველთა თუ პირუტყვთა სხეულისადმი გულისთქმებით ათრობს. უკეთურების სულის ასეთი ბრძოლების ხანგრძლივობა რომ არ მოკლდებოდეს,<sup>1</sup> ვერც ერთი სული გადარჩებოდა, ვისაც თიხა – სისხლსა და მყრალ ბალლამთან შეერთებული ხორცი – ჰმოსავს. ან როგორ გადარჩებოდა, როცა ყოველივე არსებულს განუძღლომლად სწადია თავისივე მონათესავე: სისხლს – სისხლი, მატლს – მატლი. ასევე სწადია ხორცს ხორცი, მიუხედავად იმისა, რომ სასუფევლის მოყვარულნი და ბუნების მაიძულებელნი ყოველგარ ძალისხმევას მივმართავთ ამ მაცდურის საცდუნებლად.
34. ნეტარია, ვისაც ზემონახსენები ბრძოლა არ განუცდია. ვიღოცოთ, რათა უფალმა გვიხსნას მისგან. ამ უფსკრულში ჩავარდნილო დიდი შიმშილი და შრომა სჭირდებათ სათნოებათა კიბეზე ასასვლელად.
35. დავუფიქრდეთ და გავიაზროთ: იქნებ, ჩვენთან ბრძოლის დროს თითოეულ ეშმაკს განსაზღვრული საქმე ისევე აქვს დავალებული, როგორც ეს ომში ხდება ხოლმე?! აი, ეს არის საკვირველი.

1. ძლიერი ბრძოლის ხანგრძლივობა სულიწმიდის ძალით მოკლდება.

36. გადავწყვიტე, მებრძოლებს დავკვირვებოდი და ერთმანეთზე საშინელი დაცემა ვიზილე. “რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!” (მათე 11. 15)
37. ეშმაკებს სჩვევიათ: ხშირად ყოველგვარ ხრისტი, მზაკვრობას, ძალისხმევასა და მცდელობას მიმართავენ, რათა, განსაკუთრებით, მოღვაწე მონაზვნებს ბუნებრივი კი არა, არაბუნებრივი ვნებებით შეებრძოლონ. ამიტომ დედაკაცებთან ყოფნისას ბევრს არანაირი ბრძოლა ჰქონია და გაჭხარებია საკუთარი თავის გამო, მაგრამ საცოდავები ვერ მიმხვდარან, რომ სადაც დიდი დაცემაა, იქ ეშმაკები მცირეს აღარ დაგიდევენ.
38. ვფიქრობ, ჩვენ, უბადრუკებს, არაბუნებრივი ვნებებით<sup>2</sup> ორი მიზეზის გამო გვებრძვიან ჩვენი მკვლელები: პირველი – იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში დაცემის მიზეზის პოვნა ყველანაა შესაძლებელი; და მეორე – ამისთვის სასჯელიც უფრო დიდია და აღმატებული.
39. ზემოაღნიშნული იცის მან, ვინც თავდაპირველად კანჯრებს (ველური ვირი – რედ.) მბრძანებლობდა და იმორჩილებდა, მაგრამ საბოლოოდ სულთა განმხრწელ კანჯართა მიერ თავად გახდა ეშმაკთა მორჩილი და დასაცინი. ის, ვინც ზეციური პურით საზრდოობდა, საბოლოოდ ამ სიკეთეს მოაკლდა. საკვირველია, რომ მონანიების შემდგომაც, ჩვენი წინამძღვარი ანტონი ამ უკანასკნელზე ტკივილითა და მწუხარებით ამბობდა: “დიდი სვეტი დაეცა”. მაგრამ ყოვლადბრძენს არ გაუშელია, თუ რით დაეცა ის, რადგან იცოდა, რომ ეს იყო ხორციელი სიძვა, თანაც სხვა სხეულ-თან შეუხებლად.
40. არსებობს ჩვენში სიკვდილი და წარწყმედა ერთგვარი დაცემით, რომელიც ყოველთვის ჩვენშია და თან გვდევს, განსაკუთრებით, სიჭაბუკეში. ვერ ვიკადრე, დამეწერა მასზე,
- 
2. არაბუნებრივი ვნებებია: მამათამვლობა, პირუტყვთან დაცემა, და ასევე ხელით დაცემა.

რადგან მან დააბრკოლა ჩემი ზელი, ვინაც თქვა: “რაღ იგი დაფარულად ვიეთგანმე იქმნებიან, საძაგელ არს თქმადაც, დაწერად და სმენად საქმეთა მიერ”.

41. ჩემს, მაგრამ არა ჩემს, მტრის მოყვარე ხორცის<sup>3</sup> დიდმა პავლემ სიკვდილი უწოდა, როცა თქვა: ”ვინ-მე მიწსნეს წორცთა ამათგან ამის სიკუდილისათა?” (რომ. 7. 24) ხოლო გრიგოლ ღვთისმეტყველმა მას ვწებული და სიბნელის მონაშეარქვა. მწყუროდა, გამეგო, რატომ უწოდებდნენ წმიდა მამები მას ამგვარად.
  42. თანახმად ნათქვამისა, თუ ხორცი სიკვდილია, მაშინ ცხადია, რომ არასდროს მოკვდება ის, ვინც მას დაამარცხებს. “ვინ არს კაცი, რომელი ცქონდეს და არა იხილოს სიკუდილი”, ანუ საკუთარი ხორცის შებილწვა?!?
  43. გევედრებით, მითხარით, ვინ უფრო დიდია: იგი, ვინც მოკვდა და აღსდგა, თუ იგი, ვინც არასდროს მომკვდარა? ვინც მეორეს შენატრის, თავს იტყუებს, რადგან ქრისტე მოკვდა და აღსდგა. ხოლო ვინც ჰირველს – მკვდრეთით აღდგომილს – შენატრის, ყოველ დაცემულსა და მკვდარს მოუწოდებს, სასოება არ წარიკვეთონ.
  44. კაცომოძულე მტერი – სიძვის ეშმაკი – ღმერთს კაცოყვარეს უწოდებს და ჩაგვაგონებს, რომ ეს გნება ბუნებრივია და ღმერთი მალე შეგვინდობს. მაგრამ დავუკვირდეთ ეშმაკთა მზაკვრობას: დაცემის შემდეგ ისინი ღმერთს მართლმსაჯულსა და უმოწყალოს უწოდებენ. დაცემამდე ცდილობენ, ცოდვისკენ მიგვიზიდონ, ხოლო დაცემის შემდეგ – სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდონ.
  45. ვიდრე მწუხარება და სასოწარკვეთილება გვებრძვის – დაცემას არ ვეძლევით, და როცა გვინელდება – კვლავ ის მტანჯველი მოდის, ღმერთს რომ კაცომოყვარეს უწოდებს.
- 
3. ჩემია იმიტომ, რომ სულთანაა შერწყმული; ხოლო ჩემი არ არის იმიტომ, რომ სულს ებრძვის.

46. რამდენადაც უხრწნელი და ყოვლადწმიდაა უფალი, იმდენად ახარებს მას ჩვენი სხეულის უხრწნელობა და სიწმინდე.
47. ეშმაკებს ისე არაფერი ახარებთ, როგორც სიძვის სიმყრალე, და არც ერთი ვნება უყვართ ისე, როგორც სხეულის შეგრძება.
48. სიწმინდე ღვთის შეთვისება და მსგავსებაა ძალისაებრ კაცისა.
49. მიწა და ცვარია ნაყოფის სიტყბოების დედა, ხოლო სიწმინდის დედა დაყუდებაა მორჩილებასთან ერთად.
50. ვინც ხორცს დაყუდებით სძლია და უვნებობა მოპოვა, თუ სოფელს დაუახლოვდება, კვლავ ვნებები აღემვრება. მორჩილების შედეგად მოპოვებული უვნებობა კი ყველგან გამოცდილი, მტკიცე და შეურყყეველია.
51. მინახავს, სიამაყეს თავმდაბლობა რომ მოუტანია,<sup>4</sup> და გამხსენებია სიტყვები: ”ვინ ცნა გონებაზ უფლისად?” (რომ. 11. 34)
52. უფსკრული და შვილი ამპარტავნებისა არის დაცემა; დაცემა კი ხშირად გამხდარა თავმდაბლობის მიზეზი ცხონების მსურველთათვის.
53. ვისაც სიძვის ეშმაკის ნაყროვანებითა და სიმაძლრით დამარცხება სურს, იმ კაცს ჰგავს, ცუცხლს ზეთით რომ აქრობს.
54. ვინც ხორცთა ბრძოლის დაცხრომას მხოლოდ მარხვით ცდილობს, იმ კაცსა ჰგავს, ცალი ხელით რომ ცურავს და დიდი ზღვის გადალახვა მოუწადინებია.
55. მარხვა თავმდაბლობით შეაზავე. უსარგებლოა პირველი მეორის გარეშე.
56. თუ ვინმე ხედავს, რომ მასში რამე ვნებაა გაბატონებული, უპირველეს ყოვლისა, მის წინააღმდეგ შეიარაღდეს, გან-
- 
4. თავმდაბლობა ისაა, როცა ყველა ადამიანზე მდაბლად მიიჩნევენ თავს, რაც გონების ახვივნებითა და ღვთის შიშით მიიღწევა; მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს დაცემამაც, რომლის დედა არის ამპარტავნება.

- საკუთრებით კი, სიძვას, ამ მტერს, შეებრძოლოს. ვერაფერს გვარგებს სხვა ვნებათა ძლევა, თუ ამ უკანასკნელს არ დავამარცხებთ. თუ ამ ეგვიპტელს მოკვლავთ, მაშინ ჩვენც ვიხილავთ უფალს თავმდაბლობის მაყვლოვანში.
57. ერთხელ, გამოვიცდებოდი რა, აღმოვაჩინე, რომ ეს სიძვის მგელი პირუტყვულ სიხარულს, ცრემლსა და ნუგეშს მზაკ-ვრულად აღმიძრავდა სულში; მე კი ჩემი ბავშვური გონებით ეს უკანასკნელი სულიერ ნაყოფად მივიჩნიე, მაშინ, როცა გახრწნა და უნაყოფობა იყო.
58. ჭეშმარიტად, “ყოველი ცოდვად, რომელი ქმნეს კაცმან, გარეშე წორცთა არს; ხოლო რომელი ისიძვიდეს, თვისთა მიმართ წორცთა ცოდავს” (1 კორ. 6. 18), რადგან ადამიანი თავად ბუნებასა და ხორცს შეაგინებს სიბილწის დინებით, რაც სხვა ცოდვის დროს არ ხდება.
59. მაინტერესებს, რატომ ვამბოთ ყველა სხვა ცოდვაზე: “შესცოდა”, ხოლო სიძვაზე დამწუხარებულნი აღვნიშნავთ: ”დაუცა?!?”
60. თევზი ანკესს გაურბის, ხოლო ავხორცი სული – დაყუდებას.
61. როდესაც ეშმაკი ორი ადამიანის ბინძური სიყვარულით დაკავშირებას მოიწადინებს, მაშინ ორივე მხარეს გამოცდის და ერთმანეთის სიყვარულს აღუძრავს გულში. თუ ისინი მაშინვე არ შეიწყნარებენ ვნებიან გულისთქმებს, მაშინ ეშმაკი თავდაპირველად სულიერ სიყვარულს მოიმიზეზებს და შემდეგ თავისი სურვილისამებრ გააჩალებს ვნებათა ცეცხლს.
62. ავხორცობისკენ მიდრეკილნი ხშირად არიან მოწყალენი, გულჩვილნი, ცრემლუხვნი და მოსიყვარულენი; სიწმინდის ღვაწლში მყოფნი კი ასეთები არ არიან.
63. ერთხელ ერთმა ბრძენმა და გონიერმა კაცმა მკითხა: “კაცისკვლისა და ღვთის უარყოფის შემდგომ რომელია ყვე-

ლაზე მძიმე ცოდვა?” მე ვუპასუხე: “მწვალებლობა!” მან მითხრა: ”როგორ? რანაირად? როცა მწვალებლები კათოლიკე (საყოველთაო – რედ.) ეკლესიაში მართლმადიდებლურად ინათლებიან, გულით უარყოფენ და შეაჩვენებენ ერქს, ეკლესია მათ მაშინვე წმიდა საიდუმლოს ზიარების ღირსად ხდის; ხოლო ვინც სიძვით ეცემა, აღსარებას ამბობს და ცოდვას თავს ანებებს, მას, მოციქულთა და მამათა კანონის თანახმად, გარკვეული ხნით ზიარებისგან განაყენებენ?!” გამაკვირვა საქმის იღუმალებამ, მაგრამ საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა და ვერ ავხსენი, თუ რატომ ხდება ასე.<sup>5</sup>

64. გამოვიძიოთ, გამოვიკვლიოთ და გამოვარკვიოთ: ფსალმუნთგალობისას თუ რომელ სიტყბოებას აღმრავს სიძვის ეშმაკი, და რომელს – სულიწმიდის სიტყვები, მათში დაკანებული მადლი და ძალა?!?
  65. მძაო, თუ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, არ შეცდე! მინახავს მავანნი, თავიანთ შეყვარებულებზე მთელი გულით რომ ულოციათ. ეგონათ, ხსოვნისა და სიყვარულის წესს ასრულებდნენ, სინამდვილეში კი, ამას სიყვარულითა და სიძვის სურვილით აკეთებდნენ.
  66. შეხებითაც შეიძლება ხორციელად შეგინება. შეხების გრძნობა მხედველობასა და სმენაზე უფრო ძლიერია და უფრო სწრაფადაც შეუძლია ვნების მოტანა.
  67. გაიხსენე ის, ვინც სახვევით შეიხვია ხელი, და შენც გეშინდეს საკუთარი თუ სხვისი სხეულის ხელით შეხებისა.<sup>6</sup>
  68. ვფიქრობ, შეუძლებელია, ვინმეს ჭეშმარიტად განწმენდილი ეწოდოს, ვიდრე ოქროდ არ გარდაქმნის მიწასა და თიხას, თუ შეძლებს; რადგან ძალიან ძნელია ეს.
- 
5. მწვალებლობა გონების განდგომილებაა და ენის საქმე; სიძვა კი ყოველგვარ ხორციელ გრძნობებსა და სულიერ ძალებს ცვლის, არსებიდან არარსებად აქცევს და ჩვენში არსებულ ღვთის ხატებას ხრწის.
  6. გაიხსენე ის ძმა, რომელსაც საკუთარი დედა გადაჰყავდა მდინარეზე.

69. სარეცელზე დაწოლის უამს ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან მაშინ ჩვენი გონება სხეულის გარეშე, მარტო ებრძვის ეშმაკებს. და თუ გონება ავხორცია, ადვილად ულალატებს კიდეც სულს.
70. ყოველთვის შენთან ერთად დაიძინოს სიკვდილზე ფიქრმა და იესოს ლოცვამ. ძილში ვერაფერი შეგვეწევა ისე, როგორც ეს უკანას კნელნი, და ვერც რა ჰპოვო მათზე უკეთესა.
71. ზოგი ამბობს, ხორცთა ბრძოლისა და დაცემის მიზეზი მხოლოდ საჭმელიაო. მე კი მრავალი სწორი და მარხული მინახავს, ხორცთა ბრძოლითა და დინებით საშინლად რომ შებილწულა.
72. ერთხელ აღნიშნულის შესახებ ერთ მეტად გამოცდილსა და გონიერ ბერს კითხე. ნეტარმა გარკვევით ამიხსნა: “ძილში დინებას ადგილი აქვს ზედმეტი ჭამისა და მოსვენების შედეგად. ზოგჯერ ამპარტავნების გამოისობით გვემართება, როდესაც ხანგრძლივი დაუბრკოლებლობის მიზეზით ვქედ-მაღლობთ. ზოგჯერ მოყვასის განკითხვის გამოც ხდება. ბოლო ორი მიზეზით დინება შეიძლება სწორებსაც შეემთხვათ. ვფიქრობ, სამივეც შესაძლებელია. თუ ვინმე სამივე მათგანისგან განწმენდილია, და მაინც შეემთხვა დაცემა, მაშინ ნეტარი ყოფილა უვნებობის ეს მუშაკი, რადგან დაცემის მიზეზი ეშმაკთა შურია. ღმერთიც დროდადრო იმიტომ უშვებს დაცემას, რომ უცოდველი განსაცდელით მან მაღალი სიმდაბლე მოიპოვოს”.
73. ძილში ნანახი სიზმარი დღისით არავინ გაიხსენოს, რადგან ესეც ეშმაკის განზრახვა და მზაკვრობაა, რათა სიზმრით მღვიძარენიც შეგვბილწოს.
74. ეშმაკთა კიდევ ერთი ხრიკიც შევიტყოთ: როგორც ჯანმრთელობისთვის მავნე საკვებს ხშირად გარკვეული ხნის შემდეგ მოუტანია ზიანი, სწორედ ამგვარადვე მომზდარა ხოლმე სულიერ საკითხშიც. მინახავს კაცნი, შვება-გან-

- სვენებასა და ლვინის სმაში რომ ყოფილან და არანაირი ბრძოლა ჰქონიათ იმზანად. მაგრამ მოქცეულან რა ასე მრავალგზის, შემდგომში მტრებს სწორედ ამ მიზეზით შეუბილწავთ მათი სული.
75. მინახავს ისეთებიც, დედაკაცებთან ერთად რომ ჭამდნენ და ტრიალებდნენ, და არანაირი ბოროტი ფიქრი მოსვლიათ აზრად; მაგრამ როდესაც შემცდარნი თავს მიენდვნენ, აღარ ფრთხილობდნენ და ეგონათ, რომ სიმშვიდესა და უცდომელობაში იმყოფებოდნენ, საკუთარ სენაკში მოულოდნელად დაცემულან. და თუ როგორია სულიერი თუ ხორციელი დაცემა, რომელიც მარტო ყოფნის უამს შეიძლება შეგვემთხვას, იმან უწყის, ვისაც ეს განუცდია; ხოლო ვისაც არ განუცდია, სჯობს, არაფერი იცოდეს.
76. ასეთ დროს დიდად შეგვეწევა, თუ ძაბით შევიმოსებით, ნაცარში დავსხდებით, ფეხზემდგომი ხელაპყრობით ვილოცებთ, ვიშმიშმილებთ, წყურვილით პირს გავიშრობთ და მხოლოდ ოდნავ გავისველებთ, საფლავებთან ვიქნებით; მაგრამ უმთავრესად გულის სიმდაბლე შეგვეწევა. თუ შესაძლებელი იქნება, ბერული აზროვნების მოძღვარს ან მოღვაწე ბერს მიმართე დახმარების მიზნით. გამიკვირდებოდა, თუ ვინმე დამოუკიდებლად შეძლებდა დიდი უფსკრულიდან ხომალდის ნავსაყუდელში შეყვანას.
77. ხშირად ორი ადამიანის მიერ ჩადენილი ერთი და იგივე ცოდვა ერთისთვის ასმაგად მძიმე აღმოჩენილა, ვიდრე მეორესთვის, და ეს დამოკიდებული ყოფილა ამ უკანასკნელთა აღზრდაზე, ცოდვის ადგილზე, საზომსა და სხვა მრავალზე.
78. მრავალი და სხვადასხვა მიზეზის გამო ხდება დაცემა. ზოგჯერ ეს მავნებელ პირებთან ყოფნისა და ხილვის შედეგად ხდება, ზოგჯერ – საჭმლის, ზოგჯერ – სიამაყის და ზოგჯერ – სხვა მიზეზთა გამოისობით.
79. სრული სიწმინდის შესახებ გასაოცარი რამ მიამბეს: მავანს უხილავს რა ძალიან ლამაზი დედაკაცი, გაჰკვირვებია შემოქ-

მედის სიბრძნე და ძალა — თიხისა და არაფრისაგან მსგავსი მშვენიერების შექმნისა გამო, და დიდად უდიდებია დამბადებელი. მხოლოდ სილამაზის ხილვით ღვთის უდიდეს სიყვარულამდე მისულა და ცრემლთა ნაკადული დასდენია. საოცარია! ის, რაც სხვისთვის დაცემისა და წარწყმედის მომტანია, მისთვის ზებუნებრივი გვირგვინოსნობის მიზეზი აღმოჩნდა.

80. თუ ეს ადამიანი მსგავს შემთხვევებში ამგვარ საზომსა და გონიერებასაა მიღწეული, მაშინ უხრწეული აღდგომით იგი უკვე აღმდგარა საყოველთაო აღდგომამდე.
81. ამგვარადვე ხდება სიმღერისა და გალობის დროს. გალობისგან ღვთისმოყვარე სულს სულიერი სიხარული და ღვთის სიყვარული უფლება, თვალზე ცრემლები ადგება; ხოლო ავხორცნი ვნებასა და ცდუნებაში ვარდებიან.
82. როგორც ადრე შევნიშნეთ, სიძვის ეშმაკი განდეგილებსა და მეუდაბნოებს სასტიკად ებრძვის. არცაა გასაკვირი! ბევრი ეშმაკია უდაბნოში მას შემდეგ, რაც უფალმა ისინი უდაბნოსა და უფსკრულში განდევნა ჩვენი ცხონებისთვის.
83. დაყუდებულს ძლიერ ებრძვიან ეშმაკები, რათა დაარწმუნონ, თითქოს უდაბნოში ყოფნა ვერაფერის რგებს და ამგვარად მის ერში გაყვნას ცდილობენ.
84. ერში ყოფნისას ეშმაკები მცირე წნით თავს გვანებებენ, რათა დავრწმუნდეთ, რომ საზიანო არაფრია, და შესაბამისად, ერში დავრჩეთ. აი, ასე ელოდება მტერი მარჯვე დროს და ადვილადაც დაგვცემს.
85. რომელ საქმეშიც და ადგილზეც გვებრძვიან მტრები, იქ უნდა შევებრძოლოთ ჩვენც. მათთვის მიუღებელი რომ არ იყოს ეს ადგილი და საქმე, რაღატომ შეგვებრძოლებოდნენ?! და თუ გვებრძვიან, ხოლო ჩვენ არ ვებრძვით და ვემორჩილებით, მაშინ ცხადია, რომ მისი მეგობრები გავმხდარვართ.

86. ხშირად, როცა რამე საჭიროების მიზნით ერში მივდივართ, მოძღვრის ლოცვით უფლის მარჯვენა გვიფარავს, რათა ჩვენ გამო უფლის სახელი არ დაიგმოს. ზოგჯერ იმდენად გაქვაგბულია გული, გერც კი გვრძნობთ, ერში თუ ბრძოლა გვაქვს; იმდენად ვართ გამძლარნი მაგნებელ საგანთა ხილვითა და საუბრით, ვერც ვამჩნევთ, ვნებაში რომ ვიმყოფებით, სიძვის ეშმაკი თავისი ნებით რომ წასულა და ამპარტაგნების ეშმაკს დაუკავებია მისი ადგილი.
87. ვისაც სიწმინდის მოპოვება გწადიათ, ყველამ მოისმინეთ მისი მზაკვრობისა და ხრიკების შესახებ. მის მზაკვრობაში გამოცდილმა ერთმა ადამიანმა მითხრა, რომ სიძვის ეშმაკი ხშირად განეშორება ხოლმე მონაზონს, და როცა ეს უკანასკნელი დედაკაცებს შორის ზის, გულში ლმობიერებას აღუძრავს, ცრემლთა წყაროს აღმოუცენებს, ჩაავონებს, უქადაგოს მათ სიკვდილზე, საუკუნო სასჯელზე, სიწმინდესა და მოღვაწეობაზე. ისინიც, ამ უკანასკნელის ლმობიერი სიტყვებითა და მოჩვენებითი გარეგნობით მოხიბლულნი, ისევე გარბიან ამ მგლისკენ, როგორც მწყემსისკენ. და როცა ერთმანეთს შეეჩევიან და გაკადინერდებიან, სწორედ მაშინ დაეცემა ეს უბადრუკი.
88. გაიქციოთ, ძმებო, რათა არც დაინახოთ, არც გაიგოთ რამე იმ ნაყოფზე, რომლის გასინჯვაც აღთქმით უარყავით. გამიკვირდებოდა, ჩვენი თავი დავით წინასწარმეტყველზე ძლიერად რომ მიგვეჩნია, რაც, თავის შერივ, შეუძლებელია.
89. იმდენად დიდი და მაღალია სიწმინდის სათხოება, რომ წმიდა მამებმა მას უვნებობა უწოდეს.
90. ზოგიერთი ამბობს, რომ შეუძლებელია, ადამიანს წმინდა ვუწოდოთ ცოდვით დაცემის შემდგომ. მე არ ვეთანხმები მათ და ვიტყვი: დიახ, შესაძლებელია! რამდენადაც მსურველს შეუძლია ველურ ზეთისხილზე შინაური ტკბილი და კარგი ზეთისხილის დამყნობა, იმდენად ცოდვის შემდეგ სიწმინდე შესაძლებელია.

91. ზეციური სასუფევლის კლიტენი ზორციელად ქალ-წულისოთვის რომ მიენდოთ, ზემოთქმული კიდევ შეიძლებოდა გაგვემართლებინა. ახლა კი, მათი შემარცხვენელია ის, ვისაც სიღდრი ჰყავდა, განიწმინდა და სასუფევლის კლიტენი ჩააბარეს.<sup>7</sup>
92. მრავალგვარია სიძვის ეშმაკის მზაკვრობა და ხრიკები. ვისაც ცოდვით დაცემა არ გამოუცდია, ჩააგონებს, მხოლოდ ერთხელ გამოსცადონ და შემდეგ აღარ გაიმეორონ; ხოლო ვინც დაცემულა, იმათ განცდილი ცოდვის გემოს შეახსენებს.
93. გამოუცდელთაგან ბევრს ცოდვით დაცემა უცოდინარობის გამოისობით არ სურს. გამოცდილთაგან მრავალს, რომელთაც ნაგები აქვთ მისი სიმყრალე და სძაგლი იგი, ცოდვასთან მიახლოებაც კი არ სურს. ასევე, მრავალ გამოუცდელს სურს მისი გამოცდა, და მრავალ გამოცდილს ახსენდება მისი გემო და მარცხდება.
94. ხშირად, გვიფარავენ რა უხილავად წმიდა ანგელოზები, შშვიდად ვიძინებთ და მშვიდად ვიღვიძებთ, მით უმეტეს მაშინ, როცა ლოცვა-ვედრებით ვიძინებთ; ხშირად შშვიდად ვიძინებთ, მაგრამ ეშმაკთა მიერ მოვლენილი ბოროტი სიზმრებით შეშფოთებულნი ვიღვიძებთ.
95. ჩემში ”ვიხილე მე უღმრთოდ უფროდს ამაღლებული და აღმატებული”, აღშფოთებული და გაამაყებული ”ვიდრე ნაძუთამდე ლიბანისათა. და თანა-წარვპჯედ” მარხვით “და აპა არა იყო” მისი უწინდელი გულისწყრომა, “და ვეძიებდ მას”, დავმდაბლდი რა გონებითა, “და არა იპოვა ადგილი მისი” და კვალი მისი (შდრ. ფსალმ. 36. 35-36).
96. ვინც ხორცი დაამარცხა, მან ბუნებას სძლია; ხოლო ვინც ბუნებას სძლია, ბუნებაზე ამაღლდა. ვინც ამგვარ საზომს მიაღწია, ის “მცირედ რაღმე ანგელოზთა” დაკლებულია ან, იქნებ, არცაა დაკლებული?! (შდრ. ფსალმ. 8.6)
- 
7. პეტრე მოციქულს გულისხმობს.

97. რა გასაკვირია, თუ უნივერო უნივეროს ებრძვის! ჭეშმარიტად საოცარია ის, როცა ნივთიერია მასთან დაპირისპირებული და მძიმე ნივთით უნივერო და უხორცო მტრებსა სძლევს.<sup>8</sup>
98. საყვარელნო, ესეც იცოდეთ! ღმერთმა ჩვენდამი დიდი ზრუნვისა და წყალობის გამოისობით დედაქაცებს თითქოს აღვირი ამოსდოო და მიმადლა შიში, რიდი და სირცხვილი. დედაქაცებს მამკაცებთან ძალით რომ შესძლებოდათ მისვლა, ვერც ერთი ხორციელი გადაურჩებოდა მათ.
99. როგორც მამები ამბობენ, სხვაა წვრილმანი აზრი, სხვა – აზრთან გონებით გასაუბრება, სხვა – თანხმობა, სხვა – ტყვეობა, სხვა – ბრძოლა და სხვა – რასაც ვნებას უწოდებენ. ნეტარნი ამგვარად ხსნიას: წვრილმანი აზრი არის უბრალო სიტყვა ან ახლად ხილული ხატება, რომელიც გულში აღწევს; გონებით გასაუბრება ისაა, როცა გონება ვნებიანად ან უენებოდ უწყებს საუბარს გულში შეღწეულ ხატებას; თანხმობა ისაა, როცა სული უტკბება და იღებს ხატებას; ტყვეობა გულის უნებურად, ძალმომრეობით მიტაცებაა, ანუ ეს არის ჩვენი კეთილი ზნის გამრყენელი შეჩერებული აზრი; ბრძოლა ისაა, როცა აზრი და ადამიანი ერთმანეთის პირისპირ იბრძვიან, და ან მარცხდებიან, ან იმარჯვებენ; ვნებას იმას უწოდებენ, როცა აზრი ხანგრძლივადაა დაბუდებული სულში, ჩვეულებადაა ქცეული და გონება თავისით იღტვის მისკენ. ჩამოთვლილთაგან პირველი უცოდველია. ბრძოლა ან გვირგვინის, ან ტანჯვის მომტანია. ტყვეობა სხვაგვარად განისჯება ლოცვის დროს, სხვაგვარად – მოცალუობისას, სხვაგვარად – ბოროტი აზრების და სხვაგვარად – ამაო ფიქრების ჟამს. ვნებას უსათუოდ შესაბამისი სინაწული ესაჭიროება, სხვაგვარად, საუკუნო ტანჯვას დაიმსახურებს. ვისთანაც ვნების გარეშე მოდის პირველი, მას დანარჩენებიც ერთიანად გაუნადგურებია.
8. უნივერო არის ანგელოზი, ეშმაკი და სული, ხოლო ნივთიერი – ხორცი.

100. ბრძენი მამები ამბობენ, რომ არსებობს აზრი, რომელიც ყველა ზემოხსენებულზე უფრო მეტად ნატიფია და შეუძნეველი. მას გონების ელვას უწოდებენ, რადგან უსწრაფე-სად, დაყოვნების, სიტყვისა და ხატების გარეშე გაუცნობიერებლად ანახებს სულს ვნებას. ის იმდენად მყისიერი, უქამო და მოუხელთებელი შეხსენებაა, რომ ზოგიერთები საერთოდ ვერც ამჩნევენ მას.
101. ვისაც ამ აზრის სინატიფე შეუცნია, მას შეუძლია გვასწავლოს, თუ როგორ და რაგვარად აღიძვრება სულში ვნებიანი სიძვა ყოველგვარი გააზრების გარეშე მხოლოდ თვალის შევლებით, ხელის შეხებითა და ხმის მოსმენით.
102. ზოგიერთები ამბობენ, რომ ვნება ხორცს გულში აღძრული ზრახვების შედეგად უფლება. სხვების აზრით, ბოროტი ზრახვების მიზეზი ხორციელი გრძნობებია. პირველთა თქმით, გონება რომ ვნებას არ გასძლოლოდა წინ, არც ხორცი გაჰყვებოდა მას. მეორენი თავიანთი ნათქვამის დასაცავად ხორციელი ვნებების სიბოროტეს ასახელებენ და ამბობენ, რომ ხშირად სახის დანახვისას, ხელით შეხებისას, სუნის ყნოსვისას ან საამური ხმის მოსმენისას გულში ზრახვები აღიძვრება. ვისაც ძალუძს, დაე, მათ განგვიმარტონ აღნიშნულ საქმეთა არსი უფლის შეწევნით, ვინაიდან ამ უკანასკნელთა ცოდნა მეტად სასარგებლოა მათოვის, ვინც შემეცნებით ღვაწლში იმყოფება; ხოლო ვინც სიწრფეელით, უძრალოებით ეწევა ცხოვრებას და გულში სიმარტივე აქვს, მისთვის ზედმეტია ამგვარ საქმეთა ძიება. ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა ცოდნა, ასევე, არც სანატრელი სიწრფეელება ჯაჭვი მტრის მზაკვრობის შესაბამისად გამოიყენება.
103. ზოგიერთ ვნებას გონება აღძრავს ხორცში, ხოლო ზოგიერთს, პირიქით, ხორცი აღძრავს გონებაში. მეორე ერის ხალხში გვხვდება, ხოლო პირველი – მეუდაბნოეებში, რამდენადაც ამ უკანაკნელთ არ გააჩნიათ ხილული პირობები

ვნებებისთვის. მე კი აღნიშნულთან დაკავშირებით ვიტყოდი: “ეძიებდე სიბრძნესა უკეთურთა თანა და არა ჰპოვო” (იგავნი 14. 6).

104. როცა სიძვის ეშმაკს ძლიერ შევებრძოლებით, გულიდან განვდევნით, მარხვის ქვითა და თავმდაბლობის მახვილით დავტანჯავთ, მაშინ, როგორც ჭია რამე, ისე დარჩება ის ჩვენს სხეულში, უდროო და უჯერო ხორცთა აღძრას მოგვივლენს და ჩვენს შებილწვას მოინდომებს. აღნიშნული, უმთავრესად, იმათ ემართებათ, რომელნიც ამპარტავნების ეშმაკს ემორჩილებან და იმით ამაყობენ, ბოროტი ზრახვები რომ ზედიზე არ აღეძვრებათ გულში. ისინი ნათქვამის უტყუარობაში თავად დარწმუნდებიან, როცა დაყუდების უამს გულის სიღრმეში, როგორც სკორეში დამალულ გველს, ისე აღმოაჩენენ ზრახვას, რომელიც მათ ჩააგონებს, თითქოს საკუთარი ძალითა და მცდელობით მოუღწევიათ იმ მცირეოდენი გულის სიწმინდისთვის, რაც აქვთ. უბადრუენი ვერ აცნობიერებენ სიტყვებს: “ანუ რაღ გაქუს, რომელი არ მიგიღებიეს” უსასყიდლოდ, ანუ ღვთის წყალობით, სხვების შეწევნითა და ლოცვით?! (შდრ. 1 კორინთ. 4. 7)
105. ამ უკანასკნელთ დიდი ძალისხმევა მართებთ, რათა ზემონახსენები გველი დიდი სიმდაბლით განდევნონ გულიდან. მაშინ შეძლებენ ისინი თავიანთი ტყავის სამოსის განბარცვას და უფლისთვის გამარჯვების საგალობლის სიწმინდით გალობას იმ ყრმათა მსგავსად, რომელნიც ყოველთა უფალს მიეგებნენ. და როცა ისინი ამ ბოროტი ტყავის სამოსს განიძარცვავენ, აღარ აღმოჩნდებიან შიშველი უმანკოებისა და სიმდაბლისაგან (შდრ. 2 კორინთ. 5. 30).
106. ყველა სხვა ეშმაკზე მეტად ეს ეშმაკია ჩასაფრებული და რაუამს ყველაზე მეტად გაგვიჭირდება ხორციელი მოღვაწეობა და ლოცვა, მაშინ შეგვებრძოლება ეს უწმინდური.
107. ვინც ჯერ კიდევ ჭეშმარიტად გულით ვერ ლოცულობს, მას ლოცვის დროს დიდად შეეწევა ხორციელი ღვაწლი,

- როგორიცაა: ხელთა განპყრობა, მკერდში ხელის ცემა, მხურვალე გულით ცისკენ თვალის აპყრობა, ვაება, ხშირი მუხლთადრეკა, რასაც სხვა ადამიანთა თანდასწრებით ვერ აკეთებენ ხოლმე. ამიტომ ეშმაკებიც სწორედ ასეთ დროს უსხმიან თავს იმათ, რომელთაც ლოცვის უხილავი ძალითა და გონიერი მრისხანებით არ ძალუდ მათი უკუგდება და თავის გამხნევება, რის გამოც ხშირად მარცხდებიან კიდეც.
108. ასეთ დროს, თუ შესაძლებელია, მცირე წნით ვაეცალე ადამიანებს, დაიმალე და სულიერი თვალი ზეცას მიაპყარ. თუ ეს არ შევიძლია, მაშინ ხორციელი თვალით ახედე ზეცას და ჯვრის სახით ხელებგანპყრობილი უძრავად დაღექ, რათა ამგვარად შეარცხვინო და დაამარცხო ამალეკი. ვისაც შენი შეწევნა შეუძლია, არა ამა სოფლის, არამედ მდაბალი სიტყვებით შეჰდალადე. უპირველეს ყოვლისა, შეჰდალადე: “მიწყალე მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ” (ფსალმ. 6. 2), და მაშინ იხილავ ზეგარდმო ძალასა და უხილავ შემწეობას, რომლის დახმარებითაც უხილავ მტრებს უხილავად განდევნი. ვინც მტერთან ამგვარ ბრძოლას ისწავლის, ის უხორცოდ, მხოლოდ სულითაც შეძლებს მათ დამარცხებას; რადგან პირველის გამო მეორით აჯილდოებს ღმერთი სიმართლის მუშაკებს.
109. ერთხელ ძმათა შესაკრებელში მივედი და შევნიშნე, რომ ერთი მოღვაწე ძმა სიძეის ზრახვებს შეეშფოთებინა. რადგან მან ლოცვისთვის მარჯვე, ფარულ ადგილს ვერ მიაკვლია, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოიმიზეზა და მტრების წინააღმდეგ იქ ილოცა მხურვალედ. მე ვუსაყველურე უწესო ადგილას ლოცვისთვის, მან კი მიპასუხა: “უწმინდურ აზრთა განდევნისათვის ამგვარ მყრალ ადგილას ვიღოცე იმიტომ, რომ სიმყრალეს განვრიდებოდი”.

110. ყველა ეშმაკი ცდილობს, ადამიანს თავდაპირველად გონება დაუბინელოს და გონების დაბნელების შემდგომ გააკეთებინოს ის, რაც სწადია; რადგან თუ გონების თვალს არ დაუბნელებუნ, ვერც საუნჯეს მოჰპარავენ. უმთავრესად, სიძვის ეშმაკი იქცევა ამგვარად. მას ხშირად ისე დაუბნელებია ადამიანის გონება, სხვების წინაშე ისეთი რამის კეთება და თქმა აუძულებია, რომელსაც შეშლილებიც კი არ გააკეთებდნენ. გამოფხიზლების შემდგომ უწინდელი უშვერი საქმეებისა და სიტყვების გამო ასეთებს არა მარტო სხვების, საკუთარი თავისაც კი შერცხვენიათ და საკუთარი სიბრძმავე გაჰკვირვებიათ. მისგან მიყენებული მწუხარების გამო ბევრს გაუნებებია თავი ამ ბოროტებისთვის.
111. ზურგი შეაქციე და ნუ მოუსმენ უკეთურს, რომელიც რამე ცოდვისა და ბოროტების ჩადენის შემდგომ ლოცვაში, მარხვასა და ძღვიძარებაში გაბრკოლებს და უიმედობას გისახავს, არამედ გაიხსენე უფლის ნათქვამი: “უსაჯო მას, რათდა არა... მაწყინებდეს მე” მტერთა მიერ ვნებებით შეპყრობილი და ბოროტი ჩვეულებებით შეჭირვებული მისი სულის გამო (ლუკა 18. 5).
112. საყვარელო, ის უკეთური მტერიც განდევნე, რომელიც გეუბნება: “აისრულე გულისთქმა! შემდგომშიც შეძლებ მონანიებას, ლოცვას, მარხვას, ძღვიძარებას, გლოვასა და სულის მიხედვას!” განდევნე ის შენგან! მრავალს ჩაუდენია ბოროტება, მაგრამ ვეღარ დაუღწევია რა თავი გულისთქმათა ტყვეობისთვის, ვეღარ შეუნანია და უმალ მომკვდარა.
113. სიძვა ლოცვის დამაბრკოლებელია, ღვთის წინაშე კადნიერების განმაქარვებელი და გონების დამაბნელებელია.
114. ვერავინ სბლევს ხორცს, თუ გულს არ შემუსრავს. ვერავინ შემუსრავს გულს, თუ საკუთარ თავს არ უარყოფს. და განა, შეიძლება გული არ შეიმუსროს, როცა მკვდარია ნება?!
115. არსებობს ვნებულზე უფრო ვნებულნიც, რომელნიც აღსარებასაც თავიანთი სიბილწით ტკბობად და ვნებად აქცევენ.

116. ყოველგვარი ბილწი ზრახვა სიძვის ეშმაკისგან იშვება. მას კურნავს და დევნის მარხვა, ზრახვების უგულებელყოფა, მღვიმარება, გულის სიმდაბლე და ღვთისადმი თავის მინდობა.
117. როგორ მოვიქცე, რაგვარი ხერხით მოვთოკო ეს ჩემი მეგობარი, ხორცი, და სხვა ვწებათა მსგავსად როგორ განვსაჯო?! – არ ვიცი! ვიდრე შევბოჭავ – თავს ითავისუფლებს, ვიდრე დავტანჯავ – ვურიგდები და ვიდრე დავსჯი – თანავუგრძნობ.

როგორ ვძლიო მას, რაც ბუნებრივად მიყვარს?! როგორ გავთავისუფლდე მისგან, რასთანაც სამუდამოდ ვარ დაკავშირებული?! როგორ მოგქლა იგი, რაც ჩემთან ერთად უნდა აღდგეს?! როგორ ვაქციო უხრწელად ის, რომელსაც ხრწნადი ბუნება მიუღია?! რა მოვიმიზეზო მასთან, რომელსაც უამრავი მიზეზი აქვს?! მარხვით თუ შევბოჭავ – მოყვასს განვიკითხავ და კვლავ მის ხელში აღმოვჩნდები; განკითხვას თუ დავეხსნები და ამგვარად ვძლევ – გულში ვამაყობ და კვლავ მის ხელში ვვარდები; ის ჩემი შემწეცაა და ჩემ წინააღმდეგ მებრძოლიც, ჩემი მეგობარიცაა და მტერიც, ჩემი მეოხცაა და მეტოქეც. როცა ვაამებ – მებრძვის და როცა ვთრგუნავ – უძლურდება. თუ მივენდობი – წარმწყმედს და თუ ვტანჯავ – არ ითმენს; თუ შევაჭირვებ – მეც ვიტანჯები, თუ დავაძაბუნებ – საონოებებს სხვა საშუალებით ვერ მოვიპოვებ; მას ვებრძვი და იგი მიყვარს, მას ვდევნი და მასვე შევიტკბობ. ჰოი, საოცრება! რაშია ჩემი საიდუმლო, რით აიხსნება ჩემში ამგვარი წინააღმდეგობრიობა, რომ საკუთარი თავის მტერიცა ვარ და მოყვარეც?!

118. თავად შენ მითხარ, ჰოი, ჩემო მეუღლევ – ჩემო ბუნებავ! არ მსურს სხვამ მასწავლოს, თავად შენ მითხარ, იარების გარეშე როგორ გაგექცე, როგორ მოვიგერიო შენი მიზეზით გამოწვეული ბუნებრივი ბრძოლები?! შენთან მტრობა ქრისტეს

აღვუთქვი! როგორ ვძლიო შენს ძალმომრეობას, რადგან შენი იძულებით დამორჩილება მწადია?!

119. ხორცი კი თავის სულს მიუგებს: ”რაც არ იცი, არ გეტყვი; რაც ორივემ ვიცით, იმას გეტყვი. განსურვების გარე მიზეზთა მამა ჩემი შვება-განსვენებაა, ხოლო შინაგანი აღძვრისა — უწინდელი ჩვეულებები და საქმეები. ჩასახვისას დაცემას ვშობ. ეს კი შობის შემდგომ სასოწაკვეთილების მიერ სიკვდილს შობს. თუ ჩემსა და შენს უძლურებას შეიცნობ, ამით ხელებს შემიკრავ; თუ სტომაქს დაამშევ, ფეხებსაც შემიკრავ, წინ რომ ვეღარ ვიარო; თუ მორჩილებას შეუდგები, ჩემგან შორს იქნები, და თუ სიმდაბლეს მოიხვეჭ, მომიკვეთ დვთის შეწევნით, რომლისა არს დიდება უკუნითი უქუნისამდე, ამინ”.

ეს მეთხუთმეტე საფეხურია. ვინც ხორცშია და სიწმინდის ამ საფეხურისთვის მიუღწევია, იგი მომკვდარა, აღმდგარა და მარა-დიული უხრწნელება აქვე მიუღია.



## თავი მეთექვსმეტე

### აისივე თქმული ვერცხლისმოყვარებისთვის

1. მრავალმა ბრძენმა და სულიერმა მოძღვარმა ზემონახსენები მოძალადის შემდგომ ეს მრავალთავიანი ვეშაპი დააწესა თავის სიტყვაში. ჩვენც, უგუნურებმა, არ შევცვალოთ ბრძენ-თა წესი და მათსავე წესს მივსდიოთ. ჯერ მცირე რამ თავად სხულებაზე ვთქვათ და შემდეგ მკურნალობაზეც ვილაპარაკოთ.
2. ვერცხლისმოყვარებია არის კერპთა თაყვანისცემა, ურწმუნების ასული და უძლურების წინასწარმეტყველი. მას სიბერის ცრუ შიში აქვს, არის შიმშილის მაუწყებელი, უწვიმობის მაცნე და ყოველგვარი ბოროტების დედა.
3. ვერცხლისმოყვარებია სახარების შეურაცხმყოფელი და მცნებების ნებაყოფლობით დამრღვევია.
4. ვინც სიყვარული მოიპოვა, მან ფული განაბნია; ხოლო ვინც ამბობს, რომ ორიგე აქვს, ის საკუთარ თავს აცდუნებს.
5. ვინც თავის თავს გლოვობს, მან საკუთარი ხორციც მოიძულა და საჭიროების შემთხვევაში არც მას დაინდობს.
6. ნუ ამბობ, რომ გლახაკებისთვის აგროვებ. ცათა სასუფეელი ორი დანგითაც (წვრილი ფულია – რედ.) უყიდიათ.
7. ერთმანეთს შეხვდნენ უცხოთმოყვარე და ქონებისმოყვარე, და მეორემ პირველს უგუნური და მფლანგველი უწოდა.
8. ვინც ეს ვნება დაამარცხა, მას საზრუნავი მოუკვეთავს; ხოლო მის მიერ შეერული წმინდა გულით ვერასდროს ილოცებს.
9. ვერცხლისმოყვარების დასაწყისი არის მოწყალებაზე ფიქრი, ხოლო დასასრული – გლახაკთა სიძულვილი.

10. ვიდრე აგროვებენ – მოწყალებას ქადაგებენ; როცა ფულს შეაგროვებენ – ხელები ეკვრებათ.
11. მინახავს ფულით ღარიბი ადამიანები, სულიერად რომ გა- მდიდრებულან და სიხარულისგან ხორციელი სიღუბჭირე დავიწყნიათ.
12. ნივთების მოყვარე მონაზვნისთვის უცხოა მოწყენილობა, რადგან მარადდლე შრომობს და მოცაიქულის სიტყვებს იხსენებს: “უკუეთუ ვისმე არ უნებს საქმის, ნუცა ჭამზ” (2 თესალ. 3. 10); ასევე: “რომელნი იყვნეს ჩემ თანა, ჯელნი ესე ჩემნი ჰმსაზურებდეს” (საქმე 20. 34).

ეს არის ვნებებზე მეთექსმეტე გამარჯვება. ვინც ეს მოიპოვა, მას სიყვარული მოუხვეჭავს და საზრუნვი მოუკვეთავს.



## თავი მეჩვიდმეტე

### აისივე თქმული შპოვარებისთვის

1. უპოვარება არის ურვისგან განშორება, უზრუნველი ცხოვრება, დაუბრკოლებელი მოგზაურობა, უფლის მცნებების რწმენა და მწუხარების არცოლნა.
2. უპოვარი მონაზონი წუთისოფლის მეფეა. მას თავისი საზრუნავი ღვთისთვის მიუნდია და ღვთისადმი რწმენით ყველა მისი მონა გამზღვარა; საჭიროების გამო არავის მიმართავს და ყველაფერს ღვთის ხელიდან იღებს.
3. უპოვარი მონაზონი უკნებობის შვილია. რაც აქვს, იმასაც ისე მიიჩნევს, თითქოს არ აქვს. სულისთვის რამე საზიანოს თუ შენიშნავს, რაც იმ ადგილას იქნება, ყველაფერს ნაგვად შერაცხავს. ვინც რამე ხორციელ საქმეზე წუხს, ის არ არის უპოვარი.
4. უპოვარი მონაზვნის ლოცვა წმინდაა, ხოლო ქონებისმოყვარე მონაზონი ამსოფლიურ საგნებზე ლოცულობს.
5. მორჩილებაში მყოფთათვის უცხოა ვერცხლისმოყვარეობა. ვისაც საკუთარი თავი უარუყვია, სხვას რაღას ჩათვლის თავისად?
6. უპოვარი ერთ რამეს უნდა უფრთხოდეს: ვისაც ბევრი არაფერი აბადია, მას აქეთ-იქით სიარულის სურვილი ადვილად ეუფლება.
7. მინახავს, ნივთის სიყვარულს მონაზვნისთვის მოთმინება რომ უსწავლებია. მაგრამ მე იმათ ვამჯობინებდი, უფლისთვის რომ მიმოღიან, ვიდრე იმათ, ნივთების გამო ერთ ადგილას რომ არიან. და თუ უფლის სიყვარულისთვის მოთმინებასაც გამოიჩენ, მაშინ, მართლაც, სანატრელნი იქნებიან.

8. ვისაც ზეციური სიტყბოება განუცდია, ის ადვილად უარყოფს ქონებას; ქონებით ის ხარობს, ვისაც ამ სიტყბოების გემო არ უნახავს.
9. ვინც უმეცრებით, უგუნურად და პირუტყვლად ხდება გლახაკი, ის ორივეს აკლდება: წარმავალსაც ღუპავს და საუკუნოსაც ვერ ეღირსება.
10. ჰოი, მონაზვნებო, ნუ ვიქებით ფრინველებზე ნაკლებად მორწმუნები! ისინი არც ზრუნავენ და არც აგროვებენ, არამედ მათი გამომზრდელის – უფლებათა უფლისა – სწამთ.
11. დიდია იგი, ვინც ღვთისთვის ქონებას უარყოფს; ხოლო წმიდაა იგი, ვინც საკუთარ ნებას უარყოფს. პირველი ასწილად მიიღებს ქონებასა და მაღლს, ხოლო მეორე უზენაეს დიდებას დამძვიდრებს საუკუნო ცხოვრებაში.
12. ზღვას არ დაელევა ღელვა, ხოლო ვერცხლისმოყვარეს – მრისხანება და მწუხარება.
13. ვინც სიმდიდრე უგულებელყო, ის თავის მართლებას, კამათსა და შფოთს განრიდებია; ხოლო ნივთებისმოყვარე ნემ-სისთვისაც სიკვდილამდე იბრძოლებს.
14. მტკიცე სარწმუნოებით საზრუნავზე ფიქრი ისპობა, ხოლო სიკვდილზე ფიქრით ხორცისაც უარყოფენ.
15. ობში ვერცხლისმოყვარეობის კვალიც არ მოიპოვებოდა და ამიტომ არც დამწუხრებულა, როცა ყოველივე დაკარგა.
16. “ძირი არს ყოველთა ბოროტთა გვეცხლის მოყვარეობა” (1 ჭიმ. 6, 10), და ასეცაა, რადგან მისგან არის სიძულვილი, ჭურდობა, კაცისკვლა, შვილი, მტრობა, ღვარძლი, შეუბრალებლობა და შური.
17. ზოგიერთს პატარა ცეცხლით ბევრი ნივთი დაუწვავს, ხოლო ბევრი ერთი სათნოებით განრიდებია ყველა ზემოთქმულ ვნებას. ამ სათნოებას ქონების სიძულვილი ეწოდება. ის იშვება ღვთიური გონების განცდითა და იმ პასუხისმგებაზე ფიქრით, რომელიც სიკვდილის ჟამს მოგველის.

18. ვინც ყოველგვარ ბოროტებათა დედის – ნაყროვანების – შესახებ სიტყვა ყურადღებით წაიკითხა, მისთვის უცნობი არ არის, რომ ეს უკეთური თავის მეორე შვილად ულმობლობასა და გულქვაობას ასახელებდა, მაგრამ კერპომსახურების ამ მრავალთავიანმა გველმა შემიშალა ხელი, მათ-თვის კუთვნილი ადგილი მიმეჩინა. რვა ბოროტების ჯაჭვში მამქმა მესამე ადგილი ვერცხლსმოყვარეობას მიაკუთვნეს, რომელზეც მცირე რამ მოგახსენეთ. ახლა კი გულქვაობასა და ულმობლობაზე მსურს გესაუბროთ, შემდეგ – ძილსა და მღვიმარქაზე და შემდეგ – ბოროტის შიშჩე, რადგან თითოეული ეს სენი დამწყებთათვისაა დამახასიათებელი, რომელთაგან ყველა გვიხსნას უფალმა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეს არის მეჩვიდმეტე საფეხური: ვინც მას მიაღწია, ის დაუბრკოლებლად აღვალს ზეცაში.



## თავი მეთვრამეტე

ჩვენი ფაიდა გააის, იოაე სიცელი იღუავნის მიერ თქმული  
გულგვარბისა და უგრძელებულისთვის, რაც ხორციელ  
სიკვდილამდე სულიერ სიკვდილს ჭარმოადგნეს

1. გულქვაობა გონების სიკვდილი და სულის მკვლელია.
2. გულქვაობა იშვება გამუდმებული სიზარმაცისგან, ხოლო სიზარმაცე – მოცალეობისა და მცონარების სიყვარულის-გან.
3. უგრძნობელობა არის ჩვევადქცეული სიზარმაცე, გონების სიბრძვე, ბოროტ ჩვეულებათა მშობელი, გულმოდგინების საფრთხე, მოღვაწეობის მახე, ლმობიერების მტერი, სა-სოწარკვეთილების კარი, გულმავიწყობის დედა და ღვთის უშიშრობის შვილი, რომელიც შობის შემდგომ თავად ხდება დედა თავისი დედისა.
4. გულქვა და უგრძნობელი ადამიანი უგუნური ფილოსოფო-სია; ის არის მასწავლებელი, თავისივე თავს რომ ისჯის და თავისივე საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს; ის ბრძანისამძღვარია, თავად რომ ვერ ხედავს და სხვას ასწავლის ხედვას; წყლულის მკურნალობაზე მსჯელობს და თავად განუწყვეტლივ თავს იწყლულებს; სხეულების განკურნებაზე ლაპარაკობს და მავნე საკვებს იღებს; ვნებებს შეაჩვენებს და მაშინვე ბოროტ საქმეს უბრუნდება, მრისხანებს და უბადრუკს თავისი სიტყვებისა არა რცხვენა; ბოროტებას რომ ჩადის, ხვდება, მაგრამ თავს მაინც არ ანებებს; ენით სიკეთის ქმნის პირობას დებს და საქმით ბოროტებას აკეთებს; სიკვდილზე ბრძნულად ლაპარაკობს და უკვდავივით იქცევა: სულის გაყრაზე ოხრავს და ისე თვლემს, თითქოს უკვდავი და წარუვალი იყოს; მარხვაზე მსჯელობს და

ნაყროვანებისთვის იღვწის; სასჯელზე კითხულობს და ეღიძება; სიამაყეზე კითხულობს და კითხვისთანავე ამაყობს; მღვიმარებაზე ისმენს და თავად ძილს ეძლევა; ლოცვას აქებს და თავად ცეცხლივით გაურბის; მორჩილებას შენატრის და უპირველეს ყოვლისა თავად ურჩობს; ქონების სიძულვილს აქებს და ძონბისთვის შეურაცხყოფის მიყენებისა და შფოთის ატეხისა არა რცხვენია.

როცა აღმფოთდება, მრისხანებს. შემდგომ, ამ მრისხანების გამო, ისევ მრისხანებს, მარცხზე მარცხს უმატებს და გონზე ვერ მოდის; როცა გაძლება, ნანობს, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ისევ ჭამს; დუმილს შენატრის და მას უხვსიტყვაობით ადიდებს; სიმშვიდეს ასწავლის და სწავლების დროსვე ბრაზობს; როცა გამოფხიზდება, ოხრავს, მაგრამ როგორც კი თავს დახრის, იმავე ვრცებაში ვარდება; სიცილს აძაგებს და გლოვის შესახებ სიცილით ასწავლის; ხალხის წინაშე საკუთარ თავს სიამაყეში ამხელს და ამგვარი მხილებით ხალხის ქებას ყიდულობს; ადამიანებს სახეში ვნებით შესცემის და სიწმინდეს ასწავლის; დაყუდებულებს აქებს, თავად კი ერში დაეხეტება და არ რცხვენია; მოწყალე ადამიანებს ადიდებს და გლახაკებს აყვედრის; ყოველთვის საკუთარ თავს ამხელს და გონს მოსვლა არა სწადია.

5. ბევრი მინახავს ისეთი, სიკვდილისა და საუკუნო ტანჯვის გაგონებაზე ცრემლები რომ დაუღვრია, მაგრამ სანამ ჯერ კიდევ ცრემლიანი ჰქონია თვალები, სასწრაფოდ სუფრაზე გაქცეულა; და გამკვირვებია, უგრძნობელობით გაძლიერებულმა ამ მწარე დედოფალმა და სიმყრალის საუნჯემ – მუცელმა – გლოვას რომ სძლია.
6. კლდის მსგავსი და რკინაზე მაგარი ამ ვნების მზაკვრობანი, წყლულებანი და საქმენი ჩემი შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინე, მასზე ბევრის თქმა არ შემიძლია. ხოლო ვისაც უფლის შეწევნით ამ წყლულის წამლობა ძალუშს, დაე, ნუ დაიზარებს და უწამლოს. მე კი, რამდენადაც მის მიერ

ძლიერ ვარ შეპყრობილი, საკუთარი უძლურების აღიარებისა არა მრცხვენია. ვერც ჩემით შევძლებდი მისი ხრიკებისა და მზაკვრობის ამოცნობას, თავად რომ არ ეღიარებინა. როდესაც უფლის შიშითა და განუწყვეტელი ლოცვით ვტანჯე, მაშინ თქვა ამ მოძალადემ და ბოროტმოქედმა: „ჩემი მეგობრები მკვდრის დანახვაზე იცინიან, ლოცვის უამს გული ქვასავით აქვთ და დაბნელებულნი არიან. წმიდა საკურთხევლის წინ უგულისხმოდ დგანან; წმიდა საიდუმლოს უბრალო პურივით ჭამენ. მე ლმობიერებისა და ყოველივე იმ სიკეთის მტერი ვარ, ახოგონებითა და გულმოდგინებით რომ იშვება. მათი მოკვლა მამაჩემისგან ვისწავლე. მე სიცილის დედა ვარ, მე ვარ ძილის მშობელი და სიმაძლრის მეგობარი. მე თვალიმაქცობის მოყვარული ვარ. როდესაც მსაყვედურობენ და შემაგონებენ, არას ვდარღობ“. უბადრუება ეს რომ მოვისმინე, ამ შეშლილის სიტყვებმა გამაკვირვა და დედამისის სახელი ვკითხე. მან მითხრა: "მე მხოლოდ ერთი რამ კი არ მშობს, არამედ მრავალნაირია და განუწყვეტელი ჩემი შობა. ძალას სიმაძლრე მმატებს, დროთა ხანგრძლივობა მზრდის, ბოროტი ჩვეულება განმამტკიცებს და ვისაც იგი აქვს, ჩემგან ვერ გათავისუფლდება. მარადის იღვაწე მღვიძარებით და საუკუნო სასჯელზე იფიქრე. იქნებ, მცირეოდენი შვება იგრძნო და მიხვდე, თუ რა არის შეწმი ჩემი მშობელი დედა, რადგან ყველაში ერთი და იმავე დედისგან არ ვიშვები.

ხშირად იღოცე საფლავებთან და მიცვალებულთა სახება წარუშლელად აღიბეჭდე გულში. თუ ყოველივე ამას მარხვის კალმით არ დაწერ შეწმი, უკუნითი უკუნისამდე ვერ დამამარცხებ“.

ეს გამარჯვების მეთვრამეტე საფეხურია. ვისაც იგი დაუძლევია, გლოვა და ცრემლი მოუჟოვებია.



**თავი მეცნამეტე**  
**აისივე თქმული**  
**ძილისთვის და სხვათან როგორ ღოცვისთვის**

1. ძილი ბუნების განმამტკიცებელია. ის სიკვდილის სახეა და გრძნობების უმოქმედობაა.
2. ძილი ერთია, მაგრამ სხვადასხვაგვარია გულისთქმათა მსგავსად. მას იწვევს: ბუნება, საჭმელი, ეშმაკი, ზოგჯერ მკაცრი მარხვაც, რომლის დროსაც ხორცი უძლურდება და შემდგომ ძილით ინუგეშებს თავს.
3. ისევე, როგორც ბევრი სასმელის დალევა ჩვეულებაზეა დამოკიდებული, ბევრ ძილსაც ჩვეულება განაპირობებს. ამიტომ მონაზენობის დასაწყისში ამაზე განსაკუთრებულად უნდა ვიზრუნოთ, რადგან შემდგომში ჩვეულების მოცილება ძნელია.
4. დავუფიქრდეთ და მივწვდებით: როცა სულიერ საყვირს დასცემენ, ანუ უამის ლოცვას დარეკავენ, მაშინ ძმები ხილულად იკრიბებიან ლოცვისთვის, ხოლო მტრები უხილავად – ბრძოლისთვის. აი, ამიტომ ზარის დარეკვის შემდეგ ეშმაკები გარს გვეხვევიან და გვეუბნებიან: „ერთი წუთით დაისვენე, ვიდრე პირველ ფსალმუნს იტყოდნენ და შემდეგ წადი ეკლესიაში!“ ასევე არსებობენ ეშმაკებიც, რომლებიც ლოცვაზე მისულებს ძილით დაგვრთქავენ; სხვებს ხორციელი საჭიროების გამო უჩვეულოდ ხშირად გავყავართ გარეთ; სხვები ეკლესიაში საუბრისკენ გვიბიძვებენ; სხვები ბილწი აზრებით წარგვტაცებენ გონებას; სხვები, როგორც უძლურებს, კედელს მიგვაყრინობენ და ხშირ უზომო მოქნარებას იწვევენ ჩვენში; ზოგიერთი მათგანი ცდილობს, ლოცვის

დროს გაგვაცინოს და ამით ღმერთი განარისხოს ჩვენზე; სხვები დავითნის სწრაფად თქმას გვაიძულებენ, სხვები უამნობისას სიამაყეს გვგვრიან, სხვები უამნობით ტკბობას აღგვიძრავენ; ასევე, სხვები ბაგებზე გვასხდებაინ და ლოცვისთვის პირის გაღებას არ გვანებებენ.

5. ვინც გულში მტკიცედ გადაწყვეტს და იფიქრებს, რომ ჭეშმარიტად ღვთის წინაშე დგას ლოცვის დროს, იგი სვეტივით შეურყევლად იდგება და არანაირი ზემოთქმული ვნება არ შეემთხვევა.
6. ხშირად, ჭეშმარიტი მორჩილი, როცა ლოცვაზე დგება, სრულიად ივსება ნათლითა და სიხარულით, რაღაც ეს მოღვაწე თავიდანვე უზაკველი მორჩილებითა და მსახურებით იყო საამისოდ მომზადებული და განხურვებული.
7. ვფიქრობ, ყველას შეუძლია ბევრ ხალხთან ლოცვა, მაგრამ ბევრისთვის ერთ ძმასთან ლოცვაა უმჯობესი; მარტო ლოცვა კი ძალზე ცოტას თუ ხელეწიფება.
8. ბევრ ხალხთან ლოცვისას უნივორ და მაღალი ლოცვის აღვლენას ვერ შეძლებ, რადგან გონება ან იმ სიტყვების აღქმით იქნება დაკავებული, რომლებსაც გაღობ, ან რომელიმე დაწესებული ლოცვით, და მუხლოთა გალობისას მას იტყვი გულში, ვიდრე მოყვასი მუხლს დაასრულებდეს.
9. ლოცვის დროს არავინ არ უნდა აკეთოს საქმე. ნეტარ ანტონთან მისულმა ანგელოზმა კეთილად გვასწავლა, ჯერ ხელსაქმე დავასრულოთ და შემდეგ ვილოცოთ.
10. ცეცხლი ოქროს ცდის, ხოლო ლოცვაზე დგომა – მონაზვნის კრძალვასა და სიყვარულს ღვთის მიმართ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვინც სანატრელ ლოცვას მოიპოვებს, ის ღმერთს უახლოვდება და ეშმაკებს განერიდება.



## თავი მეოცე

აისივა თქმული

### ხორციელი სიცხიზღისთვის, რისგანაც სულიერი სიცხიზღვა იშვება

1. მიწიერი მეფეების წინაშე ზოგიერთი უიარაღოდ, პატივით დგას, ზოგიერთი – კვერთხით, ხოლო ზოგი – ხმლითა და საჭურვლით. პირველები ბევრად განსხვავდებიან უკანასკნელებისგან: ისინი უმაღლესი პატივითა და წესით მეორეებსა და მესამეებს აღმატებიან, რამდენადაც მეფის საყვარელი და გულითადი ხალხია. ჩვენც მოვიდეთ და ვნახოთ, თუ როგორ ვდგავართ ღვთის წინაშე ლოცვაზე მწუხრის ჟამს, დღისითა და ღამით. ზოგიერთი ღამით ფხიზლობს და უნივორულ, ყოველგვარი ზრუნვისგან შიშველი ხელგანკყრობილი დგას ლოცვაზე, ზოგი ფსალმუნთა გალობით ფხიზლობს, ზოგი წიგნს კითხულობს, სხვა ხელსაქმით ეპრძეს ძილს, სხვა კი სიკვდილის ხსენებაში ატარებს დამეს ლმობიერების მოსაპოვებლად. ამათ შორის პირველი და უკანასკნელი ღვთისადმი დიდი სიყვარულის გამო ფხიზლობენ; მეორენი და მესამენი, რომლებიც ფსალმუნებს გალობენ და კითხულობენ, სამონაზვნო გზით მიდიან; ხოლო რომლებიც ხელსაქმით ფხიზლობენ, ისინი უმდაბლესი გზით მიდიან. ღმერთი ადამიანის შრომას მისი განზრახვისა და შესაძლებლობის მიხედვით იწირავს და შესაბამისად ანიჭებს მადლს.
2. ფხიზელი ოვალით გონება იწმინდება, ხოლო ბევრი ძილით გული ქვავდება და სული ბნელდება.
3. ფხიზელი მონაზონი სიძვის მტერია, ხოლო მძინარა – მისი მეგობარი.

4. სიფხიზლე არის გულქვაობის შემუსრვა, სიზმრებისგან გა-თავისუფლება, ცრემლის მომზვეჭელი, გულის დამამდაბლე-ბელი, აზრების მცველი, საჭმლის მომნელებელი, ეშმაკთა მტანჯველი, ენის აღვირი და ოცნებების განმდევნელი.
5. ფხიზელი მონაზონი აზრებზე ნადირობს და ღამის მყუდრო-ებაში ადვილად შეუძლია მათი დანახვა და შეპყრობა.
6. ღვთისმოყვარე მონაზონი ზარის დარეკვისას ამბობს: “ვაშა, ვაშა, რა კარგია!” ხოლო ზარმაცი და მცონარა ამბობს: “ვაიმე, ვაიმე, როგორ მეზარება!”
7. ნაყროვნები სუფრის გამზადებისას გამოიცდებიან, ხოლო ღვთისმოყვარეებს ლოცვის ღვაწლი სცდის.
8. ნაყროვანი სუფრის დანახვაზე კუნტრუშით გარბის, ხოლო ლოცვის მოყვარე მისვლას აყოვებს.
9. ბევრ ძილს გულმავიწყობა მოაქვს, სიფხიზლე კი გონებას წმენდს.
10. მუშაკთა სიმდიდრე კალოზე და საწნახელში გროვდება, ხოლო მონაზონთა სიმდიდრე და გონიერება – ღამის ლოცვასა და გონებრივ ჭვრეტაში.
11. ბევრი ძილი ბოროტი მეუღლეა, რადგან ზარმაცებს ნახევარ სიცოცხლეს ართმევს.
12. გამოუცდელი მონაზონი ზღაპარში ფხიზლობს და ლოცვის მოახლოებისას თვალები უმძიმდება.
13. ზარმაცი მონაზონი მრავალსიტყვაობაში გამოცდილია და გულმოდგინე, ხოლო წიგნის კითხვის დროს თვალებს ძლივს ახელს.
14. საყვირის ხმა მკვდრებს აღადგენს, ამაო საუბარი კი ზარმა-ცებსა და მცონარებს აფხიზლებს.
15. მზაკვარი მეგობარია ძილის ვნება: ჭამა-სმის დროს გაგვეც-ლება და მარხვისა და ლოცვის უამს ძლიერ გვებრძვის.

16. ლოცვის უამს ის ადამიანს ხელსაქმეს ახსენებს ძილის განსაღევნად.
17. ის ძლიერ ებრძვის დამწყებ მონაზონებს, რათა თავიდანვე სიზარმაცე ასწავლოს და სიძვის ეშმაკის მისაღებად მოაზადოს.
18. არ უგულებელვყოთ სხვებთან ერთად ლოცვა, ვიდრე მისგან არ გავთავისუფლებით, რადგან ამ დროს სხვებისა შეგვრცხვება და ძილს არ მივეცემით.
19. კურდღლის მტერი ძილია, ხოლო ძილისა – პატივმოყვარების ეშმაკი.
20. ვაჭარი ვაჭრობის შემდეგ ითვლის მონაგებს, ხოლო ფხიზელი და გულმოდგინე მონაზონი კანონის აღსრულების შემდგომ აღრიცხავს თავის სარგებელს.
21. ლოცვის შემდეგ ყურადღებით იყავი და მრავალ ეშმაკს იხილავ, თავს რომ გვესხმიან და ჩვენში ბილწი აზრების დათესვას ცდილობენ. ისინი ამ გზით შურს იძიებენ ჩვენზე იმისთვის, რომ ლოცვის დროს შევებრძოლეთ.
22. კვლავ დადექი დარაჯად და იმათაც იხილავ, ვინც მუდამ მზად არის ჩვენი სულიერი ნაყოფის პირშოთა დასატაცებლად.
23. ხშირად ძილში ფსალმუნების სიტყვებს ჩვეულებიდან გამომდინარე ვამბობთ, ხშირად ეშმაკები აკეთებენ ამას, რათა ამპარტაქენებაში ჩაგვაგდონ. მესამე შემთხვევაზე კი თქმას არ ვაპირებდი, მაგრამ მავანმა მაიძულა. ამგვარად, სული, რომელიც უფლის სიტყვებით განუწყვეტლივ იწვრონება, ძილშიც იმავეს აკეთებს, ვინაიდან პირველის გამო უფალი მას მეორეს მიმადლებს ბოროტ სულთა მიერ მოვლენილი ოცნებების განსაღევნად.
24. თუ ძმებს შორის ხარ და მათთან ერთად ასრულებ მღვიძარების სათნოებას, მაშინ შიშის ეშმაკი დიდად ვერ შეგე-

ბრძოლება; მაგრამ თუ განმარტოებით, განდეგილთა ადგილას იმყოფები, ყურადღებით უნდა იყო, რომ არ დაგეუფლოს სიამაყის შვილი და ურწმუნოების ასული – შიში, რომელსაც ვძლევთ, თუ მარადის გვექნება ლტოლვა უფლისკენ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მეოცე საფეხური: მასზე ასული გულის ნათელს მოიპოვებს.



## თავი ၃ცდამერთე

აისივე თქმული

შიგნისთვის

1. შიში პატივმოყვარე სულში აღძრული ბავშვური ჩვეულებაა.
2. შიში რწმენისგან განშორებაა მოულოდნელის მოლოდინით.
3. მფრთხალი უწინარეს შემთხვევისა წარმოიდგენს სირთულეებს.
4. მფრთხალი შიშით გამოწვეული წარმოიდგენებით მუსრავს გულს.
5. შიში სასოების გამანადგურებელია.
6. ამპარტავანი სული შიშის მონაა, რადგან საკუთარი ძალის იმედი აქვს და რამე ხმის გაგონებაზე მაშინვე ძრწის.
7. ვინც გულით გლოვობს და წუხს, მან საერთოდ არ იცის შიში; ბევრ ამპარტავანს კი შიშისგან გონება წართმევია, რადგან ღმერთი ამპარტავნებს სამართლიანად განსწავლის, რათა ამ უკანასკნელთა გამო სხვებიც შეშინდნენ და თავმდაბლობა ისწავლონ.
8. ყოველი მფრთხალი პატივმოყვარეა. მაგრამ განა ყველა თავმდაბალია, ვისაც არ ეშინია?! – არც ავაზაკები და საფლავის მძარცველები ფრთხებიან ადვილად.
9. რომელი ადგილისაც გეშინია, არ დაიზარო და ღამით იქ მიდი. თუ ამ ეშმაკს ადგილს დაუთმობ, მაშინ ეს ბავშვური და სასაცილო ვნება შენთან ერთად დაბერდება.
10. იქ წასვლისას ლოცვით აღიჭურვე, ხოლო ადგილზე მისულმა ხელები განაპყრობა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელით ტანჯე მტრები, რადგან მასზე ძლიერი საჭურველი არც ცაში მოიპოვება და არც მიწაზე.

11. როცა ამ სენისგან გათავისუფლდები, ადიდე მხსნელი. თუ მისი მაღლიერი იქნები, უკუნისამდე დაგიცავს.
12. შეუძლებელია, ერთხელ ისე ამოივსო მუცელი, რომ მეტად აღარ დაგჭირდეს ჭამა; ასევე, შეუძლებელია, ერთხელ ისე დაამარცხო შიში, რომ აღარასდროს შეგებრძოლოს.
13. ის გლოვის შესაბამისად განიდევნება: რამდენადაც ცრემლები გვაკლდება, იმდენად გვეძალება შიში.
14. „შეძრწუნდეს თმანი ჩემნი და წორცნი“, – ამბობდა ელიფაზი ამ მტრის მზაკვრობაზე (იობი 4. 15), და მეც იმავეს ვიტყოდი.
15. თავდაპირველად ზოგჯერ სული შინდება, ზოგჯერ – ხორცი, მაგრამ შემდგომში ამ ვნებას მეორეს გაუზიარებს ის, რომელიც პირველად დაშინდება.
16. როცა ხორცი შეძრწუნებულია, მაგრამ სულში შიში არ არის, მაშინ ახლოსაა ამ სენისგან გათავისუფლება; ხოლო რაჟამს ყოველგვარ მოულოდნელ ჭირსა და წარმოსახვას შემუსრვილი გულით უშიშრად ვხვდებით და არაფრად მივიჩნევთ, მაშინ ნამდვილად თავისუფალი ვართ შიშისგან.
17. დამის სიბნელე და ადგილის უკაცრიელობა კი არ აძლიერებს ეშმაკებს ჩვენს წინააღმდეგ, არამედ სულიერი უნაყოფობა. ზოგჯერ კი ეს ღვთის განგებულებით დაიშვება ჩვენდა სასწავლებლად.
18. ვინც ღვთის მონაა, მას მხოლოდ თავისი მეუფის ეშინია; ხოლო ვისაც მისი არ ეშინია, მას საკუთარი ჩრდილიც კი აფრთხობს.
19. როცა ადამიანთან ბოროტი სული მიდის, ხორცი ძრწის, ანგელოზის მისვლისას კი სული ხარობს. სწორედ იმით ვსცნობთ ანგელოზის მოსვლას, რომ ასეთ დროს დაუყოვნებლივ ლოცვისკენ მივისწრაფით, რადგან მოვიდა ჩვენი კეთილი მცველი უფლის მიერ, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



## თავი რცდამეორე

ჩვენი ღმილა გამის, იოანეს მიერ თქმული  
აატივმოყვარეობისთვის

ზოგიერთის აზრით, პატივმოყვარეობა და ამპარტავნება ერთმანეთისგან განსხვავდება და ამიტომ რვა მთავარ ვნებას ასახელებს: პირველია ნაყროვანების ვნება, მეორე – სიძვა, მესამე – ვერცხლისმოყვარეობა, მეოთხე – მრისხანება, მეხუთე – მოწყენილობა, მეექვსე – მწუხარება, მეშვიდე – პატივმოყვარეობა და მერვე – ამპარტავნება. ხოლო გრიგოლ ღვთისმეტყველი, და მრავალი სხვაც, შვიდ ვნებას ასახელებენ, რადგან პატივმოყვარეობასა და ამპარტავნებას ერთ ვნებად მიიჩნევენ. მე მათ აზრს უფრო ვიზიარებ, რადგან არ არსებობს ადამიანი, პატივმოყვარეობა რომ დაუძლევია, თავად კი ამპარტავნებას უძლევია. ეს ორი ვნება ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც მცირეწლოვანი ყრმა განსხვავდება მოწიფული მამაკაცისგან ან ხორბალი – ფქვილისგან. პირველი დასაწყისია, მეორე – დასასრული.

1. მოკლედ ვისაუბროთ უწმინდურ სიამაყეზე, ამ ვნებათა დასაბამსა და აღმასრულებელზე, რადგან ვინც მასზე ვრცლად ბჭობს, იმ კაცს ჰგავს, ქარს რომ წონის.
2. პატივმოყვარეობა გარევნულად ბუნების შეცვლით, კეთილი ზნის გაუკულმართებითა და ბრალდებისგან თავის არიდებით ვლინდება. შინაგანი ბუნებით კი ის ნაშრომის განმაბნეველი, ოფლის განმაქარვებელი, სულიერ საუნჯეთა ქურდი, ურწმუნოების შვილი და ამპარტავნების წინამორბედია. ის არის ნავსაყუდელში დაღუპვა. ის ჭიანჭველაა კალოზე, რადგან მასავით პატარაა, მაგრამ მთელ ნაყოფსა და ნაშრომს ანადგურებს.

3. ჭიანჭველა ხორბლის დამწიფებას ელოდება, ხოლო პატივ-მოყვარეობა – მონაზვის სიმდიდრის დაგროვებას.
4. ჭიანჭველას ის ახარებს, როცა რამეს იპოვის და მოიპარავს; ხოლო პატივმოყვარეობას – როცა ანადგურებს და განაბნევს.
5. სასოწარკვეთილების ეშმაქს ბოროტების სიმრავლე ახარებს, ხოლო პატივმოყვარეობის ეშმაქს – სათნოებათა სიუხვე.
6. პირველის ასული წყლულებათა სიმრავლეა, ხოლო მეორისა – შრომათა სიუხვე.
7. დააკვირდი და ნახავ, რომ ეს უკეთური სიკვდილის ბოლომდე ყოველთვის შენთან იქნება შემოსვის ჟამს, სიარულისას თუ ნებისმიერი საქმის კეთებისას.
8. მზე განურჩევლად ყველასთვის ბრწყინავს. ასევე, ყოველგვარ საქმეში გვხვდება პატივმოყვარეობაც: როცა ვძარხულობ – გონებაში ვამაყობ; როცა იმ მიზნით ვიხსნილებ, სხვებმა რომ არ შეიტყონ ჩემი მარხვა, ისევ ვამაყობ, ამჯერად იმიტომ, რომ ბრძნულად მოვიქეცი; კარგი ტანსაცმლით შემოსვისას – ვამაყობ, ძველით შემოსვისას – ისევ ვამაყობ; ვდუმვარ – ვამაყობ, ვლაპარაკობ და – ისევ ისე ვიქცევი. სადაც არ უნდა გადააგდო ეს ბოროტი კუროსთავი, ყველგან მისი ეკალი ამოყოფს თავს სულის მოსაკლავად.
9. პატივმოყვარე ქრისტიანურია ქრისტიანობაში. ჰგონია, ღმერთის სწამს, და სინამდვილეში, ღმერთის კი არა, ადამიანების მაამებლობას ესწრაფვის.
10. პატივმოყვარეა ყოველი ადამიანი, ვისაც თავის გამოჩენა უყვარს. დაუჯილდოებელი რჩება მისი მარხვა და უსარგებლოა მისი ლოცვაც, რადგან ორივეს კაცთა ქებისთვის აკეთებს.
11. პატივმოყვარე მოღვაწე ორმხრივად ზარალდება: ხორცს ტანჯავს და ჯილდოს ვერ ღებულობს.
12. როგორ შეიძლება, არ გაგეცინოს, უფრო სწორად, არ იტირო პატივმოყვარე მუშაგზე, რომელსაც ლოცვის დროს ეს ვნება ყველას წინაშე ხან აცინებს და ხან ატირებს.

13. თავმდაბლობის შესაძენად ღმერთს ხშირად დაუმალავს ჩვენთვის, თუ რამე სათნოებას ვფლობთ. ჩვენი მაქებარი, უფრო სწორად, ქებით ჩვენი მაცდუნებელი კაცი კი ჩვენს სიმდიდრული გვახელინებს თვალს. რაჟამს მასზე თვალი გვეხილება, სწორედ მაშინ იღუპება და უჩინარდება მთელი სიმდიდრე.
14. პირში მაქებარი კაცი ეშმაკის მოციქული, ამპარტავნების წინამძღვარი, ლმობიერების განმაქარვებელი, სიკეთის გამანადგურებელი და მცდარ გზაზე დამყენებელია. როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: “მნატრებელნი თქვენნი გაცურუნებენ თქვენ” (ესაია 3. 12).
15. დიდია ის ადამიანი, ვინც ლანბლვას სიხარულით ტვირთულობს; ხოლო წმიდა და პატიოსანია ის, ვინც ქებას უგნებლად განერიდება.
16. მინახავს მგლოვიარენი, სხვებს რომ გაულანძლავთ, ამის გამო განრისხებულან და, როგორც ვაჭრობაში ხდება ხოლმე, ვნებით ვნება უყიდიათ.
17. “ვინ-მე უკეთ იცის კაცმან კაცისაღ, გარნა სულმანვე კაცისამან” (1 კორ. 2. 11). ამიტომ რცხვენოდეს ყველას, ვინც კაცს პირში აქებს.
18. რაჟამს გათგებ, რომ მეგობრს შენზე აუგი უთქვამს, მაშინ გამოიჩინე მის მიმართ სიყვარული.
19. დიდი საქმეა, როცა სული კაცთა ქებას უარყოფს, მაგრამ ეშმაკთა ქების უარყოფა უფრო დიდია.
20. ის კი არ აჩვენებს თავმდაბლობას, ვინც თავად იმდაბლებს თავს (ვინ არ გამოიჩენს მოთმინებას საკუთარი თავის მიმართ?!), არამედ ის, ვისაც სხვები ლანბლავენ, მაგრამ ითმენს და ამ უკანასკნელთა მიმართ სიყვარული არ უმცირდება.
21. პატივმოყვარეობის ეშმაკის გამოცდა განვიზრახე და ვნახე, რომ მან ერთ ძმას აზრები ჩააგონა, შემდეგ წავიდა და რაც მას ჩააგონა, სხვა ძმას აცნობა. ამის შემდგომ პირველი ძმა

- მეორესთან ფიქრების გასაზიარებლად იმ მიზნით გაგზავნა, რომ მას ეს უკანასკნელი დაფარულთა მცნობელად შეერაცხა.
22. ხშირად ეს უწმინდური სხეულის ასოებსაც ეხება, მათში თავის მზაკვრობას თესავს და მომავლის მაუწყებლად ადამიანის ასოებს ათროთოლებს.
23. არ მიიღო, რაუამს ის ეპისკოპოსობასა და წინამძღვრობას მოგანდომებს, რადგან მნელია ძალლის გაგდება იმ ადგილიდან, სადაც მას ხორცი ეგულება.
24. მას შემდეგ, რაც მცირე ხანს მშვიდად გავატარებთ უდაბნოში დაყუდებით, მტერი სოფელში დაბრუნებას გვირჩევს და გვეტყვის: “წალი წარწყმედული სულების გადასარჩენად და საცხონებლად!”
25. სხვაა ინდოელთა გარეგნობა და სხვა – თეთრკანიანთა; მსგავსადვე, სხვაგვარია პატივმოყვარეობა მონასტრის მკვიდრთა შორის და სხვაგვარი – უდაბნოში დამკვიდრებულთა შორის.
26. როცა ერისკაცები მონასტერში მიდიან, პატივმოყვარეობის ეშმაკი მათ წინ უსწრებს და უგუნურ მონაზვნებს ამ უკანასკნელთა შესახვედრად გასვლასა და მიგებებას ჩააგონებს.
27. ასწავლის, ერისკაცებს ფეხებში ჩაუვარდნენ. ისინიც, ამპარტავნებით აღვსილნი, თავმდაბლობას იჩემებენ და ერისკაცთა თვალში სახეს სიმშვიდით იმშვენებენ; სინაძლებულები, მათი გონება ამ უკანასკნელთა ქონებიდან გარკვეული ნაწილის მიღებითაა დაკავებული, ერისკაცებს “უფალს” უწოდებენ და ეუბნებიან: “ღვთის შემდეგ თქვენს ხელშია ჩვენი სიცოცხლე”.
28. სუფრას როცა მიუსხდებიან, პატივმოყვარეობა მათ მარხვას ჩააგონებს და ისინიც უმოწყალოდ ამხელენ ქვემდგომთ.
29. ლოცვაზე როცა დადგებიან, პატივმოყვარეობა ზარმაცს ახოვნად აქცევს, უხმოს – კეთილხმოვნად, მძინარას – ფხიზლად. წიგნის კითხვის, ფსალმუნისა და იბაკოს

- წარდგომის წარმოთქმის პატივს ისინი ეკლესიის მოწესეს სთხოვენ და ერისკაცთა წასვლამდე ამ უკანასკნელს მოძღვარსა და მამას უწოდებენ.
30. თუ მოწესე თხოვნისამებრ მიაგებს პატივს – ამაყობენ, და თუ უარს ეტყვის – ბევრჯერ გალანძღავენ.
  31. ერისკაცთა წასვლის შემდეგ პატივმოყვარეობის ეშმაკი მათ გულებს ურჩობისკენ მიღრეკს, ყველას მიმართ განარისხებს და ყველას წაჰავიდებს.
  32. პატივმოყვარეობას დიდების ნაცვლად ხშირად სირცხვილი მოაქვს და სამარცხვინო მღვომარეობაში აგდებს თავის მოწაფეებს, როცა ისინი მრისხანებენ.
  33. პატივმოყვარეობას ხშირად ფიცხი ადამიანი მშვიდად უქცევია.
  34. ის ხშირად ერთვის ბუნებრივ საქმეებს და მათი დახმარებით დასცემს უბადრუკებს. ვინილე, ერთმა ეშმაკმა თავისი თანამომებელ ეშმაკი რომ გაანაწყენა და განდევნა: ერთხელ, როცა ძმები ერთმანეთს განურისხდნენ და ჯერ კიდევ შვილში იყვნენ, ერისკაცები მოვიდნენ. მათ პატივმოყვარეობის, და არა ღვთის გამო მაშინვე შეწყვიტეს ჩხუბი, დაიცხრეს მრისხანება და თავი პატივმოყვარეობას მიჰყიდეს, რადგან უბადრუკებმა ერთდროულად ორი ვწების მონობა ვერ შეძლეს.
  35. პატივმოყვარე ადამიანი გარეგნულად და სხეულით მონაზვნებთან იმყოფება, ხოლო გონებითა და საქმით – ერისკაცებთან.
  36. საყვარლებო! თუ ზეციური სიკეთისკენ გვექნება სწრაფვა, ზეციურ დიდებას ვიგემებთ. ვინც ამ დიდების გემოს იხილავს, ის ყოველგვარ ამქვეყნიურ დიდებას უგულებელყოფს. გამიკვირდებოდა, თუ ვინმე, ვისაც მისი გემო არ უხილავს, ამაოსა და წარმავალს უარყოფდა.
  37. ხშირად შევუპრივართ პატივმოყვარეობას, მაგრამ შემდგომ მოვქცეულვართ და უფრო ძლიერ თავად ის შეგვიპყრია. მინახავს მავანნი, სულიერი მოღვაწეობა პატივმოყვარეობით

- რომ დაუწყიათ. ვისი დასაწყისიც უვარგისი ყოფილა, მისი დასასრული კეთილი და საქებარი აღმოჩენილა, როცა გონგია პატივმოყვარეობისგან თავმდაბლობისკენ მიუქცევია.
38. ვინც ბუნებრივი საქმეებით ამაყობს, მაგალითად, განათლებით, ხელმარჯვეობით, კარგი კითხვით, ღრმა აზროვნებით, კარგი ხმით, ლაშაზი სახით, ჭანადობით თუ მსგავსი რამებით, ასეთი ვერასდროს ეზიარება ზებუნებრივ სიკეთეს, რადგან ვინც მცირეში ურწმუნოა, ის დიდშიც ურწმუნოებასა და სიამაყეს გამოიჩენს.
39. ვნებების დასათრგუნად, სასწაულთმოქმედებისა და წინასწარმეტყველების მადლის მოსაპოვებლად მრავალს შეუმუსრავს და დაუძაბუნებია საკუთარი ხორცი, მაგრამ თავმდაბლობა ვერ შეუძნია. და ვერ მიმსვდარან საწყლები, რომ შრომა კი არა, თავმდაბლობაა ყოველივე ზემოთქმულის დედა.
40. ვინც შრომის სანაცვლოდ ღვთისგან ნიჭს ითხოვს, მას უვარგისი და სუსტი საძირკველი ჩაუყრია; ხოლო ვისაც ჭირისა და შრომის ღირსად მიაჩია თავი, ის მოულიდნელად, უეცრად მიიღებს დიდ სიმდიდრეს.
41. საყვარელო, არ შეიწყნარო სიამაყის ეშმაკი, როცა ის სხვებისთვის სარგებლობის მოტანის მიზნით სათნოებების გამჟღავნებას გირჩევს. “რამეთუ რაღ სარგებელ ეყოს კაცსა”, თუ მთელ ქვეყნიერებას არგებს და თავად სულ წარიწყმედს? (შდრ. მათე 16. 26)
42. ადამიანს ვერაფერი არგებს ისე, როგორც თავმდაბლობა, კეთილი ზნე, ტკბილი და მშვიდი სიტყვა. ასეთი ადამიანი სხვებისთვისაც მაგალითია, რომ არ იამაყონ. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო სასარგებლო?!
43. ერთმა წმიდა და გამოცდილმა ბერმა მიამბო: “ერთხელ ძმათა შესაკრებელში ვიყავი, როცა პატივმიყვარეობისა და ამპარტაენების ეშმაკები მოვიდნენ ჩემთან. ერთი მარჯვნივ დამიჯდა, მეორე – მარცხნივ. ერთი სიამაყით მკრავდა თითს

- ფერდში და მაქეზებდა, რომ იქ მყოფთათვის ჩვენებისა თუ უდაბნოში გაწეული მოღვაწეობის შესახებ მომეთხრო. მე განვდევნე იგი და ვუთხარი: “მართლუკუნ იქცენ და სირცხვლეულ იქნენ, რომელთა უნდა ბოროტი ჩემი” (ფსალმ. 39. 15). მაშინ მეორემ დაუყოვნებლივ მიჩურჩულა მარცხნა ფურში: “ვაშა, ვაშა! დიდი ხარ, უსირცხვილო დედაჩემი რომ გააძევე და დაამარცხე”. ხოლო მე ზემოოქმულის შემდგომი მუხლი ვუთხარი მას: “მიიღედ მეყსეულად სირცხვლი მათი, რომელი მეტყოდეს მე: ვაშა, ვაშა!” რა კარგად მოიქეციო” (შდრ. ფსალმ. 39. 16).
44. იმავე ბერს ვკითხე, თუ როგორ შეიძლება იყოს პატივმოყვარეობა ამპარტაგნების დედა. მან მიპასუხა: “ქებით კაცის სული ამაყი ხდება, და როცა სული გაამაყდება, მაშინ მას ამპარტავნებაც შეიჰყობს, რომელიც სულს ცამდე აიყვანს და უფსკრულში, ჯოჯოხეთის ქვესკნელამდე ჩაიყვანს”.
45. არსებობს ღვთისგან ბოძებული დიდება, როგორც წერია: “მადიდებელნი ჩემი ვადიდენ” (1 მეფეთა 2. 30); და არსებობს სხვა, ეშმაკის განგვით მოწეული დიდებაც, როგორც ნათქვამია: “ვაი თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ კაცნი” (ლუკა 6. 26).
46. თუ გსურს, გაიგო, რომელია ღვთისგან ბოძებული დიდება, იმით მიხვდები, როცა დიდებას მავნებლად შერაცხავ, ყოველნაირად შეეცდები მისგან გაქცევას და სადაც უნდა წახვიდე, შენს ცხოვრებას ყველგან დამალავ. ხოლო ეშმაკისგან მოვლენილ დიდებას იმით სცნობ, როცა შენი სათნოებების სხვებისთვის გამზელას მოიწადინებ.
47. ბილწი სიამაყე ადამიანთა წინაშე ისეთი საონოებების დაჩემებას ჩაგვაგონებს, რომლებიც არ გაგვაჩნია, და სახარების სიტყვებს შეგვახსენებს: “ეგრეთ ბრწყინვდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაღთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა” (მათე 5. 16).

48. თავის მოყვარეებს ღმერთი პატივმოყვარეობისგან ხშირად იცავს მათზე მოწეული ყველებისა და დამცირების გზით.
49. სიამაყის განდევნის დასაწყისი არის ბაგეთა დაცვა, დამცირებისა და ყველების სიყვარული; შეუ გზა – ყოველივე საქმის მოკვეთა, რასაც პატივმოყვარეობა მოაქვს; ხოლო დასასრული (თუ ამ უფსკრულს საერთოდ აქვს დასასრული!) არის ის, როცა ადამიანი ყოველნაირად ეძიებს გინებას, ყველებასა და შეურაცხყოფას.
50. საყვარელო, არ დაფარო შენი აუგი საქმეები, რომელთა ჩვენებით თითქოს შეიძლება ვინმე დაბრკოლდეს!
51. არ შეიძლება ყოველგვარი წყლულის ერთი წამლით მკურნალობა. სხვა წამალია საჭირო, როცა ჩვენ თავად ვეძიებთ დღიდებას და სხვა – როცა არ ვეძიებთ და სხვებისგან მოდის.
52. როცა ისეთ საქმეს მოვკიდებთ ხელს, რომელსაც პატივმოყვარეობა მოაქვს, მაშინ გავიხსნოთ, თუ როგორი ტირილითა და შიშით ვლოცულობდით სენაკში, და თუ მართლაც ჭეშმარიტი ლოცვა გვწადია, უეჭველად შევარცხვენთ ამ უსირცხვილოს. თუ ამგვარად ფიქრი არ შეგვიძლია, მაშინ ის სირცხვილი გავიხსენოთ, პატივმოყვარეობას რომ მოსდევს, “რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს” აქაც და საუკუნო ცხოვრებაშიც (შდრ. ლუკა 14. 11).
53. რაეაშს ჩვენი მაქებარნი, უკეთ რომ ვთქვათ, მაცდურნი, ქებას დაგვიწყებენ, მაშინ ჩვენი ფარული ცოდვები და უსჯულოებათა სიმრავლე გავიხსენოთ, და ასე მივხვდებით ჩვენს უღირსებას.
54. ხშირად საჭიროა ამაყი ადამიანების თხოვნის დაკმაყოფილება. რათა სათხოვარი ლოცვით არ მიიღონ და უფრო მეტად არ გაამაყიდნენ, უფალი ასწრებს მათ და თხოვნამდე აძლევს სათხოვარს.

55. წრფელი ადამიანები ამ გესლით დიდად არ იწამლებიან, რადგან სიამაყე სიწრფელის განმდევნელია და ზაკვითა და ცბიერებით ცხოვრებაა.
56. არსებობს მატლი, რომელსაც, როცა გაიზრდება, ფრთები ესხმება და მაღლა მიფრინავს. ასევე, როცა პატივმოყვარეობა გაიზრდება, შობს ამპარტაჟნებას – ყოველგვარი ბოროტების დასაბამსა და მოქმედს.
57. ვინც ამ სენით არ არის დაავადებული, ის ძალიან ახლოსაა ცხონებასთან; ხოლო ვინც მის მიერაა შეპყრობილი, ის შორს აღმოჩნდება წმიდანთა დიდებისგან.

ვისაც ოცდამეორე საფეხურზე პატივმოყვარეობა არ შეიძყრობს, ის ღვთის მტრისა და მოძულის – ამპარტაჟნების – მიერ აღარ დაეცემა.



## თავი ၅ ცდამესამე

ამპარტაცნებისთვის, სადაც გმობაზეც დაპარაკობს

1. ამპარტაცნება არის ღვთის უარყოფა, ეშმაკთან მეგობრობა, ადამიანთა შეურაცხმყოფელი, განკითხვის დედა, ქქის ნაშობი, სულიერი უნაყოფობის სახე, ღვთის შემწეობის განმდევნელი, გაოცებისა და უგონობის წინამორბედი, დაცემათა მიზეზი, სიცოფისა და გულისწყრობის წყარო, ორგულობის კარი, ეშმაკთა ძლიერება, ცოდვათა მცველი, უმოწყალობის მშობელი, მოწყალების არცოდნა, სასტიკი მოპასუხე, ულმობელი მსაჯული, ღვთის წინააღმდეგი და გმობის ძირი.
2. ამპარტაცნების დასაწყისი პატივმოყვარეობის დასასრულია, შეუ გზა – მოყვასის შეურაცხმყოფა, საკუთარი ღვაწლის ურცხვად ქადაგება, გულში თავის ქბა, მხილების სიტულვილი; ხოლო სრულყოფილი ამპარტაცნება არის ღვთის შეწევნის უარყოფა, საკუთარი საქმებით სიხარული, საკუთარ ძალებზე მინდობა და ეშმაკისეული გონება.
3. ვისაც ბოროტების ამ უფსერულისთვის თავის არიდება გვსურს, ყველაზ ვისმინოთ! ამპარტაცნება ღვთისადმი მადლიერებით იწყება, რადგან ეშმაკს თავიდანვე ღვთის უარყოფის ურცხვად ჩაგონება არ ძალუდს.
4. მინახავს ადამიანები, ღმერთს პირით რომ მადლობას ეუბნებოდნენ და გონებაში ამაყობდნენ. ამის მოწმეა ფარისეველიც, რომელიც ამბობდა: “ღმერთო, გმადლობ შენ” (ლუკა 18. 11).
5. სადაც დაცემაა, იცოდე, რომ იქ თავდაპირველად ამპარტაცნებამ დაიმკვიდრა, რადგან სწორედ ეს, მეორე, არის პირველის მომასწავებელი.
6. ერთი მოძღვრისგან მსმენია: “როგორც მივხვდი, თორმეტი უწმინდური ვნება არსებობს და თუ ერთ-ერთ მათგანს,

- კერძოდ, ამპარტავნებას, ნებით მიიღებ, მაშინ ის დანარჩენი თერთმეტის ადგილს დაიკავებს”.
7. ამპარტავნი მონაზონი მრავლისმეტყველი და კამათის მოყვარულია, ხოლო თავმდაბალი – მშვიდი და უთქმელი.
  8. ორგორც კვიპაროსი არასდროს მოიღრიკება მიწამდე, ისე ამპარტავნი მონაზონი არასდროს გამოიჩენს თავმდაბლობას.
  9. ამპარტავნა მონაზონს უფროსობა სწადია, რადგან სხვაგვარად ამდენად სწრაფად ვერ წარწყმდება.
  10. მას თავი თავმდაბალი ჰგონია, სინამდვილეში კი ამპარტავნებითაა სავსე და ძლეული.
  11. თუ “ამპარტავნთა შეკმუსრავს უფალი” (იაკობი 4. 6), მაშინ ვინდა შეიწყალებს ამ უბადრუკებს?
  12. თუ “წინაშე უფლისა საძაგელ-არს ყოველი გულითა მაღალი” (იგავნი 16. 5), მაშინ სხვა ვინდა შეიყვარებს მათ?
  13. ამპარტავნისთვის ჭკუის სასწავლებელია ცოდვით დაცემა, მისი შემაწუხებელია ეშმაკი, ხოლო თავად დაავადება გონების დაკარგვითა და სიგიჟით ვლინდება. პირველი კაცთა ქურნალობას ექვემდებარება, ხოლო მეორე – არა.
  14. ყველა, ვინც მხილებას გაურბის და ვისაც მხილება აღაშფოთებს, თავად ადასტურებს, აღნიშნულ ვნებაში რომ იმყოფება; ხოლო ვინც მხილებას ესწრაფვის, მალე თავისუფლდება კრულებისაგან.
  15. თუ ერთადერთმა ამპარტავნებამ, სხვა ვნების გარეშე გადმოაგდო ეშმაკი ზეციდან, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ზეცაში ასვლა მხოლოდ თავმდაბლობით, სხვა სონოების გარეშეც, ყოფილა შესაძლებელი.
  16. ამპარტავნება ოფლისა და სულიერი სიმდიდრის დამღუპველია.
  17. “დაღადებდეს და არავინ იყო მაცხოვარ“ მათოვის, ვინაიდან ამპარტავნებით შეპლაღადეს უფალს და „არა ისმინა მათი“ (ფსალმ. 17. 42), რადგან რისთვისაც ევედრებოდნენ, ის მიზეზი არ მოუსპიათ.

18. ერთი სულიერი ბერი ამპარტავან ჭაბუკს ასწავლიდა, მან კი, დაბრმავებულმა, ბერს უბასუხა: “მამაო, მაპატიე, მაგამ ამპარტავანი არ ვარ”. მაშინ ბრძენმა ბერმა მას უთხრა: “შვილო, რას მეუბნები, უფალმა შეგინდოს! ზუსტად ახლა დამპარტუნე, რომ ამპარტავანი ხარ, რადგან თავად აღიარე ეს, როგორც კი თქვი, რომ ამპარტავანი არ ხარ”.
19. ასეთებისთვის მეტად სასარგებლოა მორჩილება, დამცირებით ცხოვრება და წმიდა მამათა ზებუნებრივი სათნოებების წაკითხვა. იქნებ, ამით მაინც მოიპოვონ გადარჩენის იმედი.
20. სირცხვილია სხვისი სამკაულით თავის მოწონება. ასევე, უდიდესი უგუნურებაა ღვთის მადლითა და ნიჭით ამპარტავნება.
21. იმით იამაყე, რაც შობამდე და ამ ქვეყნად მოსვლამდე გქონდა, და არა იმით, რაც შობის შემდგომ მოგცა ღმერთმა, რომელმაც გშობა და არაფრისგან არსებად გაქცია.
22. რომელი სათნოებებიც გონების გარეშე აღგისრულებია ან რაშიც გონიერება არ დაგჭირვებია, იმით იამაყე, რადგან შენი მხოლოდ ესენი არის; რაც გონების დახმარებით მოგიმოქმედებია, ის შენი ვერ იქნება, რამდენადაც გონება ღვთისგან გებოდა. რაც სხეულის გარეშე გიღვაწია, მხოლოდ ის ჩათვალე საკუთარი ძალისხმევის შედეგად; ხოლო რაც სხეულის შემწეობით გიკეთებია, ის შენი ვერ იქნება, რადგან სხეული შენი საკუთრება კი არ არის, არამედ ღვთის მიერაა შექმნილი.
23. არ დაიმშვიდო გული სიცოცხლის ბოლომდე, ვიდრე განაჩენს არ გამოგიტანენ. როგორც გსმენია, ქორწილში მიწვეულთა და სუფრაზე მსხდომთათვისაც შეუკრავთ ხელ-ფეხი და ბნელ ქვესკნელში ჩაუყრიათ (შდრ. მათე 22. 13).
24. ჰოი, თიხავ და მიწისგან შექმნილო, არ იამყო, რამდენად ბევრიც უნდა იღვაწო, რადგან მრავალი უხოროცო და უნივორ არსება გადმოვარდნილა ზეციდან.

25. რაჟამს ეშმაკი თავის მსახურთა შორის დამკვიდრდება, მათ ძილში თუ ცხადად ანგელოზის ან მოწამის სახით გამოეცხადება, საიდუმლოს გაუმჯღავნებს და მადლს მიანიჭებს, რათა უბადრუკნი აცდუნოს და სრულიად გადაიყვანოს ჭკუიდან.
26. ბევრჯერაც რომ მოვაკვდეთ ქრისტესთვის, მაინც ვერ გადავიხდით მის ვალს, რადგან სხვაა ღვთის სისხლი და სხვა – მონისა, არათუ ღვთაებრივი ბუნების, არამედ ხორციელი ბუნებისა გამო.
27. ვაცოდეთ, მმებო: თუ გამოვიყელებთ და გამოვიძიებთ, ვნახავთ, რომ ძველი მამების ნაკვალევსაც კი არ მივახლოვებივართ. არც მონაზვნობის აღთქმას ვიცავთ სათანადოდ და, თუ დავუფიქრდებით, მივხვდებით, რომ ჯერ კიდევ საერო ვნებებში ვიმყოფებით.
28. ჭეშმარიტი მონაზვნობა არის წარუტაცებელი სულიერი თვალი და ძლიერი ნდომა ღვთისა.
29. მონაზონი ის არის, ვისაც ბრძოლის დაწყება ისევე ახარებს, როგორც მონადირეს – ნადირის პონა, და მის გამოსაწვევად განგებ გარბის.
30. მონაზონი ის არის, ვისი გონებაც სიცოცხლის ბოლომდე დღემუდამ ღმერთითაა აღტაცებული და გამუდმებით ამა ცხოვრებისათვის წუხს.
31. მონაზონი ის არის, ვისაც ისე სწყურია სათნოებანი, როგორც ავხორცს – გულისთქმანი.
32. მონაზონი ის არის, ვისი სულიერი თვალიც დაუჩრდილავი და ნათელია.
33. მონაზონი ის არის, ვისაც სული თავმდაბლობის უფსკრულად უქცევია, სადაც ყოველგვარ ვნებას დანთქავს და აშთობს.
34. სიამაყე ადამიანს ცოდვებს ავიწყებს. ცოდვების ხსოვნას თავმდაბლობა მოაქვს.
35. ამპარტავნება სულიერი სიღატაკეა: სიზმარსა და სიბელეში თავი მდიდარი ჰგონია, ხოლო რაჟამს გამოიღვიძებს და

- სინათლე გამოუბრწყიდება, მაშინდა ხვდება, რომ პურიც არ აბადია.
36. ზოგიერთი ადამიანი სიმდიდრეს იკვეხნის და არაფერი გააჩნია, ზოგიერთი კი ძალიან მდიდარია და თავს იმდაბლებს.
  37. ეს ბილწი (ამპარტავნება – რედ.) არათუ ჩვენს წარმატებას დაუშვებს, არამედ იმ სიმაღლიდანაც გადმოგვაგდებს, რომელზეც ვიმყოფებით.
  38. ამპარტავანი იმ ბროწეულს ჰგავს, გარედან რომ საღია და შეგნით – დამპალი.
  39. ამპარტავან მონაზონს ეშმაკი აღარ სჭირდება, რადგან თავად არის საკუთარი თავის მტერი და მოწინააღმდეგე.
  40. რამდენადაც სინათლისთვის უცხოა სიბნელე, იმდენად ამპარტავანი მონაზვნისთვის უცხოა ყოველგვარი სათნოება.
  41. ამპარტავნის სულში გმობის სიტყვები იშვება, ხოლო თავმდაბლის სულში – ზეციური ხილვები.
  42. ქურდს მზე სბულს, ხოლო ამპარტავანს – სიმშვიდე და თავმდაბლობა.
  43. არ ვიცი, როგორ ხდება, მაგრამ ამპარტავნები ცდებიან: ჰგონიათ, უვნებობას მიაღწიეს და მხოლოდ სიკვდილის უამს ხვდებიან თავიანთ სიღატაკეს.
  44. ვინც ამგვარ საპყრობილებია ჩაგარდნილი, მან სიბნელისგან დასახსნელად ტირილით ბევრი უნდა ევედროს ღმერთს, რადგან ასეთს ადამიანი ვეღარ უშველის და მხოლოდ ღმერთი თუ შეეწევა.
  45. ერთხელ ეს უთავო ვნება, რომელიც დედამისის მხრებზე შემდგარიყო, ჩემს გულში აღმოვაჩინე. ორივე მორჩილების ხაფანგით მოვინადირე, თავმდაბლობით ვტანჯე და ვკითხე, თუ რომელი კარით შემოვიდნენ ჩემში. ტანჯვის შემდგომ მიპასუხეს: “ჩვენ არც დასაბამი გვაქვს და არც შობა, რადგან თავად ვართ ყოველგვარი ვნების დასაბამი და მშობელი. გვებრძვის მორჩილებისგან ნაშობი გულშემუსვრილება. ჩვენ

არავის ვემორჩილებით. სწორედ ამიტომ, ურჩობის გამო, გადმოვცვივდით ზეციდან ზეცაში მთავრებად დაბადებულნი. მოკლედ ვიტყვით: ჩვენ ვართ ყველაფერი იმის მშობელნი, რაც თავმდაბლობას წინ აღუდგება. ჩვენი მოწინააღმდეგება ყოველივე, რაც თავმდაბლობას შეეწევა. ჩვენ ზეცაშიც კი შფოთი შევქმენით და შენ როგორლა დაგვაღწევ თავს?! კაცთა გულში ხშირად შევდივართ მას შემდეგ, რაც შეურაცხყოფას დაითმენენ, მორჩილებას, ურისხველობას გამოიჩენენ, სხვის ძვირს აღარ გაიხსნებენ და იმოღვაწებენ. ჩვენ ვშობთ: სულიერ დაცემებს, რისხვას, გულღრმობას, გულისწყრომას, გმობას, ყვირილს, ორგულობას, სიძულვილს, შურს, თავისმართლებას, თაგნებობასა და ურჩობას.

მხოლოდ ერთ რამეს ვერ ვამარცხებთ და გეტყვით, თუ რა არის ეს. თუ ღვთის წინაშე ყოველთვის გულწრფელად დაიდანაშაულებ თავს, იცოდე, რომ ობობას ქსელივით დავიზებით შენს წინაშე”. როგორც ხედავ, ამპარტავნების ცხენი პატივმოყვარეობაა. ჭეშმარიტი თავმდაბლობა და თავის დადანაშაულება ცხენისაც შეარცხვენს და მხედარსაც. ისინი ტკბილად უგალობებენ უფალს გამარჯვების საგალობელს: “უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს, ცხენები და მწედრები შთასთხია ზღუასა” (გამოსვლა 15. 1) და თავმდაბლობის უფსკრულში, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

**ოცდამესამე საფეხური:** ვინც მასზე ავა (თუ შეძლებს), ძლიერი იქნება.

### მისივე თქმული

#### ენით აღუდებული გმობის აზრებისთვის

1. გვსმენია, ბოროტ ძირს რტოც ბოროტი აქვსო. როგორც წინა თავში ბილწი ამპარტაგნება ამბობდა, ენითუთქმელი გმობის ბოროტი მისი ნაშეირი ყოფილა. ამიტომ, საჭიროა, მასზეც ვისაუბაროთ. ის პატარა ბოროტება კი არ არის, არამედ ძალიან დიდია და ყველაზე საშინელი ვნებაა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ადვილი არ არის სულიერ მკურნალთან მასზე საუბარი, აღსარების თქმა და მისი განქიქება. ამიტომ მრავალი ადამიანისთვის გამხდარა ის სასოწარკვეთილების მიზეზი, და როგორც ჭია ჭამს ხეს, ისე ამ უწმინდურს გაუნადგურებია მათი სასოება.
2. ეს ბილწი, უკეთური ხშირად გვესხმის თავს წმიდა წირვის უამს, გვებრძვის წმიდა ზიარების დროს, რათა დავგმოთ უფალი და წმიდა მსხვერპლი. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენს სულში კი არ აღიძგრება ამგვარი წარმოუდგენელი და ენითუთქმელი ბოროტება, არამედ უნდა მივხვდეთ, რომ დავთის მოულე, უფლის გმობისთვის ზუკიდან გადმოვარდნილ ეშმაკს ეკუთვნის ეს სიტყვები. ეს ბილწი სიტყვები ჩვენი რომ ყოფილიყო, როგორდა კუცმდით თაყვანს ან მაღლიერებით მივიღებდით დავთიურ მაღლს? განა შესაძლებელია, ერთდროულად აკურთხო კიდეც და ძვირიც თქვა?
3. ამ მაცდურს ხშირად წაურთმევია გონება და ეშმაკეულად უქცევია მრავალი ადამიანი. ვინაიდნ რთულია აღსარებაზე ამგვარ ფიქრთა აღიარება, ის ბევრთან ერთად დაბერებულა. ჩვენს წინააღმდეგ ისე არაფერი აძლიერებს ეშმაკებსა და მსგავს ზრახვებს, როგორც საეშმაკო ბრძოლათა დამალვა.

4. არავინ იფიქროს, რომ თავად არის გმობის სიტყვების მიზეზი. უფალი გულომეცნიერია და იცის, რომ ეს სიტყვები ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ ჩვენს მტრებს.
5. სიმთვრალის გამო ფეხები ებორკებათ. ასევე, ამპარტაგნებაა ბოროტ ფიქრთა მიზეზი. ადამიანი უდანაშაულოა, ფეხი რომ ებორკება, მაგრამ სიმთვრალე მისი ბრალია და ამისთვის დაისჯება კიდეც.
6. ლოცვაზე როცა ვდგებით, უწმინდური და ენითუთქმელი აზრები გვესხმიან თავს, რომლებიც ლოცვის დასრულებისთანავე მიღიან. ვინც მათ არ ებრძვის, მას არც ისინი ებრძვიან.
7. ეს უღმერთო არა მარტო ღმერთსა და საღვთო საქმეს გმობს, არამედ ბილწ და უშვერ სიტყვებსაც აღგვიძრავს გულში, რათა ან ლოცვა მივატოვოთ, ან სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეთ.
8. მას მრავალი დაუბრკოლებია ლოცვისგან და მრავალიც გაუბრუნებია წმიდა ზიარებიდან. ამ ბოროტსა და კაცომოძულე მოძალადეს ზოგის სხეული მწუხარებით დაუდინა, სხვები — მარხვით დაუბაბუნებია და მცირედი შვებაც არ მიუცია მათთვის. არამარტო ერისკაცებს, არამედ მონაზენებსაც დამართნიათ ეს. შემდგომში ამ უკანასკნელთავის მას სასო წარუკვეთავს და უთქამს: “ნუდარ გეჭნებათ ცხონების იმედი. ახლა ურწმუნოებსა და წარმართებზე უარესი ხართ”.
9. ვინც გმობის ეშმაკისგან იტანჯება, იცოდეს, რომ ამგვარ ზრახვათა მიზეზი თავად კი არ არის, არამედ უწმინდური ეშმაკი, რომელიც უფალს ეუბნებოდა: “ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაპვარდე და თაყუანის-მცე მე” (მათე 4. 9). ამიტომ ნურც ჩვენ მივაქცევთ მას ყურადღებას, არაფრად მივიჩნიოთ მისი სიტყვები და ვუთხრათ: “წადი, ეშმაკო, “უფალსა ღმერთსა ჩემსა თაყუანის-ვსცე და მას მხოლოსა

- ვმსახურებდე”. შენვე დაგიბრუნდეს ეს საზიზღარი სიტყვებიცა და ტკივილიც, ახლაც და მომავალ საუკუნეშიც “თხემსა შენსა ზედა დაგიჯედიც” ეს გმობა” (შდრ. ფსალმ. 7. 17).
10. ვისაც ზემოთქმული სიტყვების გარეშე სწადია გმობის ეშმაკთან შებრძოლება, იმ კაცს ჰგავს, ელვის შეპყრობა ხელით რომ მოუსურვებია. აბა, როგორ შეიპყრობს, როგორ წინაღუდება ან როგორ შეებრძოლება იმას, რაც გულში ქარივით სწრაფად გაივლის, სიტყვას თვალის დახამხამებაში თესავს და უჩინარდება?!?
  11. ყოველი მტერი ჯერ დადგება, შემდეგ იბრძვის, აყოვნებს და დროს აძლევს მათ, ვისაც მასთან შებრძოლება სწადია. ეს უკანასკნელი კი ასე არ იქცევა: გამოჩენისთანავე უჩინარდება და სიტყვის თქმისთანავე იმაღლება.
  12. ხშირად ეს ეშმაკი გულწრფელ და გულუბრყვილო ადამიანებთანაც მიდის და ებრძვის. ესენი კი სხვებზე მეტად შფოთავენ და ღელავენ. ამიტომ ვიტყვით: გმობის მიზეზი ყოველთვის ამპარტავნება არ არის, ის ზოგჯერ ეშმაკთა შურისგან მომდინარეობს.
  13. ვუფრთხილდეთ მოყვასის განკითხვას და გმობის აზრები აღარ შეგვაშფოთებენ, რადგან მეორის მიზეზი და ძირი პირველია.
  14. როგორც სახლში მყოფს გარეთ მავალთა ხმები ესმის და არ ეპასუხება, ისე სულს ესმის და აშფოთებს სხეულში მყოფ ეშმაკთა საგმობი სიტყვები, რომელთაც ისინი სულში გავლისას ამბობენ.
  15. ვინც მათ არად ჩააგდებს, მათგან გათავისუფლდება; ვინც სხვაგვარად მოინდომებს მათთან შებრძოლებას, ეს უკანასკნელი სამუდამოდ დარჩებიან მასთან. ვისაც უწმინდური სულის შეპყრობა სურს, იმ კაცს ჰგავს, ქარის დაჭერა რომ მოუწადინებია.

16. იყო ერთი მოღვაწე მონაზონი, რომელსაც ეს ეშმაკი ოცი წლის განმავლობაში ებრძოდა. ბერმა მარხვითა და მღვიძარებით დააჭინო სხეული და მაინც ვერ პოვა შვება. მაშინ მან ფურცელზე დაწერა და აღიარა ეს ვწება, ფურცელი ერთ წმიდა ბერს მისცა, თავად კი ფეხებში ჩაუვარდა და მის შეხედვასაც ვერ ბედავდა. ბერმა წაიკითხა, გაიღიმა, მმა წამოაყენა და უთხრა: “შვილო, ქვდზე დამადე ხელი!” როგორც კი მმა ამგვარად მოიქცა, ბერმა უთხრა: “მმაო, ჩემზე იყოს ეს ცოდვა, რამდენი წელიც შენთან დაუყვია. მხოლოდ შენ ფურადღება აღარ მიაქციო.” მმა მარწმუნებდა, ბერის სენაკიდან გამოსული არც კი ვიყავი, როცა ვწება გაუჩინარდაო. იმ მმამ მიამბო ეს. ის დიდად მაღლობდა მრავალმოწყალე ღმერთს, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვინც ამ ვნებაზე გამაჯვება მოიპოვა, მას ამპარტავნება გაუძევებია.



## თავი ၃ცდამეოთხე

აისივა თქმული

სიმაგრიდისთვის, სიჭრვოებისა და უანკოებისთვის,  
რომლებიც ადამიანური ბუხებიდან კი არ ფარმოდგებიან,  
არამედ გულმოდგინე შრომით მოიაწვებიან,  
ასევე ცაიმრებისთვის

1. მზეს განთიადის ნათელი უძღვის წინ. ასევე, ყოველგვარ სიმდაბლეს წინ უძღვის სიმშვიდის სათნოება. მოვუსმინოთ ჭეშმარიტ ნათელს, რომელიც სათნოებებს შემდეგნაირად განაწესებს: “ისწავლეთ ჩემგან”, “რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა” (მათე 11. 29). მზის ამოსვლამდე ჯერ სინათლე უნდა ვიხილოთ, შემდეგ – მზე. როგორც შეუძლებელია მზის ხილვა სინათლის გარეშე, ისე შეუძლებელია სიმშვიდის გარეშე თავმდაბლობის მოპოვება.
2. სიმშვიდე ის არის, როცა გონება ერთიანად დაწყნარებულია და უცვლელია პატივსა თუ უპატიობაში.
3. სიმშვიდე ის არის, როცა მოყვასი გლანძლავს ან შეურაცხგყოფს და შენ მთელი სულით, განწმენდილი გულით ლოცულობ მასზე.
4. სიმშვიდე მრისხანების ზღვაში აღმართული კლდეა, რომელიც მისკენ მიმავალ ყოველგვარ ტალღას შემუსრავს და თავად შეურყეველი რჩება.
5. სიმშვიდე ყოველგვარი განსაცდელის მადლობითა და სიხარულით დათმენაა.
6. სიმშვიდე სიმტკიცეა მოთმინებისა და ბჟეა, უკეთ რომ ვთქვათ, დედაა სიყვარულისა. ის არის განსჯის უნარი. ნათქვამია: “ასწავლნეს (უფალმა) მშკდთა გზანი მისნი” (ფსალმ. 24. 9). ის ცოდვათა შენდობის მომნიჭებელია, კადნიერებაა

ლოცვის დროს და სულიწმიდის სამკვიდრებელია. “ვის ზედა მივიხილო, არამედ ანუ მდაბალსა ზედა და მყუდროსა”, – ამბობს სულიწმიდა (ესაია 66. 2).

7. სიმშვიდე არის: მორჩილების შემწე, ღვთის მოშიშების წინამძღვარი, გულისწყრომის აღვირი, მრისხანების დამაცხრობელი, სიხარულის მომნიჭებელი, ქრისტეს მსგავსება, ანგელოზთა თვისება, ეშმაკთა ბორკილი და ვნებებთან საბრძოლველი იარაღი.
8. უფალი მდაბალთა და მშვიდთა სულებში განისვენებს, მშვიდოვარე ადამიანის სული კი ეშმაკის საყდარს წარმოადგენს.
9. მშვიდი დაიმკვიდრებენ ქვეყანას, ხოლო მრისხანენი თავიანთი ქვეყნიდან განიდევნებიან.
10. მშვიდი ადამიანის სული სიწრფელის საყდარია, ხოლო მრისხანე ადამიანის გონება უკეთურებითა და ცბიერებითაა დაკავებული.
11. მშვიდი ადამიანის სული ბრძნულ სიტყვას ოწყნარებს, რადგან: “უძლუეს (უფალი) მშვიდთა საშველსა შინა” (ფსალმ. 24. 9), მით უმეტეს განსჯისკენ.
12. წრფელი სული თავმდაბლობის მეუღლეა, ხოლო ცბიერი სული – ამპარტავნების მეგობარი.
13. მშვიდთა სულები გონიერებით აღივსება, ხოლო მრისხანეთა – სიბნელითა და უგუნურებით.
14. მრისხანე და განცხრომის მოყვარული ადამიანები ერთმანეთს შეხვდნენ და არ მოიძევებოდა მათ საუბარში გულწრფელად ნათქვამი სიტყვა.
15. თუ პირველის გულში ჩაიხედავ, სხვის ბვირს აღმოაჩენ; და თუ მეორის სულს დააკვირდები, მზაკვრობას წააწყდები.
16. სიწრფელე თვისებაა მარტივი სულისა, რომლისთვისაც უცხოა ბოროტება.
17. ცბიერება ეშმაკთა ზელობა და უშვერებაა, რაც შორს არის ჟეშმარიტებისგან.

18. ორგულობა სულისა და გონების დამაპნელებელი ბოროტებაა, რომელიც ყოველმხრივ ცბიერებითაა შეწნული.
19. სიწრფელე არის უზაკელი გონება, გულწრფელი სახე და მართალი სიტყვა, რომელიც არც მოჩვენებითია და არც წინასწარ მოფიქრებული.
20. უმანკოება წესია მხიარული სულისა, რომელიც სრულიად შორსაა ყოველგვარი მზაკვრობისგან.
21. უმანკოება ბუნებაა წმიდა სულისა, რომელიც ისეთივეა, როგორიც დაიბადა, და რომელიც ყველას მიმართ კეთილია და აღუშტოთებელი.
22. ცბიერება არის: სიწრფელისგან განშორება, ცთომილი გონება, ტყუილით შეთხული სიტყვა, ცრუ ფიცი, ხრიკებისა და გულდრძობის უფსკრული, მზაკვრობის შესწავლა, ტყუილში დახელოვნება, განსჯისა და მორჩილების მტერი, დაცემის მომტანი, სიმდაბლის მოწინააღმდეგე, ჩვევადქცეული ამპარტავნება, სინანულის შემაჩვენებელი, გლოვისგან განშორება, აღსარების მტერი, თავნებობის მოყვარული, უენებობის მოწინააღმდეგე, მხილების დროს ღიმილი, სულელური მწუხარება, მოჩვენებითი კრძალვა და ეშმაკური ცხოვრება.
23. ცბიერი კაცი ეშმაკის მეგობარია და მოყვასი. მასთან დაკავშირებით უფალი გვეუბნება: “მიქსნენ ჩუქ ბოროტისაგან” (მათე 6. 13).
24. გავექცეთ უკეთურების უფსკრულსა და ცბიერების მღვიმეს. დაწერილია: “უკეთურნი ადრე მოისრნენ” (ფსალმ. 36. 9), და “ვითარცა თივად მსთუად განჯმენ და ვითარცა მზალი მწუანვილისად ადრე დამოცკვენ” (ფსალმ. 36. 2), რადგან მსგავსი რამეები ეშმაკთა საძოვარს წარმოადგენს.
25. ღმერთს ეწოდება როგორც სიყვარული, ისე – სიწრფოება. “ქებათა ქებაში” ბრძენი ამიტომ უენება წმინდა გულს: “სიწრფოებამან (რომელიც არის ღმერთი) შეგიყვარა შენ” (ქება 1. 3). ამ ბრძენი კაცის ყოვლადბრძენი მამა კი ამბობს:

- “ტკბილ და წრფელ არს უფალი” (ფსალმ. 24. 8); ხოლო  
იმათ ცხოვრებაზე, რომლებიც მისნაირები (ღვთის მსგავსნი  
– რედ.) არიან, ბრძანებს: “განარინნის წრფელნი გულითა”  
(ფსალმ. 7. 11). ასევე დაწერილია: “სიწრფოებანი იხილნა  
პირმან მისმან” (ფსალმ. 10. 7).
26. სიწრფელეს არაფერი შეედრება. აი, ამიტომ, ვიდრე ადამს  
ის ჰქონდა, საკუთარი სულის სიშიშვლესა და ხორცის  
უშვერებას ვერ ხედავდა.
27. კარგია და სანატრელი ბუნებით მონიჭებული სიწრფოება,  
მაგრამ მაინც ვერ შეედრება იმათსას, რომელნიც შრომითა  
და ოფლით უკეთურებისგან სიწრფოებად მოიქცევიან.  
პირველი დაცულია უკეთურებისა და ვნებებისგან, მეორეს  
კი დიდი თავმდაბლობა და სიშვიდე მოაქვს. პირველის  
საზღაური არ არის დიდი, ხოლო მეორისა – გაცილებით  
მაღალია.
28. ვისაც უფლის მოპოვება გვსურს, წრფელად, უზაგველად,  
წმინდა და მარტივი გულით უნდა მივეახლოთ მას. რადგან  
ის მარტივია, და არა რთული, ამიტომ თვითონაც მარტივ  
და უმანკო სულებს ეძიებს; ხოლო სიმარტივე და სიწრფელე  
თავმდაბლობის გარეშე არ არსებობს.
29. ცბიერი და მზაკვარი ადამიანი საიდუმლოთა ცრუ მცნობელია:  
იკვეხნის, რომ სიტყვების მიხედვით აზრთა გაგება შეუძლია,  
ხოლო გარეგნობის მიხედვით – გულისნადებისა.
30. მინახავს წრფელი ადამიანები, მზაკვარი, ცბიერი ხალხისგან  
მზაკვრობა და ცბიერება რომ შეუსწავლიათ, და გამკვირვებია,  
თავიანთი ბუნება ამდენად სწრაფად რომ გაურყვნიათ.
31. რამდენადაც ადვილად სწავლობს წრფელი ადამიანი  
მზაკვრობას, იმდენად რთულია მზაკვარი და ცბიერი ადამიანის  
წრფელად გარდაქმნა.
32. ჭეშმარიტმა უცხოობამ, მორჩილებამ და დუმილმა ბევრჯერ  
შეძლო შეუძლებლის გაკეთება და მრავალი უკურნებლად  
დაავადებულის განკურნება.

33. თუ სწავლულებითა და განათლებით ბევრი ამაყდება, უსწავლელობით, პირიქით, ხშირად მდაბლებიან, რადგან უსწავლელობით ადამიანი თავს ვერ მოიწონებს.
34. ჭეშმარიტი სიწრფელის სახე და მაგალითი გახდა დიდი ანტონის მოწაფე – ნეტარი პავლე წრფელი. მსგავსი წინსვლა ამდენად მცირე ხანში არავის არსად უხილავს, და ვერც იხილავს.
35. წრფელი მონაზონი მეტყველი ცხვარია. მას მთელი თავისი ტვირთი მოძღვრის მხრებზე აქვს შემოდებული.
36. ცხვარი მწყებს არ ეკამათება. არც წრფელი ადამიანი უბრუნებს სიტყვას თავის წინამძღვანს: მიჰყვება იქ, სადაც მწყებს სურს, და თუნდაც დაკლას, წინააღმდეგობას არ უწევს.
37. “ნინად შევიდეს მდიდარი სასუფეველსა ცათასა”. ასევე, ცბიერებით დაბრძებული უკუნურიც მნელად თუ მოიპოვებს სიმშვიდეს.
38. დაცემას ხშირად მოუქცევია ცბიერი ადამიანები, მათდა უნებურად მოუტანია რა მათვის ცხონება და უმანკოება.
39. მაო, ჩქარე, გახდი სულელი და თავი დაანებე ამაო სიბრძნეს, რათა ამგვარად მოიპოვო ცხონება და სიწრფელე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შეწევნით, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვინც ამ საფეხურზე გამარჯვება მოიპოვა, დაე, კადნიერი იყოს, რადგან ქრისტეს მიმბაძველი გამხდარა და ცხონება მოუპოვებია.



## თავი რცდამეხსიერი

აისივა თქმული

პევათა მკლელი და გამანადგურებელი სანატორიული  
თავმდაბლობისთვის

ვისაც სურს, გამოუცდელებს სიტყვით ნათლად აჩვენოს, თუ როგორია ჭეშმარიტი ღვთის სიყვარული, გარკვევით განუმარტოს ყოვლადწმიდა თავმდაბლობა, სანატრელი სიწმინდე და ღვთისმიერი ბრწყინვალება, ნამდვილი ღვთის შიში და ღვთიური დამოწმება, რომელიც გულში ხდება, იმ კაცსა ჰგავს, რომელსაც სიტყვებითა და მაგალითებით მოუწა-დინებია თაფლის სიტყბოების ჩვენება იმათვის, რომელთაც არასდროს გაუსინჯავთ მისი გემო. ეს უკანასკნელი (რომე-ლიც თაფლის სიტყბოებას სიტყვებით აღწერს) ამაოდ ლაპარაკობს. პირველი კი ან სრულიად გამოუცდელია იმ საქმეში, რომელზეც მსჯელობს და განმარტავს, ან დიდად ამპარტავანია.

ერთხელ მამათა შესაკრებელში თიხის ჭურჭლით, უფრო სწორად, თიხის სხეულებით საუნჯე შემოიტანეს გამოსაკვლე-ვად. სიტყვით გამოუთქმელი იყო მისი ბუნება, მხოლოდ ჭურჭლზე დაწერილი სხეული ცხადყოფდა, რომ ეს სანატრე-ლი თავმდაბლობა გახლდათ. სულიერ სამსჯავროზე შეიკრიბ-ნენ ღვთის სულით მაგალნი. თითოეულმა თან მოიტანა სიბრძნისა და მეცნიერების ღვთივდაწერილი ფიცრები და დაიწყეს გამოძიება სანატრელი თავმდაბლობის ბუნებისა. ზოგიერთი ამბობდა: “თავმდაბლობა საკუთარი ქველი საქმე-ების კრძალვით დავიწყებაა”; სხვებმა თქვეს: “თავმდაბლობა ის არის, როცა ადამიანს საკუთარი თავი ყველაზე უკანასკნე-ლად და ცოდვილად მიაჩნია”; სხვებმა: “თავმდაბლობა

საკუთარი უძლურების შეცნობაა”; სხვებმა: “თავმდაბლობა ის არის, როცა მრისხანების უამს პატივების თხოვნას მოყვასს ასწრებენ”; სხვებმა თქვეს: “თავმდაბლობა ღვთის მადლისა და მოწყვალების შეცნობაა”; სხვებმა: “თავმდაბლობა შემუსვრილი სულის ცნობიერება და საკუთარი ნების უარყოფაა”.

1. როცა ყოველივე ეს მოვისმინე და გონებაში დავუფიქრდი სანატრელი თავმდაბლობის ბუნებას, სიტყვებით ვერ შევიცნი ის. ამიტომ, როგორც ყველაზე უკანასკნელმა, სანატრელ მამათა ბაგებიდან ტაბლაზე დაცვინდლი ნამცეცქი ძალივით მოვლოკე და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირად განვაწესებ და ვიტყვი: თავმდაბლობა ენით გამოუთქმელი ძალია, რომელიც მხოლოდ იმათვის არის ცნობილი, ვისაც ის მოუპოვებია.

ის ენით აღუწერელი სიმდიდრეა; ის ღვთის სახელია და ნიჭია ღვთისა, რადგან თავად ღმერთი ამბობს: არა ანგელოზისგან, არა ადამიანისგან, არა წიგნიდან, არამედ ჩემგან, ყოველივეს შემოქმედისგან, ისწავლეთ, “რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა” და გონებითა, “და ჰპოვოთ განსუენებად სულთა თქუენთად” ბრძოლათა და ზრახვათაგან (შდრ. მათე 11. 29).

2. სხვაგვარი სანახავია ეს წმინდა ვენახი ვნებათა ზამთრის უამს, სხვანაირად გამოიყურება არე მისი სათხოებათა გაზაფხულზე, სხვაგვარია ზაფხულში და სხვაგვარი – ნაყოფის მოწევის დროს. თითოეული უამისთვის განსაკუთრებული საქმეებია დამახასიათებელი, თუმცა ყველას ერთი ბოლო აქვს – სიხარული და მხიარულება.

როცა ყოვლადქებული თავმდაბლობის მტევანი ჩვენში აყვავებას დაიწყებს, მაშინ დიდებისა და კაცთა ქების შესაძულებლად, გულისწყორმისა და მრისხანების განსაგდებად მოღვაწეობას ვიწყებთ.

- როცა სათნოებათა ეს დედოფალი ჩვენს სულში სულიერად ასაკოვანი გახდება, მაშინ არარად, მეტიც, საძაგლად შევრაცხავთ ჩვენს ქველ საქმეებს; ყოველდღე იმას ვიფიქრებთ, რომ ცოდვათა ტკირთს ვიმძიმებთ, ჩვენზე მოწეულ ღვთის მადლს გაუცნობიერებლად ვაბნევთ და ამ მადლს ჩვენივე სასჯელის დამამძიმებლად შევრაცხავთ უღირსებისა გამო. ამ, მაშინ იქნება ჩვენი გონება გაუქურდავი და გულშემუსვრილების საგანძურში უსაფართხოდ დაცული; მხოლოდ ქურდების განზრახვასა და ხმას გავიგებთ, თავად კი უვნებელნი დავრჩებით, ვინაიდან თავმდაბლობა ხელშეუხებელი საუნჯა.
3. თავმდაბლობის მარადყვავილოვანი ნაყოფის აყვავებასა და გაზრდაზე, გავძედე და, მცირეოდენი ბრძნული სიტყვა ვთქვი; ხოლო მის სიმწიფეებსა და მღვდელმშვენიერ ნაყოფიერებაზე თავად უფალს ჰყითხეთ, უფლის მონებო, და მან გაუწყოთ, რადგან მე მისი სიტყვებით წარმოჩენა არ ძალმიძს.
  4. შეუძლებელია სანატრელი თავმდაბლობის სიმდიდრისა და სიმაღლის გამოთქმა, სრულიად წარმოუდგენელია მისი ბუნების სიტყვებით გადმოცემა. მის გარეგნულ ნიშნებზე კი ძალისაებრ ჩვენი ცოდნისა ვიტყვით.
  5. ახალგედათა ჭეშმარიტი სინანული, ყოველგვარ ბიწიერებას განშორებული გლოვა და ყოვლადწმიდა თავმდაბლობა ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ფქვილი, ცომი და პური. სული შეიმუსრება და დაიფქვება ჭეშმარიტი სინანულით, რომელიც ცრუმლთა მშვენიერი წყლით გარკვეული სახით შეერთვის და შეეზილება ღმერთს; შემდეგ კი უფლის მიერ აგიზგიზებული ცეცხლით გამოცხვება და განმტკიცდება აუფეუბელი და ამპარტავნებისგან განშორებული სანატრელი თავმდაბლობა.
  6. ამიტომ ეს სანატრელი სამკეცი ჯაჭვი, უკეთ რომ ვთქვათ, ცისარტყელა,<sup>1</sup> ერთ ძალად იკვრება, და ერთია მათი საქმეცა
  1. სიკეთისა და მადლის მრავალფეროვნების გამო თავმდაბლობას ცისარტყელას უწოდებს.

- და ძალაც. რასაც ერთზე ვიტყვით, ის მეორესა და მესამესაც ეხება. ამიტომ მათზე მოკლედ ვილაპარაკებ.
7. სათნოებათა ამ ქველი და დიდებული სამებისთვის დამახა-სიათებელია: პირველი – ყოველგვარი ლანძღვა-შეურაცხოფის სიხარულით ტვირთვა და დათმენა. ამ დროს ადამიანს სულიერი ხელი გაშვერილი აქვს ყველრება-დამცირების, როგორც სულიერ სწეულებათა განმაქარვებელი და დიდ ცოდვათა აღმხოცველი წამლის, მისაღებად და შესატებობად. ამ სამძალოვანი სათნოების მეორე ნიშანი გულისწყრომის სრული მოკვდინება, გულშემუსვრილება და ყველაფერში საკუთარი თავის დამნაშავედ მიჩნევაა. ხოლო მისი მესამე საფეხური არის საკუთარი სათნოებებისადმი სრული უნდობ-ლობა-ურწმუნოება და სარწმუნოებით სწავლის მიღების გამუდმებული წყურვილი.
8. “დასასრული სჯულისაღ” და წინასწარმეტყველთა “ქრისტე არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა” (შდრ. რომ. 10. 4); ხოლო ყოველგვარ უწმინდურ ვნებათა ბოლო არის პატივმოყარეობა და ამპარტავნება. ამ უკანასკნელთა მკვლე-ლია ეს წმიდა და სანატრელი ირემი (თავმდაბლობა - რედ.), რომელიც თავის მეუღლეს (ვისთან ერთადაც ის ცხოვრობს) ყოველგვარი მომაკვდინებელი გესლისგან იცავს. როგორც კი გულში ბოროტი გველი გამოჩნდება, თავმდაბ-ლობა დაუყოვნებლივ განაქიქებს და მოკლავს მას. თავმდაბ-ლობასთან ერთად შეძლებელია იყოს სიძულვილი, ურჩობა, შეკამათება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მართლმორწმუ-ნეობაზე ელაპარაკებიან ურწმუნოებს.
9. ვინც ამ სანატრელის მეუღლე გახდება, ის ალერგიანი, კეთილი, მოწყალე, მშვიდი და წმიდა იქნება, არ ეცოდინება ნაღველი, იქნება ფხიზელი, გულმოდგინე, და მრავალსიტყვაობა რომ თავიდან ავიცილო, გახდება ყოველგვარი ვნებისგან უგნებელი. ნათქვამია: “სიძდაბლესა შინა ჩუქნსა მომიქსენნა ჩუქნ

- უფალმან,.. და მიქსნა ჩუენ მტერთა ჩუენთაგან” (ფსალმ. 135. 23-24), ვნებებისა და ბრძოლებისგან.
10. თავმდაბალი მონაზონი არ იძიებს იმას, რაც დაფარულია და მიუწვდომელი; ამპარტაგანი კი ღვთის სამართალსაც იკვლევს.
  11. ერთ სულიერ მონაზონს პირისპირ გამოეცხადნენ ეშმაკები და ქება დაუწყეს. ყოვლადბრძენმა ბერმა კი უპასუხა: “თუ თქვენ ჩემს ქებას შეწყვეტო, თქვენი წასვლით მივხვდები, რომ დიდი ვარ; თუ ჩემს ქებას არ შეწყვეტო, მაშინ თქვენი ქებიდან მივხვდები ჩემს უწმინდურებას, რადგან “სამაგელ არს წინაშე უფლისა ყოველი მაღალი გულითა” (იგავნი 16. 5). ახლა კი ან განმშორდით, რათა დიდი მეგონოს თავი, ან შემაქეთ და თქვენით მოვიპოვებ სიმდაბლეს”. ეშმაკები გააოცა ამ ორმხრივმა სიბრძნეები, დამარცხდნენ და გაუჩინარდნენ.
  12. მძაო, ნუ იქნება შენი სული ის ჭა, რომელიც ზოგჯერ სიცოცხლის წყალს აღმოაცენებს და ზოგჯერ დიდებისმოყარებისა და სიამაყის სიცხისგან შრება; არამედ იყოს შენი სული წყარო უვნებობისა, რომელიც გამუდმებით გულშემუსვრილების წყალს წარმოადენს.
  13. იციდე, საყვარელო: “ღელთა განამრავლონ იფქლი” (ფსალმ. 64. 13) და სულიერი ნაყოფი.
  14. “ღელე” თავმდაბალი სულია, რომელიც შეურყევლად და აღუზევებლად შრომისა და სათნოების მთებს შორის არის მოქცეული.
  15. არ მიმართულია, არ მიფხიზლია, არც მიწაზე მძინებია, არამედ “დავმდაბლდი, და მაცხოვნა მე” უფალმა (ფსალმ. 114. 6).
  16. სინანული სულს აღადგენს და აღამაღლებს, ცრემლები ცის კარზე რეკს, ხოლო თავმდაბლობა ამ კარს აღებს. მე კი ვიტყოდი: თაყვანს ვცემ სამგვაროვნებას ერთარსებით და ერთარსებას სამებით.

17. მზე ყოველივე ხილულს ანათებს, ხოლო თავმდაბლობა ყოველგვარ სათნოებას განამტკიცებს.
  18. სინათლე რომ არ არსებობდეს, ყოველივე ბნელი იქნებოდა. თავმადაბლობა რომ არ არსებობდეს, ჩვენი შრომაც ფუჭი იქნებოდა.
  19. არსებულ მიწებს შორის მხოლოდ ერთადერთმა<sup>2</sup> იხილა ერთხელ მზე. არსებობს ერთი აზრი, რომელიც მრავალგზის შობს სიმდაბლეს.
  20. მხოლოდ ერთადერთ დღეს გაიხარა ქვეყნიერების ყოველმა მკვიდრმა.<sup>3</sup> ასევე, თავმდაბლობაა ერთადერთი სათნოება, რომელსაც ეშმაკები ვერ იჩემებენ.
  21. სხვაა სიამაყე, სხვაა – არ გაამაყდე და სხვაა – თავმდაბლობა. პირველი ყოველთვის სხვას განიკითხავს, მეორე არავის განიკითხავს, მათ შორის, არც საკუთარ თავს; ხოლო მესამე უდანაშაულოა და მაინც ყოველთვის საკუთარ თავს განიკითხავს.
  22. სხვაა თავმდაბლობა, სხვაა – მოღვაწეობა თავმდაბლობის მოსაპოვებლად, და სხვა – თავმდაბლობის ქება. პირველი სრულყოფილებს ახასიათებთ, მეორე – ჰეშმარიტ მორჩილებს, ხოლო მესამე – მორწმუნებებს.
  23. ვინც შინაგანად არის თავმდაბალი, მას ვერც საკუთარი ბაგები გაქურდავს; რადგან რაც საგანძურში არ ძევს, მას ვერც კარიდან გაიტანენ.
  24. სანამ ცხენი მარტოა, თავი სწრაფი ჰგონია; აი, როცა ასპარეზზე გავა, მაშინ მიხვდება თავის უძლურებას.
  25. კურნების დასაწყისის მანიშნებელია, როცა ადამიანი არ ამაყობს იმით, რაც ბუნებრივად აქვს მიმაღლებული.<sup>4</sup> ადამიანი
- 
2. გულისხმობს იმ მძიას, რომელიც მოსეს მიერ მეწმული ზღვის განპობით გამოჩნდა, ასევე ისუს მიერ ოორდანეს განპობით გამოჩნდილ მიწას.
  3. ეს ერთი დღე ნოეს კიდობნიდან გამოსვლის დღეა.
  4. ბუნებრივ სიკეთეში გულისხმობას: წარჩინებულ გვარიშვილობას, ხელმარჯვეობას, სწავლის ნიჭს, შშვენიერ ხმასა და ლამაზ გარეუნობას.

- ვერ შეიგრძნობს სურნელებას, ვიდრე სიამაყის სიმყრალეს ქნოსავს.
26. ყოვლადწმიდა თავმდაბლობამ თქვა: “სანამ ჩემი მოყვარული ჩემი თანაზიარი გახდება, არავის განიკითხავს, არც ეკამათება, არც დიდება სწადია, არც უფროსობა სურს. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩემი თანაზიარი გახდება, “მართალსა სჯულ არა უც” (1 ტიმოთე 1. 9).
  27. ერთ მონაზონს სანატრელი თავმდაბლობის მოპოვება ეწადა. მივიღნენ მასთან ეშმაკები და მის გულში ქება დათესეს. სანატრელმა მათ დასამარცხებლად ხერხს მიმართა და თავისი სენაკის კედლებზე უმაღლესი და უდიდესი სათონებების სახელები დაწერა, როგორიცაა: სრულყოფილი სიყვარული, ანგელოზებრივი თავმდაბლობა, წმინდა ლოცვა, გამოუთქმელი სიწმინდე და ამის მსგავსნი. როცა ქების აზრები ეწვეოდა, ამბობდა: “აბა, მივიღეთ სამხილებელ ადგილას!” მივიღოდა კედელთან, წაიკითხავდა სათონებათა სახელებს და თავის თავს მიმართავდა: “ჰო, საწყალო, ყოველივე ეს რომც მოიპოვო, მაინც შორს იქნები ღვთისგან. ჯერჯერობით არც ერთი მათგანი გაქვს და როგორღა ამაყობ?”
  28. თუ რაში მდგომარეობს ძალა და არსი ამ მზისა, ამის თქმა არ ძალგვიმს, ხოლო მისი მოქმედებიდან, თვისებიდან და ჩვეულებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელის რაობაზე მცირედს მოგახსენებთ.
  29. თავმდაბლობა ღვთიური საფარველი და საკუთარი სათონებების ვერ ხედვაა.
  30. თავმდაბლობა გულშემუსერილების უფსკრულია, რომელსაც სულიერ ნაყოფთა მპარავნი ვერ ძარცვავენ.
  31. თავმდაბლობა არის “გოდოლ მტკიცე წინაშე პირსა მტერისასა” (ფსალმ. 60. 4).
  32. “არა ირგოს მტერმან მისგან, და შვილმან უშჯულოებისამან (ანუ გულისთქმამ) ვერ შესძინოს ვნებად მისა” (ფსალმ.

88. 23); და მოსრას “პირისაგან მისისა მტერნი მისნი და მოძულენი მისნი” დაამხოს (ფსალმ. 88. 23).
33. ზემოხსენებულთა გარდა სხვა ნიშნებიც არსებობს, რითაც საკუთარ სულიერ სიმდიდრეს სცნობს ის, ვისაც სულში სანატრელი თავმდაბლობა მოუპოვებია. ზემოხსენებულთა დანახვა და გამოთქმა ადამიანს ძალუბს, მაგრამ ის, რაც თავმდაბლი ადამიანის სულში ჩდება, ენით აღუწერელია.
34. სანატრელი თავმდაბლობის შემთხვევაში დამკვიდრებას მაშინ სცნობ, როცა გული ენით უთქმელი სინათლით აღივსება და ლოცვისადმი აღუწერელი ტრფიალება დაგეუფლება. მაგრამ თავდაპირველად გულში არავის უნდა განიკითხავდე რამე ცოდვისა თუ ცოომილებისა გამო. ამის წინამორბედი კი ამპარტაქტებისა და დიდებისმოყვარეობის სიძულვილია.
35. ყველა, ვისაც სულით ჭეშმარიტად შეუცნია საკუთარი უძლურება, ნაყოფიერ მიწაზე თესავს. სადაც ამგვარად არ თესავენ, იქ ვერც თავმდაბლობა აყვავდება.
36. ვისაც საკუთარი უძლურება შეუცნია, მას ღვთის შიში მოუპოვებია, და დადის რა ღვთის შიშით, სიყვარულის ბჟესაც მიაღწევს.
37. თავმდაბლობა სასუფევლის ბჟეს წარმოადგენს, რომელსაც მასთან მისული ადამიანი სასუფეველში შეჰყავს. ვფიქრობ, ამაზე ამბობდა უფალი: ამ კართან მისული ამა სოფელში უშიშრად “შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოვოს” (იოანე 10. 9), და მდელოც სამოთხის განსასვენებელში.<sup>5</sup>
38. ყველა, ვინც სამონაზვნოდ სხვა კარით შემოვიდა, ქურდია და ავაზაკი.
39. ვისაც თავმდაბლობის მოპოვება გვსურს და გვწადია, საკუთარ თავს დაგუპირდეთ: თუ ვნახავთ, რომ მთელი სულითა და
- 
5. იგულისხმება შემდეგი: ვინც ქრისტეს მსგავსი სიმდაბლით შეუდგება მონაზვნობას, ის რიგინად შედის და გამოდის საწუთო ცხოვრებიდან და პოვებს საძოვარს – საღმრთო განსვენებას.

გულით გვსურს, მოყვასი ჩვენზე უკეთესი და პატივცემული იყოს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ახლოს არის ღვთის წყალობა.

40. როგორც შეუძლებელია თოვლისგან ცეცხლის დანთება, ისევე შეუძლებელია მწვალებელთა შორის თავმდაბლობის პოვნა.
41. ეს სათნობა მხოლოდ მართლმორწმუნებს ხელეწიფებათ, თანაც იმათ, ვინც წმიდა და ღვთისმოყვარეა.
42. ბევრნი ვამბობთ, რომ ცოდვილები ვართ, და, შესაძლოა, ასეც ვჟიქრობთ; მაგრამ გულის სიმდაბლე მაინც სხვებისგან მიყენებული შეურაცხყოფით გამოიცდება.
43. ვინც ამ აუდელვებელ ნავსაყუდელში შედის, დაე, დაუცხრომლად მანამ ეძიოს შეურაცხი და მდაბალი საქმები, სიტყვები, ზრახვები, ძალისხმევა, ადგილი და ცხოვრების წესი, სანამ ღვთის შეწევნით აღნიშნული საქმეების საშუალებით ამპარტავნების მარადმღელვარე ზღვას დააღწევს თავს და სულის ნავს სამშვიდობოს გაიყვანს. ვინც თუნდაც მარტო ამ ბოროტებას განერიდება, მას მეზვერის მსგავსად დანარჩენი ცოდვებიც მაღლე მიეტევება.
44. ზოგიერთისთვის ძველი ცოდვები შენდობის შემდგომაც კი მუდამუამ დამდაბლების მიზეზს წარმოადგენს და მათი საშუალებით ბოროტი ამპარტავნების ქედს მუსრავს. სხვები ქრისტეს ვნებებს იხსენებენ და მიიჩნევენ რა თავს მის მოვალედ, სიმდაბლეში იმყოფებიან. სხვები ყოველდღიურად ჩადენილი ცდომილებებით მუსრავენ გულს; სხვები მოწეული განსაცდელებისა და სნეულებათა საშუალებით იტკბობენ სათნოებათა დედას; არიან ისეთებიც (ამჟამად თუ არსებობენ, არ ვიცი), რომლებიც ღვთის მადლით რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევენ, მით უფრო იმდაბლებენ თავს, მსგავსი სიმდიდრის უღირსად თვლიან თავს და მიიჩნევენ, რომ დღითი დღე ვალს ვალზე უმატებენ. აი, ეს არის თავმდაბლობა, ნეტარება და სრულყოფილება.

45. თუ ნახავ ან გაიგებ, რომ ვინმებ მცირე ხანში მიაღწია უკნებობის სიმაღლეს, დარწმუნებული იყავი, რომ ამას არა რომელიმე სხვა, არამედ ამ სანატრელი მოკლე და უტყუარი გზით მიაღწია.
46. აი, დიდებული მეუღლები – თავმდაბლობა და სიყვარული. პირველი ადამიანს აღამაღლებს, ხოლო მეორე ამაღლებულის დაცემას არ დაუშვებს, რადგან “სიყუარული არა სადა დაეცემის”.
47. სხვაა გულშემუსვრილება, სხვა – საკუთარი თავის ცოდნა და სხვა – თავმდაბლობა.
48. დაცემა შობს გულშემუსვრილებას. ვინც ეცემა, შეიმუსრება, სანაქებო ურცხვობით ძრწოლით დგება ლოცვაზე, უძლური-ვით ეყრდნობა სასოების კვერთხს და ამ კვერთხით სა-სოწარკვეთილების ძალლს იგერიებს.
49. თავის შეცნობა საკუთარი ძალების სწორად შეფასებაა, მსუბუქი ცოდვების გამუდმებული ხსნება და კვლევაა.
50. თავმდაბლობა ქრისტეს უხილავი სწავლებაა, რომელიც ღირ-სთა სულებში უხილავად მკვიდრდება და რომლის სიტყვე-ბით გამოთქმაც ენას არ შეუძლია.
51. ვინც ამბობს, რომ ამ ნელსაცხებლის სურნელი მცირედ მაინც უგრძნია, მაგრამ, მოუხედავად ამისა, შექმნისას მცი-რეოდენ უტყოკავს გული ან ქების სიტყვები სიამოვნებს, თავს ნუ იტყუებს და აღიაროს, რომ სრულიად შემცდარია.
52. მსმენია, ერთი კაცი მწურვალე გულით რომ ამბობდა: “ნუ ჩუენთჲს, უფალო, ნუ ჩუენთჲს, არამედ სახელსა შენსა ეც დიდებაზ” (ფსალმ. 113. 9); ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ ჩვენი ბუნება თავისით ქებისგან თავს ვერ დაიცავდა უკნებ-ლად. ასევე ამბობდა: “შენ მიერ არს ქებაზ ჩემი ეკლესიასა შინა დიდესა” (ფსალმ. 21. 26), ანუ მომავალ საუკუნო ცხოვრებაში, და იქ მისვლამდე შენმიერი ქება ამა სოფ-ლისა არად, უფრო მეტიც, მავნებლად შემირაცხავს.

53. თუ უდიდესი ამპარტავნების ნიშანია ის, როცა დიდების მოხვეჭის მიზნით ისეთ სათნოებებს იჩემებენ, რომლებიც არ გააჩნიათ, მაშინ უდიდესი თავმდაბლობის გამოხატულებაა ის, როცა ისეთ დანაშაულს გვაძრალებენ, რომელიც არ ჩაგვიდენა, ჩვენ კი თავს არ ვიმართლებთ და ვიბრალებთ კიდეც მას.
54. ამგვარად მოიქცა ის, ვინც ყველი და პური აიღო ზელში, თავისი სენაკის კართან ძელზე დაჯდა და მსგავსი სიმდაბლე აჩვენა. სიწმინდის სხვა მუშაკმა კი სამოსელი შემოიძარცვა და ვნებისგან თავისუფალი ქალაქში მიმოდიოდა.
55. ასეთები ყურადღებას აღარ აქცევენ, აბრკოლებენ თუ არა სხვებს, რადგან ლოცვით ყოველთა უხილავად დარწმუნების ძალა აქვთ მიღებული.
56. ვინც პირველზე ზრუნავს, ის მეორის ნაკლებობას ამჟღავნებს. სადაც ღმერთი მზადაა თხოვნათა შესასრულებლად, იქ ჩვენთვის ყოველივე შესაძლებელი.
57. მმებო, გვერჩიენოს, ღმერთს ვაამოთ, და არა კაცთა. ღმერთს ძლიერ ახარებს, როცა ზედავს, რომ ამაო სიამაყის დათრგუნვისა და ალაგმვის მიზნით კაცთაგან შეურაცხყოფას ვეძიებთ.
58. მსგავს სიკეთეთა მომტანია ჭეშმარიტი უცხოობა. ახლობელთა შეურაცხყოფისა და დამცირების ტვირთვა ძალიან დიდ ადამიანებს ხელეწიუებათ.
59. საყვარელო, ნუ გაგაკვირვებს ჩემი ნათქვამი! არ არსებობს ადამიანი, ერთი ნაბიჯით კიბის თავში რომ ასულიყოს.
60. “ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ” ქრისტეს მოწაფეები ვართ, როცა არათუ ეშმაკები დაგვემორჩილებიან, არამედ როცა ჩვენი სახელები დაიწერება “ცათა შინა” სიმდაბლისა (შდრ. ლუკა 10. 20).
61. უნაყოფობა თურინჯის ხის რტოებს მაღლა სწევს. როცა ხე მსხმოიარეა, მაშინ რტოები ქვემოთ აქვს დახრილი. ვინც

- გულისყრით კითხულობს ამ სიტყვებს, მის აზრსაც ჩასწოდება.
62. ამ სანატრელ კიბეს ღმერთმა ოცდაათი, სამოცი და ასი საფეხური უბოძა. უკანასკნელ საფეხურზე სრულყოფილნი ადიან, შუაზე – მოღვაწენი, ხოლო პირველზე ასვლა ყველას შეუძლია.
  63. ვინც საკუთარ შესაძლებლობებს აცნობიერებს, თავის ძალას აღმატებულ საქმეს არ ხელპყოფს და სანატრელი თავმდაბლობის გზით მიდის.
  64. როგორც ქათამს ეშინია არწივისა, ისე თავმდაბალს – სიტყვის შებრუნებისა.
  65. ბევრი შესულა სასუფევლში წინასწარმეტყველების, ნიშნებისა და სასწაულების გარეშე, მაგრამ საქორწილო წვეულებაზე ვერავინ შევა თავმდაბლობის გარეშე.
  66. პირველის მცველი მეორეა, ხოლო პირველის გამო მეორე ხშირად გაუჩინარებულა ქარაფშუტებში.
  67. უფალმა ამგვარად ჩვენი დამდაბლების მიზნით განაგო. მეორის მსგავსად (თავმდაბლობის მსგავსად – რედ.) სხვა ვერავინ ხედავს საკუთარ წყლულებს. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენ კი არ ვიყოთ ჩვენივე თავის მოძღვარნი, არამედ სულიერი მწყემსი ვიყოლიოთ, და როცა წყლულებისგან განვიკურნებით, მაღლობა ვუთხრათ ღმერთსა და მოძღვარს.
  68. თავმდაბალ ადამიანს ყოველთვის ისე სძულს საკუთარი ნება, როგორც მაცდური, და თავს უცოდინრად მიიჩნევს. აი, ამიტომ, რაც უმჯობესია, მდაბლად ითხოვს ღვთისგან და ღვთის შეწევნით სარწმუნოებით სწავლობს სიკეთეს.
  69. თავმდაბალი ადამიანი ყოველთვის მორჩილია, ყურს უგდებს სხვათა უმჯობეს რჩევას, არასდროს ენდობა თავს და თავის საზრუნავს მიანდობს უფალს, რომელმაც ბალაამის ვირიც კი აალაპარაკა. და მან თუნდაც რომ ყოველივე ღვთისთვის აკეთოს და თქვას, მაინც არ ენდობა საკუთარ გონებას, რადგან, რამდენადაც ამპარტავანს უმძიმს, სხვას ჰკითხოს

- რჩევა, იმდენად თავმდაბლისთვის როულია, მიენდოს საკუთარ თავს.
70. ვფიქრობ, ცოდვით წარუტაცებლობა მხოლოდ ანგელოზებს ახასიათებთ. პავლე კი, უდიდესი მიწიერი ანგელოზი, შეძლევს ამბობდა: “არარა თავსა ჩემსა შემიცნობიეს, არამედ არა თუ ამით განვმართლდები. ხოლო განმკითხველი ჩემი უფალი არს” (1 კორინთ. 4. 4). აი, ამიტომ ყოველთვის საკუთარი თავის განკითხვა და დადანაშაულება გვმართებს, რათა ნებით დამდაბლებული უნებურ ცოდვებს განვერიდოთ. ასე თუ არ მოვიქცევით, სიკვდილის უამს მათ გამო დიდ გვემაში აღმოვჩნდებით.
71. ვინც ღვთისგან რამეს ითხოვს და თავს უღირსად მიიჩნევს, უფრო მეტს მიიღებს. ამის მოწმეა მეზვერე, რომელმაც ცოდვათა შენდობა ითხოვა და განმართლდა.
72. ავაზაკმა მხოლოდ სასუფეველში მოხსენიება ითხოვა და მოელი სამოთხე დაიმკვიდრა.
73. როგორც არ არსებობს ქვექნად დიდი და პატარა ცეცხლის ბუნება, ერთია მათი ბუნება და მცირე ნაკვერცხალსაც ისეთივე თვისება აქვს, როგორიც დიდ ღუმელს, ისე ჭეშმარიტი სიმდაბლე, სადაც კი დამკვიდრდება, ცოდვის ყოველგვარ ნივთს სპობს.
74. ვიღრე ნებით ვცოდავთ, ის ჩვენთან ვერ იქნება. იცოდა უფალმა, რომ სხვისი მაგალითით სული მდაბლდება. ამიტომ აღო არდაგი და თავმდაბლობის სახე და გზა თავად გვიჩვენა, ვინაიდან სული საქმეთა მიმბაძველია: როგორიცაა საქმეები, ისიც ისეთივეა.
75. უფროსობა ერთ-ერთი ანგელოზისთვის ამპარტავნების მიზეზი გახდა, თუმცა მთავრობა მას ამისთვის არ ებოდა.
76. სხვაა საყდარზე მჯდომი ადამიანის გონება და სხვა – სკორეში მჯდომი დავრდომილისა. ალბათ, ამიტომ, იჯდა რა ქალაქგარეთ ნაგავსაყრელზე, მოიპოვა სრული თავმდაბლობა მართალმა იობმა და სულიერი მეცნიერებით

- თქვა: “ამისთვის განვიქარვე თავი ჩემი და დავაგდე. შემირაცხიეს თავი ჩემი მიწად და ნაცრად” (იობი 42. 6).
77. კაცთა შორის ყველაზე დიდ ცოდვილად მანასე მიმაჩნია, რომელმაც ღვთის ტაძარი და სამსხვერპლო კერპებით შებილწა. თუნდაც რომ მთელ ქვეყანას ემარტულა მისთვის, მაინც არ იქნებოდა ეს საქმარისი შენდობის მისაღებად; მაგრამ უკურნებლის განკურნება თავმდაბლობამ შეძლო.
78. დავითი ღმერთს მიმართავს: “უკუეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მეწირა”, მაგრამ მარხვისა “საკუერთხი არა გთნდეს”, “მსხუერპლი ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი” (ფსალმ. 50. 18-19).
79. “შევსცოდე უფალს”, – მრუშობისა და კაცისკვლის გამო ღალადყო სანატრელმა სიმძაბლებ, და მეყვსეულად ესმა: “უფალმანცა მიგიტეენა ცოდვანი შენნი” (2 მეფეთა 12. 13).
80. სანატრელმა მამებმა თავმდაბლობისკენ მიმავალ გზად შრომა დასახელეს. მე კი მორჩილებასა და გულის სიწრფელესაც დავურთავდი. ეს უკანასკნელნი თავიანთი ბუნებით სიამაყის მოწინააღმდეგენი არიან.
81. თუ ამპარტავნებამ ზოგიერთი ანგელოზი ეშმაკად აქცია, მაშინ თავმდაბლობასაც შესძლებია ეშმაკის ანგელოზად გარდაქმნა. ამიტომ დაცემულნი არ მოეცნენ უიმედობას.
82. შევეცადოთ, ძმებო, და ყოველ ძალისხმევას მივმართოთ, რათა საწადელი თავმდაბლობის თავაძე ავტაღლდეთ. თუ თავს ვერ ვწვდებით, მაშინ მის მსარზე მაინც დავსხდეთ. თუ მხრებამდე ასვლაც არ შევგიძლია, მაშინ ვეცადოთ, მისი მკლავიდან მაინც არ ჩამოვვარდეთ; რადგან ვინც იქიდან ვარდება, არც კი ვიცი, საერთოდ თუ მოიპოვებს რამე საღმრთო მაღლს.
83. თავმდაბლობის საძირკველი და გზა (მაგრამ არა მისი ნიშნები) არის: უბოვარება, უცხოობა, სიბრძნის დაფარვა, მოწყვალების თხოვნა, კეთილშობილი წარმომავლობის დამალვა,

კადნიერების განდევნა, მრავლისმეტყველებისგან განდგომა. სხვა ვერაფერი დაამდაბლებს სულს, როგორც ის, როცა საამაყოდ მიზეზი გვაქვს და ჩვენ კი ხორციელი დიდებისგან უკანმოუხედავად გავრბივართ. სწორედ მაშინ წარმოჩნდება ჩვენი ღვთისმოყვარეობა.

84. როცა რამე ვნებას შეებრძოლები, მშვენიერი თავმდაბლობა შემწედ წაიყვანე და მაშინ “ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხუდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი” (ფსალმ. 90. 13), ანუ ცოდვასა და სასოწარკვეთილებას უჩინარჲყოფ, ხოლო ეშმაკსა და ვეშაპს (რაც არის ხორცი) ქრისტეს ძალით დათრგუნავ.
85. თავმდაბლობა სულის ცოდვათა უფსკრულიდან ცამდე ამყვანებელი კიბეა.
86. მავანმა იხილა რა მისი მშვენება თავის გულში, გაკვირვებამ შეიპყრო. ჰკიოთხა მშობლის სახელი. მან კი მხიარული და გაბრწყინებული სახით მოუგო: “როგორ გაიგებ ჩემი მშობლის სახელს, როცა საკვირველი და უსახელოა ის. არ გეტყვი მის სახელს, ვიდრე შენში არ დამკვიდრდება ღმერთი, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ”.

წყლისა და წყაროს დედა უფსკრულია, ხოლო გონიერებისა და განსჯისა – თავმდაბლობა.



## თავი ၃ცდამექვსე

მისივე, ნეტარი იორანეს თქმული

დიაპრისისათვის, ანუ ცოდნისა და აზრობა, ვნებათა და  
სათხოებათა განსჯისათვის

1. დამწყებ მონაზონთათვის განსჯა და ცოდნა საკუთარი შესაძლებლობებისა და მოღვაწეობის სწორად შეფასებაში მდგომარეობს, საშუალოდ წარმატებულთათვის – გონიერების მოპოვებაში, რათა ჭეშმარიტ სიკეთეს, ბუნებრივ სიკეთესა და უკეთურებას სწორად განასხვავებდნენ; სრულყოფილთა გონებაში კი ძმერთი ნერგავს საღმრთო ბრწყინვალებით მოვლენილ ცოდნის ნათელს, რომელსაც თავისი ნათლით სხვათა სიბნელის განათლებაც შეუძლია. განსჯა ყველასთვის, დამწყები იქნება ეს, საშუალო თუ სრულყოფილი, ღვთის ნების სწორად წვდომას ნიშნავს, რათა ყოველთვის, ყოველგან და ყოველ საქმეში იცოდნენ, თუ როგორია ღვთის ნება, რასაც გულით, ხორცითა და პირით განწმენდილი ადამიანები ფლობენ.
  2. ვინც სამ ვნებას სძლევს, მას ხუთიც დაძლეული ექნება;<sup>1</sup> ხოლო ვინც ამ სამს ყურადღებას არ აქცევს, ის ხუთიდან ვერც ერთ ვნებას ვერ დაამარცხებს.
  3. განსჯა შეურყუნელი, წმინდა ფიქრია და სინდისის მორჩილებაა. სინდისი სიკეთისა და ბოროტების მცნობელი გონებაა, რომელიც ღმერთმა ბოროტების სამხელად დანერგა ადამიანში.
- 
1. ეს სამი ვნებაა: ნაყროვანება, ვერცხლისმოყვარეობა და პატივმოყვარეობა. ვინც ამ სამ ვნებას სძლევს, ნაყროვანებას – მარწვით, პატივმოყვარეობას – თავმდიდლობით, ვერცხლისმოყვარეობას – ღვთის იმედთა და ლოცვით, მას სხვა ხუთი ვნებაც დაძლეული ექნება. ესენია: სიძვა, მრისხანება, მწერარება, მოწყენილობა და ამჰარტავნება.

4. არავინ ჩავარდეს ურწმუნოებაში უცოდინარობის გამო, რაჟამს ზებუნებრივ რამეს იხილავს ან გაიგებს. სადაც ზებუნებრივი ღმერთი მკვიდრდება, იქ საქმეთა უმეტესობაც ზებუნებრივია.
5. ეშმაკები უმთავრესად სამი მიზეზით გვებრძვიან. ესენია: დაუდევრობა, ამპარტავნება და ეშმაკთა შური. საცოდავია პირველი, უბადრუკი – მეორე, ხოლო სამგზის სანატრელი – მესამე.
6. ნებისმიერ რამეში მრჩევლად და წესად ღვთის შემდგომ სინდისი გვყავლეს, რათა ვიცოდეთ, თუ საიდან უბერავს ქარი და ჩვენც მის მიხედვით აღვმართოთ აფრები.
7. ყოველი საღმრთო საქმის აღსრულების დროს ეშმაკები სამ ორმოს გვიმზადებენ: თავდაპირველად გვებრძვიან, რომ კეთილ საქმეში დაგვაბრკოლონ; როცა ამ მხრივ მარცხს განიცდიან, შემდეგ ცდილობენ, საქმე ღვთის სათნოდ არ აღსრულდეს; თუ მტრები ამაშიც დამარცხდებიან, მაშინ ფარულად გვესხმიან თავს და საქმის ღვთის სათნოდ აღსრულებისა გამო ქებას გვიწყებენ. პირველის მტრი გულმოდვინება და სიკვდილზე ფიქრია, მეორისა – მორჩილება და შეურაცხოფა, მესამისა – საკუთარი თავის მუდმივი დადანაშაულება.
8. “ეს არს შრომა ჩენ წინაშე”, ვიდრემდის შევიდეს სიწმიდესა ჩვენსა ღვთიური ცეცხლი (შდრ. ფსალმ. 72. 16); მაშინ ვეღარ გვძლევს ძველი ჩვეულებები, “რამეთუ ღმერთი ჩუნი ცეცხლ განმლევალ არს” (ებრ. 12. 29) ყოველგვარი ბორტი განხურვებისა, სიბნელისა, ხორცთა აღძვრისა და ჩვეულებათა, შინაგანი იქნება ეს, თუ გარეგანი, ხილული თუ უხილავი.
9. ეშმაკები ყოველთვის იმის საწინააღმდეგოდ იქცევან, რაზეც ვილაპარაკეთ. როცა ისინი სულს დაუუფლებიან და გონების ნათელს დააბნელებენ, მაშინ ჩვენ, საცოდავებს, აღარც სიფრთხილე გვექნება, აღარც განსჯის უნარი, არც გონიერება, არც სირცხვილი, არამედ ვიქებით ულმობელნი, უგუნურნი, განუსჯელნი და ბრმანი. ნათქვამი კარგად ესმით მათ,

- რომლებიც სიძვისგან მოქცეულან, კადნიერება განუგდიათ და უწესობიდან კვლავ გონივრულ საქციელს შედგომიან. მას შემდეგ, რაც გონებრივი სიბრძავისგან ფხიზლდებიან და სიბრძლეს შორდებიან, ასეთებს საკუთარი თავისაც კი რცხვენიათ იმ აზრთა, სატყვათა თუ საქმეთა გამო, რასაც ამბობდნენ და აკეთებდნენ სიბრძლეში ყოფნის ჟამს.
10. თუ თავდაპირველად არ დაღამდა და არ დაპნელდა,<sup>2</sup> სულიერი დღის ჟამს ქურდები ვერც მოიპარავნ, ვერც მოკლავნ და ვერც წარწყმედენ.
  11. სულის მოპარვა ბუნებრივად არსებული სიკეთის დაღუპვაა.
  12. სულის მოპარვაა ის, როცა ადამიანი ბოროტ, უკეთურ საქმეს აკეთებს და სიკეთეს სჩადის, ჰგონია.
  13. სულის მოპარვა შეუმჩნევლი სულიერი ტყვეობაა.
  14. სულის მკვლელობა მეტყველი გონების სიკვდილია, როცა ბოროტებაში ეფლობიან.
  15. სულის წარწყმედა არის იმედის სრული წარკვეთა უსჯულოების ჩადენის შემდგომ.
  16. სახარების მცნებების შეუსრულებლობის მიზეზად უძლურება არავინ დაასახელოს, რადგან, მმანო, ბევრია ისეთი, ვინც მცნებაზე მეტიც აღასრულა. ამაში ის დაგარწმუნებს, ვინც მოყვასი საკუთარ თავზე მეტად შეიყვარა, სული თვისი მოყვასისთვის დადო, და არათუ უფლის მცნება, არამედ მცნებაზე მეტიც აღასრულა.<sup>3</sup>
  17. დამშვიდდნენ და გამხნევდნენ ვნებაში მყოფნი, რომელთაც მხოლოდ თავმდაბლობა აქვთ. რანაირ ორმოშიც უნდა ჩავარდნენ, რა მახეშიც უნდა გაებნენ, როგორი სნეულებითაც უნდა დაუძლურდნენ, განკურნების შემდგომ ისინი ყველას მნათობნი, მკურნალნი, სანთულნი და წინამძღვარნი გახდებიან,

- 
2. სულიერი ღამე და სიბრძლე არის სიზარმაცე, მოწყნილობა და გულისთქმები.
  3. იგულისხმება პაკლე მოციქული, რომელმაც ძმების გამო საკუთარი თავი შეაჩვენა.

- რადგან სნეულებათა შესახებ სხვებს დამოძღვრავენ და საკუთარი გამოცდილებით იხნიან დასაცემად გამზადებულებს.
18. თუ ვინმეს ძველი ჩვეულება სძლევს და სხვათა სიტყვით დარიგება შეუძლია, დაუ, ასწავლოს. იქნებ, საკუთარი სიტყვებისა შერცხვეს და საქმითაც სიკეთე აკეთოს; მაგრამ წინამდებრობა არ დაიწყოს, მხოლოდ სიტყვით ასწავლოს, თუ შეუძლია. იქნებ, მასაც იგივე დაემართოს, რაც მწვირეში ყლამდე ჩაფლულებთან მინახავს, რომლებიც ყოველ გამვლელ-გამომვლელს ასწავლიდნენ, თუ როგორ ჩაცვიდნენ სიბინ-ბურეში და ეგვიპტოდნენ, ამ გზით არ წასულიყვნენ და იმავე ორმოში არ ჩაცვენილიყვნენ.
19. და რადგან სხვათა ხსნაზე ზრუნავდნენ, ყოვლადძლიერმა ისინიც იხსნა თიხისგან. თუ ვნებებით შეპყრობილნი კვლავ საკუთარი ნებით მიეცემიან გულისთქმას, მაშინ დუმილით ასწავლონ სხვებს, რადგან დაწერილია: “იწყო იესო ყოფად და სწავლად” (საქმე 1. 1).
20. მონაზენებო, მართლაც რომ სასტიკი და მშფოთვარე ზღვის გადაცურვა გვეგულება, სადაც ხშირია ქარი, გრიგალი და მოქცევა, სადაც ბევრია კლდე, მხეცი, ავაზაკი, სიფონი (ქარბორბალა – რედ.) და საშინელი ღელვა.
21. სულიერ გრიგალში ძლიერი და სწრაფი გულისწყრომა ვიგულისხმოთ, ზღვის მოქცევაში – სასოწარკვეთილება, რომელიც გონებას გარს ეხვევა და უფსკრულში დანთქმას უპირებს; კლდედ უგუნურება მივიჩნიოთ, რომელიც ბოროტებას ისე შეიტყბობს, როგორც სიკეთეს; მხეცად ტლანქი და ველური ხორცი მივიჩნიოთ, ავაზაკად – პატივმოყვარეობის ბოროტი ეშმაკნი, რომელიც სათნოებათა ტვირთსა და ნაშრომს გვტაცებენ; ზღვის ღელვაში გამძვინვარებულსა და სავსე მუცელს ვგულისხმობთ, რომელიც თავისი გაუმაძრობით მხეცთა საჭიროდ გვხდის. სიფონი<sup>4</sup> კი
4. სიფონი არის ციდან ზღვაში ჩამოშვებული ღრუბლის სვეტი, რომელიც წყალს ზევით იტაცებს.

- ზეციდან გამოძევებული ამპარტავნებაა, რომელსაც ცამდე ავყავართ და უფსკრულში დაგვნოქავს.
22. ვინც წმიდა წერილს სწავლობს, მან იცის, თუ რომელი სწავლება შეეფერება დამწყებთ, რომელი – საშუალოდ წარმატებულებს და რომელი – მოძღვრებს.<sup>5</sup>
23. ყურადღებით ვიყოთ! ვაითუ, დიდიხნის სწავლის შემდგომაც ჯერ კიდევ ანბანს ვსწავლობთ. სირცხვილია, ანბანს სწავლობდეს სწავლაში დაბერებული კაცი.
- მონაზონთა ანბანი არის: მორჩილება, მარხვა, მღვიმარება, მაძიოთ შემთხვევა, ნაცარში ჯდომა, ტირილი, აღსარება, დუმილი, სიმდაბლე, მხნეობა, ყინვისა და სიცივის დათმენა, შრომა, უბაღრუქება, შეურაცხყოფა, გულშემუსკრილება, სხვისი ძვირის მოუწესენიებლობა, ძმათა სიყვარული, სიკეთე, მარტივი სარწმუნოება, ამა სოფელზე ჭეშმარიტი უზრუნველობა, უმანკო სიძულვილი მშობელთა, ამსოფლიურ საქმეთაგან განდგომა, უმანკოება და ნებაყოფლობითი უპოვარება.
24. მონაზვნობაში საშუალოდ წარმატებულთ მართებთ: სიამაყის უგულებელყოფა, ურისხველობა, დიდი სასოება, დაყუდება, განსჯა, სასჯელსა და სიკვდილზე მუდმივი ფიქრი, მოწყალება, უცხოთმოვარება, ზომიერი სწავლა, ვნებებს მოკლებული ლოცვა, ქონების სიძულვილი.
25. სრულყოფილ ღვთისმოშიშ სულთა საზომი და წესი ასეთია: დაუტყველებელი გული, სრულყოფილი სიყვარული, სიმდაბლის წყარო, გონებით უფალთან ყოფნა, სულში ქრისტეს დამკვიდრება, ლოცვის ნათლის განუძარცველობა, ღვთიური ბრწყინვა-
- 
5. დამწყებთა სწავლება ასეთია: მორჩილება, მარხვა, მოთმინება, სულიერი სიმხნეებე, ნათესავთა და ქონების უსიყვარულობა, სიმდაბლე და ლოცვა; ხოლო საშუალოთა სწავლებაა: სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, მოწყალება, ძვირის მოუწესენიებლობა, უპოვარება, მარხვა, მოკრძალება და ლოცვა. ხოლო სრულყოფილთა სწავლა ასეთია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, განსჯა, და ზუსტი ცოდნა ყოველთვის, ყველგან და ყოველ საქმეში.

ლების სიმრავლე, სიკვდილის წადილი, ამა ცხოვრების სიძულვილი, ხორცისგან ლტოლვა, ამა ქვეყნის მეოხი და მისთვის ღვთის მოწყალების ძალით გამომთხოვნელი, ანგელოზთა თანამგვიდრი, გონიერების უფსკრული, საღვეულო-თა ტაძარი, ენითუთქმელთა მხილველი, კუთა მხსნელი, ეშმაკთა ღმერთი, ვნებათა უფალი, ხორცთა მუჟვე, გონების მბრძანებელი, ცოდვისთვის უცხო, უვნებობის სახლი, მსგავსი მუჟვისა მუჟვისავე შეწევნით.

26. დიდი სიფრთხილე და გონიერება გვმართებს, როცა ხორციელ უძლურებაში ვიმყოფებით; რაღან რაჟამს ეშმაკნი ხედავენ, რომ დავრდომილნი ვწევართ სარეცელზე და უძლურების გამო მათ ვეღარ ვებრძვით, უფრო გამძაფრებით გვიტევენ.
27. ავალმყოფობის ქამს ერისკაცებს მრისხანების, ხშირად კი, გმობის ეშმაკი ებრძვის; ერიდან გამოსულთ, თუ საამისოდ რამე აქვთ, ნაყროვანებისა და სიძვის ეშმაკი ებრძვის; ხოლო უკაცრიელი და მკაცრი სამოღვაწეო ადგილის მკვიდრთ მოწყენილობისა და უმაღლერობის ბოროტი სტანჯავს.
28. განვიზრახე, სიძვის ეშმაკს დავკვირვებოდი და ვიზილე, რომ ის ტკივილსა და ტანჯვას უშმაფრებდა ავალმყოფებს. რაჟამს ისინი ტანჯვასა და ტკივილში იყვნენ, ხორცთა აღძვრასა და დენას შეამთხვევდა. საკვირველი იყო, რომ საშინელი ტანჯვა-ტკივილის დროს ბორგავდა და მძლავრობდა ხორცი. ვნახე სხვა სნეულებიც, რომლებიც სარეცელზე ღვთის ძალითა და ლმობიერებით იყვნენ წუგეშცემულნი, ტკივილს აღარ განიცდიდნენ და როგორც ჩანდა, ავალმყოფობისგან გათავისუფლებაც კი აღარ ეწადათ. ვნახე სხვებიც, სნეულების წყალობით, ღვთის ამ ეპიტიმიით, რომ გათავისუფლდნენ სულიერი სენისა და ბოროტი ვნებისგან, და ვადიდე ღმერთი, რომელმაც ხორცით ხორცი განწმინდა სულთან ერთად.
29. გონიერ გონებას ცნობიერებაც გონიერული ჰმოსავს. ყოველთვის მის ძებაში უნდა ვიყოთ, გვაქვს თუ არ გვაქვს ის. როცა იგი გამოჩნდება, მაშინ გარეშე გარემოებები აღარ

- იმოქმედებენ ჩვენზე. ამაზე ამბობდა ბრძენი: “მეცნიერებად ღმრთისად პპო” (იგავნი 2. 5).
30. მონაზვნის ცხოვრებაში ყოველი საქმე, სიტყვა, ფიქრი და მოქმედება გონივრული უნდა იყოს. თუ ასე არ არის, მაშინ მისი ცხოვრება სამონაზვნო არ ყოფილა, მით უმეტეს, არც ანგელოზთა დარი.
  31. სხვაა ღვთის განგებულება, სხვა – სულიერი შეწევნა, სხვა – მფარველობა, სხვაა ღვთის წყალობა და სხვა – ნუგეში; პირველი ყველა ქმნილებაზე ვრცელდება, მეორე – ყველა მორწმუნებზე, მესამე – ერთგულ და ჰქეშმარიტ მორწმუნებზე, მეოთხე – მათზე, რომელიც მონასავით შრომობენ, ხოლო მეხუთე ღვთის მოყვარულთ ეფინება.
  32. ხშირად წამალი, რომელიც ერთს კურნავს, მეორეს ჰკლავს. ხშირად ერთი და იგივე წამალი ერთსა და იმავე კაცს რგებს, როცა დროულად იღებს, და ჰკლავს, როცა უდროოდ ღებულობს.
  33. მინახავს უგუნური მკურნალი, რომელსაც ისედაც შეწუხებული ავადმყოფი უჯერო ყველობითა და შეურაცხყოფით შეუწუხებია და სასოწარკვეთილების გარდა, მისთვის არაფერი მოუტანია. მინახავს დახელოვნებული მკურნალიც, რომელსაც ამპარტავნებით გასოებული გული შეურაცხყოფითა და ყველობით განუპაა და იგი მთელი სნეულებისა და სიმყრალისგან გაუთავისუფლებია.
  34. მინახავს ავადმყოფი, ვნებათა ჭუჭყისგან განწმენდის მიზნით ზოგჯერ მორჩილების წამალს რომ სვამდა, ბოლთას სცემდა და არ იძინებდა; ზოგჯერ კი, როცა მისი სულიერი თვალი დასნეულებულა, დაყუდებულა და არაფერს ამბობდა. “რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ”.
  35. რადგან სიამაყით ღვთიური ნიჭის ძიება არ მისწავლია, ხოლო საკუთარი გონებით ვერ ვხვდები, არ ვიცი, როგორ ხდება, რომ ზოგიერთს მარხვის, დაყუდების, ხორციელი

- სიწმინდის, მოკრძალების, სიმშვიდისა და ლმობიერების ბუნებრივი მიღრეკილება აქვს.
36. არიან ისეთებიც, რომელთა ბუნებაც, პირიქით, აღნიშნულ საქმეებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს უკანასკნელნი შეძლების-დაგვარად აიძულებენ თავს. მიუხდავად იმისა, რომ ზოგჯერ მარცხდებიან, პირველებზე მეტად მათ ვანიჭებ უპირატესობას, როგორც საკუთარ ბუნებასთან მებრძოლოთ.
37. ჰოი, ადამიანო, ნუ ამაყობ უშრომელი სიმდიდრით. ნიჭთა მომცემელმა იმთავითვე იცოდა, რამდენად ვნებული, უძლური და ადგილად დასმარცხებელი იყავი. უსასყიდლოდ იმიტომ მოგანიჭება მადლი, რომ მცირედ მაინც ეცხოვნებინე უშრომლად.
38. ბავშვობაში მიღებული აღზრდა, სწავლა და საქმიანობა სათონების მოპოვებასა და მონაზონურ ცხოვრებაში ან და-გვეჩმარება, ან წინ აღგვიდგება.
39. მონაზონთა ნათელი ანგელოზები არიან, ხოლო კაცთა ნათელი მონაზენები არიან. ამიტომ ყველაფერში სამაგალითო ქცევა გვმართებს, რათა არც სიტყვით, არც საქმით არავის მივცეთ დაბრკოლების მიზეზი. თუ ნათელი ბნელი იქნება, მაშინ რამდენად დაბნელდება ბნელი, ანუ ერის ადამიანები?!
40. თუ მომისმენთ და დამიჯერებთ, მაშინ იცოდეთ: სჯობს, რომ ჩვენ, უბადრუკებმა, ათასთა, ათასჯერ ათასთა და უთვალავ მტერთან სხვადასხვაგვარ ბრძოლაში არ დავხარჯოთ თავი, რადგან მათ უამრავ ხრიკსა და მზაკვრობას მაინც ვერ გამოვიცნობთ და ვერ მივაგნებთ.
41. წმიდა სამებით, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა სამგვარად აღვიჭურვოთ სამი ვნების წინააღმდეგ.<sup>6</sup> თუ არა და, დიდ შრომას შევამთხვევთ თავს.
42. ჭეშმარიტად, თუ ჩვენთანაც მოვა ის, “რომელი გარდააქცევს ზღუასა წმელად” (შდრ. ფსალმ. 65. 6), მაშინ ჩვენი “ისრაილიც”, ანუ ღვთისმხედველი გონებაც უსაფრთხოდ
6. ეს სამი ვნებაა: ავხორცობა, ვერცხლისმოვარეობა და ამპარტავნება.

- გადალახავს ვნებათა ზღვას, და ეგვიპტელებსაც, ანუ ვნებებს ცრემლთა წყალში დანთქმულს იხილავს. მაგრამ თუ ის ჩვენთან არ მოვა, მაშინ “ოხრასა ღელვათა მისთასა (ანუ ხორცს) ვინ დაუთმოს?!?” (ფსალმ. 64. 8).
43. თუ ღმერთი ჩვენში საქმით “აღსდგება” – მაშინ “განიბნინებ ყოველნი მტერნი მისნი”; თუ ჭვრეტით მივიღებულ მისკენ – მაშინ გაუჩინარდნენ და “ივლტოდენ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან” და ჩვენგან (შდრ. ფსალმ. 67. 2).
44. მებო, ვეცადოთ, საღმრთო საქმე შრომით, და არა ცარიელი სიტყვებით ვისწავლოთ, რადგან სიკვდილის უამს საქმეების, და არა სიტყვების ჩვენება მოგვიხდება.
45. როცა დამალული განძის შესახებ იგებენ, დიდი შრომის ფასად ეძიებენ მას, და როცა პოულობენ, ყოველნაირად ცდილობენ მის დაცვას. ვინც უშრომლად მდიდრდება, ის ადვილადაც აბნევს.
46. მნელია ძველ ჩვეულებათა სრული აღკვეთა. ვინც მათ ახალსაც ურთავს და უმატებს, ასეთს ან ცხონების იმედი აქვს წარკვეთილი, ან მონაზღონბისგან არანაირი სარგებელი მოუღია. თუმცა, “ვიცი, ღმერთს ყოველივე ძალ-უცს და შეუძლებელ არა რაღ არს მის მიერ” (შდრ. ობი 42. 2).
47. ზოგიერთმა მეტად რთული, ჩემს ცოდნას აღმატებული ისეთი კითხვა დამისვა, არც ერთ წიგნში რომ არ წამეკითხა. მეტითხეს: “რას შობს რვა ზრახვა? ”<sup>7</sup> რომელი მთავარი სამი ზრახვა დანარჩენი ხუთის მშობელი? ”<sup>8</sup> მათ კითხვაზე საქებარი უცოდინარობით ვუპასუხე და ვთხოვე, ესწავლებინათ. ნეტარმა მამებმაც ამგვარად მასწავლეს: “სიძვის დედა ნაყროვანებაა, მოწყენილობისა – სიამაყე, დარდისა – სამივე:
7. ეს რვა ზრახვა: ნაყროვანება, სიძვა, ვერცხლისმოყვარეობა, მრისხანება, მწუხარება, მოწყენილობა, პატივმოყვარეობა და ამპარტაზება.
8. სამი მთავარი ზრახვა: ნაყროვანება, ვერცხლისმოყვარეობა და პატივმოყვარეობა. ხოლო დანარჩენი ხუთი არის: სიძვა, მრისხანება, მწუხარება, მოწყენილობა და ამპარტავნება.

ნაყროვანება, ვერცხლიმოყვარეობა და პატივმოყვარეობა. მრისხანებაც ამ სამის ნაშიერია. ხოლო ამპარტავნების დედა პატივმოყვარეობაა”.

ნეტარ მამებს ვთხოვე: “ესეც მითხარით, რას შობს რვა ზრახვა და რომელი რომლის შვილია?” მათ, უკნებლებმა, ტკბილად მიჰასუხეს და მასწავლეს: “ამ უკეთურებში არ არსებობს წესრიგი და გონიერება, არამედ სრულიად მოუწეს-რიგებელნი და არეულნი არიან”. ამაში ბრძენმა მამებმა ვრცელი მაგალითებით დამარწმუნეს, რომელთაგან მცირედი აქაც დავწერეთ, რათა მათი დახმარებით დანარჩენებზეც წარმოდგენა შეგვემნოდა. მითხრეს: “უადგილო და ფუჭ სიცილს ზოგჯერ სიძვა იწვევს, ზოგჯერ – პატივმოყვარეობა (როცა ადამიანი ფიქრებში თავს იქნეს) და ზოგჯერ შვება-განსვენება. ჭარბ ძილს ზოგჯერ შვება იწვევს, ზოგჯერ – მარხვა (როცა მარხული ადამიანი ამაყდება), ზოგჯერ – მოწყენილობა და ზოგჯერ – ბუნებრივი მოთხოვნილება. მრავლისმეტყველების მიზეზი ხან მოწყენილობაა, ხანაც – პატივმოყვარეობა. მოწყენილობა ხან განცხრომისგან იშვება, ხან – ღვთის უშიშრობისგან. გმობას შობს ამპარტავნება, ხშირად კი იმავე გმობის გამო მოყვასის განკითხვა. გმობას ეშმაკთა შურიც იწვევს. გულქვაობა წარმოდგება სიმაძლრისგან, ულმობლობისა და ცუდი მიღრეკილებებისგან. ცუდი მიღრეკილებები კი შედეგია ან სიძვისა, ან ვერცხლის-მოყვარეობისა, ან ნაყროვანებისა, ან დიდებისმოყვარეობისა, ან სხვა მრავალთა. ცბიერებას შობს სიამავე და მრისხანება, პირმოთნეობას – ურჩობა, თავნებობა და თავმომწოდეობა. მათი მტერი მათივე მტერი მშობლებისგან იშვება. ბევრს არ ვიღაპარაკებ თითოეული მათგანის შესახებ. რომ მინდოდეს კიდეც, მთელი სიცოცხლეც არ მეყოფოდა. ამიტომ მოკლედ ვიტყვი: ზემოხსენებულ ვნებებს ჭეშმარიტად ამარცხებს თავმდაბლობა, და ვინც მას მოიპოვებს, ყოვე-ლივეს სძლევს.

48. ყოველგვარი ბოროტების მშობელი გულისთქმა და უკეთურებაა. ვისშიც ისინი არიან, ის უფალს ვერ იხილავს. ვერას გვარგებს პირველისგან განდგომა, სანამ მეორე ჩვენში იქნება.
49. ხელმწიფეთა და მხეცთადმი შიში იყოს ჩვენთვის ღვთის შიშის მაგალითი, ხოლო ხორციელი სიყვარული – ღვთისადმი ტრიფიალებისა. არაფერი გვიშლის ხელს, სათნოებათა ნიმუშად მათივე საპირისპირო საქმეები მოვიხმოთ.
50. მთელი კაცობრიობა აღიგსო საშინელი ცბიერებით, სიამაყითა და ორგულობით. ხორციელად ძველი მამებივით შრომობება, მაგრამ მათნაირი მადლის ღირსნი ვერ ხდებიან (თუმცა, ჩემი აზრით, ადამიანურ ბუნებას ისე არასდროს დასჭირვებია მადლი, როგორც ამჟამად). და სამართლიანადაც ხდება ეს! საწრფელითა და თავმდაბლობით, და არა შრომით, მკვიდრდება ღმერთი სულში.
51. უფლის ძალას უძლურება წარმოაჩენს, თუმცა უფალი არც თავმდაბალ მუშაკი უგულებელყოფს.
52. როცა რომელიმე მოღვაწე ხორციელ უძლურებაში აღმოჩნდება, უძლურების მიზეზის უკეთურად გამოძიებას კი არ უნდა შევუდგეთ, არამედ სიყვარულით ისე უნდა შევიტყოთ, როგორც ჩვენივე სხეულის ნაწილი, და ისე უნდა მივიღოთ და განვუსვნოთ, როგორც ბრძოლაში დამაშვრალ მხედარს.
53. ზოგჯერ უძლურება ცოდვათა განწმენდის მიზნით შეგვემთხვევა, ზოგჯერ კი – გონების დასამდაბლებლად.
54. რაჟამს ჩვენი კეთილი და ტკბილი უფალი და მუუფე იხილავს, ვინმე ზარმაცობს და არ იღვწის, მაშინ ხშირად ხორცს სნეულებით დაამდაბლებს, ზოგჯერ კი ვწებებისა და ბოროტი ზრახვების საშუალებით განწმენდს სულს.
55. ყოველივე, რაც შეგვემთხვევა, ხილული იქნება ეს, თუ უხილავი, შეგვიძლია მივიღოთ ან კარგად, ან უბრალოდ, ან ცუდად.
56. ვნახე გაჭირვებაში ჩავარდნილი სამი მმა. ერთი – ბრაზობდა, მეორე – არ შეწუხებულა, ხოლო მესამეს – უხაროდა.

57. ვნახე მრავალი მუშაკის მიერ დათესილი მიწა. თითოეულმა მუშაკმა სხვადასახვა მიზნით დათესა: ერთს ვალის გადახდა ეწადა, მეორეს – სიმდიდრის მოხვეჭა, მესამეს - ძღვით უფლის მომადლიერება, სხვას – გზად მიმავალთათვის თავისი ლგაწლის ჩვენება და მათგან ქების მიღება, სხვას – მტერს რომ შეშურებოდა და შეწუხებულიყო, სხვას – რათა უსაქმურობაში არ დაედანაშაულებინათ.
58. მუშაკთა მიერ დათესილი თესლი არის სახე მარხვისა, მღვიძარებისა, მოწყალებისა, მსახურებისა და ამის მსგავსთა; ხოლო თუ რას ვგულისხმობდი ძმათა განზრახვაში, თავად გამოიკვლიერ.
59. რამდენადაც ჭიდან წყლის ამოღებისას ხშირად ბაყაყიც ამოგვიყვანია, იმდენად სათონებების აღსრულებისას აშ უკანას კნელთ მრავალგზის ფარულად ვნებებიც ერევა. ვიცოდეთ: უცხოთა შეწყნარებას ხშირად თან ერთვის ნაყროვანება, სიყვარულს – სიძვა, ცოდნას – მზაკვრობა, სიბრძეს – ცბიერება, სიმშვიდეს – სიზარმაცე, მცონარება და ურჩიბა, ღუმილს – სიამაყე, სიხარულს – ქედმაღლობა, სასოებას – უყერადღებობა, დაყუდებას – მოწყენილობა და სიზარმაცე, უმანკოების დაცვას – სიძკაცრე, თავმდაბლობას – კადნიერება; ხოლო ყოველივე ამათ ბორკილივით ადევს ამპარტავნება.
60. საყვარელნო, ნუ დავმწუხერდებით, თუ ღმერთს რამეს ვთხოვთ და გარკვეული ხნის განმავლობაში არ გვისრულებს. უფლის სურვილი ის არის, რომ ყოველი ადამიანი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს ვნებებისგან. როცა ღვთისგან რამეს ითხოვენ და მაშინვე ვერ ღებულობენ, ეს იმიტომ ხდება, რომ იმ დროს უღირსად ან სიმაყით ითხოვენ, და მათი თხოვნა მაშინვე რომ დაეკმაყოფილებინა, გაამაყდებოდნენ ან გაზარმაცდებოდნენ.
61. ყველამ იცის, რომ ეშმაკები და ვნებები გარკვეული ხნით ან სამუდამოდ გვშორდებიან, მაგრამ ცოტამ იცის, თუ რატომ გვშორდებიან ისინი.

- ზოგიერთის, არა მარტო მორწმუნეს, არამედ ურწმუნოსაც, ერთის გარდა, ყველა ვნება განეშორება. ეშმაკები ამ ერთს ტოვებენ, როგორც ყოველგვარი ბოროტების წინამძღვარსა და დანარჩენ ვნებათა ადგილის შემაგსებელს. ეს უკანასკნელი იმდენად უკეთურია, რომ ანგელოზებიც კი ეშმაკებად უქცევა.
62. ღვთიური ცეცხლით დამწვარი ვნებათა საგანი აღიხოცება და სულიდან გაუჩინარდება.
63. ზოგჯერ ეშმაკები თავისით ტოვებენ ადამიანს, რათა როცა ეს უკანასკნელი უზრუნველობას მიეცემა, უეცრად დაუსხნენ თავს, დაატყვევონ, ვწეტებში დათქმნ და შემდეგ თავად დაუწყოს საკუთარ თავს ბრძოლა.
64. ეშმაკთა განშორების სხვა შემთხვევაცაა ჩემთვის ცნობილი: ეს ხდება მაშინ, როცა სული ვნებებს ეჩვევა. ნათქვამის მაგალითად გამოდგებოდა ჩვილი ბავშვები, რომლებიც ისე ეჩვევიან ძუძუს წოვას, რომ შემდგომში თუნდაც ძუძუს მოსწყვიტონ, თითს მაინც წოვენ.
65. ვიცი მეხუთე შემთხვევაც, როცა ეშმაკები და ვნებები სულს განეშორებიან, რაც მაშინ ხდება, როცა სულში დიდი სიწრფელე, უმანკოება და სიკეთეა. ასეთებს მართლაც რომ სამართლიანად შეეწევა ღმერთი, “რომელმან განარინნის წრფელნი გულითა” (ფსალმ. 7. 11). ღმერთი ისევე შეუმჩნევლად განარიდებს მათ ბოროტებას, როგორც ჩვილ ბავშვებს მათდა შეუმჩნევლად ხდიან ხოლმე ტანსაცმელს.
66. ბოროტი ვნებები ჩვენთვის ბუნებრივად დამახასიათებელი არ არის, რადგან ღმერთმა ვნებები კი არა, სათნოებები დაბადა ჩვენში. მაგალითად: მოწყალება ბუნებრივად გვაქვს მომადლებული. ამიტომ წარმართებიც იჩენენ მოწყალებას ადამიანების მიმართ. ბუნებრივია სიყვარულიც, რადგან პირუტყვებიც კი განიცდიან ერთმანეთისგან განშორებას. რწმენაც ბუნებრივია, რადგან რწმენას ჩვენგანვე ვიღებთ და ჩვენსავე სულში ვშობთ. იმედიც ბუნებრივია. ამიტომ ვიღებთ ნათელს სასოებით, ხორციელად გამდიდრების იმედით

- ვთესავთ, ვასესხებთ და ზღვაში ვმოგზაურობთ. რადგან ასეა და სიყვარული ბუნებრივად ყოფილა ჩვენში (სწორედ ესაა საკვირველი და სწორედ ეს არის სჯულისა და წინასწარმეტყველთა აღსრულება), მაშინ არც სათნოებები ყოფილა შორს ჩვენი ბუნებიდან, და დაე, ყველას რცხვენოდეს, ვინც ამბობს, რომ სათნოებათა აღსრულება შეუძლებელია.
67. ბუნებრივად არ გვახასიათებს: სრულყოფილი უმანკოება, ურისხველობა, თავმდაბლობა, ლოცვა, მღვიძარება, მარწვა და მუდმივი გლოვა-ტირილი. ზოგიერთ მათგანს იძლევიან და გასწავლიან ან ადამიანები, ან ანგელოზები, ან თავად სიტყვა ლვთისა.
68. მოწეულ ორ ბოროტებას შორის უფრო ნაკლების არჩევა გვმართებს. მაგალითად, თუ ლოცვაზე ვდგავართ და ამ დროს ძმა გვესტურება, ორი არჩევანი გვაქვს: ან ლოცვა მივატოვოთ, ან არ მივიღოთ ძმა და გავანაწყენოთ. ასეთ დროს უნდა ვიცოდეთ, რომ ლოცვაზე მეტი და აღმატებული სიყვარულია. თავისთვის ლოცვა ერთი სათნოებაა, სიყვარული კი ყველა სათნოებას მოიცავს.
69. ერთხელ ჩემს ახალგაზრდობაში ერთ ქალაქში ჩავედი. როცა სუფრას მივუჯექი, ნაყროვანებისა და სიამაყის აზრები გარს მომადგნენ. რადგან ნაყროვანების ნაშერმა, სიძამ, შემაძრწუნა, სიამაყით დამარცხება ვამჯობინე.
70. ერთსკაცებში ყოველგვარი ბოროტების საფუძველს ვერცხლისმოყვარეობა წარმოადგენს, ხოლო მონაზენებში – ნაყროვანება.
71. ხშირად ღმერთი თავისი განგებულებით სულიერ ადამიანებს პატარა ვნებებს უტოვებს, რათა უბრალო რამისთვის საკუთარი თავი გაკიცხონ და სანატრელი თავმდაბლობის წაურთმეველი სიმდიდრე მოიპოვონ.
72. დამწყებნი მორჩილების გარეშე თავმდაბლობას ვერ მოიპოვებნ, რადგან ყოველი თვითნასწავლი ხელოვანი უთუოდ ამაყდება.

73. როგორც მამები ამბობენ, ყოველგვარი სათნოება ორ სათნოებაში ერთიანდება – მარხვასა და მორჩილებაში. პირველი გულისთქმებს ანადგურებს, მეორე – თავმდაბლობის საშუალებით სამუდამოდ იცავს ადამიანს ვნებებისგან. აი, ამიტომ გლოვა ორმხრივია: ცოდვას აღხოცავს და თავმდაბლობას შობს.
74. ღვთისმოშები ამგვარად იქცევიან: ყველას აძლევენ, ვინც სთხოვს. მათზე დიდია ის, ვინც იმასაც აძლევს, ვინც არ სთხოუობს. ხოლო სრულყოფილია ის, ვინც წარომეულს უკან არ ითხოვს და პირიქით, აძლევს კიდეც.
75. ყოველგვარ ვნებასა და სათნოებაში გამოვცადოთ თავი და დავაკვირდეთ, სად ვიმყოფებით: დასაწყისში, შუაში თუ ბოლოში.
76. სამი მიზეზით გვებრძვიან ეშმაკები. ესენია: ავხორცობა, ამპარტავნება და ეშმაკთა შური. სანატრელია უკანასკნელი, სრულიად უბადრუები – მეორე, ხოლო უვარგისი – პირველი.
77. არსებობს ჭირის დამთმენელი ზრახვა და აზროვნება, რომელიც, თუ კაცში დამკიდრდა, აღარც შიში ექნება და აღარც მოღვაწეობასა და ხორციელ განსაცდელს შეაქცევს ზურგს.
78. ამ სანატრელი აზრით იყვნენ შეპყრობილნი მოწამეთა სულები და ამიტომ დაითმინეს ადვილად ტანჯვა.
79. სხვაა აზრების დაცვა და სხვა – გონებისა.<sup>9</sup> “ვითარცა განშორებულ არს აღმოსავალი დასავალსა”, იმდენად მეორე აღემატება პირველს, მიუხედავად მეტი სირთულისა.
80. სხვაა აზრების წინააღმდეგ ლოცვა, სხვა – მათთან კამათი და სხვა – მათი უგულებელყოფა. პირველის მაგალითია ის, ვინაც თქვა: ”ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მომხედენ” (ფსალმ.)
- 
9. გონება არის ფიქრის მზეზი, ადგილი და მაღა. ის სულისოვის თვალს წარმოადგენს. აზრი კი გონების მერაა მოფიქრებული და წარმოსაზული. გონების დაცვა ისაა, როცა ადამიანი საერთოდ არ ღებულობს არაანირ უკეთურ ფიქრს; აზრების დაცვა კი გონებაში მოსულ აზრთა უკუგდება.

69. 2), მეორისა – შემდეგი სიტყვების მთქმელი: “მიუგო მაყუედრებელთა ჩემთა სიტყუად” საწინააღმდეგო (ფსალმ. 118. 42), და ასევე: „მტერნი ჩუენი მეკიცხევდეს ჩუენ” (ფსალმ. 79. 7); მესამის მაგალითია სიტყვები: “დავყრუადი, და არა აღვაღე პირი ჩემი” (ფსალმ. 38. 10), “დავსდევ საცოდ პირსა ჩემსა, მიწდებოდა რაღ ცოდვილი წინაშე ჩემსა” (ფსალმ. 38. 2), ასევე : ”ამპარტავნნი უსჯულოებდეს ფრიად, ხოლო მე” გონებით შენი ჭვრეტისგან არ მივდრეკილვარ (ფსალმ. 118. 51). მათგან მეორე დახმარებისთვის ხშირად მიმართავს პირველს, როცა ზრახვებთან საკამაოდ მოუმზადებელია; პირველს მეორის მსგავსად მოქმედება არ შეუძლია; მესამე კი სრულიად უგულებელყოფს ეშმაკებს.
81. ბუნების კანონზომიერების მიხედვით, შეუძლებელია, უსხეულო სხეულით შემოისაზღვროს, რათა საზღვარს ვერ გასცდეს; მაგრამ ვინც საკუთარ თავში ღმერთს მოიპოვებს, მისთვის ყველაფერი იქნება შესაძლებელი.
82. როგორც საღი ყნოსვის ქონე ადამიანი გრძნობს სუნს, როცა ვინმეს დამალული აქვს ნელსაცხებელი, ისევე წმინდა სულის ადამინიც გრძნობს სხვებში იმ ფარულ სურნელებას, რომელიც თავად მასაც ღვთისგან აქვს მიღებული, და იმ სიმყრალეს, რომლისგანაც თავად გათავისუფლებულა.
83. შეუძლებელია, ყველამ მიაღწიოს უვნებობას, მაგრამ ცხონება და ღვთის სათხოყოფა ყველას შეუძლია.
84. არ დაგეუფლონ უცხოტომელები, ანუ აზრები, რომლებსაც ადამიანებზე მოწეული ღვთის მიუწვდომელი განგებულებისა და ხილვების გამოკვლევა სწადიათ, და ფარულად ჩაგაონებენ, თითქოს ღმერთმა მიკერძოება იცის. ასეთი აზრები ამპარტავნების ნაშობია.
85. ზოგჯერ ვერცხლისმოყვარეობის ეშმაკი თავმდაბლობას იჩემებს, ხოლო ამპარტავნებისა – მოწყალების გაცემას

- ჩაგვაგონებს. ასევე იქცევა ავხორცობის ეშმაკიც. როცა ბოლო ორი ვწებისგან განვიწმინდებით, მაშინ გავცეთ მოწყალება ყველგან.
86. მითხრეს, რომ არსებობენ ეშმაკები, რომლებიც სხვა ეშმაკებს ეწინააღმდეგებიან. როგორც მე დავრწმუნდი, ყველა ისინი ჩვენს წარწმედას ლამობენ.
87. ყოველგვარი ზიღული თუ უხილავი სულიერი საქმის წინამძღვარი ღვთის შეწევნით მოვლენილი კეთილი აზრი და სურვილია. არ აღსრულდებოდა სათნოებები, ეს უკანაკნელნი წინ რომ არ უძღვდნენ მათ.
88. როგორც ბრძენი სოლომონი ამბობს: “ყოველსავე საქმესა, რომელ არს ცასა ქუშე, უამი უჩნს” (ეკლესიასტე 3. 1). აღნიშნულში ჩვენი საღმრთო ცხოვრების საქმეები მოიაზრება. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი საქმე თავის დროზე უნდა ვაკეთოთ. ცნობილია, რომ მოღვაწეებისთვის არის უამი უგნებობისა, და არის უამი ვნებების გამარჯვებისა მათი უმწიფარობის გამო.

არის უამი ტირილისა და უამი გულქვაობისა, არის უამი მორჩილებისა და უამი – წინამძღვრობისა, არის უამი მარხვისა და უამი – ჭამისა, არის უამი ხორცია მტერთან ბრძოლისა და არის უამი ხორციელი მხურვალების მოკვდინებისა, არის უამი სულიერი ზამთრისა და არის უამი გონების დაწყნარებისა, არის უამი გულისტკივილისა და არის უამი სულიერი სიხარულისა, არის უამი სიხვათა სწავლებისა და არის უამი მოსმენისა, არის უამი სიბილწისა ამპარტავნების გამო და არის უამი სიწმინდისა თავმდაბლობისა გამო.

არის უამი ბრძოლისა და უამი – მოსვენებისა, არის უამი დაყუდებისა და უამი – უზრუნველობისა, ზრუნვისა და გარეთ სვლისა; არის უამი მშვიდი ლოცვისა და უამი – უზაკველი მსახურებისა. ამპარტავნების მიზეზით არაფერი ვეძიოთ უდროოდ. ზამთრში არ ვეძიოთ ის, რაც ზაფხულშია

- მოსალოდნელი. თესვის უამს ნუ მოვიწადინებთ მკას, რადგან არის უამი ღვაწლის თესვისა და არის უამი ენითალუწერელ მადლობა მომკისა. თუ დროზე ადრე დავიწყებთ ძიებას, დროულადაც ვერ მოვიპოვებთ მათ.
89. ზოგიერთი იდუმალი განგებულებით მოღვაწეობის დაწყებამდე ღებულობს ღვთისგან მადლსა და მოღვაწეობის საზღაურს, ზოგი – მოღვაწეობის შემდგომ და ზოგიც – სიკვდილის წინ. გასარგევება, ამ სამში რომელია ყველაზე თავმდაბალი?<sup>10</sup>
90. არსებობს ცოდვათა სიმრავლისგან, სინდისის სიმძიმისა და დიდი მწუხარებისგან გამოწვეული სასოწარკვეთილება, რაც მაშინ ხდება, როცა სული წყლულებით ივსება და დამბიმებული სასოწარკვეთილების უფსკრულში ეშვება. ასევე არსებობს ამპარტაციენტებისა და სიამაყისგან გამოწვეული სასოწარკვეთილება, რომელიც მაშინ უფლებათ, რაუამს ფიქრობენ, რომ დაუშახურებლად დაეცნენ. ვინც დააკვირდება, მიხვდება, რომ ეს ორი სასოწარკვეთილება ერთმანეთისგან განსხვავდება: პირველი დაუდევრად იქცევა, ხოლო მეორე სასოწარკვეთილ მოღვაწეობაშია, რაც ურთიერთსაბირისპიროა. პირველს მარხვა და ღვთის სასოება განკურნავს, მეორეს კი – თავმდაბლობა და სხვათა განუკითხველობა.
91. მთელი შენი ცხოვრება, მორჩილებაში იქნები თუ არა, ნებისმიერი, ხილული თუ უხილავი საქმის კეთებისას, წესად და კანონად გაიხადე, რომ ყოველთვის დაფიქრდე, საქმეს ღვთისთვის აკეთებ, თუ არა. ახალბედებმა უნდა ვიცოდეთ, რომ თუ ნებისმიერი საქმის კეთებისას თავმდაბლობა არ გვემატება, მაშინ, ჩემი აზრით, ასეთი საქმე, დიდია ის თუ მცირე, არ არის საღმრთო. ღვთის ნებით ასე მიგვენიშნება, რომ ჯერ კიდევ ჩვილები ვართ. საშუალოდ წარმატებულთათვის ღვთის ნების გამოხატულება შინაგანი ბრძოლების
10. მათ შორის განსხვავება ორგვარია: ერთის მიხედვით, პირველი უფრო დიბლა დგას, ხოლო მეორის მიხედვით – უკანასკნელი.

- შეწყვეტაა, ხოლო სრულყოფილთათვის – საღმრთო ნათლის გამრავლება და მატება.
92. დიდისთვის მცირე ცდომა მცირე არ არის, ხოლო მცირესთვის დიდი ცდომაც კი დიდი არ არის.
93. როცა ჰაერი ღრუბლებისგან გადაიწმინდება, მზეც მკვეთრად გამოჩნდება; ასევე, მაშინ იხილავს სული საღმრთო ნათელს, რაფში ძველი ცოდვების მიტევების ღირსი გახდება.
94. სხვაა ცოდვა, სხვა – უქმბა, სხვა – დაუდევრობა, სხვა – ვნება და სხვა – დაცემა.<sup>11</sup> ვისაც ღვთის შეწყვნით აღნიშნულის გამოძიება შეუძლია, გამოძიოს!
95. ზოგიერთს ყველა სხვა სულიერ ნიჭისა და მადლზე მეტად სასურველად სასწაულთმოქმედება და წინასწარმეტყველება მიაჩნია, და არ იცის, რომ მათზე გაცილებით დიდი მადლიც არსებობს, რომელიც არასდროს ეცემა.
96. ვინც სრულიად განწმენდილია, ის ხედავს, თუ რა მდგომარეობაშია მოყვასის სული, თუნდაც რომ თავად სულიერ არსებას ვერ ხედავდეს. ხოლო ვინც მხოლოდ წარმატებულია და ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის, ხორციელი საქმეებიდან გამომდინარე, ხვდება სულიერსაც.
97. ხშირად პატარა ცეცხლს ყველაფერი დაუწვავს. პატარა ხვრელსაც ხშირად დაუცარიელებია მთელი ნაშრომი.
98. ხშირად, როცა ჩვენი მტერი, ხორცი, განსვენებაშია, გონება აზროვნებს და წარმწყმედელი მხურვალება არ აღიძვრება. ხშირად კი, როცა ხორცს შრომით გავთანავთ, ხორცთა ბოროტი აღძვრა გვეუფლება. ეს იმიტომ ხდება, რათა ჩვენს თავს კი არ მივენდოთ, არამედ მას, რომელიც უხილავად მოაკვდინებს ჩვენს ცოცხალ მტერს – ხორცს.
11. ცოდვაში ნებისმიერი მცნების დარღვევა იგულისხმება, უქმბაში – როცა არ იღვწიან და ღვთის საქმეებს არ აკეთებენ. დაუდევრობაა, როცა სიკეთეს აკეთებენ, მაგრამ ზარმაცობებ და საქმეს ბოლომდე არ ასრულებენ. ვნება ვნებებით შეპყრობილი გონების ჩვევადქცეული და ძნელად განსაღვენი მიღრეკილებებია. დაცემა ურწმუნოებასა და ხორციელ ცოდვაში ჩავარდნა.

99. ვისაც ღვთის გამო ვუყვარვართ, სწორედ მასთან უნდა ვიყოთ მოკრძალებულნი და არ გაუუთამადეთ. არაფერი ისე არ ანადგურებს სიყვარულს და ბადებს სიძულვილს, როგორც სითამამე.
100. მშვენიერია და წმინდა მჭკორეტელი სულიერი თვალი. ანგელოზთა შემდგომ ის ყველა სხვა ქმნილებას აღემატება მშვენებით. ამიტომ, სიყვარულის გამო სცნობენ ვნებებით შეპყრობილნიც სხვათა გულისხადებს, მით უმეტეს, როცა ხორცთა წუმბეში არ ეფლობიან და არ ირყვნებიან.
101. თუ უნივერს მართლა ვერაფერი აღუდგება წინ ისე, როგორც ნივთიერი,<sup>12</sup> მაშინ გულისხმაჲყოს მან, ვინც ამას კითხულობს.
102. ვინც სულიერად სუსტია, ის ხორციელი გასაჭირისა და განსაცდელის მიხედვით ხვდება, რომ ღმერთმა მოხედა;<sup>13</sup> ხოლო სრულყოფილნი სულიწმიდის მოსვლითა და მადლის გამრავლებით სცნობენ ამას.
103. არსებობენ სრულყოფილი ადამიანები, რომლებიც დიდ სათნოებებს, საღმრთო სურვილით გამხნევებულნი, მდაბალი გულით აღასრულებენ. არიან ისეთებიც, ამპარტავნებით რომ ხელყოფენ დიდ საქმეს და შერცხვენილნი რჩებიან.
104. არსებობს ეშმაკი, რომელიც სარეცელზე დაწოლის უამს მოდის ჩვენთან და ბოროტი, ბილწი აზრებით ცდილობს ჭრილობის მიყენებას. თუ მას უყურადღებოდ დავტოვებთ, ლოცვით არ შევებრძოლებით და მსგავსი ბოროტი ფიქრებით დავიძინებთ, მაშინ სიზმრებიც ბილწი გვექნება.
- 
12. უნივერსი სული მოიაზრება, ხოლო ნივთიერში – ხორცი. ამიტომ ებრძვის ხორცი სულს.
13. ეს შეძლევს ნიშნავს: როცა სულიერად უძლური ადამიანი ავადმყოფობისა და განსაცდელების დროს მოთმინებას შეიძენს, მაშინ მიხვდება, რომ ღმერთმა მოხედა.

105. ასევე არსებობს ეშმაკი (მას წინამავალი და მსტოვარი ეწოდება), რომელიც გაღვიძებისთანავე მოდის ჩვენთან და გონიერაში მოსული პირველივე აზრის შერყვნას ცდილობს.
106. დაწყება დღისა უფალს მიეცი, რათა გათენებისთანავე ღვთიური, და არა ეშმაკული ფიქრები დამკვიდრდეს შენში; რადგან ვინც პირველი მოვა შენთან, იმისი იქნება ის დღეც.
107. სათოვების ერთმა კეთილმა მუშაკმა ყურადსაღები რამ მითხრა: “გათენებისთანავე ვხვდები, თუ როგორ გავატარებ მთელ დღეს”.
108. ღვთისმსახურებისა და წარწყმედის მრავალი გზა არსებობს. ამიტომ ხშირად რომელი გზაც ერთისთვის რთულია, მეორისთვის ადვილია; მაგრამ ორივე ღვაწლი სათნოა ღვთისთვის.
109. როცა განსაცდელში ვართ, ეშმაკებიც მაშინ გვებრძვიან, რათა ან ურიგო რამ ვთქვათ, ან უმართებულოდ მოვიქცეთ. რაუამს მიზანს ვერ აღწევენ, მაშინ ჩვენში ფარულად თესავენ ამ-პარტავნულ მადლიერებას.
110. ვინც ზეციურ საქმეს აკეთებს, განშორების შემდგომ ზემოთ ადის, ხოლო ვინც მიწიერზე ფიქრობს, ქვემოთ ჩადის. განშორებულთაგან შუალედურ მდგომარეობაში ვერავინ დარჩება.<sup>14</sup>
111. ქმნილებათა შორის ერთადერთია სული, რომელიც მარტო კი არა, სხვასთან ერთად იბადება. საოცარია, თუ როგორ
- 
14. განშორებაში სიკვდილი იგულისხმება. რას ნიშნავს ზემოთ ასვლა და ქვემოთ ჩასვლა? ნათქვამი სული ეხება: სული ან ზეცაში ადის, ან ქვესქნელში ჩადის. საშუალო მდგომარეობა არ არსებობს. ხოლო ხორცი მიწაზე რჩება.
15. ადამიანის სულსა და სხეულზე ლაპარაკობს. ადამიანის სული სხეულთან ერთად იბადება და მასში არსებობს. ნეტარ მამას უკვირს, სხეულთან განშორების შემდეგ სხეულთან ერთად დაბადებულ სულს როგორ შუქლია იყოს სრულყოფილი, უკნებელი და უცვლელი.

- შეუძლია უვნებლად არსებობა მის გარეშე, ვისთან ერთადაც  
დაიბადა?!<sup>15</sup>
112. ღვთის სათნო ასულებს დედები შობენ, ხოლო მათ დედებს – უფალი; მათ მოწინააღმდეგე ბოროტ ასულებს დედები შობენ, ხოლო მათ დედებს – ეშმაკი.
113. “მოშიში<sup>16</sup> ბრძოლად ნუ განვალნ”, – ბრძანებს მოსე, უფრო კი – ღმერთი. ვაითუ, უკანასკნელი სულიერი ცდომა პირ-ველ ხორციელ დაცემაზე უარესი აღმოჩნდეს.<sup>17</sup>

სხეულის ნათელი ხორციელი თვალია, ხოლო საღმრთო სათნოებათა გონიერი ნათელი განსჯა და ცოდნაა.

### 0183 გაჯისა და გულისხმისყვისთვის (ცაფილი მეორე)

114. როგორც მოწყურებულ ირემს სურს წყაროს წყალი, ისე მონაზვნის სულს – სახიერი ღვთის კეთილი ნების შეცნობა. ამასთან სურს გაიგოს, თუ რომელია შერული<sup>18</sup> და რომელი – ბოროტის ნება. აღნიშნულზე ვრცელი და რთულად გასაგები საუბარი გვექნება, კერძოდ: თუ რომელი საქმის
- 
16. მოშიში – ხორცთა მოყვარე ადამიანია. ვინც მშიშარაა, უგულო, უყვარს და ეცოდება საკუთარი ხორცი, ასეთი მოღვაწეობას არ უნდა შეუდგეს.
17. ხორციელი დაცემა ცოდვებია, ხოლო სულიერი ცდომა – სასოწარკვეთილება. სულიერი ცდომა იმიტომ არის პირველ ხორციელ დაცემაზე უფრო მძიმე, რომ ვინც სულიერი ცხოვრების აღთქმას ერთხელ დებს და ისევ ეცემა, მას გაცილებით უძნელდება წმინდამა, რაღაც სიმაყის გამო ეცემა. უკანასკნელ ცდომაში სასოწარკვეთილება იგულისხმება. სასოწარკვეთილი ადამიანი თუ ვინმეტ არ წამოაყენა, წარწყმდება.
18. რომელ შერულ ნებაზე ლაპარაკობს ნეტარი მამა? – ხშირად ადამიანი ღვთის ნების გარეშე აკეთებს რამე საქმეს. შემდეგ ადამიანის ნებას მეყსულად ეშმაკის ნებაც შევრევა და საქმე უკეთური ხდება. მოვიანებით მასში ღვთის ნება ერთვება და საქმე კეთილად გარდაიქმნება.

- დაუყოვნებლივ კეთება გვმართებს თანახმად ნათქვამისა: ვაი არს მისდა, რომელი ადროებდეს დღითი დღე და ჟამითი ჟამად (იხ. ზირაქი 5. 8), და რომლისა – მშვიდად, დიდი დაფიქრების შემდგომ, თანახმად წინასწარმეტყველის სწავლებისა: განზრახვითა კეთილითა იქმნების ბრძოლად (იხ. იგავნი 24. 6); ასევე ნათქვამია: “ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ” (1 კორინთ. 14. 40). ყველასთვის ადვილი არ არის, გაიგოს ის, რაც როული გასაგებია. თავად ღმერთშემოსილი წინასწარმეტყველიც კი, ვისთანაც სულიწმიდა იყო დამკვიდრებული, მრავალგზის ლოცულობდა ამისთვის და ამბობდა: “მასწავე მე, რაღთა ვყო ნებად შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი” (ფსალმ. 142. 10). ასევე ამბობდა: “მაუწყე მე, უფალო, გზად, რომელსაცა ვიდოდი”, რადგან ამა სოფლის ყოველგვარი საზრუნავისა და ვნებათაგან “აღვიღე სული ჩემი” და ავმაღლდი (შდრ. ფსალმ. 142. 8).
115. ვისაც ღვთის ნების შეცნობა სწადია, საკუთარი ნება უნდა მოაკვდინოს, რწმენით მარტივი და წრფელი გულით ილოცოს, შემდეგ სულიერ მაქებს ან მმებს დაეკითხოს და მათი ნათქვამი, თუნდაც მის აზრებს ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ღვთის პირიდან გამოსული, ისე მიიღოს. უფალი არ უულებელყოფს მამათა რჩევას რწმენითა და გულწრფელად მინდობილ სულებს, თუნდაც რომ დიდად სულიერნი და მცოდნენი არ იყვნენ ისინი, ვისაც რჩევას ეკითხებიან. ვისაც კითხვით მიმართავენ, უმეცარნიც რომ იყვნენ, მათში თავად ყოვლადბრძენი და კეთილი უფალი ამეტყველდება.
116. დიდია იმათი თავმდაბლობა, რომლებიც ზემოხსენებულს სიხარულით, დაუეჭვებლად ასრულებენ. თუ მავანი ფსალმუნითა და საგალოობლით “აღაღებდა ოგავთა” (ჩასწვდა იგავებში დაფარულ აზრს – რედ.), მაშინ წარმოიდგინეთ, უსულო საგალოობელზე რამდენად მეტია და რამდენად მეტს სცნობს მეტყველი გონება და გონიერი სული.

117. ვინც ზემოხსენებულის თანახმად მოქცევა არ ისურვა და თავისით, საკუთარი ძალებით სცადა უფლის ნების შეცნობა, ბევრი რამ გვიამბეს. თქვენც გიამბობთ მათ შესახებ.
118. როცა ორი განზრახვა ჰქონდათ და ღვთის ნების გაგება ეწადათ, ზოგიერთმა ხორციელ სიყვარულს სრულიად განაშორა გონება და ძალა დაატანა, რათა ამ ორიდან არც ერთი მათვანისკენ მიდრეკილიყო; განსაზღვრული დღეების განმავლობაში მხურვალე ლოცვის შემდგომ საკუთარი ნებისგან განშიშვლებული გონება წარუდგინა ღმერთს, და როცა უხილავი გონება მის გონებას უხილავად გაესაუბრა და უმჯობესი აუწყა, ანუ როცა ერთი აზრი სრულიად გაუჩინარდა მისი სულიდან, მაშინ სცნო ღვთის ნება. ზოგიერთმა საქმის გამო მოწეული განსაცდელებისა და დაბრკოლების მიხედვით სცნო, რომ საქმეს ღმერთი აბრკოლებდა თანახმად მოციქულის ნათქვამისა: “ვინებეთ მისვლად თქუენდა... ერთ გზის და ორ გზის, და დამაბრკოლნა ჩუენ...” (1 თესალ. 2. 18); სხვებმა, პირიქით, საწინააღმდეგო მიიღეს ღვთის ნების ნიშნად და საქმის გამო მოწეული ჭირისა და განსაცდელების მიხედვით სცნეს, რომ ღვთის ნება იყო საქმის გაკეთება. სხვები იმით მიმხვდარან ღვთის ნებას, როცა საქმეში ხელი მომართვიათ და ყოველივე წარმატებით დაგვირგვინებულა მსგავსად ნათქვამისა: “ყოველსავე მოქმედსა კეთილისასა ღმერთი განუმარჯვებს”.
119. ვისაც უფალი ჰყავს განმანათლებლად, მისი გონება ღვთის შეწევნით თავად განათლდება და მიხვდება, თუ რომელი საქმე უნდა აკეთოს დაუყოვნებლივ და რომელი – მოგვიანებით. თუ კაცს რამე საქმეში ჯერ კიდევ ეჭვი ეპარება და დარწმუნებული არ არის, უნდა ვიცოდეთ, რომ ჯერ კიდევ გაუნათლებელია და დიდებისმოყვარე მისი სული.
120. ღმერთი უსამართლო არ არის და არავის უკეტავს კარს, ვინც თავმდაბლად რეკავს და ითხოვს.

121. ყოველი საქმის კეთებისას დაგაკვირდეთ, თუ რა მიზანი გვამოძრავებს. კეთილი ბოლო ექნება ყოველ საქმეს, რომელსაც მხოლოდ ღვთისთვის, ყოველგვარი ხორციელი განზრახვისა და აზრის გარეშე გავაკეთებთ, თუნდაც რომ ამ საქმისგან სიკეთეს არ ველოდეთ. და თუ ხორციელი მიზნები გვამოძრავებს, არ ვიცი, რამდენად კარგი ბოლო ექნება, რადგან საეჭვოა ასეთი საქმე.
122. შეუცნობელია ღვთის სამართალი. თავისი განგებულებით ის ხშირად გვიმალავს თავის ნებას, რადგან უწყის, თუნდაც ვიცოდეთ, მაინც რომ არ აღვასრულებთ მას. ის იმიტომ არ გვიცხადებს ყოველთვის თავის ნებას, რომ მისი აღუსრულებლობისთვის უფრო მეტად არ დავისაჯოთ.
123. წრფელი გული ცბიერებისგან შორსაა და უსაფრთხოდ დაცურავს უმანკობის ნავით.
124. არსებობენ ახოვანი სულები, რომლებიც ღვთის სიყვარულითა და მდაბალი გულით საკუთარ ძალებს აღმატებულ საქმეებს ხელყოფენ. არსებობენ ამპარტავანი გულებიც, რომლებიც იმავე საქმეს ეჭიდებიან. ეშმაკი ხშირად გვიბიძგებს, ვაკეთოთ ჩვენს ძალას აღმატებული საქმეები, რათა შემდეგ სულმოკლეობა დაგვეუფლოს, რომელი საქმის კეთებაც შეგვეძლო, იმასაც თავი დაგანებოთ და მტრების დასაცინი გავხდეთ.
125. მინახავს სულიერ და ხორციელ უძლურებაში მყოფი ადამიანები, რომლებიც ცოდვების სიმრავლის გამო თავიანთ ძალებს აღმატებულ მოღვაწეობას შეუდგნენ და ვერ იტვირთეს. მე ამგვარად დავარიგე ისინი: “ყოველთა შემოქმედი – ღმერთი სინანულს თავმდაბლობის, და არა შრომის მიხედვით იწირავს”.
126. ზოგჯერ აღზრდაა მრავალი ბოროტების მასწავლებელი, ზოგჯერ კი – ცუდი ადამიანების საზოგადოება; მაგრამ, უმთავრესდ, სულის უკეთურება და ცბიერი გონებაა წარწყმედის მიზეზი.

127. ვინც შორსაა ამ ორი ბოროტებისგან, ის მესამისგანაც შორს იქნება; ხოლო ვისშიც მესამეა, ის ყველგან დაუცველი იქნება, რადგან არ არსებობს ადგილი, რომელიც ადამიანს ცოდვისგან დაიცავდა, თუ თავად არ ეცდებოდა მისგან განშორებას.
128. თუ ურწმუნოები ან ბოროტებად მორწმუნები (ერეტიკოსები – რედ.) ბოროტი განზრახვით გვეკამათებიან, ერთი ან ორი სწავლების შემდეგ გავეცალოთ; მაგრამ თუ ჭეშმარიტების ცნობა გულწრფელად სურთ, მაშინ სიცოცხლის ბოლომდე ნუ დავცხრებით და სიკეთე ვასწავლოთ; თუმცა ორივე შემთხვევაში ჩვენი სულიერი სიმტკიციდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე უნდა მოვიქცეთ.
129. დიდი უგუნურებაა, როცა წმიდანთა ზეპუნებრივი ღვაწლის გაგების შემდგომ ცხონების იმედს კარგავენ – პირიქით, მათ ორგვარი სარგებლის მიღება შეუძლიათ, თუ სურვილი ექნებათ: ან შერს აიღებენ და სიკეთეში მხნედ მიბაძავენ, ან საკუთარ თავს გაიცნობენ და სანატრელი სიმდაბლით თავიანთ უძლურებას შეიცნობენ, რაც, თავის მხრივ, სიკეთის მომტკნაა.
130. ეშმაკთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც დანარჩენებზე უფრო ბოროტები არიან. ისინი არამარტო იმისთვის გვებრძვიან, რომ ჩვენ შევცოდოთ, არამედ რათა სხვებიც ვაზიაროთ ბოროტებას და შესაბამისად, უფრო მეტად დავისაჯოთ.
131. ვნახე კაცი, რომელმაც სხვისგან ისწავლა ბოროტი ჩვეულება. ამ ჩვეულების მასწავლებელი შემდგომში მიხვდა, ბოროტებას თავი დაანება და შეინანა, მაგრამ მოწაფის ცოდვის გამო ძნელი და უშედეგო აღმოჩნდა მისი სინაული.
132. ნამდვილად დიდია და უზომო ბოროტ სულთა უკეთურება, რასაც ცოტნი თუ სცნობენ, თანაც ეს ცოტანიც ყველაფერს ვერ ხვდებიან. მაგალითად: რატომ ხდება, რომ ზოგჯერ შევებისა და სიმაძრის უამს მშვენივრად ვფხიზლობთ, და მარხვისა და მოღვაწეობის უამს საშინლად გვეძალება ძილი? დაყუდების დროს გული გვიქვავდება, ხოლო ხალხში

ყოფნისას ლმობიერება გვეუფლება? მშეირნი ბოროტ სიზმრებს ვნახულობთ, ხოლო მაძღარნი – არაფერს? მოღვაწეობის დროს პირქუშად ვართ, ხოლო ღვინის დაღვევის შემდგომ ლმობიერნი და მხიარულნი ვხდებით? ვისაც შეუძლია, უფლის შეწევნით გაანათლოს გაუნათლებელნი, ჩვენ კი გაუნათლებელნი ვართ და ვერ ვხვდებით მსგავს საქმების. მაგრამ ერთს კი ვიტყოდით: აღნიშნულ ცვლილებათა მიზეზი ყოველთვის ეშმაკი არ არის. ზოგჯერ ეს ჩემი ბუნებიდან გამომდინარე ხდება, რომელიც ამ საწყალი, ტლანქი და ჩემს წინააღმდეგ მებრძოლი ხორცისგან გადმომეცა.

133. როცა ზემონახსენები საქმებიდან რომელიმე შეგვერთხვევა, მხურვალედ, მდაბლად უნდა ვევედროთ უფალს. და თუ ვედრების შემდგომაც იმავე მდგომარეობაში ხანგრძლივად დავრჩით, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ამის მიზეზი ეშმაკი კი არა, ჩვენი ბუნებაა ან ღვთის განგება, და ღმერთს საწინააღმდეგო მოქმედებით ჩვენთვის სარგებლობის მოტანა და ჩვენი სიამაყის მოდრეკა მოუწადინებია.
134. როულია და ძნელი ღვთის სამართლის უფსკრულის გამოძიება. მისი მაძიებელნი სიამაყის ნავით დაცურავენ.
135. ერთმა ძმამ დაფარულთა მცნობელ ბერს ჰითხა: “რატომ ამკობს უფალი ნიჭებითა და სასწაულთქმედების მადლით მას, ვინც, იცის, რომ დაეცემა?” მან უპასუხა: “პირველი: რათა სხვები გაფრთხილდნენ; მეორე: რათა ადამიანის თავი-სუფალი ნება წარმოაჩინოს; და მესამე: რათა დაცემულებმა თავი ვეღარ გაიმართლონ საშინელ სამსჯავროზე”.
136. ძველი რჯული, როგორც არასრულყოფილი, ამბობს: “იგულე თავი შენი” (2 სჯული 15. 9); ხოლო სრულყოფილმა უფალმა ძმის გამოსწორება გვიბრძანა და თქვა: “უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან...” (მათე 18. 15) და ამისი შემდგომი.

137. თუ სუფთა გულით ამხილებ და მდაბლია შენი რჩევა, უფლის სიტყვისამებრ მოიქეცი, და განსაკუთრებით იმათ ასწავლე, ვინც სწავლების მიმღებია; თუ ამგვარი სიმაღლისთვის არ მიგიღწევია, მაშინ რჯულის შესაბამისად იმოქმედე და ფრთხილად იყავი.
138. არ გაგიკირდეს, თუ შენი საყვარელი ადამიანებიც გმტრობენ, რადგან ზოგიერთი ადამიანი ეშმაკის ჭურჭელია, მით უმეტეს, ეშმაკთა მტრებთან მიმართებაში.
139. საყვარელო, ერთი რამ ძალიან მაკვირვებს: იმ დროს, როცა სათნოებებში შემწედ გვყავს ყოვლისშემძლე ღმერთი, ანგელოზები და წმიდანები, რატომ მივისწრაფით უფრო მეტად ბოროტებისა და ვნებებისკენ, რაშიც მხოლოდ ეშმაკები გვეხმარებიან? ალნიშნულზე არც ბევრი რამის თქმა შემძლია, და არც სურვილი მაქვს.
140. თუ ყოველი ქმნილება დაბადებიდანვე მინიჭებულ ბუნებას ინარჩუნებს, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს, მაშინ, “მე როგორდა ვარ ღვთის ხატება და ამასთანავე თიხით შეზავებული?” და თუ რომელიმე ქმნილება თანდაყოლილი ბუნების გარდა სხვა რამესაც იძენს, მაშინ, ცხადია, რომ თავისივე მონათესავისკენ ექნება დაუცხრომელი სურვილი.
141. ადამიანმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს და მთელი ძალისხმევით ეცადოს, რათა აღიყვანოს და ღვთის საყდარზე დასვას თიხა. ვერავინ იმართლებს თავს, რადგან წსნილია მისკენ მიმავალი გზა და კარი.
142. როცა სულიერ მამათა სათნოების შესახებ იგებენ, ადამიანთა სულსა და გონებაში მათი მოშურნეობის მიბაძვის სურვილი აღიძვრება; მამათა სწავლების მოსმენისას კი მათი მიბაძვის სურვილი უჩნდებათ, რის მიღწევაშიც საღმრთო შერის ქონე ადამიანებს მამათა სწავლება უწევს ხელმძღვანელობას.
143. განსჯვა სიბნელეში ანთებული სანთელია, გზააბნეულთა წინამდობლი და ბრმათა განმანათლებლია.

144. განსჯის მოყვარე ადამიანი ჯანმრთელობას აღიდგენს და სწორებას აღმოფხვრის.
145. ვისაც სხვების უმნიშვნელო საქმეები აკვირებს, ორი მიზეზის გამო იქცევა ასე: ან ძალიან უმეცარია, ან დიდი თავმდაბლობის გამო ადიდებს და აზვიადებს მოყვასის საქმეებს.
146. შევეცადოთ, არამარტო ვებრძოლოთ ეშმაკებს, არამედ დავა-მარცხოთ კიდევ. ვინც იბრძვის, ზოგჯერ იმარჯვებს და ზოგჯერ მარცხდება; ხოლო ვინც ამარცხებს, ყოველთვის გამარჯვებულია.
147. ვინც ვნებები დაამარცხა, ის ეშმაკებსაც თრგუნავს. თავს აჩვენებს, თითქოს ისევ ვნებებშია, შეცდომაში შეჰყავს ისინი და ბრძოლასა და განსაცდელს ირიდებს თავიდან.
148. ერთხელ ერთი ძმა გალანძღეს. ძმა საერთოდ არ აღშევოთებულა, ჯერ გონებაში იღლოცა, შემდევ მოელი ხმით ტირილი მორთო, ვითომ ლანძღვამ ძალიან ატკინა გული და ამგვარად დაფარა, უვნებობაში რომ იმყოფებოდა.
149. ერთ ძმას საერთოდ სძულდა უფროსობა, მაგრამ სხვებს აჩვენებდა, თითქოს, უფროსობა გულით ეწადა.
150. როგორ გადმოვცე იმ ადამიანის სიწმინდე, რომელიც სამედაოში ვითომ ბოროტი განზრახვით შევიდა, და სინამდვილეში მეძავები სიწმინდის გზაზე დააყენა?!?
151. განთიადზე ერთ დაყუდებულს ყურძნის მტევანი მიართვეს. ეშმაკისთვის ნაყროვნად რომ მოეჩვენებინა თავი, ბერმა ყოველგვრი სურვილის გარეშე მაშინვე შეჭამა ხილი, როგორც კი ყურძნის მიმტანი წავიდა.
152. სათონებებით შემკულ ერთ ადამიანს ცოტა ფინიკი დასჭირდა და შემდევ ყოველდღე ისე აჩვენებდა თავს, თითქოს მის გამო ძალიან წუხდა, თუმცა სრულებითაც არ დარღობდა.
153. ასეთებს დიდი სიფრთხილე და სიფხიზლე მართებთ. ვაითუ, ეშმაკთა დასაცინი ისინი გახდნენ, ვისაც მათი დაცინვა ეწადა. მათზე ამბობდა ნეტარი პავლე მოციქული: “ვითარცა მაცოურნი და ჭეშმარიტნი” (2 კორ. 6. 8).

154. ვისაც სურს, ქრისტეს წმინდა სხეულითა და გულით წარუდგეს, მან მრისხანება უნდა დაიოკოს და მარხვა დაიცვას, რადგან უამისოდ ამაო იქნება მისი ყოველი შრომა.
155. როგორც სხვადასხვაგვარი თვალისჩინი არსებობს, ზოგი ცუდად ხედავს და ზოგი – კარგად, ისე სხვადასხვაგვარად ანათებს სამი მზე თითოეული კაცის სულში.
156. სხვაა ხორციელი ცრემლებით გამოწვეული სულიერი სიხარული და სხვა – სულიერი ცრემლებით; სხვაგვარია სიხარული, როცა ხორციელი თვალით ხედავენ და სხვაგვარი – როცა სულიერი თვალით ჭვრეტენ; სხვაგვარია სიხარული, რომელიც სიტყვების მოსმენის შედეგად ეუფლებათ და სხვაგვარი – როცა სიხარული თავისით აღიძვრება სულში; სხვაა მორჩილებით და სხვა – დაყუდებით გამოწვეული სიხარული. ჩამოთვლილთაგან განსხვავებით არსებობს ისეთი მდგომარეობაც, როდესაც გონებააღფრთოვანებულნი სულით წარდგებიან ქრისტეს ნათლის წინაშე, რისი ენით გამოთქმა და აღწერა შეუძლებელია.
157. არის სათნოებები და არის სათნოებათა მშობლები. ბრძენი ადამიანი უმთავრესად მშობელთა მოპოვებას ცდილობს.
158. მშობელთა მასწავლებელი თვად უფალია ძალითა თვისითა, ხოლო შვილთა მასწავლებელი მრავალია.
159. ფურადღებით ვიყოთ, რომ მარხვის დროს საკვების ნაკლებობა მილით არ ავინაზღაუროთ, რაც ისეთივე უგუნურება იქნებოდა, როგორც მღვიმარების ჟამს ბევრი ჭამა.
160. ვნახე სათნოების მუშაკნი, რომელთაც განსაცდელის დროს მცირედ მოუშვეს მუცელი, მაგრამ შემდეგ ამ მხნე და ახოვანმა ადამიანებმა მთელი დამტე ლოცვაზე დგომით დასჯეს სტომაქი და ასე ასწავლეს მას, სიხარულით გაქცეოდა სიმაძღვანეს.
161. უპოვართ ძლიერ ებრძვის ვერცხლისმოყვარეობის ეშმაკი. როცა მათ დამარცხებას ვერ ახერხებს, მაშინ გლახაკთა მოწყალებას იმიზეზებს და აიძულებს, არაფრის მქონენი ნივთთა მფლობელნი გახდნენ.

162. როცა სასოწარკვეთილება შეგვებრძოლება, მაშინ გავიხსენოთ უფლის მცნება, პეტრე მოციქულს რომ მისცა და უბრძანა, სამოცდაჩვიდმეტჯერ ეპატიებინა მოყვასისთვის. განა უფრო მეტს არ გააკეთებს ის, ვინც სხვას ამგვარი მცნება მისცა,?! ხოლო როცა სიამაყე დაგვძლევს, მაშინ გავიხსენოთ სიტყვები: “რომელმან ყოველი სჯული დაიმარხოს და სცოტს ერთითა” ვნებითა, ანუ სიამაყით, “იქმნა იგი ყოვლისავე თანამდებ” (შდრ. იაკობი 2. 10).
163. არსებობენ ისეთი უკეთური და შურიანი ეშმაკები, რომლებიც წმიდანებს საკუთარი ნებით იმ მიზნით ტოვებენ, რომ მათ მიერ დამარცხებულნი არ აღმოჩნდნენ და არ მოაპოვებინონ გვირგვინი.
164. “ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი” (მათე 5. 9), და ეს არც არის საკამაოო. მაგრამ მე ვნახე კაცი, რომელმაც ორ ადამიანს შორის მტრობა ჩამოაგდო, და მას შევნატრე. ამ ორ ადამიანს ერთმანეთის მიმართ სიძვა ამოძრავებდა. ბრძენმა და გამოცდილმა ბერმა კი მათ შორის სიძულვილი დათესა: ერთს მეორეზე უთხრა, შეზე ძვირს ამბობს და ცუდად ლაპარაკობსო. იმავეს ეუბნებოდა მეორესაც. ასე შეძლო ბერმა ადამიანური ხერხით ჩაეშალა ეშმაკის მზაკრობა და სიძულვილით სიძვა დაამარცხა.
165. არიან ადამიანები, ერთი მცნებით მეორეს რომ არღვევენ. ვნახე ორი ჭაბუკი, წმინდა გულით, ღვთიური სიყვარულით რომ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ გარკვეული ხნით იმ მიზნით დაშორდნენ ერთმანეთს, რომ სხვები არ დაბრკოლებულიყვნენ და სუფთა სინდისი ჰქონდათ.
166. რამდენადაც განსხვავებულია ქორწილისა და დაკრძალვის დღეები, იმდენად ვერ უთავსდება ერთმანეთს ამპარტაგნება და სასოწარკვეთილება. საოცარია, რომ ეს ორი შეუთავსებელი ვნება ხშირად ერთდროულად ეუფლება სულს ეშმაკთა უწესობის შედეგად.

167. არსებობენ უწმინდური ეშმაკები, რომლებიც წმიდა წერილის განმარტებას გვასწავლიან, რასაც უმთავრესად ამპარტავანთა ან ფილოსოფიაში განსწავლულთა გულებში აკეთებენ. ისინი თავდაპირველად სწორად ასწავლიან, შემდეგ თანდათან აცდუნებენ და საბოლოოდ მწვალებლობასა და გმობაში აგდებენ.
168. როცა სწავლის დროს შევამჩნევთ, რომ მშფოთვარება, მღელ-ვარება ან ურიგო სიხარული გვეუფლება, უნდა დავასკრათ, რომ ეს ეშმაკთა ღვთისმებრძოლეობაა, და არა ღვთისმე-ტყველება.
169. შემოქმედმა ყოველ ქმნილებას თავისი წესი და დასაბამი განუსაზღვრა, ამასთან ზოგიერთს – დასასრულიც. სათნოებას კი არც საზღვარი აქვს და არც – დასასრული. ფსალმუნთა მგალობელი ამბობს: “ყოვლისა დასასრულისა ვიხილე ოხჭანი; ფართო არს მცნებად შენი ფრიად” (ფსალმ. 118. 96).
170. თუ ზოგიერთი კეთილი მუშაკი “ვიდოდის ძალითი ძალად”, ანუ ჯერ საქმის საკეთებლად მიეცემა ძალა და შემდეგ ჭვრეტისთვის, თუ სიყვარული არასდროს მთავრდება და “უფალმან იცევინ შესლვაზ” შიშისა და “გამოსლვაზ” სიყვარულისა (შდრ. ფსალმ. 120. 8), მაშინ, ცხადია, რომ სიყვარულს ბოლო არ ჰქონია, განუწყვეტლივ ვიზრდებით სიყვარულში, არც ამ წუთისოფელში, არც მომავალ საუკუნო ცხოვრებაში მოგვაკლდება ნათელი და კიდევ მეტ ნათელსა და ცოდნას შევიძენთ.<sup>19</sup>
171. ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს ჩემი სიტყვები, მაგრამ, ჰოი, ნეტარო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახლაც გავიმეორებ:
- 
19. შემდეგზე მსჯელობს: შიში ადამიანს საქმის კეთებას აიძულებს, ხოლო სიყვარული – მჭვრეტელს ხდის. სიყვარულით ჭვრეტა დაუსრულებელია. ამგვარად მიდის ადამიანი “ძალითი ძალად”. “უფალმან იცევინ შესლვაზ” შიშისა, ანუ საქმისა, და “განსლვაზ” სიყვარულისა, ანუ ჭვრეტისა.

სათნოებას ბოლო არ აქვს. უსხეულო ანგელოზებიც კი იცვლებიან, გამუდმებით დიდებიდან დიდებისკენ მაღლდებიან და ცოდნას იძლიდრებენ.

172. არ გაგიკვირდეს, თუ ეშმაკებიც ჩაგვაგონებენ რამე სიკეთეს, რომელსაც შემდგომში თავადვე წინაღუდგებიან სხვა აზრებით. ამით სურთ, დაგვარწმუნონ, თითქოს ჩვენი გულისნადები იციან. სინამდვილეში, მხოლოდ ის იციან, რასაც თავად ჩაგვაგონებენ, და სხვა არაფერი.
173. ნუ განსჯი მკაცრად მას, ვინც სულიერ საკითხებზე მაღალფარდოვნად ლაპარაკობს და სხვებს მოძღვრავს, ხოლო საქმით დიდად არ იღვწის. ხშირად საქმის ნაკლებობა სიტყვით მოტანილ სარგებელს აუნაზღაურებია.
174. ყველაფერი ერთნაირი კი არ გვაქვს: ზოგიერთის სიტყვა საქმეს სჯობს, ხოლო ზოგიერთის საქმე – სიტყვას.
175. ღმერთს ბოროტება არც გაუჩენია და არც შეუქმნია. ამიტომ, ცდებიან, როცა ამბობენ, რომ ზოგიერთი ვნება სულისთვის ბუნებრივია. ეს უკანასკნელნი ვერ ხვდებიან, რომ ჩვენში ბუნებრივად არსებული სიკეთე, რომელიც ჩვენდა სასარგებლოდ მოგვეცა, ვნებად ვაქციეთ. მაგალითად: თავისთავად თესლი შვილოსნობისთვისაა განკუთვნილი, ჩვენ კი სიძგის მიზეზად ვაქციეთ; ბუნებრივად მრისხანების უნარი ეშმაკთა საწინაღმდეგოდ მოგვენიჭა, ჩვენ კი მოყვასისკენ მივმართეთ; შურიც ბუნებრივადაა ჩვენში, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბოროტება შეგვშურებოდა, არამედ სიკეთის მოშურნები ვყოფილიყავით; სურვილიც ბუნებრივია, მაგრამ სასუფეველის სურვილი, და არა ცოდვისა. ბუნებრივად გვახასიათებს სიამაყეც, რაც ეშმაკებთან უნდა გმოგვეჩინა, ჩვენ კი იქ ვამყობთ, სადაც საჭირო არ არის; სიხარულის უნარიც ბუნებრივია, მხოლოდ უფლითა და მოყვასის სიკეთით უნდა გვეხარა, ჩვენ კი ბოროტებით ვხარობთ. ბუნებრივად გვახასიათებს ძირის ხსოვნის უნარიც, რაც სულიერი მტრების, და არა ძების მიმართ უნდა წარგვემართა.

176. მოღვაწის სული ეშმაკთა მრისხანებას იწვევს, მაგრამ ბრძოლებთან ერთად გვირგვინებიც მრავლდება.
177. ვინც ბრძოლაში ჭრილობებს არ იღებს, ის ვერც გვირგვინოსანი ხდება; ხოლო ვინც დაცემის შემდეგ იმედს არ კარგავს და ბრძოლას არ წყვეტს, როგორც მამაც მხედარს, მას ანგელოზები განადიდებენ.<sup>20</sup>
178. უკუნისამდე ცოცხალია ის, ვინც სამი ღამე მიწაში დაჰყო. უკუნისამდე დაუმარცხებელი იქნება და აღარ მოკვდება ის, ვინც სამ ჟამს სძლევს.<sup>21</sup>
179. თუ ჩვენში გონიერების მზის გამობრწყინების შემდგომ ღვთის განგებულებით, ჩვენდა სასწავლებლად ეს მზე დასვლის ჟამს სცონბს, მაშინ მზეს სიბრელე საფარველივით ჩამოეფარება და დაღამდება. “მას შინა (ანუ ჩვენში) ვიდოდიან ლეკუნი ლომთანი” და ეკლოვან ვნებათა “შეცნი მაღნარისანი” (რომლებიც ადრე განდევნილი გვყვდა), “მყრალნი ტაცებად” ჩვენი სასოებისა და ”თხოვად... საზრდელსა“ ვნებებისთვის, საქმეებისა და ზრახვებისთვის (შდრ. ფსალმ. 103. 20-22).
180. მას შემდეგ, რაც თავმდაბლობის მზე მოგვეფინება, მხეცები, ანუ ავხორცი სულები “შეკრბეს,.. სადგურთავე თკსთა დაადგრიან” (ფსალმ. 103. 22) და გაგვეცლებიან. მაშინ ეშმაკები იტყვიან: “განადიდა უფალმან ყოფად მათ თანა”
- 
20. დაცემაში საქმითა თუ სიტვით ჩადენილი უწესი საქციული იგულისხმება. მსგავს შემთვევაში ადამიანმა იმედი არ უნდა დაკარგოს, რომც დაეცეს, უნდა იღვაწოს, წამოდგეს და ისე შეებრძოლოს მტრებს, თითქოს არც დაცემულა. ასეთ ადამიანს ანგელოზები იმ ერთი მმის მსგავსად განადიდებენ, რომელიც სიმვით დაეცა, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ შეუპყრია და მტრები სძლია. მისი გმირობა ერთ ბერს ეუწყა.
21. ის, ვინც სამი ღამე საფლავში დაჰყო და უკუნისამდე ცოცხალია, ქრისტეა. ის, ვინც სამ ჟამს სძლევს, არასძროს მოკვდება. ეს სამი ჟამია: ბავშვობა, ახალგაზრდობა და სიბრეტე. ვინც ამ სამი ჟამის განმავლობაში ვნებას ამარცხებს, ის სულიერი ცოდვით აღარ მოკვდება.

- მისი წყალობისა”; ხოლო ჩვენ ვიტყვით: “განადიდა უფალმან ყოფად ჩუენ თანა, და ვიქმნენით ჩუენ სახარულევან” (შდრ. ფსალმ. 125. 2-3), ხოლო თქვენ (ეშმაკები) განიდევნეთ“.
181. “აპა, ზის უფალი ღრუბელსა ზედა სუბუქსა”, ანუ ყოველგვარ მიწიერ სურვილზე ამაღლებულ სულზე, “მოვალს ეგვატედ”, ანუ თავდაპირველად ვნებებით დაბძნელებულ გულში, “და შეიძრნენ ჭელითქმნულნი ეგვატისანი” და გონებაში აღძრული ბოროტი აზრები (შდრ. ესაია 19. 1).
182. თუ ყოვლისშემძლე ჩვენი უფალი — იესო ქრისტე გაურბოდა ჰეროდეს, მაშინ ამპარტავნებმაც ისწავლონ და განსაცდელში ნებაყოფლობით არ ჩაიგდონ თავი. ნათქვამია: “ნუ მისცემ შეძრვად ფერწასა შენსა, არცა ჰრულეს მცველსა შენსა” (ფსალმ. 120. 3).
183. სიამაყე ისე იხლართება სიმამაცეში, როგორც კვიპაროსში — მცენარე, რომლის სახელია ზმილაკი (ლიანისებრი დეკორატიული მცენარეა — რედ.).
184. დავაკვირდეთ ჩვენს თავს, რა სიკეთეს ვფლობთ, და ვნახავთ, რომ სინაძღვილეში არანაირი სიკეთე არ გაგვაჩნია.
185. ყოველთვის დავაკვირდეთ, თუ რა ნიშნები ახასიათებს ვნებებს და ვნახავთ, რომ სულიერი უძლურების შედეგად ბევრ მათვანს ჩვენში ვერ ვამჩნევდით. მათ მაშინ დავინახავთ აშკარად, როცა სულიერი თვალი აგვეხილება, ხოლო სანამ ისინი ჩვენ გვეუფლებიან, ვერც ვამჩნევთ მათ.
186. ღმურთი განზრახვს განიკითხავს, საქმეებს ძალისაუბრ ითხოვს და ყველაფერში კაცთმოყვარეობას იჩენს.
187. დიდია, ვინც ყველაფერს აკეთებს, რისი კეთებაც შეუძლია; მაგრამ უფრო დიდია ის, ვინც თავის ძალებს აღმატებულ საქმეს თავმდაბლად ეჭიდება.
188. ეშმაკები ხშირად ჩაგვაგონებენ, თავი ვანებოთ მსუბუქ, მაგრამ სასარგებლო საქმეებს და ჩვენს შესაძლებლობას აღმატებულ, უფრო მძიმე საქმეებს შევებათ.

189. ვფიქრობ, იოსები უვნებობის გამო კი არ არის ნეტარი, არამედ იმიტომ, რომ ცოდვას განერიდა.
190. გასარკვევია, რომელი და რამდენი ცოდვის უარყოფისთვის ეძღვათ გვირგვინი; რადგან სხვაა სიბნელიდან გაქცევა, და სხვა, თანაც გაცილებით დიდი – მზისკენ გაქცევა.
191. სიბნელე იწვევს დაბრკოლებას, დაბრკოლება – დაცემას, ხოლო დაცემა – სიკვდილს.
192. როცა გონება ღვინით უბნელდებათ და ეცემიან, წყლით იბანებიან, ხოლო როცა ვნებებით ეცემიან – ცრემლებით.
193. სხვაა გონების ამღვრევა, სხვა – შეშფოთება და სხვა – დაბნელება. პირველის მკურნალი არის მარხვა, მეორისა – დაყუდება, ხოლო მესამისა – მორჩილება და უფალი იესო ქრისტე, რომელიც “იქმნა იგი მორჩილ” (ფილიპ. 2. 8).
194. არაფერი გვიშლის ხელს, სულის განწმენდა ნივთიერი სამოსის რეცხვას შევადაროთ, რადგან ტანსაცმელს მრეცხავი და საღებავი რეცხავს და ალამაზებს. მონასტრის კრებული სულიერი სამრეცხაოა, რომელიც სულიერ ჭუჭყს, სიტლანქესა და ცოდვას განწმენდს. როცა სული მრისხანებისა და გულლრძოობის სიტლანქეს მოიშორებს, მაშინ დაყუდება გახდება მისთვის საღებავი და ფერის მიმცემი.
195. ზოგიერთის აზრით, ძველი ცოდვებით დაცემა ძველი ცოდვების არასრულფასოვანი მონანიების შედეგია. გასარკვევია, ყველამ ღირსეულად და სრულფასოვნად შეინანა, ვინც ძველი ცოდვებით აღარ ეცემა?
196. ზოგიერთი ძველი ცოდვებით იმიტომ ეცემა, რომ მათ დავიწყების უფსკრულში ისვრის და არ ფიქრობს, როგორი ტანჯვა ელოდება მათ გამო. ზოგიერთი იმიტომ სცოდავს, რომ აქხორცობის გამო ღმერთს ზომაზე მეტად კაცომოყვარედ მიიჩნევს ან ცხონების იმედი აქვს დაკარგული. ვინმემ, შეიძლება, გამკიცხოს კიდეც, მაგრამ მაინც ვიტყვი: კიდევ იმიტომ ეცემიან, რომ უკვე ვეღარ თოკავენ ამ მტერს, ხორცს, რომელიც მათზე გამარჯვებას არის დაჩვეული.

197. გასარკვევია, რატომ ვერ ხედავს უხორცო და უნივერსალურ სული მასთან მისულ უხორცო სულებს?! იქნებ, ამის მიზეზი ხორციან კავშირია, რაც მზოლოდ იმან უწყის, ვინც ისინი შეაკავშირა?!
198. ერთმა სულიერმა და განსწავლულმა ძმამ იმ საკითხთან დაკავშირებით დამისვა კითხვა, რისი გაგებაც თავად მინდოდა: “რომელი ცოდვით მდაბლება გონება და რომლით – ამაყდება?” მე ვაღიარე უცოდინარობა. მაშინ მან მითხრა: “ცოდნის მცირე საფუარს მოგცებ და შემდეგ თავად გამოიძიე. ვერ აამაღლებს გონების რქას სიძვა, ნაყროვნება, მრისხანება, მოწყენილობა და ძილი; ხოლო ვერცხლისმოყვარეობა, უფროსობის მოყვარეობა, მრავლისმეტყველება, განკითხვა და სხვანი ბორტებას ბოროტებაზე უმატებს და გონებას აამაყებს”.
199. ვინც ერისკაცებთან ან მიდის, ან თავის სენაკში იღებს, და მათთან განშორების შემდეგ მწუხარების ისრით ეცემა, ნაცვლად იმისა, რომ გამხიარულდეს საფრთხისა და დაბრკოლების აცილების გამო, ასეთ ადამიანს ან პატივმოყვარეობის, ან სიძვის ეშმაკი დასცინის.
200. თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, რომელი მხრიდან უბერავს ქარი, რათა აფრები გზის დამაბრკოლებელი მიმართულებით არ აღვმართოთ.
201. სიყვარულით ანუგეშე და განუსვენე მოღვაწე ბერებს, რომლებიც სულს მარხვით მუსრავენ.
202. აიძულე, იმარხულონ და საუკუნო სატანჯველი შეახსენე იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც სული ცოდვით შემუსრეს.
203. როგორც ზემოთ ვახსენეთ, შეუძლებელია ნაყროვანებისა და პატივმოყვარეობისგან გათავისუფლება ერიდან გამოსვლისთანავე; მაგრამ პატივმოყვარეობას ნაყროვანებით კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ უფალს მარხვით უნდა ვთხოვოთ მისგან ჩსნა, რადგან ახლოსაა უამი ან უკვე დამდგარია,

როცა უფალი “ქუეშე ფერწითა” ჩვენთა ამ ვნებებსაც დაგვიმორჩილებს.

204. ერთნაირი ბრძოლები არ აქვთ ახალგაზრდა და ხანდაზმულ მონაზენებს, რამეთუ სხვადასახვაა მათი სენიც; მაგრამ თავმდაბლობას ჭაბუკიც და მოხუცებულიც უცდომლად მიჰყავს სინანულისკენ. აი, ამიტომ არის თავმდაბლობა ნეტარი და სანატრელი.
205. ნუ გაგაკვირვებს სიტყვები, რომელთა თქმასაც ვაპირებ: არსებობენ, მაგრამ ძალიან იშვიათად, ისეთი წრფელი, უმანკო, მზაკვრობისა და ცბილების უმეცარი სულები, რომელთა ხალხთან ყოფნა მავნეა, რადგან მხოლოდ მოძღვართან ერთად, დაყუდებით ყოფნა შეუძლიათ. ასეთები, როგორც კიბეზე, ისე ადიან ზეცაში და შეუხებელი და უკნებელი რჩქიან მონასტრის შფოთისა და ამბოხისგან.
206. სიძვის მოყვარულთა მკურნალი ადამიანია, ბოროტთა — ანგელოზი, ხოლო ამპარტავანთა — მხოლოდ უფალი.
207. ესეც სიყვარულის გამოხატულებაა, როცა ჩვენთან მოსულ მოყვასს ნებას ვრთავთ, რაც სურს, ის აკეთოს და მხიარულ სახეს ვუჩვენებთ.
208. გამოვიკვლიოთ: როგორ, როდის და როდემდე შეიძლება იყოს სინანული სიკეთის დამღუპველი ისევე, როგორც ის არის ბოროტების გამანადგურებელი.<sup>22</sup>
209. გამოვიძიოთ და დავისწავლოთ: როდის, როდემდე და რომელ ცოდვათა მიზეზს უნდა ვებრძოლოთ? რადგან სიკვდილის ასარიდებლად, ჩვენი უძლურებისა გამო, ზოგჯერ გაქცევა ჯობს.
22. ყოველთვის არა, მაგრამ ზოგჯერ სინანული სიკეთის დამაბრკოლებელია. მაგალითად, როცა რამე სიკეთეს გაკეთებთ, შემდეგ ვნანობთ და ვწუხვართ, რატომ მოვიქეცი ასე, და არა სხვაგვარადო. ასეთ დროს ჩვენს მიერ შეერგებილ სიკეთეს ვაბნევთ. ეს უნდა გათვალისწინონ მორჩილებმა, როცა ნანობენ, რატომ დაყუდებას არ შევუდექითო, და მორჩილებას უგულებელყოფენ. აი, ამ დროს სინანული სიკეთეს ღუპავს, ბოლომდე ანადგურებს მას და საბოლოოდ ადამიანს დასცემს.

210. დავაკვირდეთ და დავისწავლოთ: რომელი ეშმაკი აამაყებს გონებას და რომელი – ამდაბლებს, რომელი იწვევს სისასტიკეს, რომელი იჩემებს სიცრუით ნათელს, რომელი – უძლურებას, რომელი – გულმოდგინებას, რომელი – მწუხარებას და რომელი – სიხარულს.
211. ნუ გაგიკირდება, თუ მას შემდეგ, რაც მონაზვნები გავხდებით, უფრო დიდ ვნებაში აღმოქმნდებით, კიდრე ერში ყოფნისას ვიყავით. ასეა საჭირო: თავდაპირველად ვნებათა მიზეზი უნდა წარმოჩნდეს ჩვენში, შემდეგ განვიდეს და საბოლოოდ გამოვჯანმრთელდეთ. იქნებ, ჩვენში დამალულ მწეცებს თავიდან ვერ ვამჩნევდით და მხოლოდ ახლა დავინახეთ?!
212. როცა სრულყოფილებასთან მიახლოებულ ადამიანებს ეშმაკები მცირე რამეში ამარცხებენ, ეს ადამიანები მთელი ძალით იღვწიან და მარცხს ასწილად ინაზღაურებენ.
213. ქარი, როცა მსუბუქია, მხოლოდ ზღვის ზედაპირს აღელვებს, ზოგჯერ კი ქარი ზღვის გულსაც აშფოთებს. ასეა ვნებებიც: ვნებებით შეპყრობილ ადამიანებს ისინი მთელ გულს უშვოთებენ, ხოლო სრულყოფილებს მხოლოდ გონების ზედაპირს უმღვრევენ, და ამიტომაც მშვიდდებიან ისინი სწრაფად.
214. სრულყოფილები ყოველთვის სცნობენ, სულში აღძრული რომელი აზრის მიზეზია სინდისი, რომლის – ღმერთი და რომლისა – ეშმაკი. რადგან ეშმაკი ადამიანს ხშირად თავიდანვე არ ჩააგონებს ბოროტებას, ამიტომაც რთულია ხოლმე მისი ამოცნობა.

სხეულს ორი ხორციელი თვალი ანათლებს, ხოლო გულის თვალი ზრახვათა და საქციელთა განსჯით ნათლდება.

### სხვა სათხოებებზე

1. მტკიცე სარწმუნოება მოღვაწეობის დედაა, და თუ რა აღუდგება მას წინ, ცნობილია.
2. ჰემიარიტ სასოებას ამა ქვეყნის სიძულვილი მოაქვს, და თუ რა არის მისი მტერი, ცნობილია.
3. უცხოობაში ღვთის სიყვარულის გამო გადიან, და თუ რა აღუდგება მას წინ, ცნობილია.
4. მორჩილებას საკუთარი თავის დამნაშავედ ცნობა და შეურაცხყოფის წადილი შობს.
5. მარხვა ჯანმრთელობის დედა და სიკვდილზე ფიქრია.
6. სიკვდილის ხსენება და ქრისტეს ვნებებზე ფიქრი სიწმინდის მიღწევაში გვეხმარება.
7. დაყუდება ხორცთა განხურვების უჩინარმყოფელია.
8. მღვიძარება და მარხვა ბოროტ, ბილტ აზრებს შემუსრავს და ბრძოლებს აცხრობს.
9. რწმენა და უცხოობა ვერცხლისმოყვარეობის მკვლელია, ხოლო მოწყალება და სიყვარული ხორცსაც არ დაინდობს.
10. მუდმივი ლოცვა მოწყენილობას დევნის, ხოლო სასჯელზე ფიქრს გულმოლგინება მოაქვს.
11. მრისხანების წამალი ლანბლვა-დამცირების სიყვარულია, ხოლო გალობა, მოწყალება და უპოვარება მწუხარების მიმაშობელია.
12. ხილულთა სიძულვილს უხილავის სიყვარული მოაქვს, ხოლო დუმილი და დაყუდება პატივმოყვარეობასთან მებრძოლია. თუ მათ შორის იმყოფები, მაშინ შეურაცხყოფა შეიყვარე.
13. ხილული ამპარტავნება მკაცრი და დამამცირებული ცხოვრების წესით განიკურნება, ხოლო უხილავს ის უხილავი განკურნავს, რომელიც უწინარეს საუკუნეთა იშვა.

14. ყოველგვარ ზიღულ ქვეწარმავალს ირემი კლავს, ხოლო ყოველგვარ უხილავ მზეცს – თავმდაბლობა.
  15. ბუნება ერთადერთია, რომელიც ყოველგვარ უხილავ საქმეს გვასწავლის.
  16. როგორც გველი ვერ გაიძრობს ძველ ტყავს,<sup>23</sup> თუ ვიწრო ხვრელში არ გაძვრა, ისე ვერც ჩვენ განვიძარცვავთ აღრინდელ ჩვეულებებს, სულიერ სიბილწესა და ძველი ადამიანის სამოსელს, თუ მარხვისა და შეურაცხყოფის ვიწრო და რთული გზით არ ვიღლით.
  17. როგორც ძალიან მსუქანი მწყერი ვერ აფრინდება ცაში, ისევე ცამდე ვერ ამაღლდება ის, ვინც ხორცს ასუქებს.
  18. როგორც ღორს არ სიამოვნებს გამხმარი ტალახი, ისე ეშმაკებს – გამხდარი ხორცი.
  19. როგორც ბევრი კვამლი აქრობს ცეცხლს, ისე უზომო მწუხარება აბნელებს სულს და აშრობს ცრემლებს.
  20. ბრძან მოისარი ვერ დაოსტატდება, ხოლო კამათის მოყვარული მოწაფე წარწყმდება.
  21. როგორც რბილი ღითონი მაგარი ღითონით იღესება, ისე მოღვაწე მმა ხშირად აცხონებს ხოლმე ზარმაცებს.
  22. როგორც სკორეში დამალული კვერცხიდან იპადება მართვე, ისე გაუმჯღავნებელი ზრახვები საქმედ გადაიზრდება.
  23. როგორც ასპარეზზე გასული ცხენები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ისე კრებულში მყოფი მმებიც.
  24. როგორც მზეს ფარავს ღრუბლები, ისე გონებას აბნელებს ბოროტი ზრახვები.
  25. როგორც სიკვდილმისჯილს აღარ აინტერსებს და არ ლაპარაკობს მღერა-გართობაზე, ისე ჭეშმარიტი მგლოვიარე აღარ ანებივრებს მუცელს.
  26. რამდენადაც მეფის ქონების ხილვისას გლახაკი უფრო მეტად სცნობს თავის სიღატაკეს, იმდენად მამათა და მოწამეთა
- 
23. ვფიქრობ, სინდისზე მსჯელობს.

- დიდ სათნობათა წაკითხვის შედეგად უფრო მეტად მდაბლება ადამიანის გონება.
27. როგორც რეინა თავისძაუბურად ემორჩილება მაგნიტს, ისევე უნებურად სძლებს ვნებები ვნებას დაჩვულ ადამიანებს.
  28. როგორც ზეთი აწყნარებს ზღვას, ისე მარხვა ხორცის მხურვალებას აცხობს.
  29. როგორც წნევის ქვეშ მოქცეული წყალი ადის მაღლა, ისე ბრძოლათა და განსაცდელთაგან შევიწროებული სული სინანულის დახმარებით ღმერთამდე მაღლდება და თავის მაჭირვებლებს განერიდება.
  30. როგორც სურნელების მიხედვითაა შესაძლებელი ნელსაცხებლის მქონე ადამიანის ამოცნობა ამ უკანასკნელის სურვილის მოუხდავად, ისე ყოველი სიტყვა და თავმდაბლობა წარმოაჩენს მას, ვისთანაც უფლის სულია.
  31. როგორც ქარი აღაშფოთებს ზღვას, ისე მრისხანება ყველა სხვა ვნებაზე მეტად აღაშფოთებს გონებას.
  32. რაც თვალით არ უხილავთ, არც მისი ძლიერი წადილი აქვთ; ასევე, ქალწულებს შედარებით მსუბუქი ხორციელი ბრძოლები აქვთ, ვიდრე გამოცდილებს.
  33. როგორც მცველებით დაცული მეფის საუნჯის გაქურდვას ადგილად ვერ ბედავენ ქურდები, ისევე როულია უხილავი ავაზაკებისთვის იმათი გაქურდვა, ვის გულშიც ლოცვაა დამკვიდრებული.
  34. როგორც თოვლისგან არ დაინთება ცეცხლი, ისე ზეციურ დიდებას ვერ მიემთხვევა ის, ვინც ამქვეყნიურ დიდებას ეძიებს.
  35. ხშირად ერთ ნაკვერცხალს ბევრი ნივთი დაუწვავს. ასევე არსებობს ერთი სიკეთე, რომელიც მრავალ ცოდვას აღხორცავს.
  36. როგორც მხეცის უიარაღოდ მოკვლაა შეუძლებელი, ისე მრისხანებისა – თავმდაბლობის გარეშე.

37. როგორც შეუძლებელია ადამიანის არსებობა საზრდელის გარეშე, ისე სიცოცხლის ბოლომდე დაუშვებელია სიზარმა-ცესთან ერთი წამითაც კი შეგუება.
38. როგორც ხვრელიდან შეჭრილი მზის შუქი ყველაფერს ანათებს სახლში და შესაძლებელია პატარა მტვრის დანახვაც კი, ისე დაინახავს კაცი ყოველგვარ დაფარულ თუ დაუფარავ ცოდვას, რაუამს მის გულში ღვთის შიში დამკვიდრდება.
39. როგორც წინ და უკან მავალი კიბორჩხალა ვერ წავა წინ, ისე ვერაფერ სარგებელს პოვებს სული, რომელიც ხან იცინის, ხან ტირის და ხანაც განსვენებაშია.
40. როგორც ადვილია მძინარე ადამიანის გაქურდვა, ისევე ადვილია კეთილი საქმეებისგან იმათი გაძარცვა, ვინც ერთან ახლოსაა.
41. როგორც ლომთან მებრძოლ ადამიანს მოელის სიკვდილი, თუ ერთი წუთით მაინც მოადუნებს ყურადღებას, ისე ხორცთან მებრძოლ ადამიანს დაამარცხებს ხორცი, თუ მას განუსვნებს.
42. როგორც გატეხილ კიბეზე ამავალ ადამიანს კარგი არაფერი შეემთხვევა, ისე კაცობრივი პატივი და დიდება ეწინაღმდეგება თავმდაბლობას.
43. როგორც შეუძლებელია, მშიერმა კაცმა არ იფიქროს პურზე, ისე შეუძლებელია ცხონება სიკვდილსა და სასჯელზე ფიქრის გარეშე.
44. როგორც წყალი შლის ნაწერს, ისე ცრემლები – ცოდვებს.
45. როგორც ზოგიერთ ნაწერს, როცა წყლით არ იშლება, სხვა საშუალებით ვშლით, ისე სული, რომელსაც ცრემლები არ აქვს, ოხვრით, ვაებითა და დიდი ურვით აღხოცავს ცოდვებს.
46. როგორც სკორეში მრავლდება მატლები, ისე ბევრი საჭმელი ამრავლებს დაცემას, ბოროტსა და შერყვნილ ფიქრებს.
47. როგორც ფეხშეკრულს არ შეუძლია სიარული, ისე ქონებით შეკრულს არ შეუძლია ზეცაში აღსვლა.

48. როგორც უფრო ადვილია ახალი იარის მორჩენა, ისევე უფრო რთულია დიდიხნის სულიერი წყლულის განკურნება. თუმცა შრომით ისიც განიკურნება.
49. როგორც მკვდრისთვისაა შეუძლებელი სიარული, ისე სასოწარკვეთილისთვის – ცხონება.
50. ვინც ამბობს, რომ მართალი სარწმუნოება აქვს და მაინც სცოდავს, იმ სახეს ჰგავს, თვალები რომ არ აქვს.
51. ვისაც მართალი სარწმუნოება არ აქვს და ღვაწლს შესდგომია, იმ კაცს ჰგავს, რომელიც წყალს იღებს და გახვრეტილ ჭურჭელში ასხამს.
52. როგორც კარგი მესაჭის ხელში ხომალდი მშვიდობით შედის ნავსადგურში, ისე, მიუხედავად ცოდვათა სიმრავლისა, კარგი მწყემსის ხელში ღვთის შეწევნით სული მშვიდობით აღვალს ზეცად, თუ მორჩილებას გამოიჩენს.
53. გონიერების მიუხედავად, როგორც ადვილად დაიბნევა უწინამდლვროდ უცნობ გზაზე მავალი ადამიანი, ისე ადვილად წარწყმდება თავის ნებაზე მავალი მონაზონი, თუნდაც რომ მთელ მსოფლიო სიბრძნეს ფლობდეს.
54. ვინც ხორციელ უძლურებაშია და ბევრი შეუცოდავს, მან თავმდაბლობის გზით უნდა იაროს და შესაბამისი საქმეები აკეთოს, რადგან სხვაგარად ვერ ცხონდება.
55. როგორც შეუძლებელია, დიდიხნის სნეულმა ერთ წამში დაიბრუნოს ძველებური ძალა და ჯანმრთელობა, ისევე შეუძლებელია, ვნებებით შეპყრობილმა მეყვსეულად სრულად დათრგუნოს ვნებები.
56. ყოველთვის დააკვირდი, რამდენად ძლიერია შენში ვნებები და სათნოებები, როდის სუსტდება ან ძლიერდება ისინი შენში, და მიზვდები, რამდენად წინ მიღიხარ.
57. რამდენადაც დიდად ზარალდება ის, ვინც ოქროს თიხაში ცვლის, იმდენად ზარალდება ისიც, ვინც ხორციელი დიდების მოხვეჭის მიზნით სულიერ სათნოებებს არ ფარავს.

58. ცოდვათა შენდობა ბევრს მიუღია სწრაფად, მაგრამ უვნებობა – არავის. ამ უკანასკნელს ღვთის შეწევნა, ხანგრძლივი დრო და დიდი შრომა სჭირდება.
59. დავაკვირდეთ, რომელი მხეცი და ფრინველი გვინადგურებს ყანას თესვის ჟამს, რომელი – ნათესის აღმოცენებისას და რომელი – მკის დროს, რათა სათანადოდ დავუგოთ მახე და ხაფანგში მოვაკვით ისინი.
60. როგორც გაუმართლებელია თავის ტკივილის გამო თავის მოკვლა, ისე დიდი ბოროტებაა იმედის წარკვეთა სიცოცხლის ბოლომდე.
61. როგორც უშნო საქციელია, თუ ვინმე მამის დამარხავის შემდეგ, სასაფლაოდან დაბრუნებისთანავე ქორწილს გადაიხდის, ისევე უჯეროა, როცა საკუთარ ცოდვებზე მგლოვიარენი კაცთაგან პატივს, დიდებასა და განსვენებას ეძიებენ ამ წუთისოფელში.
62. როგორც განსხვავდება წარჩინებულთა და დასჯილთა საცხოვრებელი, ისევე უცოდველებისგან განსხვავებული საქციელი და განსხვავებულ ადგილას ცხოვრება მართებთ შეცოდებულებს.
63. როგორც ბრძოლაში სახეზე მიღებული ჭრილობების გამო მეფე არ უგულებელყოფს მებრძოლს, არამედ, პირიქით, დააჯილდოობს და პატივს მიანიჭებს, ისევე სიხარულის გვირგვინით შეაძიობს საუკუნეთა მეუფე, ქრისტე, ეშმაკთან ბრძოლის ჟამს დიდ ჭირთა და განსაცდელთა მტვირთველ მონაზონს.
64. სიბრძნე სულს ბუნებრივად აქვს მიმადლებული. ცოდვა ამ სიბრძნეს ანადგურებს.
65. როცა ბოროტებას აცნობიერებენ, მას თავს ანებებენ. ამგვარ ცნობიერებას კი კეთილისა და ბოროტების მცნობელი სინდისი შობს.

66. სინდისი ბოროტების მამხილებლად მოგვეცა ღვთისგან. ის ჩვენი მცველია და ნათლისლების შემდგომ უფრო ძლიერდება. რამდენადაც წმინდაა სინდისი, იმდენად ძლიერ გვამხელს, და რამდენადაც ითრგუნება, იმდენად უძლურდება. მოუნათლავებს ბოროტებაში ამიტომ ძლიერად ვერ ამხელს, არამედ მსუბუქად. რომელი მონათლულიც მას მოუსმენს, ბოროტებას დაეხსნება. ბოროტებისგან დაცხრომა მისდამი სიძულვილს შობს, ხოლო ბოროტების სიძულვილი სინანულის დასაწყისია. სინანულის დასაწყისი ცხონების დასაბამია, რაც გონების განმწმენდელია. განწმენდილი გონება მოღვაწეობის შშობელია, მოღვაწეობა სათნოებათა დასაბამია, სათნოებათა დასაბამი სულიერი ყვავილია, ყვავილობის დასაწყისი საქმეა, საქმის ნაყოფი არის მუდმივობა, რისგანაც იშვება ჩვევა. ჩვევა მიზეზია თავის ყველრებისა, რითაც ღვთის შიში იშვება. შიში მცნებათა დაცვის მიზეზია, მცნებათა დაცვა კი სიყვარულის გამოხატულებაა. სიყვარულის დასაწყისი თავმდაბლობის მატებაა, თავმდაბლობის სიმრავლე უვნებობის დედაა, უვნებობის მოპოვება კი სრულყოფილი სიყვარულია. სრულყოფილი სიყვარული უვნებობის მიერ ღვთის დამკვიდრებაა წმიდათა გულებში, “რამეთუ მათ დმერთი იხილონ” (მათე 5. 8), რომლისა არს დიდება და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



**თავი რცდამეშვილე**  
**ჩვენი ფასია მამის, იოანეს თქმული**  
**ხორციელი და სულიმრი დაყუდებისთვის**

1. დავემონეთ რა და დავემორჩილეთ არაწმიდა ვნებებს, მცირე რამ ჩვენც შევიტყვეთ ჩვენს საწყალ სულს დაუფლებულ ბოროტ სულთა მზაკვრობაზე, ხრიკებსა და საქმეებზე; მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებმაც მათი მზაკვრობა სულიწმიდის ძალითა და ვნებებისგან სრული გათავისუფლების შედეგად სცნეს. სხვაა, როცა ავადმყოფობის დროს ტანჯვა-ტკიფილის შემდეგ აცნობიერებენ ჯანმრთელობის ბედნიერებას, და სხვაა, როცა ჯანმრთელობით დამტკარნი სნეულების სიმწარეს სცნობენ და წარმოიდგენენ.  
რამდენადაც თავად უძლურნი გახლავართ, დაყუდების ნავსაყუდელზე სიბრძნისმეტყველება გვაშინებს, რადგან ვიცით, როგორც სუფრასთან მყოფი ძაღლი ცდილობს პურის მოპარვასა და შეჭმას, ისევე მორჩილ მმათა კრებულს დარაჯობს ეშმაკი და შემწის გარეშე დარჩნილი, მარტო მყოფი სულის მიტაცებასა და შეჭმას ცდილობს დაყუდების საბაბით. რათა ჩვენი სიტყვებით არანაირი მიზეზი მიგვეცა მათთვის, რომლებიც მიზეზს ეძიებენ, აქამდე მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ, ბრძოლაში მყოფ ზეციური მუჟის მხედართა მშვიდობასა და მყუდროებაზე გველაპარაკა. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ გმირულად მებრძოლისთვის მშვიდობისა და დაყუდების გვირგვინია გამზადებული. ახლა კი, თუ სურვილი გაქვთ, დაყუდებაზე წარმოიდგენის შესაქმნელად მცირეოდენს მოგახსნებთ, რათა სრული უთქმელობით არავის დავწყვიტოთ გული.
2. ხორციელი დაყუდება ზნისა და გრძნობათა დაწყნარებაა; ხოლო სულიერი დაყუდება აზრთა წვდომა და გონების გაუფანტაობაა.

3. არსებობს დაყუდების მოყვარული მხნე და მამაცი ზრახვა, რომელიც განუწყვეტლივ ფხიზლად დგას გულის კართან და მოსულ მტერს ან კლავს, ან უკუაგდებს.
  4. ნათქვამი კარგად ესმის მას, ვინც გულისმიერი სიბრძნით არის დაყუდებული; ხოლო ვინც ჯერ კიდევ ჩვილია, მის-თვის გაუგებარია ნათქვამი და არ იცის მისი გემო.
  5. განბრძნობილ დაყუდებულს აღარ სჭირდება სიტყვიერი სწავლება, რადგან საქმეებით სწავლობს სიტყვიერსაც.
  6. დაყუდების დასაბამი ის არის, როცა ერის ხმაურსა და შფოთს გაურბიან, როგორც გონების შემაშფობელს; ხოლო დასასრული ის არის, როცა არ ეშინიათ და სრულიად უკნებელნი რჩებიან, თუნდაც მათი სიმშვიდე ერის შფოთმა და ხმაურმა დაარღვიოს.
  7. ვინც სიბრძნის შესაძნად დაეყუდება, განისწავლება და გახდება სახლი სიყვარულისა. იგი კამათისა და მრის-ხანების უამს სრულიად მშვიდი და ალერსიანი იქნება. ხოლო ვინც სიბრძნის შესაძნად არ ეყუდება, იგი ვნებებისა და ამპარტავნების მონა იქნება.
  8. დყუდებული იგია, ვინც უხორცო და უნივორ გონებას ხორ-ციელ სენაკში ამწვდევს. დიდია და საკვირველი ეს საქმე.
  9. მარგალიტს მაძიებლები ეძიებენ, ხოლო უხილავ მარგა-ლიტს – დაყუდებულის გონება.
  10. ნუ უგულებელყოფ ზემოხსენებულ შედარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარხარ, თუ რა არის დაყუდება.
  11. მარტო მყოფი მონაზონი ისეთი არ არის, როგორც სხვა მონაზონთან ერთად მყოფი. მარტომყოფს დიდი სიფრთხილე და გონების მოკრება მართებს.<sup>1</sup>
1. ნატარი მამა შემდეგს ამბობს: მარტო ყოფნა რთულია. ვინც სხვებთან ერთად არის, თუ რამე შეემთხვევა, სხვები დაეხმარებიან. განდევილს კი დიდი სიფრთხილე მართებს, რათა არ დაეცეს. ის გამუდმებით უფალს უნდა ეველროს და ფრთხილად იყოს, და როცა უფალი მის ამგვარ ყოფას იხილავს, შემწედ ანგელოზს მოუკლენს.

12. სხვებთან ერთად მყოფ მონაზონს ხშირად მოყვასი ეხმარება, ხოლო მარტომყოფს – მხოლოდ ანგელოზი.
13. ცხადია, სულიერად დაყუდებულთან ანგელოზები-ან და ეხმარებიან; ხოლო თუ ვინ აღუდგება მას წინ, ამაზე გავჩუმდები.
14. ღრმაა საღვთო საქმეთა უფსკრული. დაყუდებულის გონება ამ უფსკრულში მიმდის.
15. არ არის სწორი ტანსაცმლით ცურვა. ასევე სახიფათოა ვნებებს დამონებული ადამიანის ღვთისმეტყველება.
16. სენაკი ზღუდეა დაყუდებულის სხეულისა, ხოლო სხეული ზღუდეა დაყუდებულის გონებისა, სადაც ეს უკანასკნელი სიბრძნის სახლს იშენებს.
17. ვინც ვნებებითა და სულიერი სნეულებით არის შეპყრობილი, და დაყუდება, იმ კაცს დაემსვავსება, რომელიც ნავიდან შუაგულ ზღვაში ხტება და უშრომლად, პატარა ფიცრის ანაბარა აპირებს ხმელეთზე გასვლას.
18. თიხასთან, ანუ ხორცთან მებრძოლისთვის სასარგებლოა დროულად დაყუდება, თუ ამასთანავე წინამძღვარიც ეყოლება. სრულ განმარტოებას კი ანგელოზებრივი ძალა სჭირდება.
19. მე ჭეშმარიტ დაყუდებულებზე ვლაპარაკობ, ანუ მათზე, რომლებიც სულითა და ხორცით არიან დაყუდებულნი.
20. მოწყენილობაში მყოფი დაყუდებული ცრუობს და სხვებს გადაკრულად ანიშნებს, დაყუდებიდან გამოიყვანონ.
21. სენაკს როცა ტოვებს, ამაში ეშმაკებს ადანაშაულებს, და ვერ ხვდება, რომ ეს ეშმაკი თავად იყო.
22. ვნახე დაყუდებულნი, რომელნიც ღვთის სურვილით ანთებულნი დაყუდებით ვერ ძღებოდნენ და ცეცხლზე – ცეცხლს, ტრფიალებაზე – ტრფიალებას და სურვილზე სურვილს უმატებდნენ.
23. ჭეშმარიტი დაყუდებული ღეღამიწაზე ანგელოზს განასახიერებს, რომელსაც ღვთის სიყვარულის ქარტიაზე და-

- წერილი მუყაითობით თავისი ლოცვა მცონარებისა და მოწყენილობისგან სრულიად გაუთავისუფლებია.
24. დაყუდებული იგია, ვინც ჭეშმარიტად ღაღადებს: “განმზადებულ არს გული ჩემი შენდამი, ღმერთო” (ფსალმ. 56. 8).
  25. დაყუდებული იგია, ვინც ამბობს: “მე მძინავს და გული ჩემი მღვდარე არს” (ქება 5. 2).
  26. საყვარელო, დაუხშე სენაკის კარი სხეულს, ენის კარი – სიტყვას, ხოლო გულის კარი – ბოროტ სულებს.
  27. მზის პაპანაქება და წყნარი ზღვა მენავის მოთმინებას გამსცდის, ხოლო საჭირო ნივთების უქონლობა – დაყუდებულის მოთმინებას.
  28. მენავეს როცა მოსწყინდება, წყალში ცურავს; ხოლო დაყუდებულს როცა სულმოკლეობა სძლებს, ხალხში გადის.
  29. ნუ გეშინია ეშმაკის მოჩვენებებისა და ხმებისა. გლოვამ არ იცის ამათ შიში, და ვერც მოჩვენებები აძრწუნებს მას.
  30. ვინც ჭეშმარიტი ლოცვა ისწავლა, უფალს ისევე ელაპარაკება პირისპირ, როგორც მეფეს – ყურში. ვინც მხოლოდ სიტყვით ლოცულობს, იმ კაცს ჰგავს, რომელიც მთავართა თანდასწრებით ევედრება მეფეს; ხოლო ვინც ერის ხალხშია, იმ კაცს ჰგავს, რომელიც ხალხის ღრიანცელში ევედრება მას.
  31. თუ ლოცვის ხელოვნებას დაუფლებული ხარ, მაშინ ნათქვამსაც გაიგებ.
  32. მცველად დაუდექი აზრებს, თუ მათი დაცვა იცი. მაშინ დაინახავ და მიხვდები, როგორ, როდის, საიდან და რამდენი აზრი შედის შენს ვენახში გასაქურდად.
  33. როცა ოვალყურის დევნითა და მსტოვრობით დაიღლები, ადექი და ილოცე. შემდეგ კი კვლავ მხნედ შეუდექ დარაჯობას.
  34. ზოგიერთმა გამოცდილმა ადამიანმა ზემოთქმულზე გამოწვლილვით საუბარი მოიწადინა, მაგრამ შეშინდა, მოღვაწეები არ გაეზარმაცებინა და თავისი სიტყვით დაყუდების მსურველები არ დაეფრთხო.

35. ეშმაკები ძლიერ ურისხდებიან იმათ, ვინც დაყუდებაზე დაწვრილებითა და საქმის ცოდნით მსჯელობს, რადგან მათსავით ეშმაკთა სისაძაგლეს ვერავინ წარმოაჩენს.
36. ვინც სრულყოფილ დაყუდებას მიაღწია, მას საიდუმლოთა სიღრმე შეუცნია; მაგრამ ამ სიღრმეს ვერ ჩასწვდება ის, ვინც თავდაპირველად ეშმაკთა ამბოზს, ქართა სიმძაფრესა და კვეთებას არ გამოსცდის.
37. ნათქვამის მოწმეა პავლე მოციქული, რომელიც დაყუდების შედეგად სამოთხეში ატაცებული რომ არ ყოფილიყო, ვერც ენით გამოუთქმელ სიტყვებს გაიგებდა.
38. დაყუდებულის ყურს ღვთის საოცრებები ესმის. ყოვლადბრძნი დაყუდება იობის პირით ასე ამბობდა: “ნუუკუ ფურთა ჩემთა არა შეიწყნარონ ღვთისგან საკურველებად”.
39. დაყუდებული იგია, ვინც სიძულვილის გარეშე ისევე ილტვის ადამიანებისგან, როგორც სულმოკლე და მცონარა ილტვის ხალხისკენ. დაყუდებული იმიტომ გაურბის ხალხს, რომ ღვთიური სიტყბოების დაკარგვა არ სურს.
40. “წარვედ” და განაბნიე “მონაგები შენი” (განაბნიე, და არა გაყიდე, რადგან გაყიდვას დრო სჭირდება!) “და მიეც გლახაკთა” და მონაზონთა (რათა დაყუდების მიღწევაში ლოცვით შეგეწიონ), “აღიღე ჯვარი შენი” და მორჩილებით იტვირთე, თავს იდევ ვნებებთან ბრძოლის სიმბიმე, “მოვედ და შემომიდევ მე” სანატრელი დაყუდების გზაზე, და ზიღულად გასწავლი უხილავ ძალთა საქმესა და ცხოვრებას (შდრ. მათე 19. 21).
41. ზეცის მკვიდრნი უკუნითი უკუნისამდე ვერ გაძლებიან შემოქმედისადმი გალობით. ვერც დაყუდების ცისა მკვიდრნი ძლებიან დამბადებლის დიდებით.
42. უხორცონი ხორცზე საერთოდ არ ზრუნავენ. არც ეს უხორცონი ხორციელნი ზრუნავენ რამე საჭიროებისთვის.
43. პირველებს არ აქვთ საკვების მოთხოვნილება, ხოლო მეორეებს – არანაირი სურვილი რამე ადამიანური საჭიროებისა თუ ხორცთა განსვენებისა.

44. ზეციური არსებები არას დაგიდევენ ქონებას; არც ესენი აქცევენ ფურადღებას ეშმაკთა უკეთურებასა და ბრძოლებს.
45. ზეციურ არსებებს ხილული ქმნილების სურვილი არ აქვთ; არც ამათ აქვთ ხორციელთა ხილვის სურვილი.
46. ზეციური არსებები გამუდმებით იზრდებიან ღვთის სიყვარულში; ესენიც გამუდმებით მათ ბაძავენ.
47. ზეციური არსებებისთვის უცნობი არ არის სიმდიდრე მათი წარმატებებისა; არც დაყუდებულებისთვისაა უცნობი ზეცად ამაღლების ტრფიალება.
48. ზეციური არსებები არ ცხრებიან, სანამ სერაბიმებს არ გაუტოლდებიან, ხოლო ესენი — სანამ ანგელოზებს არ დაემსგავსებიან.
49. ნეტარია, ვისაც ამგვარი სიმაღლის მიღწევის იმედი აქვს; სამგზის სანატრელია, ვინც მახლოებულია; ხოლო ანგელოზია, ვინც უკვე მიაღწია ამ სიმაღლეს.

### დაყუდების სახ პობეზზე

50. ყველასთვის ცნობილია, რომ თითოეული ადამიანის საქმე და ხელოვნება ერთმანეთისგან განსხვავება მათი მიზნის, ნებისა და ოსტატობის ხარისხის მიხედვით. ყველა ვერ აღწევს სრულყოფილებას, არამედ მათ შორის ზოგიერთი სრულყოფილია და ზოგიერთი — ნაკლებად დახელოვნებული, რაც მათი უძლურების ან მცონარების შედეგია. აი, ამიტომ განსხვავდება მათი საქმეებიც. ამ ნავსაყუდელში, უკეთ რომ ვთქვათ, უფსკრულში, შესვლისას ზოგიერთს ხორციელი უძლურების დაძლევის, ენის დაოკების, ბოროტი ჩვეულებების ალაგმვის სურვილი ან სხვა მიზნები ამოძრავებს. მაგალითად, მრის სხანენი იყვნენ და უბადრუკნი გულისწყრომას ხალხში ვერ უმკლავდებობნენ. ზოგიერთს

თავნებობისა და ამპარტავნების გამო სურს ამ ზღვაში შესვლა. ზოგიერთი ნივთების გარემოცვაში ნივთების სიყვარულს ვერ სძლევს და ამიტომ მიღის. ზოგიერთს განმარტობაში ყოფნისას გულმოლგინების მიღწევა სურს და ამიტომ იქცევა ამგვარად. სხვები ცოდვათა გამო ფარულად იტანჯავენ თავს, სხვებს კაცთაგან დიდების მოხვეჭა სურთ. არიან ადამიანები (თუ კი უფალი იპოვის ასეთებს ამ ქვეყნად მოსვლის უამს), რომელებიც ღვთის სიყვარულის წყურვილისა და სურვილის გამო მიმართავენ სანატრელ დაყუდებას. მაგრამ ეს უკანასკნელნი თავდაპრველად განმორების სიგელს უწერენ მოწყენილობის ყოველგვარ გულის სიტყვას, რადგან მოწყენილობასთან შეუღლება პირველთან (დაყუდებასთან – რედ.) განშორებას ნიშნავს.

51. აჲა, გამოვთალე კიბე იმ მწირი სიბრძნის შესაბამისად, რომელიც უმეცარ ზუროთმოძღვარს მომეცა, და თავად განსაკეთ, დაყუდების კიბის რომელ საფეხურზე დგახართ.
52. პირველი საფეხურზე თავნებობას ებრძვიან, მეორეზე – კაცთა დიდებას, მესამეზე – ენის უძლურებას, მეოთხეზე – ნივთთა სიყვარულს, მეხუთეზე – მრისხანებას. მეექვსე საფეხურზე ცოდვათა გამო თავის დასატანჯად ადიან, მეშვიდეზე – გულმოლგინების შესაძნად, მერვეზე – საღვთო ცეცხლის კიდევ უფრო მეტად ასაგიზგიზებლად.
53. ეს შვიდი საფეხური ამა საწუთოს შვიდეულში აღესრულება, ამასთან ზოგირთი – კარგად, ზოგიერთი – ცუდად; ხოლო მერვე საფეხური მომავალი საუკუნის მომასწავებელია.
54. მარტო მყოფო მონაზონო, თვალყური ადევნე, როდის მოდიან შენთან შეუცები, თორქებ სხვაგვარად მარჯვედ ვერ დაუგებ მახეს.
55. თუ გაგეცალა ის, ვინც განშორების სიგელი მიიღო (იგულისხმება მოწყენილობა – რედ.), მაშინ ხელსაქმე აღარ დაგჭირდება; და თუ ჯერ არ განგშორებია, არც კი ვიცი, როგორ უნდა დაეყუდო.

56. რატომ არ არის ტაბენესელებს შორის იმდენი მნათობი, რამდენიც სკიტელებთან?! ვინც გონიერია, მიხვდეს, მე კი ამაზე საუბარი არ შემიძლია, უფრო სწორად, არ მსურს.
57. ზოგიერთი ვნებებთან და მტრებთან ბრძოლით, ზოგი – გალობითა და ფსალმუნებით, ზოგი – ლოცვით, ზოგი – ჭვრეტით ატარებს დროს. დაუკვირდით ზემოთქმულსაც და ვინც უფლის შეწევნით ნათქვამის აზრს ჩასწევდება, ჩასწევდეს.
58. არიან ზარმაცი ადამიანები, რომლებიც მონასტრის საძმოში დიდიალ საზრდოს ნახულობენ თავიანთი სიზარმაცის გამოსაკვებად და სრულიად წარიწყმედენ თავს. არიან ისეთებიც, რომლებიც სხვების მაგალითს ბაძავენ და სიზარმაცეს თავს ანებებენ. შეგავსი რამ არამარტო ზარმაცებს, არამედ მოღვაწეებსაც ემართებათ.
59. ამგვარადვე ხდება დაყუდებულებშიც: უდაბნოს მრავალი გამოცდილი ადამიანი მოუღია, მაგრამ შემდეგ უარუყვია, რაღან თავნებობის შედეგად მათი ავხორცობა წარმოუჩენია. სხვები კი, მიუღია რა თავის წიაღში, უფრო გულმოდგინე და გულმზურვალე გაუხდია, რაღან მათ მომავალი სასჯელისა შეშინებიათ და მასზე ზრუნვას შესდგომიან.
60. არავინ, ვინც მრისხანეა, ამაყი, პირფერი და გულდრომო, არ გაბეღოს დაყუდების თუნდაც კვალის ძიება. ვაითუ, ჭკუაზე შეცდეს. ხოლო ვინც ზემოხსენებული ვნებებისგან განწმენდილია, თავად უწყის, რა არის მისთვის უმჯობესი. თუმცა, ჩემი აზრით, არც ამ უკანასკნელმა იცის.
61. ვინც სათანადოდ არის დაყუდებული, შემდეგი ნიშნები ახასიათებს: ფხიზელი გონება, წმიდა გული, ღვთის მიმართ აღფრთოვანება, საუკუნო სასჯელის წარმოდგენა, სიკვდილზე ფიქრი, ლოცვით გაუმაძღვრობა, ფხიზლად დარაჯობა, სიძვის მოკვდინება, ვნებიანი სიყვარულის უმეცრება, ამა სოფლისთვის სიკვდილი, ნაყროვანების სიძულვილი, ღვთისმეტყველების დასაბამი, სიბრძნის წყარო, მუდმივი ცრემლი, მრავლის-

- მეტყველების აღკვეთა, და ამის მსგავსნი, რასაც ხალხმრავ-ლობა წინ აღუდგება. ვინც ჯერისაებრ არ ეწევა დაყუდე-ბას, მათ შემდეგი რამ ახასიათებთ: მრისხანების გამძაფრება, გულლრმობა, სიყვარულის გაუჩინარება, სიამაყის მატება, და რაც მას შემდგომ მოსდევს,<sup>2</sup> აღარ ვიტყვი.
62. ვინაიდან სიტყვამ მოიტანა, კარგი იქნებოდა, ჰეშმარიტ მორ-ჩილთა ნიშან-თვისებებზეც გვეთქვა, რადგან ჩვენი სიტყვა უმთავრესად მათვის არის განკუთვნილი.
63. ვინც რჯულის შესაბამისად, სათანადოდ ეწევა მორჩილებას, ასეთებს, როგორც მამები ამბობენ, შემდეგი რამ ახასიათებთ: დამწეულებთა შორის სიმდაბლის დღითი დღე აღორძინება, მრისხანების შემცირება, გონებრივი სიბნელის გაუჩინარება, ვნებებისგან ხსნა, სიძულვილისგან გათავისუფლება, მხილებითა და ყველრებით გულისთვების აღხოცვა, მოწყენილობის უცოდინარობა, გულმოდგინების გამრავლება, წყალობის გა-ცემის სიყვარული, ამპარტავებისგან გაუცხოება; რასაც ყველა უნდა ეძიებდეს, მაგრამ ცოტა აღწევს.
64. აზრი არ აქვს, წყარო ვუწოდოთ იმ ადგილს, სადაც წყალი არ არის. გონიერები მიხვდებიან, რაც მას მოსდევს.
65. რომელი სულიც უფლისთვის მიცემულ აღთქმას არ იცავს, თავს იბილწავს. ეს სიბილწებია: სიკვდილის დავიწყება, მუცლის გაუმაძლრობა, თვალის დაუოკებლობა, დიდებისთვის მოღვაწეობა, უზომო ძილი, გულქაობა, ულმობლობა, ბოროტ ზრახვათა საგანძურო, ვნებათა სიჭარებე, გულის ტყვეობა, შმულოთვარება, ურჩობა, კამათი, ავხორცი სიყვარული, ურწმუნება, უჯერო საქციელი, მრავლისმეტყველება, კადინიერება, და რაც ყველაზე საშინელია და ყველაზე უმძიმესი – უგრძნობელობა, რომელსაც ღვთის უშიშრობა მოსდევს. სწორედ ეს არის დედა ყოველგვარი დაცემისა და ვნებისა.
- 
2. ვფიქრობ, ამის შემდგომ ხორციელი დაცემა იგულისხმება, ან ჭკაუზე შეცდენა და სიგიურ, რადგან ყოველივე ამას, გმობის მსგავსად, ამპარტავება შობს.

66. დაყუდებულებს რვა ვნებიდან ხუთი ებრძვის, ხოლო მორჩილებს – სამი.<sup>3</sup>
67. რომელ დაყუდებულსაც მოწყენილობა სძლევს, ბევრს კარგავს, რადგან მასთან ბრძოლაში ხარჯავს ლოცვისა და ჭირებისთვის განკუთვნილ დროს.
68. ერთხელ სენაკში ყოფნა მომწყინდა, სულმოკლეობამ მძლია და გამოსვლა მოვიწადინე. სენაკიდან გამოსვლას რომ ვაპირებდი, ვიღაც კაცები მოვიდნენ და დაყუდებისთვის შემაქეს. პატივმოყვარეობამ მაშინვე განდევნა მოწყენილობის ფიქრი, და გამიკვირდა, კუროსთავის (ეკლიანი მცენარე – რედ.) მსგავსი პატივმოყვარეობის ეშმაკი ყველა სხვა ეშმაკს რომ სძლევდა.
69. ყოველთვის დააკვირდი, საით გადაიწონის შენი გონების სასწორი მოწყენილობის მოსვლის, წასვლისა თუ წონას-წორობის ჟამს. ნახე, უმთავრესად საით გადაიწონება და საიდან გძლევს. ვისაც სულიწმიდის მადლით მყუდროება მოუპოვებია, ნათქვამს მიხვდება.
70. დაყუდებულმა, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა იზრუნოს საჭირო თუ არასაჭირო საქმეებზე. ვინც პირველს (საჭირო საქმეებს – რედ.) გაუღებს კარს, მას, უცილობლად, მეორე (არასაჭირო საქმეები – რედ.) შეიპყრობს. მეორეც – დაყუდებულმა დაუზარელად უნდა იღოცოს; და მესამე – გული წარუპარველად დაიცვას.
71. როგორც შეუძლებელია, ასოების უცოდინრად წიგნის წაკითხვა, ისევე შეუძლებელია პირველის მიუღწევლად შემდეგი ორის ჯეროვნად აღსრულება.
72. ვიყავი რა შეა საფეხურზე, საშუალოთა მივაღწიე, რომელთაც მოწყურებული განმანათლეს. და ვიყავი რა მათთან, ვერ მითხრეს, თუ როგორი იყო ის (უფალი – რედ.), სანამ ხილული გახდებოდა. მთავარს არც სურდა ამ კითხვაზე
3. დაყუდებულს ებრძვის: ცეცხლისმოყვარეობა, მოწყენილობა, მწუხარება, მრისხანება და ამპარტავნება; ხოლო სამმში მყოფთ: ნაყროვანება, სიძვა და პატივმოყვარეობა.

პასუხის გაცემა. ვკითხე: “ახლა როგორია?” მიპასუხა: “თვისთა შინა არის, მაგრამ არა ამას შინა”. მე ვიკითხე: “რას ნიშნავს მამის მარჯვნივ ჯდომა და რატომ ზის მარჯვნივ?” მიპასუხა: “შეუძლებელია ამისი ყურით აღქმა-მოსმენა”. მე კი გაგება მსურდა, და როცა ვკითხე, მიპასუხა: “შეგავთა მოსმენა უხრწნელების ცეცხლის სიმცირის გამო ჯერ არ შეგიძლია”. არ ვიცი, ამ დროს მიწასთან ვიყავი, თუ მის გარეშე<sup>4</sup>.

4. შეა საფეხურში ლოცვა იგულისხმება, რადგან ის დაყუდებასა და საღმრთო ჭრების შორის იმყოფება. ნეტარი მამა ამბობს, რომ შეუა საფეხურზე ყოფილიას (რაც ლოცვას ნიშნავს) “საშუალოთა”, ანუ ანგელოზებს მიაღწია, რადგან ისინი ღმერთსა და ადამიანებს შორის იმყოფებიან. მოწყურებული განმანათლესო, — ამბობს იყი, რაც იმას ნიშნავს, რომ თავიანთი გამოცხადებით ანგელოზებმა ნათელი მოპონიქს იმას, რისი გაგებაც ეწადა. “ვკითხე, როგორი იყო ის, სანამ ხილული გახდებოდა”, ანუ ვკითხე, როგორი იყო ქრისტე განკაცებამდეო. ამაზე პასუხის გაცემა ანგელოზმაც (რომელიც მას ელაპარაკებოდა) ვერ შეძლო, რადგან ღვთაების სახე არც ანგელოზებმა იციან. მთავარს არც სურდა ამაზე სუბარით, — იმიტომ ამბობს, რომ, თუმცა ვიკითხე, მთავარს (რომელიც არის გონიერი) არ სურდა შეგავსი საქმეების გამოძიებაო. “ახლა როგორია?” რომ იკითხა, იმას ნიშნავს, რომ პირველ კითხვაზე პასუხი რომ ვერ მიიღო, იყოთხა, თუ როგორია ქრისტე ამჟამად. ანგელოზმა უბასუხა: “თვისთა შინა არს”, ანუ ორი ბუნება აქვს, არის სრული ღმერთი და სრული კაცი; მაგრამ “არა ამათ შინა”, ანუ არა იმ მოკვდავსა და განხრწნად სხეულში, ჯვარცმიმდე რომ ჰქონდა. როგორც პავლე მოციქული ამბობს: “დაღაცათუ ვიცოდეთ ქრისტე ხორციელად, ვთთარმედ ჭამდა და სმიდა, გარნა არღარა ესრეთ უწყით”. ეს შემდეგს ნიშნავს: თუმცა კი თავდაპირველად მას (ქრისტეს –რედ.) ხრწნადი და ტლანქი ხორცი ემოსა, ახლა სხვაგვარადაა, რადგან ამჟამად უფლის სხეული უხრწნელია.

ნეტარ მამას უკითხავს, თუ რას ნიშნავს მარჯვნივ ჯდომა და რატომ ზის ქრისტე მარჯვნივ, ანუ მამას უკითხავს, რატომ ამბობს მახარებელი უფალზე: “დაჯდა მარჯუნით ღვთისა”, ხოლო სტეფანებ ქრისტე “მდგომარე იხილა მარჯუნით ძლიერებისა”. ანგელოზმა მას უპასუხა, რომ უდროოა ამის გაგება უხრწნელების ცეცხლის სიმცირის გამო, ანუ ჯერ კიდევ სხეულში იმყოფები და უხრწნელებისთვის ჯერ არ მიგიღწევიათ.

მამამ ყოველივე ეს იხილა და ამბობს: არ ვიცი, მიწასთან ერთად, ანუ სხეულში ყოფინის დროს ვიზილე ყოველივე, თუ სხეულიდან ვიყავი გასული, მხილოდ ღმერთმა უწყისო.

73. როულია შუადღის ძილის გაძევება, განსაკუთრებით, ზაფხულში. ამ დროს კარგია ხელსაქმე.
74. ვნახე მოწყენილობის ეშმაკი, რომელმაც სიძვის ეშმაკს გზა გაუმზადა: დაყუდებულის ხორცი მოადუნა, ძილით დანთქა და ამგვარად შებილწა.
75. თუ წინააღმდეგობას გაუწევ, უფრო მეტად შეგებრძოლებიან, რათა გათქმევინონ: “არაფერი მშველის!” და მოღვაწეობა შეწყვიტო; მაგრამ გამხნევდი! ეშმაკთა მარცხს ისე არაფერი წარმოაჩენს, როგორც ჩვენს საწინააღმდეგოდ გამართული მათი ბრძოლა.
76. სენაკიდან გასვლისას დაიცავი, რაც სენაკში შეგიკრებია. კარის გადებისას შიგნით მყოფი ფრინველები მაშინვე გარეთ გამოფრინდებიან და დაყუდებისგან მიღებული სარგებელი გაუჩინარდება.
77. თმის ბეწვი თვალს გვიმდვრევს, ხოლო პატარა საზრუნავი დაყუდების წესს ღუპავს; რადგან დაყუდება გონების მოკრებასა და საჭირო საქმეებისა და საზრუნავისგან განდგომაში მდგომარეობს.
78. ვინც ჭეშმარიტ დაყუდებაშია, ის არც საკუთარ ხორცზე ზრუნავს. არ მოატყუებს მას ის (უფალი – რედ.), ვინც მასზე ზრუნვა აღუთქვა.
79. ვისაც სურს, განწმენდილი გონებით წარუდგეს უფალს, მაგრამ ბევრ რამეზე ზრუნავს, იმ კაცსა ჰგავს, ფეხები მაგრად რომ შეუკრავს და სწრაფი სირბილი მოუწადინებია.
80. ამბობენ, რომ როულია მთელი ფილოსოფიის შესწავლა, და ცოტანი არიან მისი მცოდნენი. მე კი ვიტყოდი, რომ გაცილებით როულია და ძალიან ცოტამ თუ იცის დაყუდების სიბრძნე.
81. ვისაც ჯერისაებრ არ შეუცნია ღმერთი, მან საერთოდ არ იცის დაყუდება და ბევრი განსაცდელი შეხვდება.
82. დაყუდება გამოუცდელებს დატანჯავს, რადგან არ უგემიათ რა ღვთის სიტყბოება, დროს მოწყენილობასა და აზრთა ფორიაქში გაატარებენ.

83. ვისაც ლოცვის სიკეთე უზილავს, ის ხალხმრავლობას ისევე გაურბის, როგორც კანჯარი. ლოცვის გარდა, აბა, რამ განკურნა გაველურებული კანჯარი?<sup>5</sup>
84. ვნებებით შეპყრობილი უდაბნოში ვნებებზე ფიქრში განლევს დროს, როგორც მეუბნებოდა წმიდა ბერი გიორგი არსელაელი, რომელსაც შენც იცნობ, პატიოსანო მამაო. ეს უკანასკნელი, ასწავლიდა რა დაყუდებას ჩემს გლახაკ სულს, მეუბნებოდა: “შევნიშნე, რომ განთიადისას პატივმოყვარეობისა და სიძვის ეშმაკები მოდიოდნენ, შუადღისას – მოწყენილობის, მწუხარებისა და მრისხანებისა, ხოლო საღამო ხანს – სკორეს მოყვარული ნაყროვანების ეშმაკები”.
85. ზრუნვაში მყოფ დაყუდებულს უპოვარი მორჩილი სჯობს.
86. რომელი დაყუდებულიც ყოველდღიურ სარგებელს ვერ ამჩნევს, ვიცოდეთ, რომ ან დაყუდების ღვაწლს არ ეწევა, ან ამპარტაჟება სძლევს.
87. დაყუდება განუწყვეტლივ ღვთის წინაშე დგომა და მისი მსახურებაა.
88. სუნთქვასავით გახსოვდეს უფალი იესო და მაშინ მიხვდები დაყუდების სარგებელს.
89. მორჩილს საკუთარი ნება დასცემს, ხოლო დაყუდებულს – ლოცვის მიტოვება.
90. თუ სტუმრების მოსვლა გახარებს, იცოდე, რომ მოწყენილობაში იმყოფები, და არა ღმერთთან.
91. ლოცვის მაგალითად მოსარჩლისგან შევიწროებული ქვრივი გაიხადე, ხოლო დაყუდებაში ანგელოზთა სწორ დიდ არსენ დაყუდებულს მიჰპაძე.
92. ჰოი, მარტო მყოფო, გახსოვდეს ამ დაყუდებულის მოღვაწეობა, თუ არაერთხელ როგორ გაუბრუნებია მასთან მისული ადამიანები, რათა უფრო მეტი არ დაეკარგა.
- 
5. დანიელის ლოცვამ ველურ კანჯრად ქცეული ნაბუქოდონოსორი განკურნა და ნეტარი მამა ამაზე ლაპარაკობს.

93. მინახავს, ეშმაკებს ზარმაცი, მიმოსვლის მოყვარული მონაზ-ვნები იმ მიზნით რომ გაუგზავნიათ ნაძღვილ დაყუდებულებთან, რათა ამგვარად სათნოების ეს მუშაკნი მცირედ მაინც და-ებრკოლებინათ.
94. ჭეშმარიტო დაყუდებულო, გაითვალისწინე ეს და ნუ მო-ერიდები მათ განაწყენებას ღვთის შიშით. იქნებ, შერცხვეთ და ხეტიალს თავი ანებონ.
95. ფრთხილად იყავი, რომ ზემოხსენებული სახით არ მოექცე და ამაოდ არ შეაწუხო მოწყურებული სული, რომელსაც წყლის მიღება სწადია. ყველაფერში გონიერების სანთული გჭირდება.
96. დაყუდებულის ცხოვრება, და საერთოდ, ყოველი მონაზვნის ცხოვრება, გონივრულად, სინდისის მიერ უნდა იყოს წარ-მართული.
97. ვინც წესისამებრ ცხოვრობს, ის ყოველ საქმეს, სიტყვას, გულის ზრახვასა და ქმედებას უფლის ნებას უქვემდე-ბარებს. ყველაფერს სულიერი გულისხმისყოფით უფლისთვის და უფლის წინაშე აკეთებს. და თუ მაინც ცდება, მაშინ ჯერ კიდევ ვერ ცხოვრობს წესისამებრ.
98. წინასწარმეტყველი ამბობს: “აღვაღო საგალობელითა იგავი ჩემი” (ფსალმ. 48. 4). მე კი ვიტყოდი: ლოცვით ვაუწყო უფალს ჩემი ნება და მისგან მივიღო დამოწმება.
99. რწმენა ლოცვის ფრთხია. თუ ლოცვას ეს ფრთხი არ ექნა, მაშინ “წიაღადვე ჩუქნდა მოიქცეს”.
100. რწმენა ის არის, როცა სული შეუთორგულებლად დგას და არ ირყევა ნებისმიერ ქართა ქროლვისას.
101. მორწმუნე ის კი არ არის, ვისაც სწამს, რომ ღმერთს თხოვნის შესრულება შეუძლია, არამედ ის, ვისაც სწამს, რომ თხოვნას აუცილებლად შეუსრულებს.
102. რწმენა უიმედო საქმესაც შესაძლებელს ხდის. ამისი მაგა-ლითა ავაზაკი.

103. რწმენის დედა გულმოდგინება და წრფელი გულია. ერთი თხოვნას შეუორგულებელს ხდის, ხოლო მეორე საქმით აღასრულებს სათხოვარს.
104. დაყუდებულთა დედა რწმენაა. რომ არ სწამდეთ, როგორდა დაყუდებოლნები?
105. დილეგში დამწყვდეულს მსაჯულის ეშინია და ძრწის, ხოლო სენაკში დაყუდებულს უფლის შიში და ზარი აქვს.
106. პირველს ისე არ ეშინია სამსჯავროსი, როგორც მეორეს – ქრისტესი.
107. ჰოი, საყვარელო, დაყუდებაში ღვთის დიდი შიშის მოპოვება გმართებს, რადგან მოწყენილობას ვერაფერი დევნის ისე, როგორც ღვთის შიში.
108. საპყრობილები მყოფი მსჯავრდებული მსაჯულის მოსვლას ელის, ხოლო ჭეშმარიტი დაყუდებული – სიკვდილს.
109. პირველი მწუხარებას შეუპყრია, ხოლო მეორე – ცრემლთა წყაროს.
110. თუ მოთმინების კვერთხს მოიპოვებ, მოწყენილობის ძალლები გაგეცლებიან.
111. მოთმინება სულის ძარღვი და ძალაა, რომელსაც ჭირი და ბრძოლები ვერ დასცემს.
112. მომთმენი მუშაკი არ ეცემა; მაგრამ თუ დაცა, დაცემითაც გაიმარჯვებს.
113. მოთმინება განსაცდელების გამუდმებული მოლოდინია.
114. მოთმინება თავის გამამართლებული მიზეზების მოკვეთაა და საკუთარი თავის მიმართ სიფრთხილეა.
115. როგორც ადამიანებს გვჭირდება საზრდელი, ისე დაყუდებულს – მოთმინება.
116. მეორე ხშირად ხდება გვირგვინოსნობის მიზეზი, ხოლო პირველი – ვნებებისა.
117. მონაზონი, ვიღრე დამარხავენ, უკვე მკვდარია. მისი საფლავი მისივე სენაკია.

118. იმედი და გლოვა შობს მოთმინებას. ვინც მათგან შორს დგას, ის მოწყენილობის მონაა.
119. ქრისტეს მეომარმა უნდა იცოდეს, რომელი მტრის შორი-დან მოგერიება მართებს და რომლის – ახლოს მიშვება და ხელდახელ შებმა.
120. ზოგჯერ ბრძოლას გვირგვინი მოაქვს, ზოგჯერ კი ბრძოლისგან გაცლით ადამიანი გამოუცდელი რჩება.
121. შეუძლებელია ბრძოლის წესის სიტყვით სწავლა, რადგან ყველანი ერთნაირი არ ვართ, ანუ ერთნაირი ბრძოლები არ გვაქვს.
122. ყველთვის ადევნე თვალყური ერთ ვნებას,<sup>6</sup> რაღან დგა-ხარ თუ დადიხარ, ზიხარ თუ წევხარ, ლოცულობ თუ გძი-ნავს, ეს უკანასკნელი გამუდმებით გებრძვის.
123. ყველა დაყუდებულს ერთნაირი აზრი არ ამოძრავებს. ზო-გიერთი გამუდმებით შემდეგს იხსენებს: “წინადსწარ ვხელევდ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის” (ფსალმ. 15. 8); ზოგიერ-თი: “მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენი” (ლუკა 21. 19); სხვები იხსენებენ: “იღვძებდით და ილო-ცევდით” (მათე 26. 41); სხვები: განმზადენ საქმენი შენნი დღისა მისთვის სიკუდილისა (შდრ. ოგავნი 24. 27); სხვე-ბი: “დაგმდაბლდი, და მაცხოვნა მე” უფალმა (ფსალმ. 114. 6); სხვები: “ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის უამისანი მერმისა მის თანა დიდებისა” (რომ. 8. 18); სხვები შემდეგ სიტყვებს იხსენებენ: “ნუუკუ წარგიტაცნეს და არავინ იყოს მჯსნელ თქუენდა” (ფსალმ. 49. 22). ყველანი ესენი მი-რბიან, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი ღებულობს უმრო-ლად გვირგვინს.<sup>7</sup>

6. იგულისხმება სიძვის ეშმაკი.

7. ამ შვიდიდან რომელი ღებულობს გვირგვინს? – ზოგიერთის აზრით, ეს არის პირველი, რომელიც “წინადსწარ ხედავს უფალს”. მე კი ვიტყოდი, რომ გვირგვინს ღვბულობს მეზუოე, ანუ ის, რომელიც ამბობს: “დაგმდაბლდა და მაცხოვნა” უფალმა.

124. ვინც სრულყოფილებისკენ მიდის, ის არათუ სიფხიზლეში, არამედ ძილშიც კი ღვაწლშია. აი, ამიტომ ზოგიერთი ძილ-შიც კი ეშმაგებს ებრძვის და ამარტებს.
125. არ ელოდო, და არც წინასწარ მოემზადო სტუმრის მისაღებად, რადგან დაყუდებულის წესი უბრალოა და მარტივი.
126. ვერავინ ააშენებს დაყუდების გოდოლს, თუ თავდაპირველად არ დაჯდება და არ აღრიცხავს, აქვს თუ არა საამისოდ სამშენებლო მასალა. ვაითუ, ასეთი ადამიანი საძირკვლის ჩაყრის შემდგომ მტერთა დასაცინი გახდეს და სიკეთის მოქმედი სხვა მუშაკებისთვის დაბრკოლების მიზეზად იქცეს.
127. დააკვირდი, დაყუდების ჟამს მოგვრილი სიტკბოება მწარე მკურნალთა მიერ, მით უმეტეს, სულის მკვლელ მტერთა მიერ ხომ არ არის მოვლინებული.
128. დამით უმეტესი დრო ლოცვას დაუთმე, ხოლო მცირედი – ფსალმუნებას; დღისით კი ძალისახმ შენისა მოიქცი.
129. წიგნის კითხვა მცირედ კი არ უწყობს ხელს გონების მოკრებასა და განათლებას. ის სულიწმიდის სიტყვებია და კითხველს განამტკიცებს.
130. საონებათა და ვნებათა შესახებ დაწერილი წიგნები იკითხე, იკითხე წიგნები, რომლებიც ცხონებას გასწავლიან, რათა გონება განათლდეს.
131. ცხონების სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, შრომით, და არა წიგნის კითხვით ეძიე.
132. არ იკითხო გონებაშეცდომილთა ნათქვამი და წიგნები,<sup>8</sup> ვიდრე დიდ სრულყოფილებას არ მიაღწევ, რადგან ისინი სიბნელის სიტყვები არიან და უძლურებს დააბნელებენ.
133. ღვინის გემო ერთი ჭიქით იცნობა. მეცნიერი მოძღვრები დაყუდებულთა შინაგან მოღვაწეობასაც ერთი სიტყვით სცნობენ.
8. გონებაშეცდომილები მწვალებულთა წიგნებს გულისხმობს.

134. მთელი შენი ძალ-ღონით ებრძოლე სიამაყეს, რადგან მასზე  
მეტად ვერაფერი ღუპავს გონებას.
135. სენაკიდან გასვლის ჟამს უფრთხილდი ენას. ენა ბევრ ნაშ-  
რომს სწრაფად განაბნევს.
136. მარტივად იცხოვრე, რადგან ცბიერება დაყუდების გამრყვნე-  
ლია.
137. მიეცი შენთან მოსულებს, რაც სულიერად თუ ხორციელად  
ესაჭიროებათ.
138. თუ ისინი ჩვენზე ბრძენნი აღმოჩნდებიან – დუმილით გა-  
მოვიჩინოთ სიბრძნე, თუ ჩვენი თანასწორნი – მაშინ სი-  
ტყვას ზომიერად გავუღოთ კარი; მაგრამ უმჯობესი იქნება,  
თუ ჩვენზე უპირატესად მივიჩნევთ ყველას.
139. მეფის ძლიერება ხალხისა და ქონების სიმრავლეში ძღვო-  
მარეობს, ხოლო დაყუდებულისა – ბევრ ლოცვაში.
140. როგორც სიტყვიერად ურთიერთსაწინააღმდეგოა სწავლე-  
ბანი წმიდა, დაუბადებელი და თაყვანსაცემი სამებისა და  
ამავე წმიდა სამების განკაცებული ერთ-ერთი პირისა (რადგან  
რაც სამებაში განყოფილად ითქმის, ის მაცხოვარში ერთია,  
და რაც სამებაში ერთია, ის მაცხოვარში განყოფილია;  
ვინაიდან სამებასთან დაკავშირებით ვამბობთ, რომ სამპირო-  
ვანია და ერთბუნებოვანი, ხოლო მაცხოვართან მიმართებაში  
– ერთპიროვანია და ორბუნებოვანი), ისევე სხვადასხვაა  
დაყუდებულისა და მორჩილის საქმეები.
141. წმიდა წინასწარმეტყველი და მოციქული ამბობს: “ვინ ცნა  
გონებად უფლისად ?” (რომ. 11. 34) მე კი ვიტყოდი: ვინ  
ცნა ხორცითა და სულით ჭეშმარიტად დაყუდებულის გონება  
ძალითა უფლისათა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუ-  
ნისამდე, ამინ.
- მეფის ძლიერება სიმდიდრე და ბევრი ქვეშევრდომია, ხოლო დაყუდე-  
ბულის ძალა ლოცვის სიუხვეა.



## თავი ၃ რცდამერვე

### აისივა თქმული

სათხოებათა დედის, ყოვლადწმიდა ლოცვის შესახებ,  
და სხვულითა და გონიერი ლოცვაზე დგომისთვის

1. ლოცვა თავისი ბუნებით ღვთისა და კაცის შერწყმაა, ხოლო მოქმედებით ის არის: სამყაროს სიმტკიცე, ღმერთთან შერიგება, ცრემლთა დედა და შემდგომში იმავე ცრემლთა შვილი, ცოდვათა მიმტევებელი, განსაცდელის უამს – ხიდი, ჭირის დროს – დამცავი კედელი, ბრძოლათა შემმუსრველი, ანგლოზთა საქმე და უსხეულო არსებათა საზრდელი, მერმინდელი საუკუნის სიხარული, დაუსრულებელი ღვაწლი, სათნოებათა წყარო, მადლის წინამდგვარი, უხილავი წარმატება, სულის საზრდელი, გონების სინათლე, სასოწარკვთილების მკვლელი, იმედის მიზეზი, მწუხარებისგან მხსნელი, მონაზონთა სიმდიდრე, დაყუდებულთა საუნჯე, მრისხანების განმაქარვებელი, სრულყოფილების სარკე, წარმატების საზომის წარმომაჩინებელი, წესიერების სახე, საუკუნო მისაგებლის მომასწავებელი და ახოვნების ნიშანი.
2. ჭეშმარიტი მლოცველისთვის ლოცვა არის სამსჯავრო და დასასჯელი საყდარი უწინარეს დიდი სამსჯავროსი.
3. აღვსდგეთ, რათა ვისმინოთ, რას გვეუბნება ხმამაღლა სათნოებათა ეს სანატრელი დელოფალი: “მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტკრო-მძიმენი, და მე განვისუენო თქუენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა,.. და პპოვოთ განსუენებად სულთა თქუენთა” და ლხინება წყლულებათა თქვენთა, “რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს” და ცოდვათა დიდ სნეულებათა მკურნალი (შდრ. მათე 11. 28-30).

4. ლვთისა და ჩვენი მეუფის შესახვედრად მოუმზადებელნი არასდროს წავიდეთ! ვაითუ, შორიდანვე დაინახოს, რომ უიარაღონი და სამეუფო სამკაულის გარეშე ვართ, თავის მსახურებს უბრძანოს, შეკრულნი გაგვაძევონ, ჩვენი სავედრებელი დაფხრიწონ და სახეში მოგვაყარონ.
5. უფლის წინაშე წარსადგომად როცა მიღიხარ, შენი სულის სამოსელი ძვირის მოუხსენებლობის ძაფით მოქსოვე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოცვისგან ვერანაირ სარგებელს პოვებ.
6. დაუ, ყოველი შენი სათხოვარი დამდაბლებული გონებიდან მოდიოდეს. მეზვერე და უძღები შვილი მხოლოდ ერთი სიტყვით სათო ეყვნენ ღმერთს.
7. ლვთის წინაშე ლოცვით გარეგნულად ერთნაირად წარდგებიან, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავება და ნაირფერობაა.
8. ზოგიერთი ღმერთს როგორც მეგობარსა და მეუფეს მიმართავს, და არა საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვის ითხოვს; სხვები უფრო მეტ სულიერ სიმდიდრეს, დიდებასა და კადნიერებას ითხოვენ; სხვები მოდავისგან განრიდებას ევედრებიან; სხვები პატივის მიღებას ეძიებენ; სხვები ვალისგან სრული გათავისუფლებისთვის ლოცულობენ; ზოგიერთი – საპყრობილიდან ხსნას, ზოგიერთი კი ცოდვათა შენდობას ევედრება.
9. ჩვენს სავედრებელ ქარტიაზე, უპირველეს ყოვლისა, სამადლობელი დავწეროთ, შემდეგ – აღსარება და გულშემუსვრილება. ვიცოდეთ, რომ ასეთია ნამდვილი ლოცვა, როგორც ეს ანგელოზმა ერთ ძმას აუწყა.
10. თუ ოდესმე ხილული მსაჯულის წინაშე აღმოჩენილხარ, მაშინ ლოცვაზე დგომის სხვა მაგალითი აღარ დაგჭირდება. თუ მსაჯულის წინაშე არც შენ მდგარხარ და არც სხვები გიხილავს, მაშინ ლოცვის მაგალითად იმ ავადმყო-

- ფის ვედრება დაისახე, მკურნალს წყლულის კვეთისა თუ ამოწვის წინ რომ მიმართავს.
11. ლოცვის დროს ნუ დაიწყებ სიბრძნისმეტყველებას. ხშირად ზეციური მამისთვის ჩვილ ყრმათა უბრალო ტიტინი ყოფილა საამო.
  12. არ დაიწყო მრავლისმეტყველება, რათა სიტყვების ძებნაში გონება არ გაგეთანტოს. მეზვერის ერთმა სიტყვამ ღმერთი მოწყალე-ჰყო, ხოლო რწმენით ნათქვამმა ერთმა სიტყვამ ავაზაკი აცხოვნა.
  13. მრავლისმეტყველებით ხშირად გაფანტულა გონება, ხოლო გულმხურვალედ ნათქვამ ერთ სიტყვას გონება მოუკრებია.
  14. თუ ლოცვის დროს რომელიმე სიტყვა შენში ლმობიერებას აღძრავს, მაშინ ბევრჯერ გაიმეორე ეს სიტყვა, რადგან ამ დროს მცველი ანგელოზი ლოცულობს ჩვენს ახლოს.
  15. ლოცვის დროს არ გამოიჩინო კადნიერება, თუნდაც რომ უდიდეს სიწმინდეს ფლობდე. პირიქით, დიდი სიმდაბლით ილოცე და უფრო მეტი კადნიერება გაქნება.
  16. თუნდაც სათხოებათა მთელი კიბე გქონდეს ავლილი, მაინც ცოდვათა შენდობისთვის ილოცე. ხომ გსმენია, რას ამბობს პავლე მოციქული ცოდვილებზე: “რომელთად პირველი მე ვარ” (1 ტიმოთე 1. 15).
  17. საჭმელს ზეთითა და მარილით ამზადებენ, ხოლო ლოცვას სიწმინდე და ცრემლები ფრთოვან-ჰყოფს.
  18. თუ სრულ სიმშვიდესა და ურისხველობას შეიმოსავ, ბევრი შრომა აღარ დაგჭირდება გონების ტყვეობიდან გამოსახ-სნელად.
  19. ვიცოდეთ, რომ წმიდა და ჯეროვანი ლოცვის მიღწევამდე იმ მცირეწლოვან ყრმებს ვგავართ, სიარულს რომ სწავ-ლობენ.
  20. ეცადე, გონება ლოცვის სიტყვებში მოაქციო და აღიყვანო. თუ გონება სიჩილის გამო მოუძლურდება და დაბლა დაუშვება, კვლავ ზე-აღიყვანე.

21. გონებას დაუდგრომლობა ახასიათებს, მაგრამ ყოვლისშემ- ბლე ღმერთს მისი შეჩერებაც შეუძლია.
22. ჰოი, საყვარელო! თუ კეთილად იღვაწებ, შენთანაც მოვა ის, ვინც ზღვის ტალღებს შეზღუდავს და ეტყვის: “აქამომდე მოხუდე და არა გარდაპქდე” (იობი 38. 11).
23. შეუძლებელია სულის შეკვრა. სადაც სულის შემოქმედია, იქ ყოველივე მას ემორჩილება.
24. თუ მზე გიხილავს, მასთან ლაპარაკი შეგიძლია; მაგრამ როგორ დაელაპარაკები მას უცდომლად, რაც არ გიხილავს?!
25. ლოცვის დასაბამი ის არის, როცა წერილ-წერილი ფიქრე- ბი მოდიან და ადვილად დევნი მათ, შუა გზა – როცა გონება მხოლოდ ლოცვის სიტყვებშია მოქცეული, ხოლო სრულყოფილი ლოცვა ღვთის სიყვარულია.
26. ლოცვის დროს სხვაგვარ სიხარულს განიცდიან მორჩილნი და სხვაგვარს – დაყუდებულნი. პირველს შეიძლება სიამაყეც შეერიოს, მეორე კი სავსეა თავმდაბლობით.
27. თუ გონებას განუწყვეტლივ ასწავლი, არ განვშორდეს, მაშინ ტრაპეზის დროსაც შენთან იქნება. თუ წეტიალს დააჩვევ, არასდროს მოვა შენთან.
28. ჭეშმარიტი ლოცვის დიდი მუშაკი, პავლე ამბობს: “ეპლე- სიასა შინა მნებავს ხუთ სიტყუა გონებითა ჩემითა სი- ტყუად” (1 კორინ. 14. 19). აღნიშნული მიუწვდომელია გონებით ჩვილთათვის, რადგან გონების მოსაკრებად ბევრი ლოცვაა საჭირო. მეორეს მოაქვს პირველი. როგორც წმი- და წერილი ამბობს: მის მღლოცველსა და მვეღრებელს შრომითა და ჭირით მიანიჭებს წმიდა და ჭეშმარიტ ლოც- ვას.
29. სხვაა ლოცვის შებილწვა, სხვა – მისი გარყვნა, სხვა – ლოცვის გაფანტვა და სხვა – ბიწი.
30. სიბილწე ის არის, როცა კაცი უფლის წინაშე დგას და ბოროტი აზრები მოსდის; გარყვნა ის არის, როცა ლოცვის უამს გონება უსარგებლო საზრუნავითაა შეპყრობილი;

- გაფანტვა ის არის, როცა გონება შეუმჩნევლად მიმოქრის; ხოლო ბიწი ამ დროს მოსული ამაო აზრებია.
31. თუ მარტო არ ვართ, მაშინ შინაგან ლოცვას მივმართოთ; თუ ქების მსახურნი არ არიან ჩვენთან, მაშინ გარევნულადაც ვიღოცოთ; რადგან გონება ხშირად ხდება სხეულის თანაზიარი მათში, ვინც ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი.
  32. ვინც მეუფესთან მიდის, ყველას გულშემუსვრილება მართებს, მით უმეტეს მათ, რომლებიც ვალის პატიებასა და ცოდვათა შენდობას ითხოვენ.
  33. თუ ჯერ კიდევ საპყრობილები ვიმყოფებით, მოვუსმინოთ მას, პეტრეს რომ ეუბნებოდა: “აღდეგ,... მოირტყ” მორჩილების არდაგი, განიძარცვე შენი ნება, ლოცვის დროს მისგან გაშიშვლებული მიდი უფალთან, მხოლოდ უფლის ნებას მოუწოდე, და მაშინ იხილავ უფალს შენი სულის მესაჭედ, რომელიც უსაფრთხოდ წარმართავს შენს ცხოვრებას (შდრ. საქმე 12. 7-8).
  34. აღსდექ ამა ქვეყნის მოყვარეობისა და ავხორცობისგან, განაგდე საზრუნავი, უარყავ ხორცი, განიძარცვე აზრები; რადგან ლოცვა სხვა არაფერია, თუ არა ხილული და უხილავი ქვეყნის უარყოფა. როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: “რაღ ძეს ჩემი ცათა შინა, და შეწყან რაღ ვინებე ქუეყნასა ზედა?” (ფსალმ. 72. 25) – არაფერი, გარდა იმისა, რომ მარადის შენთან ვიყო.
  35. ზოგიერთს სიმდიდრე ურჩევნია, ზოგს – დიდება, ზოგს – პატივი, “ხოლო ჩემი მიახლებად ღმრთისა კეთილ არს, და დადებად უფლისა მიმართ სასოებად ჩემი” უვნებობისა (ფსალმ. 72. 28).
  36. რწმენა ლოცვას ფრთხებს ასხამს. უმისოდ ლოცვას ზეცაში აღსვლა არ შეუძლია.
  37. მსაჯულს “ღმრთისა არა ეშინოდა” (რადგან თავად იყო ღმრთი), მაგრამ, რადგან ცოდვით დაცემის შედეგად სიკეთის-გან დაქვრივებული სული მოსვენებას არ აძლევდა, მაინც

გამოიტანა განაჩენი და სული მოქიშპე ხორცისგან და მის წინააღმდეგ მებრძოლი ეშმაკებისგან დაიცვა (შდრ. ლუკა 18. 3-6).

38. ვნებებით შეპყრობილებმა არ შევწყვიტოთ უფლის წინაშე ვედრება, რადგან ვნებებისგან თავისუფალმა ყოველმა ადამიანმა ვნებული მდგომარეობიდან მიაღწია უვნებობას.
39. მადლიერ, კეთილ სულებს კეთილი უფალი სწრაფად უსრულებს სათხოვარს და ამგვარად მიიზიდავს თავისი სიყვარულისკენ. უმაღლერებსა და უგულისხმოებს კი მალე არ უსრულებს, რათა სათხოვრით მოშიგბულებმა და მოწყურებულებმა გამუდმებით მოთმინებით ილოცონ და მას უვედრონ. ძაღლი, როცა პურს მიიღებს, მიდის. ასეა უგუნური და უგულისხმო სულიც: როცა სათხოვარს მიიღებს, უფალს აღარ ევედრება.
40. ნუ იტყვი: დიდხანს ვლოცულობ, მაგრამ არაფერი სარგებელი მაქვსო. უფლის წინაშე რომ დგახარ და ელაპარაკები, განა, ეს სარგებელი არ არის? რა შეიძლება იყოს უფრო დიდი, ვიდრე უფლის წინაშე დგომა და მასთან შეერთება?!
41. მსჯავრდებულს სასჯელის გამოტანისა ისე არ ეშინია, როგორც მოღვაწეს – არაფრით ავნოს ლოცვას. ამიტომ, თუ მოღვაწე ბრძენია და გონიერი, ლოცვაზე ზრუნვით შეპყრობილი ყოველგვარ ძვირის ხსენებას, ამაო საზრუნავს, ურჩობას, მწუხარებასა და სიმაძლრეს აღკვეთს.
42. ვიდრე ღვთის წინაშე ლოცვასა და ვედრებას შეუდებოდე, სული წინასწარ მოამზადე ლოცვით, და მალე მიაღწევ წარმატებას.
43. მინახავს მორჩილებით გაბრწყინებული ადამიანები, რომ არ იზარებდნენ და გონებაში შეძლებისდაგვარად იხსენებდნენ უფალს, ლოცვაზე დადგომისთანავე საკუთარ გონებას ეუფლებოდნენ და მდინარესავით სდიოდათ ცრემლები, რადგან მორჩილების მიერ ლოცვისთვის წინასწარ იყვნენ მომზადებულნი.

44. სხვებთან ერთად ფსალმუნებისას გონება ეფანტებათ, ხოლო მარტო ყოფნისას – ნაკლებად. მაგრამ განმარტოებით ყოფს მოწყენილობა ებრძევის, ხოლო სხვებთან ერთად ყოფს გულმოდგინება ეხმარება.
45. მეფისადმი მეომრის სიყვარული ბრძოლაში წარმოჩნდება, ხოლო მონაზვნის ღვთისადმი სიყვარული – ლოცვის დროს.
46. შენს სიმაღლესა და საქმეებს ლოცვა გიჩვენებს. წმიდა მამებმა მას მონაზვნის სარკე უწოდეს.
47. ვინც ლოცვის დროს სხვა საქმეს შეექცევა, ასეთს ეშმაკები დასცინიან. ეშმაკის ნება ის არის, რომ ერთი უამით სხვა უამით წაგვართვას.
48. ოუნდაც სრულყოფილად ვერ ლოცულობდე, არ უთხრა უარი, როცა ვინმე ლოცვას გთხოვს, პირიქით, შემუსვრილი გულით ილოცე მისთვის; რადგან მთხოვნელის სარწმუნოებას ხშირად გულშემუსვრილად მლოცველიც უცხონებია.
49. ფრთხილად იყავი და არ იამაყო, თუ სხვისთვის ილოცებ და ღმერთი შენს ლოცვას შეისმენს. იცოდე, რომ უფალმა მათი რწმენის გამო მოგანიჭა მადლი.
50. ყოველი მასწავლებელი ცდილობს, ყოველდღე გაიგოს, თუ რა ისწავლა მისგან ბავშვმა. უფალიც ლოცვის დროს ყოველდღიურად მოელის ყოველი გონებისგან იმ ძალას, რომელიც ღმერთმა მიანიჭა.
51. როცა კარგად ილოცებ, მაშინ გაგიმართავენ მტრები ბრძოლას. ასეთია, საერთოდ, მათი ჩვეულება.
52. ყოველგვარი სათნოება, მით უმეტეს, ლოცვა, გულისხმიურად, გულმურვალედ უნდა აღსრულდეს.
53. სული მაშინ ლოცულობს მურვალედ, როცა მრისხანებას დაძლევს.
54. მტკიცეა ყოველი საქმე, რომელიც დიდი თხოვნის, შრომისა და დროის ფასად არის მოპოვებული.
55. ვისაც უფალი საკუთარ წიაღში მოუპოვებია, მას ლოცვის სიტყვიერად სწავლა აღარ სჭირდება, რადგან “სულ-თქუმითა

- მით „უსიტყუელითა” (რომ. 8. 26) თავად სულიწმიდაა თავისივე თავის წინაშე მისთვის მეოხი.
56. ლოცვის დროს არ მიიღო ხილული ოცნება და ჩვენება. გაითუ, გაგიუდე და გონებიდან შეცდე.
  57. ჩვენს ყოველგვარ თხოვნაზე დასტური ლოცვის დროს გვეძლევა.
  58. დასტური ყოველგვარი ეჭვისგან გათავისუფლებაა.
  59. დასტური უცნობის ზუსტი ცნობაა.
  60. ძალიან მოწყალე იყავი, თუ წმიდა ლოცვას ეძიებ; რადგან მისი საშუალებით მონაზვნები ასეულს მოიპოვებენ, ხოლო დანარჩენები – დანარჩენს.<sup>1</sup>
  61. როცა სულში გულმხურვალების ცეცხლი აგიზგიზდება, მაშინ ლოცვა აღსდგება და აღემართება. როცა ლოცვა აღსდგება და ცად ამაღლდება, მაშინ მოხდება საღმრთო ნათელის გარდამოსვლა სულის სახლში.
  62. მავანი ამბობს, რომ ლოცვა უფრო დიდია, ვიდრე სიკვდილზე ფიქრი. მე კი ვადიდებ ორბუნებოვან ერთ გვამს.
  63. კარგი ცხენი, როცა გაირებენს და გახურდება, სიჩქარეს უმატებს. სირბილში ლოცვა-გალობას ვგულისხმობ, ხოლო ცხენში – მამაც გონებას.
  64. ასეთი გონება შორიდანვე გრძნობს ბრძოლის მოახლოებას, და რადგან წინასწარ ემზადება, უკუნისამდე დაუმარცხებელი იქნება.
  65. სისასტიკეა, როცა მწყურვალს პირიდან გამოსტაცებენ წყალს. რაოდენ დიდი სისასტიკეა, როცა ლმობიერებით მლოცველ მოღვაწე მონაზონს ლოცვის დამთავრებაში ხელს უშლიან.
- 
1. დანარჩენში გულისხმობს ოცდაათეულსა და სამოცეულს. ერისკაცები, რომლებიც დაქორწინებულნი არიან და მეუღლებთან წმინდად ცხოვრისენ, ოცდაათეულს მოიგებენ, უქორწინებელნი და ქალწულობის დამცველნი – სამოცეულს, ხოლო ასეულს მოიგებენ ისინი, ვინც სრულად მოიძულა წუთისოფელი და ღმერთს მისდევს.

66. არ შეწყვიტო და არც მოგწყინდეს ლოცვა, ვიდრე არ ნახავ, რომ ცეცხლი და წყალი დაგიბრუნდა.<sup>2</sup> ვაითუ, ცოდვათა შენდობისთვის სხვა შესაფერისი ჟამი ცხოვრებაში აღარ დაგიდგეს.
67. ვინც ლოცვის გემო იხილა, ხშირად ერთი სიტყვითაც კი შემწიკვლავს თავის გონებას, და ლოცვაზე დამდგარი ჩვეულ საწადელ სიტყბოებას ვეღარ პოულობს.
68. სხვაა გულის ზედამხედველობა და სხვა – მთავარი და მღვდელთმოძღვარი გონების მიერ გულის ეპისკოპოსობა, რომელიც სიტყვიერ მსხვერპლს სწირავს ქრისტეს.<sup>3</sup>
69. როგორც ერთი ღვთისმეტყველი ამბობს, ზეციდან მოსული წმიდა ცეცხლი ზოგიერთს მისი სიწმინდის სიმცირის გამო წვავს, ზოგიერთს კი მისი სრულყოფილების შესაბამისად განანათლებს. ამ ცეცხლს მწველიც ეწოდება, განმანათლებელიც და განმწმენდელიც იმიტომ, რომ ზოგიერთი ლოცვის შემდეგ ისე იწმინდება, თითქოს ცოდვათა ნივთის შემწველი ქურიდან გამოსულიყოს; სხვები სინათლით აღვსილნი, ზეციური სიმდიბლითა და სიხარულით შემოსილნი არიან ლოცვის დამთავრებისას; ხოლო ვინც ლოცვის შემდგომ ამ ორის
- 
2. გულისხმობს შემდეგს: თუ დიდი სიამაყის გამო ღვთისგან ბოძებული ცრემლება და ლმობიერების ცეცხლი დაკარგე, არ შეწყვიტო ლოცვა, ვიდრე ღმრთივმონიჭებული ცრემლები და ლმობიერების ცეცხლი არ დაგიბრუნდება, რადგან, არ ვიცი, სხვაგარად როგორ შეიძლება ცოდვათა მიღევების მიღება.
3. მამა ზედმხედველობაში გონიერებას გულისხმობს, ხოლო ეპისკოპოსობაში – შემდეგს: სული ეპისკოპოსის მსგავსად უნდა ბატონობდეს ვნებებზე. ამიტომაც დასძინა: მთავარი და მღვდელთმოძღვარი გონების მიერო. გულის ზედამხედველობა უფრო დაბალი საფეხურია და ამ დროს კაცი თვალყურს ადევნებს და ებრძვის ვნებებს. ეპისკოპოსობა კი ვნებების სრული დაუფლება და მათზე ბატონობაა. ამ დროს გონება არის მთავარი, რომელიც ხორციელ ვნებებს მართავს და აცხობს. გონების მღვდელთმოძღვრობა კი იმას ნიშნავს, როცა გონება ყოველ აზრს წმინდად სწირავს ლოცვის წმიდა საგურთხეველზე.

- გარეშე რჩება, ასეთს ხორციელად, და არა სულიერად ულოცავს.
70. თუ ხორცს სხვა ხორცთან შეხებისას ეცვლება იერი და ბუნება, მაშინ როგორ შეიძლება არ შეიცვალოს ის, ვინც ღვთის ხორცს უცოდველი ხელით ეხება?!
  71. ამქვეწიურ მეფეთა მსგავსად, ჩვენი სახიერი მეუფე თავის მეომრებს ზოგჯერ თავად მიმადლებს ნიჭის, ზოგჯერ – მეგობრის ხელით და ზოგჯერ – ფარულად. მაგრამ მადლს ჩვენი სიმდაბლის შესაბამისად ამრავლებს ჩევნში.
  72. რომდენადაც მიწიურ მეფეს სძაგს, როცა მის წინაშე მდგომი ადამიანი პირს იბრუნებს და მეფის მტერს დაუწყებს საუბარს, იმდენად საძაგელია უფლის თვალში ის, ვინც ლოცვაზე დგომის ჟამს უწმინდურ აზრებს ღებულობს.
  73. როცა გონების მიმტაცებელი ძალლი მოვა, ლოცვის საჭურ- ვლით განდევნე, და არაფერი დაუთმო, რაც უნდა გააფთოდეს.
  74. გლოვით ითხოვე, მორჩილებით ეძიე და მოთმინებით რეკე, რადგან ვინც ამგვარად ითხოვს – მიიღებს, ვინც ეძებს – იპოვის და ვინც რეკავს – გაუღებენ (შდრ. მათე 7. 8.).
  75. ფრთხილად იყავი და დედაკაცისთვის ბევრი არ ილოცო. ვაითუ, მარჯვენა მხრიდან გაგძარცვონ.
  76. ლოცვის დროს არ დაიწყო აღსარება, თუ როგორ ჩაიდინე ხორციელი ცოდვები, რათა საკუთარი თავის მკვლელი არ აღმოჩნდე.
  77. ლოცვის დროს არ იკვლიო სულიერი საქმები, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო მეტს დაკარგავ.
  78. ვისაც გამუდმებით ლოცვის კვერთზი უპყრია, ის არ წაბორ- მიკდება. რამეც რომ შეემთხვას და წაბორძიკდეს, არ დაეცემა, რადგან ლოცვა საღმრთო და ტკბილი ბორკილია, რომე- ლიც კაცს ბოროტებამდე არ მიუშვებს (შდრ. ლუკა 18. 5.).
  79. ლოცვის სარგებელს იმით ვცნობთ, რომ მტრები ისე არას- დროს გვებრძვიან, როგორც ლოცვის დროს. ლოცვის ნა-

- ყოფს კი მაშინ ვცნობთ, როცა მტრები სრულიად და-მარცხდებიან. “ამით ვცან, რამეთუ მინებე მე, რამეთუ არა უხაროდის მტერსა ჩემსა ჩემ ზედა” ბრძოლის დროს (ფსალმ. 40. 12).
80. მეფისალმუნე ამბობს: “ღაღად-ვყავ ყოვლითა გულითა ჩემი-თა” (ფსალმ. 118. 145), ანუ ღაღად-ვყავ პირით, სულითა და გულით, რადგან სადაც ლოცვის დროს სული და გონება ერთად შეიკრიბება, ღმერთიც იქ, მათ შორის იქნება.
  81. ხორციელად თუ სულიერად ყველა ერთნაირი არ არის. ზოგიერთი – სწრაფად, ზოგიერთი კი ნელა ფსალმუნებს, რადგან პირველნი გონებაგაფანტულობას ებრძვიან, ხოლო მეორენი – უსწავლელობას.
  82. თუ უფალს მტრებისთვის განუწყვეტლივ ევედრები, დარწმუნებული იყავი, რომ მათი მოახლოებისას დიდი ძალისხმევა არ დაგჭირდება და თავად გაგეცლებიან, რადგან ამ უწმინდურებს არ სურთ, მათთან ბრძოლაში გვირგვინი მიიღო, და ლოცვისგან გვემულნი ისევე გაიქცევიან, როგორც ცეცხლისგან.
  83. იყავი მამაცი და ამგვარად გახდება ღმერთი შენი ლოცვის მასწავლებელი.
  84. როგორც მხედველობაა ბუნებრივი და სიტყვით არ ისწავლება, ისე ლოცვის მშვენიერებას სიტყვით ვერ გასწავლის სხვა. მისი მასწავლებელი ღმერთია. ლოცვა სიტყვები კი არ არის, რომელთაც გაიგებ და დაისწავლი, ან რამე ხელობა, რომელსაც სხვისგან ისწავლი, არამედ ლოცვის მასწავლებელი ღმერთია, “რომელმან ასწავის კაცთა მეცნიერებაზ” (ფსალმ. 93. 10), მლოცველებს სათხოვარს უსრულებს და ”აკურთხნის წელიწადნი მართლისანი”, რამეთუ მისია დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



## თავი რცდამეცხრე

აისივა თქმული

უპეაბობისთვის, სრულყოფილებისა და სულიერი  
აღდგომისთვის უფიციანუს საყოველთაო აღდგომისა

1. აპა, ჩვენ, უცოდინრობის ღრმა მღვიმეში, ვნებათა სიბნელესა და ამა ხორცთა “აჩრდილთა სიკუდილისათა” – ში ჩაცვენილნი, კადნიერებით ვიწყებთ იმ უმაღლეს სამყაროზე მსჯელობას, რომელსაც უვნებობა ჰქვია. ხილული ცის კაბადონს ვარსკვლავები ამკობს, ხოლო უვნებობას – სათნოებები. ჩემი აზრით, უვნებობა სხვა არაფერია, თუ არა გულისა და გონების ცა, რომელიც ნიავად მიიჩნევს ეშმაკის ნებისმიერ ბრძოლას.
2. ვნებებისგან ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანი ის არის, ვისაც თავისი სხეული უგნებლად და უხრწიელად უქცევია, გონება ქმნილებისგან აღუმაღლებია და ყოველი გრძნობა მისთვის დაუმორჩილებია, სული უფლის წინაშე წარუდგენია და საკუთარ შესაძლებლობაზე ამაღლებით ყოველთვის მისკენ მიისწრაფის. ზოგიერთი ამბობს, რომ უვნებობა სულის აღდგომაა ხორციელ აღდგომადე. სხვების აზრით, უვნებობა და ღვთის შეცნობაა ანგელოზთა დარად ან ცოტათი ნაკლებად.<sup>1</sup>
3. როცა სრულყოფილთა უსასრულო სრულყოფილება სრულად ეწვევა კაცს, როგორც ამაში გამოცდილი ერთი ვინმე მიამბობდა, ადამიანის გონებას იმდენად განწმენდს და ამჭერიურ მატერიაზე იმდენად ამაღლებს, რომ მისი მუსლინ.
1. უვნებლები განუძღომლად მიისწრაფიან მათი სურვილის საგნისკენ და ამგვარად სრულყოფილების პროცესი ხდება უსასრულო, რაღაც საუკუნო სიკეთე დაუსრულებელია.

- იქნება რა ამა ქვეყნიდან ზეციურ ნავსაყუდელში ატაცებული, ცხოვრების უმეტეს ნაწილს ჭვრეტაში გაატარებს. ამიტომ ამბობდა ის, ვისაც ეს ჰქონდა გამოცდილი: “ღმრთისა ძლიერნი ქუეყანით ფრიად ამაღლდეს” (ფსალმ. 46. 10).
4. ასეთი იყო ის ეგვიპტელი, რომელიც სხვებთან ერთად ლოცვის დროს ყოველთვის ვერ კადრულობდა ზეცად ხელის ხანგრძლივად აღკყრობას.<sup>2</sup>
  5. არსებობს უვნებელი ადამიანი, და არსებობს უვნებელზე უფრო უვნებელიც (აქ და ყველგან უვნებელი – ვენებები-სგან თავისუფალი – რედ). პირველს ძლიერ სტულს ბოროტება, ხოლო მეორე მეტად მდიდარია სათნოებებით.
  6. ქალწულობის დაცვასაც უვნებობას უწოდებენ, და სამართლიანადაც, რადგან ის არის საყოველთაო აღდგომისა და ამ ხრწნადი ბუნების უხრწნელების წინამსრბოლი.
  7. უვნებობა აჩვენა იმან,<sup>3</sup> ვინაც თქვა: “გონებად ქრისტესი გუაქუს” (1 კორინთ. 2. 16).
  8. უვნებობა აჩვენა იმ ეგვიპტელმა,<sup>4</sup> რომელმაც თქვა: “არ მე-შინია უფლის”.
  9. უვნებობა აჩვენა იმან, ვინაც ვნებების უკან მოსაქცევად და მათთან შესაბრძოლებლად ილოცა.<sup>5</sup>
  10. ამა საწუთოში უწინარეს მერმინდელი საუკუნისა ვის მოუპოვებია ისეთი სრულყოფილება, როგორიც ერთმა ასურელმა?!<sup>6</sup> სახელოვანი და დიდი წინასწარმეტყველი დავითი უფალს ეუბნებოდა: “მიღწინე მე, რაღთა განმისუენო” (ფსალმ. 38. 14); ხოლო უფლის ეს უდიდესი მოღვაწე ამბობდა: “უფალო, დააცხვრე მადლის ტალღები!”

- 
2. მამა ტითოის გულისხმობს.
  3. გულისხმობს პავლე მოციქულს.
  4. მამა ანტონს გულისხმობს.
  5. გულისხმობს იოანე მოკლეს.
  6. გულისხმობს მამა უფრემს.

11. უკნებობაში იმყოფება ის სული, რომელსაც ისევე მხურვალედ სწადია სათნოებები, როგორც ვნებულებს – გულისტქმები.
12. თუ უკიდურესი ნაყროვანებაა, როცა ჭამის სურვილი აღარ აქვთ და მაინც აიძულებენ თავს, ჭამონ, მაშინ უკიდურესი მარხვა ყოფილა ისიც, როცა მშიერ სხეულს უმიზეზოდ მაინც არ აძლევენ საზრდელს.
13. თუ სიძინსმოყვარეობის უკიდურესი გარეგანი გამოვლინებაა, როცა პირუტყვთა და უსულო საგნების მიმართაც ვნება ეუფლებათ, მაშინ უკიდურესი სიწმინდეა ისიც, როცა ვნებისაღმმვრელ საგნებსაც ისე უყურებენ, როგორც უსულოს.
14. თუ ვერცხლისმოყვარეობის უკიდურესი ზღვარია ის, როცა სიმდიდრის შეგროვებით ვერ ცხრებიან და ვერ ძლებიან, მაშინ სრულყოფილი უპოვარებაა ის, როცა საკუთარ ხორცისაც აღარ ინდობენ.
15. თუ უდიდესი მოწყენილობაა ის, როცა განსვენებით ყოფნის დროსაც მოთმინებას ვერ იჩენენ, მაშინ რაოდენ დიდია მოთმინება, როცა ჭირს მოთმინებად შერაცხავენ.
16. თუ უდიდესი მრისხანების გამოვლინებაა ის, როცა მარტო ყოფნის ჟამსაც მრისხანებენ, მაშინ რაოდენ დიდი ყოფილა მოთმინება, როდესაც შემსწუხებელს მეგობარივთ ეპყრბიან.
17. თუ უდიდესი პატივმოყვარეობაა, როცა ირგვლივ არავინაა მაქებარი და მაინც თავის გამოსაჩენად იღვწიან, მაშინ რაოდენ დიდი უნდა იყოს სიმდაბლე, როცა ხალხში ყოფნის დროსაც კი აზრად არ მოსდით, თავი გამოიჩნონ.
18. თუ ამპარტავნების ნიშანია ის, როცა უბრალო საქმის გამო ამაყობენ, მაშინ სიმდაბლის გამოხატულება ყოფილა ის, როცა თავიანთ უდიდეს სათნოებებსაც კი არაფრად მიჩნევენ.

19. თუ ვნებულებაა ის, როცა ეშმაკთა მიერ დათესილ აზრებს მისდევენ, მაშინ სანატრელი უვნებობის მანიშნებელი ყოფილა ის, როცა ადამიანს ნამდვილად შეუძლია თქვას: “გარე-მიქცევად ბოროტისად ჩემგან მე არა უწყოდე” (ფსალმ. 100. 4), არ ვიცი, როგორ ან რისთვის მოვიდა, ან როგორ წავიდა. ბოროტის საქმეებისა სრულიად არაფერი გამეგება, მთლიანად ღმერთთან ვარ შეერთებული და დაე, მარადის მასთან ვიყო.
20. ვინც ამ წუთისოფელში მსგავსი საზომის მიღწევის ღირსი შექმნილა, მისთვის თავად ღმერთი გამხდარა მასწავლებელი, რომელიც მასში დამკვიდრებულა და საღმრთო ნათლით გაბრწყინებულს შინაგანად ღვთის ხმა ესმის ყველა სხვა ხილულ ხმაზე მეტად.
21. “ოდეს-მე მივიდე და ვეჩუენო პირსა ღმრთისასა” (ფსალმ. 41. 3), რადგან ვეღარ ვიოკებ მძაფრ სურვილს და იმ სიკეთეს ვეძიებ, რომელიც თიხით შემოსვამდე მომემადლა.
22. ვინ შეძლებს უვნებობაზე ვრცლად საუბარს? არათუ იგი, არამედ ქრისტე ცოცხლობს მასში (შდრ. გალაზ. 2. 20), როგორც ამას ამბობს ის, რომელსაც “ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს, სრბად აღმისრულებიეს, სარწმუნოებაზე დამიმარხავს” (2 ტიმოთე 4. 7).
23. როგორც მეფის გვირგვინი მხოლოდ ერთი პატიოსანი ქვით არ მზადდება, ისე უვნებობა არ მიღწევა, თუ რომელიმე ერთი სათნოების მიმართ დაუდევრობას გამოიჩენენ.
24. წარმოიდგინე, რომ უვნებობა არის დიდი მეუფის სასახლე, სადაც უამრავი სავანეა და რომლის გალავანიც ცოდვათა მიტევებაა.
25. გავიქცეთ, ჩემო ძმებო! გევედრებით, გავიქცეთ და ვიჩქაროთ დიდი მეუფის სასახლესა და სასიხარულო ქორწილში შესვლა. თუ ცოდვათა სიმბიმისა და ბოროტ ჩვეულებათა მიზეზით ვერ შევდივარო ქორწილში (აი, განსაცდელი!)

მაშინ ის მაინც ვეცადოთ, რომელიმე სავანეს მივაღწიოთ. თუ იქამდეც ვერ მივდივართ, მაშინ გალავნის გარეთ მაინც არ დავრჩეთ და ყოველნაირად ვეცადოთ შიგნით შესვლა; რადგან ვინც უწინარეს აღსასრულისა გალავნის შიგნით არ შევა, უდაბნოში დაიკარგება და მხეცები შეჭამენ. ამიტომ ლოცულობდა წინასწარმეტყველი: “ლვთისა ჩემისა მიერ გარდავჰჯედ ზღუდესა” (ფსალმ. 17. 30). სხვა წინასწარმეტყველი ლვთის სახელით ამბობდა: “არამედ ცოდვანი თქუენნი განსწვალებენ შორის თქუენსა და ღმრთისა” (ესაია 59. 2).

26. პიო, საყვარელნო, დავნერიოთ გალავნის შუაკვდელი, რომელიც ურჩობის შედეგად აგვიშენებია და აქვე ვეცადოთ, გვაპატიონ ვალები, რადგან ჯოჯოხეთში არც შვებაა და არც სინანული. მოვიცალოთ და გავაცნობიეროთ, რომ თავს ვერ ვიმართლებთ ვერც ცოდვათა სიმრავლით, ვერც ტვირთის სიმძიმით, ვერც დრო-ჟამის მუხანათობით, ვერაფრით; რადგან ვინც მეორედ შობის საბანელით უფალი შეიწყნარა, “მოსცა მათ წელმწიფებად შვილ ღმრთისა ყოფად” (იოანე 1. 12), და თქვა: “მოიცალეთ და გულისწმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი” (ფსალმ. 45. 11), უვნებობა და სიწმინდე, რომლისა არს დიდება უკუნიოთ უკუნისამდე, ამინ.

სანატრელი უვნებობა გლახაკთა გონებას ვნებათა მწვირისგან აღადგენს და მიწიდან ზეცად აამაღლებს (შდრ. იონა 1. 12), ხოლო ყოვლადქებულმა სიყვარულმა „დასუას იგი მთავართა თანა (ანგელოზთა), მთავართა თანა ერისა“ უფლისათა (შდრ. ფსალმ. 45. 11).



## თავი ၃ რცდამეათი

მისივა,ჩვენი ფაილა გააის, იოანე სინელი იღუშების მიერ თქმალი  
სათხოებათა სამების – სარჯოუნოების, სასომბისა და  
სიყვარულის – შესახებ

1. “ზოლო აწ”, ზემოთქმულის შემდგომ “ესერა ჰგიეს სარ-  
წმუნოებად, სასოებად და სიყუარული”. ეს სამი სათხოება  
ყოველივეს განამტკიცებს და იცავს, “ზოლო უფროდს ამათსა  
სიყუარული”, რადგან მას ღმერთი ეწოდება (შდრ. 1 კო-  
რინთ. 13. 13). ჩემი თვალთახედვით, პირველი მცხუნვარებაა,  
მეორე – სინათლე, ზოლო მესამე – მზის თვალი; სამივე  
ერთად კი ბრწყინვალება და შარავანდედია, რადგან პირვე-  
ლი ყოვლისშემძლება, მეორე ღვთის წყალობითაა გარემოცუ-  
ლი, ზოლო მესამე არც ვარდება, არც სრბისგან ცხრება და  
არც მისეან დაისრულ გულს აძლევს ნებას საღმრთო  
ტრფალებისგან შესვენებისა.
2. ვისაც სიყვარულზე სიტყვის თქმა სურს, მას ღმერთზე  
მსჯელობა გაუბედავს; ღმერთზე მსჯელობა კი დიდი საც-  
დურია უკრძალველთათვის.
3. სიყვარულზე სიტყვის თქმა მხოლოდ ანგელოზებისთვისაა  
საცნაური, ისიც ამ უკანასკნელთა ბრწყინვალებისდა შესა-  
ბამისად.
4. “ღმერთი სიყუარული არს” (1 იოანე 4. 8). ვისაც მისი  
საზღვრის გამოთქმა მოუწადინებია, იგი ბრმაა და ფსკერზე  
ქვიშას ითვლის.
5. სიყვარული თავისი ბუნებით ღვთის მსგავსებაა, რამდენა-  
დაც ეს ადამიანისთვისაა შესაძლებელი და ხელმისაწვდომი;  
საქმით ის სიკეთით სულიერი თრობაა, ზოლო გარეგნუ-

- ლად სარწმუნოების წყარო, მოთმინების უფსკრული და თავმდაბლობის ზღვა არის.
6. სიყვარული ყოველგვარი წინააღმდეგომი აზრისგან განშორებაა, რადგან “სიყუარული ბოროტსა არა იგონებს” (1 კორინთ. 13. 5).
  7. სიყვარული, უვნებობა და ღვთის შვილობა მხოლოდ სახელით განსხვავდება ერთმანეთისგან; სინამდვილეში კი ერთია, ისევე, როგორც ცეცხლი, ალი და სინათლე.
  8. რამდენადაც სიყვარული კლებულობს, იმდენად მრავლდება შიში. ვისაც შიში არ აქვს, ის ან სიყვარულითაა სავსე, ან სულლიერადაა მკვდარი.
  9. არაფერი გვიშლის ხელს, რომ ღვთის შიშის, მოღვაწეობის, კეთილი შურის, ღვთის სიყვარულისა და მონების მაგალითები მოვიშველით.
  10. ნეტარია ის, ვისაც ღვთის ისეთი სიყვარული აქვს, როგორიც ვნებიან მოტრფიალეს – თავისი სატრფოს მიმართ.
  11. ნეტარია ის კაცი, ვისაც ისევე ეშინა უფლისა, როგორც დასჯილს – მსაჯულისა.
  12. ნეტარია ის, ვისაც ისევე სწადია უფალი, როგორც შშიერს – პური.
  13. ნეტარია ის, ვინც ისევე ცდილობს დაემონს უფალს, როგორც ერთგული მონები – თავიანთ ბატონს.
  14. ნეტარია ის, ვისაც ისეთივე მოშურნეობა აქვს სათნოებებისა, როგორც დიდებისმოყვარე ადამიანებს – ამსოფლიური სამეუფო პატივისა.
  15. ნეტარია ის, ვინც ლოცვის დროს ისეთივე შიშით დგას ღვთის წინაშე, როგორც მხედარნი – მეფის წინაშე.
  16. ნეტარია ის, ვინც ისევე ცდილობს უფლის მომადლიერებას, როგორც მეგობრები – ერთმანეთისას.
  17. ჩვილ ყრმას დედისკენ ისეთი ლტოლვა არ აქვს, როგორიც სიყვარულის შვილს – უფლისკენ.

18. როცა ვინმეს მიმართ ძლიერი სიყვარული და ტრფიალება აქვთ, გამუდმებით სატრფოს სახის დანახვზე ოცნებობენ და შინაგან ტკბობას განიცდიან. ძილშიც კი არ უნელდებათ მისი სურვილი და სატრფოს ხედავენ. ასე ხდება ხორციელი თუ უხორცო სიყვარულის დროს.
19. მავანი ამგვარი სიყვარულით დასწეულდა და საოცარი სიტყვები თქვა: “მძინავს ხორციელი ბუნებიდან გამომდინარე, მაგრამ გული ჩემი ფხიზლობს დიდი სიყვარულისა მიზე-ზით”.
20. პო, ნეტარო, იცოდე: რაეამს ირემი (რომელიც არის ახო-ვანი სული) გაანადგურებს შხამიან ქვეწარმავლებს, მაშინ “ჰსურის და მოაკლდების... ღმრთისა მიმართ” (ფსალმ. 83. 2), რადგან ისევე იწვის სიყვარულის ცეცხლით, როგორც მწარე წამლით.
21. შიმშილის მოქმედება გაურკვეველია და უჩინარი, ხოლო წყურვილი ძლიერ, ცხადად მოქმედებს და ყველასთვის თვალსაჩინოა. ამიტომ ამბობდა ის, ვისაც “სუროდა ღმრთისა მიმართ”: “სწყურის სულსა ჩემსა ღმრთისა მი-მართ... ცხოველისა” (ფსალმ. 41. 3).
22. თუ მეგობრის დანახვა სიხარულს გგვრის, მაშინ რაღა მოხდება, როცა წმიდა გული უხილავად იხილავს ღვთის პირს?!?
23. სულის მხურვალებით ნაშობი ღვთის შიში დაშრეტს და მოსპობს ჭუჭყს. ნათქვამია: “განმშჭუალენ შიშითა შენითა წორცნი ჩემნი” (ფსალმ. 118. 120); ხოლო წმიდა სიყ-ვარული ზოგიერთს ისევე შესჭამს, როგორც იმ წინასწარმეტყველს, რომელიც ამბობდა: “შეიწვნეს გულნი ჩუენნი”; ზოგიერთს კი განაბრწყინებს და სიხარულით აღავსებს, თანახმად ნათქვამისა: “მას ესვიდა გული ჩემი და შეწევნულ იქნა, და შხიარულ იქმნეს წორცნი ჩემნი” (ფსალმ. 27. 7). “გულისა მხიარულისა პირიცა მხიარულ არნ” (იგავნი 15. 13).

24. როცა ადამიანი სრულად შეეზავება ღვთის სიყვარულს, მაშინ ამ უკანასკნელის სულიერ ბრწყინვალებას სარკის მსგავსად წარმოაჩენს მისი გარეგნობაც. ასე განდიდდა ღვთის მხილველი მოსე. ვისაც ამგვარი ანგელოზებრივი სიმაღლისთვის მიუღწევია, მას ხშირად ხორცთა საზრდელიც კი დავიწყნია. ან რა გასაკვირია ეს?! – ხშირად ბოროტი სურვილებით შეპყობილებსაც ავიწყდებათ ჭამა.
25. ვფიქრობ, ვინც უხრწნელების მსგავს საზომს აღწევს, ისინი აღარ ავადდებიან, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე; რადგან მათში ისევე განადგურებულია სწორების ყოველგვარი მიზეზი, როგორც მხურვალების ალია დაშრეტილი. არც საზრდელი ჰგვრით რამე სიამოვნებას. წყალი ხის ფეხებს კვებავს, ხოლო ზეციური ცეცხლი – მათ სულებს.
26. ღვთის შიშის აღორძინება სიყვარულის დასაბამია, ხოლო სრულყოფილი სიყვარული – ღვთისმეტყველების დასაწყისისა.
27. ვინც მთელი თავისი გრძნობებით ღმერთთანაა შეერთებული, მას ღვთის სიტყვის საიდუმლო უსწავლია; სხვაგვარად წარმოუდგენელია ღმერთზე საუბარი.
28. თანაარსი სიტყვა სიწმინდეს სრულყოფს და თავისი მოსვლით სიკვდილს კლავს; და როცა სიკვდილი მოიკვლება, მაშინ ღვთისმეტყველების მოწაფეც განათლდება.
29. უფლის სიტყვა უკუნიოთ უკუნისამდე უამიერობს. ვისაც უფალი ღმერთი ჯერისაებრ არ შეუცნია, ის საკუთარი შეხედულებისამებრ მსჯელობს.
30. სიწმინდემ და სიყვარულმა საყვარელი მოწაფე ღვთისმეტყველად აქცია, რომელმაც თავისი სიტყვებით ყოვლადწმიდა სამების სარწმუნოება დაამტკიცა.
31. ვისაც უფალი უყვარს, მან თავდაპირველად ქმა შეიყვარა, რადგან ჰირველის ნიშანი მეორეა.
32. ვისაც მოყვასი უყვარს, სხვების ლანძლვას არასდროს დაუგდებს ყურს და ისევე გაიქცევა, როგორც ცეცხლისგან.

33. ვინც ამბობს, რომ უფალი უყვარს, მაგრამ თავისი ძმა სძულს, იმ კაცს ჰგავს, ძილში რომ მირბის.
34. სიყვარულის ძალა იმედია, რადგან სიყვარულის საზღაურს იმედით მოველით.
35. იმედი უხილავი სიმღიდრით გამდიდრებაა.
36. იმედი საუნჯის უეჭველი ფლობაა საუნჯის მიღებამდე.
37. იმედი შრომაში განსვენებაა, სიყვარულის კარია, სასოწარკვეთილების შემუსვრაა და საუკუნო მომავლის საწინდარია.
38. იმედის მოკლება სიყვარულის გაუჩინარებაა. იმედზე ჰქიდია ჩვენი მოღვაწეობა და შრომა, რომელიც წყალობითაა გარემოცული.
39. სასოების მუშაკი მონაზონი მოწყენილობის მკვლელია, რადგან იმედის მახვილით ჰქლავს მოწყენილობას.
40. როცა უფლის მადლს იგემებენ, სასოებაც უჩნდებათ. ვისაც ეს მადლი არ უგემნია, შეუძლებელია, არ ჰქონდეს ეჭვი.
41. სასოებას მრისხანება ანადგურებს, რადგან სოლომონის სიტყვისამებრ: სასოება არასდროს შერცხვება, “ზოლო კაცი გულმწყრალი არა შუენიერ” (იგავნი 11. 25).
42. სიყვარული წინასწარმეტყველების სათავეა.
43. სიყვარული სასწაულთა მომნიჭებელია.
44. სიყვარული ბრწყინვალების უფსკრულია.
45. სიყვარული ცეცხლის წყაროა, რომელიც რამდენადაც აალდება, იმდენად დაწვავს მწყურვალს.
46. სიყვარული ანგელოზთა ძლიერებაა.
47. სიყვარული სამარადისო წინსვლაა.
48. ჰო, სათნოებათა შორის უმშვენიერესო! გვითხარ, სად აძოვებ შენს ცხვრებს ან სად იმყოფები? განგვანათლე, გვასვი წყალი, წარგვიძებ და აღმოგვიყვანე, რადგან შენ ბატონობ ყოველივეზე და შენთან ამოსვლა გვსურს. შენ ააგიზგიზე ჩემს სულში ცეცხლი და ვეღარ ვუძლებ მის ალს. ამიტომ

სამარადისოდ გიგალობ: შენ მპრძანებლობ ზღვაზე, შენ აცხრობ მის ღელვას, შენ, როგორც წყლულს, ისე ამდაბლებ ამპარტავნულ ზრახვებს; შენი მკლავის ძლიერებით იფანტებიან მტრები და შენს მოყვარულებს უძლეველად აქცევ (შდრ. ფსალმ. 88. 10-11).

მინდა შევიტყო, როგორ გიხილა შენ იაკობმა კიბის თავში; რისი მსგავსია ამ კიბეზე აღსვლა? – მაუწყე ამის მსურველს! რას ნიშნავს ან როგორია საფეხურთა განლაგება? მაუწყე, რომელ საფეხურზე ასვლა დაისახა გულში შენმა ტრფიალმა? ან რამდენი საფეხურია, ამის გაგება მწყურია. ან რამდენი ხანი სჭირდება მასზე ასვლას? როგორც შენმა მოყვარულმა იაკობმა გვასწავლა, წინამძღვრები ანგლოზები არიან.

49. ბოლოს ზეცით მოიხილა სათნოებათა მეუფემ და მითხრა ფურში სულისა ჩემისა: “ჰოი, ჩემო ტრფიალო! თუ ამა საწუთოს სიტლანქეს ვერ დააღწევ თავს, ჯერისაებრ ვერ იხილავ ჩემს მშვენებას. კიბის ხარისხსა და აგებულებაზე წაიკითხე და მაშინ იხილავ და სცნობ სათნოებათა სულიერ წყობილებას. ყოველივე ამის თავში კი მე ვარ მჯდომარე. როგორც ჩემი საიდუმლოს მსახური, დიდი პავლე ამბობს: “ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოებად, სასოებად და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროდს ამათსა სიყუარული არს” (1 კორინთ. 13. 13).



მოპლე დარიგება, რომელიც შეიცავს იმას, რაც ამ  
ფიგური ვრცლად იყო ნათქვაში

„**კ**ვიდეთ, მმებო, გულმოდგინედ ავიდეთ ამ აღსასვლელზე,  
რადგან ხომ გსმენიათ, რას ამბობს წინასწარმეტყველი:  
“მოვედით, აღვიდეთ მთად უფლისა და სახიდ ლმრთისა იაკო-  
ბისსა” (ესაია 2. 3), ვინც “განამტკიცნა ფერწენი ჩემნი ვითარცა  
ირემთანი და მაღალთა ზედა დამადგინა მე” ძლევად გალობითა  
მისითა (ფსალმ. 17. 34). გევედრებით, გავიქცეთ მასთან ერთად,  
რომელიც ამბობს: ვიჩქაროთ, “ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი  
ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ლმრთისასა  
მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტე-  
სისა” (ეფეს. 4. 13), რომელმაც ხილული ხორცით ოცდაათი  
წლისამ იღო ნათელი. ის ამ სულიერი კიბის ოცდამეათე საფე-  
ხურზეა დაბრძანებული, რადგან სიყვარული ღმერთია, რომელ-  
საც ეკუთვნის გალობა, სიმტკიცე და ძალი, ის არის, იყო და  
იყოს ყოველი სიკეთის მიზეზი აწ და მარადის და სიკეთისა და  
ნათლის საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.



## სიტყვა მფლობელისა და ფინანსურისადმი,

ნათებამი მისიგა, ჩვენი ენტარი მამის, იოანე სიერლი იღუშების  
მიერ, რომელიც სხვა ზინას სპეცუალ თავმათან მრთად მისცა  
რაითალ იღუშებს, იოანეს, ვინაც მას მონაზვნებისთვის  
სტაგლების დაზმრა სთხოვა

**¶** მერთშემოსილო, ამ მიწიერ წიგნში შენ ყველაზე უკა-  
ნასკნელად გწერ; მაგრამ თუ ჭეშმარიტია ნათქვამი –  
გონებით უკანასკნელნი პატივით ყველაზე პირველნი იყვნენო  
(შდრ. მათე 20. 16), მწამს, რომ ზეციურ საღმრთო წიგნში  
პატივით ყველაზე პირველი წერისარ.

## თავი პირველი

1. ჭეშმარიტი მწყემსი იგია, ვინც თავისი უბიწოებით, გულ-  
მოდგინებითა და ლოცვით წარწყმედილი სიტყვიერი ცხვრე-  
ბის მოძიებასა და აღმართვას შეძლებს.
2. მესაჭე იგია, ვისაც საჯუთარი მრომით, უხილავად აქვს ღვთისგან  
მიღებული ძალა, და არათუ ღელვიდან, არამედ უფსკრული-  
დანაც კი შეუძლია ნავის გამოყვანა.
3. მკურნალი ისაა, ვისი სული და ხორცი ჯანმრთელია და  
უვნებელი, და წამალს არავისგან საჭიროებს.
4. მოძღვარი ის არის, რომელსაც ღვთის თითით დაწერილი  
სიბრძნის წიგნი მიუღია, ეს წიგნია ღმერთის ბრწყინვალე-  
ბის ძალა და სხვა წიგნი მას აღარ სჭირდება.

5. საძაგელია ის მოძღვარი, რომელიც მხოლოდ წიგნებიდან ასწავლის. ასევე საძაგელია ის მხატვარი, რომელიც ვერ ხატავს უმაგალითოდ.
6. ვისაც გსურთ, მიწაზე ასწავლოთ, ზეცაში უნდა ისწავლოთ და საკუთარი საქმეებით ასწავლოთ სხვებს.
7. არ დაგავიწყდეს ის, ვინაც თქვა: არც კაცთათვის, არც კაცთა მიერ ვასწავლი, რადგან მიწიერები სულიერ სწავლებას ვერ განკურნავენ.
8. კარგი მესაჭე ხომალდს გადაარჩენს, ხოლო კეთილი მწყემსი დასწავლებულ ცხვრებს გააცოცხლებს და განკურნავს.
9. რაოდენ მორჩილებით გაჰყვებიან ცხვრები თავიანთ მწყემსის და არ ჩამოშორდებიან, იმდენად მწყემსი მათვის პასუხს აგებს უფალთან.
10. მცონარებისა და ნაყროვანების მიზეზით ჩამორჩენილ ცხვრებს მწყემსმა სიტყვიერი ქვები უნდა ესროლოს, რადგან ესეც კეთილი მწყემსობის სახეა.
11. როდესაც ცხვრები ამა ხორცთა სიცხისა და შრომისგან სულიერ ძილს მიეცემიან, მაშინ სჭირდება მწყემსის მათი გულისთვის ზეცაში ხედვა და სიფხიზლე, რადგან ბევრი სწორედ სიცხეში ხდება მხეცის საკბილო. და როგორც ცხვრებს სიცხეში თაგჩაღუნული სიარული სჩვევიათ, ისე ჩვენც ერთმანეთის მიმართ თავმდაბლობა გვმართებს, რადგან დაწერილია: “სული შემუსრვილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს” (ფსალმ. 50. 19).
12. როცა დამის სიბნელეში სამწეოს მხეცები მოადგებიან, მაშინ მათ მოსაგერიებლად დამის დარაჯად ძალლს აბამენ. შენ კი ვნებათა სიბნელეში სულიერი სამწეოს მცველად და მხეცთა მომსვრელად შენი გონება დაადგინე.

### თავი მეორე

1. სახიერმა ღმერთმა ესეც ჩვენი ბუნების ჩვეულებად აქცია: სწორი მკურნალის დანახვა მაშინაც კი აზარებთ, როცა ვერ კურნავს.
2. პოი, საკირველო მამაო, შენც შეაგროვე წყლულის სალბუნი, დასალევი წამლები, თვალის საფენები, არტაშანი მოტეხილობისთვის, საწმენდი ღრუბელი, მყრალი სუნის გამფანტველი საშუალებები, სისხლის გამოსაშვები და ამოსაწვავი იარაღები, იარის საცხები, საძილე წამლები, საკვეთი დანები და სახვევები დაშავებულთათვის. თუ ყოველივე ეს არ გვექნება, როგორდა ვაჩვენებთ სამკურნალო ხელოვნებას?! საზღაური საქმის, და არა სიტყვების გამო გვეძლევა.
3. სალბუნი არის ზილული ზორციელი ვნებების მკურნალობა.
4. დასალევი წამალი არის შინაგანი ვნებებისგან განკურნება და უხილავი სიბილწისგან განწმენდა.
5. სისხლდენის შემაჩერებელი წამალი არის ლანბლვა-შეურაცხყოფა, რომელიც გულს ტკივილს აყენებს, მაგრამ ამპარტავების სიმსივნესა და სიდამპლეს კურნავს და აღხოცავს.
6. თვალის საფენი არის ამღვრული სულიერი თვალის მრის-ხანებისგან გასაწმენდი მხილება.
7. სისხლის გამოსაღენი იარაღი არის უჩინარი სიმყრალის სწრაფი გამოდენა.
8. ჭეშმარიტი სისხლის გამოდენა არის მკურნალობის მიზნით სწორი დაუყოვნებელი და სასტიკი ყველაზე მაღალი არის მარტინ ტერნაუმის და ნაზი სიტყვებით სწორი დაუყოვნებელი და სისხლის გამოდენის შემდგომ.
9. საწმენდი ღრუბელი არის მწევებისა და მკურნალის მიერ ტკბილი და ნაზი სიტყვებით სწორი დაუყოვნებელი და სისხლის გამოდენის შემდგომ.
10. ამოსაწვავი საშუალება არის ცხონებისა და სინანულის მიზნით გარკვეული ხელი სწორი დაუყოვნებელი და სისხლის გამოდენის შემდგომ.

11. საცხი არის ამოწვის შემდგომ სნეულის სიტყვიერი ან ზორ-ციელი ნუგეშისცემა.
12. საძილე წამალი არის მორჩილის ტვირთის ტვირთვა, რათა მას (მორჩილს – რედ.) მორჩილებით განუსვენონ და საკუთარი სათხოების ვერდასანახად უძილო ძილი და სიბრძავე მოჰვარონ.
13. სახვევი პატივმოყვარეობით დაუძლურებულთა სიკვდილზე ფიქრით განმტკიცებაა.
14. ყველაზე უკანასკნელი არის დანა, ანუ უკურნებელი და დამპალი სულიერი ასოს განაჩენი და მოკვეთა, რათა სხეულის სხვა ორგანოებიც არ დააავადოს და ქეცი არ შეჰვაროს.
15. ექიმისთვის სასურველია სიმყრალის გამფანტველი საშუალება, რისი ფლობის შემთხვევაშიც სიმყრალეს ვეღარ გრძნობენ. ასევე, წინამძღვრებისთვის სანატრელია უვნებობა. როცა მყრალ სუნს ვერ გრძნობენ, ადვილად კურნავენ ყოველგვარ სნეულებას; ხოლო როცა უვნებობას მოიპოვებენ, ყოველი მკვდარი სულის აღდგენა ძალუბთ.

ყველაფერთან ერთად, წინამძღვარმა ყველას მიმართ სიყვარული და პატივისცემა უნდა გამოიჩინოს თითოეული მათგანის ღირსების შესაბამისად. ვაითუ, იაკობის მსგავსად, მანაც ავნოს საყვარელ ადამიანებსა და სხვებსაც (შირ. შესაქმე 37), რაც იმათ შეემთხვევათ ხოლმე, ვისი სულიერი შეგრძნება ჯერ კიდევ ვერ განასხვავებს კარგს, ცუდსა და საშუალოს.

## თავი ესახე

1. მწყემსის სირცხვილია, როცა ღმერთს მოწაფისთვის იმას სთხოვს, რაც თავად მას არ აქვს.
2. ისევე იფიქრე წმიდანებზეც, როგორც ზოგიერთ ადამიანზე, მეფის სახეს რომ იხილავს, დაუმეგობრდება და წარჩინე-

ბულთა, უცნობ პირთა თუ მტერთა მეფესთან შეყვანა საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია. რადგან მეგობარს საყვარელი ადამიანების რიდი აქვს, კარგი იქნებოდა, თუ ჩვენც იმ უხილავ ძალებს დავუმეგობრდებოდით, რომელთა მსგავსად სხვა ვერავინ შეგვეწოდა სათნოებების მოპოვებაში. ერთმა ღვთისმოყვარე კაცმა მითხრა, რომ თავის მონებს ღმერთი ყოველთვის აძლევს ნიჭისა და მადლს, განსაკუთრებით კი, საუფლო დღესასწაულებში.

### თავი მეოთხე

1. მკურნალმა საკუთარ თავში სრულიად უნდა მოსპოს ვნებები, რათა შეძლოს, საჭიროების შემთხვევაში რაიმე ვნება, უმეტესად კი, მრისხანება დაიბრალოს. თუ საკუთარ სულში ვნებებს სრულად არ გაანადგურებს, მაშინ ვნების გარეშე თავის მოჩვენებას ვერ შეძლებს.
  2. მინახავს ცხენი, რომელიც ბოლომდე გაწვრთნილი არ იყო, და ამიტომ ვიდრე მხედარს მაგრად ეჭირა ლაგამი,<sup>1</sup> მშვიდად მიდიოდა; მაგრამ როგორც კი მხედარმა ოდნავ მიუშვა, მხედარიც დაშავდა და ცხენიც.
  3. იგავი უმთავრესად ორ ეშმაკს შეეხება. ვისაც მიხვედრა სურს, მიხვდეს.
- 
1. ლაგამში იგულისხმება ღვთის შიში, კრძალვა, მარხვა და მოძღვრის შზრუნველობა, ხოლო ორ ეშმაკი ამპარტავნებისა და ნაყროვანების ეშმაკები არიან; რადგან სადაც მარხვა და სიმდაბლეა, იქ ვნებები უძლურია.

### თავი მეხუთე

1. მკურნალი მაშინ სცნობს ღვთის მიერ მინიჭებულ სიბრძნეს, როცა მრავალ უკურნებელ სწეულებას განკურნავს სხვებში.
2. ის მასწავლებელი კი არ არის საკვირველი, ვინც ნიჭიერ ყრმებს სწავლით განაბრძობს, არამედ ის, ვინც უსწავლელებსა და გონიერი მმიმებს განსწავლის და სრულყოფს.
3. მხედრის ხელოვნება მაშინ წარმოჩნდება, როცა გამოუცდელი ცხენით მტერს სძლევს და ცხენსაც არ ავნებს.
4. თუ ღელვის წინასწარ მჭკვრეტელი თვალი მოგეცა, მაშინ ნავში მყოფებს წინასწარ აუწყე მოსალოდნელის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი დანოქმის მიზეზი შენ იქნები, რადგან შენ მოგანდეს მესაჭეობა.
5. მინახავს მკურნალი, რომელთაც სწეულისთვის ვნებათა მიზეზი წინასწარ არ უცნობებიათ, რითაც სწეულსაც და საკუთარ თავსაც დიდი ზიანი და შრომა შეამთხვიეს.
6. რამდენადაც მოწაფის დიდ ნდობას ხედავს წინამძღვარი, იმდენად საქმითა და სიტყვით სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა არავინ დააბრკოლოს; რადგან ყველა მას მიიჩნევს მისაბაძ მაგალითად და მისგან სწავლობს მოქცევის წესსა და კანონს.
7. ჭეშმარიტ მწყემსს სამწყესოს მიმართ სიყვარული წარმოაჩენს. მწყემსი კეთილი სიყვარულისთვის ჯვარსეცვა.

### თავი მეექვსე

1. ყოველი სიტყვა გაიაზრე და ისე თქვი, და არასდროს გევნება.
2. მცირე ხნით შეაწუხე სწეული, რათა შენი საზიანო დუმილით ამ უკანასკნელს ავადმყოფობა არ გაუხანგრძლივდეს ან საერთოდ არ მოკვდეს.

3. მესაჭის დუმილის გამოისობით მრავალს ჰგონებია, სწორად მიდიოდა, ვიდრე ნავი კლდეს არ დასჯახებია და დალეწილა.
4. მოვუსმინოთ დიდ პავლეს, ტიმოთეს ომ სწერდა და უუბნებოდა: “ზედა-ადეგ უამითი უუამოდ, ამხილე, შეპრისხენ და ნუგეშინის-უც” (2 ტიმოთე 4. 2). ვფიქრობ, “უამი” არის ის, როცა მხილება ტკივილსა და მწუხარებას აყენებს მათ. წყაროც ასეა: თუნდაც არავის სწყუროდეს, მაინც მოედინება.
5. ზოგიერთი წინამძღვარი ბუნებით მორცხვია და მოწაფეებს ჯერისაებრ არ ამხელს. ასეთებს მივმართავ: მოწაფეებს ყოველთვის იმგვარად მოექცნენ, როგორც მოძღვარს შეეფერება, რათა არც თავად ევნოთ, და არც მოწაფეებს.
6. მოვისმინოთ ღვთის ხმა, რომელიც ამბობს: “მოჰკუეთე ეგე, რაღ სათკ ს ქუეყანადცა დაუპყრიეს უქმად?” (ლუკა 13. 7) ასევე ამბობს: “მოჰსპოო უკეთური იგი შორის თქუენსა” (1 კორინთ. 5. 13); ასევე: “ნუ შენ ილოცავ მწედ ერისა ამის... ნუ მოხვალ ჩემდა ამათოკის” (იერემია 7. 16); სამოელს კი საულის შესახებ ეუბნებოდა: “ვიდრემდე ეგლოვდე შენ საულს? რამეთუ განმიგდებიეს იგი” (1 მეფეთა 16. 1). მწყემსს ყოველივე ამის ცოდნა მართებს, უნდა იცოდეს ვის, როდის და როგორ უნდა მოექცეს, რადგან ღმერთზე უფრო ჭეშმარიტი არაფერია.
7. ვისაც ცალკე ამხელ და არ შერცხვება, მას არც მაშინ შერცხვება, სხვების თანდასწრებით თუ ამხელ, რადგან ბოროტებას არის დაჩვეული და საკუთარი ცხონება მოუმულებია.

## თავი მეშვიდე

1. ვნახე კეთილგონიერი სწორულები, რომლებმაც საკუთარი მშიშ-რობა და მოუთმენლობა კარგად იცოდნენ, და თუმცა მკურნალი მათ შეკვრას არ აპირებდა, ნებაყოფლობითი იძულებით განკურნებას თავად ევედრებოდნენ. საუკუნო სასოების მოლოდინში ისინი სულით იყვნენ გულმოდგინე, ხოლო ხორცით, ძველი ჩვეულებისა გამოისობით – უძლური. ეს რომ ვიზილე, მკურნალებს მათი თხოვნის დაკმაყოფილება ვურჩიე.
2. წინამდგვარმა წინაწარ ყველას არ უნდა აუწყოს, რომ “იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაღ” (მათე 7. 14); არც ყველასთვის მართებს თქმა, რომ “უღელი... ტკბილ არს, და ტგირთი... სუბუქ არს” (მათე 11.. 30); არამედ თითოეულს ჯერისაებრ უნდა უწამლოს: ვინც დიდი ცოდვებით არის დამძიმებული და დაუძლურებული და სასოწარკვეთილებისკენაა მიდრეკილი, მეორე უნდა უთხრას; ხოლო ვის გონიერასაც ქედმაღლობა და ამპარტავნება სძალავს, პირველი უთხრას.
3. ზოგიერთს შორ გზაზე წასვლა როცა მოუწადინებია, გზის მცოდნეებისთვის უკითხავს და გაუგია, რომ ადვილი და ვაკე სავალი გზა იყო, მათ სიტყვას მინდობილი დაუდევრად შედგომია სიარულს; და რადგან ბრძოლისთვის მოუმზადებელი იყო, ან შეა გზაზე დაცემულა, ან უკან გამობრუნებულა. მსგავსად იფიქრე საპირისპიროზეც.
4. სადაც ღვთის სიყვარული გულს შეხებია, იქ მრისხანე სიტყვებიც ვერ აშინებთ; სადაც გეენის შიშმა დაიმკვიდრა, იქ ყოველგვარ შრომასაც ადვილად თავსიღებენ; ხოლო სადაც სასუფევლის იმედი კიაფობს, იქ ყოველივე მიწიერს შეურაცხყოფენ.
5. კარგმა მხედართმთავარმა თითოეული ხელქვეითის შესაძლებლობა და ახოვნება უნდა იცოდეს. იქნებ, მათ შორის ვინმე

წინამდროობია ან მარტომბრძოლი, ვისთვისაც დაყუდებით ჯდომაა მართებული.

6. მენავეთა დაუხმარებლად მესაჭე ნავს სამშვიდობოს ვერ გაიყვანს. ვერც მკურნალი განკურნავს სნეულს, თუ ეს უკანასკნელი წყლულს არ უჩვენებს და მის განკურნებას არ სთხოვს.
7. ვისაც მკურნალის შერცხვენია, წყლული დაჩირქებია, და ბევრი მომკვდარა კიდეც.

### თავი მერვე

1. როცა ცხვარი საძოვარზეა, მწყემსმა სიტყვიერ სალამურზე დაკვრა არ უნდა შეწყვიტოს, მით უმეტეს მაშინ, როცა ცხვარი ძილს დააპირებს; რადგან მგელს ისე არაფერი აფრთხობს, როგორც მწყემსის სალამური.
2. მწყემსს ყოველთვის არ მართებს უგუნურად თავის დამდაბლება, არც უგუნურად თავის ამაღლება, არამედ დიდ პავლე მოციქულს მიბაძოს, რომელიც ორივე შემთხვევაში ჯერისაებრ იქცოდა.
3. უფალი ახალბედა მორჩილებს ხშირად უბნელებს თვალებს, რათა მოძღვრის ნაკლი ვერ დაინახონ; მაგრამ ზოგიერთმა წინამდლვარმა თავად გაამჟღავნა საკუთარი ნაკლი და მორჩილს ავნო.
4. მინახავს წინამდლვარი, დიდი თავმდაბლობისა გამო სულიერ შვილებს რჩევას რომ ეკითხებოდა, როცა რაიმეს გაკეთებას აპირებდა. ვნახე სწვაც, საკუთარ სიბრძმავეს უგუნურებით რომ გამოაცხადებდა და მათთან დაცინვით ბჭობდა საქმეზე.
5. მინახავს ვნებებით შეპყრობილნიც, წინამდლვრობას ვნებებით რომ შესდგომიან, მაგრამ თანდათან მოწაფეებისა შერცხვე-

ნიათ და ვწებები მოუსპიათ. ვფიქრობ, ეს მათ მიერ ცხონებულთა სასყიდლის გამოისობით მომზდარა და ის საქმე, რომელიც ვწებებით დაუწყიათ, მათი უვნებობის მიზეზი გამხდარა.

### თავი მეცხრე

1. ფრთხილად ვიყოთ! ვაითუ, ზღვაში დავაბნიოთ ის, რაც ნავსაყუდელში შეგვიგროვებია. ნათქვამი კარგად ესმით მათ, ვინც სიკეთეში ჯერ კიდევ არ არის დამწყსილი და ამბოხსა და ხორციელ საზრუნავში ებმება.
2. ჭეშმარიტად დიდია, როცა დაყუდების სიცხესა და მოწყენილობას სულგრძელად, მხნედ ითმენენ, როცა სენაკიდან არ გადიან და განცხრომას არ ეძიებენ სულმოკლე მენავეთა მსგავსად, რომლებიც მყუდროების ჟამს წყალში დაცურავენ. ყველაზე დიდი ის კი არ არის, როცა შფოთისა და ამბოხის არ ეშინიათ, არამედ ის, როცა შფოთისა და ამბოხში უშფოთველად, აუღელვებელი გულით იმყოფებიან, სხეულით ადამიანებთან არიან, ხოლო გონებით — ღმერთთან.

### თავი მეათე

1. პოი, საკვირველო მამაო, ესეც გამოსაძიებელია: რომელი მოდის ჩვენს საშინელსა და ჭეშმარიტ სამსჯავროზე როგორც ბრალეული, და რომელი ესწრაფვის ღვთის მსახურებასა და მონებას როგორც უდანაშაულო. რადგან ეს ორი სრულიად განსხვავებული მიზეზით მოდის, ცხოვრების სხვადასხვა წესსაც საჭიროებენ.

2. ახალმოსულს, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ ჩადენილი საქმეები გამოჰკითხე, რათა აღსარებიდან ორმაგი სარგებელი მიიღოს მან: აღსარებისა შერცხვეს და ყოველთვის შორს იყოს კადნიერებისგან; და ასევე, იცოდეს, თუ როგორ ტვირთს ვლებულობთ მისი გულისთვის და სიყვარულით აღიძრას.
3. ჰორ, პატიოსანო მამაო, ნურც ეს იქნება შენთვის უცნობი (თუმცა შენთვის არ არის უცნობი!): ღმერთი შეცოდებულებს ადგილის, ჭკუა-გონებისა და აღზრდის შესაბამისად განიკითხავს. შენც ასე მოიქეცი, რადგან ცოდვა სხვადასხვა-გვარია.
4. ხშირად ყველაზე უძლურს ყველაზე მდაბალი გონებაც აქვს. ამიტომ სულიერმა მსაჯულმა უფრო მსუბუქად უნდა დასაჯოს კიდეც. ამის საწინააღმდეგო თავისთავად ცხადია.

### თავი მეთერთობები

1. მშვიდობა ვერ იქნება, თუ ლომი ცხვარს დამტყემსავს. ასევე, შეცდომა იქნება, თუ ვწებულთა წინამდღვარი ვწებული გახდება.
2. საძაგელია მელა ქათამთა შორის. ასევე საძაგელია მრისხანე წინამდღვარი. მელა ქათმებს შეჭამს, ხოლო წინამდღარი მეტყველთა სულებს ავნებს.
3. ყურადღებით იყავი: ზომაზე მეტად არ იძიო წვრილმანი საქმეები და ამ გზით ღვთის მიმსგავსებას ნუ ეცდები.
4. ღმერთი იყოს შენი წინამდღვარი ყოველ საქმეში, შინაგან გულისა იქნება ეს, თუ გარეგან. არაფერი აკეთო შენი ნებით, არამედ ღვთის ნებით აკეთე, რათა უზრუნველი გახდე, რაუამს ყოველივეს მას მიანდობ და მისი მინიშნებით გააკეთებ.
5. ესეც გამოვარკვით: იქნებ, იმათი სარწმუნოების გამო მოიღო ღმერთმა ჩვენზე მადლი, ვინც ჩვენ მოგვმართა, და არა ჩვენი

- მოღვაწეობისა გამო? – ბევრ ვნებულს მოუმოქმედებია ამ-გვარად სასწაული.
6. თუ განკითხვის დღეს მრავალი ეტყვის უფალს: “უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინად სწარმეტყუელებდი-თა” (მათე 7. 22), მაშინ არც ზემოთქმულში შეგვეპარება ეჭვი.
  7. ვისაც ღვთის წყალობა ჭეშმარიტად მოუპოვებია, ის უძლურებს შეუმჩნევლად ეხმარება და ამ გზით ორ დიდ სიკეთეს სჩა-დის: პირველი – დიდების გესლისგან უვნებლად იცავს თავს; და მეორე – შეწყალებულებს მხოლოდ ღვთის მადლიერე-ბას აღუძრავს.

### თავი მეთორმეტე

1. ვინც ამ გზას მძლავრი შემართებით მიუყვება, ძლიერმოქმედი, მაგარი და სრულყოფილი წამალი მიეცი; ხოლო ვინც ჯერ კიდევ გონებით ჩვილია, მათ, როგორც ჩვილებს, რძე ასვი; რადგან თითოეულ საკვებს თავისი დრო აქვს განსაზღვრუ-ლი.
2. ერთმა და იმავე საჭმელმა ერთში შეიძლება გულმოდგინება აღძრას, ხოლო მეორეში – სულმოკლეობა. ამიტომ თესლი უამის, პირისა და საზომის შესაბამისად უნდა ვთესოთ.
3. ზოგიერთს სულთა წინამძღვრობა არაფრად მიუჩნევია და სულთა წინამძღვრობას უგუნურად შესდგომია. და, ჰქონია რა დიდი სიმდიდრე, ამა ქვეყნიდან მაინც ცარიელი წასულა, რადგან წინამძღვრობის უამს ყველაფერი სხვებისთვის გაუყვია.
4. როგორც არსებობს კანონიერი, მეორე ცოლის, აყვანილი და მხევლის შვილები, ისე სხვადასახვაგვარი მოძღვრობაც არ-სებობს.

5. ჭეშმარიტი მოძღვრობა მოყვასისთვის სულის დადებაა. სხვაა, როცა მხოლოდ ადრე ჩადენილ ცოდვებს იდებენ თავს, და სხვა – როცა უგნებობისა და სულიერი ძალების ნაკლულევანებისა გამო მხოლოდ თავისივე მიერ დავალებული საქმეების სიმბიმეს ტვირთულობენ.
6. სრულყოფილი მოძღვრობის შემთხვევაში იმდენად ვტვირთულობთ სასჯელს, რამდენადაც ისინი (სულიერი შვილები – რედ.) საკუთარ ნებას დაუტევებენ.
7. ერთგული შვილი მამის არყოფნის დროს იცნობა.
8. წინამძღვანმა ჭკუა უნდა ასწავლოს მათ, ვინც სხვების თანდასწრებით სიტყვას შეუბრუნებს. ასეთებს, გაწყვრომის გამო თუნდაც რომ ძლიერ ეტკინოთ გული და გამწარდნენ, პატივსაცემი პირების წინაშე მძიმე კანონი უნდა დაადოს, რათა მათ მაგალითზე სხვებიც შეშინდნენ. ჯობს ერთის გამწარება მრავალთა სარგებლობის მიზნით.
9. არიან ისეთები, თავიანთ შესაძლებლობას აღმატებულ სხვათა ტვირთს სიყვარულის გამო რომ ტვირთულობენ, თანახმად მაცხოვრის სიტყვისა: “უფროდ სი ამისა სიყვარული არავის აქუს” (იოანე 15. 13), და ამის შემდგომი. არიან ისეთებიც, სხვათა ტვირთვის ძალა ღვთისგან რომ მიუდათ, ძმისა და საკუთარი სულის ცხონება შეუძლიათ, მაგრამ არ აკეთებენ ამას და სიმძიმეს არ ტვირთულობენ. მე მათ სხვების უსიყვარულობაში ვდებ ბრალს და საცოდავებად მივიჩნევ. პირველებზე კი დაწერილია: “გამო-თუ-იყვანო პატიოსანი უღირსისგან, ვითარცა პირი ჩემი იყო” (იერემია 15. 19). ასევე ამბობს: “ვითარცა უყავ მას, გეყავნ შენ”.
10. ესეც გაითვალისწინე: ხშირად მოძღვრის გონებითი ცოდვა უფრო მკაცრად განიკითხება, ვიდრე მოწაფის მიერ საქმით აღსრულებული; რადგან მეომრის ცოდვა უფრო მსუბუქია, ვიდრე მხედართმთავრის ბოროტგანზრახვა.

11. შენს მოწაფეებს ასწავლე: არ გაიხსენონ, თუ როგორ ჩაიდინეს ხორციელი ცოდვები, მაგრამ დღე და ღამე გაიხსენონ, თუ როგორ მოიმოქმედეს დანარჩენი ცოდვები.
12. საკუთარი მაგალითით ასწავლე, რომ უმანკონი იყვნენ ერთ-მანეთის მიმართ, ხოლო ეშმაკთა მიმართ – ბრძენი და წინდახედულნი.
13. არც სამწყსოში დამეგობრებულნი დაგრჩეს ყურადღების მიღმა: მგელი მზაკვრულად ცდილობს, ზარმაცების შემწეობით გულ-მოდგინეებიც დააუძლულოს.
14. ნუ დაიზარქე ზარმაცებისთვის ლოცვას; მაგრამ მათი შეწყალება კი არ ითხოვო (რადგან თუ არ დაგეხმარებიან, ეს შეუძლებელია!), არამედ ითხოვე, რათა ღმერთმა გულმოდგინება მიანიჭოს მათ.
15. როგორც მამების მიერ არის დაწერილი, უძლურებმა მწვალებლებთან ერთად არ ჰამონ; ხოლო ძლიერები, თუ უფლის სადიდებლად მათთან წასვლა და ჰამა სურთ, დაე, წავიდნენ.
16. ნუ იმიზეზებ უცოდინარობას, რადგან “რომელმან არა იცის და ქმნეს რაღმე ლირისი ტანჯვისაღ, იგუემოს” (ლუკა 12. 48), ვინაიდან არ ისწავლა.

### თავი მეცამეტი

1. სირცხვილია, მწყემსს სიკვდილისა ეშინოდეს. რადგან მორჩილება სიკვდილის უშიშრობაა, მაშ, წინამძღვარს მით უმეტეს არ მართებს, არ ეშინოდეს სიკვდილისა?!
2. პოი, ნეტარო, გამოიძიე, რომელია სულისა და ხორცის განმწენდელი ის სათნოებები, ურიმლისოდაც შეუძლებელია უფლის ხილვა. უპირველეს ყოვლისა, ისინი ასწავლე შენს

- შვილებს, და ასევე განარიდე დედათა და მავნებელ სახეთა ხილვას.
3. ჩვენს მორჩილებაში მყოფთა საქმე მათი ძალისა და საზომის შესაბამისად განვაგოთ, რადგან არავისთვის გვმართებს ნავსაყუდელზე უარის თქმა.
  4. ვიდრე სათანადოდ არ გამოვცდით, არავის დავასხათ ხელი, არც ქრთამისა თუ წარჩინებული წარმომავლობისა გამო, რადგან ამის მოქმედნი სასჯელს იმსახურებენ. ვაითუ, ხელდასხმეულებმა მონაზვნობის სიცხესა და შრომას ვერ გაუძლონ და ერს დაუბრუნდნენ. ხელდამსხმელები პასუხს აგებენ მათთვის ღვთის წინაშე.
  5. არსებობს ღვთის ისეთი მნე, ცრემლთა ღვრა და შრომა საკუთარი თავისთვის რომ აღარ სჭირდებოდეს, და ღვთის წინაშე სხვებისთვის ტიროდეს და შრომობდეს დაუზოგავად?
  6. ნუ დაცხებები და ყოველთვის განიწმინდე შეგინებული სული და ხორცი, რათა ღმერთმა არამარტო საკუთარი სულისა და მოყვასისთვის, არამედ სხვებისთვისაც გიბოძოს გვრიგვინი, რადგან მათი მისაბაძი მაგალითი გახდები და შენით ღმერთი იდიდება. მაშინ შეგეძლება, ღვთისგან კადნიერად ითხოვო სასყიდელი.
  7. ერთი უძლური ძმა ვნახე, სხვა უძლურის უძლურება რომ განწმინდა, როცა მის გამო საქებარი ურცხვობა გამოიჩინა ღვთის წინაშე და სული თვისი დადო მმისთვის. მაგრამ მან თავმდაბლობით გააკეთა ეს და ძმის განკურნებით საკუთარი თავიც განკურნა. ვნახე სხვაც, იგივე საქმე ამპარტავნებით რომ მოიმოქმედა, და მრისხანედ უთხრეს: “მჯურნალო, განიკურნე თავი შენი” (ლუკა 4. 23).
  8. არსებობს სიკეთისგან გაქცევა უფრო დიდი სიკეთის გამო. ასე მოიქცა ის, ვინც მოწამეობას შიშის გამო კი არ აარიდა თავი, არამედ მათ გამო, მისგან სარგებელსა და განათლებას

- რომ ღებულობდნენ (იგულისხმება გრიგოლ საკვირველომოქმედი – რედ.).
9. არსებობს ისეთი კაცი, სხვისი ღირსებისთვის შეურაცხებოფას რომ ტვირთულობს, ხალხი ავხორცად მიიჩნევს, მაგრამ სინამდვილეში “მსახური” და “ჭეშმარიტი” არის (შდრ. 2 კორინთ. 6. 8).
  10. თუ სასჯელს ვერ გაექცევა ის, ვისაც სიტყვით სარგებლობის მოტანა შეუძლია და სიტყვას იშურებს, მაშინ, საყვარელო, რაოდენ დიდი სასჯელი ემუქრება მას, ვისაც საქმით შეუძლია შეწევნა და არ აკეთებს?!
  11. იხსენი, ღვთის მიერ ხსნილო! აცხოვნე, ცხონებულო! უშველე სასიკვდილოდ მიმავალთ და გამოისყიდე ეშმაკთა მიერ მოსაკლავად განწირულნი! – ესაა კაცთა და ანგელოზთა ყოველ საქმესა და ხედვაზე უმაღლესი.
  12. ის, ვინც ღვთისგან ბოძებული სიწმინდით სხვათა ბილწებას განწენდს, უხორცო ძალთა შემწედ წარმოაჩენს საკუთარ თავს, რადგან უბიწო მსხვერპლს სწირავს ღმერთს. ხოლო ეს საქმე, ანუ “რომელნი (სულები) არიან გარემოზს მისა, შეწირონ ძლუენი”, ანგელოზთა საქმეა (შდრ. ფსალმ. 75. 12).
  13. შემოქმედის ჩვენდამი კაცომყვარებასა და სახიერებას ისე არაფერი წარმოაჩენს, როგორც ოთხმოცდაცხრამეტი ცხვრის დატევებისა და ერთი დაკარგული ცხვრის მოძიების ამბავი.
  14. ჰოი, ნეტარო, ყურადღებით იყავი: ყოველი მცდელობა, სიყვარული, გულმწურვალება, ძალისხმევა გამოიჩინე დაკარგული და შემუსვრილი შვილის მიმართ და ღმერთს ევედრე მის-თვის, რადგან საღაც დიდი სნეულება და წყლულია, იქ, უდავოდ, დიდ სასყიდელსაც მიიღებენ.

15. ესეც გამოვიძიოთ და ვიცოდეთ: ზოგიერთის უძლურების გამო წინამძღვარმა ყოველთვის სამართლიანად არ უნდა განსაჯოს.
16. ვნახე, ყოვლადბრძენმა მსაჯულმა ორი მოდაგე რომ გაასამართლა, და დამნაშავე, როგორც უძლური, გაამართლა, ხოლო უდანაშაულო, როგორც ახოვანი, იმ მიზნით გაამტყუნა, რომ სამართლიანი განაჩენით უფრო მეტი განხეთქილება არ შექმნილიყო. ცალკე კი თითოეულს აუხსნა საქმის ვითარება, განსაკუთრებით იმას, რომელიც უძლური იყო.
17. ბალაზანი მდელო სასარგებლოა ყოველი ცხვრისთვის, ხოლო სწავლა და სიკვდილზე ფიქრი კარგია და სასარგებლო ყოველი მეტყველი ცხვრისთვის.
18. სულგრძელნი უძლურთა წინაშე ამხილე და დაამცირე, რათა უძლურთა წყლული სხვების წამლით განკურნო, ხოლო სულგრძელებს უფრო მეტის დათმენა ასწავლო.
19. ღმერთს არავისი აღსარება გაუმჟღავნებია, რათა ამით აღმსარებელნი არ დაებრკოლებინა და უკურნებლად არ დასნეულებულიყვნენ.
20. თუნდაც წინასწარცნობის მადლს ვფლობდეთ, ჩვენი ცოდნა შეცოდებულებს მაშინვე არ გავუმჟღავნოთ, არამედ ყოველნაირად ვეცადოთ, აღსარებაზე მოვიდნენ და აღსარების თქმით ცოდვათა შენდობა მიღონ.
21. აღსარების შემდგომ უწინდელზე მეტად გავათამამოთ, რათა ჩვენდამი მეტი სარწმუნოებითა და სიყვარულით განიშვალონ. ასევე, ჩვენდამი შეიშიც უნდა ვასწავლოთ; თავად ჩვენ კი თავმდაბლობის მაგალითი ვაჩვენოთ მათ.
22. ყურადღებით იყავი, ვაითუ, შენი უზომოთ თავმდაბლობით ცეცხლოვანი ნაკვერცხალი შეაგროვო შვილთა თავზე.
23. ვალდებული ხარ, ყველაფერში მოთმინება გამოიჩინო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შენს ბრძანებას ეურჩებიან.

- 24.დააკვირდი, ხომ არ არის შენს ვენახში ისეთი ხე, რომელიც აქ მიწას აცდენს, ხოლო სხვაგან ნაყოფს გამოიღებდა? არ დაიზარო, ასეთი ხე სიყვარულით ამოთხარე და სხვა ადგილას გადარგე.
- 25.წინამდლვარმა, შესაძლოა, ამა სოფლის შფოთთან დაახლოებულ ადგილზეც დაუბრკოლებლად აღასრულოს სათნოება, მაგრამ მასთან მყოფების გამო მართებს სიფრთხილე, და თუ მსგავს ადგილას აღმოჩნდება, ვნებული ძმები არ მიიღოს. ყოველთვის ცუდი კი არ არის უარის თქმა!
- 26.თუ მკურნალი სულიერადაა დაყუდებული, მას აღარ სჭირდება ხორციელად დაყუდება სნეულთა სამკურნალოდ. თუ პირველი არ აქვს, მაშინ მეორეს მიმართოს.
- 27.ჩვენ მიერ შეწირული არც ერთი ძლვენია ღვთისთვის ისეთი სამო, როგორც სინანულით მირთმეული მეტყველი სულები.
- 28.მთელი ქვეყნიერებაც კი არ ღირს ერთი სულის ფასად. ქვეყნიერება წარმავალია, სული კი უკუნისამდე ცოცხლობს.

### თავი მეთოთს მეტა

1. ამიტომ, ნეტარო, მათ კი ნუ შენატრი, ვინც ქონებას სწირავს ქრისტეს, არამედ იმათ შენატრე, ვინც მეტყველ ცხვარს სწირავს.
2. შენი მსხვერპლი უბიწოდ შესწირე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარგებელს ვერ პოვებ.
3. ძე კაცისა უნდა გაეცათ, მაგრამ ვაი მისდა, ვის მიერაც ვაიცა. თქმულის საწინააღმდეგოდ იფიქრე შემდეგზე: ყოველი მოლვაწე უნდა ცხონდეს, ხოლო სასყიდელს მიიღებს ის, ვის მიერაც ცხონდებიან.
4. ჰოი, წმიდაო მამაო, ღვთის შემდგომ დიდი სულიერი ძალა გვჭირდება: თუ ვნახავთ, რომ ისინი, ვისი წმიდათაწმიდაში

შეუვანა და ქრისტეს საკურთხეველში შეწირვა თავს გვიღვია, ჯერ კიდევ შესასვლელ კართან ბოროტის სიმრავლეს შეუვიწროებია, მაშინ მათ ჩვილი ბავშვებივით ჩავკიდოთ ზელი და ბოროტი ზრახვებისგან გავათავისუფლოთ.

5. თუ ისინი ძალიან ჩვილი და უძლურები აღმოჩნდებიან, მაშინ მხარზე შევისვათ და ვიწრო და საჭირველ კარში შესვლამდე მაღლა გვეჭიროს, რადგან ყველაზე დიდი სივიწროვე სწორედ კართან არის. ამიტომ ამბობდა წინასწარმეტყველი: “ესე არს შრომა ჩემ წინაშე, ვიდრემდის შევიდე მე სიწმიდე-სა ღმრთისას” (ფსალმ. 72. 16-17).
6. ჰოი, მამათა მამაო, მამათა მამასა და მოძღვართა მოძღვართან დაკავშირებით წინა თავებში აღვნიშნე, თუ რაოდენ შემკული იყო იგი ზეციური სიბრძნით, რაოდენ ჯეროვნად მამხილებელი, წმიდა, მოწყალე, მიმტევებელი და ბრწყინვალე გახლდათ. ყველაზე აღსანიშნავი ის იყო, რომ თუ ვინმე ცხონების მოსურნეს ნახავდა, უფრო მეტ ღვაწლში ამყოფებდა. ასევე, თუ ნახავდა, რომ ვინმე საკუთარ ნებას მისდევდა და რაიმე საქმე გამორჩეულად უყვარდა, ასეთ პიროვნებაში ნების მოსპობას იმდენად ცდილობდა, რომ საკუთარი ნების აღსრულებას ყველა გაურბოდა. კიდევ ამას ამბობდა სანატრელი: “უმჯობესია, მოწაფე მონასტრიდან გააგდო, ვიდრე დაუშვა, საკუთარი ნება ჰქონდეს; რადგან ვინც აძევებს, ხშირად გაძევებულს ამდაბლებს კიდეც; ხოლო ვინც ვითომ მოწყალებას იჩნის და საკუთარ ნებაზე მიუშვებს მოწაფეებს, ასეთს მოწაფეები სიკვილის უამს საწყალობლად სწყევლიან, რადგან აცდუნა და ვერაფერი არგო მათ”.
7. დიდ მამას ასეთი ჩვეულებაც ჰქონდა: მწუხრის გალობის შემდგომ იგი სხეულით ხის ტახტრევანზე დაჯდებოდა ხოლმე, ხოლო მაღლშემოსილი სულით, როგორც მეუფე, დაბრძანდებოდა. კეთილი კრებული ბრძენი ფუტკარივით იყრიდა მის გარშემო თავს, როგორც ღვთისას, ისე ისმენდა მის სიტყვებს

და მის ბრძანებას ემორჩილებოდა. ზოგიერთს ის დაძინებამდე ორმოცდაათი ფსალმუნის თქმას უბრძანებდა, ზოგიერთს – სამოცდაათს და ზოგს – ასს. ზოგიერთს ამდენივეჯერ მუხლთა დრეკას განუწესებდა, ზოგს – მჯდომარე ძილს, ზოგს – გარკვეული ხნით წიგნის კითხვას, ზოგს კი გარკვეული ხნით ფეხზემდგომ ლოცვას ავალებდა. ასევე, სამწყსოსთვის ორი მმა ჰყავდა მიჩნილი, რათა დღისით ამაო ლაპარაკი აღეკვეთათ, ხოლო ღამით – უდროო სიფხიზლე და ერთმანეთს შორის საუბარი.

8. დიდ მამას სუფრაზეც ყველასთვის ცალკე წესი ჰქონდა დადგენილი. ყველა ერთნაირ საჭმელს კი არ იღებდა, არამედ თითოეულს თავ-თავისი ჰქონდა მიჩნილი. კეთილი მნე ზოგიერთს მხოლოდ ხმელა პურისა და წყლის მიღებას უბრძანებდა, ზოგიერთს უფრო მეტად სცემდა ნუგეშს. საოცარი ის იყო, რომ მის სიტყვას, როგორც ღვთის ნათქვამს, უდრტვინველად ღებულობდა ყველა. როგორც ადრე ვთქვით, დიდ მამას მონასტრის ქვემოთ ერთი ადგილი ჰქონდა, რომელ-საც დილეგი ეწოდებოდა; მონასტრის ზემოთ კიდევ ერთი ლავრა იყო, სადაც ეს ძლიერი და სრულყოფილი მამა და-საყედებლად ძლიერებს აგზავნიდა.
9. გთხოვ, არ დაუშვა, რომ წრფელი ცბიერნი გახდნენ; არამედ, პირიქით, თუ შეგიძლია, ცბიერნი აქციე წრფელად.
10. ვისაც სრული უვნებობისთვის მიუღწევია, მას შესაბამისად და სათანადოდ დასჯაც შეუძლია. უვნებობის ნაკლულოვანება მსაჯულს გულს უჩვილებს და არ დაანებებს, მოწაფე კეროვნად დასაჯოს.
11. შვილებს, უბირველეს ყოვლისა, მართალი სარწმუნოება და-უტოვე მემკვიდრეობად, რათა არათუ შვილები, არამედ შვილიშვილებიც კი მართლმადიდებლობით შესწირო უფალს.
12. ნუ მოერიდები ფიცხი და ურჩი ახალგაზრდების შეწუხებას, რათა სიკვდილის ჟამს გადიდონ შენ.

13. ყოვლადბრძნო, ამაშიც დიდი მოსე იყოს შენთვის მაგალითი: მანაც ვერ შეძლო ფარაონის მონობიდან თავის მორჩილთა გათავისუფლება, ვიდრე უფუარი არ ჭამეს მდოგვთან ერთად.
14. უფუარში იგულისხმება ის, რომ მოწაფე თავის ნებაზე არ უნდა მიუშვან; რადგან ნება ადამიანს აამაღლებს, ხოლო უფუარი ყოველთვის დაბლა დგას. მდოგვში მოძღვრის მხრიდან მხილებისა და ყველების სიმწარე და მარხვით შეჭირვება ვიგულისხმოთ, რაც ხორცისთვის მწარეა, ხოლო სულისთვის გოლუელი თაფლივით ტკბილია.
15. მამათა მამაო, გწერ რა ამას, მისი სიტყვები მაძრწუნებს, რომელიც ამბობს: “რომელი-ეგე ასწავებ მოყუასსა, თავსა თუ სსა არა ასწავებ?” (რომ. 2. 21) ახლა კი მცირეოდენს ვიტყვი და შემდეგ სიტყვის სარბიელს დავუტევებ.

### თავი მეთხს უთხმეთე

1. ღმერთთან სიწმინდით შეერთებული გული სხვისგან სიტყვიერ სწავლებას აღარ საჭიროებს, რადგან ნეტარის მოძღვარი, წინამძღვარი და განმანათლებელი დაუსაბამო სიტყვა გამხდარა. სწორედ ასეთი ხარ შენ, წმიდაო, და ეს არამარტო უბრალო სიტყვებით შემიცვნია, არამედ საქმით გამომიცდია ყოვლადბრძნი გონება შენი, სიმდაბლითა და სიმშვიდით ისევე რომ მუსრავს ბოროტ მხეცებს, როგორც დიდი სჯულმდებელი მოსე, რომლის ნაკვალევსაც შეუდექ და თითქოს გაუსწარ კიდეც უმანკოებისა და ქალწულების მადლით. ეს კი ყველაზე მეტად მიაახლოებს კაცს წმიდა და უხრწნელ ღმერთთან, რომელიც არის უხრწნელების მომნიჭებელი და მოღვაწეთა მიწიდან ზეცად ამამაღლებელი.

2. ამიტომ, დიდი ილიას მსგავსად ცეცხლოვანი ეტლით ამაღლებულმა, არათუ ეგვიპტელი მოჰკალ და თავმდაბლობის ქიშაში დაპფალ, არამედ მთაზეც აღხვედ და ეკლოვანი, უმკაცრესი და “ძნიად შესაწველი” ცხოვრებით ღმერთი იხილე, რაც არის ვნებათა ნივთი, სულიერ ფეხთაგან გაიძრე, კუდში წაგლე ხელი მას, ვინც ანგელოზიდან ვეშაპად იქცა, და ბეჭლ ქვესკნელში მოისროლე. შენ ამპარტავანსა და ამაყ ფარაონს სძლიერ, ეგვიპტელნი გვემე და პირმმონი მათნი ამოწყვიტე. ათ, ეს არის დიდი საკვირველება.
4. ამიტომ მოგანდო უფალმა ძმათა წინამდლვრობა, რომლებიც, ნეტარო, ფარაონის ხელიდან და საძაგელი ალიზის კეთებისგან იხსენ, მიეც ცეცხლოვანი სვეტი და ყოველგვარ ვნებათა სიმურვალის დამშრეტელი საღმრთო ღრუბელი.
5. არამარტო ეს, არამედ მეწამული და ცეცხლოვანი ზღვაც კი, სადაც მრავალნი დავინთქმებით, განუპე, შენი სამწყემსო კვერთხით მძლედ აქციე ისინი და მათი მდევრები დანთქი. ამის შემდგომ ამპარტავნების ამაღლეკი, რომელიც ზღვიდან გამოსულებს ხვდებათ ხოლმე, ხელთა აღპყრობით მოჰკალ ღვთის მიერ შენდა რწმუნებული ხალხისთვის საქმესა და ხედგას შორის მდგარმა, სძლიერ წარმართებს და შენი ხალხი უვნებობის მთაზე აღიყვანე.
6. დაუდგინე მათ მღვდლები და უვნებობით წინადაცვეთა ასწავლე, რადგან ვნებათა წინადაუცვეთელობისა და სიწმინდის მოუსვლელობის შემთხვევაში შეუძლებელია ღმერთის ხილვა. აღხვედ მაღლა, უგუნურების სიძნელე განკვეთე, უაღრესი ნათლის მაყვლოვანს მიეახლე და საღმრთო ხმის სმენის ღირსი გახდი, ღირსი გახდი ხილვისა და წინასწარმეტყველებისა. ზურგიდან იხილე ღმერთი, საუკუნოდ მყოფადი ნათელი, და გესმა ხმა: “არა არს კაცი, რომელმან იხილა პირი ჩემი” (გამოსვლა 33. 20).

7. შემდეგ თავმდაბლობის სიღრმეში, ქორებში ჩახვედ. თან გქონდა მეცნიერების ღვთივდაწერილი ფიცრები და სულიერი და ხორციელი სახით გაბრწყინდი.
8. რაღა ვთქვა ხბოზე?! – პო, ფიცართა შემუსგრა! შემდეგ ხალხს ხელი ჩასჭიდე, უდაბნო განვლე, წყურვილის ცეცხლი დაშრიტე და ცრემლთა წყარო მიანიჭე ხის მიერ, რომელიც არის ვნებებითა და გულისთქმებითურთ ხორცის ჯვარცმა. ღვთიური ცეცხლით ბოროტი წარმართები დასწვი. მოხვედ იორდანესთან (რაღა გვიშლის ხელს, ძველი ამბავი მცირეოდენ დავუტეოთ!), განკვეთე მდინარე და სულიერი ისრაელის თვალწინ ქვემო წყალი მარილისა და სიკვდილის ზღვაში მოაქციე, ხოლო სიყვარულის წყალი ზემოთ დააგუბე.
9. თორმეტი ლოდის მოტანა ბრძანე, და მოციქულთა რიცხვთა თანახმად აღაშენე; ან, იქნებ, ამით რვა ვნებაზე გამარჯვება და ოთხი უდიდესი საონოების მოპოვება მიანიშნე?! შემდეგ უკან მოიტოვე მკვდარი და უნაყოფო ზღვა. იერიქოში მოხვედ, საწუთოს შვიდეულის შვიდ ჟამში ლოცვის საყვირს ჩაპერე, გალავანი დაარღვიე, გაიმარჯვე და უზილავ შემწეს უღალადე: “მტერისა მახულნი მოაკლდეს სრულიად” და ვნებათა ჩემთა “ქალაქი აღაოწრენ” (შდრ. ფსალმ. 9. 7).
10. მეტსაც ვიტყვი: იერუსალიმში აღხვედ (რაც არის სრული სიმშვიდის ჭვრეტა), ქრისტე, ღმერთი მშვიდობისა, იხილე; როგორც სანაქებო მეომარმა, მასთან ერთად იღვაწე, ვნებებითა და გულისთქმებითურთ მასთან ერთად ხორციელად ჯვარსეცვი, ღვთის შემწეობით გახდი ღმერთი ფარაონისა და ყოველი წინააღმდეგომი ძალისა, ქრისტესთან ერთად დაიფალ, მასთან ერთად ღვთისმეტყველების უფსკრულში ჩახვედ, საონოებათა მეგობართაგან ნელსაცხებელი მიიღე და აღსდექ. რამ შემიშალოს ხელი, რომ ვთქვა:

11. აღსდექ მესამე დღეს, ანუ აღსდექ სამ ვწებაზე – ნაყროვანებაზე, კერცხლისმოყვარეობასა და პატივმოყვარეობაზე – გამარჯვების შემდგომ, უკეთ რომ ვთქვათ, აღსდექ მას შეძლებ, რაც სული, ხორცი და გონება განწმინდე გულისტქებისგან, გულისწყრომისა და ზრახვებისგან.
12. აღხვედ ზეთისხილის მთაზე, მთაზე, რომელზეც წმიდანი ამბობდა: “მთანი მაღალი ირემთა” (ირემთა, ანუ ვწებათა მომსვრელ სულთა). ვინაიდან სიბრძნით აღვსებულ და ცოდნით ყოველ ჩვენგანზე გარდამეტებულ მამასთან გრძლად სიბრძნის-მეტყველება არ შეგვფერის და სიტყვის შემოკლება გვმართებს, ვიტყვი: აღხვედ მთაზე, რომელზეც წიგნში ნათქვამია, ვწებათა მომსვრელ სულთაო.

მათ შეძლებომ შენც აღხვედ, ზეცად აღიხილე (კვლავ მსჯელობის უწინდელ წესს დავუბრუნდები), შენი მოწაფე-ები გვაკურთხე და წინამდებარე სათნოებათა კიბე იხილე, რომელსაც, როგორც ბრძენმა ხუროთმოძღვარმა, შენდა მოცემული ღვთის მადლით საფუძველი დაუდევ და განასრულე კიდეც; თუმცა კი თავმდაბლობისა სიღრმისა გამო ჩვენი გლახაკი და უსწავლელი ენა აიძულე, შენი ხალხისთვის მიგვემართა. ან რა გასაკვირია ეს?! – მოსეც უწოდებდა საკუთარ თავს წვრილხმიანსა და ენაბრგვილს. მაგრამ მას აარონი ჰყავდა ტკბილმოუბრად. შენ კი, ნეტარო, არც კი ვიცი, რატომ მოხვედი დამშრალ, ეგვიპტის გომბეშოებით, უმეტესად კი, ეგვიპტის ნაკვერცხლით სავსე წყაროსთან?!

რადგან ურიგო იქნებოდა, თუ შენი აღსვლის მაგალითსა და იგავს დაუსრულებელს დავტოვებდით, კვლავ უწინდელ სიტყვას დავუბრუნდებით: აღხვედ წმიდა მთაზე, თვალები ზეცას მიაპყარ, სათნოებათა კიბეზე ფეხი შედგი, აღხვედ კიბეზე და ამაღლდი. და აფრინდი, ღაღადებით ამაღლდი,

მტრებს სძლიე, მოჰკალ და წინ წარუძეს მრავალს. ახლაც ყოველთვის წინ მიგვიძლვი ყველას, რადგან წმიდა სათნოებათა კიბის თავში ასულხარ და სიყვარულს შეერთებიხარ; ხოლო სიყვარული არის ღმერთი, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



## ს არჩევი

წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის სიტყვა .....	4
რაიონული მონაზვნის დანიელის სიტყვა .....	5
იოანე სინელის ცხოვრება .....	6
ლირსი მამების წერილები .....	13
<b>თავი I</b>	
ერიდან გამოსვლისთვის .....	16
<b>თავი II</b>	
ამა სოფლისა და მისი საქმეების სიძულვილისთვის .....	28
<b>თავი III</b>	
უცხოობისთვის .....	33
სიზმრებისთვის .....	39
<b>თავი IV</b>	
მორჩილებისთვის .....	42
<b>თავი V</b>	
სინაწყლისთვის, და წმიდანთა ცხოვრება, რომლებიც „დილეგში“ იყვნენ .....	83
<b>თავი VI</b>	
სიკვდილზე ფიქრისთვის .....	99
<b>თავი VII</b>	
გლოვისთვის .....	104
<b>თავი VIII</b>	
ურისხველობისა და გულისწყრომისთვის .....	119
<b>თავი IX</b>	
გულღვარძლიანობისთვის .....	127

თავი X	
ძეგირის თქმისა და განკითხვისთვის .....	130
თავი XI	
დუმილისა და მრავლისმეტყველებისთვის .....	134
თავი XII	
ტყუილისთვის .....	137
თავი XIII	
მოწყვნილობისთვის .....	140
თავი XIV	
ნაყროვანებისთვის .....	143
თავი XV	
უხრწელი სიწმინდისა და ქალწულებისთვის .....	151
თავი XVI	
გერცხლისმოყვარეობისთვის .....	173
თავი XVII	
უპოვარებისთვის .....	175
თავი XVIII	
გულქვაობისა და უგრძნობელობისთვის .....	178
თავი XIX	
ძილისთვის და სხვებთან ერთად ლოცვისთვის .....	181
თავი XX	
ხორციელი სიფზიზლისთვის, რისგანაც სულიერი სიფზიზლე იშვება .....	183
თავი XXI	
შიშისთვის .....	187
თავი XXII	
პატივმოყვარეობისთვის .....	189

<b>თავი XXIII</b>	
ამპარტაგნებისთვის .....	198
გმობის აზრებისთვის .....	204
<b>თავი XXIV</b>	
სიმშვიდისთვის, სიწრფოებისა და უმანკოებისთვის, ასევე ციცერებისთვის .....	208
<b>თავი XXV</b>	
სანატრელი თავმდაბლობისთვის .....	213
<b>თავი XXVI</b>	
დიაკრისისათვის, ანუ ცოდნისა და აზრთა, ვნებათა და სათნოებათა განსჯისათვის .....	228
ისევ განჯისა და გულისხმისყოფისთვის .....	249
სხვა სათნოებებზე .....	267
<b>თავი XXVII</b>	
ხორციელი და სულიერი დაყუდებისთვის .....	274
დაყუდების სახეობებზე .....	279
<b>თავი XXVIII</b>	
ყოვლადწმიდა ლოცვის შესახებ, და სხეულითა და გონებით ლოცვაზე დგომისთვის .....	292
<b>თავი XXIX</b>	
უვნებობისთვის, სრულყოფილებისა და სულიერი აღდგომისთვის უწინარეს საყოველთაო აღდგომისა .....	303
<b>თავი XXX</b>	
სათნოებათა სამების – სარწმუნოების, სასოებისა და სიყვარულის – შესახებ .....	308
მოკლე დარიგება .....	314
<b>სიტყვა მფეხასისა და ჭინამდვრისადმი</b>	
თავი პირველი .....	315
თავი მეორე .....	317

თავი მესამე	318
თავი მეოთხე	319
თავი მეხუთე	320
თავი მეექვსე	320
თავი მეშვიდე	322
თავი მერვე	323
თავი მეცხრე	324
თავი მეათე	324
თავი მეთერთმეტე	325
თავი მეთორმეტე	326
თავი მეცმეტე	328
თავი მეთოთხმეტე	332
თავი მეთხუთმეტე	335

**წმიდა იოანე სინელი  
კლემაქსი, ანუ კიბე**

თარგმანი წმიდა ექვთიმე მთაწმიდელისა

თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა  
ტატიანა ცომაიაძ  
რედაქტორი: ნათელა ხურცილავა  
დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ლია სხირტლაძის

**საეკლესიო გამომცემლობა  
„ახალი ივარონი“**  
თბილისი 2014